

ამერიკული დემოკრატია

ახვ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი

ქანეთ ჯანლა

ნორთუესტერნის უნივერსიტეტი

ჯეფრი ე. გერი

ტაფტის უნივერსიტეტი

ჯერი გოლდმანი

ნორთუესტერნის უნივერსიტეტი

შემოკლებული რედაქცია

შემოკლებული **ერლ პაუის** მიერ
კალიფორნიის შტატის
პოლიტექნიკური უნივერსიტეტი

ინგლისურიდან თარგმნა

რევაზ გაჩეჩილაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანის რედაქტორი

მინდია უჩახელიძე

განმომავლობა „ჯინიაი“
თბილისი – 1995

The Challenge of
Democracy
Government in America

Translated into Georgian by
Revaz Gachechiladze
Tbilisi State University

რედაქტორი: ლია თეთრაუვილი
დამკაბადონებელი: ეკა ხორბალაძე

0278 © ქართული თარგმანი:
გამომცემლობა „ჯისიაი“,
რევაზ გაჩეჩილაძე

შინაარსი

წინასიტყვაობა შემოკლებული ვერსიის მეორე გამოცემისათვის	IX
წინასიტყვაობა ქართული თარგმანისათვის	X
მთარგმნელისაგან	XI
თავი I. დემოკრატიის დილემები	1
ჩ- მიზნები	3
ხელისუფლების ანალიზის კონცეფტუალური ჩარჩოები	6
ხელისუფლების სფერო	14
ამერიკული პოლიტიკური იდეოლოგიები და ხელისუფლების მიზანი	18
ამერიკული სახელისუფლებო პროცესი: მაჟორიტარული თუ პლურალისტური?	22
დემოკრატიული ხელისუფლების თეორია	23
დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელები	28
დემოკრატიები მსოფლიოში	34
შეჯამება	38
თავი 2. კონსტიტუცია	41
კონსტიტუციის რევოლუციური ფუნქციები	44
რევოლუციიდან კონფედერაციისაკენ	49
კონფედერაციიდან კონსტიტუციისაკენ	50
საბოლოო პროდუქტი	55
ცვლილება კონსტიტუციაში	68
კონსტიტუციის შეფასება	71
შეჯამება	74
თავი 3. ფედერალიზმი	77
ფედერალიზმის თეორიები	80
ფედერალიზმის დინამიკა: სამართლებრივი სანქციები და ფინანსური სტიმულები	84
ფედერალიზმის განვითარებადი კონცეფცია	88
ახალი, უფრო ახალი, უახლესი ფედერალიზმი	94
სხვა ხელისუფლებანი ფედერალურ სისტემაში	98
თანამედროვე ფედერალიზმი და დემოკრატიის დილემები	100
შეჯამება	105

თავი 4. საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური სოციალიზაცია და მსს	107
საზოგადოებრივი აზრი და დემოკრატიის მოდელები	110
პოლიტიკური სოციალიზაცია	113
სოციალური კვლევები და პოლიტიკური ფასეულობები	117
ფასეულობებიდან იდეოლოგიამდე	123
როგორ უყალიბდებთ ადამიანებს თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი.	127
ამერიკის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისებურებები	132
მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა კერძო მფლობელობა	133
მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სახელმწიფო რეგულირება	135
მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა პოლიტიკური ეფექტიანობა	137
მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა შეფასება	
მთავრობასთან მიმართებაში	144
შეჯამება	149
თავი 5. პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები	153
დემოკრატია და პოლიტიკური მონაწილეობა	155
მონაწილეობის უჩვეულო ფორმა	156
მონაწილეობის ჩვეული ფორმა	160
პოლიტიკური მონაწილეობა ხმის მიცემის საშუალებით	165
პოლიტიკური მონაწილეობის ახსნა	173
პოლიტიკური მონაწილეობა და თავისუფლება, თანასწორობა და წესრიგი	178
პოლიტიკური მონაწილეობა და დემოკრატიის მოდელები	180
შეჯამება	182
თავი 6. პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო კამპანიები და არჩევნები	185
პოლიტიკური პარტიები და მათი ფუნქციები	188
ამშშ პარტიული პოლიტიკის ისტორია	190
ამერიკული ორპარტიული სისტემა	193
პარტიული იდეოლოგია და ორგანიზაცია	201
პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის მოდელი	209
საარჩევნო კამპანიის ევოლუცია	209
საარჩევნო კამპანიის წარმართვა	215
არჩევნები	220
ხმის მიცემისას არჩევანის მიზეზების ახსნა	223
საარჩევნო კამპანიები, არჩევნები და პარტიები	228
შეჯამება	229

თავი 7. დაინტერესებული ჯგუფები	233
დაინტერესებული ჯგუფები და ამერიკის პოლიტიკური ტრადიცია	235
როგორ ყალიბდება დაინტერესებული ჯგუფები	238
დაინტერესებული ჯგუფების რესურსები	241
ლობირების ტაქტიკა	248
დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის განვითარება	252
დაინტერესებული ჯგუფები: შეფასება	255
შეჯამება	259
თავი 8. კონგრესი	261
კონგრესის წარმოშობა და უფლებამოსილებანი	263
კონგრესის არჩევა	266
როგორ დგება კონგრესის დღის წესრიგი?	272
„კანონმდებლობის ტური“: მიმოხილვა	273
კომისიები: კონგრესის მუშა ძალა	276
ლიდერები და მიმდევრები კონგრესში	282
საკანონმდებლო გარემო	284
საკანონმდებლო ზედამხედველობა	290
წარმომადგენლობის დილემა	291
პლურალიზმი, მაიორიტარიზმი და დემოკრატია	293
შეჯამება	295
თავი 9. საპრეზიდენტო ხელისუფლება	297
საპრეზიდენტო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძველი	300
პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვაფართოება	303
კავშირი არჩევნებთან	311
აღმასრულებელი განშტოების აპარატი	313
პრეზიდენტი როგორც ქვეყნის ლიდერი	318
პრეზიდენტი, როგორც მსოფლიო ლიდერი	324
პრეზიდენტის პიროვნული ხასიათი	326
შეჯამება	327
თავი 10. ბიუროკრატია	329
ორგანიზაციის საკითხი	331
ბიუროკრატიული სახელმწიფოს განვითარება	332
ბიუროები და ბიუროკრატები	336
პოლიტიკის შემუშავება ადმინისტრაციის მიერ:	
ფორმალური პროცესები	338
პოლიტიკის შემუშავება ადმინისტრაციის მიერ:	
არაფორმალური პოლიტიკა	343
პოლიტიკის შემუშავება: ურთიერთქმედების ქსელი	346

პოლიტიკის განხორციელების პრობლემები	349
ბიუროკრატიის რეფორმა: მეტი თუ ნაკლები კონტროლი?	350
შეჯამება	353
თავი 11. სასამართლო	355
ფედერალური მართლმსაჯულების უზენაესობა	357
ფედერალური სასამართლოების დღევანდელი ორგანიზაცია	361
უზენაესი სასამართლო	368
სასამართლოს შექმნა	376
სასამართლო გადაწყვეტილებათა შედეგები	381
სასამართლო და დემოკრატიის მოდელები	384
შეჯამება .	386
თავი 12. სამოქალაქო თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები	389
უფლებათა ბილი	391
რელიგიის თავისუფლება	393
გამოხატვის თავისუფლება	397
უფლებათა ბილის ვაერცელება შტატებზე	406
<i>IX</i> შესწორება და პერსონალური ავტონომია	411
სამოქალაქო ომის შესწორებანი	414
სკოლების სეგრეგაციის გაუქმება	417
სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობა	420
სამოქალაქო უფლებები სხვა უმცირესობებისთვის	423
სქესი და თანასწორი უფლებები: ქალთა მოძრაობა	428
აფირმატიული ქმედება: თანასწორი შესაძლებლობები თუ შედეგის თანასწორობა?	432
შეჯამება	437
დამატება 1: ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია	440
დამატება 2: ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია	445
ციტირებული ლიტერატურა	462

წინასიტყვაობა

შემოკლებული ვერსიის მეორე გამოცემისათვის

წინამდებარე ნაშრომი არის 'შემოკლებული და განახლებული ვერსია ძალიან პოპულარული წიგნის – „დემოკრატიის გამოწვევა: ხელისუფლება ამერიკაში“ – მესამე გამოცემისა. როდესაც ამ შემოკლებულ ვერსიას ქმნიდნენ, ავტორებს სურდათ დიდი ტექსტი კომპაქტური გაეხადათ ისე, რომ არ დაეკნინებინათ მისი ხარისხი, რომელმაც ასეთი წარმატება მოუტანა წიგნს. გარდა ამისა, ავტორებს უნდოდათ ტექსტი მაქსიმალურად თანამედროვე გაეხადათ და ამიტომ შემოკლებული ვერსიის მეორე გამოცემას დაამატეს 1993 წლის მაგალითები და მასალა პრეზიდენტ ქლინტონის ადმინისტრაციის შესახებ.

შემოკლებული ვერსია თითქმის ორჯერ მცირეა სრულ რედაქციაზე, მაგრამ ის იდეალურად არის მორგებული საუნივერსიტეტო კურსებს ამერიკის ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესის შესახებ.

წიგნის თეორიული მონახაზი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოისმინონ შესავალი კურსი ამერიკის ხელისუფლების შესახებ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ წიგნი საშუალებას აძლევს მკითხველს კრიტიკულად გაიაზროს ის რთული არჩევანი, რომლის წინაშეც დგას ამერიკელი ამომრჩეველი და, უფრო ფართოდ, ამერიკის ყველა მოქალაქე.

წიგნს წითელ ზოლად გასდევს ორი ძირითადი თემა. ორივე მათგანი განხილულია პირველ თავში.

პირველი თემა არის ის, რომ ავტორების აზრით, ამერიკის საშინაო პოლიტიკა ხშირად ეჯახება კონფლიქტს თავისუფლებისა და წესრიგის ფასეულობებსა და თავისუფლებისა და თანასწორობის ფასეულობებს შორის. ეს კონფლიქტები ყოველთვის მძლავრ ზეგავლენას ახდენდა ამერიკის ისტორიის მსვლელობაზე და დღესაც დაღს ასვამს მრავალ პოლიტიკურ მოვლენას და გადაწყვეტილებას.

მეორე თემა სტუდენტებს მოუწოდებს განიხილონ დემოკრატიის ორი განსხვავებული მოდელი. ერთი მოდელის მიხედვით მთავრობა გადაწყვეტილებას ღებულობს მაჟორიტარული პრინციპით – სხვანაირად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა მოქალაქეთა უმრავლესობის სურვილის გათვალისწინებით ხდება. დემოკრატიული მთავრობის საპირისპირო მოდელია პლურალიზმი, რომელიც ეყრდნობა ნებისმიერი საკითხის ირგვლივ მთავრობის ურთიერთქმედებას კონკურენტულ დაინტერესებულ ჯგუფებთან.

წიგნში, სადაც შესაძლებელია, ყველგანაა გამოყენებული ეს თემები, რათა უკეთ იქნეს გაშუქებული ამერიკის პოლიტიკური სისტემა. მაგალითად, მე-2 თავში განხილულია, თუ როგორ ჩამოყალიბდა კონსტიტუცია – ძირითადად, წესრიგის განსამტკიცებლად, და როგორ აუარა გვერდი იმავე კონსტიტუციამ პოლიტიკურ და სოციალურ თანასწორობას. ამასთან ერთად, მე-12 თავში ნაჩვენებია, რომ კონსტიტუციის სხვადასხვა შესწორებების წყალობით თანასწორობაც აღიარებულ ფასეულობად იქცა. მე-4 თავში განხილულია მასობრივი

საინფორმაციო საშუალებების და საზოგადოებრივი აზრის როლი მართვის პროცესში, რაც მაჟორიტარულ მოდელს აძლიერებს. მაგრამ მე-10 თავში ჩვენნი დისკუსიის ფოკუსშია დემოკრატიის პლურალისტური მოდელი.

წიგნში ხშირად არის ხაზგასმული, რომ სტუდენტებმა თვითონ უნდა გააკეთონ არჩევანი დაპირისპირებულ ფასეულობებსა და სამთავრობო მოდელებს შორის. ავტორებს უნდოდათ, რომ მკითხველებს თვითონვე ეგრძნოთ, თუ რა რთული არჩევანის გაკეთებას მოითხოვს დემოკრატია.

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

ათ წელზე მეტია, რაც ჩვენ დავიწყეთ მუშაობა წინამდებარე წიგნზე. ახლა უკვე მისი მეოთხე გამოცემა გამოდის. ამ ხნის განმავლობაში ეს წიგნი პირველ ადგილზე გავიდა; როგორც ამერიკის მთავრობის შესახებ დაწერილ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს შორის ყველაზე პოპულარული. ჩვენ გვახარებს მისი წარმატება ამერიკის შეერთებული შტატების წიგნის ბაზარზე, სადაც მას მძაფრი კონკურენტის დაძლევა უხდება და კიდევ უფრო ის, რომ ჩაქნი იდეები მისაღებია სტუდენტებისა და მეცნიერთათვის ამჟამად დემოკრატიული მმართველობისკენ გარდამავალ ეტაპზე მყოფი განსხვავებული პოლიტიკური მემკვიდრეობის მქონე ქვეყნებში.

ჩვენ გვინდოდა დაგვეწერა ისეთი წიგნი, რომელსაც სტუდენტები ნამდვილად წაიკითხავდნენ, ამიტომაც მიზნად დავისახეთ გვემსჯელა პოლიტიკაზე – რთულ, კომპლექსურ საგანზე მიმზიდველი და გასაგები ერთ. პოლიტიკა, მათ შორის ამერიკის პოლიტიკა, სულაც არ არის მოსაწყენი რამ და სახელმძღვანელოც ამ საგანში არ უნდა იყოს მოსაწყენად დაწერილი. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ შეგვექმნა ისეთი წიგნი, რომელიც სტუდენტებს სტიმულს მისცემდა თვითონ ეფიქრათ პოლიტიკის შესახებ.

წინამდებარე წიგნი სთავაზობს მთელ აუცილებელ ინფორმაციას ამერიკის ხელისუფლებისა და პოლიტიკის შესახებ. ამასთან, წიგნის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ პოლიტიკის ანალიზისათვის მისი გამოყენება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ადამიანს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი კონცეფტუალური სქემა აგებულია ამერიკული პოლიტიკის ორ ხანდაზმულ პრობლემაზე: ესაა დაპირისპირება სამ ფუნდამენტურ ფასეულობას – თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას შორის და განუწყვეტელი ჭიდილი დემოკრატიის ორ – მაჟორიტარულ და პლურალისტურ ხედვას შორის. ეს დილემები წიგნის პირველივე თავშია განხილული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული პრობლემები უკვე დგას ან დადგება სხვა ქვეყნებშიც, რომლებსაც უხდებათ არჩევა იმისა, თუ რომელ ფასეულობას მიანიჭონ პრიორიტეტი – თავისუფლებას, წესრიგსა თუ თანასწორობას, და, აგრეთვე, იმისა, დემოკრატიის რომელ მოდელს დაეყრდნონ თავის განვითარებაში. ჩვენმა ამერიკელმა გამომცემელმა Houghton Mifflin-მა წიგნის ათასობით ეგზემპლარი აჩუქა ინგლისური ენის ფაკულტეტებსა და სტუდენტებს

აღმოსავლეთ ევროპაში – ბულგარეთში, ზორვატიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთში, პოლონეთში, რუმინეთში. მისი თარგმნა დაგეგმილია უნგრულ, ზორვატულ, ჩეხურ, სლოვაკურ ენებზე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს შორის მისი პირველი თარგმანი ქართულად შესრულდა.

ქართული თარგმანის იდეა სამ წელზე მეტი ხნის წინ ჩაისახა, როდესაც 1991 წლის დეკემბერში მოსკოვში საერთაშორისო კონფერენციაზე შევხვდით პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძეს. საბჭოთა კავშირი სწრაფად იშლებოდა, ხოლო ახალ საქართველოს, ისევე, როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებს, უნდა დაეწყო სვლა დემოკრატიის რთულ გზაზე. ჩვენი დიპლომატიური დემოკრატიისა და ამერიკის პოლიტიკური პროცესის შესახებ ნაყოფიერი აზროვნება და შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. ჩვენი ქართველი კოლეგის ღრმა დაინტერესებამ წიგნის არსით და წიგნის აშკარა საჭიროებამ ქართველი სტუდენტებისა და მეცნიერთათვის გვაფიქრებინა მისი თარგმნა. რ. გაჩეჩილაძის მოწადინება და ენერგია აღმოჩნდა ძირითადი მიზეზი იმისა, რამაც ეს ამერიკული წიგნი ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

ჩვენ გვეჯერა, რომ ნაშრომის ქართული ვერსია უკეთ გააცნობს ქართველ მკითხველს ამერიკულ დემოკრატიას და მის პრობლემებს, მთავრობის სტრუქტურას, პოლიტიკურ პროცესებს და, ამავე დროს, ხელს შეუწყობს უკეთ დაინახოს დემოკრატიის გზაზე თავისი ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები.

ქენეთ ჯანდა, ჯეფრი ბერი, ჯერი გოლდმენი
მარტი, 1995

მთარგმნელის საგან

ამ წიგნის თარგმანზე მუშაობა არსებითად დაიწყო ქევანსტონში (ილინოისის შტატი), ნორთუესტერნის უნივერსიტეტში, სადაც 1994 წლის მაისში მიწვეული ვიყავი ლექციების კურსის წასაკითხად ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს პოლიტიკური და სოციალური გეოგრაფიის საკითხებზე. ჩემმა მასპინძელმა, პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორმა ჯერი გოლდმენმა გამაცნო მისი თანაავტორობით დაწერილი წიგნის ის-ის იყო დაბეჭდილი ახალი გამოცემა. ჯერი გოლდმენის სემინარზე დასწრებამ, სადაც იგი სტუდენტების ცოდნას ამოწმებდა წინამდებარე წიგნის დახმარებით, ცხადად მიჩვენა, თუ რა დიდ ინფორმაციას შეიცავდა იგი. ნაშრომის სრული და შემოკლებული ვერსიების ოთხასი ათასი ეგზემპლარი უკვე გაიყიდა ამერიკაში, რაც წიგნის ბაზარზე არსებული სერიოზული კონკურენციის პირობებში მის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

ქართული თარგმანი შესრულებულია წიგნის შემოკლებული ვერსიიდან, რომელიც სრულზე ლამის ორჯერ მცირეა, მაგრამ თითქმის მთლიანად ინარჩუნებს ინფორმაციულობას, გადმოსცემს ყველა ძირითად ცნებას, სრულყოფილად აღწერს ამერიკის მთავრობის სტრუქტურას და მისი მოქმედების თავისე-

ბურებებს. ამასთან ერთად სრული ტექსტის მეოთხე (1995 წ.) გამოცემიდან თარგმანში გამოვიყენეთ ბევრი ახალი მონაცემი და გრაფიკული მასალა. რასაკვირველია, სამწუხაროა, რომ შეუძლებელი იყო სრული ვერსიის მშვენიერი ფერადი ფოტოების, დიდი ცხრილების და მრავალრიცხოვანი მაგალითების მიტანა ქართულ მკითხველთან, მაგრამ, ვფიქრობ, წინამდებარე სახითაც წიგნი ბევრს ახალს მისცემს ჩვენს მკითხველს, განსაკუთრებით – სტუდენტობას.

წიგნს ინგლისურად ჰქვია “Challenge of Democracy: Government in America” – „დემოკრატიის გამოწვევა: ხელისუფლება ამერიკაში“. “Challenge”-ს გარდა „გამოწვევის“ მნიშვნელობისა „რთული პრობლემების, ამოცანების“ მნიშვნელობაც გააჩნია. ავტორები ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის დემოკრატიას რთული დილემების წინაშე უხდება დგომა. ბევრი თვალსაზრისით ეს უკვე ესადაგება ან მალე მიესადაგება საქართველოს ახლადფეხადგმული (თუ ჯერ კიდევ ფეხასადგმელი?) დემოკრატიის პრობლემებსაც. ქართველი მკითხველისათვის, ალბათ, კიდევ უფრო საინტერესო იქნება წიგნში აღწერილი მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლების (ან მთავრობის – ფართო გაგებით, და არა მხოლოდ „მინისტრთა საბჭოს“ თუ „მინისტრთა კაბინეტის“ მნიშვნელობით) სტრუქტურის და მისი საქმიანობის კონკრეტული თავისებურებები. ამიტომაც ვამჯობინეთ და ავტორებთან შეთანხმებით ქართულ თარგმანს უფრო აღწერილობითი დასახელება მივეცით „ამერიკული დემოკრატია: აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი“.

წიგნის თარგმანის შესრულებისას (რაშიც სხვადასხვა სახის დახმარებას მიწვედნენ ზაზა გაჩეილაძე, ცისანა ბოცვაძე, ვალერი მელიქიძე, თამუნა ტაბატაძე – მათ ყველას დიდ მადლობას ვუძღვნი) აშკარა გახდა, რომ უამრავი ტერმინი ქართულად პირველად უნდა ითარგმნოს. ადვილი გადმოსატანია „რკინის სამკუთხედი“ (iron triangle), მაგრამ ურთიერთქმედების ქსელი (issuc network) ან „კოლექტიური ქმედების სარჩელი“ (class-action suit), „სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა“ (adjudication) და ზოგი სხვა შეიძლება ყველას არ მოეწონოს. ზოგი ტერმინი ქართულად მეტნაკლებად დამკვიდრდა, მაგალითად checks and balances, როგორც „ურთიერთშეკავება და ურთიერთგაწონასწორება“, judicial review, როგორც „სასამართლო კონტროლი“, მაგრამ ზოგის დახუსტება მაინც დაგვჭირდა, მაგალითად “separation of powers” აშკარად „ხელისუფლებათა გამოიჯვანა“, მითუმეტეს, რომ ავტორები სხვა მნიშვნელობით იყენებენ ტერმინებს distribution of power და division of power (ხელისუფლების გაყოფა, განაწილება).

ყველა თავს დართული აქვს მოკლე ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური ლექსიკონი („საკვანძო ტერმინები“). ტერმინების დახუსტებისას ფასდაუდებელი დახმარება აღმომიჩინეს მინდია უგრეხელიძემ, ალექსანდრე რონდელმა, დოდო ყარაულაშვილი, გიორგი კეჩუაშვილმა, დავით ჩარკვიანმა. მიუხედავად ამისა, ყველა უზუსტობაზე პასუხისმგებელი მე ვარ.

ცალკე პრობლემა იყო საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემა. საკუთარი სახელების ჟღერადობა მაქსიმალურად დაეუახლოვეთ ინგლისურს. გამონაკლისია ტრადიციულად დამკვიდრებული პრეზიდენტი

ჯორჯ ვაშინგტონი (და ქვეყნის დედაქალაქი ვაშინგტონი) „უოშინგტონის“ ნაცვლად. თუმცა, ამ უკანასკნელი ტრანსკრიფციით გადმოვცემთ გაზეთ „უოშინგტონ პოსტის“ და უოშინგტონის შტატის სახელებს. გეოგრაფიული სახელებიც ძირითადად ისეა გადმოცემული, როგორც მათ ამერიკელები გამოსთქვამენ (მაგალითად, პენსილვენია, ქეროლანა და სხვ.), გარდა ზოგიერთი, ქართულში უკვე ფესვმოკიდებული სახელისა. მაგალითად, დარჩა სან-ფრანცისკო (და არა სენ-ფრენსისკო), ტეხასი (და არა ტექსასი), ჩიკაგო (და არა შიკაგო), ცინცინატი (და არა სინსინეთი) და სხვ.

წიგნის დანართში მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის თარგმანი რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებასთან თანამშრომლობით 1991 წელს საუცხოოდ შეასრულა პროფესორმა დოდონა კიზირიამ, და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც ქართულად მშვენივრად თარგმნეს არჩილ კობალაძემ და სანდრო ბარამიძემ, ხოლო რედაქცია შეასრულა მინდია უგრეხელიძემ. კონსტიტუციის მთარგმნელებისგან განსხვავებით ეხმარობ მხოლოდ ერთ ტერმინს: „Elector“ ამ წიგნის თარგმანში გადმოცემულია, როგორც „ამომრჩევი“, რათა განვასხვავოთ იგი რიგითი „ამომრჩევლისაგან“.


ქართული ტექსტის რედაქტირებაში დიდი წვლილი შეიტანა ლია თეთრაშვილმა. ტექსტი კომპიუტერზე ააწყო მანანა შარუხიამ, ხოლო დააკაბადონა ეკა ხორბალაძემ, რომელსაც ეხმარებოდა ლია მოსეშვილი. მათ ყველას ჩემი გულთბილი მადლობა ეკუთვნით, განსაკუთრებით იმ მოთმინებისათვის, რომლითაც ისინი იტანდნენ ლამის ყოველდღე ტექსტში ახალ-ახალი შესწორებების შეტანას!

წიგნის თარგმან და დაბეჭდვა მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის (USIS) სპონსორობით და საქართველოში მისი წარმომადგენლის ჯეიმზ ჰაჩესონის უდიდესი ხელშეწყობით, რასაც განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ.

დაბოლოს წიგნის გამოშვება შეუძლებელი იქნებოდა, თუ არა გამომცემლობა „ჯისიასი“ დირექტორის, შადიმან ხელაძის ენთუზიაზმი, კეთილგანწყობა და დახმარების სურვილი. ვფიქრობ, ამ მძიმე დროს, განსაკუთრებით ელექტროენერჯის მწვავე დეფიციტის პირობებში, მის მიერ ასეთი წიგნის გამოშვება გამირობის ტოლფასია!

რევაზ გახუჩილაძე
თბილისი, 1 მარტი 1995

დემოკრატიის დილაგები



1

რა არის უკეთესი: გმართავდეს მთავრობა, რომელიც პიროვნებას ქცევისა და მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს, თუ ისეთი მთავრობა, რომელიც ცხოვრებაში ატარებს მკაცრ კანონსა და ამყარებს წესრიგს? რა არის უკეთესი: ნება დართო ფირმებს – თვითონ აირჩიონ მომხმარებლები, კერძო კლუბებს – წევრები, თუ გაატარო კანონი, რომელიც მოითხოვს მათგან მიიღონ და მოემსახურონ განურჩევლად ყველა ეროვნების, რასისა და სქესის წარმომადგენელს?

მრავალთათვის აქ ჩამოთვლილიდან არც ერთი არ არის მისაღები. ნებისმიერი მათგანი მძიმე დილემის წინაშე დგება. ეს დილემები დამოკიდებულია ურთიერთსაწინააღმდეგო აზროვნების პრინციპებზე, რომლებიც თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ცნებებისათვის სხვადასხვა ფასეულობას ადგენენ.

ეს წიგნი ეხება ამერიკის ხელისუფლებას და პოლიტიკას ამ დილემების შუქზე. იგი წარმოადგენს არა მარტო ახსნას იმისა, თუ როგორ მუშაობს ჩვენი მთავრობა; ის გაიძულებთ დაფიქრდეთ, თუ რა უნდა აკეთოს და რა არა მთავრობამ; ის უფარდებს ამერიკის ხელისუფლებას დემოკრატიის იდეალებს; გაიძულებთ დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ მიიღება სამთავრობო გადაწყვეტილებები. კარგი მართვა ხშირად დაკავშირებულია მძიმე არჩევანთან.

კოლეჯის სტუდენტები ხშირად ამბობენ, რომ ძნელია ამერიკის ხელისუფლებისა და პოლიტიკის გაგება. ფაქტობრივად, უამრავი მოქალაქე იგივეს უჩივის. 1988 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვისას, გამოკითხულთა 70 პროცენტი დაეთანხმა დებულებას, რომ „პოლიტიკა და მთავრობა იმდენად რთული რამაა, რომ ჩემნაირ ადამიანს არ შეუძლია გაიგოს, – რა ხდება“. ამ წიგნის მეშვეობით, იმ ნორმების ან ფასეულობების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, რომლების მიხედვითაც ხალხი მსჯელობს პოლიტიკურ მოვლენებზე, ჩვენ ვიმეორებთ გაგიუმჯობესოთ წარმოდგენა იმის შესახებ, „თუ რა ხდება“. ჩვენი მიზანი იმის ქადაგება კი არ არის, თუ რას უნდა ანიჭებდეს ხალხი უპირატესი ას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს, არამედ იმის განხილვა თუ რომელი ფასეულობების წინაშე დგას იგი.

სწავლება ქადაგების გარეშე ძნელია. არავის ძალუძს მთლიანად ჩ. ზოაცილოს პიროვნული მიდგომა პოლიტიკურ ანალიზს. მაგრამ ჩვენს მიდგომას მინიმუმამდე დაკავს პიროვნული მიდგომა – იმ დილექტებზე კონცენტრაცია ის გზით, რომლებსაც აწყდება ხელისუფლება თანაბარ ფასეულობებს შორის არჩევანის გაკეთების დროს. მაგალითად, ამერიკელები პატივს სცემენ როგორც შეერთებული შტატების დროშას, ასევე აშშ კონსტიტუციის „უფლებათა ბილს“. 1989 წელს უზენაესმა სასამართლომ არც თუ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პროტესტის ნიშნად დროშის დაწვა წარმოადგენს „აზრის გამოხატვის თავისუფლების“ სამართლიან გამოხატულებას და „უფლებათა ბილს“ პირველი შესწორების შესაბამისად დაცვას ექვემდებარება. ის მოსამართლეები, რომლებიც ამას არ დაეთანხმნენ, ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეები და მათი წარმომადგენლები ვალდებული არიან ერის სიმბოლო (ე. ი. დროშა) დაიცვან. როგორ უნდა მოიქცეს მთავრობა – კონსტიტუციას უნდა დაუჭიროს მხარი თუ დროშა უნდა დაიცვას?

ნებისმიერი სამთავრობო პოლიტიკა ასახავს არჩევანს ურთიერთსაწინააღმდეგო ფასეულობათა შორის. ჩვენ გვინდა ნათელვყოთ ეს აზრი, გაგაგებინოთ, რომ ნებისმიერი სამთავრობო პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებს რომელიმე ერთ ფასეულობას სხვა ფასეულობათა ხარჯზე. ჩვენ გვინდა ავხსნათ პოლიტიკური გადაწყვეტილებები (მაგალითად, დარჩეს თუ არა დაუსჯელი დროშის დაწვა) იმ ძირეული ფასეულობების – თავისუფლებისა და წესრიგის ფონზე, რომლებზეც გვექნება საუბარი, და უფრო ფართო პოლიტიკური ობერტონების (ლიბერალური თუ კონსერვატიული პოლიტიკა) გაგების საფუძველზე.

განხილულ იქნება ის ნორმატიული პრინციპები, რომლებიც საფუძველად უდევს პოლიტიკას. ჩვენი ანალიზი არ მოიცავს ამერიკის ხელისუფლების მთელ სპექტრს, მაგრამ დაგეხმარებათ ცოდნის გაღრმავებაში პოლიტიკური ინფორმაციის „მონედების“ გაუმჯობესების საფუძველზე.

ჩვენ ვიწყებთ ხელისუფლების ძირითადი მიზნების განხილვით.

ხელისუფლების მიზნები

ადამიანებს უმეტესწილად არ მოსწონთ, როდესაც რაღაცის გაკეთებას უბრძანებენ. მით უფრო ნაკლებს მოსწონთ, როდესაც აიძულებენ განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ყოველდღე მილიონობით ამერიკელი მძღოლი უდრტინველად მოძრაობს გზის მარჯვენა მხარეს და მორჩილად ჩერდება შუქნიშნის წითელ შუქზე, ყოველწლიურად აშშ-ს მილიონობით მოქალაქე ცდილობს შეავსოს საშემოსავლო გადასახადის ფორმები 15 აპრილის შუალაშემდეგ. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ძალდატანებას ხელისუფლების მხრიდან. თუ ხალხს არ მოსწონს ძალდატანება, რატომ ემორჩილება ხელისუფლებას? სხვანაირად რომ ვთქვათ, რატომ გვყავს ხელისუფლება?

ხელისუფლება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ძალის კანონიერი გამოყენება – თავისუფლების აღკვეთისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით – განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში ადამიანთა ქცევის კონტროლის მიზნით. ყველა ხელისუფლება თავისი მოქალაქეებისგან მათივე მართვის პროცესში მოითხოვს თავისუფლების ნაწილის დათმობას. მაგრამ რატომ უქვემდებარებენ ადამიანები საკუთარ თავისუფლებას ამ კონტროლს? ეს კეთდება იმ სარგებლობის მისაღებად, რომელიც ხელისუფლებას მოაქვს თავისი მიზნების განხორციელებით, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ხელისუფლება ორ მთავარ მიზანს ემსახურებოდა – წესრიგის დაცვას (სიცოცხლის შენარჩუნება და ქონების დაცვა) და საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფას. მოგვიანებით ზოგიერთმა ხელისუფლებამ დაიასახა მესამე მიზანიც – თანასწორობის უზრუნველყოფა.

წესრიგის დაცვა

წესრიგის დაცვა ხელისუფლების უძველესი ამოცანაა. წესრიგს ამ კონტექსტში ძალიან ფართო მნიშვნელობა გააჩნია. დავიწყობთ მსჯელობით „კანონისა და წესრიგის“ შესახებ. წესრიგის დაცვა, ამ შემთხვევაში, ნიშნავს კანონის უზენაესობას სიცოცხლის შენარჩუნებისა და ქონების დაცვის მიზნით. მჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფოსის თომას ჰობსისათვის (1588-1679) სიცოცხლის შენარჩუნება ხელისუფლების უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენდა. თავის კლასიკურ ფილოსოფიურ ტრაქტატში „ლევიათანი“ (1651) ჰობსი აღწერდა ცხოვრებას ხელისუფლების გარეშე, როგორც ცხოვრებას „ბუნებრივ მდგომარეობაში“. ხელისუფლების მიერ დაწესებული და დაცული წესების გარეშე ადამიანები იცხოვრებენ, როგორც მტაცებლები, მოიპარავენ და მოკლავენ საკუთარი გამორჩენისათვის. ჰობსის კლასიკური გამოთქმით, ადამიანის არსებობა ბუნებრივ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო „განმარტოებული, დატაკი, საძაგელი, სასტიკი და ხანმოკლე“. მას სჯეროდა, რომ ერთპიროვნულ მმართველს ანუ სუვერენს, ხელთ უნდა ეყრას ურყევი ძალაუფლება ძლიერთა თავდასხმისაგან სუსტების დაცვის უზრუნველსაყოფად. მას სჯეროდა, რომ სუვერენის მკაცრი კანონებისადმი უსიტყვო მორჩილება მცირე საფასურია სამოქალაქო საზოგადოებაში უსაფრთხო ცხოვრების უზრუნველყოფისათვის.

ამერიკელთა უმეტესობას მხოლოდ ბუნდოვნად თუ წარმოუდგენია, თუ რას შეიძლება წააგავდეს ცხოვრება „ბუნებრივ მდგომარეობაში“. მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ „ველური დასავლეთი“ მანამდე, სანამ თეთრშლაპიანი „კარგი ბიჭი“ – შერიფი – ცხენს შემოაჭენებდა, წესრიგს დაამყარებდა ქალაქში და კანონს აამოქმედებდა. მაგრამ დღესდღეობით, მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, ხალხი მართლაც უკანონობის პირობებში ცხოვრობს. მიმდინარე ათწლეულში ანარქიამ და მისმა თანმხლებმა შიშშილმა სომალიში და კონგოშიც, რომელიც თან მოჰყვა იუგოსლავიის დაშლას, გვიჩვენა, თუ რას შეიძლება ჰგავდეს „ბუნებრივი მდგომარეობა“. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ავტორიტარული მმართველები ადამიანთა შიშს საზოგადოებრივი უწესრიგობის მიმართ იყენებდნენ თავიანთი მმართველობის, როგორც „ჩამოყალიბებული წესრიგის“, გასამართლებლად.

ამახვილებდა რა ყურადღებას არსებობაზე „ბუნებრივი მდგომარეობის“ სასტიკ პირობებში, ჰობსი უპირველესად ხელისუფლებაში ხედავდა გადარჩენის საშუალებას. სხვა ისტორიკოსები განიხილავდნენ გადარჩენის ამოცანას, როგორც თავისთავად ნაგულისხმევს, და მიიჩნევდნენ, რომ ხელისუფლება იცავდა წესრიგს კერძო საკუთრების დაცვის გზით (მოძრავ ქონებასა და მიწას, რომელიც ცალკეულ პირებს ეკუთვნოდა). ამ თეორეტიკოსთაგან უპირველესი იყო ჯონ ლოკი (1632-1704), ინგლისელი ფილოსოფოსი, რომელიც თავის „ორ ტრაქტატში ხელისუფლების შესახებ“ (1690) წერდა, რომ პიროვნების სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა ხელისუფლების ძირითადი მიზანია. მისმა აზრებმა ძლიერი გავლენა მოახდინა აშშ-ს „დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე“, რომელმაც განსაზღვრა „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა“, როგორც მოქალაქეთა „ხელშეუვალი უფლებები“.

მაგრამ ყველა როდია დარწმუნებული იმაში, რომ კერძო საკუთრების დაცვა წარმოადგენს ხელისუფლების ღირებულ მიზანს. გერმანელი მეცნიერი კარლ მარქსი (1818-1883) უარყოფდა იმ საკუთრების კერძო მფლობელობას, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის წარმოებისა და მომსახურებისათვის. მარქსის იდეები საფუძვლად უდევს კომუნიზმს, რთულ თეორიას, რომლის შესაბამისად მთელი მიწა და წარმოების საშუალებები მფლობელობაში ხალხს უნდა გადაეცეს, სინამდვილეში კი – მთავრობას. დღესდღეობით რუსეთი და ყოფილ საბჭოთა კავშირში ადრე შემავალი სხვა სახელმწიფოები ზანტად მიემართებიან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაკენ, რომელიც მიწის კერძო მფლობელობის უფლებას იძლევა. რაც არ უნდა იყოს, კომუნიზმის თეორიის შესაბამისად ყოფილი საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში გამოცხადებული იყო სახელმწიფო საკუთრების შემდეგი პრინციპები:

სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე, სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

არაკომუნისტურ საზოგადოებაში საკითხი იმის შესახებ, თუ რა ჩარჩოებში ეკისრება ხელისუფლებას ვალდებულება დაიცვას, ან ეძლევა უფლება – ჩამოართვას საკუთრება, წარმოადგენს ფართომასშტაბიანი იდეოლოგიური დებატების პოლიტიკურ საფუძველს.

საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფა

ქვეყანაში წესრიგის უზრუნველყოფის შემდეგ მთავრობას შეუძლია სხვა საქმეებს მიხედოს. ხელისუფლების განკარგულებაში არსებული იძულების უფლების გამოყენებით მათ შეუძლიათ მოქალაქეებისათვის გადასახადის დაწესება იმ მიზნით, რომ შეგროვდეს საზოგადოებრივი სიკეთეებისათვის – კეთილმოწყობისა და მომსახურებისათვის – გამოსაყენებელი სახსრები, ისეთი საზოგადოებრივი სიკეთეებისათვის, რომლებიც ყველასთვისაა ხელმისაწვდომი (განათლება, წყალმომარაგება, კანალიზაცია, პარკები და ა.შ.). საზოგადოებრივ სიკეთეებს სარგებლობა მოაქვს ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ საეჭვოა მათი შექმნა ცალკეული პიროვნებების ნებაყოფლობითი ქმედების საფუძველზე. მთავრობა ძველ რომში, მაგალითად, მონების შრომის გამოყენებით აშენებდა აქვედუკებს მთებიდან ქალაქამდე სასმელი წყლის მისაწოდებლად. გზების მშენებლობა კიდევ ერთი საზოგადოებრივი სიკეთეა, რომელსაც მთავრობები, ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე აწარმოებენ.

• სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს სხვა ქვეყნებში – რკინიგზის, ქვანახშირის მალარობის ექსპლუატაცია, ელექტროენერჯის წარმოება მთავრობის მიერ – შეერთებულ შტატებში პოლიტიკურ წინააღმდეგობას იწვევს, ან საერთოდ მიუღებელია. ბევრ ამერიკელს სჯერა, რომ საზოგადოებრივ სიკეთეებსა და მომსახურებას უნდა აწარმოებდნენ კერძო კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ მოგების მიზნით.

თანასწორობის ხელშეწყობა

თანასწორობის უზრუნველყოფა ყოველთვის როდი წარმოადგენდა ხელისუფლების ერთ-ერთ წამყვან მიზანს. მან მოიპოვა დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ჩვენს საუკუნეში – ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად. წააწყდა რა უამრავი ადამიანის სიღატაკეს, ევროპული სახელმწიფოების ზოგიერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა პირველად განახორციელა ფართო სახელმწიფოებრივი პროგრამები დაბალი კლასების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კონცეფციის შესაბამისად, ხელისუფლების როლი გავრცელდა სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და გარანტირებული სოციალური დახმარების უზრუნველყოფაზე „აკნიდან სამარემდე“. შვედეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და სხვა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამები, მიმართული სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად. ხელისუფლების ეს შედარებით ახალი ფუნქცია, ამავე დროს, ყველაზე წინააღმდეგობრივია. გადასახადების დაწესება საზოგადოებრივი სიკეთის, მაგალითად, გზებისა და სკოლების მშენებლობის უზრუნველყოფის

მიზნით, ხშირად აწყდება წინააღმდეგობას უბრალოდ ამ სიკეთეების სიძვირის გამო. გადასახადების შემოღება იმ სახელმწიფოებრივი პროგრამებისათვის, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად, აწყდება უფრო მძლავრ წინააღმდეგობას.

აქ საკვანძო საკითხს წარმოადგენს ხელისუფლების როლი შემოსავლის გადანაწილებაში – მდიდრისაგან წაღება ღარიბისათვის მიცემის მიზნით. მოწყალეობას – ნებაყოფლობით დახმარებას ღარიბის სასარგებლოდ – დასავლურ რელიგიურ ტრადიციაში მძლავრი საფუძველი გააჩნია, სახელმწიფოს ძალის გამოყენებას ღარიბთა მხარდასაჭერად კი – არა. სახელმწიფოს გამოყენება შემოსავლის გადანაწილებლად მარქსის მიერ წამოყენებული რადიკალური იდეა იყო: განვითარებული კომუნიზმის ამოსავალი პრინციპია – „თითოეული-საგან – შესაძლებლობის მიხედვით, თვითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით“. ასე შორს არ წასულა არც ერთი მთავრობა სოციალისტურ სახელმწიფოებშიც კი. მაგრამ, დროთა განმავლობაში, მდიდრებისაგან წაღება გაჭირვებულების დასახმარებლად გახდა ხელისუფლებათა უმეტესობის კანონიერი ფუნქცია. შეერთებულ შტატებში კვების ბარათები და დახმარება ჩვილშვილიანი ოჯახებისათვის (Aid to Families with Dependent Children - AFDC) ტიპური მაკალითია იმ სამთავრობო პროგრამებისა, რომლებიც მიზნად ისახავს შემოსავლის გადანაწილებას, მაგრამ, ამავე დროს, წინააღმდეგობას ქმნის.

ხელისუფალთ აგრეთვე შეუძლიათ უზრუნველყონ სოციალური თანასწორობა ისეთი პოლიტიკის გატარების საფუძველზე, რომელიც არ არის მიმართული შემოსავლის გადანაწილებლად. მათ შეუძლიათ საზოგადოებრივი ქცევის რეგულირება, რის მაკალითადაც გამოდგება უზენაესი სასამართლოს 1987 წ. დადგენილება – ქალებისათვის „როტარი ქლაბის“ წევრობის უფლების მიცემის შესახებ. ასეთი პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ქცევას, მსგავსად იმისა, რომელიც მიმართულია შემოსავლის გადანაწილებლად, გარდუვალად ეწინააღმდეგება პიროვნული თავისუფლების ფასეულობას.

სახელმწიფო ხელისუფლების ანალიზის კონცეფტუალური ჩარჩოები

მოქალაქეებს ძალიან განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რამდენად გულწრფელად სურთ, რომ ხელისუფლებამ დაიცვას წესრიგი, შექმნას საზოგადოებრივი დოკალი და უზრუნველყოს თანასწორობა. ამ სამი მიზნიდან საზოგადოებრივი სიკეთის წარმოება, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლებ წინააღმდეგობრივია, ვიდრე წესრიგის დაცვა ან თანასწორობის უზრუნველყოფა. სხვა რომ არაფერი, მთავრობას, რომელიც ხარჯავს ფულს გზებზე, სკოლებსა და პარკებზე, სიკეთე მოაქვს პრაქტიკულად ყველა მოქალაქისათვის. უფრო მეტიც, ეს სიკეთეები, უბრალოდ, ფული ღირს, წესრიგის დაცვისა და თანასწორობის უზრუნველყოფა კი ფულზე უფრო ძვირია: ხშირად ეს ძირეული ფასეულობებიდან ერთგვარ გადახრას მოასწავებს.

ხელისუფლებისა და პოლიტიკური პროცესების გასაგებად თქვენ უნდა შემოთავაზოთ გადახრების ამოცნობა და იმ ძირეული ფასეულობების განსაზღვრა, რომელთაც საფრთხე ემუქრება. თქვენ უნდა გააჩინდეთ ფართო თვალთახედვა, ბევრად უფრო ფართო, ვიდრე ამა თუ იმ კონკრეტული პოლიტიკური მოვლენების გასაანალიზებლად საჭირო. ამისათვის კი უნდა გამოიყენოთ პოლიტიკური კონცეფციები.

კონცეფცია არის განზოგადებული წარმოდგენა საგნებისა ან აზრების კლასის შესახებ. ის აჯგუფებს სხვადასხვა შემთხვევებს, ობიექტებს ან ფასეულობებს ერთიანი კლასიფიკაციისა ან ნიშნის შესაბამისად. ის კონცეფტუალური ჩარჩო, რომელშიც მოქცეულია ეს წიგნი, მოიცავს ხუთ კონცეფციას და ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ ანალიზში. ჩვენ განვიხილავთ ამ კონცეფციებს როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ამერიკული პოლიტიკის ფართო გაგებისათვის. ისინი დაგეხმარებიან თქვენ პოლიტიკური მოვლენების შეფასებაში ამ ტექსტის წაკითხვიდან დიდი ხნის შემდეგაც.

ეს ხუთი კონცეფცია, რომელზეც ვამახვილებთ ყურადღებას, ეხება შემდეგ ფუნდამენტურ საკითხებს: რის გაკეთებას ცდილობს მთავრობა (ფართო გაგებით – „ხელისუფლების“ მნიშვნელობით) და როგორ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. კონცეფციები, რომლებიც ეხება იმას, თუ რის გაკეთებას ცდილობს მთავრობა, არის *წესრიგი*, *თავისუფლება* და *თანასწორობა*. ყველა მთავრობა, მათი განსაზღვრებიდან გამომდინარე, პატივს სცემს წესრიგს; წესრიგის დაცვა არის მთავრობის განსაზღვრების შემადგენელი ნაწილი. მთავრობათა უმეტესობა აცხადებს მაინც, რომ იცავს პიროვნების თავისუფლებას წესრიგის დაცვის პროცესში, თუმცა მთავრობები ძალიან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა წარმატებებს აღწევენ ამ მიმართულებით. ძალიან მცირეა რაოდენობა იმ მთავრობებისა, რომლებიც აცხადებენ მაინც, რომ იძლევიან თანასწორობის გარანტიას: ისინიც ძალიან განსხვავდებიან ამ პოლიტიკის თვალსაზრისით. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეფტუალური ჩარჩოები დაგეხმარებათ იმის შეფასებაში, თუ რას აღწევენ შეერთებული შტატები საკუთარი მთავრობის მეშვეობით ამ სამი ფასეულობის დაცვის საქმეში.

ახერხებს თუ არა ხელისუფლება წესრიგის, თავისუფლებისა და თანასწორობის სათანადო „ნაერთის“ მიღებას საკუთარი პოლიტიკის ვატარებისას, უფრო არჩევანის პროცესს ეხება, ვიდრე ამ არჩევანის შედეგებს. ჩვენ ვაფასებთ ამერიკის სამთავრობო პროცესს დემოკრატიული მთავრობის ორი – მაქორითარული და პლურალისტური მოდელის გამოყენების საფუძველზე. ამჟამად სახელმწიფოთა უმეტესობა დემოკრატიულად აცხადებს თავს. მართლა არის თუ არა ქვეყანა დემოკრატიული – დამოკიდებულია ამ ტერმინის განსაზღვრებაზე. ის ქვეყნებიც კი, რომელთაც ამერიკელები დემოკრატიულად თვლიან – მაგალითად, თვით აშშ და დიდი ბრიტანეთი, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დემოკრატიის იმ ტიპით, რომელიც მათ აქვთ არჩეული. ამ წიგნში ვიყენებთ დემოკრატიული მთავრობის კონცეფტუალურ მოდელს, რათა მოვახდინოთ შეერთებულ შტატებში მიღებული დემოკრატიის ტიპობრივი კლასიფიცირება და შევაფასოთ აშშ ხელისუფლების წარმატებები ამ მოდელის რეალიზაციის პროცესში.

ზემოხსენებული კონცეფცია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: კონცეფციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელისუფლების მიერ აღიარებულ ფასეულობებს და კონცეფციები, რომლებიც აღწერენ დემოკრატიული ხელისუფლების სხვადასხვა მოდელს. თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა განეკუთვნება პირველ კატეგორიას; მაჟორიტარული და პლურალისტული დემოკრატია მეორე ჯგუფს ქმნის.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევაფასებთ თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო ფასეულობებს, რომელთა რეალიზაციასაც ცდილობს ხელისუფლება. ქვემოთ, ამავე თავში, ჩვენ განვიხილავთ მაჟორიტარულ დემოკრატიასა და პლურალისტურ დემოკრატიას, როგორც ალტერნატიულ ინსტიტუციურ მოდელებს დემოკრატიული ხელისუფლების შესაქმნელად.

თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის კონცეფციები

ამ სამ ტერმინს – თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას ამერიკულ პოლიტიკაში გააჩნიათ განსხვავებული მნიშვნელობა. როგორც თავისუფლებას, ასევე თანასწორობას დადებითი უღერადობა გააჩნია, პოლიტიკოსებმა მათი გამოყენება ისწავლეს საკუთარი გამორჩენისთვისაც. შესაბამისად, თავისუფლება და თანასწორობა სხვადასხვა ხალხისათვის და სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეს ნიშნავს – ეს დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც მათ ხმარობენ. ამის საპირისპიროდ წესრიგს, როგორც ცნებას, ადამიანთა უმეტესობისათვის უარყოფითი მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც ის პირად ცხოვრებაში მთავრობის ჩარევის ტოლფასია. გარდა სოციალური სირთულეების პერიოდებისა, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოს რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე იშვიათად თუ მოუწოდებს მეტი წესრიგისაკენ.

რადგანაც ყველა ქვეყანა და მისი მთავრობა თავს დებს თავისუფლებაზე, ჩვენც სწორედ ამ კონცეფციას შევაფასებთ პირველად.

თავისუფლება. ეს ტერმინი შეიძლება ვიხმაროთ ორი ძირითადი მნიშვნელობით: „რაიმე თავისუფლება“ და „თავისუფლება რაიმესაგან“. ფრენკლინ დ. რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ ეს სიტყვა ორივე მნიშვნელობით გამოიყენა თავის გამოსვლაში. მან აღწერა ოთხი თავისუფლება – რწმენის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება შიშისაგან და თავისუფლება გაჭირვებისაგან. „რაიმე თავისუფლება“ არის ქცევის შეზღუდვის არარსებობა;* „თავისუფლება რაიმესაგან“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ დაცული ხარ შიშისა და გაჭირვებისაგან. თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტში თავისუფლება რაიმესაგან ხშირად განასახიერებს ბრძოლას ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. 1960-იანი წლების ადამიანის უფლებათა მოძრაობის ლოზუნგი – „თავისუფლება დღეს!“ სწორედ ამ მნიშვნელობის მატარებელი იყო. თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ თავისუფლება ამ

* ინგლისურ ენაში თავისუფლების (freedom) ამ მნიშვნელობის სინონიმია liberty.

როზა პარქსი: ის იჯდა თანასწორობისათვის

მკერავ როზა პარქსს ახალი დამთავრებული ჰქონდა სამუშაო დღე. იგი იჯდა წინა საეარძელზე ავტობუსში, რომლითაც შინ მიემგზავრებოდა. ერთმა თეთრმა მამაკაცმა მოსთხოვა მას ადგილის დათმობა; 1955 წლის დეკემბერი იყო და მაშინდელი კანონით შეიძლებოდა ამის მოთხოვნა. როდესაც როზამ ადგილის დათმობაზე უარი განაცხადა და დაპატიმრებულ იქნა, განრისხებულმა შეკანიანებმა მარტინ ლუთერ კინგის ხელმძღვანელობით დაიწყეს ქ. მონტგომერის ავტობუსების კომპანიის ბოიკოტირება.

მნიშვნელობით ნიშნავს იმას, რომ დაცული ხარ დისკრიმინაციისაგან, მაშინ ვნახავთ, რომ ის უახლოვდება თანასწორობის კონცეფციას. ამ წიგნში ჩვენ თავს ვარიდებთ ტერმინ „თავისუფლების“ გამოყენებას მნიშვნელობით „თავისუფლება რაიმესაგან“; ამ მიზნისათვის ჩვენ ვამჯობინებთ ტერმინ „თანასწორობის“ გამოყენებას.

წესრიგი. მაშინ, როდესაც წესრიგი განიხილება მისი ვიწრო მნიშვნელობით – როგორც სიცოცხლის შენარჩუნებაზე და საკუთრების დაცვაზე ზრუნვა, მოქალაქეთა უმეტესობა აღიარებს მის მნიშვნელობას და, შესაბამისად, დასაშვებად თვლის ხელისუფლების არსებობას. მიუხედავად ამისა, როდესაც წესრიგი განიხილება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფრო ფართო მნიშვნელობით, ადამიანები შედარებით ადვილად ებმებიან კამათში იმის შესახებ, არის თუ არა წესრიგის დაცვა ხელისუფლების კანონიერი ფუნქცია. სოციალური წესრიგი მიგვანიშნებს საზოგადოებაში დაფუძნებულ ხელისუფლების მოდელსა და ქცევის ტრადიციულ წესებზე. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალური წესრიგის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს: დღეს უაღრესად პატივსაცემი მამაკაცები და ქალები ატარებენ ისეთ საცურაო კოსტუმებს, რომელთაც საუკუნის დამდეგს შეიძლება სკანდალი გამოეწვია.

ხელისუფლებას შეუძლია დაიცვას წესრიგი თავისი პოლიტიკის ძალით და მასზე დაყრდნობით უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და ზნეობის დაცვა. თუ რა ზომით უნდა გამოიყენოს მთავრობამ ეს ძალა, წარმოადგენს იმ დისკუსიის საგანს, რომელიც ახლაც მიმდინარეობს შეერთებულ შტატებში და რომელშიც სასამართლოებს განუწყვეტლივ შეაქვთ შესწორებები. არის ხალხი, რომელსაც ემინია პოლიტიკური სახელმწიფოს წარმოშობისა, ე. ი. ისეთი ხელისუფლებისა, რომელიც იყენებს თავის ძალას ადამიანთა ქცევის პრაქტიკულად ყველა ასპექტის დასარეგულირებლად.

მთავრობათა უმეტესობას იმთავითვე მოსდგამს კონსერვატიულობა; ისინი ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალურ ცვლილებებს. ზოგიერთი ხელისუფლების უპირველესი მიზანი კი სოციალური წესწყობილების გარდაქმნაა. სოციალური ცვლილებები დრამატულ ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც ხელისუფლება ძალითაა დამხობილი და შეცვლილია რევოლუციური ხელისუფლებით. ქვეყნებს შეუძლიათ შეცვალონ სოციალური წესრიგი უფრო თანდათანობით – საკანონმდებლო პროცესზე დაყრდნობით. ჩვენს მიერ ამ წიგნში გამოყენებული ტერმინი „წესრიგი“ მოიცავს მის სამივე ასპექტს: სიცოცხლის დაცვას, საკუთრების დაცვას და სოციალური ურთიერთობების ტრადიციული წესის შენარჩუნებას.

თანასწორობა. თავისუფლებისა და წესრიგის მსგავსად, ტერმინი თანასწორობაც იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით, განსხვავებული აზრის გამო-სახატავად.

პოლიტიკური თანასწორობა არჩევნების დროს ადვილი განსასაზღვრია: ყოველ მოქალაქეს გააჩნია ერთი და მხოლოდ ერთი ხმის უფლება. ეს ამოსავალი კონცეფცია ცენტრალურია დემოკრატიის თეორიისათვის (თემა, რომელსაც ჩვენ ვრცლად მიმოვიხილავთ ამავე თავში). მაგრამ როდესაც ზოგიერთები მხარს უჭერენ პოლიტიკურ თანასწორობას, ისინი მეტს გულისხმობენ, ვიდრე „ერთი ადამიანი – ერთ ხმაა“. ეს ხალხი ამტკიცებს, რომ ქალაქის გეტოს მცხოვრები და „ჯენერალ მოტორის“ დირექტორთა საბჭოს წევრი სინამდვილეში არ არიან პოლიტიკურად თანასწორნი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთი ხმა გააჩნია არჩევნებზე. თავისი თანამდებობისა ან სიმდიდრის მეშვეობით ზოგიერთ მოქალაქეს მეტი საშუალება აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენისა, ვიდრე სხვას. მაგალითად, მდიდარ მოქალაქეებს შეუძლიათ სხვადასხვა შემთხვევაში გავლენა მოახდინონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ან გავლენიანი მეგობრების მეშვეობით. მოქალაქეთა უმეტესობას, რომელთაც არ გააჩნიათ დიდძალი სიმდიდრე ან პოლიტიკური კავშირები, არ გააჩნიათ ასეთი გავლენის შესაძლებლობაც. შესაბამისად, ზოგიერთი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ სიმდიდრის, განათლებისა და სტატუსის თანასწორობა, ე. ი. სოციალური თანასწორობა, აუცილებელია რეალური პოლიტიკური თანასწორობისათვის. არსებობს სოციალური თანასწორობის მიღწევის ორი გზა: თანაბარი შესაძლებლობის მინიჭება და თანაბარი შედეგის გარანტია.

შესაძლებლობის თანასწორობა ნიშნავს, რომ ყოველ პიროვნებას გააჩნია ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი. ეს იდეა ღრმადაა გამჯდარი ამერიკულ კულტურაში. კონსტიტუცია კრძალავს არისტოკრატიულ წოდებებს, საკუთრების ფლობა არ არის წინაპირობა სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, საზოგადოებრივი სკოლები და ბიბლიოთეკები ღიაა ყველასათვის. ბევრი თვლის, რომ სოციალური თანასწორობის მოთხოვნას უკვე აკმაყოფილებს ადამიანებისათვის საკუთარი წინსვლის შესაძლებლობის მიცემა. მიადწევენ თუ არა ადამიანები თანასწორობას ამ შესაძლებლობის გამოყენების შემდეგ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარა აქვს.

მაგრამ სხვებისთვის ნამდვილი სოციალური თანასწორობა მხოლოდ და მხოლოდ შედეგის თანასწორობაა. მათ სჯერათ, რომ საზოგადოებამ უნდა მიადწიოს იმას, რომ ყველა თანასწორი იყოს. საკმარისი არ არის ის, რომ მთავრობამ მიანიჭოს ხალხს თანაბარი შესაძლებლობები; მან აგრეთვე უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა სიმდიდრისა და სტატუსის (ანუ საზოგადოებრივი მდგომარეობის) გადასანაწილებლად ისე, რომ ეკონომიკური და სოციალური თანასწორობა ნამდვილად იქნეს მიღწეული.

შედეგის თანასწორობას ზოგიერთი უკავშირებს სამთავრობო უფლებების კონცეფციას – იმის იდეას, რომ ყოველ მოქალაქეს ეკუთვნის ხელისუფლებისგან განსაზღვრული სიკეთეები, რომ *ხელისუფლებამ* უნდა მისცეს თავის მოქალაქეებს საკმარისი (თუ არა თანაბარი) საცხოვრებლის, დასაქმების, სამედიცინო მომსახურებისა და შემოსავლის გარანტია მათი უფლებების სახით. თუ მოქალაქეები უფლებამოსილი არიან მიიღონ მთავრობისაგან სხვადასხვა სარგებელი, როგორც მათი უფლებების გამოხატულება, მაშინ შედეგის თანასწორობის განხორციელების მთავრობისეულ მცდელობას კანონიერი ხასიათი ეძლევა.

ამკარაა, რომ შედეგის თანასწორობის კონცეფცია ძლიერ განსხვავდება შესაძლებლობის თანასწორობის კონცეფციისაგან და მთავრობისაგან ბევრად მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ეს, აგრეთვე, თანასწორობის ის კონცეფციაა, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება თავისუფლების კონცეფციას. როცა მთავრობა ართმევს ერთს იმ მიზნით, რომ მისცეს მეორეს, რაც აუცილებელია შემოსავლისა და სტატუსის გადასანაწილებლად, ის ამკარად ქმნის მოგებულებსა და წაგებულებს. მოგებულებმა შეიძლება იფიქრონ, რომ სამართლიანობა დამყარდა განაწილების გზით, წაგებულები კი ხშირად თვლიან, რომ შეილახა მათი თავისუფლება საკუთარი შემოსავლითა და სტატუსით სარგებლობისა.

ხელისუფლების ორი დილემა

ორი მთავარი დილემა, რომელიც დგას ამერიკის ხელისუფლების წინაშე 1990-იან წლებში, გამომდინარეობს მისი უძველესი და უახლესი მიზნებიდან. *უძველესი* მიზანია წესრიგის დამყარება, *უახლესი* – თანასწორობის მიღწევა. ორივე – წესრიგი და თანასწორობა – მნიშვნელოვანი სოციალური ფასეულობებია; მაგრამ ხელისუფლებას არ შეუძლია მისდოს ერთ-ერთ მათგანს შესაძე

მნიშვნელოვანი ფასეულობის – პიროვნული თავისუფლების – გაწირვის გარეშე შეეჯახება თავისუფლებასა და წესრიგს შორის ქმნის *ხელისუფლების თავდაპირველ* დილემას; შეეჯახება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის ხელისუფლების *თანამედროვე დილემას* წარმოშობს. თუმცა ეს დილემები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ აერთიანებთ ის, რომ თითოეული მათგანი მოითხოვს თავისუფლების რალაც ნაწილის დათმობას სხვა ფასეულობების სასარგებლოდ.

თავდაპირველი დილემა: თავისუფლება წესრიგის წინააღმდეგ. თავისუფლებასა და წესრიგს შორის კონფლიქტის ფესვები ხელისუფლების განმარტებაშივეა: ხელისუფლება, როგორც ძალის კანონიერი გამოყენება ადამიანთა ქცევის სამართავად. რამდენი თავისუფლება უნდა შესწიროს მოქალაქემ ხელისუფლებას? ეს საკითხი საუკუნეთა მანძილზე აწუხებს ფილოსოფოსებს.

ხელისუფლების საწყისი მიზანი იყო სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ძალადობისაგან. როგორ ართმევს თავს ამერიკის დღევანდელი ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეებისათვის კანონისა და წესრიგის უზრუნველყოფას? დიდი ქალაქების მრავალი მაცხოვრებელი იტყვის, რომ არცთუ ისე კარგად. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ამერიკელებს არ სჯერათ, რომ მათი ქალაქის ხელისუფლებას შეუძლია დაიცვას ისინი ძალადობისაგან ღამით, გარეთ მარტო ყოფნისას (Galup, 1989; Skogan, 1990).

მაშინ, როდესაც კომუნისტური მთავრობები ჯერ კიდევ მართავდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებს, ამერიკელების შიშის გრძნობა მკვეთრად განსხვავდებოდა პიროვნული უსაფრთხოების ღრმად გამჯდარი შეგრძნებისაგან ისეთი ქალაქების მაცხოვრებლებში, როგორიცაა ვარშავა, მოსკოვი და პრაღა. მაშინ სრულიად ნორმალური იყო ღამით სოციალისტური ქალაქის ქუჩებსა და პარკებში მოსეირნე ხანდაზმულისა და ახალგაზრდის ნახვა. ყოფილი კომუნისტური რეჟიმი თავის მილიციას მოქალაქეთა გადაადგილებაზე კონტროლის, აგრეთვე, ეჭვმიტანილი პირების დაკავების ფართო უფლებებს ანიჭებდა, რაც საშუალებას აძლევდა ხელისუფლებას უკეთ შეესრულებინა წესრიგის დაცვის ფუნქცია. კომუნისტური მთავრობები შეგნებულად ანიჭებდნენ უპირატესობას წესრიგს თავისუფლებასთან შედარებით.

ფასეულობათა კონფლიქტი თავისუფლებასა და წესრიგს შორის წარმოადგენს ხელისუფლების თავდაპირველ დილემას. ხალხი განყენებულად პატივს სცემს როგორც თავისუფლებას, ასევე წესრიგს; მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ნებისმიერი პოლიტიკა, მიმართული ერთ-ერთი ამ ფასეულობის მხარდასაჭერად, იმავდროულად მიმართულია მეორე ფასეულობის საზიანოდ. დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აფასებენ მოქალაქეები თავისუფლებას და რამდენად – წესრიგს.

თანამედროვე დილემა: თავისუფლება თანასწორობის წინააღმდეგ. არსებობს პოპულარული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თავისუფლება და თანასწორობა ერთმანეთს თან სდევს. სინამდვილეში კი, როდესაც მთავრობები სოციალური თანასწორობის პოლიტიკას ატარებენ, ეს ორი ფასეულობა თითქმის ყოველთვის

ენინააღმდეგება ერთმანეთს. იმის გამო, რომ სოციალური თანასწორობა ხელისუფლების შედარებით ახალი ამოცანაა, გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომელი პოლიტიკა უნდა გატარდეს – თანასწორობის მიღწევა თავისუფლების ხარჯზე თუ პირიქით – წარმოადგენს პოლიტიკის თანამედროვე დილემას.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- 1970-იანი წლების მანძილზე სასამართლოებს გამოჰქონდათ გადაწყვეტილებები ავტობუსით მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე საშუალო სკოლებში თეთრი და შავკანიანი მოსწავლეების თანაბარი წარმომადგენლობის მისაღწევად. ასეთი ქმედება განპირობებული იყო განათლების თანასწორობაზე ზრუნვით, მაგრამ, ამასთანავე, ილახებოდა არჩევანის თავისუფლება;
- 1980-იანი წლების მანძილზე რამდენიმე შტატმა გაატარა კანონმდებლობა, რომელიც გასცდა მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი გასამრჯელოს მიცემას თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის და მიიღო უფრო რადიკალური „გასამრჯელოს თანასწორობის“ ხასიათი: ესაა – თანაბარი გასამრჯელო შესატყვისი სამუშაოსათვის. ქალებმა უნდა მიიღონ მამაკაცების ტოლფასი გასამრჯელო მაშინაც კი, როდესაც ისინი ასრულებენ განსხვავებულ სამუშაოს იმ პირობით, რომ ქალის სამუშაო „შესატყვისი ღირებულებისაა“ (იმ მნიშვნელობით, რომ კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა შესატყვისია);
- 1990-იან წლებში კონგრესმა აკრძალა ფსიქიკურ და ფიზიკურ ნაკლოვანებებზე დაფუძნებული დისკრიმინაცია დასაქმებაში, საზოგადოებრივ მომსახურებასა და ტრანსპორტზე. 1990 წლის „შრომის უუნარობის აქტის“ შესაბამისად საწარმოს, სადაც დასაქმებულია 25 და მეტი ადამიანი, არა აქვს უფლება უარი უთხრას სხვა მხრივ კვალიფიცირებულ პიროვნებას, მისი ამა თუ იმ დეფექტის გამო, სამსახურში მიღებისა ან დაწინაურების დროს; ახალი ავტობუსები და მატარებლები მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ეს მაგალითები ნათელს ჰყენენ თანასწორობის მისაღწევად მთავრობის ძალის გამოყენების პრობლემას. კონფლიქტი თავისუფლებასა და წესრიგს შორის ამკარაა, მაგრამ კონფლიქტი თავისუფლებასა და თანასწორობას შორის უფრო მიჩქმალულ ხასიათს ატარებს. ხშირად ეს კონფლიქტი ამერიკელი ხალხის მიერ შეუმჩნეველი რჩება, ვინაიდან ის თავისუფლებასა და თანასწორობას უფრო ერთმანეთთან შეწყობილ, ვიდრე წინააღმდეგობაში მყოფ ფასეულობებად ხედავს. მაგრამ როდესაც საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის, ამერიკელები უპირატესობას თავისუფლებას თანასწორობის ხარჯზე უფრო ხშირად ანიჭებენ, ვიდრე სხვა ქვეყნების მცხოვრებნი. ამის საპირისპიროდ, თანასწორობისათვის უპირატესობის მინიჭება თავისუფლებასთან შედარებით განსაკუთრებით ძლიერ იყო გამოხატული ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც ტრადიციულად უზრუნველყოფდა თავის მოქალაქეებს სამედიცინო მომსახურებით, იაფი საცხოვრებლითა და სხვა საზოგადოებრივი სიკეთეებით.

თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას შორის არსებული წინააღ-

მდეობებით შეიძლება უმეტესწილად აიხსნას შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური კონფლიქტები. ეს კონფლიქტები ასევე უდევს საფუძვლად იმ იდეოლოგიებს, რომელთა საფუძველზეც ხალხი აყალიბებს თავის წარმოდგენას პოლიტიკაზე.

იდეოლოგია და ხელისუფლების სფერო

ხალხს განსხვავებული წარმოდგენა აქვს ხელისუფლების პოლიტიკის აკარგინაობაზე. ზოგჯერ ეს წარმოდგენა დაფუძნებულია კერძო ინტერესებზე, ზოგჯერ კი – პიროვნულ ფასეულობებსა და მრწამსზე. ზოგიერთს გააჩნია მთელი ნაკრები სხვადასხვა მრწამსისა და ფასეულობებისა, რაც უქმნის მას წინააღმდეგობრივ წარმოდგენას ხელისუფლების პოლიტიკაზე. სხვა აყალიბებს თავის აზრს პოლიტიკური იდეოლოგიის სახით, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ხელისუფლების მართებული მიზნისა და მოქმედების სფეროს შესახებ არსებული ფასეულობებისა და მრწამსის მდგრადი ერთიანობა.

ისინი, ვინც წერენ პოლიტიკის შესახებ, ხშირად აფასებენ პოლიტიკური მოღვაწეებისა და ამომრჩევლების იდეოლოგიას როგორც „კონსერვატიულსა“ და „ლიბერალურს“. მთარული აზრის შესაბამისად, ლიბერალები უპირატესობას ანიჭებენ ხელისუფლების ფართო, აქტიურ როლს საზოგადოებაში, კონსერვატორები კი ვიწრო, პასიურ როლს. ხალხის აზრი ხშირად იდეოლოგიურად მკვეთრად არის დაყოფილი სამთავრობო პროგრამების მიზანშეწონილობის თაობაზე. პოლიტიკური იდეოლოგიების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია აეხსნათ, თუ რატომ უჭერს ხალხის ესა თუ ის ნაწილი მხარს ან ეწინააღმდეგება აშკარად განსხვავებულ სამთავრობო პოლიტიკას. თუ გვინდა განვკვირვოთ იდეოლოგიების წყება, უნდა წარმოვიდგინოთ ზოლი (კონტინუუმი): მის ერთ ბოლოში იმყოფება რწმენა იმის შესახებ, რომ მთავრობამ ყველაფერი უნდა აკეთოს, მეორე ბოლოში კი – რწმენა იმის შესახებ, რომ მთავრობა არ უნდა არსებობდეს. ეს უკიდურესი იდეოლოგიები – უმეტესი ხელისუფლებიდან უმცირეს ხელისუფლებამდე – და ყველაფერი, რაც მათ შორის იმყოფება, ნაჩვენებია ნახ. 1.1-ზე.

ტოტალიტარიზმი

ტოტალიტარიზმი არის იმის რწმენა, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას უნდა გააჩნდეს შეუზღუდავი ძალა. ტოტალიტარული ხელისუფლება აკონტროლებს საზოგადოების ყველა სექტორს – ეკონომიკას, შრომას, განათლებას, რელიგიას, სპორტს, ხელოვნებას. ნამდვილი ტოტალიტარული ხელისუფლება უპირატესობას ანიჭებს კანონების, წესებისა და ინსტრუქციების ისეთ წნულს, რომელიც აკონტროლებს პიროვნების ქცევის ყველა ასპექტს. ტოტალიტარიზმის მიზანია ისეთი „სრულყოფილი საზოგადოების“ შექმნა, რომელიც ემსახურება რაღაც „საყოველთაო სიკეთის“ უმთავრეს გეგმას. იმ საზოგადოებების სია, რომლებიც სახიფათო სიახლოვეში აღმოჩნდნენ ასეთ „სრულყოფასთან“,

უმეტესი
ხელისუფლება

უმცირესი
ხელისუფლება

პოლიტიკური თეორიები		
ტოტალიტარიზმი	ლიბერტარიზმი	ანარქიზმი
ეკონომიკური თეორიები		
სოციალიზმი	კაპიტალიზმი	Laissez-faire
ბაპრცეკლავსული პოლიტიკური იარაღი ამერიკაში		
ლიბერალური კონსერვატიული		

ნახაზი 1.1. იდეოლოგია და ხელისუფლების სფერო

ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ პოლიტიკური იდეოლოგიების კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ საქმიანობის რა სფეროების დათმობაზე არიან თანახმა ადამიანები, რასაა მთავრობამ სოციალური და ეკონომიკური პრობლემები გადაჭრას. მოცემულ ნახაზზე სამი ზაზი გამოყოფს სხვადასხვა ფილოსოფიურ პოზიციებს, რომლებიც განლაგებულია კონტინუუმის გასწვრივ და იცვლება „უმეტესიდან“ „უმცირეს“ ხელისუფლებამდე. მიაქციეთ ყურადღება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტრადიციული პოლიტიკა მოიცავს მხოლოდ ექვსი მონაკვეთის თეორიულად შესაძლებელს შორის.

გაერცელებული აზრის შესაბამისად, ლიბერალები უპირატესობას ანიჭებენ ხელისუფლების უფრო ფართო სფეროს, კონსერვატორები – უფრო ექვსის. მაგრამ, დროთა განმავლობაში მოხდა ამ ტრადიციული განმარტებების ეროზია და ახლა ისინი აღარ ასახევენ განსხვავებებს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. ლიბერალებისა და კონსერვატორების უფრო დაწვრილებითა კლასიფიკაცია იხილეთ ნახ. 1.2-ზე.

მოიცავს ადოლფ ჰიტლერის დროინდელ გერმანიასა და იოსებ სტალინის დროინდელ საბჭოთა კავშირს.

სოციალიზმი

მაშინ, როდესაც ტოტალიტარიზმი მთელ ხელისუფლებას მოიცავს, სოციალიზმი აქცენტს აკეთებს ხელისუფლების როლზე ეკონომიკაში. კომუნიზმის მსგავსად, სოციალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, დაფუძნებული მარქსისტულ თეორიაზე. სოციალიზმის (და კომუნიზმის) პირობებში სახელმწიფო ფლობს ან აკონტროლებს ძირითად საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას (კავშირგაბმულობა, მძიმე მრეწველობა, ტრანსპორტი და ა. შ.). თუმცა სოციალიზმიც უპირატესობას ანიჭებს სახელმწიფოს წამყვან როლს ეკონომიკის წარმართვაში, ის იძლევა წარმოების საშუალებების კერძო მფლობელობის მეტ უფლებას, ვიდრე კომუნიზმი.

თეორიულად კომუნიზმმა საბოლოო ფაზაში უნდა მიგვიყვანოს „სახელმწი-

ფოს გაქრობამდე". მაგრამ პრაქტიკულად კომუნისტური მთავრობები მიისწრაფოდნენ ტოტალიტარიზმისაკენ, ვინაიდან აკონტროლებდნენ როგორც პოლიტიკურ, ისე მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ერთი გაბატონებული პოლიტიკური პარტიის მეშვეობით. კომუნისტური რეჟიმი იყო აღმოსავლეთ ევროპაში, სსრკ-ში. ის ახლაც არის რიგ ქვეყნებში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სოციალისტური მთავრობა პრაქტიკაში ატარებს დემოკრატიულ სოციალიზმს, რაც იძლევა სამოქალაქო თავისუფლებათა გარანტიას (მაგალითად, სიტყვის თავისუფლებას და რწმენის თავისუფლებას) და აძლევს უფლებას თავის მოქალაქეებს, განსაზღვრონ ხელისუფლების სფერო თავისუფალი არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების მეტოქეობის საშუალებით. სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, ლეიბორისტული მთავრობები ბრიტანეთში, შვედეთში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვადასხვა დროს იდგნენ და დგანან ამ ქვეყნების სათავეში და მათ ყველას სოციალისტურად აღიარებენ.

კაპიტალიზმი

კაპიტალიზმი ასევე არ უარყოფს ხელისუფლების როლს ეკონომიკაში. მაგრამ სოციალიზმის და კომუნისმის საპირისპიროდ კაპიტალიზმი მხარს უჭერს თავისუფალ მეწარმეობას – კერძო ბიზნესს, რომელიც მოქმედებს მთავრობის ჩარევის გარეშე. ზოგიერთი თეორეტიკოსი, განსაკუთრებით კი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი, ამტკიცებს, რომ თავისუფალი მეწარმეობა აუცილებელია თავისუფალი პოლიტიკისათვის (Friedman, 1962). სწორია თუ არა ეს მტკიცება – ამის გარკვევა ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ესმის პიროვნებას დემოკრატია (ამ პრობლემას მოგვიანებით განვიხილავთ ამ თავში).

ამერიკის შეერთებული შტატები ამკარად კაპიტალისტური ქვეყანაა, უფრო კაპიტალისტური, ვიდრე დასავლეთის დანარჩენი ქვეყნების უმეტესობა. მიუხედავად აშშ-ს უზარმაზარი სახელმწიფო ბიუჯეტისა, სახელმწიფო ფლობს ან მართავს საწარმოების შედარებით მცირე ნაწილს. მაგალითად, რკინიგზები, საჰაერო ხაზები და სატელევიზიო სადგურები შეერთებულ შტატებში კერძო მფლობელობაშია, სხვა ქვეყნებში კი ეს საწარმოები ხშირად მთავრობის საკუთრებას წარმოადგენს. მაგრამ აშშ ხელისუფლება აფართოებს თავის ძალაუფლებას ეკონომიკის სფეროში კერძო ბიზნესის რეგულირებისა და, მთლიანად, ეკონომიკის ხელმძღვანელობის გზით. ამერიკელი ლიბერალებიცა და კონსერვატორებიც კაპიტალიზმს აღმერთებენ, მაგრამ ისინი განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რა სახითა და მოცულობით თვლიან საჭიროდ და მიზანშეწონილად ხელისუფლების ჩარევას ეკონომიკაში.

ლიბერტარიზმი

ლიბერტარიზმი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ყოველგვარ საქმიანობას, გარდა ისეთისა, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისა და საკუთრების დასაცავად. ლიბერტარელები დიდი ჭოჭმანით აღიარებენ ხელისუფლების აუცი-

ლებლობას, მაგრამ მიანიხილავს, რომ ის მაქსიმალურად უნდა იყოს შეზღუდული. მაგალითად, ლიბერტარელები უშვებენ საგზაო მოძრაობის წესების აუცილებლობას უსაფრთხო და ეფექტიანი საავტომობილო მოძრაობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ისინი, მაგალითად, ეწინააღმდეგებიან იმ კანონებს, რომლებიც აწესებენ ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მინიმალურ ასაკს, როგორც პიროვნული თავისუფლების შემზღუდავს. ლიბერტარელებს სჯერათ, რომ ისეთი სოციალური პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ კვებას, ტანისამოსსა და თავშესაფარს უპოვართათვის, მთავრობის საქმე არ არის. ისინი აგრეთვე ეწინააღმდეგებიან მთავრობის ყოველგვარ ჩარევას ეკონომიკაში. ასეთი სახის ეკონომიკურ პოლიტიკას ეწოდება laissez faire – ფრანგული გამოთქმა, რომელიც ნიშნავს – „მიეცი (ხალხს საშუალება) აკეთოს (რაც უნდა)“.

ანარქიზმი

პოლიტიკურ კონტინუუმზე ანარქიზმი მდებარეობს ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგო მხარეს. ანარქიზმი ეწინააღმდეგება ნებისმიერ ხელისუფლებას, როგორც არ უნდა იყოს იგი. როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, ანარქიზმი ყველაზე მაღლა აყენებს თავისუფლებას. იმის გამო, რომ ნებისმიერი ხელისუფლება გულისხმობს პიროვნული თავისუფლების რაღაც შემზღუდავს (მაგალითად, აიძულებს ხალხს იმოძრაოს გზის გარკვეულ მხარეს), ნამდვილი ანარქისტები საგზაო მოძრაობის წესებსაც კი უარყოფს. ტოტალიტარიზმის მსგავსად, ანარქიზმი არაა გავრცელებული ფილოსოფია, მაგრამ თავისი მიმდევრები გააჩნია გარკვეულ, მომცრო პოლიტიკურ წრეებში.

ლიბერალები და კონსერვატორები – ვიწრო შუაგული

როგორც ნახ. 1.1-ზეა ნაჩვენები, პრაქტიკული პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიცავს ცენტრალურ ნაწილს, კონტინუუმის უკიდურესი პოზიციები კი – ტოტალიტარიზმი და ანარქიზმი – იშვიათად გვხვდება საჯარო მსჯელობის დროს. „დიდი მთავრობის“ მიმართ უნდობლობის ამ ხანაშიც კი ძალიან ცოტა ამერიკელი პოლიტიკოსი თუ დაუჭერს ამკარად მხარს სოციალიზმს (თუმცა ერთ-ერთმა გააკეთა ეს და გაიმარჯვა კონგრესში 1990 წლის არჩევნებზე). ორმოცდაათ კაცზე მეტი იყრიდა კენჭს კონგრესში 1992 წლის არჩევნებზე, როგორც ლიბერტარული პარტიის კანდიდატები. თუმცა კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია გამარჯვებას, ამერიკელი ლიბერტარელები ახერხებენ, რომ მათი აზრი კარგად ისმოდეს ხელისუფლების როლზე კამათის დროს.

მაგრამ ამ კამათის ძირითადი ნაწილი მაინც მოქცეულია პოლიტიკური აზროვნების ვიწრო ჩარჩოებში. ერთ მხარეს იმყოფებიან ისინი, ვისაც ჩვეულებრივ ლიბერალებს უწოდებენ, ხოლო მეორე მხარეს – კონსერვატორები. საზოგადო წარმოდგენით ლიბერალები მხარს უჭერენ „მეტ ხელისუფლებას“, კონსერვატორები – „ნაკლებს“. ეს განსხვავება ძალზე მკაფიოდ ვლინდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ხარჯებს საზოგადოებრივი სიკეთის უზ-

რუნველსაყოფად: ლიბერალები უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს ფართო მხარდაჭერას განათლებისათვის, ბუნების დაცვისათვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და მთელი რიგი სოციალური პროგრამებისათვის*. კონსერვატორებს სურთ უფრო მცირე სახელმწიფო ბიუჯეტი და ნაკლები სოციალური პროგრამები. ისინი მხარს უჭერენ თავისუფალ მეწარმეობას, გამოდიან დასაქმების სახელმწიფო პროგრამების, ბიზნესის რეგულირების, აგრეთვე სამუშაო პირობებისა და ხელფასის დონის მარეგულირებელი კანონმდებლობის წინააღმდეგ.

სხვა სფეროებში კი ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიები ნაკლებად თანმიმდევრულია: თეორიულად ლიბერალები უპირატესობას ანიჭებენ ხელისუფლების გააქტიურებას, მაგრამ ამავე დროს ისინი წინააღმდეგობას უწევენ, მაგალითად, ხელისუფლების მიერ აბორტების რეგულირებას. თეორიულად კონსერვატორები ეწინააღმდეგებიან მთავრობის აქტიურ ქმედებას, მაგრამ ისინი მხარს უჭერენ ხელისუფლების კონტროლს სექსუალურად გამაღიზიანებელი მასალების პუბლიკაციაზე. რა ხდება? ამერიკული პოლიტიკური პოზიციები ასე უმიმედოდ წინააღმდეგობრივია, თუ რაღაცაა გამოტოვებული დღევანდელი იდეოლოგიების ჩვენს ამ ანალიზში? სინამდვილეში ამ ანალიზს მართლაც რაღაც აკლია. ალლო რომ აეუღოთ ლიბერალურსა და კონსერვატიულ წარმოდგენებს საკამათო პოლიტიკურ საკითხებზე, ჩვენ უნდა გადავხედოთ არა მარტო ხელისუფლების მოქმედების სფეროს, არამედ მის მიზანსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავიგოთ, თუ როგორ ახერხებს პოლიტიკური იდეოლოგია თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ფასეულობათა შერწყმას თავის თავში.

ამერიკული პოლიტიკური იდეოლოგიები და ხელისუფლების მიზანი

ამერიკული პოლიტიკის უდიდესი ნაწილი ბრუნავს იმ ორი დილემის გარშემო, რომელიც ჩვენ ახლახანს აღვწერეთ: თავისუფლება წესრიგის წინააღმდეგ და თავისუფლება თანასწორობის წინააღმდეგ. ეს ორი დილემა ვერ ამოწურავს ყველა პოლიტიკურ კონფლიქტს, მაგრამ საშუალებას გვაძლევს ჩავიხედოთ იმაში, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკა და მოწესრიგებული ხასიათი მიეცეთ პოლიტიკური მოვლენების, მოქმედი პირებისა და პრობლემების მოჩვენებით ქაოტურ სამყაროს.

* ნუ აურკეთებთ ერთმანეთში ლიბერტარულს და ლიბერალს. ეს სიტყვები მსგავსია, მაგრამ მათი მნიშვნელობები ძლიერ განსხვავდება. ლიბერტარიზმი ეყრდნობა თავისუფლებას (ინგლისურად - liberty) როგორც თავის წყაროს და ნიშნავს „სახელისუფლო შეზღუდვების არარსებობას“. ამერიკის პოლიტიკურ პრაქტიკაში ტერმინი „ლიბერალიზმი“ წარმოიშვა სიტყვიდან „ლიბერალი“. დროთა განმავლობაში ლიბერალმა მიიღო უფრო „ხელგაშლილი“ და „შემწქარებლის“ მნიშვნელობა იმ გაგებით, რომ ლიბერალები მზად არიან მხარი დაუჭირონ მთავრობის დანახარჯებს სოციალურ პროგრამებზე და, აგრეთვე, პატივი სცენ ცხოვრების განსხვავებულ წესებს.

ლიბერალებისა და კონსერვატორების შეპირისპირება: ახალი განსხვავებები

ლიბერალები და კონსერვატორები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მათი განსხვავებები უკვე აღარაა დამოკიდებული სახელმწიფოს როლზე საზოგადოებრივი სიკეთით უზრუნველყოფაში. ლიბერალები კვლავაც უპირატესობას ანიჭებენ „მეტ ხელისუფლებას“ და კონსერვატორებს კვლავაც სურთ „ნაკლები ხელისუფლება“, მაგრამ ეს უკვე აღარ ქმნის მათ შორის პრინციპულ განსხვავებას. კონსერვატორები მხარს უჭერენ ხელისუფლების თავდაპირველ მიზანს – სოციალური წესრიგის დაცვას, ისინი მზად არიან, რათა სახელმწიფოს ძალდატანების საშუალებები გამოიყენებულ იქნას მოქალაქეთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად, კონსერვატორები არ სჯერდებიან დანაშაულის გახსნას ან მის თავიდან აცილებასა და დამნაშავეთა დასჯას. მათ სურთ საზოგადოებრივი ურთიერთობების ტრადიციული ჩარჩოების შენარჩუნება, მაგალითად, ქალისათვის დიასახლისის როლის დატოვება, რელიგიის როლის განმტკიცება სკოლასა და ოჯახურ ცხოვრებაში.

ამის საპირისპიროდ, ლიბერალები ნაკლებად დაუჭერენ მხარს ხელისუფლების ძალის გამოყენებას წესრიგის დასამყარებლად. ზოგადად, ლიბერალები უფრო დამთმობნი არიან ცხოვრების განსხვავებული წესების მიმართ – მაგალითად, ჰომოსექსუალისტების მიმართ. ამასთან ერთად, ლიბერალები უკან არ დაიხევენ, როდესაც საქმე ეხება ხელისუფლების მხრივ ძალის გამოყენებას, მაგრამ გამოიყენებენ მას სხვა მიზნით – თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ისინი მხარს უჭერენ ისეთ კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იგივე ჰომოსექსუალისტებს სამსახურში მიღების, ბინის დაქირავებისა და განათლების მიღების დროს თანაბარი უფლებებით. ლიბერალები მხარს უჭერენ ბავშვების ავტობუსით მიყვანას სკოლაში რასობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად; ისინი მზად არიან აიძულონ კერძო მეწარმეები დაიქირაონ და დააწინაურონ ქალები და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები; მოიძხოვენ, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომი გახდეს ხეიბრებისათვისაც.

კონსერვატორები არ ეწინააღმდეგებიან თანასწორობას, მაგრამ არ აფასებენ მას იმდენად, რომ გამოიყენონ ხელისუფლების ძალა ამ თანასწორობის ცხოვრებაში გასატარებლად. ლიბერალებისათვის კი ძალის გამოყენება თანასწორობის უზრუნველსაყოფად ღირებული და აუცილებელია.

იდეოლოგიების ორგანოზომილებიანი კლასიფიკაცია

ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიების უფრო ზუსტი კლასიფიკაციისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ცნებები. ჩვენ ამას ვაკეთებთ ნახ. 1.2.-ში მოყვანილი მოდელის გამოყენებით. ის აღწერს ამ წინააღმდეგობრივ ფასეულობებს ორი განსხვავებული განზომილების მიხედვით. თვითოეული განზომილება იწყება მაქსიმალური თავისუფლებით ქვედა მარცხენა კუთხეში. ერთი განზომილება ვრცელდება ჰორიზონტულად მაქსიმალური თავისუფლებიდან – მარცხნივ, მაქსიმალ-

ლურ წესრიგამდე – მარჯვნივ. მეორე ვრცელდება ვერტიკალურად მაქსიმალური თავისუფლებიდან – ძირში, მაქსიმალურ თანასწორობამდე – თავში. ყოველი უჯრედი წარმოადგენს განსხვავებულ იდეოლოგიურ ტიპს: ლიბერტარულს, ლიბერალურს, კონსერვატიულს და პოპულისტურს*.

ლიბერტარელები აფასებენ თავისუფლებას უფრო მეტად, ვიდრე წესრიგსა და თანასწორობას (ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ ლიბერტარული მიდრეკილებები, მაგრამ რომლებიც, შეიძლება, არ იზიარებდნენ მთელ იმ ფილოსოფიას). პრაქტიკული თვალსაზრისით, ლიბერტარელებს სურთ ხელისუფლების მინიმალური ჩარევა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროებში. მაგალითად, ისინი გამოდიან კვების ბარათების პროგრამებისა და აბორტების აკრძალვის წინააღმდეგ.

ლიბერალელები აფასებენ თავისუფლებას უფრო მეტად, ვიდრე წესრიგს, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე თანასწორობას. ლიბერალელები ეწინააღმდეგებიან კანონებს აბორტის წინააღმდეგ, მაგრამ მხარს უჭერენ კვების ბარათების პროგრამებს. კონსერვატორები თავისუფლებას უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე თანასწორობას, მაგრამ სურთ თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად. კონსერვატორები გამოდიან კვების ბარათების პროგრამების წინააღმდეგ, მაგრამ მხარს უჭერენ კანონებს აბორტის წინააღმდეგ.

დაბოლოს, გვრჩება იდეოლოგიური ტიპი, განლაგებული ნახ. 1.2-ის ზედა მარჯვენა კუთხეში. ეს ჯგუფი თავისუფლებაზე წინ აყენებს როგორც თანასწორობას, ასევე წესრიგს. მისი წევრები მხარს უჭერენ როგორც კვების ბარათებს, ასევე კანონებს აბორტის წინააღმდეგ. ჩვენ ვიყენებთ ჯგუფის სახელად „პოპულისტებს“. ეს ტერმინი მომდინარეობს სასოფლო რეფორმების მოძრაობიდან, რომელიც აქტიურობდა შეერთებულ შტატებში XIX საუკუნის ბოლოს. ეს პოპულისტები განიხილავდნენ სახელმწიფოს, როგორც ინსტრუმენტს უბრალო ხალხის წინსვლის დასახმარებლად ფულით ან მემკვიდრეობით მიღებული უპირატესობების საწინააღმდეგოდ. ისინი იყენებდნენ თავის საარჩევნო უფლებას როგორც ბიზნესის რეგულირებისათვის, ასევე თავიანთი მორალური წარმოდგენების იმ უმცირესობისათვის თავზე მოსახვევად, რომელთა პოლიტიკური და სოციალური ფასეულობები განსხვავდებოდა უმრავლესობის წარმოდგენისაგან. დღეს კი „პოპულისტი“ ზუსტად მიესადაგება მათ, ვინც მხარს უჭერს ხელისუფლების ქმედებას როგორც უთანასწორობის შესამცირებლად, ასევე სოციალური წესრიგის გასამტკიცებლად.

* ჩვენს მიერ აქ მოყვანილი იდეოლოგიების დაჯგუფება ეთანხმება უილიამ ს.მედოქსის და სტიუარტ ა.ლაილის წიგნში – „ლიბერალური და კონსერვატიული პოლიტიკური სექტორის გადარსნევა“ – მოყვანილ კლასიფიკაციას (Maddox and Lilie, 1984). მიუხედავად ამისა, თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ცნებების ჩვენი ფორმულირება საკმაოდ განსხვავებულია მათი წიგნისაგან.

თანამედროვე დიპლომატიის

თანასწორება

თავისუფლება

<p>ლიბერალიზმი</p> <p><i>მხარს უჭერენ:</i> მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თანასწორობას, ისეთებს, როგორც უმცირესობათა დაქირავების, საზოგადოებრივ ბინათმშენებლობაზე დანახარჯების ზრდის პროგრამები.</p> <p><i>წინააღმდეგი არიან:</i> მთავრობის იმ მოქმედებების, რომლებიც ავიწროებენ პიროვნულ თავისუფლებას, მაგალითად, გამომწვევი სექსუალური ფილმების აკრძალვის ან დროშის დანვის, როგორც პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის საშუალების, კანონგარეშედ გამოცხადებისა.</p>	<p>პოპულისტები</p> <p><i>მხარს უჭერენ:</i> ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თანასწორობას, ისეთებს, როგორც უმცირესობათა დაქირავების, საზოგადოებრივ ბინათმშენებლობაზე დანახარჯების ზრდის პროგრამები.</p> <p><i>მხარს უჭერენ:</i> მთავრობის მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ ნებისმიერს, მაგალითად, გამომწვევი სექსუალური ფილმების აკრძალვას ან დროშის დანვის, როგორც პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის საშუალების, კანონგარეშედ გამოცხადებას.</p>
<p>ლიბერტარიზმი</p> <p><i>წინააღმდეგი არიან:</i> მთავრობის იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ერევიან ბაზარში, ისეთებისა, როგორც უმცირესობათა დაქირავების, საზოგადოებრივ ბინათმშენებლობაზე დანახარჯების ზრდის პროგრამები.</p> <p><i>წინააღმდეგი არიან:</i> მთავრობის იმ მოქმედებებისა, რომლებიც ავიწროებენ პიროვნულ თავისუფლებას, მაგალითად, გამომწვევი სექსუალური ფილმების აკრძალვის ან დროშის დანვის, როგორც პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის საშუალების, კანონგარეშედ გამოცხადებისა.</p>	<p>კონსერვატორები</p> <p><i>წინააღმდეგი არიან:</i> მთავრობის იმ ღონისძიებებისა, რომლებიც ერევიან ბაზარში; ისეთებისა, როგორც უმცირესობათა დაქირავების, საზოგადოებრივ ბინათმშენებლობაზე დანახარჯების ზრდის პროგრამები.</p> <p><i>მხარს უჭერენ:</i> მთავრობის მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ ნებისმიერს, მაგალითად, სექსუალური ფილმების აკრძალვას ან დროშის დანვის, როგორც პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის საშუალების, კანონგარეშედ გამოცხადებას.</p>

თავისუფლება ————— ნასიბი

ნახაზი 1.2. იდეოლოგიების ორგანზომილებიანი სქემა

ზემოთ მოყვანილი ოთხი იდეოლოგიური ტიპი განისაზღვრება იმ ფასეულობების მიხედვით, რომელთაც იხილი უპირატესობას ანიჭებენ მთავრობის ორი მთავარი დილემის გადაჭრის პროცესში: თავისუფლების რა ნაწილი უნდა შეეწიროს წესრიგის დამყარებას? თავისუფლების რა ნაწილი უნდა შეეწიროს თანასწორობის მიღწევას? ვამოსტადეთ საკუთარი თავი იმ ფასეულობებზე დაფიქრებით, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია თქვენთვის. ამ ნახაზის რომელი უჯრედი გამოხატავს ყველაზე კარგად თქვენს ფასეულობათა ურთიერთმიმართებას?

პოლიტიკური იდეოლოგიის არა ერთ-, არამედ ორგანზომილებიანი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ, რატომ ხდება, რომ ადამიანი შეიძლება იყოს ლიბერალი ერთ შემთხვევაში (მხარს უჭერდეს მთავრობის მოქმედების უფრო ფართო ჩარჩოებს) და კონსერვატორი – მეორეში (მხარს უჭერდეს ხელისუფლების ნაკლებ აქტიურობას). პასუხი დამოკიდებულია ქმედების მიზანზე: რომელი ფასეულობაა წამოწეული წინ – წესრიგი თუ თანასწორობა? ჩვენი ტიპოლოგიის შესაბამისად მხოლოდ ლიბერტარელები და პოპულისტები არიან თანმიმდევრულნი თავიანთ დამოკიდებულებაში ხელისუფლების სამოქმედო ჩარჩოების მიმართ: როგორც არ უნდა იყოს ეს მოქმედება, ლიბერტარელები აყენებენ თავისუფლებას იმდენად მაღლა, რომ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების მცდელობას უმრავლესობის სახელით დაამყაროს წესრიგი ან თანასწორობა. პოპულისტებს კი ახასიათებთ ტენდენცია – დათმონ თავისუფლება

როგორც წესრიგის, ასევე თანასწორობისათვის. ლიბერალები და კონსერვატორები ამის საწინააღმდეგოდ მხარს უჭერენ ან არ ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების საქმიანობას იმის შესაბამისად, თუ რა მიზანს ისახავს ხელისუფლება. როგორც მე-4 თავში შეიტყობთ, ამერიკელთა დიდი ჯგუფები მთლიანად ხვდებიან ამ ოთხი კატეგორიიდან რომელიმე კატეგორიაში. რადგანაც ამერიკელები ირჩევენ ოთხ განსხვავებულ გადაწყვეტილებას ხელისუფლების თავდაპირველი და თანამედროვე დილემაების თაობაზე, უბრალო იარაღები – ლიბერალი და კონსერვატორი – ვეღარ აღწერს თანამედროვე პოლიტიკურ იდეოლოგიებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1930-1950-იან წლებში.

აქამდე ჩვენი მსჯელობა პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ ფოკუსირებული იყო დაპირისპირებულ შეხედულებებზე იმის შესახებ, თუ რომელ ფასეულობებს უნდა ანიჭებდეს უპირატესობას ხელისუფლება. ახლა ჩვენს ყურადღებას მივაპყრობთ დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბების ალტერნატიულ მოდელებზე.

ამერიკული სახელისუფლებო პროცესი: მაჟორიტარული თუ პლურალისტური?

1989 წლის 17 იანვარს ერთმა მაწანწალამ – პატრიკ პარდიმ – AK-47 ავტომატით ცეცხლი გაუხსნა კალიფორნიის შტატის ქალაქ სტოქტონის დაწყებითი სკოლის სათამაშო მოედანზე შეკრებილ მოსწავლეებს. ხუთი ბავშვი დაიღუპა, ოცდაცხრა მოსწავლე და ერთი მასწავლებელი დაიჭრა.

სტოქტონის ხოცვა-ჟლეტამ უბიძგა კონგრესის ზოგიერთ წევრს დაეწყო ბრძოლა AK-47-ის ტიპის საბრძოლო იარაღის აკრძალვის კანონის მისაღებად. მსროლელთა ეროვნული ასოციაცია (The National Rifle Association - NRA) კატეგორიულად არ დაეთანხმა ამას და განაცხადა, რომ ასეთი აკრძალვა წარმოადგენს ადამიანთა მიერ „იარაღის ტარების კონსტიტუციური უფლების“ დარღვევას. ამ 2,6 მილიონ-წევრიანმა ასოციაციამ დიდ წარმატებას მიაღწია იარაღის კონტროლის ღონისძიებების თაობაზე კონგრესში შეტანილი წინადადების დამარცხების საქმეში. უფრო ადრე, 1986 წელს, ამ ორგანიზაციამ წარმატებით აიძულა კონგრესი გაეთარებინა კანონი, რომლითაც შესუსტდა 1968 წელს რობერტ კენედისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობებზე რეაქციის შედეგად იარაღის ტარების თაობაზე მიღებული ისედაც ძალზე მორიდებული კანონი.

NRA-ს უნარი – ჩაახშოს იარაღის კონტროლის მცდელობა – აშკარად უპირისპირდება ამ პრობლემაზე ამერიკელი ხალხის აზრს. საზოგადოების 70 პროცენტი მხარს უჭერს იარაღის კონტროლის უფრო მკაცრ კანონებს, ხოლო 72 პროცენტი მხარს უჭერს საბრძოლო შაშხანების აკრძალვას (Gallup, 1989). 1990 წელს სენატმა მოახერხა (1 ხმის უპირატესობით) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონპროექტში შეეტანა აკრძალვა ცხრა ტიპის საბრძოლო შაშხანაზე, მაგრამ წარმომადგენელთა პალატამ ამ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

პუნქტი, რომელიც ეხებოდა ნახევრადავტომატურ იარაღს, ამოღებულ იქნა კანონპროექტის საბოლოო ვერსიიდან სენატის და წარმომადგენელთა პალატის შემთანხმებული კომისიის მიერ.

წლების განმავლობაში კონგრესი რეგულარულად უჭერს მხარს ამ განსაკუთრებული უმცირესობის ინტერესებს, უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგოდ რომ ეწინააღმდეგება იარაღის კონტროლს. არის თუ არა ეს დემოკრატიული, როდესაც ისინი, ვინც ქმნიან პოლიტიკას, უპირატესობას ანიჭებენ ხმაურიან უმცირესობას ნაკლებად აქტიური უმრავლესობის ხარჯზე?

იმისათვის, რომ დაგეხმაროთ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში, შევამოწმოთ, რა გზით უნდა მიიღოს მთავრობამ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რა უნდა აკეთოს. კერძოდ, ჩვენ დავასახელებთ კრიტერიუმებს იმის გასარკვევად, არის თუ არა მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი დემოკრატიული.

დემოკრატიული ხელისუფლების თეორია

დემოკრატიის თეორიის ფესვები ძველებრძნულ აზროვნებაშია. ბერძენი ფილოსოფოსები ახდენდნენ ხელისუფლების კლასიფიკაციას მოქალაქეთა იმ რაოდენობის შესაბამისად, რომელიც ჩართული იყო მართვის პროცესში. წარმოდგინეთ უწყვეტი ზოლი, რომელიც მიემართება ერთპიროვნული მმართველობიდან, ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ მართვის გავლით, მრავალი ადამიანის მხრიდან მმართველობამდე. ერთ ბოლოში იმყოფება ავტოკრატია, რომლის პირობებშიც ერთ პიროვნებას ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია. ბევრი ამტკიცებს, რომ ჰიტლერი ავტოკრატიულად მართავდა გერმანიას.

ოლიგარქია ხელისუფლების სადავეებს „უმცირესობას“ უგდებს ხელში. ერთ დროს ნორმალურად ითვლებოდა, რომ თავადაზნაურობას ან ქვეყნის წამყვან მიწათმფლობელებს ემართათ ქვეყანა, როგორც არისტოკრატია. სამხედრო ლიდერები დღეს ხშირად მართავენ იმ ქვეყნებს, რომელთაც სათავეში ოლიგარქია უდგას.

ამ უწყვეტი ზოლის მეორე ბოლოში მდებარეობს დემოკრატია, რაც ნიშნავს „ხალხის ძალაუფლებას ან მმართველობას“ (Runney and Kendall, 1956, p.6). მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ნამდვილი დემოკრატიაა.

დემოკრატიის არსი და სიმბოლიზმი

„ვინ უნდა მართავდეს?“ ამ კითხვაზე ამერიკელებს გააჩნიათ უბრალო პასუხი: „ხალხი“. საუბედუროდ, ეს პასუხი მეტისმეტად გამარტივებულია. ის ვერ განსაზღვრავს, თუ ვინ არის „ხალხი“. შედიან თუ არა მასში პატარა ბავშვები? ახლად ჩამოსული იმიგრანტები? არალეგალურად მცხოვრები უცხოელები? ეს

პასუხი აგრეთვე ვერ გვიხსნის, თუ როგორ უნდა მართოს ხალხმა. სტადიონზე ხომ არ უნდა შეიკრიბონ? ფოსტით მისცენ ხმა? აირჩიონ წარმომადგენლები, რომ მათ ხალხის ნაცვლად მართონ? მოდით, დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში *ხალხის ხელისუფლება*.

სიტყვა „დემოკრატია“ ჩანს ბერძნულ ტექსტებში ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან, „დემოსი“ უბრალო ხალხს, მასებს აღნიშნავს; „კრატოს“ ნიშნავს „ძალაუფლებას“. ძველ ბერძნებს ეშინოდათ დემოკრატიის – ხალხის მმართველობისა, ეს შიში ნათლად ჩანს ტერმინში „დემაკოგი“. დღეს ამ ტერმინს ვიყენებთ ისეთი პოლიტიკოსის დასახასიათებლად, რომელიც მიმართავს და ხშირად ატყუებს მასებს მათი გრძნობებისა და ცრურწმენების მანიპულირების გზით.

მას შემდეგ, რაც ბერძნებმა განსაზღვრეს, თუ რა იყო დემოკრატია, ამ იდეას მრავალი საუკუნის მანძილზე მანც აწნდა „ბრბოს მმართველობის“ დაღი. ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობის დროს ახალი პოლიტიკური პარტიის მოწინააღმდეგენი პარტიის დასამცირებლად იყენებდნენ სახელს „დემოკრატიული“. დღეისათვის კი „დემოკრატია“ გადაიქცა პოლიტიკური პაექრობის დედააზრად და სანიშნო ტერმინად. „სამართლიანობისა“ და „წესიერების“ მსგავსად ტერმინს „დემოკრატია“ მოწიწებით ხმარობს ყველა ჯურის პოლიტიკოსი. მას იყენებენ ტოტალიტარული რეჟიმებიც კი: მაგალითად, ჩრდილოეთ კორეა თავის თავს უწოდებს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული სტანდარტების მიხედვით ის ერთ-ერთი ყველაზე ანტიდემოკრატიული ქვეყანაა დედამიწის ზურგზე. სხვა რთული კონცეფციების მსგავსად, „დემოკრატია“ სხვადასხვა ადამიანებისთვის სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

არსებობს დემოკრატიის არსის შემსწავლელი ორი მთავარი სკოლა. პირველს სჯერა, რომ დემოკრატია მმართველობის ფორმაა: ის წინ წამოაწევს პროცედურებს, რომლებიც აძლევს ხალხს მართვის საშუალებას – შეკრებებს პრობლემების განსახილველად, არჩევნებში მონაწილეობას, კანდიდატურის წამოყენებას თანამდებობაზე ასარჩევად. მეორე სკოლა ხედავს დემოკრატიაში სახელმწიფო პოლიტიკის არსში, – მაგალითად, რელიგიის თავისუფლების გარანტიებში და ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. პროცედურული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება; არსისეული მიდგომა კი იმაზეა დაფუძნებული, თუ რას აკეთებს მთავრობა (Runnie and Kendall, 1956, p. 12-13)

დემოკრატიისადმი პროცედურული მიდგომა

დემოკრატიის პროცედურული თეორია წარმოაჩენს პრინციპებს, რომლებიც აღწერენ, თუ როგორ უნდა მიიღოს სახელმწიფომ გადაწყვეტილებები. ეს პრინციპები სამ მკაფიო შეკითხვას აყენებს.

1. *კი* უნდა მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში?
2. *რამდენად* უნდა ითვლებოდეს თითოეული მონაწილის ხმა?
3. *რამდენი* ხმაა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად?

დემოკრატიის პროცედურული თეორიის შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ერთობის წევრმა ყველა მოზრდილმა ადამიანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებაში. ჩვენ განვსაზღვრავთ ამ პრინციპს, როგორც საყოველთაო მონაწილეობის პრინციპს. რამდენად უნდა ითვლებოდეს თითოეული მონაწილის ხმა? პროცედურული თეორიის შესაბამისად, თითოეული ხმა თანასწორად უნდა ჩაითვალოს. ეს არის პოლიტიკური თანასწორობის პრინციპი. მიაქციეთ ყურადღება, რომ საყოველთაო მონაწილეობა და პოლიტიკური თანასწორობა ორი განსხვავებული პრინციპია. საკმარისი არ არის, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში; ყველა ხმა ერთნაირი წონისა უნდა იყოს.

და ბოლოს, რამდენი ხმაა საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად? პროცედურული თეორია მიიჩნევს, რომ ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს იმის გაკეთება, რის გაკეთებაც სურს ჯგუფის წევრების უმრავლესობას. ამ პრინციპს უმრავლესობის მმართველობის პრინციპი ეწოდება (თუ მონაწილეები გაიყოფიან ორზე მეტი ალტერნატივის შესაბამისად და არცერთი მათგანი არ მიიღებს უბრალო უმრავლესობას, ეს პრინციპი ჩვეულებრივ დაიყვანება შედარებითი უმრავლესობის მმართველობამდე, რომლის თანახმადაც, ჯგუფმა უნდა გააკეთოს ის, რასაც ყველაზე მეტი წევრი მოითხოვს).

სირთულე: უშუალო დემოკრატია შუალობით დემოკრატიის წინააღმდეგ

სამი პრინციპი – საყოველთაო მონაწილეობა, პოლიტიკური თანასწორობა და უმრავლესობის მმართველობა – საყოველთაოდაა აღიარებული, როგორც დემოკრატიული გზით გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი. მცირე, მარტივ საზოგადოებებში ეს პრინციპები შეიძლება განხორციელდნენ უშუალო დემოკრატიით, რომლის დროსაც ჯგუფის ყველა წევრი იკრიბება პოლიტიკური თანასწორობისა და უმრავლესობის მმართველობის პრინციპების დაცვით გადაწყვეტილების მისაღებად. უშუალო დემოკრატიასთან ძალიან ახლოს დგას ნიუ-ინგლენდის ზოგიერთ სოფელში დღემდე გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები იკრიბებიან თემის საჭირობოროტო გადაწყვეტილებების მისაღებად.

მსხვილ, რთულ საზოგადოებებში ხალხი ვერ შეიკრიბება ერთ ადგილას ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად. ამის ალტერნატივაა შუალობით დემოკრატია, ანუ ის, რასაც ჩვეულებრივ წარმოადგენლობით დემოკრატიას უწოდებენ. მოქალაქეები მონაწილეობენ ხელისუფლებაში ოფიციალური თანამდებობის პირების არჩევის გზით, რომლებიც მათ მაგიერ იღებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის კონტექსტში ჩვენ ერთგული ვრჩებით საყოველთაო მონაწილეობის, პოლიტიკური თანასწორობისა და უმრავლესობის მმართველობის პრინციპებისა, რათა უზრუნველყოთ არჩევნების დემოკრატიულობა. მაგრამ, რა ხდება არჩევნების შემდეგ? არჩეულმა წარმომადგენლებმა

შეიძლება არ მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებდა ხალხი, იგივე მიზნით რომ შეკრებილიყო. იმისათვის, რომ გამორიცხოს ასეთი შესაძლებლობა წარმომადგენლობით ხელისუფლებაში, პროცედურული თეორია გამოყოფს გადაწყვეტილების მიღების მეოთხე პრინციპს – უკუკავშირს. ამ პრინციპის შესაბამისად, არჩეული წარმომადგენლები თვალყურს ადევნებენ საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას და ითვალისწინებენ მას კანონმდებლობის ფორმულირების პროცესში.

როდესაც ვუმატებთ უკუკავშირს, ჩვენ ვიღებთ პროცედურული დემოკრატიის უკვე ოთხ პრინციპს:

- საყოველთაო მონაწილეობა;
- პოლიტიკური თანასწორობა;
- უმრავლესობის მმართველობა;
- ხელისუფლების უკუკავშირი (საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება).

დემოკრატიისადმი არსისეული მიდგომა

პროცედურული თეორიის შესაბამისად, უკუკავშირის პრინციპი აბსოლუტურ ხასიათს ატარებს: მთავრობამ უნდა აკეთოს ის, რაც უმრავლესობას სურს, რაც არ უნდა იყოს ეს. ერთი შეხედვით, ეს წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებების დაცვის გონივრულ გზას წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში. მაგრამ, მოდით, ერთი წუთით დაფიქრდეთ: ქრისტიანები შეადგენენ აშშ მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს; წარმოვიდგინოთ, რომ ქრისტიანული უმრავლესობა მხარს უჭერს კონსტიტუციურ შესწორებას, რომელიც მოითხოვს ბიბლიის კითხვას სკოლებში; ვთქვათ, ასეთი შესწორება გავიდა კონგრესში და რატიფიცირებულ იქნა შტატების მიერ. მაგრამ რა ვუყოთ რელიგიის თავისუფლებას? რა ვუყოთ რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს? იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრის მიმართ ხელისუფლების უკუკავშირის გონივრული საზღვარი შეიქმნას, ჩვენ უნდა გადავიხედოთ დემოკრატიის პროცედურული თეორიიდან დემოკრატიის არსისეული თეორიაში.

დემოკრატიის არსისეული თეორია ძირითადად ფოკუსირებულია სახელმწიფო პოლიტიკის არსზე და არა იმ პროცედურაზე, რომელიც დაცულია ამ პოლიტიკის გატარების დროს. ის ამტკიცებს, რომ დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს განსაზღვრული პრინციპები. არსისეული დემოკრატიის თეორეტიკოსები უარს იტყობენ იმ კანონზე, რომელიც მოითხოვდა ბიბლიის კითხვას სკოლებში, რადგანაც ასეთი კანონი დაარღვევდა ისეთ არსებით პრინციპს, როგორცაა რელიგიის თავისუფლება.

იმ პრინციპების განმარტების დროს, რომლებიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ ხელისუფლებას და ასეთი ხელისუფლების პოლიტიკას, არსისეული დემოკრატიის თეორეტიკოსების უმეტესობა ეთანხმება შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს: სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იძლეოდეს ისეთი სამოქალაქო

თავისუფლებების გარანტიას, როგორცაა რელიგიის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, და ისეთი სამოქალაქო უფლებების გარანტიას, როგორცაა დაცვა დისკრიმინაციისაგან დასაქმებისა და საცხოვრებლის არჩევის დროს. ამ სტანდარტების შესაბამისად იმის მტკიცება, რომ შეერთებული შტატები წარმოადგენს დემოკრატია, ეფუძნება შეერთებული შტატების მიერ თავისი მოქალაქეებისათვის ამ თავისუფლებებისა და უფლებების მინიჭების ფაქტობრივ მდგომარეობას (მე-12 თავში ამაზე იქნება მსჯელობა).

უთანხმოება დემოკრატიის თეორეტიკოსებს შორის იწყება მაშინ, როდესაც კამათი გადადის სამოქალაქო უფლებებიდან სოციალურ უფლებებზე (კარგი სამედიცინო მომსახურება, მაღალხარისხოვანი განათლება, შესაფერი სპინაო პირობები) და ეკონომიკურ უფლებებზე (კერძო საკუთრება, სტაბილური დასაქმება). თეორეტიკოსები განსაკუთრებით კატეგორიულად არ ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, უნდა უზრუნველყოს თუ არა ხელისუფლებამ სოციალური თანასწორობა, რათა იგი დემოკრატიულად ჩაითვალოს. მაგალითად, უნდა უზრუნველყოს თუ არა სახელმწიფომ უმუშევრების დახმარება და დამაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი სპინაო ფონდი, რათა მას დემოკრატიული უწოდონ. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობას, არსებითაა დემოკრატიული ხელისუფლებისათვის. სხვები უარს ამბობენ არსიეული დემოკრატიის მოთხოვნების გავრცელებაზე იმ პოლიტიკის მიღმა, რომელიც იცავს სამოქალაქო თავისუფლებებსა და უფლებებს. ამერიკული დემოკრატიის არსიეული პრინციპების ამოსავალი, რასაკვირველია, „უფლებათა ბილი“ და კონსტიტუციის სხვა შესწორებებია.

თეორეტიკოსის პოლიტიკური იდეოლოგია გვიხსნის მის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თუ რეალურად რას მოითხოვს დემოკრატია არსიეული პოლიტიკის გატარების დროს. კონსერვატორ თეორეტიკოსებს გააჩნიათ ვიწრო თვალსაზრისი დემოკრატიული ხელისუფლების მოქმედების სფეროსა და ხელისუფლების მიერ გარანტირებული სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ. ლიბერალ თეორეტიკოსებს კი სჯერათ, რომ დემოკრატიულმა ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს უნდა მისცეს ბევრად უფრო მრავალფეროვანი სოციალური და ეკონომიკური უფლებების გარანტია.

პროცედურული დემოკრატია არსიეული დემოკრატიის წინააღმდეგ

დემოკრატიაზე არსიეულ შეხედულებასთან დაკავშირებით ერთი პრობლემა წარმოიშობა: ეს მიდგომა არ იძლევა ზუსტ, აშკარა კრიტერიუმებს იმის განსასაზღვრავად, არის თუ არა ხელისუფლება დემოკრატიული შესაბამისად, ყველა თეორეტიკოსს საშუალება ეძლევა წინ წამოსწიოს როგორც ძირითადი კრიტერიუმი არსიეულ დემოკრატია, ამოფარებული თავისი საყვარელი ფასეულობა, მაგალითად, სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევება, გარანტირებული დასაქმება ან თანაბარი უფლებები ქალებისათვის და ა. შ.

არსებობს, აგრეთვე, დემოკრატიაზე პროცედურული შეხედულებების პრობლემა. მართალია, ის გვაძლევს დემოკრატიული მართვის ნათელ კრიტიკრიუმებს, მაგრამ მათ შეიძლება გამოიწვიონ ისეთი არასასურველი სოციალური პოლიტიკა, რომელიც უმცირესობებს ჩაგრავს. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება უმცირესობის უფლებებს, ანუ იმას, რომ მოქალაქეებს უნდა გააჩნდეთ განსაზღვრული უფლებები, რომელთა უარყოფა შეუძლებელია უმრავლესობის გადაწყვეტილებით. უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალება მდგომარეობს უმრავლესობის მმართველობის პრინციპის შეზღუდვაში: მაგალითად, მოითხოვონ ხმების ორი მესამედი ან მეტი – ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების დროს, ან საკითხის შეტანა კონსტიტუციაში და, შესაბამისად, უმრავლესობის ხელყოფისაგან დაიცვან უმცირესობა.

ნათელია, რომ პროცედურული და არსისეული დემოკრატია ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს. როდესაც ერთ-ერთ მათგანს ვირჩევთ, ჩვენ ერთდროულად ვირჩევთ, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება – პროცედურაზე თუ პოლიტიკაზე. როგორც ამ წიგნის ავტორები, ჩვენ ვირჩევთ კომპრომისს ამ ორ თეორიას შორის. მთლიანობაში, ჩვენ გვირჩევნია დემოკრატიის პროცედურული კონცეფცია, რადგანაც ის უფრო ახლოს დგას *დემოკრატიის კლასიკურ განმარტებასთან* – „ხალხის მმართველობა“ და დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიღების ნათელ, კარგად დამუშავებულ წესებზე. მაგრამ ამ თეორიას გააჩნია სერიოზული ნაკლი – ის აძლევს უფლებას დემოკრატიულ ხელისუფლებას გაატაროს პოლიტიკა, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს დემოკრატიის არსისეული პრინციპები. ასე, რომ, წმინდა სახის პროცედურული დემოკრატია უნდა „გაითქვიფოს“ ისე, რომ უმცირესობათა უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამოქალაქო თავისუფლებებსა და სამოქალაქო უფლებებს, უნდა გახდნენ ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი.

პოლიტიკის რეალურ სამყაროში არაა ყოველთვის ადეილი ზუსტი ზღვარის დადება პროცედურულ და არსისეულ დემოკრატიას შორის. დემოკრატიული მმართველობა და ყველა ადამიანისათვის სასურველი პოლიტიკა ყოველთვის სინონიმები როდია.

დემოკრატიის ინსტიტუციური მოდელები

დემოკრატიის ზოგიერთი თეორეტიკოსი უპირატესობას ანიჭებს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც მოქალაქეთა უმრავლესობის ნებასურვილს უშუალოდ უკავშირებენ მთავრობის გადაწყვეტილებებს. თუ მოქალაქეთა უმრავლესობას სურს გატარდეს კანონი პორნოგრაფიით ვაჭრობის წინააღმდეგ, მაშინ მთავრობამ კანონგარეშე უნდა გამოაცხადოს პორნოგრაფია. თუ მოქალაქეებს სურთ მეტი ფულის ხარჯვა თავდაცვაზე და ნაკლები – სოციალურ უზრუნველყოფაზე (ან პირიქით), მაშინ მთავრობა შესაბამისად უნდა მოქმედებდეს. ამ თეორეტიკოსებისათვის დემოკრატიული ხელისუფლების დედააზრი უმრავლესობის მმართველობასა და უკუკავშირშია.

სხვა თეორეტიკოსები ამ პრინციპებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მათ არ სჯერათ, რომ შეიძლება საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობა. ამის მაგივრად ისინი ამჯობინებენ ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც უფლებას აძლევს მოქალაქეთა ჯგუფებს დაიცვან თავისი ინტერესები სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების დროს.

აზროვნების ორივე სკოლა იზიარებს პროცედურულ წარმოდგენას დემოკრატიაზე, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება „ხალხის მმართველობის“ განმარტებაში. ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ეს თეორიული წარმოდგენები დემოკრატიის ორი ალტერნატიული მოდელის გამოყენებით. როგორც მოდელი, ორივე წარმოდგენს ინსტიტუციურ მექანიზმებზე დაყრდნობით დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის ჰიპოთეტურ გეგმას, მონახაზს. *მაჟორიტარული მოდელი* მხარს უჭერს საზოგადოდ ხალხის მონაწილეობას, *პლურალისტური მოდელი* მხარს უჭერს ადამიანთა ჯგუფების მონაწილეობას.

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი ეყრდნობა დემოკრატიის კლასიკურ, სახელმძღვანელოებიდან ცნობილ თეორიას. ის განმარტავს „ხალხის მმართველობას“, როგორც ხალხის *უმრავლესობის* მიერ მართვას. იმისათვის, რომ აიძულოს მთავრობა გამოეხმაუროს საზოგადოებრივ აზრს, მაჟორიტარული მოდელი ეყრდნობა რამდენიმე მექანიზმს, რომლებიც ხალხს პოლიტიკურ სისტემაში უშუალო მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

მაჟორიტარული მოდელის შესაბამისად სახელმწიფო თანამდებობის პირების სახალხო არჩევნები დემოკრატიული ხელისუფლებისათვის პირველადი მექანიზმია. ეს მოდელი მოქალაქეებისაგან მოელის თავისი წარმომადგენლების გაკონტროლებას პირველ რიგში გონივრული არჩევანით და, მათი მოქმედების შესაბამისად, მოხელეების ხელმეორედ არჩევით ან არ არჩევით.

მაჟორიტარული მოდელის თეორეტიკოსები არჩევნებში აგრეთვე ხედავენ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების საშუალებას. კენჭისყრას პოლიტიკურ საკითხებზე რეფერენდუმი ეწოდება. როდესაც პოლიტიკური საკითხი კენჭისყრის საგანი ხდება მოქალაქეთა მიერ პეტიციების გავრცელებისა და ხელმოწერების საჭირო მინიმალური რაოდენობის შეგროვების შედეგად, ამას ინიციატივა ქვია. ოცდაერთ შტატში საკანონმდებლო ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება რეფერენდუმზე გაიტანონ საკითხები ისევე, როგორც მათ მოქალაქეებს გააჩნიათ უფლება წარადგინონ ინიციატივა საყოველთაო კენჭისყრისათვის. ხუთი სხვა შტატი იტოვებს ამ მექანიზმიდან ერთ-ერთის გამოყენების უფლებას (Cronin, 1989, p. 47).

ამავე დროს, შეერთებულ შტატებში არ არსებობს ეროვნულ დონეზე რეფერენდუმის ჩატარების წესი, თუმცა ამერიკელები აშკარად უჭერენ მხარს ეროვნული რეფერენდუმების სისტემას (ibid., p. 80). მაჟორიტარული დემოკრატიის ყველაზე თავგამოდებული მხარდამჭერები მოითხოვენ თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებას უმრავლესობასთან ხელისუფლების უკუკავშირის

მაქსიმალურად გასაძლიერებლად. მართლაც, 1992 წ. პრეზიდენტობისთვის ბრძოლის დროს როს პერო მხარს უჭერდა ელექტრონულ „საქალაქო შეკრებებს“ უმთავრეს საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის რეგულარულად შესაფასებლად.

მაქორიტარული მოდელი ამტკიცებს, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ გააკონტროლონ თავისი ხელისუფლება, თუკი გააჩნიათ საერთო სახალხო მონაწილეობის შესაბამისი მექანიზმი. ეს მოდელი აგრეთვე ვარაუდობს, რომ მოქალაქეებს აქვთ უნარი გაიგონ ყველაფერი ხელისუფლებისა და პოლიტიკის შესახებ, რომ მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში და რომ მოქალაქეები იღებენ გონივრულ გადაწყვეტილებას არჩევითი წარმომადგენლებისათვის ხმის მიცემის დროს.

თუ ეს ფაქტორები ნამდვილად აუცილებელია მაქორიტარული დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის, მაშინ მაქორიტარული მოდელი შეერთებულ შტატებში საფრთხეშია. ეროვნულ დონეზე გამოკითხულ ამომრჩეველთა მხოლოდ 22 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი „უმეტეს დროს“ თვალყურს ადევნებენ, თუ რას აკეთებს ხელისუფლება. ამის საწინააღმდეგოდ, 40 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი პოლიტიკას „იშვიათად ადევნებენ“ ან „საერთოდ არ ადევნებენ“ თვალყურს (Conway, 1991, p. 44). უფრო მეტიც, ამომრჩეველთა მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში დაეცა ხმის უფლების მქონე მოსახლეობის დაახლოებით ნახევრამდე (ეს განხილულია მე-5 თავში), ისინი კი, ვინც მონაწილეობენ არჩევნებში, ხშირად ირჩევენ კანდიდატებს უფრო ჩვეულებისდა მიხედვით (საკუთარი პარტიის კანდიდატის გათვალისწინებით), ვიდრე კანდიდატების პოლიტიკური პოზიციის გულდასმით შესწავლის საფუძველზე.

ალტერნატიული მოდელი: პლურალისტური დემოკრატია

წლების მანძილზე პოლიტოლოგები თავგამოდებით ცდილობდნენ როგორმე ერთმანეთზე მოერგოთ მაქორიტარული მოდელი და გამოკითხვების შედეგები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებდა ამერიკელ ხალხში ფართოდ გავრცელებულ პოლიტიკურ უმეცრებას. თუ ამომრჩეველთა უმრავლესობამ იმდენი არ იცის, რომ გონივრულად იმსჯელოს პოლიტიკაზე, რატომღა გააჩნია მართვის პრეტენზია? მოკლედ, რა საჭიროა დემოკრატიის მხარდაჭერა?

1950-იან წლებში შემუშავდა დემოკრატიის ალტერნატიული ინტერპრეტაცია, მისადაგებული ნამდვილი ელექტორატის შეზღუდულ ცოდნაზე და არჩევნებში უმნიშვნელო მონაწილეობაზე. ეს თეორია დაფუძნებულია *პლურალიზმის* კონცეფციაზე, ანუ იმაზე, რომ თანამედროვე საზოგადოება შედგება ხალხის ურიცხვი ჯგუფებისაგან, რომლებიც იზიარებენ მათთვის საერთო ეკონომიკურ, რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ინტერესებს. ხშირად ერთნაირი ინტერესების მქონე ადამიანები აყალიბებენ ფორმალურ ჯგუფებს. თუ ორგანიზებული ჯგუფი ცდილობს გავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე, მას დაინტერესებული ჯგუფი ეწოდება. მრავალი დაინტერესებული ჯგუფი რეგულარულად ხარჯავს დიდძალ დროსა და ფულს, რათა მთავრობის პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს (იხილეთ მე-7 თავი). მათ შორის არიან ისეთები, როგორცაა

„შრომის ამერიკული ფედერაცია – საწარმოო პროფკავშირების კონგრესი“. „ამერიკის საავადმყოფოების ასოციაცია“, „მრეწველთა ეროვნული ასოციაცია“, „ეროვნული ორგანიზაცია ქალებისათვის“ და, რასაკვირველია, „მსროლელთა ეროვნული ასოციაცია“.

დემოკრატიის პლურალისტური მოდელი განმარტავს „ხალხის მმართველობას“; როგორც ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ფუნქციონირებს მოქიშპე დაინტერესებული ჯგუფების მეშვეობით. ამ მოდელის შესაბამისად, დემოკრატია არსებობს მაშინ, როდესაც მრავალი ორგანიზაცია მოქმედებს ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, თავს ახვევს ხელისუფლებას თავის ინტერესებს და ხანდახან უპირისპირდება კიდევ მას (Dahl, 1982). მაჟორიტარული აზროვნებისაგან განსხვავებით, პლურალისტურ თეორიას გადააქვს დემოკრატიული მთავრობის ფოკუსი მასობრივი ამომრჩეველიდან ორგანიზებულ ჯგუფებზე. ის ცვლის ერთ-ერთ კრიტერიუმს, რომელსაც უყენებენ დემოკრატიულ მთავრობას – უკუკავშირის მასობრივ საზოგადოებრივ აზრთან და ამის ნაცვლად მოითხოვს უკუკავშირის მოქალაქეთა ორგანიზებულ ჯგუფებთან.

ხელისუფლების დეცენტრალიზებული, რთული სტრუქტურა ხელმისაწვდომს და კარგახსნილს ხდის იმას, რაც საჭიროა პლურალისტური დემოკრატიისათვის. ასეთი დემოკრატიისათვის იდეალურია სისტემა, რომელიც ანაწილებს სახელმწიფოს ძალაუფლებას მრავალრიცხოვან ინსტიტუტებს შორის, რომელთა პასუხისმგებლობის სფეროები ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავენ. ასეთი სისტემის პირობებში მოქიშპე დაინტერესებულ ჯგუფებს თავიანთი მოთხოვნების წარსადგენად და დასაცავად გააჩნიათ ალტერნატიული „მულწევის წერტილები“.

აშშ კონსტიტუცია უახლოვდება პლურალისტური დემოკრატიის იდეალს, რადგანაც ის ანაწილებს ძალაუფლებას ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებებს შორის. როდესაც „ფერადკანიანთა ხელშეწყობის ეროვნულმა ასოციაციამ“ (National Association for the Advancement of Colored People - NAACP) ვერ აიძულა კონგრესი კანონგარეშე გამოეცხადებინა სეგრეგირებული სკოლები სამხრეთში, მან მიმართა ფედერალურ სასამართლო სისტემას, რომელმაც გააკეთა ის, რასაც კონგრესი არ გააკეთებდა. პლურალისტური დემოკრატიის იდეალის შესაბამისად, თუ საწინააღმდეგო ინტერესების მქონეთ ყველას გააჩნია ორგანიზაციის უფლება, ხოლო სისტემა კარგახსნილია, რათა ყველა ჯგუფმა შეძლოს დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენა განსახილველად, მაშინ პლურალისტური საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნები დაკმაყოფილდება.

მაჟორიტარული მოდელი პლურალისტურის წინააღმდეგ

მაჟორიტარული დემოკრატიის პირობებში მთავრობის საქმიანობას მთლიანად საზოგადოება აკონტროლებს და არა დაინტერესებული ჯგუფები. მოქალაქეები გათვითცნობიერებული უნდა იყვნენ მთავრობის საქმიანობაში და უნდა სურდეთ არჩევით პროცესში მონაწილეობის მიღება. მაჟორიტარული დემოკრატია ეყრდნობა ისეთ საარჩევნო მექანიზმს, რომელიც უმრავლესობის ძალას

იყენებს გადაწყვეტილების მისაღებად. საყოველთაო არჩევნები და სახელმწიფოს ცენტრალიზებული სტრუქტურა წარმოადგენს ორ მექანიზმს, რომლებიც მხარს უჭამს მართვას უმრავლესობის მიერ.

პლურალიზმი მოქალაქეებისაგან არ მოითხოვს დიდ პოლიტიკურ განათლებას. ის მოითხოვს მხოლოდ მოქალაქეთა ჯგუფების და, განსაკუთრებით, მათი ლიდერების სპეციალიზებულ ცოდნას. მაკორიტარული დემოკრატისაგან განსხვავებით, პლურალისტური დემოკრატია ცდილობს შეზღუდოს უმრავლესობის ქმედება იმ მიზნით, რომ დაინტერესებული ჯგუფების ხმა მკაფიოდ გაისმოდეს. ეს მოდელი ეყრდნობა მძლავრ დაინტერესებულ ჯგუფებსა და სახელმწიფოს დეცენტრალიზებულ სტრუქტურას – მექანიზმებს, რომლებიც უმრავლესობის მართვაში ერევა და, შესაბამისად, უმცირესობის ინტერესებს იცავს. ჩვენ იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ პლურალიზმი უმცირესობას მართვის საშუალებას ანიჭებს.

არადემოკრატიული მოდელი: ელიტარული თეორია

თუ პლურალისტური დემოკრატია ანიჭებს უმცირესობას მართვის საშუალებას, მაშინ რით განსხვავდება ის ელიტარული თეორიისაგან ანუ იმ თვალსაზრისისაგან, თითქოს ადამიანთა მცირე ჯგუფი (უმცირესობა) პასუხისმგებელია ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებისათვის? ელიტარული თეორიის შესაბამისად, ხელისუფლების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს გამოკვეთილი და სტაბილური უმცირესობა, რომელსაც გააჩნია გარკვეული მახასიათებლები, ჩვეულებრივ, დიდი სიმდიდრე და საქმიანი კავშირები*.

ელიტარული თეორია ამტკიცებს, რომ ამერიკაში ძალაუფლება ხელთ უჭყრია რამდენიმე პიროვნებას, რომლებიც აკონტროლებენ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საფინანსო, კავშირგაბმულობის, სამრეწველო და სამთავრობო დაწესებულებებს. მათი ძალაუფლება მომდინარეობს ამერიკის უდიდესი კორპორაციების უზომო სიმდიდრიდან და იმის შეგნებიდან, რომ ამ კორპორაციების განუწყვეტელ წარმატებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის ზრდისათვის. შიდა წრე, რომელიც შედგება კორპორაციების წამყვანი ხელმძღვანელებისაგან, წარმოადგენს არა მარტო ცალკეული კომპანიების და, მთლიანად, კაპიტალიზმის ინტერესების ეფექტიან დამცველს, არამედ აგრეთვე აწვდის კადრებს უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობების დასაკავებლად, რომელთა წყალობითაც მათ შეუძლიათ კვლავ გააგრძელონ თავიანთი ინტერესების დაცვა (Usecm, 1984; Lindblom, 1977).

ელიტარული თეორიის შესაბამისად, აშშ დემოკრატია კი არა, ოლიგარქიაა. თუმცა ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ამომრჩეველები აკონტროლებდნენ

* კლასიკური წიგნი ელიტარულ თეორიაზე არის რაით მილზის „ძალაუფლების ელიტა“ (C. Wright Mills, 1956). ფაქტობრივად ელიტარული თეორია ამტკიცებს, რომ ელიტარული მართვა გარდაუვალია ნებისმიერი მთავრობისათვის, ნებისმიერი დიდი ორგანიზაციისათვისაც კი (იხ. Dye, 1990, p. 2-6).

მთავრობას არჩევნების მეშვეობით. ელიტების თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ საზოგადოების მძლავრი უმცირესობა ახერხებს საკითხების ისე ჩამოყალიბებას და ხელისუფლების შესაძლო გადაწყვეტილებების ისე შეზღუდვას, როგორც მათ ინტერესებს შეეფერება. აშკარაა, რომ ელიტარული თეორია აღწერს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც არადემოკრატიულად მოქმედებს.

ელიტარული თეორია მრავალ ადამიანს მოსწონს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც სჯერა, რომ სიმდიდრე ბატონობს პოლიტიკაში. და მაინც, ეს თეორია სუსტია მაშინ, როცა მისი მეშვეობით ცდილობენ ახსნან პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფართო სპექტრი.

გადაწყვეტილებების მიღების გულდასმით შესწავლა ამერიკული ქალაქების მაგალითზე, რომლებიც უფრო მეტად უნდა ექვემდებარებოდეს ელიტარულ მართვას, ვიდრე მთლიანად სახელმწიფო, გვიჩვენებს, რომ წარმატებას სხვადასხვა საკითხებზე სხვადასხვა ჯგუფები აღწევენ (Dahl, 1961; Polsky, 1980). როგორც ჩანს, იგივე ხდება ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნულ დონეზეც. მაგალითად, ნაუთომის, ქიმიური და ფოლადის მრეწველობის გიგანტური კომპანიები ყოველთვის ვერ ზეიმობენ გამარჯვებას გარემოს დამცველთა ჯგუფებზე ჰაერის დაბინძურების საკითხებში. ის კი, რაც ერთ დროს ქვეყნის უდიდეს კორპორაციას წარმოადგენდა – AT&T (ამერიკის ტელეფონი და ტელეგრაფი), იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის სატელეფონო მონოპოლიაზე იმ სასამართლო პროცესის შედეგად, რომელიც მის წინააღმდეგ წამოიწიეს კავშირგაბმულობის ბევრად უფრო პატარა კომპანიებმა.

სამთავრობო გადაწყვეტილებების შესახებ მრავალ სხვადასხვა საკითხზე არსებული მასალა საერთოდ არ ადასტურებს ელიტარულ თეორიას იმ მნიშვნელობით მაინც, თითქოს აშკარად გამოხატული მმართველი ელიტა გავლენას ახდენდეს მთავრობის პოლიტიკაზე.

გასაკვირი არაა, რომ ელიტების თეორეტიკოსები უარყოფენ ამ ლოგიკას. ისინი ამტკიცებენ, რომ ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების შესწავლა ადეკვატურად ვერ აფასებს მმართველი ელიტის გავლენას. ისინი უფრო იმას ამტკიცებენ, რომ ელიტას ძალუძს არ დააყენებინოს ნებისმიერი საკითხი პოლიტიკურ დღის წესრიგში. ეს იმას ნიშნავს, რომ ელიტა თავისი ძალაუფლების გამოყენებით ახერხებს შეინარჩუნოს პრივილეგიებული პოზიცია, არ მისცეს ხალხს საშუალება კითხვის ქვეშ დააყენოს ამერიკული კაპიტალიზმის საფუძვლები (Bachrach and Baratz, 1962; Gaventa, 1980).

შესაბამისად, ელიტარული თეორია არ მომკვდარა, მას ისევ აქტიურად უჭერენ მხარს ამერიკული პოლიტიკის რადიკალური კრიტიკოსები (Dolbear, 1984; Greenberg, 1986). თუმცა, ჩვენ არ გვკონია, რომ სამეცნიერო არგუმენტაცია ადასტურებს ელიტარულ თეორიას, მაინც ვადიარებთ, რომ თანამედროვე ამერიკული პლურალიზმი უპირატესობას, სხვების საზიანოდ, საზოგადოების ცალკეულ სემენტს ანიჭებს. ღარიბები ქრონიკულად არაორგანიზებული არიან და არ არიან კარგად წარმოდგენილი რომელიმე დაინტერესებული ჯგუფით. მეორეს მხრივ, ბიზნესი ძალიან კარგად არის წარმოდგენილი პოლიტიკურ სისტემაში. დაინტერესებული ჯგუფების ბევრი ისეთი მკვლევარი, რომელიც

უარყოფს ელიტარულ თეორიას, ასევე ასაბუთებს, რომ ბიზნესმენები ბევრად უკეთაა წარმოდგენილი პოლიტიკაში, ვიდრე საზოგადოების რომელიმე სხვა სექტორი (Schlozman and Tiemey. 1986). ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ პლურალისტური დემოკრატიის თეორიას, როგორც ამერიკული პოლიტიკის საკმაოდ ზუსტ აღწერას, და სულაც არ ვამტკიცებთ, რომ ყველა ჯგუფი ერთნაირად კარგადაა წარმოდგენილი პოლიტიკურ სისტემაში.

ელიტარული თეორია პლურალისტურის წინააღმდეგ

ძირეული განსხვავება ელიტარულ და პლურალისტურ თეორიებს შორის მდგომარეობს მმართველი უმცირესობის ხანგამძლეობაში. ელიტარული თეორიისგან განსხვავებით, პლურალისტური თეორია ხელისუფლების კონფლიქტს უპირისუფლებს და უმრავლესობის კონფლიქტად არ წარმოსახავს. პირიქით, ის ხელაძეს მრავალ სხვადასხვა უმცირესობას, რომლებიც ექიშებიან ერთმანეთს პოლიტიკის სხვადასხვა არეებში. თუმცა, ზოგიერთ ჯგუფს ხელისუფლებაში „უკეთესი კავშირების“ მეოხებით შეუძლია მეტი წარმატების მიღწევა ცალკეულ საკითხებში, ვერც ერთი გამოკვეთილი ელიტა ვერ იმარჯვებს ზედიზედ მრავალ სხვადასხვა საკითხში. ამგვარად, პლურალისტული მოდელი უარყოფს ელიტარული თეორიის ამოსავალ დებულებას იმის შესახებ, თითქოს ერთადერთი ჯგუფი დომინირებს სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებისას. ამის საწინააღმდეგოდ, პლურალისტური დემოკრატია ღირსებად აქცევს ბრძოლას უმცირესობათა ინტერესებს შორის. ის მხარს უჭერს ისეთ მთავრობას, რომელიც ხელს უწყობს ასეთ ბრძოლას და თავის მოქმედებაში ეყრდნობა ამ ბრძოლის შედეგს. პლურალისტური დემოკრატიის შესაბამისად, ფართო საზოგადოებას ყველაზე კარგად ემსახურებიან მაშინ, როდესაც ხელისუფლების სტრუქტურა სხვადასხვა ჯგუფებს აძლევს თავისი მოთხოვნების წამოყენების საშუალებას ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ პლურალისტული დემოკრატია არ იჩემებს, რომ ყველა ჯგუფს ერთნაირი გავლენა აქვს სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღებისას. პოლიტიკურ ბრძოლაში მდიდარ, კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს გააჩნიათ თანდაყოლილი უპირატესობა უფრო ღარიბ, ცუდად ორგანიზებულ ჯგუფებთან შედარებით. ფაქტობრივად, მოსახლეობის არაორგანიზებულ სეგმენტებს ისიც კი არ შეუძლიათ, რომ თავიანთი წუხილი მთავრობის დღის წესრიგში დააყენონ. ეს არის პლურალიზმის პრინციპული სისუსტე. და მაინც, პლურალისტები ამტკიცებენ, რომ სანამ ყველა ჯგუფს შეუძლია მთელი ძალისხმევით მონაწილეობის მიღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სახელმწიფო დემოკრატიულია.

დემოკრატიები მსოფლიოში

ჩვენ შემოგთავაზებთ დემოკრატიული მთავრობის ორი მოდელი. მაქორიტარული მოდელი ეთანხმება წარმომადგენლობითი მთავრობის კლასიკურ დემოკრატიულ თეორიას. ამ მოდელის შესაბამისად, დემოკრატია უნდა იყოს

მმართველობის ისეთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს უკუკავშირი უმრავლესობის აზრთან. პლურალისტური მოდელის შესაბამისად, მთავრობა დემოკრატიულია, თუ ის აძლევს უმცირესობის დაინტერესებულ ჯგუფებს თვითორგანიზაციისა და ხელისუფლებისადმი თავისი მოთხოვნების თავისუფალი წარდგენის საშუალებას. რეალურად ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აღწევს უკუკავშირის ისეთ მაღალ დონეს, რომელსაც მოითხოვს დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი. ისიც მართალია, რომ არც ერთი ხელისუფლება არ აძლევს ყველა მოქიშვე დაინტერესებულ ჯგუფს წინადადებების სრული და თანასწორი წარდგენის საშუალებას, როგორც ამას მოითხოვს ოპტიმალურად დემოკრატიული პლურალისტური მოდელი. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ზოგიერთი სახელმწიფო იმდენად უახლოვდება ამ იდეალებს, რომ მათი განხილვა შეიძლება როგორც პრაქტიკულად არსებული დემოკრატიებისა.

ხელისუფლების დემოკრატიულობის შემოწმება

როგორ შეიძლება იმის დადგენა, თუ რომელი ქვეყანა დემოკრატიული? ხელისუფლების უკუკავშირის ან ხელმისაწვდომობის დონის უშუალოდ გაზომვა არ შეიძლება. ასე, რომ, უნდა გამოვიყენოთ არაპირდაპირი შეფასებები. ერთი შეფასება მდგომარეობს იმ თვისებების მოძებნაში, რომელიც ნორმალურ პირობებში დაკავშირებულია დემოკრატიულ ხელისუფლებასთან – რომელი თვალსაზრისითაც არ უნდა იყვნენ განხილულნი – პროცედურულით თუ არსისეულით. ერთმა მკვლევარმა, მაგალითად, შეიმუშავა დემოკრატიის ხუთი კრიტერიუმი (Powell, 1982):

1. *მოზრდილთა უმეტესობას შეუძლია მონაწილეობდეს საარჩევნო პროცესში* (მოიცავს საყოველთაო მონაწილეობის პრინციპს);
2. *ხმის მიცემა საიდუმლოა და თავისუფალია ძალდატანებისგან* (მოიცავს პოლიტიკური თანასწორობის პრინციპს);
3. *ხელმძღვანელებს ირჩევენ თავისუფალი არჩევნების გზით, რომელშიც მონაწილეობას იღებს, სულ ცოტა, ორი მეტოქე პარტია* (მოიცავს უმრავლესობის მმართველობის პრინციპს).
4. *ხელისუფლება თავის ლეგიტიმურობას აყუქნებს მოქალაქეთა სურვილებზე* (მოიცავს უკუკავშირის პრინციპს).
5. *მოქალაქეები, ხელმძღვანელები და პარტიების თანამდებობის პირები სარგებლობენ სიტყვის, პრესის, შეკრების, რელიგიისა და გაერთიანების ძირითადი თავისუფლებით* (არსისეული პოლიტიკა, რომელიც ქმნის პირობას სხვა კრიტერიუმების ცხოვრებაში გასატარებლად).

იმის გამო, რომ შეერთებული შტატები საკმაოდ მაღალ დონეზე აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ეს ქვეყანა შეიძლება დემოკრატიულად ჩაითვალოს. როგორ აქვთ საქმე მსოფლიოს სხვა ქვეყნებს? იგივე სტანდარტების გამოყენებით, რაც ზევით იყო ნახსენები, ერთი მეცნიერი გამოყოფს მხოლოდ 18 ქვეყანას იმათ შორის, რომელთა მოსახლეობაც 3 მილიონს აღემატება (შეერ-

თებული შტატების გარდა), როგორც დემოკრატიულს (Lijphart, 1984). ამ სახელმწიფოებს გააჩნიათ პოლიტიკური თანასწორობისა და თავისუფალი არჩევნების ტრადიციები, იქ ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

ნებისმიერი გამოთვლით, დემოკრატიული სახელმწიფოები შედარებით იშვიათია. ამასთან ერთად, როდესაც ყოფილი სოციალისტური ბლოკის ბევრი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს რეალურ დემოკრატიებად გადაქცევის მიზნით, მსოფლიო პოლიტიკური განვითარების ტენდენციაც უფრო დემოკრატიზაციისაკენაა მიმართული. ქვემოთ მოყვანილი ხუთი კრიტერიუმიდან ოთხი უფრო ხელისუფლების პროცედურულ საკითხებს ეხება, ვიდრე ხელისუფლების პოლიტიკას. მაგრამ ყველა ეს კრიტერიუმი ერთნაირად ესადაგება დემოკრატიის მაჟორიტარულ და პლურალისტურ მოდელებს. ამიტომ, ამ კრიტერიუმების შესაბამისად, შეერთებული შტატები აშკარად შეიძლება იქნეს აღიარებული, როგორც დემოკრატია. მაგრამ ამ კრიტერიუმების გამოყენება იმის შესაფასებლად – მაჟორიტარულ დემოკრატიასთან უფრო ახლოსაა ქვეყანა თუ პლურალისტულთან – შეუძლებელია.

ამერიკული დემოკრატია: უფრო პლურალისტური, ვიდრე მაჟორიტარული

უაზრო არ იქნება შეკითხვა: პრაქტიკულად, რა სახის დემოკრატიაა შეერთებულ შტატებში? პასუხი ამ შეკითხვაზე დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ შეიძლება ვუწოდოთ ჩვენს ხელისუფლებას დემოკრატიული, მიუხედავად პოლიტიკაში მოქალაქეთა დაბალი დონის მონაწილეობისა და ხელისუფლების არაერთი ისეთი ქმედებისა, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ აზრს. პასუხი აგრეთვე შეიძლება დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ რატომაა მრავალი ამერიკელი ასე უკმაყოფილო აქ არსებული ხელისუფლების დემოკრატიულობის ფორმით. როგორც ნაჩვენებია ჩანართში („რას შევადაროთ?“ 1.1), ეროვნული მასშტაბით გამოკითხულთა მხოლოდ 59 პროცენტია კმაყოფილი დემოკრატიის მოქმედებით შეერთებულ შტატებში.

ამ წიგნის მომდევნო ფურცლებზე ჩვენ ვცდილობთ იმის განსაზღვრას, თუ დემოკრატიის ორი ალტერნატიული მოდელიდან რომელს უკეთ მიესადაგება შეერთებულ შტატებში არსებული დემოკრატია – მაჟორიტარულსა თუ პლურალისტურს? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოლიტიკური სისტემა შეერთებულ შტატებში ნაკლებად შეესაბამება დემოკრატიის მაჟორიტარულ მოდელს და ძალიან კარგად ემთხვევა პლურალისტულ მოდელს. მაშინ, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ეროვნული მასშტაბით გამოკითხვის დროს უმდიდრესი ჯგუფის რესპონდენტების 80 პროცენტი კმაყოფილი იყო დემოკრატიის მოქმედებით შეერთებულ შტატებში, ხოლო უღატაკეს ჯგუფში – მხოლოდ 43 პროცენტი (Gallup, 1985). მართლაც, როგორც ერთხელ აღნიშნა მაჟორიტარული დემოკრატიის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა: „პლურალისტური სამოთხის ხარვეზი იმაშია, რომ სამოთხის გუნდი აშკარად მაღალი კლასების აქცენტით გალობს“ (Schattschneider, 1968). ამერიკული დემოკრატიის პლურალისტური ბუნების ეს

რას შევადაროთ? 1.1.

თავისუფლებისა და თანასწორობის, როგორც პოლიტიკური ფასეულობების, მნიშვნელობა


თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ თერთმეტ სხვა ქვეყანაში მოქალაქეთა წარმოდგენებთან შედარებით ამერიკელები სხვებზე მეტად აფასებენ თავისუფლებას. რესპონდენტებს ყოველ ქვეყანაში დაუსვეს შეკითხვა, მოცემული მტკიცებებიდან რომელს ეთანხმებიან.

- „ჩემი აზრით, - ორივე მნიშვნელოვანია - თავისუფლებაც და თანასწორობაც, მაგრამ თუ მე არჩევანის წინაშე დავდგები, პიროვნულ თავისუფლებას უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნევ, ე.ი. ყველას შეუძლია იცხოვროს თავისუფლად და დაუბრკოლებლად განვითარდეს“.
- „რასაკვირველია, ორივე მნიშვნელოვანია - თავისუფლებაც და თანასწორობაც. მაგრამ თუ მე არჩევანის წინაშე დავდგები, მე თანასწორობას უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნევ, ე.ი. არავინ არ უნდა იყოს მოკლებული პრივილეგიებს და სოციალური კლასების განსხვავებები არ უნდა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი“.

ამერიკელებმა ამოირჩიეს თავისუფლება თითქმის 3 ხმით 1-ის წინააღმდეგ, მათ ფეხდაფეხ მოსდევდნენ ბრიტანელები. არც ერთმა სხვა ერმა არ გამოავლინა ასეთი ძლიერი ლტოლვა თავისუფლებისაკენ, ხოლო სამი ქვეყნის მოქალაქეებმა თანასწორობა ამჯობინეს თავისუფლებას. როდესაც ამ შედეგებს განვიხილავთ, აშკარა ხდება, რომ თავისუფლების, როგორც პოლიტიკური კონცეფციის მნიშვნელობა შეერთებული შტატებისათვის ძალზე დიდია.

შეფასება, შესაძლოა, თქვენთვის ბევრს არ ნიშნავდეს. მაგრამ თქვენ შეიტყობთ, რომ პლურალისტური მოდელი აძლევს შეერთებულ შტატებს ბევრად უფრო დემოკრატიულ სახეს, ვიდრე მაჟორიტარული მოდელი. ბოლოს და ბოლოს, თქვენ უნდა უპასუხოთ შემდეგ სამ კითხვას: არის თუ არა პლურალისტური მოდელი დემოკრატიის ადეკვატური გამოხატულება, თუ ის კლასიკური იდეალების დამახინჯებაა, მოგონილი იმისათვის, რომ ამერიკა დემოკრატიულ ქვეყნად წარმოაჩინოს მაშინ, როცა სინამდვილეში ის დემოკრატიული არ არის? მართალია თუ არა ის, რომ მაჟორიტარული მოდელი დემოკრატიის „უკეთესი“ ტიპია? თუ ასეა, იქნებ შეიძლებოდეს ისეთი ახალი მექანიზმების გამოგონება, რომლის შედეგად შეიძლება მივიღოთ მაჟორიტარული მართვისა და უმცირესობათა უფლებების სასურველი ნარევი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამუდმებით უნდა ვფიქრობდეთ. ამაში თქვენ დაგეხმარებათ ამერიკული დემოკრატიის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება.

რას შევადაროთ? 1.1. (გამგრძელება)



წყარო: World Values Survey, 1981-1982. ცხრილი მოგვანჯრად პროფ. რ. ინგლჰარტმა

შეჯამება

დემოკრატია ნიშნავს მძიმე არჩევანის გაკეთებას, არჩევანისა, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან ფასეულობების კონფლიქტს. დემოკრატია განსაზღვრავს ნორმატიულ ჩარჩოებს იმ პოლიტიკური არჩევანის გასაანალიზებლად, რომელიც გამოიწვევს ხელისუფლების მიზნების მიღწევის პროცესში. ხელისუფლების სამი მთავარი მიზანია: წესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი სიკეთისა და თანასწორობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების რეალიზაციის პროცესში ყოველი ხელისუფლება გარკვეულად ხელს უწყობს პირიქედ თავისუფლებას, მაგრამ ამ ხელყოფის დონე დამოკიდებულია ხელისუფლების (და, ზოგადად, მისი მიჯა-

ლაქების) წვლილზე წესრიგსა და თანასწორობაში. ჩვენ, შესაბამისად, ვაგვიანსა ორი დილემა: ჯერ თავდაპირველი დილემა, ფოკუსირებული კონფლიქტზე თავისუფლებასა და წესრიგს შორის, შეიძლება, - თანამედროვე დილემა, ფოკუსირებული კონფლიქტზე თავისუფლებასა და თანასწორობას შორის.

აღამიანთა გარკვეულ წრეებს გააჩნია პოლიტიკური იდეოლოგიები, რომლებიც ეხმარება მათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წამოჭრილი კონფლიქტების გადაჭრისას. ეს იდეოლოგიები განსაზღვრავს მთავრობის მოქმედების სფეროსა და მიზანს. კონტინუუმის ერთ ბოლოში მდებარეობს ტოტალიტა-

როზნი, რომელიც მხარს უჭერს ხელისუფლების ჩარევას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო მეორე ბოლოში - ანარქიზმი, რომელიც ხელაღებით უარყოფს ხელისუფლებას. ტოტალიტარიზმიდან წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სოციალიზმი. დემოკრატიული სოციალიზმი მხარს უჭერს სახელმწიფოს საკუთრებას ძირითად საწარმოებზე, მაგრამ ანარქისტებს საღივალაქო თავისუფლებებს. კაპიტალიზმი, კიდევ ერთი ეკონომიკური სისტემა, წინ სწევს კერძო მწარმოებას. ანარქიზმიდან წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის ლიბერტარიზმი, რომელიც ხელისუფლებისგან მოითხოვს მხოლოდ სიცოცხლისა და საკუთრების დაცვას, მაგრამ ხელისუფლება სხვა არაფრისთვის არ სჭირდება.

შეერთებულ შტატებში ტერმინები „ლიბერალური“ და „კონსერვატიული“ იხმარება პოლიტიკური სპექტრის ცენტრთან განლაგებული ვიწრო მონაკვეთის აღსაწერად. ლიბერალები მხარს უჭერენ ხელისუფლების უფრო ფართო როლს, ვიდრე კონსერვატორები. მაგრამ უფრო ადვილია ამ მიმდინარეობებს შორის განსხვავებების და მთავრობის შესახებ მათი თვალსაზრისის გაცემა, თუკი თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ცნებებს შევითვლით პოლიტიკური იდეოლოგიების განმარტებაში. ლიბერტარელები აფასებენ თავისუფლებას წესრიგსა და თანასწორობაზე მეტად, პოპულისტები კი მზად არიან შესწირონ თავისუფლება წესრიგსა და თანასწორობას. ლიბერალები თავისუფლებას და თანასწორობას უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე წესრიგს; კონსერვატორები თავისუფლებას და წესრიგს აფასებენ თანასწორობაზე მეტად.

შეერთებულ შტატებში მმართველობითი პროცესის შეფასების დროს, მკვლევართა უმეტესობას ეს ქვეყანა მსოფლიოს ძალიან მცირერიცხოვან დემოკრატიასთან სიაში შეეყავს. მაგრამ, საკითხავია, რა სახის დემოკრატია წარმოადგენს ეს ქვე-

ყანა? პასუხი დამოკიდებულია დემოკრატის განმარტებაზე. ზოგიერთს სჯერა, რომ დემოკრატია უფრო პროცედურებში ვლინდება: ისინი განმარტავენ დემოკრატია, როგორც მმართველობის ისეთ ფორმას, როდესაც ხალხი მართავს განსაზღვრულ ინსტიტუციური მექანიზმების მეშვეობით. სხვები ერთგული არიან არსისეული თეორიისა და ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება დემოკრატიულია, თუკი მისი პოლიტიკა ხელს უწყობს სამოქალაქო თავისუფლებას და პიროვნულ უფლებებს. ამ წიგნში ჩვენ ვიყენებთ დემოკრატის „პროცედურულ კონცეფციას და ზღვარს ვაგლეო უშუალო და შუალობით (წარმომადგენლობით) დემოკრატია შორის.

დემოკრატის პროცედურულმა თეორიამ წარმოქმნა დემოკრატიული ხელისუფლების ერთმანეთს დაპირისპირებული მოდელები. კლასიკური მთავორტარული მოდელი გულისხმობს, რომ ხალხი გათვითცნობიერებულია ხელისუფლების შესახებ და სურს მონაწილეობდეს პოლიტიკურ პროცესში, და რომ ხალხი ფრთხილად და გონიერულად აკეთებს არჩევანს კანდიდატებს შორის. დემოკრატის პლურალისტური მოდელი ამტკიცებს, რომ რთულ საზოგადოებაში დემოკრატია მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლება ნებას რთავდეს კერძო ინტერესებს მთავრობის თვითორგანიზება და ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები წარადგინონ ღია პოლიტიკურ ასპარეზზე.

რა არის უკეთესი: გმართავდეს ისეთი მთავრობა, რომელიც ანიჭებს პიროვნებას ქვეყნის სრულ თავისუფლებას თუ გმართავდეს ისეთი მთავრობა, რომელიც ცხოვრებაში ატარებს მკაცრ კანონსა და ამყარებს წესრიგს?

რა არის უკეთესი: ნება დართო ფირმებსა და კერძო კლუბებს თვითონ აირჩიონ თავიანთი მომხმარებლები და წევრები, თუ მიიღო კანონები, რომლებიც მოითხოვენ ამ კლუბებისგან და ფირმებისგან ცნონ და მიემსახურონ ყველას, განურჩევლად რასისა და სქესისა?

რომელი ხელისუფლებაა უკეთესი: ის, რომელიც მხედველობაში იღებს საზოგადოებრივ აზრს ყველა საკითხზე, თუ ის, რომელიც ეხმინება მხოლოდ ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ეფექტიანად ასახულებენ თავის მოთხოვნებს?

თუ ამ წიგნის ბოლოს თქვენ გაერკვევით იმ საკითხებში, რომლებიც ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ, მაშინ თქვენ ბევრი რამ გისწავლიათ ამერიკული ხელისუფლების შესახებ.

საკვანძო ტერმინები

ხელისუფლება, მთავრობა
 წესრიგი
 კომუნისმი
 საზოგადოებრივი სიკეთე
 კეთილდღეობის სახელმწიფო
 რაიმე თავისუფლება
 თავისუფლება რაიმესგან
 პოლიციის ძალა
 პოლიტიკური თანასწორობა
 სოციალური თანასწორობა
 შესაძლებლობის თანასწორობა
 შედეგის თანასწორობა
 უფლებები
 პოლიტიკური იდეოლოგია
 ტოტალიტარიზმი
 სოციალიზმი
 დემოკრატიული სოციალიზმი
 კაპიტალიზმი
 ლიბერტარიზმი
 laissez faire
 ანარქიზმი
 ლიბერტარელები
 ლიბერალები
 კონსერვატორები
 პოპულისტები
 ავტოკრატია
 ოლიგარქია
 დემოკრატია
 დემოკრატიის პროცედურული თეორია
 საყოველთაო მონაწილეობა
 უმრავლესობის მმართველობა
 უშუალო დემოკრატია
 წარმომადგენლობითი დემოკრატია
 უკუკავშირი
 დემოკრატიის არსისეული თეორია
 უმცირესობის უფლებები
 დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი
 რეფერენდუმი
 დაინტერესებული ჯგუფები
 დემოკრატიის პლურალისტული მოდელი
 ელიტარული თეორია

government
 order
 communism
 public goods
 welfare state
 freedom to
 freedom from
 police power
 political equality
 social equality
 equality of opportunity
 equality of outcome
 rights
 political ideology
 totalitarianism
 socialism
 democratic socialism
 capitalism
 libertarianism
 laissez faire
 anarchism
 libertarians
 liberals
 conservatives
 populists
 autocracy
 oligarchy
 democracy
 procedural democratic theory
 universal participation
 majority rule
 direct democracy
 representative democracy
 responsiveness
 substantive democratic theory
 minority rights
 majoritarian model of democracy
 referendum
 interest groups
 pluralist model of democracy
 elite theory

კონსტიტუცია



2

ღამის ქურდებმა შეცდომა დაუშვეს, რამაც ისინი ციხის საკანში მიიყვანა. ეს მოხდა 1972 წლის 12 ივნისს დილის ადრეულ საათებში. ამ ფაქტს შედეგად მოჰყვა კონსტი-

ტუციური კონფლიქტი, რომელშიც ჩარეული აღმოჩნდნენ შეერთებული შტატების პრეზიდენტი, კონგრესი და სასამართლო. ქურდების შეცდომა ერთი შეხედვით უმნიშვნელო იყო. მათ წინდაუხედავად დასტოვეს ზონრის ნაწილი იმ კარის საკეტზე, რომლითაც შევიდნენ უოთერგეითის ოფისებისა და საცხოვრებელი ბინების კომპლექსში, ქალაქ ვაშინგტონში. დაცვის თანამშრომელმა აღმოაჩინა ეს სამხილი და გამოიძახა პოლიცია, რომელიც ღამის სამის ნახევარზე თავზე დაადგა ქურდებს დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კომიტეტში და დააპატიმრა ხუთი კაცი.

ის, რაც ამას მოჰყვა, ასახულია ჩანართში 2. 1. აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ უოთერგეითის საქმემ თანამედროვე ამერიკული ხელისუფლების კონსტიტუციური წესრიგი დააყენა უმკაცრესი გამოცდის წინაშე. ინციდენტი საბოლოოდ გადაიზარდა სერიოზულ ბრძოლაში კანონის უზენაესობისათვის, ერთის მხრივ, პრეზიდენტის ხელისუფლებასა და, მეორეს მხრივ, კონგრესსა და სასამართლოს შორის. პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა სცადა თავისი თანამდებობა გამოეყენებინა საარჩევნო პროცესში აშკარა ჩარევის ფაქტის დასაფარა-

ვად. საბოლოოდ ყველას ჩამოეხსნა ნილაბი ამერიკის კონსტიტუციისა და იმ ლიდერთა მეშვეობით, რომელთაც ამ კონსტიტუციისა სჯეროდათ. ხელისუფლებათა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო განმტოებებად დაყოფისა და გამოიჯენის კონსტიტუციურმა პრინციპმა ხელი შეუშალა პრეზიდენტს გავლენა მოეხდინა უოთერგეთის გამოძიებაზე. ურთიერთშეკავებისა და ურთიერთაწონასწოების (checks and balance) პრინციპმა საშუალება მისცა კონგრესს დამუქრობდა პრეზიდენტ ნიქსონს იმპიჩმენტითა და თანამდებობიდან გადაყენებით. იმის რწმენამ, რომ ნიქსონმა მართლაც დაარღვია კონსტიტუცია, საბოლოოდ გადაწყვეტინა მისივე (რესპუბლიკური) პარტიის წევრებს მხარი დაეჭირათ იმპიჩმენტისათვის.

ნიქსონი გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან მისი მეორე ვადით არჩევის წლინახევარზე ოდნავ მეტი ხნის შემდეგ. ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფლების ასეთი უწყველო შეცვლა იმის საბაბს იძლევა, რომ მოხდეს სასახლის გადატრიალება, შეიარაღებული აჯანყება და დამყარდეს სამხედრო დიქტატურა. მაგრამ აშშ-ში ნიქსონის გადადგომას არავითარი პოლიტიკური ძალადობა აქ მოჰყოლია, უფრო მეტიც, არავინ არ ელოდა გადატრიალებას. კონსტიტუციერ წესრიგს ამერიკაში მკაცრი გამოცდის ჩაბარება მოუწია და მან გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.

ამ თავში დასმულია რამდენიმე კითხვა ამერიკის კონსტიტუციის ირგვლივ. როგორ წარმოიშვა კონსტიტუცია? რა ფორმა მიიღო მან? როგორ იცვლება? რა ფასეულობებს ასახავს? დემოკრატიის რომელ მოდელს – მაჟორიტარულს თუ პლურალისტურს – მიესადაგება უკეთ ეს კონსტიტუცია?

ჩანართი: 2.1.

უოთერგეთის შემადრწუნებელი ფაქტები უცნობი იყო, სანამ 1972 წლის ნოემბერში რიჩარდ ნიქსონი ხელშეორე ვადით არ აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობაზე. ორი თვის შემდეგ, 1973 წლის 7 იანვარს შვიდი პიროვნება მიეცა სამართალში შენობაში უკანონო შეჭრისათვის, მათ შორის იყო ხეობსხენებული ხუთი ქურდი და პრეზიდენტთან დაახლოებული ორი პირი: ე. პიუარდ ჯანტი - ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს ყოფილი აგენტი და თეთრი სახლის კონსულტანტი და გ. გორდონ ლიდი - პრეზიდენტის საარჩევნო კომიტეტის მრჩეველი. ქურდებმა თვითონ აღიარეს დანაშაული, ხოლო ჯანტსა და ლიდის ნაფიც მსაჯულოა სასამართლომ დაადო მსჯავრი. წერილში მოსამართლის მიმართ ერთ-ერთმა ქურდმა განაცხადა, რომ იგი აიბუღეს თავი დამნაშავედ ეცნო, რომ ცრუ ჩვენება სასამართლო პროცესის დროს მოხდა და შენობაში შეჭრისათვის სხვებიც იყვნენ დამნაშავენი. სენატმა საქმის საკუთარი გამოძიება დაიწყო: შეიქმნა კომისია საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის შესასწავლად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სენატორი-დემოკრატო ნრდოილიუ კეროლიანის შტატიდან - სემ ბრენინი.

ფაქტები, რომლებიც გამოამბუერა ირვინის კომისიამ, შემადრწუნებელი აღმოჩნდა. ნიქსონის საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ჯებ მაგრუდერმა აღიარა ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი და დააბრალა კამპანიის საერთო ხელმძღვანელის (ყოფილი თუსტიციის მინისტრის) - ჯონ მიტჩელს, რომ მან დაგვემა უოთერგეთის ოფისის გატეხვა; პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველმა ჯონ დინმა კი განაცხადა, რომ პრეზიდენტი უკვე 8 თვეა მინაწილობს ამ დანაშაულის დაფარვაში. გამოშვლავნდა სხვა „პოლიტიკური ქურდობები“ და სახელმწიფო დეპარტამენტის დეპუტების გაყვლებაც კი.

გაოცებულმა ქვეყანამ, რომელიც ტელევიზიით ადენებდა თვალს ამ პროცესს,

შეიტყო, რომ პრეზიდენტი საიდუმლოდ ისწავდა მავნიტოფორზე ყველა თავის საუბარს თეთრ სახლში. ირვინის კომისიამ მოითხოვა ეს ჩანაწერები. ნიქსონმა უარი განაცხადა მათ გადაცემაზე, დაიშურა ხელისუფლებათა გამაჯუნა საკანონმდებლო და ამბარულუბელ განმტოლებად და მოითხოვა თავისი „ამასრულებლის პროცედურები“, რათა არ გადაეცა ინფორმაცია კონგრესისათვის.

ამ დაკიდარბის დროს გადადგა ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტი სპირო ტ. ეგნიუ, რომლის მიერაც სამუქოსავლო გადასახლებისაგან თავის არიდების ფაქტებს იძიებდა სასამართლო. კონსტიტუციის XXV დამატება (1967 წ.) პრეზიდენტს უფლებას აძლევდა კონგრესის თანხმობით ახალი ვიცე-პრეზიდენტი შეერჩია. ნიქსონმა დაასახელა ჯერალდ ფორდი, იმ დროს რესპუბლიკელთა ფრაქციის ლიდერი წარმომადგენელთა პალატაში. 1973 წლის დეკემბერს ფორდი გახდა პირველი დანიშნული (და არა არჩეული) ვიცე-პრეზიდენტი ქვეყნის ისტორიაში.

ამასობაში ნიქსონი ებრძოდა კომისიას, რომელიც მისგან მოითხოვდა თეთრი სახლის მავნიტოფორებს. მას შემდეგ, რაც ფელქრალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიქსონს ზოგიერთი ჩანაწერი უნდა გადაეცა კომისიისათვის, პრეზიდენტმა კომპრომისი შესთავაზა: იგი გადასცემდა მავნიტოფორის ჩანაწერებს ქვეყნულზე გადატანულ რეზიუმეს არჩივალ კოქსმა, გენერალური პროკურორის სამსახურის საგანგებო პროკურორმა, უარყო ეს კომპრომისი. ნიქსონმა სამაგიერო გადაუხადა ე. წ. „მაბათ საღამოს ზოცვა-ველტით“; გენერალური პროკურორი უილიამ ლ. რიჩარდსონი და მისი მთავალეუ აიძულეს გადასდგარიყენენ, არჩივალ კოქსი დაითხოვეს სამსახურიდან, ხოლო საგანგებო პროკურორის სამსახური საერთოდ გაუქმდა.

ამას მოჰყვა საფუყელთაო აღშფოთება, რამაც აიძულა ნიქსონი დაეინშა ახალი საგანგებო პროკურორი - ლეონ ჯექსონსკი, რომელმაც საბოლოოდ წარუდგინა ბრალდება ნიქსონის უახლოეს თანამშეყებს. თეთრ ნიქსონი გამოცხადებულ იქნა „თანამზრახველად, რომელსაც არ შეიძლება ბრალი დაედოს“ როგორც საგანგებო პროკურორმა, ისე დამცველებმა კვლავ მოითხოვეს თეთრი სახლის მავნიტოფორები, მაგრამ ნიქსონი განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას. ბოლოს და ბოლოს 1974 წლის 24 ივნისს უხუცაქმა სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტი ვალდებულია გასცეს მავნიტოფორები. თითქმის იმავე დროს პალატის იურიდიულმა კომისიამ ხმის უმრავლესობით რეკომენდაცია მისცა მთელ პალატას, წაეყენებინა ნიქსონისათვის იმპიჩმენტი, ანუ ბრალი დაედო მისთვის სამ დანაშაულში: უოთერგეითის ოფისში შეჭრის გამოძიების ხელის შეშლასა და დაბრკოლებას; თანამდებობის ბორცვად გამოყენებისა და მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების არაერთგზის დარღვევას; პალატის მიერ დანიშნული კომისიის უპატივცემულობაში.

იურიდიული კომისიის გადაწყვეტილება საბოლოო იყო, თუმცა ის სულაც არ მიიღია ერთსულყოლად. მაგრამ 1974 წლის 5 აგვისტოს კომისიამ და მიიღმა ქვეყანამ საბოლოოდ შეიტყო მავნიტოფორების შინაარსი. მათ გამოააშკარავეს, რომ ნიქსონი მონაწილეობდა უოთერგეითის საქმის მიჩქმალვაში 1972 წელს 23 ივნისიდან, შერბობაში შეჭრის სულ ექვსი დღის შემდეგ. მას, ასევე, გაუცია ბრძანება გამოიძიების ფედერალური ბიუროსათვის: მეტად აღარ ჩაუღრმავლეთ ამ საქმეს; ახლა ვეყვი იურიდიული კომისიის ის 11 რესპუბლიკელი წევრიც კი, რომლებმაც იმპიჩმენტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მზად იყენენ დათანხმებდნენ ამ ბრალდებას.

მას შემდეგ, რაც ნიქსონმა დანახა, რომ მზარდამჭერები შეყოცალა და იმპიჩმენტი გარუყვალა, იგი გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან (1974 წლის 9 აგვისტოს). ვიცე-პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი ავტომატურად გახდა შეყრთებული შტატების პირველი აურნეული პრეზიდენტი. ერთი თვის შემდეგ, თავისი კონსტიტუციური უფლების შესაბამისად, პრეზიდენტმა ფორდმა აპატა კერძო მოქალაქე რიჩარდ ნიქსონს ყველა დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა ან შექცლია ფედერალური კანონების წინაშე. სხვები ესოდენ იღბლიანები არ აღმოჩნდნენ. ნიქსონის კაბინეტის სამ წევრს მსჯავრი დაქლო უოთერგეითის საქმეში ჩადენილი დანაშაულისათვის. ნიქსონის მიერ დანიშნული თეთრი სახლის აპარტის ხელმძღვანელი - J. რ. ჰილდემენი და ექს-პრეზიდენტის მრჩეული სამონაო საკითხებში - ჯონ ერლიქმენი მსჯავრდადებული იქნენ შეთქმულების, სასამართლისათვის ხელისშეშლისა და ცრუტყუების ბრალდებით. სხვა ოფიციალური პირებიც გაასამართლეს და უბრალუქობას სასჯელი დაადეს.

წყარო: Richard B. Morris, ed. Encyclopedia of American History. New York: Harper and Row, 1976. p. 544.

კონსტიტუციის რევოლუციური ფესვები

ამერიკის კონსტიტუციის ტექსტი (იხ. დანართი 2) შეიცავს სულ 4 300 სიტყვას. მაგრამ ეს 4 300 სიტყვა განსაზღვრავს ქვეყნის ხელისუფლების ძირეულ სტრუქტურას. ეს არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც ხელისუფლებას ყოფს სამ განშტოებად. აქ აღწერილია თითოეული ამ განშტოების უფლებამოსილება, მათი ურთიერთობა და ურთიერთქმედება მთავრობასა და ხალხს შორის. კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის ძირითად კანონს და ავალდებულებს ყველა ოფიციალურ პირს ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

ამერიკელების უმრავლესობა თავიანთს სცემს კონსტიტუციას, როგორც პოლიტიკურ „ბიბლიას“. თუ პოლიტიკურ აქციას არაკონსტიტუციურობის ბრალდებას წაუყენებენ, ეს იგივეა, რომ მას „უწმინდური“ უწოდონ. ამრიგად, კონსტიტუციამ გარკვეული სიმბოლოს სახეც მიიღო, რამაც განამტკიცა მისი, როგორც ამერიკის ხელისუფლების საფუძველის ავტორიტეტი. როდესაც საქმე ეხებოდა კონსტიტუციურ საკითხებს, კონსტიტუციის მტკიცე რწმენამ აიძულა ბევრი პოლიტიკოსი უარი ეთქვა მიკერძოებულ მიდგომაზე კონსტიტუციური პრინციპების სასარგებლოდ.

ამ კონსტიტუცია, რომელიც დაიწერა 1787 წელს შედარებით პატარა სასოფლო თემისათვის, გაფანტულად რომ ცხოვრობდა უცნობი ახალი მიწის სანაპიროს გასწვრივ, ახლა წარმართავს უზარმაზარი ურბანიზებული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას ატომურ ეპოქაში. იმისათვის, რათა სრულად გავიგოთ კონსტიტუციის და მის მიერ შექმნილი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის მიზეზი, ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი ფესვები, რომლებიც კოლონიურ ამერიკაში ძეგს.

თავისუფლება კოლონიურ ამერიკაში

თუმცა XVIII საუკუნის ამერიკელი კოლონისტები დიდი ბრიტანეთის მეფის ქვეშევრდომები იყვნენ, მათ ბევრად უფრო მეტი თავისუფლება გააჩნდათ, ვიდრე მსოფლიო ხალხების უმრავლესობას. ამერიკელ კოლონისტებს უფლება ჰქონდათ მემკვიდრეობით მიეღოთ ქონება, ევლოთ ეკლესიაში (ოღონდ ყველანაირ ეკლესიაში არა!), წამოეწყით სავაჭრო ან სხვა საქმიანობა მცირეოდენი შეზღუდვებით, რომელიც ევროპის ფეოდალური წარსულიდან იყო შემორჩენილი.

1763 წლისათვის ბრიტანეთმა და ამერიკულმა კოლონიებმა მიაღწიეს კომპრომისს საიმპერიო კონტროლსა და კოლონიურ თვითმმართველობას შორის. ამერიკის საგარეო საქმეებს და საგარეო ვაჭრობას აკონტროლებდა მეფე და პარლამენტი (ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანო); დანარჩენი ყოველივე თვითმმართველობას ექვემდებარებოდა. მაგრამ კოლონიების მმართველობის ხარჯები საგრძნობი იყო. რაზან ამერიკელები მეტი უფლებებით სარგებლობენ, მათ მეტი ხარჯიც უნდა გაიღონო – ამტკიცებდნენ მათი ინგლისელი თანამემამულენი.

რევოლუციის გზა

ბრიტანელებს სჯეროდათ, რომ კოლონიების დაბეგვრა ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საუკეთესო გზა იყო. კოლონისტები ამას არ ეთანხმებოდნენ. როგორც ადამიანთა უმრავლესობას, მათაც არ უყვარდათ გადასახადების გადახდა. განსაკუთრებით არ სურდათ, რომ ისინი დაბეგვრა შორეულ ხელისუფლებას, რომელშიც მათ არავითარი წარმომადგენლობა არ გააჩნდათ. იმ ათწლეულის განმავლობაში, რომელიც 1775 წელს სამხედრო მოქმედებების დაწყებას უსწრებდა წინ, სწორედ ამ პრობლემამ აქცია ბევრი კოლონისტი (რომლებიც ადრე ბრიტანეთის ერთგული ქვეშევრდომები იყვნენ და მხოლოდ ინგლისელებთან უფლებებში გათანაბრებას მოითხოვდნენ) რევოლუციონერად, რომლებიც ბრიტანული ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდნენ.

1773 წლის 16 დეკემბრის კოლონისტების მწვავე რეაქცია იმპორტულ ჩაიზე დაწესებულ ბრიტანული გადასახადის გამო გამოიხატა ე. წ. „ბოსტონის ჩაის სმაში“. ბრბომ დაიკავა სამი გემი და ბოსტონის ყურეში გადაუძახა ამ ძვირადღირებული საქონლით სავსე 342 ყუთს. ურჩ კოლონისტებზე ბრიტანული კონტროლის გასამტკიცებლად ლონდონის პარლამენტმა 1774 წელს მიიღო „ძულებითი“ (ან „აუტანელი“) კანონები. ერთ-ერთი კანონის ძალით ქ. ბოსტონს უწესდებოდა ბლოკადა მანამდე, სანამ იგი განადგურებული ჩაის საფასურს არ გადაიხდიდა; სხვა კანონი მეფის მიერ დანიშნულ გუბერნატორებს უფლებას აძლევდა ბრიტანელი ჯარისკაცები კერძო სახლებში ჩაეყენებინა. ახლა უკვე გადასახადების საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა; უფრო მნიშვნელოვანი გახდა კონფლიქტი ბრიტანეთის მიერ წესრიგის მოთხოვნასა და ამერიკელთა მიერ თავისუფლების მოთხოვნას შორის. ამ კონფლიქტის აღმოსაფხვრელად ვირჯინიისა და მასაჩუსეტსის ასამბლეებმა მოიწვიეს „კონტინენტური კონგრესი“ ანუ ერთობლივი ასამბლეა, რომელიც ყველა 13 ამერიკული კოლონიის ხალხის სახელით ილაპარაკებდა.

პირველი კონტინენტური კონგრესი შეიკრიბა ფილადელფიაში 1774 წლის სექტემბერში. მისი მიზანი იყო დიდ ბრიტანეთსა და ამერიკულ კოლონიებს შორის ურთიერთგაგების (პარმონიის) აღდგენა. აირჩიეს ლიდერი, რომელსაც „პრეზიდენტი“ უწოდეს (ტერმინები „პრეზიდენტი“ და „კონგრესი“ ამერიკის ხელისუფლებაში დამკვიდრდა პირველი კონტინენტური კონგრესის დროიდან). 1774 წლის ოქტომბერში დელეგატებმა მიიღეს „განცხადება უფლებებისა და პრინციპების შესახებ“, რომლის საგრძნობი ნაწილი შემდგომში „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ და „კონსტიტუციაში“ შევიდა. მაგალითად, კონგრესმა მოითხოვა „სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლება“, „მშვიდობიანი თავშეყრის, საჩივრების განხილვისა და მეფესთან შუამდგომლობის უფლება“. ამის შემდეგ კონგრესმა გადასდო სხდომები და მუშაობის განახლება დაგეგმა 1775 წლის მაისისათვის.



მხოლოდ ამერიკისათვის დამახასიათებელი პროტესტი ასკრიკლებმა პროტესტი განაცხადეს 1773 წლის „ჩაის კანონზე“ ე. წ. „ბოსტონის ჩაის სისის“ შეწყობით და დასჯის უწყველო წესის გამოყენებით. ეს იყო იგაფისეა და შებუშულა“. ა. ა. როჯერ მითითებებს იძლეოდა ერთი ადრეული ტრაქტატი დასჯის ამ წესის შესახებ. „ჯერ გააშიშვლოთ ადამიანი, შემდეგ გააცხელოთ უისი გათხეადებად და დაასხით შიშველ სხეულზე ანდა წაუსკოთ ფუნჯით. ამის შემდეგ, სანამ უისი თბილია, დააყარეთ იქნენ ბუშბული, რამდენიც მიეწებება“.

რევოლუციური მოძრაობა

1775 წლის დამდეგს მოძრაობა, რომელსაც თვით კოლონისტები რევოლუციას უწოდებდნენ, უკვე დაიწყო. მასაჩუზეტსელი კოლონისტები კონკორდსა და ლექსინგტონში ებრძოდნენ ბრიტანელებს. მეორე კონტინენტური კონგრესის დელეგატები, რომლებიც მაისში შეიკრიბნენ, დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: მოემზადო ომისათვის? თუ შეეცადონ ბრიტანეთთან შერიგებას? მეორე კონტინენტურმა კონგრესმა აღარ შეწყვიტა სხდომები და, ვინაიდან ვითარება უარესდებოდა, დარჩა, რათა ეხელმძღვანელა კოლონიებისათვის როგორც მთავრობას.

1776 წლის 7 ივნისს ვირჯინიის დელეგაციამ მოუწოდა კონგრესს, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა, რომ „ეს შეერთებული კოლონიები არიან და უფლება აქვთ იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოები; ისინი თავისუფალი არიან ბრიტანეთის მეფის მიმართ ვალდებულებებისაგან და ყველა პოლიტიკური კავშირი მათსა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოს შორის არის, და უნდა იყოს, მთლიანად გაწყვეტილი.“ ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას დაევა ლოკუმენტის (პროკლამაციის) მომზადება, რომელშიც ასახული იქნებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზები.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ახალგაზრდა ვირჯინიელმა ფერმერმა და ადვოკატმა თომას ჯეფერსონმა მოამზადა ეს ლოკუმენტი, რომელსაც „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ ეწოდა. იქ მარტივად, მკაფიოდ და გონივრულად იყო არგუმენტირებული დიდი ბრიტანეთისაგან გამოყოფის აუცილებლობა.

პრინციპები, რომლებსაც ეფუძნებოდა დეკლარაცია, დასაბამს იღებს ინგლი-

სელი ფილოსოფოსის ვონ ლოკის თხზულებებში; ისინი მრავალჯერ იყო გამოთქმული კონგრესზე გამოსული დელეგატების მიერ და კოლონიურ ასამბლეებში. ლოკი ამტკიცებდა, რომ ადამიანებს აქვთ ღვთისგან ბოძებული, ანუ ბუნებრივი უფლებები, რომლებიც ხელშეუვალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წართმევის უფლება არა აქვს არაერთარ ხელისუფლებას. გარდა ამისა, ლოკი ფიქრობდა, რომ ყველა კანონიერი პოლიტიკური ხელისუფლება არსებობს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ეს ბუნებრივი უფლებები და ეს ხელისუფლება ეფუძნება იმ ადამიანთა თანხმობას. რომელთაც მართავს. თანხმობის იდეა მომდინარეობს საზოგადოებრივი ხელშეკრულების (ან „სოციალური კონტრაქტის“) თეორიიდან, რომელიც აცხადებს, რომ ხალხის თანხმობით გარკვეული მიზნით ინიშნებიან მმართველები და იგივე ხალხს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ან გადააყენოს ეს მმართველები, თუკი ისინი აღნიშნული მიზნის საწინააღმდეგოდ იმე ქმედებენ.

მსგავსი არგუმენტები გამოიყენა ვევერსონმაც „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მომზადებისას მისი „განცხადების მგზნებარე უბრალოება“ დღემდე მეორდება დემოკრატიის რწმენაში:

„ჩვენ მთავანთა, რომ ეს ქვესართქვანი თავისთავად ცხადია: რომ ყველა ადამიანი თანასწორად არის შექმნილი; რომ შესაქმნისა მათი მიახტა გარკვეულა ხელშეუვალი უფლებები; რომ მათ შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისცენ ღტოლვა“.

პირველმა კონტინენტურმა კონგრესმა 1774 წელს დაადგინა, რომ კოლონიისტებს აქვთ „სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების უფლება“. ვევერსონმა ხელისუფლების მიზნებად ჩამოაყალიბა „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაქენ ღტოლვა.“ იგი აგრძელებდა:

„რომ ამ უფლებების უზრუნველსაყოფად ადამიანთავან აქმნიება მთავრობეა, რომელითაც თავიანთი კანონიერი ძალაუფლება ენტყებათ იმათი თანხმობით, ვასაც ისინი განაგებენ; რომ თუ გამტებლობას რომელიმე ფორმა ამ მიზნის შექალაბო გახლება, ხალხის უფლებაა შეკვადრის ან გააუქმის იგი და ახალი მთავრობა ჩამოაყალიბოს, რომელიც დაეფუძნება ასეთივე (ხელაღნიშნულ) პრინციპებს და ისეთი ძალაუფლებით აღტურვოს, რომელიც, მისი (ხალხის) აზრით, ყველაზე უკოქმსახურება ხალხს უსაფრთხოებასა და ბედნიერებას.“

ვევერსონმა ჩამოთვალა დიდი ბრიტანეთის მეფის მრავალი თვითნებური აქტი, რომლებიც ხელისუფლების კანონიერი მიზნების წინააღმდეგ იყო მიმართული და საბოლოოდ გამოცხადდა, რომ კოლონიები არიან „საპროტესტანტი და დამოუკიდებლობის სახელმწიფოები“* დიდ ბრიტანეთთან ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გარეშე.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მთავარი პირობაა, რომ ხალხს უფლება აქვს აჯანყდეს, თუ გადაწყვეტს, რომ მთავრობა მას კანონიერ უფლებებს ართმევს. მეფის ქმედებების გრძელი ნუსხა სწორედ ამ უკანასკნელის მაქვენებელი იყო. ასე, რომ, ხალხს უფლება ჰქონდა ამბოხებისა და ახალი მთავრობის შექმნისა (იხ. „რას შეუადართ?“ 2.1)

* რუსულისგაყვანი, რომელიც თავის მხრივ გერმანულსდაეცხება ამ სიტყვას, „სახელმწიფო“ ამ შესახვევაშითარგმნიება, როგორც „შტატი“ და, ნაკვალად „შეერთებული სახელმწიფოებასა“, ტრადიციულად იხმარება „შეერთებული შტატები“ (მთარგმნელის შენიშვნა).

„რას შევადაროთ?“ 2.1.

ამერიკული რევოლუციის ექსპორტი

40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩეხოსლოვაკია საბჭოთა კავშირის კლანჭებში იყო მოქცეული. მაგრამ სულ რამდენიმე კვირაში, 1989 წლის ბოლოს, რევოლუციამ, რომელიც თავისუფლების მოთხოვნაზე იყო დაფუძნებული, ჩეხოსლოვაკიას დამოუკიდებლობა მოუტანა. აი როგორ დაიწყო ეს:

პრაღა. 27 ნოემბერი. სულ მალე გაფიცვის დაწყებიდან ზდენეკ იანიჩეკი, ლუდის ქარხნის მუშა, თავისი გაზუთილი სამუშაო ხალათით ავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო ლაპარაკი: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, რომ ყველა ადამიანი თანასწორად არის შექმნილი; რომ შემოქმედმა მათ მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები; რომ მათ შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა.“

იქ შეკრებილი 1500-მდე მუშისათვის ის დღე იყო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე და უარყოფა იმ დამორგუნველი კომუნისტური ხელმძღვანელობისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიას 40 წელი მართავდა. ქვეყნის მილიონობით მშრომელის მსგავსად, ამ მუშებმა შუადღისას მიატოვეს თავიანთი სამუშაო და ჩაატარეს 2-საათიანი საყოველთაო გაუფიცვა, მითხოვეს მეტი დემოკრატია და ხელისუფლებაზე კომუნისტური პარტიის მონოპოლიის დასრულება.

„ამერიკელებმა გაიგეს ორასზე მეტი წლის წინ, რომ მათ ეს უფლებები გააჩნიათ“ – განაგრძო ზდენეკ იანიჩეკმა მას შემდეგ, რაც აშშ-ში დამოუკიდებლობის დეკლარაციის ნაწილი წაუკითხა მუშებს, „ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვსწავლობთ, რომ იგივე უფლებები გაგვაჩნია.“

წყარო: New York Times, November 28, 1989, p. 1

დღეისათვის ჩეხებმა და სლოვაკებმა მშვიდობიანად შექმნეს თავიანთი რესპუბლიკები.

1776 წლის 2 ივლისს მეორე კონტინენტურმა კონგრესმა საბოლოოდ უყარა კენჭი დამოუკიდებლობის გამოცხადებას. კენჭისყრა შტატების მიხედვით ჩატარდა და შედეგი ასეთი იყო: მომხრე – 11, წინააღმდეგი – 0 (როდ-აილენდის დელეგაცია არ ესწრებოდა, ხოლო ნიუ-იორკის დელეგაციამ, რომელსაც საკუთარი შტატის ასამბლეის ინსტრუქცია არ გააჩნდა, განაცხადა თანხმობა მხოლოდ 15 ივლისს). ორი დღის შემდეგ დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიღებულ იქნა უმნიშვნელო შესწორებებით.

ომი ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბევრად უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. იგი დაიწყო ერთგვარი გაუგებრობის შედეგად, 1775 წლის 19 აპრილს, როდესაც ბრიტანელ ჯარისკაცებს მოულოდნელად აუტეხეს სროლა ქალაქ ლექსინგტონთან (რაზმი მასაჩუზეტისის ქალაქ კონკორდში მიდიოდა). ომი დამთავრდა 1781 წლის 19 ოქტომბერს, როდესაც ლორდ კორნუოლისის ნათასიანი არმია დანებდა მოწინააღმდეგეს იორკთაუნში, ვირჯინიის შტატში. ეს ომი ძვირად დაუჯდა მებრძოლ მხარეებს; პროპორციულად მეტი დაიჭრა და დაიღუპა, ვიდრე ნებისმიერ სხვა კონფლიქტში, რომელშიც აშშ მონაწილეობდა (თუ არ ჩავთვლით 1861-1865 წწ-ის სამოქალაქო ომს).

რევოლუციიდან კონფედერაციისაკენ

ინგლისისგან გამოყოფის გამოცხადების შედეგად კოლონიები რეალური ცენტრალური ხელისუფლების გარეშე რჩებოდნენ. ამიტომაც რევოლუციონერებმა გამოაცხადეს რესპუბლიკა. რესპუბლიკა – ესაა ხელისუფლება მონარქის გარეშე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტერმინი აღნიშნავდა ხელისუფლებას, რომელიც ეფუძნებოდა ხალხის თანხმობას, რათა მართვა განხორციელებულიყო ხალხის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენლების მიერ. რესპუბლიკა არ გულისხმობდა დემოკრატიას და ეს სავსებით მისაღები იყო სახელმწიფოს დამფუძნებლებისათვის, ვინაიდან იმ დროს დემოკრატია უკავშირდებოდა ბრბოს მმართველობას და არასტაბილურობას (იხ. თავი I). რევოლუციონერებს ნაკლებად აინტერესებდათ, თუ ვინ გაუწევდა კონტროლს მათ ახალ მთავრობას; მათ უფრო ის აინტერესებდათ, როგორმე შეეზღუდათ ამ მთავრობის ძალაუფლება. ხალხი აჯანყდა თავისუფლებისათვის და ახლა უნდოდა ისეთი მთავრობა, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული ძალაუფლება ექნებოდა. იმისათვის, რომ სწორედ ასეთი მთავრობა მიეღო, ხალხმა გადაწყვიტა ხელისუფლების სტრუქტურის წერილობითი განსაზღვრა.

კონფედერაციის მუხლები

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ ერთი კვირის შემდეგ მეორე კონტინენტურმა კონგრესმა მიიღო კომისიის მოხსენება „კონფედერაციის მუხლებისა და მუდმივი კავშირის შესახებ“.

კონფედერაცია ეს არის არამჭიდრო კავშირი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, რომლებიც დათანხმდნენ ითანამშრომლონ გარკვეულ შემთხვევებში. კონფედერაციის წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტს, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება მხოლოდ მის საზღვრებში ვრცელდება. ცენტრალური მთავრობა ამ შემთხვევაში სუსტია: მას შეუძლია მხოლოდ კოორდინაცია გაუწიოს, მაგრამ ვერ გააკონტროლებს სუვერენული სახელმწიფოების საქმიანობას.

„კონფედერაციის მუხლები“, რომლებიც საბოლოოდ მიიღეს 1777 წლის 15 ნოემბერს, მკაცრად იცავდა შტატების უფლებებს; „მუხლების“ პირობები ნათლად გამოხატავდა დელეგატების შიშს ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ყოველ შტატს, მიუხედავად სიდიდისა, კონგრესში თითო ხმა გააჩნდა. კენჭისყრა ბრიტანეთთან ომის დაფინანსებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე საჭიროებდა ცამეტიდან, სულ ცოტა, ცხრა შტატის თანხმობას. საერთო საფრთხემ – ომმა – აიძულა ახალგაზრდა რესპუბლიკა ამ „მუხლების“ შესაბამისად ემოქმედა. მაგრამ რეალური ხელისუფლების შექმნის პირველი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. დელეგატებმა მოახერხეს შეექმნათ ისეთი მთავრობა, რომელიც უმეტესწილად უძლური იყო.

„მუხლებმა“ მარცხი განიცადა ოთხი მიზეზით: I. ისინი არ აძლევდნენ უფლებას ეროვნულ ხელისუფლებას აეკრიფა გადასახადი. ამის შედეგად კონგრესს შტატებისაგან უხდებოდა სახსრების მოთხოვნა, რათა გაეგრძელებინა ომი დიდ

ბრიტანეთთან და განეხორციელებინა ახალი სახელმწიფოსათვის საჭირო საგარეო ფუნქციები; 2. კონგრესის თავმჯდომარედ ოფიციალური პირის (პრეზიდენტის) დანიშვნის გარდა, „მუხლები“ არ ითვალისწინებდა დამოუკიდებელი ხელმძღვანელის რაიმე პოსტს, რომელსაც მთავრობისათვის უნდა ეხელმძღვანელა. ეს შეგნებულად გაკეთდა – კოლონიისტებს ეშინოდათ მონარქიის აღდგენისა, მაგრამ ამან ლიდერის გარეშე დასტოვა სახელმწიფო; 3. „მუხლები“ არ ანიჭებდნენ ცენტრალურ მთავრობას შტატთაშორისი და საგარეო ვაჭრობის რეგულირების უფლებას (როდესაც ჯონ ადამსმა შესთავაზა, რათა ომის შემდეგ კონფედერაციას დაეღო სავაჭრო შეთანხმება ბრიტანეთთან, ბრიტანელებმა მას ჰკითხეს „თქვენ ერთ შეთანხმებას ინებებდით თუ ცამეტს, მისტერ ადამს?“); 4. „მუხლები“ არ შეიძლებოდა შეცვლილიყო კონგრესის ერთსულოვანი გადაწყვეტილებისა და ყველა შტატის საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე. ამრიგად, თითოეულ შტატს გააჩნდა ვეტოს უფლება კონფედერაციაში ნებისმიერ ცვლილებაზე.

დელეგატების მიზანი, რომლებმაც მიიღეს „კონფედერაციის მუხლები“, ყველა შტატში ცალკე ხელისუფლების შენარჩუნება იყო. ეს ეთანხმებოდა მათ რესპუბლიკანიზმს, რომელიც ცენტრალური მთავრობის მზარდ ძალაუფლებას თავისუფლების საფრთხედ მიიჩნევდა. მხოლოდ ამ ავალსაზრისით მიიღწიეს „მუხლებმა“ დიდ წარმატებას: მათ მთლიანად შებორკეს ასლადშექმნილი ეროვნული ხელისუფლება.

არეულობა კონფედერაციაში

როგორც კი რევოლუცია დასრულდა და დამოუკიდებლობა რეალობად იქცა, აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ მთავრობას ფუნქციონირებისათვის არ გააჩნია არც ეკონომიკური და არც სამხედრო ძალა. ომისდროინდელი სიძნელებები მოიხსნა და ამერიკელებმა სასწრაფოდ დაიწყეს უცხოური საქონლის შექმნა. ვალი გაიზარდა, რასაც მასობრივი ვაკოტრება მოჰყვა: ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა მასაჩუსეტსში, სადაც მაღალი საბანკო პროცენტული განაკვეთი და შტატის დიდი გადასახადები ფერმერების მასობრივ ვაკოტრებას იწვევდა. 1786 და 1787 წლებში იქაურმა ფერმერებმა, რევოლუციური ომის ვეტერანის ღვინელ შეიზის მეთაურობით, რამდენიმე ამბოხება მოაწიეს, რათა ხელი შეეშალათ დაგირავებული ფერმების გაყიდვისათვის. ვინაიდან კონგრესს არ გააჩნდა ძალაუფლება შტატებიდან სახსრების შესაკრებად, მასაჩუსეტსის გუბერნატორმა საბოლოოდ მილიცია შეაგროვა და წესრიგი აღადგინა. შეიზის ამბოხებამ აჩვენა კონფედერაციის უძლურება და ამბოხების ჩახშობისა და შინაგანი წესრიგის შენარჩუნების აუცილებლობა.

კონფედერაციიდან კონსტიტუციისაკენ

წესრიგი, რომლის შენარჩუნება სახელმწიფო ხელისუფლების ძირითადი მიზანია, ირღვეოდა „კონფედერაციის მუხლების“ მოქმედების პირობებში.

„მეგობრობის ლიგა“, რომლის შექმნასაც ითვალისწინებდნენ „მუხლები“, საკმარისი არ იყო, რათა სახელმწიფოს ერთიანობა შეენარჩუნებინათ მშვიდობიანობის დროს.

1786 წელს ვირჯინიამ მოიწვია სხვა შტატები კრებაზე (კონვენტზე) ქ. ანაპოლისში, რათა „კონფედერაციის მუხლები“ გადაესინჯათ. შეხვედრა ერთდროულად წარმატებულად იყო და წარუმატებელიც. მართალია, დელეგატები ანაპოლისში მხოლოდ ხუთმა შტატმა გაგზავნა, მათ ის მაინც მოახერხეს, რომ მომდევნო წელს ახალი შეხვედრა დაენიშნათ ქ. ფილადელფიაში. მოგვიანებით კონგრესი დაეთანხმა კონვენტის მოწვევას, მაგრამ მისი ფუნქცია შემოფარგლა „მხოლოდ „კონფედერაციის მუხლების“ გადასინჯვის მიზეზების შესწავლით“.

შეიზის ამბობებამ აუცილებელი გახადა ფილადელფიაში შეკრებილი კონვენტი. კონგრესი უძღური აღმოჩნდა ამბოხების წინაშე, რაც ნათელი მოწმობა იყო იმისა, რომ საჭიროა უფრო ძლიერი ეროვნული მთავრობა წესრიგისა და საკუთრების შესანარჩუნებლად და შტატების დასაცავად როგორც საშინაო, ისე საგარეო საფრთხისგან. როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ რობერტ ჰ. ჯექსონმა აღნიშნა 1941 წელს – დაახლოებით 150 წლის შემდეგ აღწერილი ფაქტებიდან: „მაშინ, როცა „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ ჭარბი ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული, კონსტიტუცია (რომელიც „კონფედერაციის მუხლების“ შემდეგ მიიღეს) მიმართული იყო ანარქიის წინააღმდეგ“ (Jackson. 1941, p.8).

კონსტიტუციური კონვენტი ოფიციალურად გაიხსნა 1787 წლის 25 მაისს. მის დელეგატებს ნებადართული ჰქონდათ „კონფედერაციის მუხლები“ მხოლოდ „გადასინჯვა“. კამათის პირველი კვირის თავზე ერთმა ვირჯინიელმა დეპუტატმა – ედმუნდ რენდოლფმა წარმოადგინა ცვლილებების გრძელი ნუსხა, რომელიც შემოთავაზებული იყო მისი ვირჯინიელი კოლეგის ჯეიმზ მედისონის მიერ. ამ შესწორებებს უნდა შეეცვალათ შტატების სუსტი კონფედერაცია ძლიერი ცენტრალური მთავრობით. დელეგატები ერთსულოვნად დათანხმდნენ განეხილათ რენდოლფის წინადადება, რომელსაც „ვირჯინიის გეგმა“ უწოდეს. თითქმის მაშინვე მათ უარყვეს „კონფედერაციის მუხლების“ სრულყოფის აზრი და, სანაცვლოდ, დაიწყეს მუშაობა სრულიად ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად.

„ვირჯინიის გეგმა“

„ვირჯინიის გეგმა“ კონვენტის მსჯელობის საგანი იყო მთელი ზაფხულის განმავლობაში. იგი რამდენიმე მნიშვნელოვან წინადადებას იძლეოდა. მათ შორის:

- ხელისუფლება უნდა გაიმიჯნოს ცალკეულ განშტოებებად: საკანონმდებლო განშტოებად, რომელიც კანონებს შექმნის; აღმასრულებელ განშტოებად, რომელიც კანონებს ცხოვრებაში გაატარებს; სასამართლო განშტოებად, რომელიც კანონებს განმარტავს.
- საკანონმდებლო ორგანო იყოფა ორ პალატად. პირველი ხალხის მიერ იქნება არჩეული; მეორე – პირველი პალატის წევრების მიერ იმათგან, რომელთაც დასახელებენ შტატების საკანონმდებლო ორგანოები.

- საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობა უნდა იყოს იმ გადასახადების პროპორციული, რომელსაც შტატები უხდიან ცენტრალურ მთავრობას, ანდა თავისუფალი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული.
- აღმასრულებელი ხელისუფალი შერჩეულ უნდა იქნეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ერთი პერიოდის განმავლობაში იმსახუროს.
- ქვეყნის (ეროვნული) სასამართლო სისტემა უნდა მოიცავდეს ერთ ან მეტ უზენაეს სასამართლოს და სხვა ქვედა რგოლის სასამართლოებს, ხოლო მოსამართლენი საკანონმდებლო ორგანოს მიერ სამუდამოდ უნდა ინიშნებოდნენ.
- აღმასრულებელი ხელისუფალი და უზენაეს მოსამართლეთა გარკვეული რაოდენობა შექმნიან სარევიზიო საბჭოს, რათა მან მოიწონოს ან ვეტო დაადოს (არ მოიწონოს) საკანონმდებლო აქტებს. მაგრამ ეს ვეტო შეიძლება გაუქმდეს, თუკი ორივე პალატა მხარს დაუჭერს კანონპროექტს.
- ხელისუფლების სამივე განშტოებას ჯამში უფლებამოსილებათა უფრო დიდი სექტრი ექნება, ვიდრე „კონფედერაციის მუხლების“ მიხედვით ქვეყნის მთავრობას აქონდა მინიჭებული, და ეს მოიცავს შტატების კანონებზე უზენაესობასაც.

ძლიერი ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს შემოთავაზებით, რომელსაც უპირატესობა გააჩნდა შტატების ლეგისლატურასთან შედარებით, „ვირჯინიის გეგმა“ მხარს უჭერდა მთავრობის ახალი ფორმის შექმნას. ეს უნდა ყოფილიყო შერეული სტრუქტურა, სადაც ეროვნულ (ქვეყნის) ხელისუფლებას შტატებზე ზეგავლენის საშუალება ექნებოდა.

ჯ.მედისონი წამყვანი ძალა იყო, როდესაც ორ წინადადებების ირგვლივ კამათი მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა კონსტიტუცია, რომელიც კონვენტზე წარმოიქმნა, მხოლოდ ნაწილობრივ წააგავდა იმ დოკუმენტს, რომელიც მედისონს უნდოდა შეექმნა. 71 განსაკუთრებული წინადადებიდან, რომლებიც მედისონს უნდოდა შეეტანა კონსტიტუციაში, 40 უარყოფილ იქნა (McDonald, 1985), ხოლო „ვირჯინიის გეგმის“ ნაწილები, რომლებიც საბოლოოდ იქნა მიღებული, ვერ გადაურჩა სერიოზულ კამათს. კონფლიქტი ძირითადად ეხებოდა საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის საკითხს, კანონმდებლობის არჩევის მეთოდს და აღმასრულებელი განშტოების სტრუქტურას.

„ნიუ-ჯერსის გეგმა“

როდესაც გაირკვა, რომ „ვირჯინიის გეგმის“ ძირითადი ნაწილი მიღებული იქნებოდა დიდი შტატების ხმებით, მომცრო (ხალხმცირე) შტატები ამის საწინააღმდეგოდ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ. ნიუ-ჯერსის დეპუტატმა უილიამ პატერსონმა წარმოადგინა ცხრა რეზოლუციის ალტერნატიული ნუსხა, რომელსაც უნდა შეენარჩუნებინა „კონფედერაციის მუხლების“ სულისკვეთება და უფრო შეესწორებინა ისინი, ვიდრე შეეცვალა. „ნიუ-ჯერსის გეგმაში“ ასეთი წინადადებები იყო:

- ერთპალატიან საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს აკრიფოს გადასახადი და მოახდინოს ვაჭრობის რეგულირება.
- შტატებსაქვე თანაბარი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ხელისუფლებაში და ისინი (შტატები) ირჩევენ ამ ორგანოს წევრებს;
- მრავალწევრიან აღმასრულებელ ორგანოს ირჩევს საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელსაც ის უფლებები გააჩნია, რაც „ვირჯინიას გეგმაში“ ჩამოთვლილი, მაგრამ ვეტოს უფლების გარეშე;
- უზენაესი სასამართლო ხელისუფლება უნდა შეიქმნას ძალიან შეზღუდული იურიდიქციით (არ იყო გათვალისწინებული ეროვნული სასამართლო სისტემა);
- საკანონმდებლო ხელისუფლების აქტები სავალდებულო უნდა იყოს შტატებისთვის, ე. ი. მიჩნეულ უნდა იქნეს „შესაბამისი შტატის უზენაეს კანონად“ და ურჩობის შემთხვევაში შტატის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ძალა.

„ნიუ-ჯერსის“ გეგმა არ იქნა მიღებული კონვენტის პირველ კენჭი: ყრაზე: შვიდი შტატი წინააღმდეგი იყო, სამმა კი მხარი დაუჭირა. მიუხედავად ამისა, მომცრო შტატებს აკამარისი მხარდაჭერა ჰქონდათ, საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის საკითხზე კომპრომისის მისაღწევად.

„დიდი კომპრომისი“

„ვირჯინიის გეგმის“ წინადადება ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შესახებ არასოდეს არ იწვევდა დიდ კამათს, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად წარმომადგენლების არჩევის იდეამ ცხარე დებატები გამოიწვია. მომცრო შტატები თანაბარ წარმომადგენლობას მოითხოვდნენ ყველა შტატისათვის.

ამ მდგომარეობიდან გამოსავალის მოსანახად შეიქმნა კომისია. ის შედგებოდა ყველა შტატისაგან ფარული კენჭისყრით არჩეული თითო დეპუტატისაგან. კომისიამ იმუშავა შესვენების გარეშე, თვით „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ დღესაც კი, და წარმოადგინა „დიდი კომპრომისი“ (ხანდახან მას „კონფედერაციის კომპრომისსაც“ უწოდებენ). ამ კომპრომისის თანახმად წარმომადგენელთა პალატა უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული 56 წევრით, რომელთაც თითოეული შტატის მოსახლეობის პროპორციულად აირჩევდნენ. გადასახადების აკრიფასთან დაკავშირებული კანონები ამ პალატაში უნდა შექმნილიყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ შტატები თანაბრად იქნებოდნენ წარმოდგენილი სენატში. თითო შტატიდან 2-2 სენატორი იქნებოდა არჩეული, რომელთაც აირჩევდა მათივე შტატის საკანონმდებლო ორგანო და არა პირდაპირ ხალხი.

დელეგატებმა მიიღეს „დიდი კომპრომისი“. მომცრო შტატებმა მოიპოვეს თანასწორი წარმომადგენლობა, დიდმა შტატებმა კი – პროპორციული წარმომადგენლობა. მომცრო შტატებს შეეძლოთ დომინირება სენატში, დიდ შტატებს კი – წარმომადგენელთა პალატაში; მაგრამ ვინაიდან ყველა კანონი ორ პალატას უნდა დაემტკიცებინა, არც ერთ ჯგუფს არ ჰქონდა მეორეზე სრული დომინირების საშუალება.

კომპრომისი პრეზიდენტობის თაობაზე

კომპრომისი განხეთქილებამ შეცვალა, როცა დელეგატები აღმასრულებელი განსტოების განხილვას მიუბრუნდნენ. ყველა თანახმა იყო, რომ აღმასრულებელი ხელისუფალი ერთი პიროვნება – პრეზიდენტი ყოფილიყო; უთანხმოება იყო იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აერჩიათ ეს აღმასრულებელი და რა დროით. დელეგატებს არ სწამდათ ხალხის გადაწყვეტილებისა და ეშინოდათ საზოგადოებრივი მღელვარებისა არჩევნების დროს. ამის გამო მათ უარყვეს საერთო სახალხო არჩევნების იდეა. ამავე დროს, მომცრო შტატების წარმომადგენლებს ეშინოდათ, რომ პრეზიდენტის არჩევა საკანონმდებლო ორგანოს მიერ დიდ შტატებს საშუალებას მისცემდა თავიანთ კონტროლს დაექვემდებარებინა აღმასრულებელი ხელისუფლება.

შტატები კიდევ ერთხელ წავიდნენ კომპრომისზე და შექმნეს ტლანქი საარჩევნო სისტემა, რომელიც დღეს ცნობილია როგორც „ამომრჩევთა* კოლეგია“. კოლეგია შედგება ამომრჩევთა ჯგუფისაგან, რომელთაც ერთადერთი ფუნქცია აქვსრიათ: აირჩიონ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. თითოეული შტატის საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა აერჩია ამომრჩევთა ის რაოდენობა, რომელიც კონგრესში შტატის წარმომადგენლობას უთანაბრდებოდა. ამის შემდეგ თითოეულ ამომრჩევს ხმა უნდა მიეცა ორი პირისათვის: ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებდა, პრეზიდენტი გახდებოდა, ხოლო ვინც მეორე ადგილზე გავიდოდა – ვიცე-პრეზიდენტი (ეს პროცედურა შეცვალა 1804 წლის „XIV შესწორებამ“, რომელიც მოითხოვს ცალ-ცალკე კენჭისყრას ამ ორი თანამდებობისათვის). თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებდა ხმების უმრავლესობას, მაშინ წარმომადგენელთა პალატა აირჩევდა პრეზიდენტს *თითო შტატის მიერ თითო ხმის მიცემით*.

„ამომრჩევთა კოლეგიის“ კომპრომისმა პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნების შიში გაანელა. ამავე დროს, ეს სისტემა მომცრო შტატებს აკმაყოფილებდა. თუკი ამომრჩევთა კოლეგია ვერ აირჩევდა პრეზიდენტს (დელეგატები კი სწორედ ასეთ შედეგს ელოდნენ), მაშინ წარმომადგენელთა პალატა ყველა შტატს თითო ხმას აძლევდა პრეზიდენტის ასარჩევად.

დელეგატები საბოლოოდ შეთანხმდნენ იმის შესახებაც, რომ პრეზიდენტი ოთხი წლით აერჩიათ და მისი ხელახალი არჩევაც დაუშვს.

დელეგატები იმასაც მიხვდნენ, რომ პრეზიდენტის გადაყენება თანამდებობიდან ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემას შექმნიდა. ამის გამო ამ პროცესში ხელისუფლების ორი სხვა განსტოებაც ჩართეს. მხოლოდ წარმომადგენელთა პალატას მიეცა უფლება ხმის უმრავლესობით წარედგინა პრეზიდენტისათვის ბრალდება „ღალატში, მექრთამეობაში ან სხვა სახის მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში“. მხოლოდ სენატს მიეცა უფლება ამ იმპიჩმენტის გამოძიებისა, მაგრამ მას შეეძლო ეცნო დამნაშავედ და ამ გზით გადაეყენებინა პრე-

* ინგლისური ტერმინი "elector" ქართულად ითარგმნება როგორც „ამომრჩეველი“, „ამომრჩევი“ ან „ხმოსანი“. ჩვენ ვამჯობინეთ გამოვყენებინა „ამომრჩევი“, რათა განგვესხვაგვებინა იგი რიგითი „ამომრჩეველისაგან“ (მთარგმნელის შენიშვნა).

ზიდენტი მხოლოდ ხმების ორი მესამედით; აშშ მთავარ მოსამართლეს უნდა წარემართა იმპიჩმენტთან დაკავშირებული სხდომა სენატში.

საბოლოო პროდუქტი

ძირითადი უთანხმოების მოგვარების შემდეგ დელეგატებმა შედარებით სწრაფად განიხილეს სხვა საკითხები. შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა კონსტიტუციის მონახაზი. პრეამბულა, რომლითაც იხსნება კონსტიტუცია (ის ყველაზე ბოლოს შეადგინეს), იწყება ფრაზით, რომლის დაწერაც შეუძლებელი იყო კონვენტის მუშაობის დაწყებისას. ეს ერთი წინადადება შედგება ოთხი ელემენტისაგან, რომლებიც ამერიკის პოლიტიკური ტრადიციის საფუძველს წარმოადგენენ (Lutz. 1983).

- *ის ქმნის ერთიან ხალხს* „ჩვენ – შეერთებული შტატების ხალხი“ – ეს იყო მკვეთრი დაშორება სახელმწიფოების (შტატების) არამჭიდრო კონფედერაციისაგან.
- *ის ხსნის კონსტიტუციის შექმნის მიზანს* „იმ მიზნით, რათა შეექმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი“ – აქ მინიშნებით არის ნათქვამი, რომ გაერთიანების პირველი ცდა „კონფედერაციის მუხლების“ შესაბამისად არასაკმარისი აღმოაჩნდა.
- *ის მკაფიოდ აყალიბებს ამოცანებს* „დავამკვიდროთ მართლმსაჯულება, დავამყაროთ შინაგანი სიმშვიდე და უზრუნველვყოთ ერთობლივი თავდაცვა, ხელი შევუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და შევეუნარჩუნოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლობას მადლი თავისუფლებისა“ – ეს ნიშნავდა, რომ ხელისუფლება იარსებებდა წესრიგისა და თავისუფლების დასაცავად.
- *ის განმარტავს თუ მმართველობის რა ფორმა ექნება სახელმწიფოს* „ვადგენთ და ვაფუძნებთ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის წინამდებარე კონსტიტუციას“.

ძირითადი პრინციპები

კონსტიტუციის დამფუძნებლები ეყრდნობოდნენ ოთხ პოლიტიკურ პრინციპს, რომლებმაც ერთობლიობაში შექმნეს რეკოლუციურად ახალი პოლიტიკური წესრიგი. ეს პრინციპები იყო – რესპუბლიკანიზმი, ფედერალიზმი, ხელისუფლებათა გამიჯვნა და ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემა.

რესპუბლიკანიზმი არის მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის და ქვეყნის მართვა ხორციელდება ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების მიერ. კონსტიტუციის დამფუძნებლები მოწადინებული იყვნენ თავიდან აეცილებინათ არისტოკრატია (მართვა მემკვიდრეობითი კლასის მიერ), მონარქია (მართვა ერთის მიერ) და უშუალო დემოკრატია (მართვა ხალხის მიერ). რესპუბლიკის შექმნა ახალი და გაბედული ნაბიჯი

იყო: არც ერთი ხალხი აქამდე და, მითუმეტეს, ასეთი დიდი მასშტაბით, არ იმართებოდა რესპუბლიკური ფორმით. სინამდვილეში, თვით კონსტიტუციის დამფუძნებლებიც კი არ იყვნენ ბოლომდე დარწმუნებულნი იმაში, რომ მათი მთავრობა სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა. როდესაც კონვენტის შემდეგ ბენჯამინ ფრენკლინს ჰკითხეს, რა ტიპის მმართველობა უნდა ჰქონდეს ახალ სახელმწიფოსო, მან უპასუხა: „რესპუბლიკა, თუკი მას შეინარჩუნებთ“.


ფედერალიზმი. ეს არის ხელისუფლების განაწილება ცენტრალურ მთავრობასა და რეგიონულ ერთეულებს შორის. ეს პრინციპი ხელისუფლების ორ მოპაექრე სქემას შორის დგას. ერთ მხარეზეა უნიტარული ხელისუფლება, როდესაც ეროვნული (ცენტრალური) მთავრობა განაგებს ყველაფერს, მეორე მხარეს კი დგას კონფედერაცია – ძლიერი სახელმწიფოების (შტატების) არამჭიდრო კავშირი. აშშ კონსტიტუცია ახორციელებს ხელისუფლების განაწილებას, მაგრამ ცენტრალურ მთავრობას ანიჭებს ბევრად უფრო მნიშვნელოვან უფლებამოსილებას შტატების ხარჯზე.

კონსტიტუციის თანახმად ეროვნულ მთავრობას და შტატების მთავრობებს ძალაუფლება მიღებული აქვთ ხალხისაგან, რომელიც უზენაეს სუვერენს წარმოადგენს. ცენტრალურ და შტატების მთავრობებს აქვთ ძალაუფლება პიროვნებებსა და საკუთრებაზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან ერთად, ხალხს შეუძლია შეინარჩუნოს საკუთარი თავისუფლება საარჩევნო პროცესში მონაწილეობით ანდა მმართველობის წესების შეცვლით და ამის მეშვეობით შეზღუდოს როგორც ცენტრალური მთავრობა, ისე შტატების მთავრობები.

კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ეროვნული მთავრობის კომპეტენციის სფეროები, რაც შტატების კომპეტენციაში არ შედის. ყველაფერი დანარჩენი შტატების კომპეტენციას განეკუთვნება. მაგრამ ამერიკის კონსტიტუცია მკაფიოდ არ განსაზღვრავს კომპეტენციის იმ სფეროებს, რომლებიც შტატებს რჩება.

როგორც მესამე თავშია განხილული, ეროვნული მთავრობისა და შტატების უფლებამოსილების საზღვრები პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტის შედეგად ჩამოყალიბდა; უფრო მეტიც: ეს საზღვრები განუწყვეტლივ იცვლებოდა.

ხელისუფლებათა გამიჯვნა – ეს არის კანონშემოქმედების, კანონის აღსრულების და კანონის განმარტების ფუნქციები, რომლებიც დანაწილებულია სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო განშტოებებს შორის. მთელი ქვეყნის მასშტაბით კანონშემოქმედებითი ხელისუფლება აშშ კონგრესშია, კანონის აღსრულების ხელისუფლება პრეზიდენტს განეკუთვნება, ხოლო კანონის განმარტების ხელისუფლება სასამართლოშია. მუშაობა ერთ რომელიმე განშტოებაში ავტომატურად კრძალავს ერთდროულ მუშაობას სხვა განშტოებებში. ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპი იცავს თავისუფლებას იმის მეშვეობით, რომ საშუალებას არ აძლევს ერთ პირს ანდა პირთა ჯგუფს, ხელში ჩაიგდოს მთელი ძალაუფლება. მაგრამ კონსტიტუციის დამფუძნებელთა ზრუნვა ხალხის თავისუფლებაზე არ გავრცელებულა საარჩევნო პროცესზე. კონსტიტუცია ზღუდავს უმრავლესობის მმართველობას საარჩევნო პროცესზე ხალხის პირდაპირი გავლენის შემცირებით (იხ. ნახ. 2.1)



2.1 კონსტიტუცია და საარჩევნო პროცესი

კონსტიტუციის დამფუძნებლებს ეზინოდათ უმრავლესობის მიერ მართვისა და მათი შიში აისახა იმ საარჩევნო პროცესში, რომელიც კონსტიტუციაშია დაკანონებული. ხალხი, რომელიც ამომრჩევლების სახითაა წარმოდგენილი, პირდაპირ ირჩევს მხოლოდ წარმომადგენელთა პალატის წევრებს. პრეზიდენტი და სენატორები არაპირდაპირ აირჩიოდა ამომრჩეულთა კოლეჯისა და შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ. სენატორების პირდაპირი არჩევა კანონად იქცა მხოლოდ 1913 წლიდან, კონსტიტუციის XVII შესწორების თანახმად. მოსამართლეების დანიშნვა ძალიან დაშორებული არის და ყოველთვის იყო ხალხის წარმომადგენლობას. მოსამართლეები ინიშნება პრეზიდენტის მიერ და მტკიცდება სენატში.

თეორიულად ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპი ნიშნავს, რომ ერთ განშტოებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა განშტოებებზე. მაგრამ პრაქტიკულად ეს განაწილება ჯერაც არაა დასრულებული: როგორც ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, შეერთებულ შტატებს სინამდვილეში გააჩნია „გამიჯნული ინსტიტუტები, რომლებიც ხელისუფლებას ინაწილებენ“ (Neustadt, 1960).

ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების კონსტიტუციური პრინციპი ხელისუფლების ყოველ განშტოებას აძლევს ერთმანეთის გარკვეული შემოწმებისა და კონტროლის უფლებას. კონსტიტუციის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთი შემოწმება და ურთიერთგაწონასწორება თავიდან ააცილებდა ხელისუფლების რომელიმე განშტოების მიერ დანარჩენთა იგნორირებას ანდა ჭარბი ძალაუფლების მოპოვებას.

ხელისუფლების განუტოვებლობა



საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია



აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია



სასამართლო ორგანოს შეუძლია

მთავრობის უფლებები

საკანონმდებლო	<ul style="list-style-type: none"> • კანონების შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> • ვეტო დაადოს კანონს • კანონპროექტის რეკომენდირება 	<ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო აქტების გადასინჯვა
აღმასრულებლო	<ul style="list-style-type: none"> • აღმასრულებელი ხელისუფლების დანიშვნების და დასტურება (სენატი); • აღმასრულებლის ვეტოს გაუქმება 	<ul style="list-style-type: none"> • კანონის ცხოვრებაში გატარება 	<ul style="list-style-type: none"> • აღმასრულებელი აქტების გადასინჯვა • სასამართლო აკრძალვის დადგენილების გამოცანა
სასამართლო	<ul style="list-style-type: none"> • იმპიჩმენტის წარდგენა; • სასამართლოების შექმნა და გაუქმება 	<ul style="list-style-type: none"> • დანაშაულის პატიება • მოსამართლეების დანიშვნა 	<ul style="list-style-type: none"> • კანონების განმარტება

ნახ. 2.2. ხელისუფლებათა გამიჯვნა და ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპი

ხელისუფლებათა გამიჯვნა არის კანონმდებელი, კანონგამტარებელი და კანონგანმარტებითი ფუნქციების გადაცემა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო განსტოვებისათვის. ეს ასახულია ნახზის დიაგრამალურ ბალებში. ურთიერთშეკავება და ურთიერთგაწონასწორება აძლევს თითოეულ განსტოვებას გარკვეული გავლენის საშუალებას სხვა განსტოვებებზე. მაგალითად, აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს გარკვეული საკანონმდებლო უფლებებებიც, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებას გააჩნია გარკვეული აღმასრულებელი უფლებებებიც. ეს ასახულია ნახზის სვეტებში, რომლებიც დიაგრამალური ბალის გარეთ რჩება.

ხელისუფლებათა გამიჯვნა და ურთიერთშეკავება და ურთიერთგაწონასწორება ორი განსხვავებული პრინციპია, მაგრამ ორივე აუცილებელია, რათა ხელისუფლების არც ერთი განსტოვება არ დომინირებდეს. ხელისუფლებათა გამიჯვნა ანაწილებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საკანონმდებლო, აღმასრულებელ

და სასამართლო განსტოებებში; ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემა გამორიცხავს ამ სამი განსტოებიდან ერთ-ერთის დომინირების საფრთხეს. მაგალითად, მხოლოდ კონგრესმა შეიძლება შემოიღოს კანონები. მაგრამ პრეზიდენტმა, თავისი ვეტოს უფლებით, შეიძლება გააუქმოს ეს კანონები, ხოლო სასამართლომ (თუ ამ კანონებში კონსტიტუციის დარღვევას აღმოაჩინს) შეიძლება ბათილად სცნოს ისინი. და ეს პროცესი გრძელდება. „კონტროლის კონტროლის“ მექანიზმით კონგრესს შეუძლია გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო თითოეულ პალატაში ხმის 2/3-ის მიღების შემთხვევაში; კონგრესს შეუძლია შესთავაზოს ცვლილებები კონსტიტუციაში და ამით დაუპირისპირდეს სასამართლოს უფლებას, ბათილად სცნოს ახალი კანონი. ნახ. 2.2. ასახავს ურთიერთობას ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპსა და ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპს შორის.

კონსტიტუციის მუხლები

პრემბულის გარდა, კონსტიტუცია შეიცავს შვიდ მუხლს. პირველი სამი მუხლი აწესრიგებს საშინაო საქმიანობას და ხელისუფლების სამი განსტოების უფლებებს. დანარჩენი ოთხი განსაზღვრავს ურთიერთობას მტატებს შორის, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის პროცედურას, აცხადებს ფედერალური კანონების უზენაესობას და განმარტავს კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცედურას.

მუხლი I. მუხლი საკანონმდებლო ხელისუფლების სტრუქტურის შესახებ. კონსტიტუციის დამფუძნებლებმა დაიწყეს საკანონმდებლო განსტოებით, ვინაიდან, მათი აზრით, კანონმდებლობა რესპუბლიკური მმართველობის უძირითადესი ფუნქცია იყო. ამიტომაც, მუხლი I ყველაზე დაწვრილებითა და, ამდენად, ყველაზე გრძელია სხვა მუხლებთან შედარებით. აქ განსაზღვრულია კონგრესის ბიკამერალური (ორპალატიანი) ხასიათი და აღწერილია წარმომადგენელთა პალატისა და სენატის საქმიანობის პროცედურები. მუხლი I-ის მე-8 ნაწილი ასახავს „უფლებამოსილებათა ნუსხას“ რაც იმას ნიშნავს, რომ კონგრესს შეუძლია თავისი ძალაუფლების განხორციელება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელსაც კონსტიტუცია უწევს. ჩამოთვლილია თვრამეტი უფლებამოსილება, მათ შორის პირველი წვიმეტი არის კონკრეტული უფლებები (მაგალითად, შტატთაშორისი ვაჭრობის რეგულირების უფლება).

მე-8 ნაწილის ბოლო პუნქტი ცნობილია, როგორც „აუცილებელი და საეაღდებულო პირობა“ (ან „მოქნილი პუნქტი“): ის აძლევს კონგრესს საშუალებას, რათა „უფლებამოსილებათა ნუსხა“ ცხოვრებაში გაატაროს. ეს პუნქტი არის კონგრესის „ნაგულისხმევი უფლებამოსილების“ საფუძველი, იმ უფლებებისა, რომლებიც კონგრესს უნდა ჰქონდეს, რათა განახორციელოს „უფლებამოსილებათა ნუსხა“. გადასახადების დაწესებისა და აკრეფის უფლება (პუნქტი 1) და ფულის მოჭრისა და მისი ღირებულების რეგულირების უფლება (პუნქტი 5), შეერთებული აუცილებელ და სავალდებულო პირობასთან (პუნქტი 18) კულისხმობს, რომ კონგრესს აქვს უფლებამოსილება გასცეს ბანკის დაარსების პრი-

ვილგია. მხოლოდ ასე ექნებოდა ეროვნულ ხელისუფლებას იმ სახსრების გამოყენების საშუალება, რომლებსაც იგი კრეფდა გადასახადების სახით. „ნაგულისხმევი უფლებამოსილებანი“ აშკარად აფართოებს იმ „უფლებამოსილებათა ნუსხას“, რომლებსაც კონსტიტუცია ანიჭებს კონგრესს.

მუხლი II. მუხლი აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ. მუხლი II აწესებს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვადას, ამომრჩევთა კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევის პროცედურას, პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატისთვის საჭირო ცენზს, პრეზიდენტის მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს. ეს უკანასკნელი მოიცავს პრეზიდენტის მიერ უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციის შესრულებას, ხელშეკრულებების დადებას (რომლებიც სენატის ხმების 2/3-ით უნდა იყოს რატიფიცირებული) და სახელმწიფო მოხელეების, დიპლომატების და მოსამართლეების დანიშვნას (კვლავ სენატის რჩევითა და თანხმობით).

პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილებები – ესაა ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების კონსტიტუციური სისტემის ნაწილი. მაგალითად, კონსტიტუცია მოითხოვს, რათა პრეზიდენტმა პერიოდულად ამცნოს კონგრესს „კავშირის მდგომარეობა“ და იმ პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ, რომლის გატარებასაც აღმასრულებელი ხელისუფლება შემდგომი წლის განმავლობაში აპირებს (ამჟამად ეს ხორციელდება პრეზიდენტის ყოველწლიურ მიმართვაში „კავშირის მდგომარეობის შესახებ“). საგანგებო ვითარებაში პრეზიდენტს შეუძლია კონგრესის მოწვევა ანდა მისი სხდომების გადადება. გარდა ამისა, მესამე ნაწილის ძალით, რომელიც პრეზიდენტს აკისრებს მოვალეობას „იზრუნოს კანონების კეთილსინდისიერად აღსრულებაზე“, მასვე ენიჭება ძალაუფლების დამატებითი მარაგი.

მუხლი III. მუხლი სასამართლო ხელისუფლების შესახებ. მესამე მუხლი შეგნებულად ბუნდოვანი იყო. კონსტიტუციამ დააარსა უზენაესი სასამართლო როგორც ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ორგანო. მაგრამ კონსტიტუციის დამფუძნებლები ამის გარდა ვერ შეთანხმდნენ ვერც მის საჭიროებაზე, ვერც ზომაზე, ვერც შემადგენლობაზე და ვერც მისი მუშაობის პროცედურაზე. ეს საკითხები კონგრესს დაუტოვეს გადასაწყვეტად. კონგრესმა გადაწყვიტა კიდევ ისინი და შექმნა ფედერალური სასამართლოები, რომლებიც განცალკევებულ იქნა შტატების სასამართლოებისაგან.

ფედერალური მოსამართლეები, თუკი მათ იმპიჩმენტს არ წარუდგენენ, თანამდებობას სამისდღემშიოდ (სამუდამოდ) იკავებენ. მათ განუსაზღვრელი დროით ნიშნავენ „უმწიკვლო ქცევის“ (ე. ი., მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების) პირობით და მათი გასამრჯელო არ შეიძლება შემცირდეს, ვიდრე ისინი მსააურობენ. ეს პირობები აძლიერებს ხელისუფლებათა გამიჯვნას: მოსამართლეები დამოუკიდებლები არიან ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან და მათ არ ემინიათ სასჯელისა, როდესაც ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას.

სასამართლო განშტოება შეიძლება გაკონტროლდეს კონგრესის მიერ, რომელსაც უფლება აქვს შექმნას (და გააუქმოს) დაბალი ინსტანციის ფედერა-

ლური სასამართლოები. კონგრესს შეუძლია აგრეთვე შეზღუდოს ამ სასამართლოების ძალაუფლება სასამართლო საქმის გადაწყვეტის დროს და, როგორც აღვნიშნეთ, პრეზიდენტი, სენატის რჩევითა და თანხმობით, ნიშნავს უზენაესი სასამართლოსა და ქვემდგომი ფედერალური სასამართლოების მოსამართლეებს.

მუხლი III პირდაპირ არ ანიჭებს სასამართლოებს სასამართლო კონტროლის უფლებას, ანუ უფლებამოსილებას – ბათილქყოს კონგრესის ანდა პრეზიდენტის აქტები. მაგრამ ეს უფლება გამომდინარეობს კონსტიტუციის ლოგიკიდან, სტრუქტურიდან და თეორიიდან.

დანარჩენი მუხლები. კონსტიტუციის დანარჩენი ოთხი მუხლი ბევრ საკითხს მოიცავს. მუხლი IV მოითხოვს, რათა ყველა შტატის მოქალაქეს, ოფიციალურ აქტებს, დოკუმენტებს და სასამართლო დადგენილებებს სრული ნდობითა და პატივისცემით მოეკიდონ სხვა შტატებში. ეს პირობა ხელს უწყობს თანასწორობას; ის უზრუნველყოფს, რათა შტატები არ მოექცნენ სხვა შტატის მოქალაქეს საკუთარი მოქალაქისაგან განსხვავებულად. ამ ნაწილის წარმოშობა „კონფედერაციის მუხლებს“ უკავშირდება. მუხლი IV აგრეთვე ნებას რთავს კონგრესს სხვა შტატები მიიღოს კავშირში და უზრუნველყოს შტატების დაცვა გარეშე აგრესიისა და შინაგანი აშლილობისაგან.

მუხლი V აზუსტებს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის წესებს (ამაზე ქვემოთ მეტი იქნება თქმული).

მუხლი VI-ის წინშენელოვანი კომპონენტია „უზენაესობის პირობა“, რომელიც აწესებს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში კონსტიტუციასა და რომელიმე შტატის კანონმდებლობას შორის ამ კონსტიტუციას, ეროვნულ კანონებს და ხელშეკრულებებს გააჩნია უზენაესობა შტატებისა და ადგილობრივი კანონების წინაშე. ეს პირობა არსებითაა ფედერალიზმის პრინციპის განხორციელებისათვის. „უზენაესობის პირობასთან“ შესაბამისობაში, მუხლი VI აგრეთვე მოითხოვს, რათა ყველა ფედერალურმა თუ ცალკეული შტატის მოხელემ, არჩეულმა თუ დანიშნულმა, კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დადოს. ეს მუხლი აგრეთვე აცხადებს, რომ რელიგიური კუთვნილება არ უნდა იყოს კრიტერიუმი სამთავრობო თანამდებობის დაკავებისათვის.

დაბოლოს, მუხლი VII აღწერს კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესს, სადაც განსაზღვრულია, რომ მისი მიღებისათვის საჭიროა, სულ ცოტა, ცხრა შტატის (ცამეტადან) კონვენტის მიერ მისი დამტკიცება.

კონსტიტუციის დამფუძნებელთა მოტივები

რა ძალები ამოძრავებდა კონსტიტუციის დამფუძნებლებს? რა თქმა უნდა, ეკონომიკური საკითხები მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ისინი გადამწყვეტი არ ყოფილა. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც კონსტიტუციური კონვენტის მოწვევა და შედეგანი მუშაობა განაპირობა, იყო ცენტრალური და შტატების მთავრობათა უწარობა, შეენარჩუნებინათ წესრიგი „კონფედერაციის მუხლების“ სუსტი სტრუქტურის პირობებში. რასაკვირველია, წესრიგი გულისხმობს საკუთრების დაცვასაც, მაგრამ დამფუძნებლებს უფრო ფართოდ ესმო-

დათ საკუთრება, ვიდრე მთავრობის ფასიანი ქაღალდები. მათ სურდათ საშიში ანარქიისაგან დაეკვთათ თავიანთი სახლები, ოჯახები და მოძრავი ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებლები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს კონსტიტუციის სტრუქტურის, მექანიზმისა და ცალკეული დეტალების შესახებ, ყველაზე მთავარ საკითხებზე შეთანხმება მაინც მოხერხდა. მაგალითად, კონსტიტუციის სამი ყველაზე გადამწყვეტი საკითხი – გადასახადების აკრეფის უფლება, „აუცილებელი და სავალდებულო პირობა“ და „უზენაესობის პირობა“ – ერთსულაონად, დებატების გარეშე იქნა მიღებული. წესრიგის დამყარების მოტივაცია იმდენად ძლიერი იყო, რომ დამფუძნებლები მზად იყვნენ მიეღოთ ყველაზე არადემოკრატიული ინსტიტუტის – მონობის დამაკანონებელი მუხლები.

მონობის საკითხი

კონსტიტუციური კონვენტის დროს მონობის ინსტიტუტი კარგად იყო ფეხვგადგმული ამერიკის ცხოვრებაში და მონობამ გარკვეული წვლილი შეიტანა კონსტიტუციის ფორმირებაში, თუმცა ეს ტერმინი კონსტიტუციაში არსად არ მოიხსენიება. ალბათ, კონსტიტუცია საერთოდ არ შეიქნებოდა, დელეგატებს მონობის საკითხის გადაწყვეტა რომ დაეწყით.

წარმომადგენელთა პალატაში რეპრეზენტაციის საკითხმა „დიდი კომპრომისის“ ირგვლივ დებატები წარმოშვა. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით წარმომადგენლობაზე საერთო თანხმობა არსებობდა. მაგრამ ვინ ითვლებოდა „მოსახლეობად“? საბოლოოდ დელეგატებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ პალატაში წარმომადგენელთა რიცხვის და პირდაპირი გადასახადების განსაზღვრისათვის თითოეული შტატის მოსახლეობის რაოდენობა უნდა დაედგინათ „ყველა თავისუფალი მოქალაქისა“ და „ყველა სხვა პიროვნების რაოდენობის სამი მეხუთედის“ მიმატების გზით (მუხლი 1, ნაწილი 2). ეს „ყველა სხვა პიროვნება“, რასაკვირველია, მონებს აღნიშნავდა.

პირობა „სამი მეხუთედის“ შესახებ იმ შტატებს, სადაც მონების რიცხვი დიდი იყო (სამხრეთი შტატები), უფრო დიდი წარმომადგენლობის საშუალებას აძლევდა, ვიდრე ჩრდილოეთის შტატებს, სადაც მონათა რაოდენობა უმნიშვნელო იყო. ეს გადაჭარბებული წარმომადგენლობა სამხრეთის შტატებს პრეზიდენტის არჩევისას ასევე უპირატესობას ანიჭებდა, რადგან შტატის ამომრჩევთა რაოდენობას კონგრესის დელეგატთა რიცხოვნობით საზღვრავდნენ. იგივე პუნქტი შტატებს, სადაც მონათა დიდი რაოდენობა იყო, გადასახადებს უმცირებდა.

სხვა პრობლემას წარმოადგენდა მონებით ვაჭრობა. ზოგიერთი სამხრეთელი დელეგატი უკომპრომისოდ გამოდიოდა მონებით ვაჭრობის მომხრედ, მაშინ, როცა ზოგიერთი დელეგატი ასეთი ვაჭრობის აკრძალვას უჭერდა მხარს. დელეგატებმა აქაც მიაღწიეს კომპრომისს და შეთანხმდნენ, რომ საკითხი მონებით ვაჭრობის მოსაპოვის შესახებ კიდევ 20 წელი არ უნდა განეხილათ (მუხლი 1, ნაწილი 9).

სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დელეგატები შეთანხმდნენ იმაზეც,

რომ გაქცეული მონები პატრონებისათვის უნდა დაებრუნებინათ (მუხლი IV, ნაწილი 2).

ამ პუნქტების შემუშავებით დამფუძნებლები არსებითად შეურიგდნენ მონობის არსებობას. ნათელია, რომ მონობა ეწინააღმდეგებოდა იდეას, რომ „ყველა ადამიანი თანასწორად არის შექმნილი“, და თუმცა ბევრი მონათმფლობელი, მათ შორის ჯეფერსონი და მედისონი, ამ საკითხთან დაკავშირებით სინდისის ქენჯნას განიცდიდნენ, მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტამ მიიღო სერიოზული ზომები საკუთარი მონების გასანთავისუფლებლად. ამერიკელების უმეტესობა, როგორც ჩანს, ინდიფერენტული იყო მონობის საკითხის მიმართ. მიუხედავად ამისა, მონობის გაუქმება საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა. 1787 წლისათვის ის უკვე გაუქმებული იყო ანდა მიღებული იყო ზომები მისი თანდათანობით გაუქმებისათვის კონკრეტულ კანონებში, მასაჩუსეტსში, ნიუ-ჯერსიში, ნიუ-იორკში, პენსილვანიამში, როდ-აილენდსა და ვერმონტში. ეს ნელი, მაგრამ უკვე ხილული ძვრა მონობის საკითხში ბევრ შტატში ცუდად ფარავდა აფეთქებასაშიშ ძალას, რომელსაც შეეძლო კონსტიტუციური კონვენტი ჩაეშალა და თვით კავშირი საფრთხის წინაშე დაეყენებინა.

კონსტიტუციის პროპაგანდა და რატიფიკაცია

1787 წლის 17 სექტემბერს, კონსტიტუციური კონვენტის გახსნიდან თითქმის ოთხი თვის შემდეგ, დელეგატები საბოლოოდ შეიკრიბნენ, რათა თავიანთი ნამუშევრის საბოლოო ტექსტისათვის მოეწერათ ხელი. რადგან ზოგიერთ დელეგატს ხელისმომწერა არ სურდა, დოკუმენტის ბოლო აბზაცი მოხერხებულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ერთსულოვნების შთაბეჭდილება შექმნილიყო: „მიღებულ იქნა კონვენტზე, დამსწრე შტატების ერთსულოვანი მხარდაჭერით“. მაგრამ იქამდე, ვიდრე კონსტიტუცია ძალაში შევიდოდა, საჭირო იყო სულ ცოტა ცხრა შტატის შესაბამისი კონვენტის მიერ მისი რატიფიკაცია.

ახალი დოკუმენტის მომხრეები, რომლებიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრენი იყვნენ, თავის თავს „ფედერალისტებს“ უწოდებდნენ, ხოლო კონსტიტუციის ოპონენტები სწრაფად მონათლეს „ანტიფედერალისტებად“, ეს უკანასკნელნი კი ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ისინი არიან ნამდვილი ფედერალისტები, რადგან სურთ დაიცვან შტატები ძლიერი ცენტრალური მთავრობის ტირანიისაგან. ამ ორი ჯგუფის განსხვავებულმა თვალსაზრისმა ამერიკის პირველი პოლიტიკური პარტიების საფუძველი შექმნა.

„ფედერალისტური ფურცლები“

1787 წლის ოქტომბრიდან ამერიკაში დაიბეჭდა 85 საგაზეთო სტატიის განსაკუთრებული სერია, რომელიც იცავდა კონსტიტუციას. სერიას ერქვა: „ფედერალისტი: შერთებული შტატების კონსტიტუციის კომენტარი“. რატიფიკაციისათვის ბრძოლის პერიოდში ეს სტატიები მრავალჯერ გადაიბეჭდა სხვადასხვა გამოცემაში. მათ ხელს აწერდა ფსევდონიმი „პუბლიუსი“, მაგრამ, ძირითადად, დაწერილი იყო ჯეიმზ მედისონისა და ელიგზენდერ ჰემილტონის

მიერ, რომელთაც ერთგვარი დახმარება აღმოუჩინა ჯონ ჯეიმ. პუბლიუსი გონივრულად და წყნარად ასაბუთებდა რატიფიკაციის საჭიროებას. „ფედერალისტი“ (ხანდახან მათ „ფედერალისტურ ფურცლებს“ უწოდებენ) დღემდე რჩება კონსტიტუციის არსისა და მისი პოლიტიკური თეორიის საუკეთესო კომენტარად.

ანტიფედერალისტებმა მკითხველებს შესთავაზეს საკუთარი ინტელექტის ნაყოფი, სადაც კონსტიტუციის უარყოფის საჭიროებას ასაბუთებდნენ. ყველაზე გავლენიანი სტატიები დაწერილი იყო ფსევდონიმებით „ბრუტუსი“ და „ფედერალური ფერმერი“. ამ სტატიებში მძაფრად უტყევენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას და ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალიზაცია დააქცევდა შტატებს, დაარღვევდა „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ საზოგადოებრივ შეთანხმებას და თავისუფლების განვითარების პროცესს მოსპობდა. ეს სტატიები იცავდნენ სტატუს ქვოს და ამტკიცებდნენ, რომ „კონფედერაციის მუხლებმა“ ნამდვილი ფედერალური პრინციპები ჩამოაყალიბა (Storing, 1981).

„ფედერალისტურ ფურცლებს“ შორის ყველაზე შესანიშნავი და ხშირად ციტირებული არის „ფედერალისტი № 10“, რომელიც ჯეიმზ მედისონმა დაწერა. იგი ამტკიცებდა, რომ შემოთავაზებული კონსტიტუცია შექმნილი იყო „ფრაქციების ძალმომრეობის დასაძლევად და ასალაგმავად“: „ფრაქციად მე ვგულისხმობ მოქალაქეთა ჯგუფს, მთელი ხალხის უმრავლესობას ან უმცირესობას რომ წარმოადგენს, რომელიც ერთიანდება და მოქმედებს რაღაცა გრძნობის ან ინტერესის საერთო იმპულსის საფუძველზე და უპირისპირდება დანარჩენი მოქალაქეების უფლებას ანდა საზოგადოების მუდმივ და საერთო ინტერესებს“.

რასაკვირველია, მედისონი მსჯელობდა იმაზე, რაც ამ წიგნის I თავშია აღწერილი, როგორც „პლურალიზმი“, ხოლო რასაც „ფრაქციებს“ უწოდებდა, ახ.ე. ცნობილია, როგორც „დანიტერესებული ჯგუფები“ ანდა თვით პოლიტიკური პარტიებიც კი. მედისონის მიხედვით, „ფრაქციების არსებობის ყველაზე საერთო და მტკიცე საფუძველი არის საკუთრების სხვადასხვაგვარი და არათანაბარი განაწილება“. სიმდიდრის განაწილებაში უთანასწორობის (რაც მედისონს ბუნებრივად მიაჩნდა) დაძლევა სულაც არ იყო ავტორის მიზანი: იგი უფრო მნიშვნელოვნად თვლიდა იმ გარდაუვალი კონფლიქტის გაკონტროლებას, რომელიც ამ უთანასწორობიდან გამომდინარეობდა. მედისონი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუცია ამ მიზნისათვის „კარგად იყო კონსტრუირებული“.

წარმომადგენლობის მექანიზმის მეშვეობით, – წერდა მედისონი, – კონსტიტუცია თავიდან აიცილებს უმრავლესობის ტირანიას (ბრბოს მმართველობას), მთავრობას გააკონტროლებს არა უშუალოდ ხალხი, არამედ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. ამ წარმომადგენლებს უნდა ეყოს გონიერება და საღი აზრი, რათა სახელმწიფოს უფრო ფართო ინტერესებს ემსახურონ. უფრო მეტიც, ფედერალური სისტემა მოითხოვს, რათა უმრავლესობა ჯერ შტატებში ჩამოყალიბდეს და მხოლოდ შემდეგ მოხდეს მისი ორგანიზება ერთიანი სახელმწიფოს დონეზე შედეგანი მოქმედებისათვის. ეს გარემოება და ქვეყნის სიდიდე საკმარისი გარანტიაა, რათა არ შეიქმნას ისეთი უმრავლესობა, „რომელიც სხვა მოქალაქეთა უფლებებში შეიჭრება“.

„ფედერალისტი № 10“-ის მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ ახალ ხელისუფლებაზე ვერცერთი ფრაქცია ვერ მოახდენს ზეგავლენას. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ მედისონი ამტკიცებდა, რომ ფრაქციულობის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების საუკეთესო გზაა დიდი რესპუბლიკა, და რაც უფრო დიდია რესპუბლიკა, მით უკეთესი. რაც უფრო მრავალფეროვანია საზოგადოება, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია უსამართლო უმრავლესობის შექმნა. მედისონს ნამდვილად არ ჰქონდა განზრახული მაჟორიტარული დემოკრატიის ჩამოყალიბება; მისი თვალსაზრისი სახალხო ხელისუფლების შესახებ ბევრად უფრო ემთხვეოდა პლურალისტური დემოკრატიის მოდელს, რომელზეც I თავში იყო მსჯელობა.

მედისონი თავის არგუმენტს სხვა კუთხით აძლიერებდა „ფედერალისტი № 51“-ში. მისი აზრით, „მიზანსწრაფვის საწინააღმდეგოდ სხვა მიზანსწრაფვა უნდა იქნეს გამოყენებული“ და ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებათა გამიჯვნა და ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპი ყველანაირად შეზღუდავს ტირანიის წარმოშობის საფრთხეს. თუ ძალაუფლება თანაბრად იქნება განაწილებული სამ განშტოებას შორის, მაშინ თითოეულ განშტოებას ექნება საკმარისი ძალა, რათა დაუპირისპირდეს სხვა განშტოების მეტისმეტ გაძლიერებას. მედისონის სიტყვებით: „უზურპაციის წინააღმდეგ არსებობს ხელისუფლების განაწილება განსხვავებულ და გამიჯნულ დეპარტამენტებს შორის“; ვინაიდან რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას დომინირების ტენდენცია გააჩნია, ამიტომ საკანონმდებლო ორგანო დაყოფილია სენატად და წარმომადგენელთა პალატად, რომლებიც სხვადასხვა მეთოდით და სხვადასხვა ვადით აირჩევა. დამატებით დაცვას იძლევა ფედერალიზმი, რომელიც ანაწილებს ხელისუფლებას „ორ განსხვავებულ – ცენტრალურ და შტატების – მთავრობებს შორის“. შემდგომ კი თითოეული მათგანისათვის მინიჭებული ძალაუფლების ნაწილი დაიყოფა „განსხვავებულ და გამიჯნულ დეპარტამენტებს შორის“.

ანტიფედერალისტები მოითხოვდნენ ხელისუფლებათა კიდევ უფრო მეტ გამიჯვნას და ურთიერთშეკავების და ურთიერთგაწონასწორების პრინციპის გაძლიერებას, რაც, მათი აზრით, მთლიანად მოსპობდა ტირანიის საფრთხეს. ფედერალისტებს კი სჯეროდათ, რომ ასეთი დამატებითი შეზღუდვები სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობის ქმედითუნარიანობას საერთოდ მოსპობდა. მაგრამ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოთ კონსტიტუციის რატიფიკაცია, ფედერალისტები კომპრომისზე დათანხმდნენ.

მორიგება: „უფლებათა ბილი“

„ფედერალისტური ფურცლების“ მჭევრმეტყველების მიუხედავად, ბევრი თვალსაჩინო მოქალაქე, მათ შორის თომას ჯეფერსონიც, უკმაყოფილო იყო იმით, რომ კონსტიტუციაში არ იყო ჩამოთვლილი სამოქალაქო უფლებები – პირადი თავისუფლებანი, რომლებიც მოქალაქეებისათვის იყო გარანტირებული. კონსტიტუციაში „უფლებათა ბილის“ გამოტოვება ძირითადი მიზეზი იყო, რის გამოც შტატების მიერ კონსტიტუციის რატიფიკაცია ბრკოლდებოდა. კოლონიისტებმა ის-ის იყო დაამთავრეს თავიანთი აჯანყება ბრიტანეთის მთავრობის

წინააღმდეგ, რომელიც მათი ძირეული სამოქალაქო უფლებების დასაცავად დაიწყო: ახალი კონსტიტუცია კი გვერდს უვლიდა ამ უფლებებს. რა იყო ამის მიზეზი?

პასუხი უფრო ლოგიკის სფეროდან იყო, ვიდრე პოლიტიკიდან, ვინაიდან ცენტრალური მთავრობა თვითონ იყო შეზღუდული უფლებებში, (არ გააჩნდა უფლებამოსილება შეეზღუდა ხალხის უფლებანი), ამიტომაც გარანტირებული თავის-უფლებების ჩამოთვლა საჭიროდ არ იქნა ცნობილი. ჰემილტონი „ფედერალისტ № 84“-ში უფრო შორსაც წავიდა: ის ამტკიცებდა, რომ „უფლებათა ბილის“ დამატება საშიშვლად კი შეიძლება ყოფილიყო: ვინაიდან კონსტიტუციაში შეუძლებელი იყო ჩამოეთვალათ ყველა უფლებები, ჰემილტონის აზრით, ნებისმიერი ცდა უფლებათა ნაწილობრივი ჩამონათვალის შეტანისა კონსტიტუციაში სხვა (ჩამოუთვლელი) უფლებების მიმართ მთავრობის უმართებულო დამოკიდებულების საფრთხეს ქმნიდა.

მაგრამ ლოგიკა ვერ შეედრებოდა რეალურ შიშს. ბევრი შტატი დათანხმდა კონსტიტუციის რატიფიკაციაზე მხოლოდ ჯორჯ ვაშინგტონის წინადადების შემდეგ, ჩამატებულიყო კონსტიტუციაში გარანტიების ჩამონათვალი შესწორების პროცესის გზით. ასზე მეტი შესწორება იქნა შემოთავაზებული შტატების მიერ. ისინი შეამცირეს თორმეტამდე. საბოლოოდ კი ათი მათგანი 1791 წელს გადაიქცა კონსტიტუციის ნაწილად მას შემდეგ, რაც ამ შესწორებებმა საჭირო თანხმობა მიიღეს შტატების 3/4-ისაგან. ამ ათ შესწორებას ერთიანად უწოდებენ „უფლებათა ბილს“. ისინი უკრძალავენ ცენტრალურ მთავრობას ძირეული უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებათა ხელყოფას და ხაზს უსვამენ ცენტრალური ხელისუფლების შეზღუდულ ხასიათს (იხ. ცხრილი 2.1)

რატიფიკაცია

კონსტიტუცია ოფიციალურად ძალაში შევიდა 1788 წლის 21 ივნისს, მას შემდეგ, რაც მეცხრე შტატმა – ნიუ-ჰემპშირმა – მოახდინა მისი რატიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ახალი ხელისუფლების წარმატება მხოლოდ 1788 წლის აგვისტოში იქნა გარანტირებული, როდესაც ხანგრძლივი დებატების შემდეგ კონსტიტუცია მიიღეს ყველაზე დიდმა შტატებმა – ვირჯინიამ და ნიუ-იორკმა.

ხანგრძლივმა ბჭობამ და დისკუსიამ, რაც თან ახლდა კონსტიტუციის შექმნასა და რატიფიკაციას, მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ ახალი ხელისუფლების წარმოშობა მშვიდობიანად შეიძლება მოხდეს. მოგვიანებით ფრანგი პოლიტოლოგი ალექსის დე ტოკვილი (1805-1859) წერდა: „საზოგადოების ისტორიაში სიახლეა იმ დიდი ხალხის ქცევა, რომელიც მისმა კანონმდებლებმა გააფრთხილეს სახელმწიფო მანქანის მოსალოდნელი შეჩერების შესახებ და რომელმაც უშიშრად და აუჩქარებლად შეძლო თავისი ყურადღების გადატანა სიღრმისეულ მიზეზებზე, ორი წელი მოანდომა ამ სენის წამლის ძიებას და როცა საბოლოოდ წამალი დადგენილ იქნა, ნებაყოფლობით მიიღო ისე, რომ ადამიანებს ერთი წვეთი არც ცრემლი და არც სისხლი არ დაუღვრიათ“ (Tocqueville, 1966, p. 102).

ცხრილი 2.1 „უფლებათა ბილი“

კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება ცნობილია, როგორც „უფლებათა ბილი“. ეს შესწორებები ქვემოთ არის მოცემული კონცეპტუალურად დაგეგმული სახით. შესწორებათა რეალი ტექსტი მოცემულია ამ წიგნის დამატება 2-ში.

გარანტიები **შესწორება №№**

პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის გარანტიები	
ხელისუფლებას არა აქვს უფლება შეზღუდოს სიტყვისა და პრესის თავისუფლება; ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს მშვიდობიანი თავშეყრა; ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს მთავრობისადმი პეტციციით მიმართვა დაშვებული უსამართლობის გამოსწორების მიზნით	1
პიროვნების რწმენის პატივისცემის გარანტიები	
ხელისუფლება არ აკანონებს რომელიმე რელიგიას; ხელისუფლება არ კრძალავს რელიგიის თავისუფალ აღმსარებლობას	1
პიროვნული ხელშეუხებლობის გარანტიები	
მყოფელის თანხმობა საჭირო მყოფლობიანობის დროს არმიის ჩასაყენებლად კერძო სახლებში; ომიანობის დროს ჩაყენება შეიძლება მოხდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად;	3
მთავრობას არ შეუძლია მოაწიოს უშიშეზო ჩხრეკა და დაპატიმრება; ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი საფუძვლიან მიზეზს უნდა ეყრდნობოდეს;	4
არავინაა ვალდებული რაიმე კრიმინალურ შემთხვევაში თავისი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება	5
გარანტიები სახელმწიფოს რწმუნებების გადამეტების წინააღმდეგ	
მისი დანაშაული მითხოვს ნაფიც მსაჯულთა დიდი ჯიურის მიერ გამოტანილ ვერდიქტს; ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმარტებითი გასამართლება დაუშვებელია; სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების წართქვევა სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე არ უნდა მოხდეს; არ უნდა ჩამოერთვას კერძო საკუთრება სახელმწიფოებრივი სარგებლობისათვის სამართლიანი კომპენსაციის გარეშე;	5
ბრალდებულებს სწრაფი საჯარო გასამართლება ელით მიუკერძოებელ ადგილობრივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე; ბრალდებულებს გააცნობენ ბრალდებას; ბრალდებულს დაუპირისპირებენ მოწმეს; ბრალდებულები გამოიყენებენ სასამართლო პროცესს, რათა მათთვის სასარგებლო ჩვენების მისაცემად მოაწყინონ მოწმეები; ბრალდებულებს აქვთ ადვოკატის აყვანის კანონიერი უფლება	6
სამოქალაქო საქმეები შეიძლება განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, თუკი სადავო საკითხის ღირებულება აღემატება ოც დოლარს;	7
არ შეიძლება მეტისმეტად დიდი გირაოს და ჯარიმის დაწესება; არ უნდა დაიდოს სასტიკი და უსუფულო სასჯელი	8
სხვა გარანტიები	
ხელისუფლებამ არ უნდა ხელყოს ხალხის კონსტიტუციაში აღუნიშნავი ძირეული უფლებები;	9
ცალკეაღკვეთა მტატებმა ან მათ მოსახლეობას ენიჭებათ ის უფლებამოსილებანი, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით არ არის გადაცემული ეროვნული მთავრობისათვის ანდა აკრძალული მტატებისათვის;	10
საოპოს აქვს იარაღის შენახვისა და ტარების უფლება	2

ცვლილება კონსტიტუციაში

კონსტიტუციის დამფუძნებლებს ესმოდათ, რომ კონსტიტუცია ხანდახან შესაცვლელი იქნებოდა. ამ მიზნით მათ გაითვალისწინეს შესწორებების შეტანის ფორმალური პროცესი (მუხლი V), პროცესი, რომელიც თითქმის დაუფრთხილებელი იქნა გამოყენებული „უფლებათა ბილის“ დამატების მიზნით. დროთა განმავლობაში კონსტიტუცია შეიცვალა იურიდიული ინტერპრეტაციისა და პოლიტიკური პრაქტიკის მეშვეობით.

კონსტიტუციის შესწორების ფორმალური პროცესი

შესწორების შეტანის პროცესში არსებობს ორი სტადია – წინადადების წარმოდგენა და რატიფიკაცია; ორივე მათგანი საჭიროა, რათა შესწორება კონსტიტუციის ნაწილად იქცეს. კონსტიტუცია იძლევა ორ ალტერნატიულ მეთოდს თითოეული სტადიის გასაველეად (იხ. ნახ. 2.3). ცვლილება შეიძლება შესთავაზოს: (1) – წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა ხმების 2/3-ით და (2) – შტატების 2/3-ის საკანონმდებლო დაწესებულებების მოთხოვნით კონგრესის მიერ მოწვეულმა ეროვნულმა კონვენტმა. დღემდე მიღებული ყველა შესწორება შემთავაზებულ იქნა პირველი მეთოდით; მეორე მეთოდი არასოდეს არ ყოფილა გამოყენებული.

წარმოდგენილი წინადადება შეიძლება რატიფიცირებულ იქნეს: (1) – შტატების 3/4-ის საკანონმდებლო ორგანოების მიერ და (2) – შტატების 3/4-ში კონსტიტუციური კონვენტების მიერ. კონგრესი ირჩევს რატიფიცირების მეთოდს. კონვენტების მეთოდი მხოლოდ ერთხელ იქნა გამოყენებული – XXI შესწორებისათვის, რომელმაც გააუქმა XVIII შესწორება.

ეროვნული კონვენტის მოწვევა ცვლილების შესათავაზებლად არასოდეს უცდიათ. ეს მეთოდი მართლაც ქმნის სხვადასხვა საჭოჭმანო პრობლემას, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის საზღვრები, რომელსაც კონვენტის საქმიანობას დაუწესებენ. საერთოდ, სცნობს კი კონვენტი ამ საზღვრებს? ეროვნული კონვენტი კონკრეტული შესწორების მიღების მიზნით უნდა მოიწვიონ თუ მთელი კონსტიტუციის შესაცვლელად? ეს არაეინ იცის.

მოძრაობა, რათა მოეწვიათ კონსტიტუციური კონვენტი გაწონასწორებული ბიუჯეტის შესახებ შესწორების მოსამზადებლად, უკვე დაწყებული იყო 1988 წელს. მაგრამ ეს ცდა ჩაიშალა ნაწილობრივ იმის გამო, რომ ბევრი შტატის კანონმდებელს შეეშინდა, კონვენტი პანდორას ყუთად არ გადაქცეულიყო, რომელიდანაც პოლიტიკური ცვლილების გრივალნი ამოვარდებოდა და სახელმწიფო ხელისუფლების ძირფესვიან შეცვლას დაიწყებდა. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის საკითხის მიმართ გამუდმებულმა ინტერესმა 1992 წელს გამოიწვია თვით კონგრესის შიგნით თამამი ცდა შტატებისათვის გაწონასწორებული ბიუჯეტის კონსტიტუციური შესწორების შესათავაზებლად. ეს ცდაც ჩაიშალა, რადგან წარმომადგენელთა პალატაში ხმების საჭირო რაოდენობა 2/3 ვერ შეგროვდა.

კონსტიტუციის 27 შესწორებიდან უმრავლესობა მიღებულ იქნა იმ მიზნით,

რომ მას ფეხი აეწყო პოლიტიკური აზროვნების ცვლილებებისათვის. პირველი ათი შესწორება („უფლებათა ბილი“) რატიფიკაციის საფასური იყო, მაგრამ ისინი ძალიან მნიშვნელოვანია აშშ-ის ხელისუფლების მოქმედი სისტემისთვისაც. შემდგომი 17 შესწორება სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: (1) – რომლებიც საშინაო პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება, (2) – რომლებიც ხელისუფლების სტრუქტურის ხარვეზებს ავსებენ და (3) – რომლებიც წინ სწევენ თანასწორობის საკითხს (იხ. ცხრილი 2.2).

1787 წლიდან შემოთავაზებულ იქნა 10 ათასამდე კონსტიტუციური შესწორება; მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიარა ოფიციალური წინადადების სტადია. მას შემდეგ, რაც შესწორებას კონგრესი მოიწონებს, მისი რატიფიკაციის შანსი მაღალია. XXVII შესწორება, რომელიც უკრძალავს კონგრესმენებს საკუთარ თავს დაუყოვნებლივ მოუმატონ ხელფასი, შემოთავაზებულ იქნა 1789 წელს, ხოლო რატიფიცირებული 1922 წელს. ჩავარდა მხოლოდ ექვსი შესწორება, რომელიც შტატებს გადაეცა სარატიფიკაციოდ. 1980-იან წლებში ორი ასეთი ჩავარდა მოხდა: არ იქნა რატიფიცირებული თანასწორი უფლებების შესწორება და შესწორება ქვეყნის დედაქალაქის, ვაშინგტონის (კოლუმბიის ოლქი) კონგრესში სრული წარმომადგენლობის შესახებ.

განმარტებები სასამართლოს მხრიდან

1803 წელს უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ და დაადგინა, რომ სასამართლოებს აქვს უფლებამოსილება გააუქმონ მთავრობის აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (ამ საკითხზე იხ. თავი 11). სასამართლო კონტროლის განხორციელება აიძულებს სასამართლოებს მოახდინონ კონსტიტუციის ინტერპრეტაცია. სხვათა შორის, ეს საკმაოდ გონივრული საქმეა. სასამართლო ხომ ხელისუფლების კანონგანმმარტავი განშტოებაა, კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლესი კანონია და სასამართლოებს განმარტების (ინტერპრეტაციის) ფართო ასპარეზი უჩნდებათ. მაგრამ კონსტიტუციის ინტერპრეტაციისას სასამართლოებს შეუძლიათ მხოლოდ ახალი მნიშვნელობა მიანიჭონ ძველ დებულებებს. ამიტომ სასამართლო ინტერპრეტაცია კონსტიტუციური ცვლილებების ძირითადი ფორმაა.

პოლიტიკური პრაქტიკა

კონსტიტუცია სდუმს მრავალ საკითხზე. მაგალითად, არაფერია ნათქვამი პოლიტიკურ პარტიებზე ანდა პრეზიდენტის კაბინეტის შესახებ. დღეს კი პარტიებიც და კაბინეტიც საგრძნობი გავლენით სარგებლობენ ამერიკის პოლიტიკაში. ზოგიერთი კონსტიტუციური მოთხოვნა მოძველდა. მაგალითად, შტატების ამომრჩევებს თავიდან ევალებოდათ, საკუთარი მოსაზრება ჰქონოდათ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის შესახებ. დღეს კი ამომრჩევები უბრალოდ იმეორებენ არჩევნების შტატების მიღებულ შედეგებს.

ცხრილი 2.2. კონსტიტუციური შესწორებები XI-XXVII

№	შემოთავაზება	რატიფიკაცია	კატეგორია	საგანი
XI	1794	1795	G	უკრძალავს კერძო პირებს, უზიცილონ რომელიმე შტატს ყველურაღიურ სასამართლოში
XII	1803	1804	G	მოითხოვს ამომრჩევეთა კოლეგიისა-გან, ცალ-ცალკე უყარონ კენჭი პრე-ზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს
XIII	1865		E	აუქმებს მონობას
XIV	1866	1868	E	აძლევს მოქალაქეობას ყველა პირს, ვინც დაიბადა ანდა ნატურალიზე-ბულ იქნა აშშ-ში (ყოფილ მონებს); უკრძალავს შტატებს წაართვიან პი-რეივებას „სიცოცხლე, თავისუფლე-ბა ან საკუთრება სათანადო სასარ-თღებრაივი პროცედურის გარეშე“
XV	1869	1870	E	გარანტიას იძლევა, რომ მოქალაქეს არ შეიძლება უარი ეთქვას არჩე-ვებში მონაწილეობაზე „რასის, კანის ფერის ან ადრე მონურ მდგომარეო-ბაში ყოფნის“ მიტივიით
XVI	1909	1913	E	ანიჭებს კონგრესს უფლებას, აკრი-ფოს საშემოსავლო გადასახადი
XVII	1912	1913	E	აწესებს სენატორის საერთო-სახალ-ხო არჩევნებს (ადრე მათ შტატების საკანონმდებლო ორგანო ირჩევდა)
XVIII	1917	1919	P	კრძალავს ალკოჰოლური სასმელების წარმოებას, გასაღებას და გაღახადვას
XIX	1919	1920	E	ანიჭებს ქალებს არჩევნებში მონაწი-ლეობის უფლებას
XX	1932	1933	G	პრეზიდენტის ინაუგურაციის თარი-ღი 4 მარტიდან გადამოაქვს 20 იან-ვარზე და 3 იანვარს აწესებს კონ-გრესის სხდომების გახსნის დღედ
XXI	1933	1933	P	აუქმებს XVIII შესწორებას
XII	1947	1951	G	პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფ-ნას ზღუდავს ორი ვადით
XXIII	1960	1961	E	ეაშინგტონის (კო.) მოქალაქეებს ანი-ჭებს უფლებას მიიღონ მონაწი-ლეობა პრეზიდენტის არჩევნებში
XXIV	1962	1964	E	კრძალავს არჩევნებში მონაწილეო-ბისათვის მოქალაქეებისგან საარჩე-ვო გადასახადის მოთხოვნას
XXV	1965	1967	G	აყალიბებს პრეზიდენტის მეშვეი-დრობის წესს, მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის სა-კითხს და ვიცე-პრეზიდენტის ვაკან-სიის შევსების წესს

ცხრილი 2.2. გაგრძელება

№	შემოსაჯახება	რატიფიკაცია	კატეგორია	საგანი
XXVI	1971	1971	E	საარსებო ასაკის ამცირებს 18 წლამდე
XXVII	1979	1972	G	კრძალავს კონგრესის წევრებისათვის ხელისუფლების დაუყოვნებლოვ გაზრდას

P = შესწორებები საშინაო პოლიტიკის სფეროში
 G = შესწორებები ხელისუფლების სტრუქტურის ხარვეზების აღმოსაფხვრელად
 E = შესწორებები თანასწორობის მისაღწევად

პოლიტიკურმა პრაქტიკამ შეცვალა ძალაუფლების განაწილება კონსტიტუციაში ცვლილებების გარეშე. დამფუძნებლებს განზრახული ჰქონდათ, კონგრესი ხელისუფლების უძლიერეს განმტობად ექციათ. მაგრამ პრეზიდენტის თანამდებობის ავტორიტეტმა დარღვიდა კონგრესი. ისეთი პრეზიდენტები, როგორებიც იყვნენ ეიბრე-ემ ლინკოლნი და ფრენკლინ დ. რუზველტი, თავიანთ უფლებებს ძალზე უნარიანად იყენებდნენ ქვეყანაში კრიზისების დასაძლევად, ხოლო მათი ქცევა ერთგვარი ტრამპლინი იყო შემდგომი პრეზიდენტებისათვის, რათა კიდევ უფრო გაეზარდათ პრეზიდენტის ძალაუფლება.

კონსტიტუციის შეფასება

შეერთებული შტატების კონსტიტუცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული დოკუმენტია. ის არის უძველესი დაწერილი* ეროვნული კონსტიტუცია, რომელსაც ყველაზე ხშირად იმეორებენ სხვა კონსტიტუციებში, ხანდახან სიტყვა-სიტყვითაც კი. კონსტიტუციის ძალა.მის მოკლე ტექსტშია. დამფუძნებლებმა მარტივად ჩამოაყალიბეს ხელისუფლების სტრუქტურული ჩარჩო – მათ არ დაიწყეს ურთიერთობებისა და უფლებების დეტალური აღწერა. მაგალითად, კონსტიტუცია კონგრესს სხვადასხვა შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირების უფლებას ანიჭებს (მუხლი I, ნაწილი 8), მაგრამ იგი არ განსაზღვრავს შტატებს შორის ვაჭრობის წესებს. ასეთი ზოგადი ფორმულირებები საშუალებას იძლევა, კონსტიტუცია უფრო მოქნილად მოერგოს თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ განვითარებას.

შეერთებული შტატების კონსტიტუციის ზოგადი ხასიათი მკვეთრ კონტრასტს ქმნის უმეტესი შტატების კონსტიტუციების დაწერილებით ხასიათთან შედარებით. მაგალითად, კალიფორნიის შტატის კონსტიტუციის XIII მუხლი, ნაწილი 12 ადგენს, რომ „გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდნენ ხეხილი და კაკლოვანი ჯიშის ხეები ბაღში დარგვიდან ოთხი წლის განმავლობაში და ვაზი, ვენახში გაშენებიდან სამი წლის განმავლობაში“. ასეთი დეტალიზაციის გამო შტატების კონსტიტუციებს ბევრად უფრო გრძელი ტექსტი აქვთ, ვიდრე აშშ კონსტიტუციას.

* ინგლისის კონსტიტუცია უფრო ძველია, მაგრამ ის ერთიანი, დაწერილი დოკუმენტის სახით არასოდეს არ ყოფილა ჩამოყალიბებული (მთარგმნელის შენიშვნა)



კასრების გამოვლენა

მეთრამეტე შესწორებამ, რომელიც 1919 წელს შტატების მიერ იქნა რატიფიცირებული, აკრძალა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, გასაღება და ტრანსპორტირება. შესწორების შეტანაზე ზემოქმედება მოახდინეს მორალური და სოციალური რეფორმების ჯგუფებმა, ისეთებმა, როგორიც იყო „სმისგან თავის შეკავების ქალთა ქრისტიანული კავშირი“, რომელიც დაარსებული იყო ილინოისის შტატის ქ. ვეანსტონის მოქალაქის ფრენსის უილარდის მიერ 1874 წელს. შესწორებამ სრული ფაისკო განიცადა. ხალხი სმას აგრძელებდა, ხოლო ალკოჰოლური სასმელები არალეგალურად მზადდებოდა ანდა კონტრბანდული წესით შემოჰქონდათ აშშ-ში („მშრალმა კანონმა“ ფაქტობრივად ხელი შეუწყო ამერიკაში ორგანიზებული დანაშაულის გაფართოებას და მაფიის ჩამოყალიბებას).

თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა კონსტიტუციაში

რეკოლუციონერებმა ჩამოაყალიბეს ხელისუფლების ახალი ფორმა – ფედერალური ხელისუფლება, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო წესრიგის შესანარჩუნებლად, მაგრამ ნაკლებ ძლიერი, რომ შტატებზე ებატონა ანდა პიროვნების თავისუფლება შეეზღუდა. მოკლედ რომ ვთქვათ, კონსტიტუციამ შექმნა გონივრული წონასწორობა წესრიგსა და თავისუფლებას შორის. მაგრამ ის სავსებით უგულვებელყოფს თანასწორობის იდეას.

მოდით, განვიხილოთ სოციალური თანასწორობა. კონსტიტუცია არ ახსენებს მონობას, საკითხს, რომელიც იმ დროსაც წინააღმდეგობრივი იყო. როგორც ზემოთ იყო განხილული, კონსტიტუციამ რამდენიმე მუხლის ფორმულირებაში შეგნებულად აუარა გვერდი მონობის საკითხს. მხოლოდ 1865 წელს, მეცამეტე შესწორების რატიფიკაციის შემდეგ, აიკრძალა მონობა.

კონსტიტუცია დაიწერა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე სოციალურ თანასწორობას მიიჩნევდნენ ხელისუფლების ერთ-ერთ მიზნად. უფრო მეტიც, „ფედერალისტ № 10“-ში მედისონი „ხელისუფლების ძირითად მიზნად“ მიიჩნევდა დაცვას „ადამიანთა შორის უფლებათა განსხვავებებისა, რომელთაგანაც წარმოიშობა საკუთრების უფლება“. კონსტიტუციის მიღებიდან 100-ზე მეტი წლის შემდეგ მასში შეტანილ იქნა შესწორება, რომელიც საკვანძოა სოციალური თანასწორობისათვის – ესაა საშემოსავლო გადასახადი. 1913 წელს მიღებულმა XVI შესწორებამ კონგრესს მიანიჭა უფლება აეკრიფა საშემოსავლო გადასახადი; ეს შესწორება შესთავაზეს და მისი რატიფიკაცია მოახდინეს იმ კანონის სანაცვლოდ, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული 1895 წლის ერთ-ერთი სასამართლო პროცესის დროს. პროგრესული დაბეგვრის იდეა (როდესაც გადასახადის განაკვეთი იზრდება შემოსავალთან ერთად) ძალიან დიდხანს უკავშირდებოდა საშემოსავლო გადასახადს და XVI შესწორებამ ამ იდეას კონსტიტუციური ბაზისი შესძინა. პროგრესულმა დაბეგვრამ შემოსავლის გადანაწილების გზით ხელი შეუწყო მომავალში სოციალური თანასწორობის განვითარებას; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო მაღალი შემოსავლის მქონენი მეტ პროცენტს იხდიან გადასახადის სახით, რომელიც სოციალური პროგრამების დაფინანსებას ხმარდება და ნაკლები შემოსავლის მქონეთათვის სარგებლობა მოაქვს. სოციალური თანასწორობა თავისთავად არასოდეს ყოფილა და არც ახლა არის უპირველესი კონსტიტუციური ფასეულობა. კონსტიტუცია ბევრად უფრო ეფექტიანია წესრიგისა და თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

კონსტიტუცია არ ეფუძნებოდა არც პოლიტიკურ თანასწორობას. მან საარჩევნო ცენზის უფლება დაუტოვა შტატებს და მხოლოდ ის დააზუსტა, რომ იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ხმა მისცენ შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების არჩევას, შეუძლიათ აგრეთვე აირჩიონ წარმომადგენლები კონგრესში (მუხლი I, ნაწილი 2). იმ დროს კი შტატების უმრავლესობაში ხმის მიცემა შეეძლო მხოლოდ თეთრკანიან მამაკაცებს, რომლებიც გადასახადს იხდიდნენ ანდა უძრავ ქონებას ფლობდნენ. ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, შაკვანიანებსა და ქალებს ხმის მიცემის არავითარი უფლება არ ჰქონდათ. ეს უთანასწორობა გამოასწორა შემდგომმა შესწორებებმა.

კონსტიტუცია არ აძლევდა შაკვანიანებს მოქალაქეობის უფლებას XIV შესწორების რატიფიკაციამდე (1868 წ.), ხოლო ხმის მიცემის უფლება მათ მხოლოდ XV შესწორებამ მიანიჭა (1870); ქალებს ხმის მიცემის უფლება XIX შესწორებამ მოაპოვებინა (1920 წ.), ხოლო საარჩევნო გადასახადი (რომელსაც ხალხი იხდიდა, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა სურდა და რომელიც, ფაქტობრივად, არჩევნებს არიდებდა შაკვანიანებს) გაუქმდა XXIV შესწორების ძალით (1964 წ.). სხვა ორმა შესწორებამ პოლიტიკური თანასწორობა გააფართოვა: 1961 წ. XXIII შესწორებამ ვაშინგტონის (კ. ო.) მოქალაქეებს, რომლებიც არც ერთი შტატის მცხოვრებად არ ითვლებიან, პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა: 1971 წ. XXVI შესწორებამ საარჩევნო ასაკი 18 წლამდე დასწია.

კონსტიტუცია და დემოკრატიის მოდელები

კიდევ ერთხელ გავიაზროთ დემოკრატიის მოდელები, რომლებიც I თავში მიმოვიხილეთ. რომელ მოდელს ერგება უკეთ ამერიკის კონსტიტუცია – პლურალისტურს თუ მაჟორიტარულს? ფაქტობრივად ძნელი წარმოადგენია ხელისუფლების სხვა სტრუქტურა, რომელიც უკეთ იყოს მორგებული დემოკრატიის პლურალისტულ მოდელს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. აგრეთვე, ძნელი წარმოსადგენია დოკუმენტი, რომელიც ამდენად ვერ ეწყობოდა დემოკრატიის მაჟორიტარულ მოდელს. გავიხსენოთ მედისონის მტკიცება „ფედერალისტ № 10“-ში იმის შესახებ, რომ ხელისუფლება გარდაუვალად იწვევს მოურიგებელი ფრაქციების წარმოშობას. აღნიშნული კონცეფცია ზუსტად ერგება პლურალისტური თეორიის კონკურენტულ ვჯგუფებს (იხ. თავი I). ვიფიქროთ, აგრეთვე, „ფედერალისტ № 51“-ში მოცემულ მედისონისეულ დასაბუთებაზე, რომ კონსტიტუციას გააჩნია უნარი, არ დაუშვას უმრავლესობის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია ხელისუფლებათა გამიჯვნის და ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწოების სისტემის მეშვეობით. ზემოაღნიშნული კონცეფცია არ უშვებს სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზებას, რათა უმრავლესობამ კონტროლი ვერ დააწესოს. ესეც ზუსტად ერგება პლურალისტური დემოკრატიის მოდელს.

კონსტიტუციური კონვენტის დელეგატების განზრახვა იყო შეექმნათ ისეთი რესპუბლიკა, სადაც მთავრობა დაფუძნებულია უმრავლესობის თანხმობაზე. მათ არ სურდათ ისეთი დემოკრატია, რომელიც უმრავლესობის მიერ მართვას დაეყრდნობოდა. კონსტიტუციის დამფუძნებლებს არ უნდოდათ მიეღოთ მაჟორიტარულ მოდელს მორგებული დემოკრატია. როგორც ჩანს, მათ უნდოდათ და მიიღეს კიდევ ხელისუფლება, რომელიც პლურალისტურ მოდელზე იქნებოდა მორგებული.

შეჯამება

ამერიკის კონსტიტუცია ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ისტორიული დოკუმენტი ან წარსულის რაღაცა საოცრება. თუმცა კონსტიტუცია არასაზე მეტი წლისაა, ის ჯერაც მართავს მძლავრ თანამედროვე სახელმწიფოს, მას ჯერაც აქვს ძალა, რათა ქვეყანას ააცილოს პოლიტიკური კრიზისები, მაგ., აიძულოს გადადგეს პრეზიდენტი, რომელმაც განმეორებით არჩევნებზე უზარმაზარი უპირატესობით გაიმარჯვა და ა.შ.

კონსტიტუცია რეჟიმულიური მოძრაობის საბოლოო პროდუქტი იყო და მიზნად ჰქონდა დასახული არსებული თავისუფლებების შენარჩუნება. ეს მოძრაობა

დაიწყო „დამოუკიდებლობის დეკლარაციით“, სადაც საჯაროდ იყო გამოცხადებული, რომ ყველას აქვს გარკვეული უფლება (მათ შორის სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერების კენ ლტოლვაზე) და რომ მთავრობა არსებობს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის. როცა მთავრობა უგულვებელყოფს ამ უფლებებს, ხალხს აქვს აჯანყების უფლება.

ომი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. საჭირო იყო რაღაც ახალი მთავრობა, რომელიც ბრიტანეთის მონარქიას შეცვლიდა. ამერიკელებმა რესპუბლიკა ირჩიეს და მისი სტრუქტურა ჩამოაყალიბეს

„კონფედერაციის მუხლებში“. მაგრამ „მუხლებმა“ ვერ გაამართლა: თუმცა ისინი შტატებს ნანატრი დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევდნენ, მაგრამ ცენტრალურ მთავრობას ძალიან ცოტა უფლება მიაწვეს, რათა უწესრიგობისა და ამბოხებებისათვის მოეკლო.

კონსტიტუციის მიღება იყო შეზღუდული ხელისუფლების შექმნის მიერ ცდა. მან შეცვალა ძლიერი შტატების სუსტი კავშირი ძლიერი ეროვნული (ცენტრალური) მთავრობით, რომელიც ეფუძნებოდა ოთხ პოლიტიკურ პრინციპს: რესპუბლიკანიზმს, ფედერალიზმს, ხელისუფლებათა გამიჯნვას და ურთიერთშეკავებასა და ურთიერთგაწინასწორებას. რესპუბლიკანიზმი არის მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის და ხორციელდება მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მიერ. ფედერალიზმი არის ხელისუფლებათა განაწილება ეროვნულ (ცენტრალურ) მთავრობასა და შტატებს შორის. ამერიკის კონსტიტუციის ფედერალიზმმა მნიშვნელოვანი ძალაუფლება მიანიჭა ეროვნულ მთავრობას შტატების ხარჯზე. ხელისუფლების გამიჯვნა არის ეროვნული მთავრობის ძალაუფლების შემდგომი დანაწილება საკანონმდებლო (კანონმემოქმედ), აღმასრულებელ (კანონგამტარებელ) და სასამართლო (კანონგანმარტავ) განსტოებებად. და ბოლოს, კონსტიტუციამ დააფუძნა ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწინასწორების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლების თითოეულ განსტოებას უფლება აქვს ერთგვარად გააკონტროლოს დანარჩენი განსტოებები.

დეკემბრის შედეგის შემდეგ დაიწყო მისი რატაციის პროცესი. მთავარი დაბრკოლება იყო კონსტიტუციის მიერ იმ ინდივიდუალური თავისუფლებების ჩამოთვლის იგნორირება, რომლის დასაცავდაც თავის დროზე აღსდგნენ ამერიკელები. „უფლებათა ბილის“ მიღების შემდეგ კონსტიტუცია რატაციური იქნა: ეს იყო კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება, რომლებიც მოქალაქეებს პო-

ლიტიკურ პროცესში მონაწილეობის, პირადი რწმენის პატივისცემისა და პერსონალური ავტონომიის უფლებების გარანტიებს აძლევდნენ. ისინი, აგრეთვე, უზრუნველყოფდნენ იმასაც, რომ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას ხელისუფლებას ბოროტად არ გამოეყენებინათ თავისი უფლებები. წლების განმავლობაში კონსტიტუციამ ევოლუცია განიცადა შესწორებათა მიღების გზით, სასამართლო კონტროლის და პოლიტიკური პრაქტიკის მეშვეობით.


კონსტიტუცია ისე შედგა, რომ გაეწონასწორებინა წესრიგი და თავისუფლება. ის არ იყო გამიზნული თანასწორობის მიღწევაზე: ფაქტობრივად, მისი შესწორება უთანასწორობის დაძლევის მიზნით ხდებოდა. დამფუძნებლებს მიზნად არ ჰქონდათ დემოკრატიის შექმნა. ორასი წლის წინ ხალხის მმართველობის რწმენა ძალიან მცირე იყო. მიუხედავად ამისა, დამფუძნებლებმა მთავრობის დემოკრატიული ფორმა შექმნეს: ასეთი მთავრობა ხელისუფლებათა გამიჯნვის, ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწინასწორების სისტემის არსებობის პირობებში შესანიშნავად მოერგო დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს. კონსტიტუციის დამფუძნებლები თავს არიდებდნენ მარტივი უმრავლესობის მიერ მართვას, რაც მაკორიტარული მოდელის ქვეყნებშია.

კონსტიტუციის ავტორებს ასევე სურდათ ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც გააწინასწორებდა შტატებსა და ეროვნულ ხელისუფლებას. ზუსტი ბალანსის დაცვა სახნაოთი თემა იყო და კონსტიტუციური კონფლიქტის დევეტებმა მას გვერდი აუარეს. 70-იან წლის შემდეგ ხელისუფლების ბალანსის მოუგვარებლობას მოჰყვა სამოქალაქო ომი. ამ ომმა და აურაცხელმა პოლიტიკურმა ბატალიებმა კონგრესში გამოამძღვანა, რომ ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში ეროვნული მთავრობა დამინირებს შტატების მთავრობებზე მომდევნო თავში წინ გაჩეხილავთ იმას, იუ რეიჯარ გადაიქცა სუსტი კონფედერაცია „უჯრე სრულყოფილ კავშირად“.

საკვანძო ტერმინები

კონტინენტური კონგრესი	Continental Congress
დამოუკიდებლობის დეკლარაცია	Declaration of Independence
სოციალური კონტრაქტის თეორია	social contract theory
რესპუბლიკა	republic
კონფედერაცია	confederation
სუვერენიტეტი	sovereignty
კონფედერაციის მუხლები	Articles of Confederation
შეიზის აჯანყება	Shays' Rebellion
ვირჯინიის გეგმა	Virginia Plan
ხელისუფლებათა გამიჯვნა	separation of powers
საკანონმდებლო განშტოება	legislative branch
აღმასრულებელი განშტოება	executive branch
სასამართლო განშტოება	judicial branch
ნიუ-ჯერსის გეგმა	New Jersey Plan
დიდი კომპრომისი	Great Compromise
ამომრჩევთა კოლეგია	electoral college
რესპუბლიკანიზმი	republicanism
ფედერალიზმი	federalism
უნიტარული მთავრობა	unitary government
ურთიერთშეკავებისა და	checks and balances
ურთიერთგაწონასწორების სისტემა	bicameral
ბიკამერალური (ორპალატიანი)	enumerated powers
უფლებამოსილებათა ნუსხა	necessary and proper clause
აუცილებელი და სავალდებულო პირობა	elastic clause
მოქნილი პუნქტი	implied powers
ნაგულისხმევი უფლებამოსილებანი	judicial review
სასამართლო კონტროლი	supremacy clause
უზენაესობის პირობა	Bill of Rights
უფლებათა ბილი	proposal
წინადადება	ratification
რატიფიკაცია	progressive taxation
პროგრესული დაბეგვრა	

ფედერალიზმი



3

19 წლის სტივ ოლიგმიულერი, ჰაიმორის კოლეჯის სტუდენტი, დაბრუნდა შინ, სამხრეთ დაკოტაში, 1987 წლის ზაფხულის არდადეგების დროს. საღამოს თავის მეგობრებთან ერთად ის წავა ადგილობრივ ბარში „სტიებლში“ და მოუყვება მათ კოლეჯში გატარებული პირველი წლის შესახებ. ისინი ისხდებიან იქ, ილაპარაკებენ, მუსიკას მოუსმენენ და ორიოდ კათხა ლუდს დალევენ. 1987 წელს სამხრეთ დაკოტა იყო ერთ-ერთი იმ ოთხი შტატიდან, სადაც ჯერ კიდევ ნებადართული იყო ალკოჰოლის მოხმარება 21 წლის ასაკამდე ყმაწვილებისთვის. მაგრამ ძალიან მალე 19 წლის ბიჭებისათვის ლუდის სმის უფლების შენარჩუნება მეტისმეტად ძვირი დაუჯდებოდა ამ შტატს – არა მარტო სტივისა და მის მეგობრებს, არამედ გადასახადების სამხრეთ დაკოტელ ყველა გადამხდელს. შტატი კარგავდა ლამის ათ მილიონ დოლარს ფედერალური საგზაო ფონდიდან, თუკი იგი არ ასწევდა ალკოჰოლის მოხმარების მინიმალურ ასაკს 21 წლამდე.

სულ სამი წლით ადრე 29 შტატში და კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ნებადართული იყო 21 წლამდე ასაკის ხალხისთვის ზოგიერთი ალკოჰოლური სასმელის მიყიდვა. მაგრამ 1984 წელს ვაშინგტონში მიიღეს ზომები, რათა ახალგაზრდებს შორის სმა შეემცირებინათ. რა მოხდა? კონგრესმა დააწესა ალკოჰოლის მოხმარების მინიმალური ასაკი? არა! ყოველ შემთხვევაში, პირდაპირ

არა. კონგრესმა, უბრალოდ, დამატებითი პირობა დაუდო საგზაო მშენებლობის სუბსიდიების გაცემას. ამ პირობის ძალით, 1986 წელს შტატები ფედერალური საგზაო ფონდიდან დაკარგავდნენ 5 პროცენტს და 10 პროცენტს – 1987 წელს, თუკი ისინი ალკოჰოლის მოხმარების კანონიერ უფლებას დაუტოვებდნენ 21 წელს მიუღწეველ მოსახლეობას. შტატებს ან თვითონ უნდა შეეცვალებათ საკუთარი კანონმდებლობა, ანდა ფედერალური სუბსიდიების ნაწილი დაეკარგათ.

ეს იყო შემოვლითი გზა საერთო ეროვნული მიზნის მისაღწევად. თუკი ეროვნულ მთავრობას უნდოდა 21 წელი დაეწესებინა ალკოჰოლის მოხმარების მინიმალურ ასაკად, რატომ არ იმოქმედა კონგრესმა პირდაპირ და არ გამოსცა შესაბამისი კანონი?

უმარტივესი პასუხის გასაცემად კი საჭიროა გადავხედოთ ფედერალურ სისტემას. კონსტიტუციამ გაანაწილა ხელისუფლება ეროვნულ მთავრობასა და შტატებს შორის. ერთადერთი (და ისიც წარუმატებელი) გამონაკლისის გარდა (მხედველობაში გვაქვს 1919 წლის XVIII შესწორების შესაბამისად ქვეყანაში „მშრალი კანონის“ შემოღება, რომელიც XXI შესწორებამ 1933 წელს გააუქმა) ალკოჰოლის გაყიდვის რეგულირება და მისი მოხმარების მინიმალური ასაკის დაწესება ყოველთვის შტატების კომპეტენციაში იყო. მაგრამ, წლების განმავლობაში, ეროვნულმა ხელისუფლებამ მონახა გზები, რათა გაეფართოვებინა თავისი რეალური გავლენა იმ მიჯნის გადაღმა, რომელიც მას კონსტიტუციამ დაუწესა.

ამ ახალი კანონის მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობა წესრიგის დაცვაზე ამართლებს მის ასეთ ჩარევას შტატების საშინაო საქმეებში: ადამიანთა სიცოცხლე და უსაფრთხოება სასწორზე იდო. ოპონენტები კი თვლიდნენ, რომ ეს კანონი იყო ადამიანთა დისკრიმინაცია ასაკობრივ საფუძველზე და, თანაც, შტატების სუვერენიტეტს ბღალავდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს კანონი იყო ეროვნული (ცენტრალური) ხელისუფლების დაუშვებელი გაფართოება, რომელიც ზღუდავდა შტატებისა და მათი მოქალაქეების თავისუფლებას.

პრეზიდენტი რეიგანი, რომელმაც თავისი საარჩევნო კამპანია წარმართა ეროვნული ხელისუფლების ზომისა და გავლენის შეზღუდვის მოთხოვნის მიმართულებით, სერიოზულად წინ აღუდგა შტატებში ალკოჰოლის მოხმარების ასაკობრივი ნორმების შეცვლას. ეროვნული სტანდარტით. ამ შემთხვევაში, როდესაც წესრიგი უფრო მაღლა აქნა დაყენებული, ვიდრე თავისუფლება, ხოლო ეროვნული სტანდარტები – შტატების სტანდარტებზე მაღლა, რეიგანი ამ კანონპროექტის წინააღმდეგი აღმოჩნდა. მაგრამ მოვკინანებთ მან პოზიცია შეიცვალა. კანონის ხელმოწერის ცერემონიაზე რეიგანმა შემდეგი განაცხადა:

„ეს საკითხი ძალიან დიდია ისტორიის, რომ ის მხოლოდ შტატებსა გადაწვევით. ეს არის მძიმე პრობლემა და ის ყველა ჩრავანის სიცოცხლეს ეხება. როცა პრობლემა ასე ნათელია და მისი გადაწყვეტა უკვე ხელთა გვაქვს, სჯობს არ უნდა ექვედგეთ ფედერალური ძალაუფლების. ასეთი სამართლებრივი გამოყენებას გამო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს კანონი აძლეულებს შტატების კანონმდებლებს, იმოქმედონ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით“ (Reagan, 1984).

ზოგიერთმა შტატმა საქმე სასამართლომდე მიიყვანა იმის იმედით, რომ ზემოხსენებულ პირობას არაკონსტიტუციურად გამოაცხადებდნენ კონსტიტუციის X და XXI შესწორებების შესაბამისად. 1987 წლის ივნისში უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე „სამხრეთ დაკოტა დოკუმენტის“ წინააღმდეგ. უზენაესმა მოსამართლეებმა აღიარეს, რომ ალკოჰოლის მოხმარების მინიმალური ასაკის პირდაპირი კონტროლი კონგრესის მხრიდან ანტიკონსტიტუციური იქნებოდა. მაგრამ იმავე მიზნის მიღწევას არაპირდაპირი გზით კონსტიტუციური ბარიერი არ გააჩნდა. 7:2 უპირატესობით უზენაესმა მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ კანონი არ ხელყოფს შტატების უფლებებს და არის „შედარებით ზომიერი წახალისება შტატებისათვის, რათა მათ შემოიღონ ალკოჰოლის მოხმარების უფრო მაღალი მინიმალური ასაკი“.

ეს მოვლენები გვიჩვენებს, თუ რამდენად ამაღლდა ეროვნული ხელისუფლების როლი. XIX საუკუნის ადრეულ წლებში პრეზიდენტები ყოველთვის ადებდნენ ვეტოს იმ კანონპროექტებს, რომლებიც იძლეოდნენ გზების, არხებისა და სხვაგვარი მშენებლობის უფლებას, თუკი ისინი შტატებს შორის ურთიერთობას ეხებოდა, რადგან სჯეროდათ, რომ ასეთი კანონპროექტები აღემატებოდა ეროვნული მთავრობის კომპეტენციას. 1991 წელს კი ეროვნულმა მთავრობამ 15 მილიარდი დოლარი გამოჰყო ცალკეულ შტატებში და შტატებს შორის გზების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის.

აქ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მუშაობს ამერიკული ფედერალიზმის მნიშვნელოვანი ელემენტი – ეროვნული და შტატების შესაბამისი სუვერენიტეტები (სუვერენიტეტი – ეს არის უზენაესობა ძალაუფლებაში ან კომპეტენციაში). კონგრესმა სცნო შტატების სუვერენიტეტი იმით, რომ არ დააკანონა ალკოჰოლის მოხმარების მინიმალური ასაკი. ხოლო შტატებმა გამოთქვეს სურვილი გაეცვალათ თავისი სუვერენიტეტი საჭირო ფონდებში. ვინაიდან ასეთი რამ შესაძლებელია, ძალიან ცოტა რჩება ისეთი სფერო, სადაც არ შეეძლოს შეღწევა ეროვნულ ხელისუფლებას.

სუვერენიტეტი პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზეც ახდენს გავლენას. შტატის გუბერნატორი პოლიტიკურად პრეზიდენტის თანასწორი არ არის, მაგრამ გუბერნატორი და პრეზიდენტი სხვადასხვა სუვერენიტეტებს წარმოადგენენ. შესაბამისად, პრეზიდენტები იშვიათად მართავენ გუბერნატორებს; ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელებთან გარიგებაა საჭირო, ხანდახან პრეზიდენტებს მათი ხვეწნაც კი უხდებათ.

ამ თავში განხილულია ამერიკული ფედერალიზმი თეორიასა და პრაქტიკაში. აქ დასმულია ასეთი კითხვები: ხელისუფლების განაწილება სახელმწიფოსა და შტატებს შორის – კონსტიტუციური პრინციპია თუ პრაქტიკული პოლიტიკა? როგორ კავშირშია სახელმწიფოსა და შტატებს შორის ხელისუფლების შეფარდება იმ კონფლიქტებთან, რომლებიც არსებობს თავისუფლებასა და წესრიგს, თავისუფლებასა და თანასწორობას შორის? დემოკრატიის პლურალის-

* იგულისხმება სენატორი დოუგლასი, რომელმაც კანონპროექტი შემოიტანა კონგრესში (მთარგმნელის შენიშვნა).

ტურსა თუ მაჟორიტარულ მოდელს უკეთ მიესადაგება ამერიკული ფედერალიზმი?

ფედერალიზმის თეორიები

დელეგატებს, რომლებიც 1787 წელს ფილადელფიაში შეიკრიბნენ, გადასაწყვეტი პქონდათ პრობლემა: ერთი სახელმწიფოს შექმნა 13 დამოუკიდებელი ქვეყნისაგან – ახალი პოლიტიკური ფორმის – ფედერალური ხელისუფლების შექმნის გზით. სახელმწიფოს უნდა პქონოდა ერთდროულად კონფედერაციისა და უნიტარული ხელისუფლების ნიშნები (იხ. თაიი 2). ფედერალიზმის პრინციპის შესაბამისად, ორი ან მეტი ხელისუფლება ახორციელებს ძალმოსილებას ერთი და იმავე ხალხის მიმართ და ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. შეერთებული შტატებისა და, მაგალითად, პენსილვანიის შტატის ხელისუფლებანი საზიაროდ ფლობენ ზოგიერთ უფლებამოსილებას (მაგალითად, გადასახადების აკრეფაზე) მაშინ, როცა სხვა უფლებამოსილებანი ექსკლუზიურად განეკუთვნება ან ერთს, ან მეორეს. როგორც ჯეიმზ მედისონი წერდა „ფედერალისტ № 10“-ში, „ფედერალური კონსტიტუცია ქმნის ილბლიან კომბინაციას... დიდი საერთო ინტერესებისა, რომლებიც ეროვნულ მთავრობას განეკუთვნება, და ადგილობრივი და სპეციფიკური ინტერესებისა, რომლებიც შტატების ხელისუფლებებს ეკუთვნის.“ ასე მაგალითად, ფულის მოჭრა ეროვნული ხელისუფლების საქმეა; ოჯახის გაყრის უფლება კი შტატების პრეროგატივაა. ამის საპირისპიროდ, შტატების მილიცია ხანდახან ექვემდებარება ეროვნულ მთავრობას, თუმცა ძირითადად შტატების განკარგულებაშია. ამერიკული ფედერალიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველთვის როდი იყო ადვილი მკაფიო ხაზის გავლება „დიდსა და საერთოს“ და „ადგილობრივსა და სპეციფიკურს“ შორის.*

მიუხედავად ამისა, ფედერალიზმი იძლეოდა ამერიკის მრავალფეროვნების პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას. ის ერთდროულად ახალ პოლიტიკურ მოდელს ქმნიდა. ფედერალიზმის ცნობილმა მკვლევარმა გამოითვალა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 40 პროცენტი ამჟამად ფორმალურად ფედერალური კონსტიტუციის პირობებში ცხოვრობს, ხოლო 30 პროცენტი – ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც სინამდვილეში ფედერალურ პრინციპებზეა აგებული ან ფაქტობრივად ცხოვრებაში ატარებენ ამ პრინციპებს, თუმცა კონსტიტუციურად ფედერალური არ არიან (Elazar, 1990).

ამერიკული ფედერალიზმის ისტორიაში არ დაუკლიათ ცდა, რათა როგორმე მოეთავსებინათ მისი ზუსტი მნიშვნელობა რაიმე ზედსართავსა ან მეტაფორაში.

* ყოველდღიურ საუბარში ამერიკელებს ჩვევიათ, თაიიანთ ცენტრალურ ხელისუფლებას „ფედერალური მთავრობა“ უწოდონ. ეს გამოთქმა სიზუსტეს მოკლებულია. ზუსტად რომ ვიქვით, შეერთებულ შტატებს გააჩნია ხელისუფლების ფედერალური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე შტატების მთავრობებს. ტერმინების აღრევის თაიიდან ასაცილებლად, ნაკლებად გავრცელებული ტერმინისა „ფედერალური მთავრობა“ ვიყენებთ ტერმინებს „ეროვნული მთავრობა“, „ეროვნული ხელისუფლება“, რაც ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას აღნიშნავს.

ერთი გამოთვლით, მეცნიერებმა თითქმის ხუთასი სხვადასხვა ხერხი გამოიყენეს, რათა ამერიკული ფედერალიზმი აღწერათ (Stewart, 1984). ქვემოთ მოცემულია ორი მიდგომა ფედერალიზმის აღწერისადმი: ესაა ორმაგი ფედერალიზმი და კოოპერატიული ფედერალიზმი.

ორმაგი ფედერალიზმი

ტერმინი „ორმაგი ფედერალიზმი“ არის ერთგვარი შეჯამება თეორიისა ეროვნულ ხელისუფლებასა და შტატებს შორის ურთიერთობის შესახებ. ამ თეორიას აქვს ოთხი მნიშვნელოვანი ელემენტი: პირველი – ეროვნული ხელისუფლება მართავს მხოლოდ „ჩამოთვლილი უფლებების“ მიხედვით; მეორე – ეროვნულ ხელისუფლებას აქვს შეზღუდული კონსტიტუციური მიზნები; მესამე – ხელისუფლების თითოეული ერთეული – ეროვნული თუ შტატებისა – საკუთარ სფეროში სუვერენულია; მეოთხე – ურთიერთობა სახელმწიფოსა და შტატებს შორის უფრო დამაბულობით ხასიათდება, ვიდრე თანამშრომლობით.

ორმაგი ფედერალიზმი შტატებს მიიჩნევს ფედერალური სისტემის მძლავრ კომპონენტად, ზოგიერთ შემთხვევაში – ეროვნული ხელისუფლების თანასწორადაც კი. ორმაგი ფედერალიზმის თანახმად, ეროვნული ხელისუფლებისა და შტატების მთავრობის ფუნქციები და პასუხისმგებლობა თეორიულად განსხვავებულია, ხოლო პრაქტიკულად – დამორბეულია ერთმანეთისგან. ორმაგი ფედერალიზმი კონსტიტუციას მიიჩნევს სუვერენულ შტატებს შორის შეთანხმებად. ამ თეორიის თანახმად, უპირველესი მნიშვნელობისაა შტატების უფლებამოსილებები, რომლებიც ეყრდნობა კონცეფციას: შტატებს რჩებათ ყველა ის უფლებამოსილება, რომლებიც კონსტიტუციამ ეროვნულ მთავრობას არ მიანიჭა. შტატების უფლებების დაქინებული მოთხოვნა ხშირად მომდინარეობს ეროვნული მთავრობის პოლიტიკის ოპონენტებისგან. ამ უკანასკნელთ არგუმენტად ისა აქვთ, რომ ხალხს კონსტიტუციურად არ მიუნიჭებია უფლებამოსილება ამა თუ იმ პოლიტიკის გასატარებლად, და, ამდენად ეს უფლებამოსილება რჩება შტატებს ანდა ხალხს. შტატების უფლებების დამცველებს სჯერათ, რომ ეროვნული მთავრობის უფლებები ძალიან შეზღუდული უნდა იყოს. ისინი მოითხოვენ, რომ, მიუხედავად მოქნილი პუნქტისა, რომელმაც კონგრესს მიანიჭა „ნაგულისხმევი უფლებამოსილებანი“ (რომლებიც საჭიროა „ჩამოთვლილი უფლებამოსილებების“ განსახორციელებლად – იხილე თავი 2), კონგრესმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების ფარგლებში. ისინი აძლიერებენ თავიანთ თვალსაზრისს X შესწორების ციტირებით: „უფლებამოსილებანი, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად არ გადაეცემა შეერთებულ შტატებს და არც შტატებს ეკრძალებათ, ენიჭებათ შტატებს ან მათ მოსახლეობას“.

პოლიტოლოგები იყენებენ ერთ მეტაფორას ორმაგი ფედერალიზმის აღსაწერად: ისინი მას „ფეროვანი ნამცხვრის ფედერალიზმს“ უწოდებენ: ეროვნული მთავრობისა და შტატების მთავრობების უფლებამოსილებანი და ფუნქციები ისეა განცალკევებული, როგორც ფეროვანი ნამცხვრის ცალკე შრეები (იხ. ნახ.3.1).

ორმაგი ფედერალიზმი:


„ფენოვანი ნამცხვრის“ მეტაფორა

მოქალაქეები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან ეკნებათ საქმე, აღმოაჩენენ მკაფიო განსხვავებას შტატებსა და სახელმწიფოს უფლებებში, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობაში


კოაპერატიული ფედერალიზმი:
„ზებრა ნამცხვრის“ მეტაფორა

მოქალაქეები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან ეკნებათ საქმე, აღმოაჩენენ, რომ სახელმწიფოსა და შტატებს უფლებები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა შერეული და ურთიერთგადახლართულია

შტატების ღონე



შტატების ღონე



ნახ. 3.1 ფედერალიზმის მეტაფორები

ხელისუფლება ინარჩუნებს უზენაესობას საკუთარ „შრეში“, ანუ მოქმედების სფეროში; ორივე შრე მკაფიოდ განსხვავდება და თითოეული შრის განზომილება მკაცრადაა ფიქსირებული კონსტიტუციაში.

ორმაგი ფედერალიზმი – თეორია, რომელიც „ფენოვანი ნამცხვრის“ მეტაფორის საფუძველია, ისტორიული და სხვა თვალსაზრისით ხშირად გაკრიტიკებულა. ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ, თუ ეროვნული მთავრობა შტატების შექმნილია, მაშინ ის მხოლოდ 3 შტატის ქმნილებაა, ანუ იმათი, ვინც კონსტიტუციის რატიფიკაცია მოახდინა. დანარჩენი 37 შტატი მიღებულ იქნა კავშირში მას შემდეგ, რაც შეიქმნა ეროვნული ხელისუფლება და, თანაც, შეიქმნა ამ უკანასკნელის მიერ იმ მიწაზე, რომელიც ეროვნულმა ხელისუფლებამვე შეიძინა. კრიტიკის სხვა მიდგომა ეხება რატიფიკაციის პროცესს. გავიხსენოთ, რომ პირველმა 13-მა შტატმა მოახდინა კონსტიტუციის რატიფიკაცია სპეციალური კონვენტების მეშვეობით და არა შტატების ლეგისლატურაში. ამდენად, რატიფიკაცია იყო *ხალხისმიერი* აქტი და არა *შტატებისმიერი*. უფრო მეტიც, კონსტიტუციის პრეამბულა იწყება სიტყვებით: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი“ და არა სიტყვებით: „ჩვენ, შტატები“. ის საკითხი, თუ ზუსტად სად უნდა იყოს „ხალხი“ ფედერალურ სისტემაში, კარგად არაა გააზრებული ორმაგი ფედერალიზმის თეორიის მიერ.

კოოპერატიული ფედერალიზმი

ტერმინი „კოოპერატიული ფედერალიზმი“ წარმოიშვა 1930-იან წლებში. ის ასახავს ეროვნულ ხელისუფლებასა და შტატებს შორის ურთიერთობის სხვა თეორიას. ეს თეორია სცნობს მთელი სახელმწიფოსა და შტატების ფუნქციების გადაფარვას და უარყოფს განცალკევებული სფეროების ანუ შრეების იდეას. კოოპერატიული ფედერალიზმის თეორია სამ ელემენტს მოიცავს. პირველი – ეროვნული და შტატების ხელისუფლებების ქვედანაყოფები, უფრო ხშირად, ერთობლივად ახორციელებენ სამთავრობო ფუნქციებს, ვიდრე ცალკე; მეორე – სახელმწიფო და შტატები ინაწილებენ ძალაუფლებას; მესამე – ძალაუფლება არ არის კონცენტრირებული მთლიანად რომელიმე ხელისუფლების (მთავრობის) ან მისი ქვედანაყოფის დონეზე; პასუხისმგებლობის ასეთი დანაწევრება (ფრაგმენტაცია) ხალხსა და ადამიანთა ჯგუფებს გავლენის ბევრი ცენტრის გამოყენების საშუალებას აძლევს.

კოოპერატიული ფედერალიზმი ნაკლებ ყურადღებას უთმობს განსხვავებას ეროვნულსა და შტატების ხელისუფლებებს შორის. „საკონდიტრო მეტაფორა“, რომელიც ამ ტიპის ფედერალიზმის მიმართ გამოიყენება, არის „ზებრა-ნამცხვარი“ (marble cake). ეროვნული და შტატების ხელისუფლებები არ მოქმედებენ განცალკევებულ სფეროებში: მათი კომპეტენცია ურთიერთშერეულია. კოოპერატიული ფედერალიზმის თეორიისათვის გადამწყვეტია კონსტიტუციის უზენაესობის პუნქტის (მუხლი VI) განვრცობითი ინტერპრეტაცია: ეს პუნქტი საგანგებოდ აცხადებს ეროვნული კანონების უზენაესობას შტატების კანონებზე და მოითხოვს ყველა მოსამართლისგან, არ დაიცვან შტატის კანონები, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, ეროვნულ კანონებსა და სახელმწიფო ხელშეკრულებებს.

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ „ფენოვანი ნამცხვრის“ მეტაფორა ვერც ვერასოდეს აღწერდა ამერიკის პოლიტიკურ სისტემას საკმარისი სიზუსტით. ეროვნულსა და შტატების ხელისუფალთ ბევრი საერთო მიზანი აქვთ და ხშირად თანამშრომლობენ ამ მიზნების მისაღწევად. მაგალითად, მე-19 საუკუნეში კოოპერაციამ და არა განცალკევებამ, შექმნა სატრანსპორტო ქსელის ჩამოყალიბების საშუალება და ამისათვის სხვადასხვა შტატში გამოჰყო ტერიტორია.

კარდინალური განსხვავება ორმაგ და კოოპერატიულ ფედერალიზმს შორის ის არის, თუ როგორ ინტერპრეტირებას ახდენენ ეს თეორიები ამერიკის კონსტიტუციის იმ ორი ნაწილისა, სადაც ჩამოყალიბებულია ურთიერთობების პირობები ეროვნულ ხელისუფლებასა და შტატების ხელისუფლებათა შორის. მუხლი I, ნაწილი B ჩამოთვლის კონგრესის უფლებებამოსილებებს და მთავრდება „მოქნილი პუნქტით“, რომელიც კონგრესს ანიჭებს ნებისმიერი კანონის გამოცემის უფლებამოსილებას, იმ კანონისა, რომელიც აუცილებელი და საკადრებულო იქნება ზემოჩამოთვლილის განსახორციელებლად.

როგორც აღინიშნა, X შესწორება შტატებსა და ხალხს უნარჩუნებს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც არ გადაეცა ეროვნულ მთავრობას ანდა არ

აეკრძალა შტატებს კონსტიტუციის ძალით. ორმაგი ფედერალიზმი პოსტულატად მიიჩნეეს შეზღუდულ „მოქნილ პუნქტს“ და X შესწორების ფართო გაგებას. კოოპერატიული ფედერალიზმი კი, პირიქით, პოსტულატად თვლის „მოქნილი პუნქტის“ მოქნილობას, ხოლო X შესწორება დაჰყავს თავისთავად ნათელ, მარტივ ჭეშმარიტებამდე.

იმ განზრახვით, რათა შეზღუდონ ეროვნული ხელისუფლების მოქმედების სფერო, კონსერვატორები ხაზგასმით გამოჰყოფენ „ფენოვანი ნამცხვრის“ მეტაფორას. ამის საპირისპიროდ, ლიბერალები, რომლებიც თვლიან, რომ ეროვნული მთავრობის ერთ-ერთი ფუნქცია თანასწორობის დამყარებაა, ამტკიცებენ, რომ „ზერა-ნამცხვრის“ მეტაფორა უფრო ზუსტია. მიუხედავად ამისა, ამ კამათში კონსტიტუცია მხოლოდ საწყისი წერტილია. ამერიკული ფედერალიზმის რეალური მნიშვნელობა კონსტიტუციის განხორციელებაში უნდა ვეძებოთ.

ფედერალიზმის დინამიკა: სამართლებრივი სანქციები და ფინანსური სტიმულები

თუმცა კონსტიტუცია ფედერალიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას აყალიბებს, ხელისუფლების ბალანსი სახელმწიფოსა და შტატებს შორის ყოველთვის უფრო რეალური პოლიტიკის საქმე იყო, ვიდრე ფორმალური თეორიისა. ამიტომაც, ფედერალიზმზე საუბრისას საკმარისი არაა იმ უფლებამოსილებათა ჩამოთვლა, რომლებიც კონსტიტუციამ მიანიჭა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს. ხელისუფლების ბალანსი არსებითად შეიცვალა იმ დროსთან შედარებით, როდესაც პრეზიდენტი მედისონი (1809-1817) წუხდა, რადგან ვერ ახერხებდა ეროვნული მთავრობის როლის გაზრდას გზების მშენებლობის დაფინანსების საქმეში. დღეს ეროვნულმა ხელისუფლებამ ისეთი ფუნქციები შეიძინა, რაც არც კი დაესიზმრებოდათ XIX საუკუნეში. რატომ მოხდა ძალაუფლების ასეთი მკვეთრი გადაადგილება შტატებიდან ეროვნულ ხელისუფლებაში? პასუხი უნდა ვეძებოთ ისტორიული განვითარების თავისებურებებში და არა კონსტიტუციის თეორიის შესახებ გამართულ კამათში. მაგალითად, შტატების უფლებების უმძიმესი გამოცდა იყო, როდესაც სამხრეთის რამდენიმე შტატმა სცადა გამოჰყოფოდა კავშირს. სეპარატიზმის საფრთხე სერიოზული გამოწვევა იყო ეროვნული ხელისუფლების უზენაესობისათვის, რომელიც ჩრდილოეთის შტატების ჯარებმა სამხედრო წესით განამტკიცეს ქვეყნის ყველაზე სისხლისმღერელ – 1861-1865 წლების სამოქალაქო ომში.

ძალაუფლების ბალანსში ზოგიერთი ცვლილება კონსტიტუციის შესწორების გზით მოხდა. მაგალითად, 1868 წლის XIV შესწორებამ (რომელიც თავისთავად სამოქალაქო ომის გამოძახილი იყო) სათანადო სამართლებრივი პროცედურისა და ყველა მოქალაქის თანასწორობის დაცვის შემოღებით შეზღუდა შტატების უფლებები. ასეთივეა 1913 წლის XVI შესწორება, რომელმაც სამემოსავლო გადასახადი დააკანონა და იმავე წლის XVII შესწორება, რომლის ძალითაც შემოღებულ იქნა სენატორების პირდაპირი არჩევნები. მაგრამ ეროვნული

ნული ხელისუფლების უმეტესი ნაწილი დამკვიდრდა კანონმდებლობის, მისი სასამართლო ინტერპრეტაციისა და პოლიტიკური იძულების გზით. ეროვნული ხელისუფლების გაფართოება, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნებოდა ორ განსხვავებულ მიდგომას: სტიმულირებას, რათა შტატების თანამშრომლობა წაეხალისებინა და სანქციებს (ანუ სოციალური და ეკონომიკური კონტროლის მექანიზმებს), რომლებიც შტატებს აიძულებდნენ ეთანამშრომლათ. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ პოლიტიკური ძვრების ამ ინსტრუმენტებს.

კანონმდებლობა და „მოქნილი პუნქტი“

კონსტიტუციის „მოქნილი პუნქტი“ უფლებას აძლევს კონგრესს, რათა შექმნას ყველა ისეთი კანონი, რომელიც „აუცილებელია და სავალდებულო“ მისი პასუხისმგებლობის განსახორციელებლად. ამ უფლების გამოყენებით, თავის ჩამოთვლილ უფლებამოსილებებთან ერთად, კონგრესმა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში განუზომლად გააფართოვა ეროვნული ხელისუფლების კომპეტენცია. ეს გაფართოება ხშირად ხდებოდა კრიზისისა და ეროვნული საფრთხის წარმოშობის დროს: სამოქალაქო ომმა, დიდმა დეპრესიამ, მსოფლიო ომებმა ძლიერი სტიმული მისცა ამ გაფართოებას. ეროვნული ხელისუფლების როლი იზრდებოდა იმისათვის, რომ მას უკეთ გაეცა პასუხი იმ მოთხოვნებისა და საჭიროებისათვის, რომელთაც შტატებისა და ადგილობრივი მთავრობები არ, ან ვერ პასუხობდნენ.

კანონმდებლობა ერთ-ერთი ისეთი ბერკეტია, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება იყენებს შტატების დასაყოლიებლად: 1965 წლის „საარჩევნო უფლებების აქტი“ ამის კარგი მაგალითია. კონსტიტუციის მუხლი 1-ის ნაწილი 2 შტატებს ანიჭებს უფლებას, თვითონ დაადგინონ ამომრჩევლის ცენზი. მაგრამ 1870 წლის XV შესწორებამ დაადგინა, რომ პიროვნებას არ შეიძლება ხმის მიცემის უფლებაზე უარი ეთქვას „რასის, კანის ფერის ან ადრე მონობაში ყოფნის გამო“. იქამდე, ვიდრე „საარჩევნო უფლებების აქტი“ იქნებოდა მიღებული, შტატებს არ შეეძლოთ შაკანიანებისთვის ხმის მიცემის უფლებაზე უარის თქმა რასობრივი ნიშნით, მაგრამ ამავე მიზნით შეეძლოთ დაწესებინათ წერა-კითხვის ცოდნის ცენზი ანდა სულალობრივი გადასახადი, ეს კი ბევრ შტატში შაკანიანებს, ფაქტობრივად, ხმის მიცემის უფლებას ართმევდა; 1965 წლის კანონი კი შემოღებული იქნა ამ პოლიტიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრევლად (იხ. თავი 12).

აღნიშნული კანონი ეროვნულ ხელისუფლებას ანიჭებს იმის უფლებამოსილებას, რომ თვითონ განსაზღვროს, უნდა მიიღონ თუ არა პიროვნებებმა მონაწილეობა ნებისმიერი დონის – ეროვნულ, შტატის თუ ადგილობრივ არჩევნებში. ამ კანონის კონსტიტუციური საყრდენი არის XV შესწორების ნაწილი 2, რომელიც კონგრესს „სათანადო კანონმდებლობით“ ამ კანონის ცხოვრებაში გატარების უფლებამოსილებას ანიჭებს.

სასამართლო ინტერპრეტაცია

„საარჩევნო უფლებების აქტი“ არ იყო ერთსულოვანი მხარდაჭერის ობიექტი. მისი ის კრიტიკოსები, რომლებიც ორმაგი ფედერალიზმის იდეის მომხრენი არიან, კვლავ იმეორებდნენ, რომ კონსტიტუციამ შტატებს ამომრჩევლის ცენზის განსაზღვრის უფლებამოსილება მიანიჭა, კანონის მომხრენი კი ამტკიცებდნენ, რომ XV შესწორება ხმის მიცემის უფლების განსაზღვრას შტატებისაგან ეროვნულ ხელისუფლებას გადასცემს. შტატებმა სცადეს დაეცვათ თავიანთი უფლებამოსილება – განესაზღვრათ ამომრჩევლის ცენზი და ამით დაუპირისპირდნენ ეროვნული ხელისუფლების ცდას – განეერთო პოლიტიკური თანასწორობა.

კონფლიქტი საბოლოოდ გადაწყვიტა უზენაესმა სასამართლომ, რომელიც ფედერალური სისტემის არბიტრია. სასამართლო წყვეტს ხოლმე დავას ეროვნულსა და შტატების ხელისუფლებათა შორის იმის დადგენით, თუ რომელი მთავანის ქმედება არის კონსტიტუციური (იხ. თავი II). 1937 წლიდან, როდესაც საქმე ეხებოდა სახელმწიფოსა და შტატებს შორის ძალაუფლების ბალანსის დადგენას, უზენაესი სასამართლო თითქმის ყოველთვის მხარს უჭერდა ეროვნულ ხელისუფლებას.

სახელმწიფოს ძალაუფლების გაფართოება სხვადასხვა გზით ხდება. მათ შორის ერთ-ერთია უზენაესი სასამართლოს მიერ კონსტიტუციის „კომერციული პუნქტის“ ინტერპრეტაცია. მუხლი I, ნაწილი 8, პუნქტი 3-ის მიხედვით, კონგრესს ენიჭება უფლებამოსილება... „არეგულიროს სავაჭრო ურთიერთობები... ცალკეულ შტატებს შორის“. თუმცა ამ პუნქტის სასამართლო ინტერპრეტაცია წარსულში სხვადასხვაგვარი იყო, ამჟამად ვაჭრობის რეგულირების ერთადერთი განმსაზღვრელი კონგრესია.

იმ პერიოდში, როდესაც მთავარი მოსამართლე იყო ერლ უორენი (1953-1969), უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა XIV შესწორება, რათა განეერთო „უფლებათა ბილის“ ცალკეული პირობები შტატებზე და ამით ძალაუფლების დამატებითი ნაწილი შტატებისგან ეროვნული ხელისუფლებისთვის გადაეცა. უზენაესი სასამართლოს მეშვეობით ეროვნულმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებისას დააწესა მინიმალური სტანდარტები, რომლებიც შტატებს უნდა დაეცვათ. ეს სტანდარტები მოითხოვს კანონის წინაშე თანასწორობას იმ პიროვნებებისათვის, რომლებიც დანაშაულში ეჭვმიტანილი არიან. მაგრამ ამ მოთხოვნის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ იგი ხელს უშლის შტატების ხელისუფალთ წესრიგის დაცვაში.

გადაწყვეტილებათა სერიამ 1960-იანი წლების დასაწყისში, რომლებიც ეხებოდა „კადანაწილებას“ – საარჩევნო ოლქების საზღვრების გადასინჯვას, – ასევე შეამცირა შტატების ძალაუფლება. იქამდე შტატებში აწესებდნენ საარჩევნო ოლქების საზღვრებს, მაგრამ ზოგიერთ შტატში ყურადღებას არ აქცევდნენ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას, რომლის მიხედვითაც უნდა შეცვლილიყო ოლქების საზღვრები. ამის გამო, ზოგიერთ ადგილას მცირერიცხოვანი სოფლის მოსახლეობა იმდენივე წარმომადგენელს ირჩევდა, რამდენსაც

ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ქალაქის მოსახლეობა. როდესაც იზილავდა „გადანაწილების“ საქმეებს, უზენაესმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ახალი სტანდარტი, – „ერთი პიროვნება – ერთი ხმა“ – და აიძულა შტატები, რათა ეს პრინციპი გამოეყენებინათ თავიანთი ოლქების საზღვრების შესაცვლელად, მათ შორის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების არჩევისთვისაც. სათანადო სამართლებრივი პროცედურისა და „გადანაწილების“ საქმეების განხილვის გზით უზენაესმა სასამართლომ დაიცვა პიროვნების უფლებები და ერთდროულად პოლიტიკურ თანასწორობასაც დაუჭირა მხარი. უნდა გვახსოვდეს, რომ უზენაესი სასამართლო ეროვნული ხელისუფლების ნაწილია. როდესაც იგი ინდივიდის უფლებებს იცავს რომელიმე შტატის წინააღმდეგ, ის იმავდროულად შტატის სტანდარტს ეროვნული (სახელმწიფო) სტანდარტით ცვლის.

დამხმარე გრანტები

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ეროვნული ხელისუფლების მიერ ფინანსური მოტივაციის გამოყენება შტატებთან თავისი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად მეტოქეობას უწევდა კანონმდებლობისა და სასამართლო ინტერპრეტაციის გამოყენებას ამავე მიზნებისათვის. ძირითადი მეთოდი, რომელსაც ეროვნული ხელისუფლება იყენებს შტატების დასაფინანსებლად, არის დამხმარე გრანტები.

დამხმარე გრანტები არის ის თანხა, რომელსაც ხელისუფლების ერთი დონე აძლევს სხვა დონეს სპეციალური მიზნისათვის. ასეთი გრანტების უმეტესობას თან ახლავს კონგრესის მიერ დაწესებული მოთხოვნები. ბევრი გრანტის გაცემა ხდება „შემხვედრ“ საფუძველზე: გრანტის მიმღებ მთავრობას სთავაზობენ, თვითონ გასწიოს გარკვეული ხარჯი, რომელიც შემდგომში შეესბუღებულ იქნება ეროვნული ხელისუფლების მიერ. გრანტებს ძირითადად ორი ფორმა აქვს: „კატეგორიული გრანტები“ და „ბლოკური გრანტები“.

კატეგორიული გრანტების დანიშნულებაა სპეციალური მიზნის განხორციელება, მაგალითად, ბიბლიოთეკების მეშვეობით განათლების სფეროს გაფართოება ანდა დაბალშემოსავლიანი პირებისათვის დახმარების გაწევა. ასეთი გრანტების გამოყენებაზე არსებული შეზღუდვები მიმღებ მთავრობას მანევრის ძალიან მცირე საშუალებას უტოვებს. მიმღები მხარე შეიძლება იყოს შტატის მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლება, საზოგადოებრივი და სხვა კერძო უშემოსავლო ორგანიზაცია. კატეგორიულ გრანტებშიც ორი ტიპი გამოიყოფა – „ფორმულით გაცემული“ და „საპროექტო“ გრანტები. ფორმულის მიხედვით გაცემული გრანტი, როგორც თვით სახელწოდება მოწმობს, ნაწილდება გარკვეული ფორმულის მიხედვით, რომელიც აზუსტებს, ვინ უნდა მიიღოს გრანტი და რა თანხა. ფორმულა შეიძლება ეყრდნობოდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა შტატის ერთ მცხოვრებზე საშუალო წლიური შემოსავალი, სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა, ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი ან სიღარიბის ზღვარს დაბლა მყოფი ოჯახების რაოდენობა. 1984 წელს 478 კატეგორიული გრანტიდან, რომლებიც ეროვნულმა მთავრობამ გასცა, ფორმულის მიხედვით

გაცემული იყო 155, რაც წინა ორი წლის მონაცემებს 13 პროცენტით აღემატებოდა, დანარჩენი 323 კი საპროექტო გრანტი იყო, ანუ ისეთი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გაიცემა. ეს გრანტები გაიცა, ძირითადად, შიღის მკურნალობისათვის, უსახლკაროების დასახმარებლად, ნარკომანიასთან საბრძოლველად.

კატეგორიული გრანტებისაგან განსხვავებით ბლოკური გრანტები გაიცემა უფრო ფართო მიზნებისათვის, ისეთისათვის, როგორცაა საქალაქო ტრანსპორტი, სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ან კომუნალური მომსახურება. ასეთი გრანტები მიმღებ მხარეს ბევრად უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებს, რათა თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილოს თანხა ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით. მაშინ, როცა კატეგორიული გრანტი შეიძლება გაიცეს კონკრეტული მიზნით, მაგალითად, ეროვნული მემკვიდრეობის შესასწავლად, ბლოკური გრანტი შეიძლება მიეცეს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლებისათვის: ასეთი ბლოკური გრანტის მიმღებმა – შტატისა თუ ადგილობრივმა ხელისუფლებამ – თვითონ უნდა გადაწყვიტოს, – კერძოდ, როგორი განათლების სისტემას დააფინანსებს ამ ფონდების მეშვეობით.

დამხმარე გრანტები შემოსავლის გადანაწილების ერთ-ერთი მეთოდია. ეროვნული მთავრობა გადასახადის სახით კრეფს თანხას ორმოცდაათივე შტატის მოქალაქეებისგან და შემდეგ უნაწილებს სხვა მოქალაქეებს, უფრო სწორედ, ახმარს იმ სოციალურ მიზნებს, რომლებიც ყველაზე საჭირობოტოდ ითვლება. ბევრი გრანტი მართლაც მოხმარდა შტატებსა და მათ მოქალაქეებს შორის დიდი უთანასწორობის დაძლევა. მაგრამ შემოსავლის გადანაწილების არსებული წესები არაა მთლად მიუკერძოებელი: ეს წესები ძალიან პოლიტიზირებულია და კონგრესში დიდ კამათს იწვევს.

რაც არ უნდა იყოს, გრანტებით გაცემულ თანხას თან ახლავს მისი „მართვის ძაფები“. ეს „ძაფები“ იმისთვისაა, რომ კონტროლი გაეწიოს იმას, დაიხარჯა თუ არა თანხა მიზნობრივად; ზოგი „ძაფი“ კი იმისთვისაა, რომ შემოწმდეს, რამდენად კარგად მუშაობს გრანტი. გრანტების ნაწილი იმისთვისაა შექმნილი, რომ უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მიზანი იქნეს მიღწეული, რომელიც ხანდახან პირდაპირაც კი ჩანს ამ გრანტის სპეციფიკურ მიზანში. მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1984 წლის „საავტომობილო გზების აქტმა“ შეუძვირა დამხმარე დაფინანსება შტატებს, რომლებმაც კვლავაც არ შეუზღუდეს ალკოჰოლის მოხმარება 21 წლის ასაკამდე ახალგაზრდობას. ფინანსური დახმარების მიღების სურვილი სერიოზული სტიმული აღმოჩნდა შტატებისათვის, რათა მათ უარი ეთქვათ თავიანთი უფლებამოსილების ნაწილზე, დაეთმოთ თავიანთი სტანდარტები და მიეღოთ ეროვნული მთავრობის მიერ შემოთავაზებული წესები.

ფედერალიზმის განვითარებადი კონცეფცია

ფედერალიზმის ერთ-ერთ მკვლევარს ოდესღაც აღუნიშნავს, რომ „ყველა თაობას, რომელსაც ახალი პრობლემების გადაჭრა უხდებოდა, ფედერალიზმის

საკუთარი ვერსიის შექმნაც მოუხდა“. ყოველი მომდევნო თაობა სხვადასხვანაირად იყენებდა სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას, რათა ხან იქით და ხან აქეთ გადაენაწილებინა ძალაუფლების ბალანსი ეროვნულ ხელისუფლებასა და შტატების ხელისუფლებათა შორის.

მაკკელოგი მერილენდის შტატის წინააღმდეგ

მე-19 საუკუნის დასაწყისში ფედერალიზმის სახელმწიფოებრივმა ინტერპრეტაციამ დაჯაბნა შტატების უფლებები. 1819 წელს უზენაესმა სასამართლომ ჯონ მარშალის თავმჯდომარეობით თავისი გადაწყვეტილებით *მაკკელოგის სარჩელზე მერილენდის შტატის მიმართ* გააფართოვა ეროვნული ხელისუფლების როლი. სასამართლოს მიმართეს, რათა მას გადაეწვეცია – ჰქონდა თუ არა კონგრესს უფლება დაეარსებინა ეროვნული ბანკი, და თუ ჰქონდა, გააჩნდათ თუ არა უფლება შტატებს დაებეგრათ ეს ბანკი. სასამართლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით (რომელიც მარშალმა შეადგინა) დადგინდა, რომ კონგრესს ჰქონდა მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც მას მიანიჭა კონსტიტუციამ. იქ კი ბანკებზე არაფერი იყო ნათქვამი. მაგრამ კონსტიტუციის I მუხლის თანახმად, კონგრესს ეძლეოდა შესაძლებლობა ყველა იმ კანონის გამოცემისა, რომელიც ჩამოთვლილი უფლებების განხორციელებისათვის აუცილებლად და სავალდებულოდ მიაჩნდა. მარშალი უშვებდა ამ მოქნილი პუნქტის ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას: „თუ საბოლოო შედეგი კანონიერია, თუ ის კონსტიტუციის საერთო კონტექსტში ჯდება, მაშინ ის ხერხები, რომლებიც ამ შედეგის მისაღწევად დასაშვები წესით ხორციელდება, ანუ არ არის აკრძალული და შეესაბამება კონსტიტუციის ტექსტსა და სულისკვეთებას, კონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს“.

ამრიგად, სასამართლო აშკარად დაეთანხმა კონგრესს, რომ ამ უკანასკნელს გააჩნდა უფლებამოსილება ბანკის შექმნის ნებართვისა. მაგრამ, გააჩნდა თუ არა შტატებს – ამ შემთხვევაში, მერილენდის შტატს – უფლება, დაებეგრათ ეს ბანკი? იმის მტკიცებით, რომ „დაბეგრის უფლებამოსილება – ეს განადგურების უფლებამოსილებაა“, ჯონ მარშალი უარყოფდა შტატების უფლებამოსილებას დაებეგრათ ეროვნული ხელისუფლება, ვინაიდან ამ ხელისუფლებას უფლებამოსილება მიღებული ჰქონდა არა შტატებისაგან, არამედ ხალხისაგან. ამრიგად, მარშალი კოოპერატიულ ფედერალიზმს უჭერდა მხარს.

შტატების უფლებები და ორმაგი ფედერალიზმი

ბერს ჰგონია, რომ ამერიკის სამოქალაქო ომი მონობის საკითხზე უთანხმოებას მოჰყვა. ეს ასე არაა. ომის ნამდვილი მიზეზი იყო ფედერალური კავშირის, ანუ თვით ფედერალიზმის ხასიათი. სამოქალაქო ომის წინ რეგიონული სხვაობები ჩრდილოეთსა და სამხრეთის შტატებს შორის ძალიან საგრძნობი იყო. სამხრეთის შტატების ეკონომიკა ეყრდნობოდა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას, ამიტომ სამხრეთელები მხარს უჭერდნენ მცირე ბაჟებით დაბეგრულ სამრეწველო იმპორტს და მონობას, როგორც იაფი სასოფლო-სამეურნეო მუ-

შახელის წყაროს. ჩრდილოელებს კი, თავიანთი მრეწველობის უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად, მაღალი ბაჟები ესაჭიროებათ. როდესაც ჩრდილოელებმა კონგრესს ასეთი კანონმდებლობა მიაღებინეს, ამით დააფრთხეს სამხრეთელები, რომლებმაც, თავის მხრივ, შტატების უფლებები წამოსწიეს წინ. სამხრეთელებმა შემოიტანეს ე. წ. ნულიფიკაციის თეორია, რომელიც ეფუძნებოდა აზრს, რომ შტატს შეეძლო გაეუქმებინა (ბათილად ეცნო) ეროვნული მთავრობის ცალკეული აქტები. სამოქალაქო ომმა თვით ნულიფიკაციის თეორია ბათილყო, მაგრამ მან მაინც ვერ მოაწესრიგა ეროვნული ძალაუფლებისა და შტატების ძალაუფლების ბალანსის საკითხი.

სამოქალაქო ომის შემდგომ ათწლეულებში უზენაესი სასამართლო ზღუდავდა ეროვნულ მთავრობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მრეწველობის რეგულირების შემოღებას ცდილობდა. სასამართლომ ასევე უარყო ცდა, გამოყენებული ყოფილიყო ეროვნული მთავრობის უფლებამოსილება შტატებში ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში, სხვა მიზნებისათვისაც, მაგალითად, ქვეყნის მასშტაბით ხელფასის მინიმუმის დასაწესებლად ანდა ბავშვთა შრომის აკრძალვის მიზნით. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს უზენაეს მოსამართლეებზე გავლენას ახდენდა *laisser faire*-ის ეკონომიკური თეორია, მიდგომა, რომელიც ბიზნესისათვის ხელების მინიმალურ შებოჭვასაც არ უშვებდა. უზენაესი სასამართლო განუწყვეტილად არაკონსტიტუციურად ცნობდა კონგრესის ანტიმონოპოლიურ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც ზღუდავენ კორპორაციების საქმიანობას, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, ეს შტატების კომპეტენციაში შეჭრას ნიშნავდა.

„ახალი კურსი“ და მისი შედეგები

იმისათვის, რომ ორმაგი ფედერალიზმი ეჭვქვეშ დამდგარიყო, საჭირო გახდა „დიდი დებრესია“. უმძაფრესმა კრიზისმა – „დიდმა დებრესიამ“ წარმოშვა ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა არც ცალკე შტატის მთავრობებს, არც კერძო ბიზნესს არ შეეძლო. ამრიგად, ეროვნულ მთავრობას მოუხდა პასუხისმგებლობის უმეტესი ნაწილის თავის თავზე აღება, რათა დახმარება გაეწია გაღატაკებული ხალხისათვის და ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინება დაეწყო. პრეზიდენტ ფრენკლინ დ. რუზველტის პასუხი „დიდ დებრესიაზე“ მისი ახალი ეკონომიკური სისტემა – „ახალი კურსი“ (New Deal) იყო, რომელზე დაყრდნობითაც კონგრესმა შემოიღო რამდენიმე საგანგებო პროგრამა ეკონომიკური საქმიანობის ასაღორძინებლად და უმუშევრების დასახმარებლად. ბევრი ასეთი ზომა საჭიროებდა ეროვნული ხელისუფლებისა და შტატების თანამშრომლობას. ვინაიდან ფედერალური ფონდების გამოყენებას გარკვეული პირობები ახლდა, ეროვნულმა ხელისუფლებამ თავისი შესაძლებლობანი და კონტროლი შტატებზეც განავრცო (Patterson, 1969).

თავდაპირველად უზენაესი სასამართლოს თვალსაზრისი „დიდ დებრესიაზე“ განსხვავდებოდა ეროვნული ხელისუფლების სხვა განმტოებების თვალსაზრისისგან. სასამართლოს აზრით, ფედერალიზმის მთელი სისტემა საფრთხის წინაშე დადგა, როდესაც ადგილობრივი პრობლემების ერთობლიობა საერთო ეროვნ-

ნულ პრობლემად იქნა გაგებული. მოსამართლე ოუენ რობერტსი თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „შეერთებული შტატები ბატლერის წინააღმდეგ“ (1936 წ.) წერდა:

„არ არის საკმარისი ის, რომ ადგილობრივმა გართულებებმა ეროვნული მასშტაბის შემოფარგვა გამოიწვიოს; ეს იმას ნიშნავს, რომ, თუკი ადგილობრივი პრობლემების ხშირი მსგავსება იქნება, კონგრესმა შეიძლება უფლებებელთს კონსტიტუციური შეზღუდვები და შტატებისათვის შენარჩუნებული უფლებების უზურპირება მოახდინოს“.

ამ და სხვა გადაწყვეტილებებით უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი, მათ შორის, „ეროვნული მრეწველობის აღდგენის აქტი“, რომელსაც უნდა მოეხდინა ხელფასების, სამუშაო საათების და კონკურენციის რეგულირება.

მაგრამ 1937 წელს უზენაესმა სასამართლომ დაიწყო თავისი კურსის გადასინჯვა, თუმცა მისი შემადგენლობა არ შეცვლილა. სასამართლომ მხარი დაუჭირა „სოციალური დაზღვევის აქტს“ და „შრომითი ურთიერთობის ეროვნულ აქტს“ – „ახალი კურსის“ შემადგენელ ნაწილებს. როგორც ჩანს, უზენაესმა სასამართლომ კარგად შეისწავლა 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები და, შესაბამისად, გამოეხმაურა ამომრჩევლების მიერ ეროვნული პოლიტიკის მხარდაჭერას ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად. ყოველ შემთხვევაში, სასამართლომ თავი ანება ცდას – მკაფიო ზღვარი გაეგლო ეროვნული ხელისუფლებისა და შტატების უფლებამოსილებას შორის. აქედან მოყოლებული, ფედერალურ სისტემაში ძალაუფლების მკვეთრი განაწილება ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, ხოლო თანამშრომლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის – სულ უფრო მნიშვნელოვანი.

„ახალი კურსის“ ეპოქას ზოგიერთი მიმომხილველი რევოლუციურს უწოდებს. ეჭვგარეშეა, რომ ეს პერიოდი კრიტიკული აღმოჩნდა შეერთებულ შტატებში ფედერალიზმის ახალი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა ამერიკელების აზროვნებაში: მათ სხვანაირად დაიწყეს ფიქრი თავიანთ პრობლემებზე და ეროვნული ხელისუფლების როლზე ამ პრობლემების გადაწყვეტაში. ის სირთულეები, რომლებიც ოდესღაც პირად ანდა ადგილობრივ პრობლემად ითვლებოდა, ამიერიდან აღიქმებოდა ეროვნულ პრობლემად, რომელთა გადაწყვეტაც ეროვნულ დონეზე უნდა მომხდარიყო. ფართოდ გაგებული *საყოველთაო კეთილდღეობა* ეროვნული ხელისუფლების კანონიერი ინტერესების სფეროდ გადაიქცა.

მაგრამ, სხვა თვალსაზრისით, „ახალი კურსი“ მაინცადამაინც რევოლუციური არ ყოფილა. მაგალითად, კონგრესმა არ მოითხოვა რაიმე ახალი უფლებამოსილება ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად; მან უბრალოდ გამოიყენა არსებული კონსტიტუციური უფლებამოსილებანი ახალი ვითარების შესაბამისად. და, ერთი მცირე გამონაკლისის გარდა, 1930-იანი წლების ბოლოდან უზენაესი სასამართლო მხარს უჭერდა კონგრესის ძალაუფლების განხორციელებას პრაქტიკულად ყველა საკითხში.

დესეგრეგაცია და სილატაკესთან ბრძოლა

1950-60-იან წლებში ეროვნულმა ხელისუფლებამ სოციალური თანასწორობის მისაღწევად ბრძოლა გამოუცხადა რასიზმსა და სილატაკეს. ამ ორივე პრობლემის გადაჭრა შტატების დონეზე შეუძლებელი ჩანდა.


ადრე რასობრივი ურთიერთობის საკითხები ძირითადად შტატების კომპეტენციაში შედიოდა, რომლებიც, მიუხედავად სამოქალაქო ომის შემდეგ მიღებული კონსტიტუციური შესწორებებისა, მეტნაკლებად უგულებელყოფდნენ მათ. უფრო მეტიც, როდესაც უზენაესმა სასამართლომ 1896 წელს მხარი დაუჭირა „*განცალკევებულ-მაგრამ-თანაბარ დოქტრინას*“*, შტატებს უფლება მიეცათ თვითონ ეზრუნათ რასობრივი თანასწორობის საკითხებზე.

მაგრამ 1954 წელს, საქმის „*ბრაუნი განათლების წინააღმდეგ*“ განხილვისას, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რასობრივად განცალკევებული და ობიექტურად თანაბარი სკოლები მაინც თავისთავად *უთანასწორობი* იყვნენ. ამ დადგენილებამ ეროვნულ მთავრობას მისცა საბაზი, მოეთხოვა სკოლების დესეგრეგაცია. ვინაიდან სამოქალაქო უფლებების მოძრაობა სულ უფრო მხარდ ყურადღებას უთმობდა რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემებს, კონგრესმა ორი მნიშვნელოვანი კანონი მიიღო: 1964 წელს – „სამოქალაქო უფლებების აქტი“ და 1965 წელს – „საარჩევნო უფლებების აქტი“. ამ კანონების მეშვეობით ეროვნულ მთავრობას საშუალება მიეცა გამოეყენებინა კანონიერი სანქციები დასაქმებაში, ბინის დაქირავებასა და საარჩევნო ცნობის გამოყენებაში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ კანონებმა, თავისთავად, მკვეთრად შეზღუდა შტატების უფლებამოსილებანი იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი თანასწორობის იდეას ეწინააღმდეგებოდნენ.

1960-იან წლებში პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის წამოწყებულმა „ომმა სილატაკის წინააღმდეგ“ გამოიწვია უზარმაზარი მოცულობის სოციალური კანონმდებლობის შექმნა და ეროვნული ხელისუფლების კომპეტენციის დიდი გაფართოება. მთელ შეერთებულ შტატებში თანაბარი შესაძლებლობების შექმნისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული მთავრობა იყენებდა ფულად სახსრებს ახალ-ახალი პროგრამების დასაფინანსებლად: ეს პროგრამები მოიცავდა დახმარებას უმაღლესი, საშუალო და დაწყებითი სკოლებისათვის, სურსათის ტალონების გაცემას, პროფესიული მომზადების პროექტების განხორციელებას და სხვა.

ჯონსონის რეცეპტი „ზებრანამცხვრის“ ტიპის ფედერალიზმისათვის ზოგ ახალ შემადგენელ ნაწილსაც მოიცავდა. 1960 წლამდე ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის თითქმის ყველა დახმარება გულისხმობდა ეროვნული მთავრობის მიერ შტატების მთავრობებისათვის თანხების გაცემას. მაგრამ „სილატაკის წინააღმდეგ ომმა“ გამოიწვია ადგილობრივი ხელისუფლებისა და თვით მოსახლეობის ჯგუფების მიმართ პირდაპირი დახმარების გაფართოება.

* 1896 წელს, „*ფერჯისონი ქლეისის წინააღმდეგ*“ განხილვისას, უზენაესმა სასამართლომ გაამართლა შტატების მიერ შემოღებული რასობრივი სეგრეგაცია, როდესაც დაუსვა შავკანიანებსა და თეთრკანიანებისათვის „განცალკევებული“ მომსახურება იმ პირობით, რომ მომსახურება „თანაბარი“ იქნებოდა (იხ. თავი 12).



ნახ. 3.2. მესერის ტიპის ფედერალიზმი

მესერის ტიპის მოდელი გვიჩვენებს, თუ როგორ კეთენ ფუნქციები მთავრობათა დონეებს და როგორ აკავშირებენ ოფიციალურ პირებს, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა დონეებზე.

რამდენადაც ეროვნული ხელისუფლების როლი იზრდებოდა და ეს როლი საზოგადოებისათვის სულ უფრო მისაღები ხდებოდა, დებატებმა ფედერალიზმის შესახებ სხვა სახე მიიღო. ეროვნული ხელისუფლება, შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებანი აღარ გამოდიოდნენ როგორც განცალკევებული შრეები; ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებდნენ. მაგრამ – როგორ? ამ კითხვაზე პასუხის ძიებამ ცენტრალურ ადგილზე დააყენა ხელისუფლებათაშორისი ურთიერთობები (მთავრობის სხვადასხვა დონის თახამდებობის პირთა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულება და კავშირები). საჭირო გახდა იმის გარკვევა, თუ როგორ ახდენენ გავლენას ერთმანეთზე ეროვნული, შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებანი.

ხელისუფლებათაშორისი ურთიერთობების პოლიტიკური დინამიკა 1960-იანი წლებიდან ფედერალიზმის უკვე ახალი მეტაფორის შექმნის საშუალებას იძლევა: ესაა „მესერის ტიპის ფედერალიზმი“ (იხ. ნახ. 3.2). აქ „ლობის ლარტყები“ მთავრობათა დონეებია (ეროვნული, საშტატო, ადგილობრივი), ხოლო „ლობის ვერტიკალური ფიცრები (მესერი)“ არის ლობისტების, ჯგუფების ინტერესები როგორც ხელისუფლების შიგნით, ისე მის გარეთ, და ის ფუნქციები, რომლებსაც ხელისუფლება ახორციელებს. თითოეულ ასეთ „ფიცარზე“ წარმოდგენილი ინტერესები (ან ფუნქციები) ქმნის მჭიდრო კონტაქტებს ხელისუფლებათა სამივე დონეზე. ამით იქმნება ინფორმაციის გაცვლის საერთო სტანდარტების შემუშავებისა და ხელისუფლების ყველა დონეზე ურთიერთგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.

მთავრობათა ოფიციალურ პირებს საშუალება აქვთ „იმოდრონ მესერის გასწვრივ“, რათა გავლენა მოახდინონ სხვადასხვა დონის სხვა ოფიციალურ პირებზე. ასე, მაგალითად, შტატის განათლების დეპარტამენტის უფროსის ტიპური ვიზიტი ქვეყნის დედაქალაქში – ვაშინგტონში – მოიცავს დილის შეხვედრას მისივე შტატის წარმომადგენლებთან კონგრესში, რათა მათ გააცნოს შტატის განათლების პრობლემები და უპირველესი საზრუნავი. შემდეგ იგი სადილობს ლობისტებთან ერთად, რომლებიც განათლების ეროვნული ასოციაციის (National Education Association - NEA) ინტერესებს იცავენ; დღის მეორე ნახევარში გამოდის კონგრესის განათლების კომისიის წინაშე, შემდეგ კი ხვდება აშშ განათლების დეპარტამენტის ოფიციალურ პირებს. ეს დაქანცული ხელმძღვანელი მეორე დღეს ბრუნდება თავის ოფისში, სადაც მას უკვე ტელეფონზე ელოდება მეზობელი შტატის განათლების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც სულმოუთქმელად ელის ინფორმაციას ჩატარებული ვიზიტის შესახებ.

1960-იანი წლებიდან ეროვნული ხელისუფლება იძლეოდა სახსრებს ყოველგვარი ადგილობრივი პროგრამებისათვის – მღრღნელებთან საბრძოლველად, დანაშაულის შესამცირებლად, სოფლად ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მისაღებად, ნავის გასატანად, სახლების გასათბობად. კონგრესი სულ უფრო მეტად აღმოჩნდა ჩათრეული ყველანაირი მოთხოვნების დაკმაყოფილების საქმეში. კონგრესის მზადყოფნა – დაეხარჯა ეროვნული ფონდები, – გაზარდა არსებული დანტერესებული ჯგუფების მნიშვნელობა და სხვა ასეთი ჯგუფების წარმოშობა განაპირობა. ამის შედეგია არა უბრალოდ პლურალისტური, არამედ ჰიპერპლურალისტური დემოკრატია – ყველა შესაძლო ინტერესს თავისი დანტერესებული ჯგუფი გაუჩნდა.

სახელმწიფო პროგრამების რიცხვისა და მოცულობის ზრდამ, ლამის ყველანაირი მოთხოვნების დაკმაყოფილების სრულმა მზადყოფნამ, დანტერესებული ჯგუფების ზეწოლამ შექმნა ისეთი ფედერალური სისტემა, რომელსაც მისმა კრიტიკოსებმა უწოდეს „გადატვირთული და უკონტროლო“. როდესაც ხელისუფლებათაშორისი ურთიერთობების საკონსულტაციო კომისიამ (Advisory Commission on Intergovernmental Relations - ACIR), კონგრესის მიერ შექმნილმა ფედერალური სისტემის მეთვალყურე ჯგუფმა, 1980 წელს განიხილა ამ სისტემის ფუნქციონირება, დადგინდა, რომ სისტემა საერთოდ არ მუშაობს. კომისიამ დაასკვნა, რომ განვლილი ორი ათწლეულის განმავლობაში ხელისუფლებათაშორისი ურთიერთობები გახდა „სულ უფრო ყოვლისმომცველი, სულ უფრო აბეზარი, სულ უფრო უმართავი, სულ უფრო არაეფექტიანი, სულ უფრო ძვირადღირებული და სულ უფრო ძნელად აღსარიცხი“ (Advisory, 1981, p. 101).

ახალი, უფრო ახალი, უახლესი ფედერალიზმი

ყველა პრეზიდენტი, რიჩარდ ნიქსონიდან მოყოლებული, გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას ფედერალური სისტემის უმართავობით და ირწმუნებოდა, რომ შეამცირებს ბიუროკრატების რიცხვს და დაუბრუნებს შტატებს თავიანთ უფ-

ლებამოსილებას. ასეთი რეფორმის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა. სახელმწიფოს დონეზე შექმნილი ახალი წესებისა და წესდებების მზარდი ნაკადი შტატების მთავრობებს და ადგილობრივ ხელისუფლებას ხშირად აკისრებს ახალ პასუხისმგებლობას, რომლებიც არ არის აღჭურვილი სათანადო რესურსებით, ამ მანდატს ცხოვრებაში რომ გაატარებდა.

ნიქსონის „ახალი ფედერალიზმი“: შემოსავლის განაწილება

როდესაც ნიქსონი 1969 წელს სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს, მან განაცხადა, რომ გარდაქმნის ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც, მისი სიტყვებით, „ზეცენტრალიზებულია, მეტისმეტად ბიუროკრატიულია, არ პასუხობს მოთხოვნებს და არაეფექტიანია“. თავისი გადაწყვეტილება მან „ახალი ფედერალიზმის“ პრობლემას დაუკავშირა და პირობა დასდო, რომ ეს ახალი სისტემა გადაანაწილებდა „ძალაუფლებას, ფონდებსა და უფლებამოსილებებს... იმ ხელისუფლების სასარგებლოდ, რომელიც ყველაზე ახლოს იქნებოდა ხალხთან“. ნიქსონი მოელოდა, რომ „ახალი ფედერალიზმი“ დაეხმარებოდა მას ქვეყნის ბედ-იბალზე კონტროლის აღდგენაში „შტატებისა და ადგილობრივ ხელისუფალთათვის კონტროლის უდიდესი ნაწილის დაბრუნების გზით“ (Nixon, 1969): ფაქტობრივად, „ახალი ფედერალიზმი“ სხვა არაფერია, თუ არა „ორმაგი ფედერალიზმი“ ახალ სამოსელში.

ნიქსონის „ახალი ფედერალიზმის“ საკვანძო მომენტი იყო *შემოსავლის განაწილება*, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ხელისუფლებას უნდა დაებრუნებინა შტატებისა და დასახლებული პუნქტებისათვის შეგროვებული საგადასახადო შემოსავალი, რათა მათ საკუთარი შეხედულებისამებრ დაეხარჯათ ეს სახსრები. ამ გეგმას გააჩნდა ორი ნაწილი: შემოსავლის საერთო განაწილება აძლევდა თანხებს საშტატო და ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა მათ ეს თანხები გამოეყენებინათ საკუთარი საჭიროებისამებრ. ამ პროგრამას ძალიან ცოტა „მაკონტროლებელი ძაფი“ გააჩნდა. როდესაც 1972 წელს შემოსავლის საერთო განაწილების პროგრამის განხორციელება დაიწყო, მან დიდი მოწონება დაიმსახურა იმ მთავრობებისაგან, ვინც მიიღო სახსრები, მაგრამ კონგრესის წევრებს სულ უფრო ნაკლებ მოსწონდათ პროგრამა: მათ აღარ დარჩათ იგივე კონტროლის საშუალება შემოსავლის საერთო განაწილების ფონდებზე, რაც ადრე ჰქონდათ ტრადიციულ კატეგორიულ გრანტებზე. კონგრესმენებისათვის ბევრად ხელსაყრელი იყო თავიანთი საარჩევნო ოლქებისათვის ვიწროდ გამიზნული ფონდების გამოყოფა, რითაც მათი ამომრჩევლის გულებს უფრო მოიგებდნენ. ამის შედეგად კონგრესმა არ დართო შემოსავლის საერთო განაწილების დაფინანსების ზრდის ნება მაშინ, როცა კატეგორიულ გრანტებს მხარდაჭერა აღმოუჩინა. 1986 წელს შემოსავლის საერთო განაწილების პროგრამის განხორციელება საერთოდ შეწყდა.

ნიქსონის „ახალი ფედერალიზმის“ მეორე ნაწილი – შემოსავლის სპეციალური განაწილება – არსებული კატეგორიული გრანტების პროგრამების კონსოლიდაციის გეგმას წარმოადგენდა. სახსრები, რომლებიც გამოყოფილი იყო სხვადასხვა კატეგორიული პროგრამებით, მაგალითად, სამედიცინო მომსახურ-

რებისათვის რომელიმე რეგიონში, უნდა შეერთებულიყო ბლოკურ გრანტად. მაგრამ კონგრესს ეშინოდა იმ კონტროლის დაკარგვისა, რომელიც მას გააჩნდა არსებული გრანტების სისტემის მეოხებით და ასეთ გეგმებს წინააღმდეგობას უწევდა. ურთიერთობათა დინამიკა პროგრამების კონსოლიდაციის წინააღმდეგ მუშაობდა: დაინტერესებული ჯგუფები მძაფრ ლობირებას ეწეოდნენ, რათა არ დაეშვათ იმ პროგრამების კონსოლიდაცია, რომლებიც პირადად მათ ინტერესებს ეხებოდა. ყოველივე ამან შეაფერხა ნიქსონის პრეზიდენტობის წლებში გადასახადების სპეციალური განაწილების წინსვლა.

ამრიგად, ნიქსონის „ახალი ფედერალიზმი“ შტატებიდან ეროვნულ ხელისუფლებაში ძალების გადაღინებას მაინცადამაინც წარმატებით ვერ წინააღმდეგა. ეროვნული ხელისუფლება სულ უფრო მეტ დახმარებას უწევდა შტატებს და, შესაბამისად, მატულობდა ამ უკანასკნელთა „მართვის ძაფების“ რაოდენობაც.

თანდათანობით ისევ იმძლავრა აზრმა, რომ ფედერალური სისტემა გაბერილია და უკონტროლო. 1976 წელს ჯიმი კარტერი თავის საპრეზიდენტო კამპანიას წარმართავდა, როგორც ძველი პოლიტიკისგან შორს მყოფი კაცი, რომელიც პირდებოდა ქვეყანას, რომ შეამცირებს ეროვნული ხელისუფლებისა და მასზე გაწეული ხარჯების ზომას. მართლაც, მან რაღაცა გააკეთა ამ მიმართულებით. 1978 წლის შემდეგ ეროვნული ხელისუფლების დახმარებამ შტატებისა და ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის კლება დაიწყო.

„ახალი ფედერალიზმი“ რეიგანისა და ბუშის დროს

როცა 1981 წელს რონალდ რეიგანმა დაიკავა პრეზიდენტის საეარძელი, იგი დაპირდა ხალხს, რომ მისი „ახალი ფედერალიზმი“ აღადგენდა „ზუსტ კონსტიტუციურ ურთიერთობას ფედერალურ, საშტატო და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის“. ის ამტკიცებდა, რომ „ფედერალურმა სისტემამ ფორმა შეიცვალა“. ეროვნული ხელისუფლება გადაიქცა ხელისუფლებათაშორისი ურთიერთობების უფროს პარტნიორად და ისე ექცევა „შტატებში და ადგილებზე არჩეულ ოფიციალურ პირებს, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფედერალური ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები არიან“.

რეიგანის მოწადინება, შეემცირებინა გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები, იმას ნიშნავდა, რომ ის ვერ შესძლებდა ახალი დაფინანსებით ლობისტების დაინტერესებას, რათა თავისი „ახალი ფედერალიზმი“ მათთვის უფრო „სანუკვარი“ გაეხადა. ამავე დროს, მან აღადგინა ნიქსონის „ახალი ფედერალიზმის“ ერთი ელემენტი – ბლოკური გრანტების გამოყენება. რეიგანის ადმინისტრაციის პირველი წლის განმავლობაში კონგრესი დათანხმდა მოეხდინა 57 კატეგორიული გრანტის შერწყმა ცხრა ბლოკურ გრანტად. შტატების მოხელეები დიდი ენთუზიაზმით შეეგებნენ იდეას, ვინაიდან მეტი კონტროლის საშუალება ექნებოდათ გრანტებით მონიჭებულ სახსრებზე; მათი ენთუზიაზმი მნიშვნელოვანწილად ჩააცხრა, როდესაც გაიგეს, რომ ეს სახსრები დაახლოებით 25 პროცენტით ნაკლები იქნებოდა ადრინდელზე. შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დანახარჯების ანაზღაურებაში ეროვნული მთავრობის წილმა კლება დაიწყო.

1982 წელს რეიგანმა წამოაყენა ფედერალური სისტემის უფრო სერიოზული რეორგანიზაციის წინადადება. ამჯერად, მან შესთავაზა პროგრამული ცვლილება, რომლის შედეგადაც 45-იოდე პროგრამა, რომელთაც ადრე აფინანსებდა ან მართავდა ეროვნული მთავრობა, გადადიოდა შტატების კონტროლქვეშ. ამავდროს ეროვნული ხელისუფლება კისრულობდა პასუხისმგებლობას „მედიკეიდისათვის“ (Medicaid), ღარიბი ხალხის ჯანმრთელობის დაცვისთვის პროგრამისათვის. თავიდან ვაშინგტონი გადასცემდა სახსრებს შტატებს ახალი პროგრამების მართვისათვის. მაგრამ შტატებს თანდათანობით თავის თავზე უნდა აეღოთ ამ პროგრამების დაფინანსება, ანდა დაეხურათ ისინი.

რეიგანის მიერ შემოთავაზებულმა წინადადებამ პროგრამების შეცვლის შესახებ მძაფრი წინააღმდეგობა წარმოშვა. რეიგანმა ვერ მიაღწია კონგრესში თავისი წინადადების მხარდაჭერას და, ამის შედეგად, ამერიკული ფედერალიზმის გარდაქმნის მისი ყველაზე თვალსაჩინო ცდა ჩაიფუშა. სინამდვილეში კი ბევრი ახალი გრანტი გაიცა ახალი პრობლემების და ქვეყნის უპირველესი საზრუნავის დასაფინანსებლად: მაგალითად, შიდსის გავრცელების წინააღმდეგ, ნარკომანისთან საბრძოლველად. მაგრამ, თუ რეიგანის ადმინისტრაციამ მარცხი განიცადა მთელი ფედერალური სისტემის რეორგანიზაციის საქმეში, მან ის მაინც მოახერხა, რომ ეროვნული ხელისუფლების როლი ამ სისტემაში სხვაგვარად ყოფილიყო წარმოჩენილი. ჯორჯ ბუშმა, თავისი პრეზიდენტობის დროს გააგრძელა რეიგანის „ახალი ფედერალიზმი“ და განამტკიცა რეიგანისდროინდელი პოლიტიკა, რომლის წყალობითაც შემოთავაზებულ პროგრამებსა და კანონმდებლობას მაქსიმალურად უნდა გაეხსნათ ხელი შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.

„ახალი ფედერალიზმის“ ზოგიერთი შედეგი

„ახალი ფედერალიზმი“ მკვეთრად იცვლებოდა 1960 წლის შემდეგ. 1978 წლამდე შტატებისა და ქალაქებისათვის გაწეულ დახმარებას თითქმის თანაბარი ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. მაგრამ შემდეგ დაიწყო შემცირების პერიოდი და მინიმალური დონე მიღწეულ იქნა 1982 წელს. ამის შემდეგ დახმარება სულ უმნიშვნელოდ გაიზარდა. გარდა ამისა, შტატებისა და ქალაქებისათვის აღმოჩენილი დახმარების შედგენილობა არსებითად შეიცვალა ადრეულ პერიოდთან შედარებით. ღარიბებისათვის დახმარების ზვედრითი წილი ეროვნული ხელისუფლების მიერ შტატებისათვის მიცემულ გრანტებში განუწყვეტლად იზრდებოდა და ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, გაგრძელდება.

ამჟამად შტატები და ადგილობრივი მთავრობები კვლავ აუდიან ხარჯებს, ხოლო ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტის მკაცრი რეალობა დახმარების გაზრდის იმედს სპობს. პირველად ათწლეულების მანძილზე, ბევრი შტატისა და ქალაქის ხელისუფლება ზრდის ანდა აკანონებს ახალ გადასახადებს, რათა გასწვდეს იმ საზოგადოებრივი სამსახურების დაფინანსებას, რომლებიც ოდესღაც კოოპერატიული ფედერალიზმის დანაწილებული პასუხისმგებლობა იყო.

სხვა ხელისუფლებანი ფედერალურ სისტემაში

ზემოთ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ეროვნული ხელისუფლებისა და შტატების ხელისუფლებათა როლზე, რომელსაც ისინი ასრულებენ ამერიკის ფედერალურ სისტემაში. თუმცა კონსტიტუცია ცნობს მხოლოდ ეროვნულსა და შტატების ხელისუფლებებს, ამერიკის ფედერალურმა სისტემამ წარმოშვა უამრავი ადგილობრივი ხელისუფლება. ერთი თანამედროვე აღრიცხვით სხვადასხვა ხელისუფლებათა რაოდენობამ ამერიკაში 83 ათასს (sic!) გადააჭარბა (Dyc, 1990).

ადგილობრივი ხელისუფლების ტიპები

ამერიკელები ერთდროულად სახელმწიფოსა (აშშ) და შტატის მოქალაქეები არიან, მაგრამ ისინი სხვადასხვა ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაც არიან მოქცეული. ეს მოიცავს მუნიციპალურ ხელისუფლებას, ანუ დიდი, საშუალო და მცირე ქალაქების ხელისუფლებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტები განლაგებულია ქაუნთის* ტერიტორიაზე (მუნიციპალიტეტი ხანდახან მოიცავს რამდენიმე ქაუნთის ანდა ემთხვევა ქაუნთის საზღვრებს), რომელსაც, თავის მხრივ, მართავს ქაუნთის ხელისუფლება. გარდა ამისა, ამერიკელების უმრავლესობა ცხოვრობს „სასკოლო უბნის“ ტერიტორიაზე, რომელიც შექმნილია დაწყებითი და საშუალო განათლების პროგრამების მართვისათვის. მოქალაქეებს შეიძლება ემსახურობოდეს აგრეთვე ერთი ან რამდენიმე „სპეციალური უბანი“ – ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც შექმნილია რომელიმე ხელისუფლების მიერ სპეციალური ფუნქციების შესასრულებლად, ვინაიდან ეს ფუნქციები უკეთ განხორციელდება, თუ ადმინისტრაციულ საზღვრებს მხვედველობაში არ მიიღებენ. ასეთი სპეციალური უბნების მაგალითებია ნიუ-იორკის ნავსადგურის სამმართველო, ჩიკაგოს დასუფთავების რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთ პენსილვენიის სატრანზიტო სამმართველო.

ეს ადგილობრივი ხელისუფლებები შექმნილია შტატის ხელისუფლების მიერ საკუთარ კონსტიტუციაზე ანდა ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაცია, უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და ეფექტიანობა მკვეთრად განსხვავდება შტატების მიხედვით. ორმოციოდე შტატი თავის დიდ ქალაქებს ანიჭებს სხვადასხვა ფორმის თვითმმართველობას – უფლებამოსილებას გამოსცეს და გაატაროს კანონმდებლობა გარკვეულ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. ამის საპირისპიროდ ქაუნთის ხელისუფლებას, რომელიც სოფლად ადგილობრივი ხელისუფლების ძირითადი ტიპია, ჩვეულებრივ, საკმაოდ მცირე საკანონმდებლო ძალაუფლება გააჩნია, ანდა სულაც არა აქვთ იგი. ქაუნთის ხელისუფლება, ძირითადად, გვევლინება ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც ასრულებს შტატის კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ მოვალეობას.

* ქაუნტი (county) – შტატის შემადგენელი ადმინისტრაციული ერთეული

ეროვნული, შტატის, ქალაქის, ქაუნთის ხელისუფლებათა, სასკოლო და სპეციალური უბნების ფუნქციები ხშირად ერთიმეორეს ფარავს, პრაქტიკულად ახლა სრულებით შეუძლებელია გამოვიყენოთ ოდესღაც მედიხონის მიერ შემოთავაზებული „დიდი და გაერთიანებული ინტერესებისა“ და „ადგილობრივი და სპეციფიკური ინტერესების“ კრიტერიუმები.

როგორ შეუძლია ჩვეულებრივ მოქალაქეს გაერკვეს ხელისუფლებათა ასეთ სიუხვეში? და, საერთოდ, ღებულობს კი რიგითი მოქალაქე რაიმე სარგებლობას ამ ხელისუფლებათაგან?

ამდენი ხელისუფლება: ხელსაყრელია თუ არა ხელსაყრელი?

ხელისუფლების დაახლოება ადგილობრივ დონესთან, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მინც, ზოგ სასარგებლო საქმეს აკეთებს: აახლოებს ხელისუფლებას მოსახლეობასთან; აძლევს ხალხს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესში, პირდაპირი გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით, მთავრობების ფუნქციების ურთიერთგადაფარვა თითქოს შეესაბამება დემოკრატიის მაჟორიტარულ მოდელს.

მაგრამ რეალობა სხვაგვარია. სხვადასხვა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ხალხი უფრო მეტად ეროვნულ არჩევნებში მონაწილეობს, ვიდრე ადგილობრივ არჩევნებში. ამის გამო, ადგილობრივ არჩევნებში თითოეული რეალური ამომრჩევლის ხმას ბევრად მეტი ფასი აქვს. გარდა ამისა, უფლებამოსილების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ფრაგმენტაცია ეროვნულ, შტატებისა და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის მეტისმეტად ართულებს მმართველობას და, შესაბამისად, ჩვეულებრივი ხალხისათვის უფრო ძნელად გასაგებს ხდის. დამატებით, იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრების ყოველდღიური საკითხებით არიან გადატვირთული, ძალიან შეზღუდული დრო რჩებათ საზოგადოებრივი საქმეებისათვის. ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი პოლიტიკისაგან აშორებს კერძო მოქალაქეებს, ხოლო ხელისუფლებას სულ უფრო მეტად უქვემდებარებს იმ ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებსაც გააჩნიათ რესურსები – დრო, ფული და ნოუ-ჰაუ – საკუთარი პოლიტიკის გატარებაზე გავლენის მოსახდენად (იხ. თავი 7). ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება დაუახლოვდეს ხალხს და მაჟორიტარული დემოკრატია გაძლიერდეს, ფედერალური სისტემის უაღრესი სირთულე პლურალიზმს უწყობს ხელს.

ხელისუფლებათა სიმრავლის ერთი შესაძლო სარგებლიანობა ის არის, რომ ქვეყანაში შეიძლება ჩატარდეს მცირე მასშტაბის პოლიტიკური ექსპერიმენტები. ახალი პროგრამები ანდა პრობლემის გადაწყვეტის გზები შეიძლება შემოწმდეს ერთი ან რამდენიმე ქალაქის ან შტატის დონეზე. წარმატებული პროგრამები შემდეგ შეიძლება დაინერგოს სხვა ქალაქებსა და შტატებში, ანდა სულაც ეროვნული მასშტაბით. ამის გამო, შტატებს ხანდახან „დემოკრატიის ლაბორატორიებს“ უწოდებენ. მაგალითად, როდესაც კრეზიდენტი რეიგანი დაბალანსებული ეროვნული ბიუჯეტის შესახებ კონსტიტუციაში ახალი შესწორების შეკატანის წინადადებას აყენებდა (ე. ი. ისეთი ბიუჯეტის აუცილებლობის შესახებ, ოღაც ხარჯები არასოდეს გადააჭარბებდნენ შემოსავალს), მას გააჩნდა პრეცე-

დენტი: ბევრ შტატს თავის კონსტიტუციაში აქვს ჩაწერილი ასეთი პირობა.

ხელისუფლებათა სიმრავლე ფედერალურ ხელისუფალთ საშუალებას აძლევს სათანადოდ გამოეხმარონ იმ განსხვავებულ ვითარებას, რომელიც დიდი ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში იქმნება ხოლმე. ამერიკის შტატები და ქალაქები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან მოსახლეობის რაოდენობით, ფართობით, ეკონომიკური რესურსებით, კლიმატითა და სხვა მახასიათებლებით. მომცრო ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებს უფრო სწრაფად შეუძლიათ შეეგუონ ადგილობრივი პირობების კონკრეტულს. მაგრამ, იმავე მომცრო ერთეულებს ხშირად შეიძლება არცა კჭონდეთ საკმარისი რესურსები ადგილობრივი პრობლემების დასაძლევად. ამის გამო, ეროვნული ხელისუფლება იყენებს თავის ფონდებს, რათა გაათანაბროს ის უთანასწორობა კეთილდღეობის განაწილებაში და განვითარების ტემპებში, რაც შტატებს შორის არსებობს (იხ. ჩანართი 3.1).

თანამედროვე ფედერალიზმი და დემოკრატიის დილემები

კონსერვატორები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პრეზიდენტ რეიგანის თეთრ სახლში მისვლას. მათ სჯეროდათ, რომ რეიგანის მიერ „ფენოვანი ნამცხვრის“ ფედერალიზმის მხარდაჭერა აღნიშნავდა ლიბერალების „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეის მოშლას და ეროვნული ხელისუფლების ცდის დასასრულს, დაემკვიდრებინა სოციალური და პოლიტიკური თანასწორობა თავისუფლების ხარჯზე. კონსერვატორები ამტკიცებდნენ, რომ სხვადასხვა შტატებს სხვადასხვაგვარი პრობლემები და რესურსები გააჩნიათ, რომ შტატების ხელისუფლებისათვის კონტროლის დაბრუნება ამ მრავალფეროვნებას წაახალისებდა. შტატებს ექნებოდათ საშუალება თვითონ გამოენახათ გზები თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად. ეს ნიშნავდა შტატებს შორის კონკურენციას, მოქალაქეებს კი ექნებოდათ საშუალება მარტივად, „საკუთარი ფეხით კენჭისყრის“ მეშვეობით (სხვა შტატში საცხოვრებლად გადასვლის გზით) აერჩიათ იმ შტატის მთავრობა, რომელიც მოსწონდათ.

გარდა ამისა, „ახალი ფედერალიზმის“ მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლება ძალიან შორსაა ხალხისაგან, მეტისმეტად მიბმულია სპეციფიკურ ინტერესებზე და არსებითად ვერ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. ეროვნული ხელისუფლება, მათი აზრით, ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა რეგულირებას და მეტისმეტ ერთფეროვნებას ამკვიდრებდა; ფედერალური სისტემის ზომა და სირთულე იწვევდა ზედმეტ ხარჯებს და, ამდენად, არ იყო ეფექტიანი. ამის საპირისპიროდ, კონსერვატორების აზრით, შტატების ხელისუფალნი ახლოს იყვნენ ხალხთან და უკეთ შეეძლოთ რეაგირება ადგილობრივ სატკივარზე. თუკი რეიგანის ადმინისტრაცია გამოაცოცხლებდა შტატების ხელისუფლებას, მაშინ ამომრჩეველები ირწმუნებდნენ, რომ მათ მეტი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. მაშინ არჩევნებში

ჩანართი 3.1

ვინ უნდა ქმნიდეს წესებს? ფედერალიზმი და საზოგადოებრივი აზრი

რა პოზიცია უჭირავთ ამერიკელებს ეროვნულსა და შტატების ხელისუფლებათა შორის უფლებამოსილებათა განაწილების თაობაზე? რა მიზნით ამერიკელებს ისეთ საკითხებად, რომელთაც საერთო-ეროვნული სტანდარტები მიესადაგება?

1987 წლის მაისში „ნიუ-იორკ თაიმსისა“ და ტელეკომპანია „სი-ბი-ეს ნიუზის“ მიერ ჩატარებულმა ერთობლივმა გამოკვლევამ, რომლის დროსაც 1254 რესპონდენტი გამოკითხეს, უჩვენა საკმაოდ დიდი განსხვავება პასუხებში ზემოთ დასმულ კითხვებზე. მხოლოდ 5 პროცენტს მიაჩნდა, რომ შტატებს მეტი სმეტად დიდი უფლებამოსილებანი გააჩნიათ; უმრავლესობა (47 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ უფლებამოსილებათა ბალანსი შტატებსა და სახელმწიფოს შორის ძირითადად ნორმალურია; მაგრამ საგრძნობი ნაწილი (39 პროცენტი) თვლიდა, რომ ეროვნულ მთავრობას მეტი სმეტად დიდი ძალაუფლება უყვრია ხელთ.

რაც შეეხება იმას, რომელი სტანდარტები და ნორმები უმჯობესი – შტატებისა თუ საერთო სახელმწიფოებრივი – რესპონდენტთა აზრი გაიყო (ქვემოთ მოტანილი არაა იმ რესპონდენტთა მონაცემები, რომელთაც გაუჭირდათ პასუხის გაცემა).

გარეშოს დაბინძურებასთან ბრძოლის თაობაზე 49 პროცენტი მხარს უჭერდა საერთო ეროვნული პოლიტიკის გატარებას, ხოლო 46 პროცენტი – შტატების პასუხისმგებლობას; მკვლევლობისათვის სასჯელის თაობაზე 62 პროცენტი ამჯობინებდა, რომ გადაწყვეტილება მიღებულიყო ეროვნულ დონეზე, 34 პროცენტი კი – შტატების დონეზე; საარჩევნო ცენზის განსაზღვრაში რესპონდენტთა 64 პროცენტს ერჩივნა საერთო ეროვნული პოლიტიკა, 31 პროცენტს კი – შტატებისა;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოების შერჩევაში 31 პროცენტი ამჯობინებდა საერთო ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ 61 პროცენტი ამ საქმეს შტატებს მიაჩნდობდა; მინიმალური ხელფასის ოდენობის განსაზღვრა 51 პროცენტის აზრით საერთო სახელმწიფოებრივი საქმე იყო, 45 პროცენტის აზრით კი – შტატებისა; ქარხნებში უსაფრთხოების სტანდარტების დაწესებაზე 65 პროცენტი მხარს უჭერდა საერთო ეროვნულ პოლიტიკას, 31 პროცენტი კი – შტატებისას; რაც შეეხება გზებზე მაქსიმალური დასაშვები სიჩქარის ლიმიტის დაწესებას, 42 პროცენტი ამ საქმეს ანდობდა ეროვნულ ხელისუფლებას, ხოლო 52 პროცენტი – შტატებს უტოვებდა ამის კომპეტენციას.

ბედის ირონიით, ზემოაღნიშნული გვიჩვენებს, რომ ამერიკელთა უმრავლესობა მხარს უჭერს ეროვნული ხელისუფლების მიერ ისეთი საკითხების გადაწყვეტას (მაგალითად, მკვლევლობისათვის სასჯელის, პოლიტიკის შემუშავებას, საარჩევნო ცენზის განსაზღვრას, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაწესებას), რომლებიც ტრადიციულად შტატების კომპეტენცია იყო. ამავე დროს ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ისედაც საკმარისი ან მეტი სმეტად უფლებამოსილებანი გააჩნია.

წყარო: William K. Stevens, "Pagentry and Ideals of 200 Years". *New York Times*, May 26, 1987, pp. A1, A20.

მონაწილეობის მაჩვენებელიც გაუმჯობესდებოდა. გარდა ამისა, კონსერვატორებს სწამდათ, რომ ძალაუფლების გადაადგილება შტატებში კონსერვატიული გეგმების სხვა ნაწილების განხორციელებასაც შეუწყობდა ხელს. კერძოდ, შტატებში მეტს ვააკეთებდნენ გადასახადების შესამცირებლად, ნაკლებ სახსრებს დახარჯავდნენ სოციალური კეთილდღეობის პროგრამებზე და ბიზნესის რეგულირებისათვის მკაცრ კანონებს არ გაატარებდნენ. რეიგანის „ახალ ფედერალიზმს“, კონსერვატორთა აზრით, უნდა დაებრუნებინა *laissez faire*-ის დღეები,

როდესაც შტატებს ეშინოდათ ბიზნესის რეგულირების წამოწყებას კი, ვინაიდან ეს ქმნიდა საფრთხეს წარმოების გადაადგილებისა სხვა, ნაკლებ შემზღვევად შტატებში.

ის, რაც წარმოადგენდა კონსერვატორების იმედს, ლიბერალების ექვევებს აღძრავდა: ამ უკანასკნელთ კარგად ახსოვდათ, რომ შტატების გაფართოებული უფლებები ხელს უწყობდა პოლიტიკურ და სოციალურ უთანასწორობას, ფაქტობრივად, მხარს უჭერდა რასიზმს; შტატების თეთრკანიანი კანონმდებლები, რომლებიც არაპროპორციულად ჭარბად წარმოადგენდნენ სასოფლო თემების ინტერესებს, თითქმის წარმომადგენლობის გარეშე სტოვებდნენ შავკანიანებს და ქალაქის მცხოვრებთ. ლიბერალებს სჯეროდათ, რომ შტატებს არ სურდათ, ანდა არ შეეძლოთ თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვა – ეხებოდა ეს მომხმარებლებს, რომლებსაც ბიზნესის ინტერესებისგან დაცვა სჭირდებოდათ, ბრალდებულებს, რომლებსაც სათანადო სამართლებრივი პროცედურა ესაჭიროებოდათ, თუ ღარიბ ხალხს, რომლებიც ცხოვრების დონის მინიმუმს მოითხოვდნენ.

გამართლდა თუ არა კონსერვატორების იმედები და ლიბერალების ექვევები 1980-იანი წლების ფედერალიზმის პირობებში? და როგორ კავშირში იყო ამ პერიოდის ფედერალიზმის განვითარება დემოკრატიის დილემასთან?

ფედერალიზმი და თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ფასეულობანი

და მაინც, „ახალი, უფრო ახალი, უახლესი ფედერალიზმის“ პირობებში სრულად არ გამართლდა არც კონსერვატორთა იმედები და არც ლიბერალთა ექვევები. ბოლოდროინდელი კონსერვატორი პრეზიდენტების მოქმედება ყოველთვის არ ემთხვეოდა შტატების უფლებების გაფართოების პოზიციას. რეიგან-ბუშის ფედერალიზმის ნაირსახეობა, ძირითადად, გამოყენებულ იქნა როგორც იარაღი ეროვნული ბიუჯეტის გასავალი ნაწილის შესამცირებლად შტატებისათვის ნაკლები სახსრების გადაცემის გზით. ამავე დროს, როგორც კონსერვატორების, ისე ლიბერალების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, თვით შტატებმა გამოამქვრივეს სურვილი გაეზარდათ საკუთარი გადასახადები სოციალური პროგრამებისა და განათლების დასაფინანსებლად. იმ პერიოდში, როდესაც ვაშინგტონი ნაკლებ იყო მოწადინებული ანტიიტრუსტული (ანტიმონოპოლიური) კანონმდებლობის ან სამოქალაქო უფლებათა კანონების შემოსაღებად, შტატები, პირიქით, ასეთ კანონებს ღებულობდნენ. იმ დროს, როცა კონსერვატიული ეროვნული მთავრობა სულ მცირე ყურადღებას უთმობდა თანასწორობის ფასეულობას, შტატების მთავრობები, პირიქით, ყურადღებას ამახვილებდნენ სწორედ ამ ფასეულობაზე.

კონსერვატორებს ეგონათ, რომ თავისუფლების ფასეულობას უფრო წინ წამოსწევდნენ, თუკი მეტ საქმეს მიანდობდნენ შტატებს. ტრადიციულად, შტატების ხელისუფლება შედარებით პატარა იყო და არ გააჩნდა საკმარისი ძალა, რათა შეეზღუდა, მაგალითად, დიდი კორპორაციების ინტერესები. მაგრამ, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, შტატების ხელისუფლებანიც „დიდ ხელისუფ-

ლებებად“ იქცნენ. მათ საკმარისი ძალა გააჩნიათ, რომ პრობლემებს მოუარონ და არ ეშინიათ თანასწორობის გაფართოების მიზნით ძალაუფლების გამოყენებისა.


ლიბერალების გასაკვირვებლად კი, რომლებიც ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ სწორედ ეროვნული ხელისუფლება იცავს პიროვნების უფლებებს, მაგალითად, პროდუქტების ხარისხის მინიმუმის დაწესებით, ხალხის კეთილდღეობის ამალგებისათვის ზრუნვით და ილწვის დაქირავებულთა უფლებების დასაცავად, ახლა ირკვევა, რომ შტატები მოწადინებული არიან თვითონ დააწესონ ეროვნული ხელისუფლების სტანდარტებზე უფრო მაღალი სტანდარტები. და, რაც უფრო აქტიურ როლს თამაშობენ შტატები ამ სტანდარტების დაფუძნებაში, მით უფრო მეტად აშიშვლებენ ისინი ამერიკული დემოკრატიის სხვა პრობლემას – წესრიგის დამყარების აუცილებლობას მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის გზით.

ამრიგად, ურთიერთობები ფედერალურ სისტემას, პოლიტიკური იდეოლოგიის და თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ფასეულობებს შორის არც ისე მარტივია, როგორც 1970-იანი წლების დასაწყისში ჩანდა. იმ დროს ლიბერალებს შეეძლოთ ეროვნული ხელისუფლება და „ზებრა-ნამცხვრის ფედერალიზმი“ თანასწორობის გარანტებად მიეჩნიათ; კონსერვატორებს კი შეეძლოთ ეოცნებათ მომცრო ეროვნულ მთავრობაზე, შტატების გაფართოებულ უფლებებზე და „ფენოვანი ნამცხვრის ფედერალიზმზე“. 1980-იან წლებში კონსერვატორებმა თავიანთი იმედები მიაპყრეს „ახალ ფედერალიზმს“, მაგრამ ხშირად ვერ ამბობდნენ უარს ვერც ეროვნული ხელისუფლების შესუსტებაზე, რაც მეტი წესრიგის შთაბეჭდილებას უქმნიდა მათ. ბოლოს და ბოლოს, თუკი კონსერვატორებმა შტატებს დაუბრუნეს უფლებამოსილებანი, ამით უფრო მეტად წაახალისეს თანასწორობა და არა თავისუფლება. როგორც ერთმა თვალსაჩინო კონსერვატორმა აღნიშნა, „დიდი საზოგადოება“, შესაძლოა, აღარაა ვაშინგტონში, მაგრამ ახლახანს იგი გაჩნდა შტატებში“ (Weyrich, 1987).

ფედერალიზმი და პლურალიზმი

როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, ამერიკის ხელისუფლების სისტემა დღეისათვის მხარს უჭერს დემოკრატიის პლურალისტულ მოდელს. ფედერალიზმი ამ სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. რითი ემსახურა ფედერალიზმი ამერიკულ პლურალიზმს? მხარს უჭერს თუ არა პლურალიზმს ფედერალიზმის შესახებ არსებული ყველა განსხვავებული თვალსაზრისი?

ამერიკული ფედერალიზმის სისტემა შეიქმნა იმ მიზნით, რათა გაეკარწყლებინა მოქალაქეთა შიში იმისა, რომ ისინი შეიძლება მართოს ისეთმა უმრავლესობამ, რომელიც სულ სხვა, დაშორებულ რეგიონებში ცხოვრობს და რომელსაც ეს მოქალაქეები, შეიძლება, სულაც არ ეთანხმებიან. შტატების, როგორც პოლიტიკური ერთეულების კანონიერების ცნობით, ფედერალური სისტემა ასევე ცნობდა განსხვავებულობის მნიშვნელობასაც. განსხვავებული ინტერესების არსებობა და მათზე ზრუნვა პლურალიზმის ძირითადი ნიშანია.



პირველი ლედი ეწვია სკოლას

ამერიკულ ფედერალურ სისტემაში განათლების საკითხები უპირატესად შტატების კომპეტენციაში შედის. მაგრამ 1960-იანი წლებიდან ეროვნულმა ხელისუფლებამ გაზარდა თავისი ჩარევა განათლების საკმეებში, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის „სილატაკის წინააღმდეგ ომის“ პროგრამით ეროვნული ხელისუფლება მასობრივ დახმარებას უწევდა ღარიბ ხალხს თანამართი შესაძლებლობების შესაქმნელად. ამ ფოტოზე ქვეყნის პირველი ლედი – პრეზიდენტის მეუღლე, ჰილერი როდემ ქლინთონი, ხედავს ნიუ-იორკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს. ეს გვაჩვენებს ამერიკული ხელისუფლების კელაენდებურ ინტერესს განათლების სისტემის მიმართ

ფედერალიზმის ორივე თეორია პლურალიზმს უჭერს მხარს, მაგრამ სხვადასხვა პოზიციიდან. ორმაგი ფედერალიზმი, რომელიც საბოლოოდ „ახალ ფედერალიზმში“ გადაიზარდა, ხელისუფლების დეცენტრალიზაციას და შტატებისათვის უფლებამოსილებათა გადაცემას უჭერს მხარს. ის ცნობს უფრო ადგილობრივ, ვიდრე ეროვნულ სტანდარტებს და ნორმებს და იწონებს ამ სტანდარტების მრავალფეროვნებას. ფედერალიზმისადმი ასეთი მიდგომა თუ პოლიტიკის შექმნისა არა, იმის საშუალებას მაინც აძლევს ადამიანებს, აირჩიონ ის პოლი-

ტიკა, რომლის პირობებშიც სურთ ცხოვრება. ყველა ეს ფაქტორი, არსებითად, პლურალისტურ დემოკრატიას აძლიერებს.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, *კოოპერატიული ფედერალიზმი* აშკარად მიისწრაფის ადგილობრივი სტანდარტების დაძლევისაკენ და თანასწორობის მიღწევის მიზნით საერთო-ეროვნული სტანდარტებისათვის უპირატესობის მისანიჭებლად. და მაინც, ფედერალიზმისადმი ეს მიდგომა, განსაკუთრებით, მისი *მესერის ტიპის* ნაირსახეობა, ასევე მხარს უჭერს პლურალისტურ დემოკრატიას. ის ყოველთვის ეხმაურება ყველანაირი ჯგუფების ზეწოლას, მაშინაც კი, როდესაც ჯგუფების ინტერესები ხელისუფლების ერთ დონეზე ვერ იქნა დაკმაყოფილებული და ისინი სხვა დონეს მიმართავენ. ეროვნული და შტატების ხელისუფლებების პასუხისმგებლობის ერთმანეთში შერევით ფედერალიზმის ეს ფორმა მთხოვნელებს უკარნახებს, თავიანთი ბედი სცადონ ხელისუფლების იმ დონეზე, რომელიც მათ მეტ წარმატებას ჰპირდება.

შეჯამება

ხელისუფლების ჩარჩოები, რომელიც კონსტიტუციაშია ჩამოყალიბებული, პოლიტიკური კომპრომისის შედეგია: ეს იყო დათმობა შტატებისათვის, რომელთაც ძლიერი ცენტრალური მთავრობის შიში ჰქონდათ.

უფლებამოსილებათა განაწილება, რომელიც ზოგადადაა მოხაზული კონსტიტუციაში, გულისხმობდა „დიდი და აგრეგირებული“ საქმეების მინდობას ეროვნული ხელისუფლებისათვის, ხოლო „ადგილობრივი და სპეციფიკური“ საკითხებისა – შტატებისათვის. მაგრამ ზუსტად არ იყო განსაზღვრული, რომელი საქმე იყო დიდი და აგრეგირებული და რომელი – ადგილობრივი და სპეციფიკური.

ფედერალიზმის მრავალი განსაზღვრება არსებობს. განსაკუთრებით გამოიყოფა ორი ნაირსახეობა, რომლებიც გვიჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებას ფედერალიზმის ადრეულ და თანამედროვე ხედვას შორის. ორმაგ, ანუ „ფენოჯანი ნამცხვრის“ ფედერალიზმს სურს, შტატებს დაუტოვოს უფლებამოსილებათა მაქსიმუმი და მკვეთრად დააშოროს ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილებანი; კოოპერატიული ანუ „ზებრა ნამცხვარი“ ფედერალიზმი კი ხაზს უსვამს ეროვნული ხე-

ლისუფლების უფლებამოსილებებს და მიიჩნევს, რომ ეროვნული და შტატების მთავრობები ერთად უნდა მუშაობდნენ სახელმწიფო საკითხების მოსაგვარებლად. თითოეული ეს ნაირსახეობა თავისებურად მხარს უჭერს დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს.

ეროვნული ხელისუფლება წლების განმავლობაში იყენებდა კონსტიტუციაში ჩამოთვლილ და ნაგულისხმევ უფლებებს, რათა ჩარეულიყო ადამიანთა საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროში. პოლიტიკური ცვლილებების იარაღად გამოიყენება უშუალო კანონმდებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებები, ფინანსური წახალისება გრანტების სახით.

იზრდებოდა ეროვნული ხელისუფლების გაელენა, იზრდებოდა თვით ხელისუფლებაც. იმავე დროს, ხელისუფლებათა შორის ურთიერთობები სულ უფრო რთული და ჩახლართული ხდებოდა. „ახალი ფედერალიზმის“ მომხრეებმა – ძირითადად, კონსერვატორმა პრეზიდენტებმა, განიზრახეს ეროვნული ხელისუფლების მოცულობისა და ფედერალური ხარჯების შემცირება, პროგრამების გადაცემა შტატებისათვის, როგორც მოუქნემა და უზარმაზარი ფედერალური ხელისუფლე-

ბის საწინააღმდეგო ღონისძიება. ლიბერალები კი ეჭვობდნენ, რომ, თუ „ახალი ფედერალისტები“ მოახდენდნენ დეცენტრალიზაციას და შეამცირებდნენ ხარჯებს, ამით მნიშვნელოვან საქმეებს გადაულოცავდნენ შტატებს, რომელთაც, თავის მხრივ, არც სურვილი და არც საშუალება არ ექნებოდათ ამ საქმეების განსახორციელებლად. შესაბამისად, ეროვნული მთავრობა, ნაცვლად იმისა, რომ შტატებისათვის ხელშემწყობი ყოფილიყო, ხელშემშლელი გახდებოდა. მაგრამ, 1980-იან წლებში ფელაფერში არ გამართოდა არც კონსერვატორთა იმედები და არც ლიბერალთა ეჭვები. შტატებს აღმოაჩნდათ სურვილიცა და შესაძლებლობაც, რათა ძირითადი სოციალური პრობლემებისათ-

ვის მოეკლოთ. უფრო მეტიც, მათ ისურვეს დაეფინანსებინათ ბევრი პროგრამა, რომლებიც თანასწორობის დამყარებას ემსახურებოდა.

კამათი ფედერალიზმის შესახებ გაგრძელდება 1990-იან წლებში და შემდგომაც. კოოპერატიული ფედერალიზმი აუცილებლად შეიცვლება ხელისუფლებათა შორისი ურთიერთობის სხვა ფორმით, ხოლო ორმაგი ფედერალიზმის აჩრდილი კვლავ შეიძლება დაბრუნდეს. ფედერალიზმის ამ მიმოხილვიდან ერთი ჭეშმარიტება სჭკვივის: უფლებამოსილებათა ბალანსი ეროვნული ხელისუფლებისა და შტატების ხელისუფლებათა შორის პოლიტიკური მეთოდებით დამყარდება და არა თეორიის მეშვეობით.

საკვანძო ტერმინები

- ფედერალიზმი
- ორმაგი ფედერალიზმი
- შტატების უფლებები
- მოქნილი პუნქტი
- ნაგულისხმევი უფლებამოსილებანი
- კოოპერატიული ფედერალიზმი
- კომერციული პუნქტი
- დამხმარე გრანტები
- კატეგორიული გრანტები
- ფორმულის მიხედვით გაცემული გრანტები
- საპროექტო გრანტები
- ბლოკური გრანტები
- ნულიფიკაცია
- ხელისუფლებათა შორისი ურთიერთობები
- „მეხერის ტიპის“ ფედერალიზმი
- შემოსავლის საერთო განაწილება
- შემოსავლის სპეციალური განაწილება
- მუნიციპალური ხელისუფლება
- ქაუნთის ხელისუფლება
- სასკოლო უბანი
- სპეციალური უბანი
- თვითმმართველობა

- federalism
- dual federalism
- states' rights
- elastic clause
- implied powers
- cooperative federalism
- commerce clause
- grants-in-aid
- categorical grants
- formula grants
- project grants
- block grants
- nullification
- intergovernmental relations
- picket-fence federalism
- general revenue sharing
- special revenue sharing
- municipal government
- county government
- school district
- special districts
- home-rule

საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური სოციალიზაცია და მასობრივი სინფორმაციო საშუალებები



4

პარასკევი დღეები თავისებურია საუდის არაბეთში. ლოცვის შემდეგ ქუჩებში გამოჰყავთ დამნაშავეები და საჯაროდ სჯიან:

მკვლელებს ჰკვეთენ თავს, მრუშები იშოლტებიან, ქურდებს აჭრიან ხელს. მთავრობის სურვილია მოქალაქეებმა გაიგონ, რომ დანაშაული არ იქნება შეწყენარებული. მაგრამ, რაც საუდის არაბეთში კლასიფიცირდება დანაშაულად, არ ითვლება დანაშაულად შეერთებულ შტატებში.

სპარსეთის ყურის კრიზისის დროს (1990-1991 წწ.) საუდის არაბეთში გაგზავნილმა შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს აქ არსებული კანონების შესახებ: ქვეყანაში ალკოჰოლისა და პორნოგრაფიული ჟურნალების შეტანის (რაც აქ აკრძალულია) თავიდან აცილების მიზნით ამერიკელი ჯარისკაცებისათვის გამოგზავნილი ამანათებიც კი იხსნებოდა. ამერიკელებმა არც იცოდნენ ის, რომ აქ არაკანონიერად ითვლება ქალის მიერ მანქანის მართვა.

• საუდის არაბეთში ძალზე ფასობს წესრიგი და, ამიტომ, დამნაშავეების მაჩვენებელი იქ ძალიან დაბალია. მისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დამნაშავეობის მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მაგალითად, მკვლელობების რიცხვი სამჯერ (და ზოგჯერ, ათჯერაც კი) აღემატება

დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნის მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ არაეინ ამაყობს ამ რეკორდით, ამერიკის მთავრობა არასდროს დაუშვებს ამ მაჩვენებლის შემცირების მიზნით გამოლტყვას, თავის ან ხელის მოკვეთას. პირველ რიგში, კონსტიტუციის VIII შესწორება კრძალავს „სასტიკ და უჩვეულო სასჯელს“, მეორეც – საზოგადოებრივი აზრი ამის წინააღმდეგი იქნება.

თუმცა, საზოგადოება ცალკეულ შემთხვევაში არ არის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი. საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი გელაპის ინსტიტუტი უკვე ორმოცდაათი წელია იკვლევს საზოგადოების აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით. 1966 წლის გამოკითხვის გამოკლებით, რესპოდენტების უმრავლესობა გამუდმებით უჭერდა მხარს მკვლელობისათვის სიკვდილით დასჯას. ეს მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა 60-იანი წლების ბოლოდან. 1988 წელს გამოკითხულთა უკვე 79 პროცენტი ამართლებდა მკვლელობისათვის სიკვდილის სასჯელის გამოყენებას მაშინ, როდესაც წინააღმდეგი იყო მხოლოდ 16 პროცენტი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა ამ პრაქტიკას შემდეგ შემთხვევებშიც: პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობისათვის (63 პროცენტი), გაუპატიურებისთვის (51 პროცენტი) და თვითმფრინავის გატაცებისათვის (49 პროცენტი).

ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ ხელისუფლება, როგორც ადამიანთა ქცევის სამართავად ძალის კანონიერი გამოყენების საშუალება. ამერიკის მთელ ისტორიაში სოციალური წესრიგის დამრღვევ პირთა დასჯა მთავრობის კანონიერ საქმიანობას წარმოადგენდა. კოლონიურ პერიოდში სიკვდილით დასჯა დაწესებული იყო არა მხოლოდ მკვლელობისათვის, არამედ ისეთი ანტისოციალური მოქმედებისთვისაც, როგორცაა „ჭეშმარიტი“ ღმერთის უარყოფა, მშობლების შეურაცხყოფა, მრუშობა, ჯადოსნობა ან „უწესო ბავშვობა“. მე-18 საუკუნის ბოლოს ზოგიერთი მწერალი, რედაქტორი და სასულიერო პირი ცდილობდა სიკვდილით დასჯის გაუქმების არგუმენტირებას, ეს კამპანია გააქტიურდა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში და შემდეგ 1890 წელს, როდესაც ნიუ-იორკის შტატში სიკვდილით დასჯისათვის გამოიყენეს ელექტროსკამი. 1917 წლისათვის უკვე თორმეტ შტატს ჰქონდა მიღებული კანონი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. პირველმა მსოფლიო ომმა მოსახლეობაში გააძლიერა შიში უცხოელებისა და რადიკალთა მიმართ, განახლდა სიკვდილით დასჯის პრაქტიკის მხარდაჭერა. საზოგადოებრივ აზრში ცვლილების შედეგი იყო ოთხი შტატის მიერ სიკვდილით დასჯის აღდგენა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის უშიშროების დაცვის აუცილებლობამ და, შემდეგ, საბჭოთა კომუნიზმის საფრთხის შიშმა განაპირობა ამ პრაქტიკის მხარდაჭერა. 50-იანი წლების ბოლოს „წითელი საფრთხის“ შესუსტებამ კვლავ გააძლიერა საზოგადოების ოპოზიციური დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის მიმართ. საზოგადოებრივი აზრი არ იყო იმდენად ძლიერი და სტაბილური, რომ გავლენა მოეხდინა საკანონმდებლო ხელისუფლებაზე და ვერ აიძულა ეს უკანასკნელი გაუქმებინა კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ. დემოკრატიის პლურალისტული მოდელის შესაბამისად ამ კანონის გაუქმების მცდელობამ საკანონმდებლო ორგანოებიდან სასამართლოში გადაინაცვლა.

სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრეთა მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ეს სასტიკი და უჩვეულო სასჯელია და, აქედან გამომდინარე, არაკონსტიტუციური. მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, საზოგადოებისათვის ეს კანონი არ იყო სასტიკი და უჩვეულო, მაგრამ ორასი წლის შემდეგ მისი ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ის, რაც მაშინ არ იყო უჩვეულო და სასტიკი, თანამედროვე საზოგადოებაში უჩვეულო და სასტიკია. მათმა არგუმენტებმა გარკვეული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე; მას შემდეგ რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლა დაიწყო, პირველად 1966 წელს (მაგრამ მხოლოდ ერთხელ) აღმოჩნდა გამოკითხულთა უმრავლესობა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი.

საზოგადოებრივი აზრის შეცვლას, შტატებმა სიკვდილით დასჯილთა რიცხვის ყოველწლიური შემცირებით უპასუხეს. 1968 წელს კი, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში, საერთოდ შეწყვიტეს ეს პრაქტიკა. შემდგომში საზოგადოებრივი აზრი ისევ შეიცვალა ამ სასჯელის სასარგებლოდ. თუმცა ამას არ მოუხდენია გავლენა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. 1972 წელს უზენაესმა სასამართლომ ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯა იყო არაკონსტიტუციური ქმედება. ბევრი შტატი უკმაყოფილო დარჩა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით. ოცდათხუთმეტი შტატის საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს კანონები, რომლებიც მათ გადაწყვეტილებისთვის თავის არიდების საშუალებას აძლევდა. ამასობაში ქვეყანაში გაიზარდა მკვლელობების რიცხვი. სიკვდილით დასჯისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მაჩვენებელმა ერთბაშად ათი პროცენტული პუნქტი აიწია და ისევ დაიწყო უკუპროცესი.

1976 წელს უზენაესმა სასამართლომ პოზიცია შეიცვალა და მხარი დაუჭირა შტატების სამ კანონს, რომლებშიც, ფაქტობრივად, სიკვდილით დასჯის ხელახალი ლეგალიზაცია იყო ნაგულისხმევი. უზენაესმა სასამართლომ ასევე უარყო არგუმენტი სიკვდილით დასჯის არაკონსტიტუციურობის შესახებ და ამით ანგარიში გაუწია ამ პრაქტიკისადმი საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას. სიკვდილით დასჯა კვლავ ნებადართული გახდა შტატებისათვის. მიუხედავად ამისა, სამოცდაათიან წლებში მხოლოდ რამდენიმე შტატმა მიმართა დასჯის ამ მეთოდს: სიკვდილით დასჯეს მხოლოდ სამი დამნაშავე. თუმცა, დროთა განმავლობაში, ხელისუფლებმა ყურად იღეს მძაფრი პროტესტები და 80-იანი წლების შუა ხანებისათვის წელიწადში ოცამდე დამნაშავე ისჯებოდა სიკვდილით.

სიკვდილით დასჯის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ისტორია გვიჩვენებს რამდენიმე თავისებურებას:

1. საზოგადოების დამოკიდებულება მოცემული სამთავრობო პოლიტიკის მიმართ იცვლება და ხშირად დრამატულადაც; სიკვდილით დასჯის მიმართ დამოკიდებულება იცვლება იმისდამინდევით, თუ რა სახის საფრთხე ემუქრება სოციალურ წესრიგს. საზოგადოება მხარს უჭერს სასჯელის ამ ფორმას მაშინ, როცა ძალადია დამნაშავეობა, აგრეთვე ომიანობის პერიოდში, უცხო სახელმწიფოსგან მოსალოდნელი საფრთხის დროს.

2. საზოგადოებრივი ცხოვრების წესიდან გამომდინარე საზოგადოებრივი აზრი განსხვავებს სასჯელის დასაშვებ ტიპებს. მაგალითად, ქურდობისათვის ხელის მოჭრა მიუღებელია შეერთებული შტატების საზოგადოებისათვის (ასევე, მოსამართლეებისთვის), თუმცა, ელექტრო-სკამით მკვლელის დასჯა მისაღებია (იმ შემთხვევაში, თუკი იგი საჯაროდ არ აღსრულდება).
3. მოქალაქეებს სურთ გამოთქვან აზრი იმ საკითხებზეც, რომლებიც სცილდება მთკომპეტენციას. მოსახლეობათვის, რომ სიკვდილით დასჯა ორგანიზმში მომწამვლელი ნივთიერების შეყვანილ უფრო კუმანურია, ვიდრე ელექტრო-სკამის, გაზის კამერისა და ჩამოხრჩობის გზით. შეიძლება კი საზოგადოება იმდენად იყოს გათვითცნობიერებული სასჯელის სახეობებზე, რომ შეეძლოს ასეთი დასკვნების გამოტანა?
4. საზოგადოებრივი აზრის ცვლილება გავლენას ახდენს ხელისუფლების პოლიტიკაზე. საზოგადოებრივი აზრის ცვლილება ასახულია შტატების მიერ მიღებული სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო და მხარდამჭერ კანონებში. უფრო მეტიც, 1972 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოდ მიმართული გადაწყვეტილება მიიღეს იმ პერიოდში, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი მკვეთრად იყო დაპირისპირებული. 1976 წელს კი სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯის მიმართ მხარდაჭერა დაემთხვა სასჯელის ამ ზომისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის ზრდის მომენტს.
5. ხელისუფლება ზოგჯერ იმას არ აკეთებს, რაც ხალხს სურს: მაშინ, როდესაც საზოგადოების უმეტესი ნაწილი ამართლებდა მკვლელობისათვის სიკვდილის სასჯელის გამოტანას, მხოლოდ რამდენიმე შტატი თუ მიმართავდა სასჯელის ამ ზომას.

ბოლო ორი დასკვნა დაკავშირებულია დემოკრატიის მაჟორიტარულ და პლურალისტურ მოდელთან, რომელთა მიმოხილვა მოცემულია მეორე თავში. ამჯერად ჩვენ შევეცდებით უფრო ღრმად ჩავეწვდეთ დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში საზოგადოებრივი აზრის ხასიათს, სტრუქტურას, საფუძვლებს და ფორმირების საკითხებს. რა ადგილი უკავია საზოგადოებრივ აზრს დემოკრატიული მმართველობის სისტემაში? როგორ აყალიბებს ხალხი თავის შეხედულებებს? რა ქმნის ძირითად განსხვავებებს საზოგადოებრივ აზრში? რა გავლენას ახდენს პიროვნების იდეოლოგიური მრწამსი და ცოდნა მის შეხედულებებზე? რა კავშირშია ერთმანეთთან საზოგადოებრივი აზრი და იდეოლოგიური ტიპი?

საზოგადოებრივი აზრი და დემოკრატიის მოდელები


დემოკრატიულ ხელისუფლებაში დემოკრატიის მაჟორიტარული და პლურალისტური მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან საზო-

გადობრივი აზრის როლის თვალსაზრისით, მაჟორიტარული მოდელის თანახმად, ხელისუფლება ვალდებულია აკეთოს ის, რასაც მოითხოვს საზოგადოების უმეტესი ნაწილი, ეს განსხვავდება პლურალისტური მოდელის მომხრეთა თვალსაზრისისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას, როგორც ერთ მთლიანს, იშვიათად შეუძლია ზუსტი და თანმიმდევრული აზრის გამოხატვა მიმდინარე საკითხებზე (თუმცა ასევე თვლიან, რომ საზოგადოებაში არის გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც ეს ხელეწიფება). ამდენად, პლურალისტური მოდელი ხელისუფლების ინსტიტუტებისგან მოითხოვს ამ „მცირე საზოგადოებების“ მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვის ხელშეწყობას. დემოკრატიის პრინციპები მოქმედებს მაშინ, როცა განსხვავებულ საზოგადოებრივ აზრს დაუფარავად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

• საზოგადოებრივი აზრის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა უკეთ გავიგოთ განსხვავება ამ ორ მოდელს შორის. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკითხვას მთელი საზოგადოების თვალსაზრისის გაგების მიზნით. საზოგადოებრივი აზრი არის კოლექტიური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ამ მოკლენის მიმართ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თანამედროვე ცხოვრების იმდენად ორგანული ნაწილია, რომ ხშირად ავიწყდებათ, რამდენად ახალია ასეთი კვლევა. ის ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრდა 1930-იანი წლებიდან (იხ. ცხრილი 4.1), ხოლო გამოკითხვის მეთოდიკა მძლავრ კვლევით საშუალებად იქცა მხოლოდ 1950-იანი წლებიდან – კომპიუტერის გამოგონების შემდეგ.

• მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ „რა უნდა ხალხს“, ამ თემაზე მსჯელობა პოლიტიკოსებს თუ ჟურნალისტებს მანამდე შეეძლოთ, სანამ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ამერიკის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცეოდა. დებატები მაჟორიტარული და პლურალისტური მოდელების შესახებ დღეს შეცვალა გამოკითხვის ახალმა მეთოდებმა. მაჟორიტარული მოდელის საფუძველზე ძნელია შეერთებული შტატების ხელისუფლების დემოკრატიულად მიჩნევა, რადგან ახლა უკვე ვიცით, თუ რაოდენ ხშირად ეწინააღმდეგება მისი კურსი უმრავლესობის აზრს.

• დემოკრატიის თითოეულ მოდელს აქვს განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის მიმართ. მაჟორიტარული მოდელის მიხედვით ითვლება, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს გარკვეული, თანმიმდევრული აზრი მთავრობის პოლიტიკის შესახებ. პლურალისტული მოდელი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად გაყოფილია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ასახავს ამ განსხვავებებს, რა უდევს საფუძველად ამ განსხვავებებს? რის საფუძველზე აყალიბებს ხალხი თავის მრწამსს და შეხედულებებს პოლიტიკოსების შესახებ? კონკრეტულად, როგორ ყალიბდება პოლიტიკური შეხედულებები? წინამდებარე თავი გასცემს პასუხს ამ კითხვებზე. მომდევნო თავებში გავარკვევთ იმას, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრი მთავრობის პოლიტიკაზე. ეს, შესაძლოა, დაგეხმაროთ საკუთარი აზრის შექმნაში დემოკრატიული ხელისუფლების სისტემაში პლურალისტული და მაჟორიტარული მოდელების სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.



ცხრილი 4.1 გელაპის გამოკითხვების სისწორე

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ფელაზე ადრე დაიწყო ჯორჯ გელაპმა – ეს იყო 1930-იან წლებში. ცხრილი 4.1-ში თავმოყრილია გელაპის ინსტიტუტის გამოკითხვების მარევენბლები 1936-1992 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. თუმცა გელაპის პროგნოზები ყოველთვის ზუსტად არ ემთხვეოდა არჩევნების ფაქტობრივ შედეგებს, მაგრამ მონაცემები ძალიან ახლოს იდგა ერთმანეთთან, გამოკითხვის შედეგი ფელაზე მცდარი აღმოჩნდა 1948 წელს, როდესაც გელაპის ინსტიტუტის პროგნოზი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს თომას დიუის უნდა დაემარცხებინა დემოკრატიული პარტიის კანდიდატი პარი ტრუმენი. მოხდა პირიქით: ტრუმენის ხმების რაოდენობა 5,4 პროცენტით მეტი აღმოჩნდა, ეილერე გელაპის პროგნოზი იყო. 1992 წელს გელაპის უკანასკნელმა გამოკითხვამ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ბილ ქლინტონს უწინასწარმეტყველა ხმების 49 პროცენტი, ჯორჯ ბუშს – 37, ზოლო როს პეროს – 14. სინამდვილეში ქლინტონმა მიიღო 43 პროცენტი. ბუშმა – 37, პერომ კი – 19. ამრიგად, გელაპის ინსტიტუტის პროგნოზი ზედმეტად აფასებდა ქლინტონის (თუმცა მან მაინც მოიგო არჩევნები) და ამცირებდა პეროს შანსებს (წყარო: Gallup Report, December 1988, p. 44). ახალი მონაცემები დამატებულია ავტორების მიერ).

საზოგადოებრივი აზრი ამერიკაში დროთა განმავლობაში შეიძლება ძირეულად შეიცვალოს, უფრო მეტიც, შესაძლოა შეიცვალოს ამერიკელთა მიმართება ისეთი საკითხებისადმი, რომლებიც ადრე უკვე იყო მძაფრი დისკუსიების საგანი. საზოგადოებრივი აზრის ცვლილების თვალსაჩინო მაგალითია რასობრივი ურთიერთობის საკითხი, კერძოდ, ერთობლივი სკოლების პრობლემა. 1942 წელს ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტებისგან ითხოვნენ პასუხს შემდეგ კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, რომ თეთრკანიანმა და ზანგმა მოსწავლეებმა ერთად ისწავლონ?“ თეთრკანიან რესპონდენტთა მხოლოდ 30 პროცენტმა განაცხადა თანხმობა. 1984 წელს, იგივე შეკითხვაზე თეთრკანიანი რესპონდენტების უკვე 90 პროცენტი იყო ერთობლივი სწავლების მომხრე.

• მაგრამ ამერიკელები გულგრილნი არ გამხდარან კანის ფერის მიმართ. მართალია, უმეტესობა ერთობლივი სკოლების მომხრეა, მაგრამ 23 პროცენტი ამ სკოლებში რასობრივი წონასწორობის წინააღმდეგ გამოდის: ისინი თანახმა არიან ატარონ ბავშვები იმ სკოლებში, სადაც მეტი თეთრკანიანია, ვიდრე შავკანიანი. ასე რომ, თუკი ერთობლივი სკოლების პრინციპთან მიმართებაში თეთრკანიანი რესპონდენტები ერთსულოვანნი იყვნენ, ამ პრინციპის განხორციელებასთან დაკავშირებით (რასობრივი წონასწორობის საკითხი) განსხვავებულ პოზიციებზე დადგნენ. ისინი, ვინც დაინტერესებული არიან პოლიტიკური ცხოვრების შესწავლით, ცდილობენ ახსნან ეს წინააღმდეგობა და ის გზა, რომლითაც ხდება პოლიტიკური შეხედულებების ფორმირება, ეყრდნობიან რა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს, კულტურული გავლენის ფაქტორებს, იდეოლოგიის და ცოდნის ურთიერთქმედებას. თუ რა როლს თამაშობს ეს ელემენტები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, როგორ ახდენენ გავლენას მასზე – აღნიშნულ საკითხებს განვიხილავთ ამ თავის მომდევნო ნაწილებში.

პოლიტიკური სოციალიზაცია

პოლიტიკური ფასეულობანი საზოგადოებრივი აზრის საფუძველია. ხალხი იძენს ამ ფასეულობებს პოლიტიკური სოციალიზაციის გზით. ეს არის რთული პროცესი, რომლის შედეგად პიროვნება იძენს ცოდნას პოლიტიკის შესახებ, სწავლობს პოლიტიკურ ფაქტებს და იქმნის პოლიტიკურ ფასეულობებს. ერთი წუთით დაფიქრდით თქვენივე პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესზე. პირველად როდის დაფიქსირდა თქვენს მეხსიერებაში ქვეყნის პრეზიდენტი? პირველად როდის გაიგეთ პოლიტიკური პარტიების შესახებ? თუკი თქვენ ემხრობით რომელიმე პარტიას, როგორ მიხვედით ამ გადაწყვეტილებამდე? თუკი არ ემხრობით არც ერთს, რატომ? ვინ იყო პირველი ლიბერალი, რომელსაც შეხვდით თქვენს ცხოვრებაში? ვინ იყო პირველი კონსერვატორი?

• აშკარაა, რომ პოლიტიკური სოციალიზაციის გზები – პოლიტიკის შემეცნება, ფასეულობების ჩამოყალიბება – ადამიანების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ერთსა და იმავე გავლენას განიცდის სოციალიზაციის აგენტების (სხვანაირად, განმსაზღვრელი სოციალური

ინსტიტუტების) მხრიდან, განსაკუთრებით ბავშვობაში და მოზარდ ასაკში. ეს აგენტებია ოჯახის, სკოლა, უბანი, თანასწორები და, რასაკვირველია, ტელევიზია.

ადრეული სოციალიზაციის აგენტები


ფსიქოლოგების მსგავსად, პოლიტიკური სოციალიზაციის მკვლევარები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ადრეულ ასაკში დასწავლის, ცოდნის შეძენის პროცესს. ორივე დარგის მკვლევარები მიუთითებენ ორ მოქმედ პრინციპზე, რომლებიც ახასიათებთ ადრეული დასწავლის პროცესს (Peterson, 1990): *პირველადობის პრინციპზე*, რომელიც ამტკიცებს, რომ რაც პირველადაა დასწავლილი, ყველაზე კარგადაა შეთვისებული და *მასტრუქტურებელ პრინციპზე*, რომელიც ამტკიცებს, რომ ის, რაც პირველადაა დასწავლილი, აყალიბებს შემდგომ შეძენილი ცოდნის სტრუქტურას.

• ვინაიდან ადამიანების უმრავლესობა საწყის ცოდნას საკუთარ ოჯახში იძენს, ამიტომ ოჯახი ადრეული სოციალიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი აგენტია. სოციალიზაციის აგენტების გავლენა დამოკიდებულია მათი ზეგავლენის მიმართ ჩვენს *მიდრეკილებაზე*, მათთან *კავშირურობითობაზე* და ჩვენს *ათვისების უნარზე* (Beck, 1977. pp. 117-118).

ოჯახი, აღმზრდელობითი გავლენის მოხდენის საშუალება დიდია მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის დროს, თუმცა ეს გავლენა შემცირდა ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვის ზრდასთან ერთად. ის ბავშვები, რომლებსაც ორივე მშობელი ჰყავს, ოჯახში იძენენ უფრო ფართო მასშტაბის სოციალურ, მორალურ, რელიგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფასეულობებს, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება მათი შეხედულებები, ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ მათი ადრეული მოგონებები პოლიტიკაზე ოჯახთანაა დაკავშირებული. პოლიტიკით დაინტერესებული მშობლები ამ კუთხით შეილების ინტერესსაც განაპირობებენ, რადგან ცდილობენ, უკეთ გაათავითცნობიერონ ისინი პოლიტიკურ მოვლენებში (Neuman, 1986. pp. 113-114).

პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ბავშვები იძენენ მშობლებისგან, არის პარტიული კუთვნილების საკითხი. ახალგაზრდა ამერიკელ ამომრჩეველთა ნახევარი მიეკუთვნება იმავე პარტიას, რომელსაც მათი მშობლები მიეკუთვნებიან. ასეთი გავლენა უფრო ძლიერია მაშინ, როცა ორივე მშობელი ერთ პარტიას მიეკუთვნება. (Franzich, 1989, p. 152).

სკოლა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პოლიტიკური ცოდნის მიღების თვალსაზრისით ბავშვებზე სკოლის გავლენა მშობლების გავლენაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ არის (Hess and Tomcy, 1967). ამ მხრივ დაწყებითი და საშუალო სკოლა განსხვავდება უმაღლესი სკოლისგან, დაწყებითი სკოლა, ოჯახისგან დამოუკიდებლად, აცნობს ბავშვებს ისტორიულ პიროვნებებს, ასწავლის მათ სამშობლოს ერთგულებას, ეროვნულ ჰიმნს, აცნობს ეროვნულ გმირებს, დღესასწაულებს ამ დროს ყურადღება მახვილდება საზოგადოებრივი ქცევის ნორმებისა და დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ამერიკაში, და არა მხოლოდ იქ,



შეაჩერეთ პრესა! ეჰ, უკვე გვიანაა...

1948 წლის წინასაარჩევნო პროცნოზის მიხედვით, ცოტამ თუ მისცა პრეზიდენტ პარი ტრუმენს რესპუბლიკელების კანდიდატის, თომას დიუის დამარცხების შანსი. გამოკითხვები შედარებით ასალი პრაქტიკა იყო. ადრე ჩატარებულ თითქმის ყველა გამოკითხვაში თომას დიუის, ტრუმენთან შედარებით, უპირატესობა ენიჭებოდა. ორგანიზაციების უმეტესობამ არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე უკვე შეწყვიტა გამოკითხვა. ვაზეთი „ჩიკაგო დელიტი ტრიბიუნი“ იმდენად იყო დარწმუნებული გამოკითხვის შედეგების სისწორეში, რომ ვერ კიდევ ხმების დათვლამდე გამოაცხადა დიუის გამარჯვების შესახებ. ამ ფოტოზე გამარჯვებული ტრუმენი აჩვენებს ამერიკის პოლიტიკაში ყველაზე სამარცხეინო საგაზეთო სათაურს. მოკვიანებით აღმოჩნდა, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით ტრუმენი უკვე გაუთანაბრდა დიუისს. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოკითხვის შედეგები ასახავს საზოგადოებრივ აზრს იმ კონკრეტული მომენტისათვის, როცა ის ტარდება

დაწყებითი სწავლების სისტემა მიმართულია არა იმდენად პიროვნების განათლების, რამდენადაც მის ცნობიერებაში გარკვეული იდეების ჩანერგვისაკენ. დაწყებითი სკოლიდან ბავშვების უმრავლესობას უყალიბდება ეროვნულობის (ნაციონალიზმის) გრძნობა და ამერიკის მთავრობაზე იდეალიზირებული წარმოდგენა. მერვე კლასის დამთავრებისთვის მათ უკვე შეუძლიათ განასხვავონ მთავრობის ლიდერები და სამთავრობო ინსტიტუტები. ისინი გათვითცნობიერებულნი არიან საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, კონგრესსა და არჩევნებში.

მოსწავლეების „კარგ მოქალაქეებად“ აღზრდის პროცესი საშუალო სკოლაშიც ვრძელდება. სასწავლო პროგრამებში თავმოყრილია უფრო დაწვრილებითი, ყოვლისმომცველი ინფორმაცია, შეტანილია ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კურსი, სპეციალური სასწავლო კურსები მოქალაქეთა უფლებებისა და სამთავრობო სტრუქტურების შესახებ. კარგი მასწავლებლები მოსწავლეებისგან ამ ეტაპზე ითხოვენ ამერიკის მთავრობისა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკულ ანალიზს. სხვები ყურადღებას ამახვილებენ მოქალაქეთა უფლებების შესწავლის საკითხებზე. ამ სასწავლო პროცესის შედეგად მოსწავლე იღებს უფრო მეტ ცოდნას პოლიტიკურ პროცესზე და მასში დაკავებული პიროვნებების შესახებ.

- პოლიტიკური სწავლება კოლეჯში, შესაძლოა, სკოლისგან განსხვავებული ან მისი მსგავსი იყოს. განსხვავებები შეიძლება გაიზარდოს, თუკი მასწავლებლები (ან სახელმძღვანელოები, რომლითაც მათ ასწავლიან) სტუდენტებს განუვითარებენ უნარს კრიტიკულად მოეკიდონ აღიარებულ ავტორიტეტებს. გაბატონებული პოლიტიკური ფასეულობების კრიტიკა არ ნიშნავს მათ უარყოფას, მაგალითად, წინამდებარე წიგნი საშუალებას მოგცემთ გაერკვეთ იმაში, რომ ჩვენი კულტურის ორი მნიშვნელოვანი ფასეულობა – თავისუფლება და თანასწორობა – ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ის მოგიწოდებთ განიხილოთ დემოკრატია კონკრეტული ინსტიტუციური მოდელების ტერმინებით. ამათგან, ერთი მოდელი უპირისპიდება დემოკრატიის იდეალიზირებულ ცნებას. სწავლების ეს ალტერნატიული მეთოდები საშუალებას იძლევა კრიტიკულად შეფასდეს ამერიკის პოლიტიკური ფასეულობანი, მაგრამ არ მოხდეს რომელიმე მათგანის უგულვებელყოფა.

*უბანი** და *თანასწორები (peers)*. თქვენი უბანი და თქვენი თანასწორები სხვადასხვა, თუმცა, ნაწილობრივ, ერთმანეთის გადამფარავი ჯგუფებია. თქვენი უბანი აერთიანებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, ისინი ცხოვრობენ ან მუშაობენ თქვენს გვერდით და, ამდენად, ურთიერთობა გაქვთ მათთან. *თანასწორები* არიან თქვენი ამხანაგები, თანაკლასელები და თანამშრომლები. უმეტესწილად ისინი თქვენი ასაკისა არიან და ცხოვრობენ თქვენსავე უბანში.

• უბნის მოსახლეობის შემადგენლობამ შეიძლება დიდი როლი ითამაშოს პიროვნების პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაში. *ერთგვაროვანი უბანი*, რომლის წევრები ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური თუ პროფესიული სტატუსით მსგავსნი არიან, დიდ გავლენას ახდენს ბავშვების და მოზარდების ძირითადი შეხედულებების ფორმირებაზე. მაგალითად, თუკი თქვენი მეზობლები

* ინგლისურად community. ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში ეს ტერმინი აღნიშნავს: 1. ერთ ადგილზე (უბანში, სოფელში, ქალაქში) მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში განიხილავენ; 2. იმ ადგილს, სადაც ეს ჯგუფი ცხოვრობს; 3. ჯგუფს, რომელსაც აერთიანებს საერთო რელიგია, რასა, ეთნიკურობა, საქმიანობა თუ ინტერესები. არსებულ კონტექსტში community-ს ყველაზე მისაღებ შესატყვისად მივიჩინეთ „უბანი“, რომელიც ქარაუღლად ადგილსაც აღნიშნავს და იმ ხალხსაც, ვინც იქ ცხოვრობს, თუმცა შესაძლოა მნიშვნელობას უკეთ მიესადაგება „თემი“ (მთარგმნელის შინაშენი).

აქებენ ერთს, და აკრიტიკებენ სხვა პარტიის კანდიდატებს, ამ შემთხვევაში სხვა პოზიციაზე ყოფნა ძნელია (Huckfeldt and Sprague, 1987).

თანასწორების მეშვეობით ახალგაზრდები ხშირად თავს იცავენ უბნის ზემოქმედებისაგან. ადრულ ასაკში ბავშვები ბაძავენ ერთმანეთს ჩაცმულობითა და ცხოვრების სტილით, ნაკლებად – პოლიტიკური შეხედულებებით. თანასწორთა გავლენა პოლიტიკურ შეხედულებებზე ძლიერდება კოლეჯის პერიოდში. ხშირად ეს გამოწვეულია იმით, რომ ახლად მიღებული ცოდნა ეწინააღმდეგება მშობლების შეხედულებებს. 1930-იან წლებში, ბენინგტონის კოლეჯის მოსწავლე გოგონების აზრის შესწავლისას, შესამჩნევი გახდა, რომ ისინი ბევრად უფრო ლიბერალები იყვნენ, ვიდრე მათი შეძლებული კონსერვატორი მშობლები. მომდევნო გამოკვლევისას (ოცდახუთი წლის შემდეგ) გაირკვა, რომ მათი უმეტესობა თავისი პოზიციის ერთგული დარჩა. ნაწილობრივ, ეს განპირობებული იყო იმით, რომ მათ შეხედულებებს იზიარებდნენ მეუღლეები და მეგობრები (თანასწორები) (Newcomb, 1967).

შემდგომი სოციალიზაცია

• პოლიტიკური სოციალიზაცია გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, პოლიტიკური ცოდნის გაღრმავებითა და შეხედულებების ჩამოყალიბებით, მშობლებისა და სკოლის ზეგავლენის შემცირების შემდეგ იზრდება თანასწორთა (მეზობლების, თანამშრომლების, კლუბის წევრების) გავლენა (Sigel, 1989). მოზრდილი ადამიანები ინფორმაციას პოლიტიკური მოვლენების შესახებ, ჩვეულებრივ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გზით იღებენ. ამდენად, ეს საშუალებები თვით გახდნენ სოციალიზაციის აგენტები.

იმის მიუხედავად, თუ რა გზით გებულობენ ადამიანები პოლიტიკის შესახებ, დროთა განმავლობაში მათ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ თავისი შეხედულებები მთავრობაზე, შეაფასონ ახალი კანდიდატი და ახალი იდეები. მათი შეფასების კრიტერიუმი შეიძლება ასევე შეიცვალოს. დაბოლოს, პოლიტიკურ ცოდნას იღებენ სოციალური გარემოდან და ახლობლებისგან.

სოციალური ჯგუფები და პოლიტიკური ფასეულობები

ორი ადამიანიც კი არ იქცევა ზუსტად ერთნაირად, სოციალიზაციის ერთი და იმავე აგენტების გავლენითაც კი. თუმცა, მსგავსი წარმომავლობის ადამიანებს აქვთ ანალოგიური შეცნობის უნარი – ეს იმას ნიშნავს, რომ, შეიძლება, მათ ჩამოუყალიბდეთ ერთნაირი პოლიტიკური შეხედულებები. ამ განყოფილებაში ჩვენ ვისაუბრებთ იმ კავშირზე, რომელიც არსებობს სოციალურ ჯგუფებსა და პოლიტიკურ ფასეულობებს შორის. აქ განვიხილავთ ორ კითხვას, რომელიც დაისვა 1990 წელს ჩატარებულ ერთ გამოკითხვაში: „დართავდით თუ არა ნებას ადამიანს, რომელიც თავს კომუნისტად აცხადებს, ასწავლოს კოლეჯში?“ და „როგორ ფიქრობთ, უნდა უზრუნველყოს თუ არა მთავრობამ მდიდრებისა და

ღარიბების შემოსავალში განსხვავების შემცირება?“ * ამ გამოკითხვის სხვა პასუხები იმავე ძირითად ტენდენციებზე მიგვიბრუნებენ; ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

• პირველი კითხვის დასმა პოლიტიკურად მართებულია; ხელისუფლების წინაშე იმთავითვე იდგა დილემა თავისუფლებასა და წესრიგს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ. ის, ვინც უარყოფით პასუხს იძლევა, მასწავლებელს, რომელიც საფრთხეს უქმნის არსებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგს, ართმევს სიტყვის თავისუფლებას. ეს რესპონდენტები, როგორც ჩანს, პიროვნულ თავისუფლებაზე მეტად აფასებენ წესრიგს. ამეორე კითხვა შეეხება ხელისუფლების წინაშე დღეს არსებულ სხვა დილემას – თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არსებულ დაპირისპირებას. ისინი, ვინც დადებითად პასუხობენ ამ კითხვას, ფიქრობენ, რომ მთავრობამ უნდა იზრუნოს ეკონომიკურ თანასწორობაზე, თუნდაც ამისთვის საჭირო გახდეს შეძლებული ადამიანების მეტად დაბეგვრა; ამით ისინი ზღუდავენ მათ უფლებას – მოიხმარონ თავისი შემოსავალი საკუთარი სურვილისამებრ, ეს რესპონდენტები თავისუფლებაზე მაღლა თანასწორობას აყენებენ.

• უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კითხვაზე პასუხები რაოდენობრივად თითქმის თანაბრად გაიყო. რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტი (52 პროცენტი) კომუნისტი მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნის წინააღმდეგი იყო. ასევე გამოკითხულთა 52 პროცენტი იყო მომხრე მთავრობის მიერ შემოსავლებში განსხვავებების შემცირებისა. მაგრამ რესპონდენტების სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების (განათლება, შემოსავალი, რეგიონი, ეთნიკური წარმოშობა, რასა და რელიგია) მიხედვით დაჯგუფებისას მათ პოზიციებში (ამ ორ საკითხთან დაკავშირებით) საგრძნობი განსხვავება გამოიკვეთა. ეს განსხვავებები ნაჩვენებია ნახ. 4.2.-ზე, როგორც პოზიტიური და ნეგატიური გადახრები – პროცენტულ პუნქტებში – ქვეყნის საშუალო მაჩვენებლიდან; გადახრები მარჯვნივ ეკუთვნის იმ ჯგუფებს, რომლებიც ამერიკელების უმეტესობისაგან განსხვავებით, მომხრეა თავისუფლებაზე მაღლა დააყენონ თანასწორობა და წესრიგი. ახლა ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ შეხედულებათა ხასიათს და თავისებურებებს ცალკეულ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებში.


* ეს უკანასკნელი კითხვა წლების განმავლობაში მჯერდება „საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ეროვნული ცენტრის“ (National Opinion Research Center) საერთო სოციალურ გამოკითხვებში. 1990 წელს, ისევე, როგორც მანამდე, ამ კითხვას თან ახლდა შვიდი შესაძლებელი პასუხი, დაწყებული – „მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შეამციროს განსხვავება მდიდრები და ღარიბების შემოსავლებში“ (კატეგორია 1), დამთავრებული – „მთავრობა არ უნდა ერეოდეს შემოსავლების განსხვავების საკითხში“ (კატეგორია 7). 1-3 კატეგორიის პასუხები დაჯგუფდა საერთო პასუხის სახით: „მთავრობამ უნდა მიხედოს...“, ხოლო 4-7 კატეგორიის პასუხები წარმოადგენენ საერთო პასუხს: „მთავრობამ არ უნდა...“.

ა) მინდა დავისეთ კითხვა იმ ადამიანის შესახებ, რომელიც აცხადებს, რომ არის კომუნისტური და კანსაქონელი თუ არა იგი სამსახურდამ?

ბ) უნდა შეამციროს თუ არა ვაშინგტონის ხელისუფლებამ ზღვრებისა და ღარიბების შემოსავლს შორის განსხვავება, უწყალო, შემდეგულთათვის გადასახდის გაზრდის ან ღარიბებისთვის დასამარების გამოყოფის გზით?

ბანათლივაბ

- საშუალოზე დაბალი
- საშუალო
- უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი
- შემოსავალი
- 15000 \$-ზე ნაკლები
- 15000 \$ - 24,999 \$
- 25000 \$ და მეტი
- რამბიონი
- ჩრდილო-აღმოს.
- შუა-დასავლეთი
- სამხრეთი
- დასავლეთი
- წარმომადგობა
- ბრიტანული
- ევროპული ეთნოსები
- გერმანული
- რასა
- თეთრი
- შავი
- სხვა
- რელიგია
- პროტესტანტი
- კათოლიკე
- სხვა
- რელიგიური
- ბიბლია - ეს არის:
- ღვთის სიტყვა
- შთავონებული წიგნი
- ლევანდების წიგნი



ბანათლივაბ

- საშუალოზე დაბალი
- საშუალო
- უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი
- შემოსავალი
- 15000 \$-ზე ნაკლები
- 15000 \$ - 24,999 \$
- 25000 \$ და მეტი
- რამბიონი
- ჩრდილო-აღმოს.
- შუა-დასავლეთი
- სამხრეთი
- დასავლეთი
- წარმომადგობა
- ბრიტანული
- ევროპული ეთნოსები
- გერმანული
- რასა
- თეთრი
- შავი
- სხვა
- რელიგია
- პროტესტანტი
- კათოლიკე
- სხვა
- რელიგიური
- ბიბლია - ეს არის:
- ღვთის სიტყვა
- შთავონებული წიგნი

ცხრილი 4.2. ორ შეკითხვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის განსხვავება ვეგუფების მიხედვით.

1990 წელს ქვეყნისათვის რეპრეზენტატიული ერთობლიობის წინაშე დასმული იყო ორი კითხვა. ერთი შეეხოდა დიდიმას, სადაც თავისუფლება უპირისპირდებოდა წესრიგს, მეორე კი, სადაც თავისუფლება უპირისპირდებოდა თანასწორობას. საზოგადოებრივი აზრი თითოეულ მათგანზე მკვეთრად გაიყო. ეს ორი დიაგრამა გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავდება ცალკეული სოციალური ვეგუფების შეხედულებები საშუალო მაჩვენებლისგან, რაც უფრო გრძელია ზაზი, მიმართული ცალკეული ვეგუფისკენ, მით უფრო მეტად გადახრა საერთო აზრიდან. ზაზები, რომლებიც მარცხნივ არის მიმართული, აღნიშნავენ ვეგუფის შეხედულებებს, რომლებიც თავისუფლების პრიორიტეტისკენ იხრება. ზაზები, რომლებიც მიემართება მარჯვნივ, აღნიშნავენ შეხედულებებში წესრიგისათვის (ნაწილი ა) და თანასწორობისათვის (ნაწილი ბ) პრიორიტეტის მიჩვენებას. (წყარო: National Opinion Research Center, 1990. General Social Survey, ეს მონაცემები მოგვაწოდა ტომ სბითმა, გამოკვლევის ხელმძღვანელმა).

განათლება

განათლება მოქალაქეებს ეხმარება პოლიტიკური მოვლენების უკეთ გაგებაში. უმაღლესი განათლება უფრო მნიშვნელოვანს ხდის დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვის თავისუფლების ფასეულობას. იგი ასევე განაპირობებს განსხვავებული აზრის მქონე პიროვნებების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას. ეს კარგად ჩანს ნახ. 4.2.-ზე: უფრო განათლებულები თანახმა არიან კომუნისტმა მასწავლებელმა ასწავლოს კოლეჯში. ისეთი დილემის წინაშე აღმოჩენილას, როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს თავისუფლებასა და წესრიგს შორის, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები ირჩევენ თავისუფლებას.

ასევე, მეორე კითხვასთან დაკავშირებით, ნახაზზე ნაჩვენებია, რომ უფრო განათლებული რესპონდენტები თანასწორობაზე მაღლა აყენებენ თავისუფლებას. რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო ნაკლებია შემოსავლის გადანაწილების მომხრეთა რიცხვი. განათლებული ადამიანები, უმეტესწილად, შეძლებული ხალხია, ანუ ისინი, ვინც უნდა დაიბეგროს ღარიბებისთვის დახმარების გასაწევად. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივ აზრზე შემოსავლის გავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე განათლების დონისა.

შემოსავალი

ბევრ ქვეყანაში განსხვავება სოციალურ კლასებს შორის, დამყარებული სოციალურ წარმომავლობასა და პროფესიულ სტატუსზე, ყოფს ადამიანებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვითაც. მართალია, შეერთებულ შტატებში თავიდან ავიცილეთ კლასობრივი კონფლიქტების სასტიკი მოვლენები, მაგრამ აქ კლასს სიმდიდრე ცვლის. მოცემულ ნახაზზე (4. 2) ნაჩვენებია, რომ შემოსავლის სიდიდე მუდმივად უკავშირდება შეხედულებებს, რომლებიც ზღუდავენ მთავრობის როლს წესრიგისა და თანასწორობის განხორციელებაში. აღმოჩნდა, რომ სიმდიდრე და განათლება თითქმის ერთნაირ ზეგავლენას ახდენს ამ შეხედულებებზე. ორივე შემთხვევაში მეტი განათლების და შემოსავლის მქონე ჯგუფები უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებენ, მაგრამ განათლებას მეტი გავლენა აქვს წესრიგთან დაკავშირებულ შეხედულებებზე (Neuman, 1986).

რეგიონი

წინათ რეგიონული განსხვავებები აშშ-ში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იყო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომიც კი მოხდა. დიდ გავლენას ახდენდა ეს განსხვავებები პოლიტიკაზე თითქმის ასი წლის შემდეგაც: „ფულიანი“ ჩრდილო-აღმოსავლეთი აკონტროლებდა კაპიტალიზმის ფინანსურ სადავეებს, შუა-აღმოსავლეთი დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო საგარეო საქმეებში „იზოლაციონიზმის“ ბურჯად, სამხრეთი – ძირითადად ერთპარტიული, დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერი რეგიონი იყო, ხოლო დასავლეთი ითვლებოდა „სასოფლო მხარედ“, რომელიც იწყებდა საკუთარი, პროგრესული პოლიტიკის გატარებას.

• წარსულში რეგიონებს შორის კულტურულ განსხვავებას განაპირობებდა სიმდიდრე, ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის და სიმდიდრის გადანაცვლებამ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და შუა-დასავლეთიდან სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ „მზიან“ შტატებში, გამოიწვია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის გათანაბრება. ამ გათანაბრებას მოჰყვა ის, რომ „ერთიანი სამხრეთი“ აღარ არის ერთსულოვნად კეთილგანწყობილი დემოკრატიული პარტიის მიმართ. ფაქტობრივად, 1970-იანი წლებიდან მისი სიმპათიები რესპუბლიკელების კანდიდატებისაკენ გადაინხარა.

• არსებობს განსხვავებები შეერთებული შტატების ოთხი მთავარი რეგიონის საზოგადოებრივ აზრში. მაგრამ ეს განსხვავებები ახლა დიდი აღარაა. ეს კარგად ჩანს მოცემულ ნახაზზე (4.2). დასავლეთის მოსახლეობა ცოტა მეტად ეწინააღმდეგება ხელისუფლების მდგელობას გაათანაბროს შემოსავალი, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთის მცხოვრებნი. მეტია განსხვავება დასავლეთის და სამხრეთის მოსახლეობის შეხედულებებში სოციალურ წესრიგთან დაკავშირებით. დასავლეთელი რესპონდენტები პრიორიტეტს ანიჭებენ თავისუფლებას, მაშინ, როცა სამხრეთელები თანახმა არიან კომუნისტ მასწავლებელს ჩამოერთვას სწავლების უფლება. მოცემულ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად რეგიონული ფაქტორი, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან შედარებით, ნაკლებ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე.

„ძველი“ ეთნიკურობა: ევროპული წარმომავლობა

XX საუკუნის დამდეგს ამერიკის ძირითად ეთნიკურ უმცირესობებს შეადგენდნენ იმიგრანტები ირლანდიიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ეტაპობრივად ჩამოდიოდნენ აქ გასული საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. ისინი შუუერთდნენ ერს, რომელიც საუკუნით ადრე ჩამოყალიბდა ბრიტანეთიდან გადმოსახლებულთა ბაზაზე. იმიგრანტები აღმოჩნდნენ უცხო მიწაზე, როგორც წესი, უფულოდ და ენის ცოდნის გარეშე. უფრო მეტიც, მათი რელიგიური რწმენა – უმთავრესად კათოლიკური და ებრაული, განსხვავდებოდა ადრე გადმოსახლებულთა უმეტესად პროტესტანტული რწმენისგან. ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა ახალ იმიგრანტებში, რომლებიც ძირითადად თავმოყრილი იყვნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისა და შუა-დასავლეთის ქალაქებში, დაინახეს საარჩევნო ხმების ახალი წყარო და სულ მალე ჩართეს კიდევ ისინი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ურბანისტული ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ნაკლებად პრესტიჟულ საქმიანობას ეწეოდნენ, გახდნენ დემოკრატ ამომრჩეველთა უზარმაზარი კოალიციის ნაწილი, რომელიც შექმნა პრეზიდენტმა რუზველტმა 1930-იან წლებში. იმ წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის და ამომრჩეველთა ქცევის შესწავლამ დააფიქსირა მნიშვნელოვანი განსხვავება მათ და ანგლო-საქსების პოლიტიკურ სიმპათიებს შორის (Erikson et al., 1988).

უფრო მოგვიანებით ჩატარებული გამოკვლევები ამ განსხვავების გაჭრობაზე მეტყველებენ. ნახაზზე (4. 2) მოცემულია თეთრკანიანთა სამი ჯგუფის საზოგა-

დობრივ აზრში განსხვავებები, ისინი გამოკითხულთა თითქმის ნახევარს შეადგენდნენ. ამთავან, 15 პროცენტს შეადგენდნენ ინგლისური, შოტლანდიური, უელსური წარმომავლობის რესპონდენტები („ბრიტანელები“), ასევე 15 პროცენტს – გერმანული, ავსტრიული, შვეიცარული წარმომავლობისა („გერმანულენოვანი“). „ევროპული ეთნოსები“ (პირველ რიგში, კათოლიკეები და ებრაელები ირლანდიიდან, იტალიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან) შეადგენდნენ 20 პროცენტს. ამ ჯგუფების შეხედულებებს შორის არც იმდენად დიდი განსხვავებაა. ბრიტანული წარმოშობის ამერიკელები, უმეტესწილად “WASP” (White Anglo-Saxon Protestants – თეთრკანიანი ანგლოსაქსი პროტესტანტები) და გერმანული წარმოშობის ამერიკელები ცოტა უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის მოქმედებას წესრიგისა და თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით „ევროპული ეთნოსებთან“ შედარებით. ეს უკანასკნელი, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მკვეთრად განსხვავდებოდნენ სხვა თეთრკანიანი ამერიკელებისგან ენით, კანათლებით და საქმიანობით. ეს „ძველი“ ეთნიკურობა (ევროპული წარმოშობის მნიშვნელობა) თანდათან იკარგება, მის ადგილს „ახალი“ ეთნიკურობა – რასა იკავებს.

„ახალი“ ეთნიკურობა: რასა

• შავკანიანთა თვითშეგნებისა და სამოქალაქო უფლებების მოპოვებისათვის მოძრაობის გაძლიერებას, რომელსაც 1950-60-იან წლებში სათავეში დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი და სხვები ედგნენ, მოჰყვა შავკანიანთა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება. სამოქალაქო უფლებების შესახებ მთელი რიგი კანონების საშუალებით, რომელთაც მხარს უჭერდნენ პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი, კონგრესში კი – ჩრდილოელი დემოკრატები, შავკანიანებმა რეალური საარჩევნო უფლებები მოიპოვეს სამხრეთში. ამ უფლებებს ისინი უკვე დიდი წარმატებით იყენებდნენ ჩრდილოეთში. მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანები მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტს შეადგენდნენ, ისინი მნიშვნელოვან საარჩევნო ბლოკებს ქმნიდნენ როგორც ჩრდილოეთის, ასევე სამხრეთის ქალაქებში. მსგავსად მათი წინამორბედი „ევროპული ეთნოსებისა“, შავკანიანებს დაუწყეს „მოფერება“ მათი ხმების მოპოვების მიზნით. მოულოდნელად მათი თვალსაზრისი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

• დღეს ამერიკის პოლიტიკაში შავკანიანები ერთერთ მნიშვნელოვან რასობრივ უმცირესობას წარმოადგენენ. თუმცა, არა ერთადერთს. მოსახლეობის სხვა ხუთ პროცენტში შედიან აზიელები, ამერიკელი ინდიელები (აბორიგენი მოსახლეობა) და სხვა ფერადკანიანები. ლათინურამერიკული წარმომავლობის ხალხი – ესპანურენოვანი (Hispanics), ტრადიციულად ცალკე ეთნიკურ ჯგუფად განიხილება. მოსახლეობის 1990 წელს ჩატარებული აღწერის შედეგების მიხედვით, ესპანურენოვანები ამერიკის მოსახლეობის 9 პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ კალიფორნიასა და ტეხასში – მოსახლეობის 26 პროცენტს, ხოლო ნიუ-მექსიკოში – 38 პროცენტს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ რეგიონში ისინი წარმოადგენენ გარკვეულ პოლიტიკურ ძალას, ისინი მაინც ჩამორჩებიან შავ-

კანიანებს კონსოლიდაციის თვალსაზრისით. ესპანურენოვან მოსახლეობას ჯერ-ჯერობით თავს ევლებიან არაესპანური წარმოშობის პოლიტიკოსები, თუმცა მათ უკვე დაიწყეს საკუთარი კანდიდატების წამოყენება.

შავკანიან და სხვა რასობრივ უმცირესობებს ხშირად მსგავსი პოლიტიკური პოზიცია აქვთ. ეს ორი მიზეზით არის გამოწვეული (Glaser, 1984): პირველი – ეთნიკურ უმცირესობებს (მეორე თაობის აზიელების გამოკლებით) დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი გააჩნიათ (ვანათლების, თანამდებობრივი სტატუსისა და შემოსავლის თვალსაზრისით); მეორე – ყველა ისინი რასობრივი ცრურწმენების და დისკრიმინაციის ობიექტები იყვნენ. ნახაზი 4.2. ნათლად გვიჩვენებს რასობრივი კუთვნილების გავლენას თავისუფლება-თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით არსებულ საზოგადოებრივ აზრზე. შავკანიანები და სხვა უმცირესობები (უმეტესად, ესპანურენოვანნი) ყოველმხრივ უჭერენ მხარს მთავრობას შემოსავლის გათანაბრებასა და წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში.

რელიგია

1930-40-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპული იმიგრაციის ყველაზე დიდი და ბოლო ტალღის შემდეგ, შეერთებულ შტატებში რელიგიური შექადგენლობა საკმაოდ სტაბილური იყო. 1990 წელს გამოკითხულთა თითქმის 65 პროცენტი იყო პროტესტანტი, დაახლოებით 25 პროცენტი თავს თვლიდა კათოლიკედ, მხოლოდ 2 პროცენტი იყო ებრაელი, დაახლოებით 10 პროცენტი არ ეკუთვნოდა არცერთ რელიგიურ მოძღვრებას ან აღიარებდა რაიმე სხვას. ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მათ შეხედულებებში საკმაოდ ძლიერი და მუდმივი განსხვავება აღმოჩნდა. პროტესტანტები უფრო კონსერვატორები აღმოჩნდნენ, ვიდრე კათოლიკეები. ეს უკანასკნელნი კი უფრო კონსერვატორები, ვიდრე ებრაელები.

ცალკეული განსხვავებები დარჩა 1990 წლისთვისაც; ძირითადად, ეს ეხება მთავრობის როლს თავისუფლების და წესრიგის საკითხში. პროტესტანტები, რომლებიც ამერიკაში რელიგიურ უმრავლესობას წარმოადგენენ, სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, უპირატესობას წესრიგს ანიჭებენ. განსხვავება მეტი სიმძაფრით წარმოჩნდება, თუკი რესპონდენტების კლასიფიცირება მოხდება რელიგიურობის დონის მიხედვით. ისინი, ვისაც სწამთ, რომ ბიბლია არის ღვთის სიტყვა, სხვა, უფრო პრაგმატული ჯგუფებისგან განსხვავებით, მხარს უჭერენ მთავრობის ზრუნვას საზოგადოებაში წესრიგისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. შეერთებულ შტატებში შესაძლოა, რელიგიის მრწამსიდან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავდებოდეს პოლიტიკური შეხედულებებიც.

ფასეულობებიდან იდეოლოგიამდე

აქამდე ჩვენ შევისწავლიდით განსხვავებებს ჯგუფების შეხედულებებში ორ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვებზე პასუხები ასახვენ არჩევანს თავისუფლებასა და წესრიგს, ასევე, თავისუფლებასა და

თანასწორობას შორის, ჩვენ ვერ კიდევ არ გავვინალიზებია ვგუფების შეხედულებები პოლიტიკური იდეოლოგიის (იმ ფასეულობებისა და მრწამსის ერთობლიობა, რომლითაც ადამიანები აფასებენ ხელისუფლების მიზნებსა და მოქმედების სფეროს) კონტექსტში. პოლიტოლოგების საერთო აზრით ცალკეულ საკითხებზე არსებულ საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენს პოლიტიკური იდეოლოგია, მაგრამ მეცნიერები ნაკლებ ერთსულოვანნი არიან იმის თაობაზე, თუ რამდენად ფიქრობენ ადამიანები იდეოლოგიური ტერმინებით (Robinson, 1984). ყოველ შემთხვევაში, პოლიტოლოგები ერთი აზრისა არიან იმის შესახებ, რომ საზოგადოების იდეოლოგიური აზროვნება არ შეიძლება ჯდებოდეს ამერიკისათვის ტრადიციულ ლიბერალურ-კონსერვატიული დაპირისპირების ჩარჩოებში.

იდეოლოგიური აზროვნების ადგილი საზოგადოებრივ აზრში

ადრეულ, მაგრამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში, რესპონდენტებს ეკითხებოდნენ 1956 წლის არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების შესახებ (Campbell et al., 1960). გამოკითხულთა მხოლოდ 12 პროცენტის პასუხი შეიცავდა იდეოლოგიურ ტერმინებს (როგორცაა ლიბერალი, კონსერვატორი ან კაპიტალიზმი). რესპონდენტების უმრავლესობამ (42 პროცენტი) პარტიები და კანდიდატები შეაფასა „ცალკეული ვგუფებისათვის (მაგალითად, ფერმერები, მუშები, ბიზნესმენები) სარგებლიანობის თვალსაზრისით“. სხვებმა (24 პროცენტი) ზოგადად ილაპარაკეს „დროის თავისებურებების შესახებ“ (მაგალითად, ინფლაციაზე, უმუშევრობაზე და ომის საფრთხეზე). და ბოლოს, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილის (22 პროცენტი) პასუხები საერთოდ არ ექვემდებარებოდა კლასიფიკაციას, 1964 წელს დემოკრატ და თავკამოდებულ ლიბერალ ლინდონ ჯონსონისა და რესპუბლიკელ და არქიკონსერვატორ ბარი გოლდუოთერის საპრეზიდენტო პაექრობის დროს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა რესპონდენტების ცოტა მეტი „იდეოლოგიური მომზადება“ (Nie et al, 1979). უფრო მოგვიანებით ჩატარებული გამოკვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, საერთოდ თუ ხდება ცვლილებები ამერიკელთა იდეოლოგიურ აზროვნებაში (Smith, 1984). იდეოლოგიური ტერმინების გამოყენების ტენდენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებასთან, ეს უკანასკნელი ადამიანებს ეხმარება პოლიტიკური მოვლენების უკეთ გაგებასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. პიროვნულ გამოცდილებას, რომელსაც ადამიანები იღებენ სოციალიზაციის პროცესში, ასევე შეუძლია მიიყვანოს ისინი საკუთარი იდეოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებამდე.

იდეოლოგიური აზროვნების ხარისხი საზოგადოებრივ აზრში

• გაუგებარია, რას ნიშნავს ადამიანის იდეოლოგიური „თვითგანსაზღვრება“ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში. თავდაპირველად, ლიბერალურ-კონსერვატიული დაპირისპირება შესაბამებოდა ერთ განზომილებას: შეხედულებებს ხელის-

უფლების მოქმედების საზღვრების შესახებ. ლიბერალები საზოგადოებრივი კეთილდღეობის განმტკიცებისთვის ხელისუფლებისგან აქტიურ ქმედებას მოითხოვდნენ, კონსერვატორები – ნაკლებს. საქმე ასე მარტივად აღარ არის: ბევრი იმათგანი, ვინც თავს „ლიბერალად“ თვლის, აღარ უჭერს მხარს ხელისუფლების აქტიურ მოქმედებას, ხოლო ბევრი „კონსერვატორი“, პრინციპში, აღარ ეწინააღმდეგება ამას.

● პირველ თავში ჩვენს მიერ შემოთავაზებული იყო ალტერნატიული იდეოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ემყარება კავშირს ისეთ ღირებულებებს შორის, როგორცაა თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა. „ლიბერალებად“ განვსაზღვრეთ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თანასწორობა, თუნდაც ნაწილობრივ დაკარგული თავისუფლების ხარჯზე, მაგრამ ხელისუფლების მიერ დაწესებული წესრიგის გამო თავისუფლებას არ დათმობენ. კონსერვატორები დადებითად აფასებენ თანასწორობას, თუმცა თავისუფლების და თანასწორობის დაპირისპირების შემთხვევაში მეტ უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებენ, მაგრამ, თუ საფრთხე ემუქრება წესრიგს, ისინი თავისუფლების შეზღუდვის მომხრეები არიან. ამრიგად, ორივე ჯგუფი აფასებს თავისუფლებას, მაგრამ ერთი თანახმაა გაცვალოს თავისუფლების ნაწილი თანასწორობაზე, ხოლო მეორე თავისუფლებას მაინც ამჯობინებს წესრიგს.

თუ თქვენ გიჭირთ გარკვევა ერთგანზომილებიან ცნებებში, ეს სრულიად ნორმალურია. ლიბერალურ-კონსერვატიული კონტინუუმი, რომელშიც გარკვევას სთხოვენ რესპონდენტებს გამოკითხვის პროცესში, ორგანზომილებიანი კონცეფციაა, მაგრამ გამოკითხვისას ის ერთგანზომილებიან სახეს იღებს. ამის შედეგად უმეტესობას უჭირს იმის გარკვევა, თვითონ ლიბერალია თუ კონსერვატორი. დანარჩენი, რომელიც აკეთებს ასეთ არჩევანს, აკეთებს ამას სრულიად სხვა მიზეზებით. ადამიანი მიიჩნევს თავს ლიბერალად ან კონსერვატორად ამ ტერმინების სიმბოლური ფასეულობების გამო ისევე, როგორც იდეოლოგიური მიზეზით (Conover, 1981).

● ადამიანების იდეოლოგიური აზროვნების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ლიბერალებისა და კონსერვატორების დახასიათებისას მათ აზროვნებაში იკვეთება ორი თემა. პირველი თემის შესაბამისად ლიბერალები ასოცირდებიან ცვლილებებთან, კონსერვატორები – ტრადიციულ ფასეულობებთან. ეს შეესატყვისება მათ შორის არსებულ განსხვავებას თავისუფლების დაცვასა და წესრიგის შენარჩუნებასთან მიმართებაში (Sullivan et al., 1981).

● მეორე თემა შეეხება თანასწორობას. წინააღმდეგობა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის საფუძვლად ედო პრეზიდენტ რუზველტის ეკონომიკურ ღონისძიებათა „ახალ კურსს“ 1930-იან წლებში (სოციალური დაცვა, მინიმალური ხელფასის დაკანონება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების მხარდაჭერა). ეს ღონისძიებები სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა უფრო მასშტაბურად ჩარეულიყო ეკონომიკაში. ამან კი, ათეული წლების შემდეგ, შესაძლებელი გახდა უკეთ გამოკვეთილიყო განსხვავება ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის (Asher, 1980). დამოკიდებულება ასეთი ეკონომიკური პოლი-

ტიკისადმი დღესაც უდევს საფუძვლად შეხედულებებს საშინაო ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ.ლიბერალები მხარს უჭერენ ჩარევის პოლიტიკას და, ამდენად, ადასტურებენ თავის შეხედულებებს ეკონომიკური თანასწორობის შესახებ. კონსერვატორები კი ნაკლებად უჭერენ მხარს ხელისუფლების მოქმედების ამ კურსს და ეკონომიკურ საქმიანობაში პიროვნული თავისუფლების მომხრენი არიან.

იდეოლოგიური ტიპები შეერთებულ შტატებში

პირველ თავში ჩვენს მიერ მოცემული იდეოლოგიური ტიპოლოგია აერთიანებს ამ ორ თემას (იხ. ნახ. 1.2). ამ ტიპოლოგიის მიხედვით, *ლიბერალებად* მიჩნეული არიან ის ადამიანები, რომლებიც თავისუფლებას წესრიგზე მეტად აფასებენ, თანასწორობას – თავისუფლებაზე მეტად; *კონსერვატორები* კი – წესრიგზე მეტად თავისუფლებას, ხოლო თავისუფლებას – თანასწორობაზე მეტად აფასებენ. *ლიბერტარელები*, *პოპულისტებისგან* განსხვავებით, თანასწორობასთან და წესრიგთან შედარებით, უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებენ. წესრიგისა და თანასწორობის შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხების მიხედვით შესაძლებელია ადამიანების კლასიფიცირება იდეოლოგიური მრწამსის შესაბამისად. როგორც ნაჩვენებია ნახაზ 4.3-ზე, მათი პასუხები კომუნისტი მასწავლებლის სამსახურიდან განთავისუფლების და შემოსავლის გადანაწილების თაობაზე, ფაქტობრივად, არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ერთგანზომილებიანი იდეოლოგიური სტანდარტის მიხედვით ადამიანები ვერ საზღვრავენ თავის დამოკიდებულებას მთავრობის მოქმედების მიმართ.

ნახაზი 4.3, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გამოკითხული შერჩევითი ერთობლიობის კლასიფიკაციისათვის ჩვენს იდეოლოგიურ ტიპოლოგიაში მოცემული ორი განზომილების შესაბამისად. რასაკვირველია, შესაძლებელია სერიოზული შეცდომის დაშვება მხოლოდ ამ ორი კითხვის მეშვეობით რესპონდენტთა იდეოლოგიური კლასიფიცირებისას. უფრო მეტიც, თითოეულ კითხვაზე მიღებული პასუხები სიმარტივისთვის დაყვანილია ორ კატეგორიამდე. ამდენად, ცალკეული ადამიანების დადებითი პასუხი, შეიძლება, სულაც არ იყოს ისეთივე კატეგორიული, როგორც სხვებისა (მაგალითად, „უფრო დიას, ვიდრე არა“ ნაკლებ კატეგორიულია, ვიდრე „დიას“). მაგრამ თუკი ეს ტიპოლოგია პრინციპში მისაღებია, შედეგების განხილვას აზრი ექნება და აქვს კიდევც.

1990 წელს გამოკითხული რესპონდენტები, თავისი იდეოლოგიური შეხედულებების შესაბამისად, დაყოფილი არიან ოთხ კატეგორიად (ნახაზი 4.3). საკვირველია, რომ ლიბერტარული პასუხები გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს*. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორები წარმოადგენენ ყვე-

* უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე წიგნის მე-2 გამოცემაში, რომელიც 1987 წლის გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობოდა, იდეოლოგიური მიმართულებების პროპორცია ცოტა სხვაგვარი იყო; პოპულისტები 24 პროცენტს შეადგენდნენ, ლიბერტარელები – 26-ს, კონსერვატორები – 28-ს და ლიბერალები – 22-ს. 1990 წლის გამოკითხვის შედეგებმა გეისიქენა კომუნისტი მასწავლებლის

ლაზე მცირერიცხოვან ჯგუფს, მათი პასუხები გამოხატავენ მოსახლეობის თითქმის მეოთხედის ინტერესებს.

პოპულიზტები ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი უმცირესობებსა და ნაკლები განათლებისა და შემოსავლის მქონე, ანუ მთავრობის დახმარებაზე დამოკიდებულ ჯგუფებს შორის. *ლიბერტარიზმის* მომხრეებს ძირითადად ვხვდებით მაღალი განათლებისა და შემოსავლის მქონე იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც აშშ-ს დასავლეთში ცხოვრობენ. ისინი ეჭვის თვალთ უყურებენ ხელისუფლების ჩარევას მათ ცხოვრებაში; *კონსერვატორებს* ძირითადად ვხვდებით სამხრეთში, *ლიბერალების* უმეტესობას კი – ჩრდილო-აღმოსავლეთში.


● პოლიტიკური იდეოლოგიის ეს უფრო სრულყოფილი ანალიზი ხსნის, თუ რატომ უჭირთ ლიბერალურ-კონსერვატიული კონტინუუმის საფუძველზე თავისი მრწამსის განსაზღვრა იმ ამერიკელებსაც კი, რომლებიც მეტ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკას. პრობლემა ის გახლავთ, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში ისინი გამოდიან ლიბერალურად, სხვა საკითხებთან მიმართებაში – კონსერვატორულად. ამდენად, რადგან კაცს უჭირს ერთ განზომილებაში მოაქციოს თავისი მრწამსი, იგი ამჯობინებს აირჩიოს შუალედური, ანუ „ზომიერი“ კატეგორია. თუმცა, ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმეტესობა მაინც ექვემდებარება ჩვენს მიერ მოცემულ ტიპოლოგიას.

როგორ უყალიბდებთ ადამიანებს თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი

ამდენად, თქვენთვის ნათელია, რომ ადამიანები პოლიტიკურ ფასეულობებს იძენენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში; ცალკეული სოციალური ჯგუფები ხასიათდებიან განსხვავებული პოლიტიკური ფასეულობებით. საზოგადოების მცირერიცხოვანი ნაწილი კი პოლიტიკის შესახებ ფიქრობს იდეოლოგიური პოზიციიდან. თუმცა, აქამდე ჩვენ არ გვისაუბრია იმის თაობაზე, თუ როგორ უყალიბდებთ ადამიანებს თვალსაზრისი გარკვეულ საკითხებზე, კერძოდ, როგორ აყალიბებენ თავის პოლიტიკურ თვალსაზრისს მოქალაქეები. ამ პროცესში, გარკვეულ როლს თამაშობს შემდეგი ოთხი ფაქტორი – პირადი დაინტერესება, პოლიტიკური ინფორმაცია, შეხედულებათა სისტემა და პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

დათხონის მომხრეთა შემცირება 7 პროცენტული პუნქტით. ექვავრეშა, ეს მოხდა იმის გამო, რომ ამ დროისათვის საბჭოთა საფრთხე ამერიკისათვის შექცირდა. 6 პუნქტით გაიზარდა შემოსავლების გათანაბრების მომხრეთა რაოდენობა: ეს, შესაძლოა, განპირობებულია რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავების ზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გავლენით. (წყარო: National Opinion Research Center. 1990 General Social Survey. ეს მონაცემები მოგვაწოდა გამოკვლევის ხელმძღვანელმა ტომ სმიტმა).

განთავისუფლდეს თუ არა მასწავლებელი
სამსახურიდან?



ნახაზი 4.3 რესპონდენტების კლასიფიკაცია იდეოლოგიური ტენდენციების მიხედვით

არჩევანი თავისუფლებასა და წესრიგს, თავისუფლებასა და თანასწორობას შორის წარმოდგენილია ორ კითხვასთან მიმართებაში. შეიძლება თუ არა ასწავლის კომუნისტმა მასწავლებელმა კოლეჯში და უნდა გაათავინებოთ თუ არა ხელისუფლებამ განსჯა ეხება შემოსავალში? პასუხები ამ კითხვებზე ნათელს ხდის, რომ მხოლოდ ლიბერალურ-კონსერვატიული კონტინუუმით, ამ ფასეულობებს შორის არჩევანის გაკეთებისას ძნელია რესპონდენტების პოზიციის გარკვევა: ეს პასუხები შეესატყვისება ოთხ განსხვავებულ იდეოლოგიურ ტიპს. წყარო: National Opinion Research Center. 1990 General Social Survey. მასალა მოგვარწოდა ტომ სიმთმა.

პირადი დაინტერესება

პირადი დაინტერესების პრინციპის თანახმად, ადამიანები პოლიტიკურ არჩევანს აკეთებენ იმის მიხედვით, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ არჩევანს პირადად მათთვის. ძირითადად, ეს შეეხება მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. გადასახადის გადამხდლებს ურჩევნიათ დაბალი გადასახადი, ვიდრე მაღალი. ფერმერები მხარს უჭერენ იმ კანდიდატებს, რომლებიც მეტ დახმარებას პირდიდან მათ. პირადი ინტერესის პრინციპი ნაკლებად, მაგრამ მაინც, ფიგურირებს მთავრობის არაეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში. უმცირესობის წარ-

მომადგენლები უმრავლესობისგან განსხვავებით მეტ პირად სარგებლობას ხედავენ ხელისუფლების იმ პოლიტიკაში, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობას. ახალგაზრდა მამაკაცები, ორივე სქესის უფროსი თაობისგან განსხვავებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის წინააღმდეგი არიან. ხშირ შემთხვევაში, ცალკეული ჯგუფების ლიდერები განსაზღვრავენ იმას, თუ რის წინააღმდეგი ან მომხრე უნდა იყვნენ მისი წევრები.

• თუკი ხელისუფლების პოლიტიკა კონკრეტულად არ ეხება მოქალაქეს, პირადმა დაინტერესებამ შეიძლება ნაკლები როლი ითამაშოს. მაშინ ადამიანი აყალიბებს შეხედულებებს ადრე შეძენილი ფასეულობების საფუძველზე (Scars and Funk. 1990. pp. 147-170). ადამიანებს უჭირთ პოლიტიკასთან თავისი მიმართების და შეხედულებების ფორმირება, თუკი არ განიხილება მორალური საკითხები ანდა ვერ ხედავენ პირად სარგებლობას. ეს მოსაზრება მტკიცდება საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში; უმეტესობას ან არ გააჩნია მასზე საკუთარი აზრი, ან ეს აზრი იმდენად არამყარია, რომ ახალი ინფორმაციის მიღებასთან ერთად, შესაძლოა, იოლად შეიცვალოს.

პოლიტიკური ინფორმირებულობა

მიუხედავად იმისა, რომ განათლების დონე შეერთებულ შტატებში მაღალია, საინფორმაციო საშუალებები კი ფართოდ აშუქებენ ქვეყანაში და მის გარეთ მიმდინარე მოვლენებს, საშუალო ამერიკელი გასაოცარ პოლიტიკურ უმეტრებას ავლენს. 1988 წლის არჩევნების შემდეგ გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 28 პროცენტმა შესძლო დაესახელებინა წარმომადგენელთა პალატაში ერთი კანდიდატი მაინც, რომელიც ბიულეტენში იყო შეტანილი, ხოლო ორმოცმა პროცენტმა – სენატის ერთი კანდიდატი (Center, 1989). 1990 წლის ივნისში უზენაესმა სასამართლომ უარყო კონგრესის მიერ მიღებული დადგენილება დროშის დაწვის, როგორც პროტესტის გამოხატვის საშუალების, აკრძალვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ფართოდ იყო გაშუქებული, გამოკითხულთა 31 პროცენტი შეცდომით ფიქრობდა, რომ უზენაესი სასამართლო კონგრესის მიერ მიღებული კანონის მომხრე იყო, ხოლო 17 პროცენტმა აღნიშნა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას ამ საკითხის გარშემო. მოსახლეობის მხოლოდ 52 პროცენტმა იცოდა (თუ მიხვდა?), რა გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით (Times Mirror, 1990).

• მიუხედავად ამისა, პოლიტიკური უცოდინარობა ხელს არ უშლის ამერიკელებს ხალისით გამოხატონ თავისი შეხედულებები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა სიკვდილით დასჯა, ბირთვული ენერჯია და მთავრობის მიერ ეკონომიკის მართვის პრობლემები. თუკი ეს შეხედულებები არასრული ინფორმაციის საფუძველზე არის დამყარებული, ისინი ახალი ინფორმაციის მიღებისთანავე იცვლებიან. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში აღინიშნება დიდი არასტაბილურობა, რომელიც ეყრდნობა კითხვის ფორმულირებასა და მიმდინარე მოვლენებს.

მკვლევარები ოპერირებენ ცნებით „პოლიტიკური განსწავლულობა“, რაც გულისხმობს ისეთი შეხედულებების ფართო სპექტრს, რომელიც ემყარება თანმიმდევრულ და კონცეპტუალურად გააზრებულ რეალურ ინფორმაციას. ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელიც მიძღვნილია ამ პრობლემისადმი, ამერიკის საზოგადოება პოლიტიკური განსწავლულობის თვალსაზრისით დაყოფილია სამ დიდ ჯგუფად: პოლიტიკურად ნაკლებად განსწავლულები (20 პროცენტი), რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივ საქმეებს და იშვიათად იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში; პოლიტიკურად ზომიერად განსწავლულები – მოზრდილთა უმეტესობა (დაახლოებით 75 პროცენტი), რომლებიც ერთგვარი ყურადღებით აღევენებენ თვალყურს პოლიტიკური ამბების მიმდინარეობას, თუმცა ამას ძირითადად აკეთებს მათი „ფსიქოლოგიური ავტობიოლოგი“; პოლიტიკურად განსწავლულები – გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (5 პროცენტი) რომლებიც რეალურად ითვალისწინებენ პროფესიონალი პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და პოლიტიკური მიმომხილველების ინფორმაციასა და კონცეფციებს, როგორც მოსალოდნელი იყო, განათლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ განსწავლულობასთან, მაგრამ ასევე დაკავშირებულია მშობელთა პოლიტიკურ ინტერესებთანაც. ავტორი პოლიტიკური განსწავლულობის განვითარებას ადარებს „სპირალურ პროცესს... თანდათანობით პროცესს, სადაც ინტერესი წარმოშობს ცოდნას, რომელიც შემდგომში წარმოშობს მომდევნო ინტერესს და ცოდნას“ (Neuman, 1986, pp. 76-77). პოლიტიკურმა მოვლენებმა და პოლიტიკური ლიდერების მოქმედებებმა შეიძლება ბევრი რამ შემატონ ამ სპირალურ პროცესს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარებმა ვერ შესძლეს აღმოეჩინათ მნიშვნელოვანი კავშირი პოლიტიკურ განსწავლულობასა და ლიბერალურ-კონსერვატიული კლასიფიკაციის სქემაზე საკუთარი თავის მიკუთვნებას შორის. ეს ნიშნავს, რომ პირებს საზოგადოებრივი საქმეების ერთნაირი ცოდნით და კონცეპტუალიზაციის თანაბარი დონით ისევე შეუძლიათ მიიჩნიონ თავი ლიბერალად, როგორც კონსერვატორად (ibid, p. 81). პოლიტიკური ცნობიერების ერთნაირი დონის შემთხვევაში ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები. ამის გამომწვევი მიზეზია პიროვნებების პოლიტიკური სოციალიზაციის განსხვავებული ხასიათი.

შეხედულებათა სისტემა

ჩვენთვის ნათელია, რომ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი (ხუთიდან ერთი) შეიძლება დავახსიანოთ, როგორც „იდეოლოგიური პიროვნება“. ეს ადამიანები რეგულარულად ფიქრობენ პოლიტიკაზე იდეოლოგიური თვალსაზრისით, ამდენად, ახალ პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულების ჩამოყალიბებაში მათ ეხმარებათ უკვე არსებული პოლიტიკური რწმენა და ფასეულობები, მაგრამ ის ადამიანებიც კი, რომლებიც პოლიტიკას არ უდგებიან ჩამოყალიბებული იდეოლოგიის პოზიციიდან, პოლიტიკური საკითხების ინტერპრეტაციას ახდენენ ადრე არსებული რაღაც მენტალური სტრუქტურების გაელენით.

ფსიქოლოგები განსაზღვრავენ ადრე არსებულ რწმენებს, რომლებსაც ადამიანები უსადაგებენ სპეციფიკურ საკითხებს, როგორც შეხედულებათა სისტემას ანუ თავმოყრილი ცოდნისა და რწმენების ქსელს. ეს სისტემა ადამიანს ეხმარება კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციის გადამშუქებაში (Flastic, 1986). საზოგადოებრივი აზრის ანალიზისათვის შეხედულებათა სისტემა უფრო მახვილი იარაღია, ვიდრე მოუქნელი იდეოლოგიური კონცეფცია. შეხედულებათა სისტემა შეიძლება გაანდეს ნებისმიერ პოლიტიკურ ფიგურას ან სუბიექტს – რასას, ეკონომიკას, საერთაშორისო ურთიერთობებს, მაგალითად, ერთი გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ შვედეთის შეხედულებები რასის მნიშვნელობის შესახებ პიროვნების ცხოვრებაში წარმატების მიღწევის შანსების განსაზღვრისას შეიძლება გაანალიზდეს ხუთი განსხვავებული სისტემის შესაბამისად (Allen et al., 1989).

მიუხედავად ამისა, ძნელია თავი ავარიდოთ ყოვლისმომცველ იდეოლოგიურ კონცეფციას, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანები შეხედულებათა სისტემის ორგანიზებას ცდილობენ იდეოლოგიური კატეგორიების პარალელურად. ლიბერალების შეხედულებათა სისტემა ჯორჯ ბუშის შესახებ არ განსხვავდება კონსერვატორების სისტემისგან ფაქტების აღწერის მიხედვით. თუმცა, პირველი მნიშვნელოვნად განსხვავდება მეორესაგან ფაქტების შეფასებით. მაგალითად, 1989 წელს ბუშის გადაწყვეტილებამ პანამაში შეჭრის თაობაზე კონსერვატორების აღტაცება, ხოლო ლიბერალების შეხედულებათა სისტემაში აღშოთება გამოიწვია. შეხედულებათა სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი დირექცია ის არის, რომ შეხედულებათა ფორმირების პროცესში გარკვევისას იგი შეგვახსენებს, რომ გარკვეული შეხედულება ეყრდნობა რესპონდენტის ცნობიერებაში არსებულ წარმოდგენებს, ურთიერთობებს, ფასეულობებს.

• ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მოქალაქეთა უმეტესობა ლიდერების საქმიანობის „სტილს“ მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე კონკრეტულ სამთავრობო პოლიტიკას. მოქალაქეები ადევნებენ თვალს იმას, თუ როგორ მოქმედებენ ლიდერები – თუ არიან ისინი მტკიცე, თანამგრძობი, პატიოსანი ან გამრჯე (Sanders, 1990). მოქალაქეები პოლიტიკის სირთულეებს თავიანთ პიროვნულ გამოცდილებას უკავშირებენ. თუკი მოქალაქეთა უმრავლესობა პოლიტიკას ლიდერების საქმიანობის სტილთან აიგივებს, მაშინ პოლიტიკური ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი აზრის უფრო მნიშვნელოვან განმსაზღვრელად მოგვევლინება, ვიდრე ლიდერის რეალური პოლიტიკა.

პოლიტიკური ლიდერობა

პოლიტიკური ლიდერები, ჟურნალისტები და ექსპერტები საზოგადოებრივი აზრის წამყვან ძალად გვევლინებიან, პრეზიდენტები, თანამდებობისა და იმ ყურადღების გამო, რომელსაც უთმობენ მათ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, ხშირად ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას. მაგალითად, განვიხილოთ საკითხი – განიარაღება და რონალდ რეიგანი. 1987 წლის ბოლოს, რონალდ რეიგანმა და მიხეილ გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევრო-

პასა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 82 პროცენტი მხარს უჭერდა ამ გადაწყვეტილებას, წინააღმდეგი იყო 18 პროცენტი, ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეები, ისინი, ვინც საბჭოთა კავშირში რეალურ საფრთხეს ხედავდნენ. გამოკითხვისას მათ სთხოვეს გამოეხატათ თავისი უარყოფითი ან დადებითი დამოკიდებულება შემდეგ საკითხთან დაკავშირებით: „პრეზიდენტი რეიგანი ცნობილი ანტიკომუნისტია, ამდენად, თუკი იგი ფიქრობს, რომ ეს სიკეთის მომტანი ქმედებაა, ე. ი. ის სწორს აკეთებს“. პასუხების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ამ დებულებას დაეთანხმა მკაცრი პოლიტიკის მომხრეთა თითქმის ორი მესამედი. მკვლევარი ასკენის, რომ მიუხედავად შემრიგებლური პოლიტიკისა, თავისი ანტიკომუნისტური პოზიციის გამო, რეიგანს ადვილად შეეძლო დაპირისპირებოდა მოსალოდნელ ოპოზიციას (Sigelman, 1990, p. 46). აქ იგულისხმება ის, რომ სხვა პრეზიდენტები, მაგალითად, ჯიმი კარტერი და თუნდაც, ჯერალდ ფორდი, ვერ მიაღწევდნენ მკაცრი ხაზის მომხრეების მხარდაჭერას.

• პოლიტიკური ლიდერის გავლენა საზოგადოებრივ აზრზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ტელეზრდადმოწვევადობის, განსაკუთრებით, ტელევიზიის განვითარების შემდეგ (Pugh et al., 1987). დემოკრატიის მაკორიტარული მოდელი ამტკიცებს, რომ ხელისუფალთა მოქმედება უნდა პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნებს. მაგრამ მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთებია, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შეიცვალა, პირიქით, საზოგადოებრივი აზრი ხშირად ეთანხმება ხელისუფლების მოქმედებას (Margolis and Mauser, 1989). თუკი ეს ასეა, რამდენად შეუძლიათ პოლიტიკურ ლიდერებს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დახმარებით მართონ საზოგადოებრივი აზრი? ახლა ჩვენ გავარკვევთ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მანიპულაციურ პოტენციალს.

ამერიკის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისებურებები

„ჩვენ აღარ ველაპარაკებით ერთმანეთს“ – ამაზე ჩივიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ერთად, მაგრამ ვეღარ უკებენ ერთმანეთს. ასევეა პოლიტიკაშიც თუკი მოქალაქეები და ხელისუფლება ფიქრობენ ნორმალურ თანაარსებობაზე, მათთვის აუცილებელია კომუნიკაცია, რაც ნიშნავს ერთი პიროვნებიდან ან ჯგუფიდან მეორესთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესს. მასობრივი კომუნიკაცია არის პროცესი, როდესაც პიროვნებები და ჯგუფები გადასცემენ ინფორმაციას გაცილებით ფართო მასშტაბის პეტეროგენულ და გაფანტულ აუდიტორიას. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (mass media) არის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მასობრივ კომუნიკაციაში. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები იყოფა ორ ჯგუფად: ა) ბეჭდვითი საშუალებები (ჟურნალ-გაზეთები), რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია გა-

დაიცემა დაბეჭდილი ასოებით და სურათებით; ბ) მაწყეებლობის ელექტრო-
ნული საშუალებები (რადიო, ტელევიზია), რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია
გადიცემა ბეერებითა და გამოსახულებით.

✓ შეერთებულ შტატებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებები აკეთებენ
ფულს ძირითადად რეკლამის განთავსებით, როდესაც თავის მთავარ ფუნქციას
– გართობას ემსახურებიან. ჩვენ უფრო გვანტერესებს ის ხუთი ფუნქცია,
რომელიც აკისრიათ მათ პოლიტიკური სისტემის სამსახურში. ესენია: ახალი
ამბების გადაცემა, ახალი ამბების კომენტირება, მოქალაქეთა თვალსაზრისზე
ზეგავლენის მოხდენა, მთავრობის პოლიტიკის დღის წესრიგის შემუშავება,
მოქალაქეთა პოლიტიკური სოციალიზაცია.

• მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლთან დაკავშირებით – ხელი
შეუწყოს ხელისუფლებასა და ხალხს შორის ინფორმაციის გაცვლას – აღსა-
ნიშნავია შემდეგი: ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ინფორმაცია თავისუფ-
ლად გადაიცემა უფრო ერთი (ხელისუფლებიდან – ხალხს), ვიდრე მეორე მი-
მართულებით. დემოკრატიულ სახელმწიფოში ინფორმაცია თავისუფლად უნდა
გადიცემოდეს ორივე მიმართულებით: ხელისუფლებიდან ხალხს და პირიქით.
იმდენად, რამდენადაც დემოკრატიულ სახელმწიფოში მთავრობა უნდა პასუ-
ხობდეს ხალხის მოთხოვნებს, ამ უკანასკნელს უნდა აქონდეს მოთხოვნების
გამოხატვის საშუალება. უფრო მეტიც, ამომრჩეველები იმ შემთხვევაში მიიჩნევენ
ხელისუფლებას პასუხისმგებლად თავის ქმედებებზე, თუკი იციან რა გააკეთა,
რას აკეთებს და რის გაკეთებას აპირებს იგი მომავალში. მასობრივი საინფორ-
მაციო საშუალებების ხელშია ის მთავარი არხები, რომლითაც შეიძლება გან-
ხორციელდეს ინფორმაციის ორმხრივი გადაცემა, მათ აქვთ ორივე შესაძლებ-
ლობა – ასახონ და ჩამოაყალიბონ პოლიტიკური შეხედულებები.

• მასობრივი საინფორმაციო საშუალებები არ არის მოქალაქეებსა და ხელის-
უფლებას შორის ურთიერთობის ერთადერთი საშუალება. ერთგვარ „შემაკავ-
შირებელ მექანიზმებად“ გვევლინება სოციალიზაციის აგენტები (ძირითადად,
სკოლა). მომდევნო თავებში განვიხილავთ კომუნიკაციის სხვა მთავარ მექანიზ-
მებს, როგორცაა არჩევნებში მონაწილეობა, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო
კამპანიები და დაინტერესებული ჯგუფები.

მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა კერძო მფლობელობა

შეერთებულ შტატებში დაშვებულია კერძო საკუთრება ვეღა მასობრივ
საინფორმაციო საშუალებაზე. დასავლეთის სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში ეს
უმეტესწილად ვრცელდება ბეჭდვით ორგანოებზე (გაზეთები, ჟურნალები,
იშვიათად – ტელეურადიომაწყეებლობაზე). ეს ამერიკის საინფორმაციო ინდუს-
ტრიას, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას ანიჭებს,
თუმცა, ამავე დროს, დამოკიდებულსაც ხდის რეკლამაზე, რადგან იძულებულია
თავის პროგრამებში დიდი ადგილი დაუთმოს მას. ამერიკის საინფორმაციო სა-

შუალელები უნდა აკმაყოფილებდნენ აუდიტორიის მოთხოვნებს, თუკი უნდათ, რომ მოგება მიიღონ.

- თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ახალი ამბის პოლიტიკური ან სოციალური მნიშვნელობა, ასევე შემეცნებითი ფასეულობა განსაზღვრავს, გახდება თუ არა იგი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განხილვის ობიექტი. სამწუხაროდ, ასე არ არის: ხშირად ბევრი ახალი ინფორმაცია რჩება მათი ყურადღების მიღმა. ახალი ამბის მნიშვნელობის შეფასების უპირველესი კრიტერიუმები შემდეგია: რა სიძლიერის ზემოქმედებას ახდენს იგი მაყურებელზე ან მსმენელზე; სენსაციურობის ასპექტი (მაგ. ძალადობა, კონფლიქტი, უბედურება ან სკანდალი); კარგად ნაცნობი პიროვნებები და ცხოვრებისეული სიტუაციები; ტერიტორიული სიახლოვე მსმენელთან ან მაყურებელთან; მისი დროულობა (Grabec, 1984. pp. 78-79).

- საინფორმაციო საშუალებების მფლობელებმა შემოსავლის გასაზრდელად უნდა გააფართოვონ აუდიტორია ან შეიძინონ დამატებითი გამოცემები და არხები. გამოიკვეთა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მცირერიცხოვან მფლობელთა ხელში თავმოყრის ტენდენცია, ეს საშუალებას აძლევს მათ თავისი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით აკონტროლონ ინფორმაციის შერჩევა და მიწოდება, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი გაზეთების რიცხვი შემცირდა, რადგან სულ უფრო მეტ მათგანს იძენენ „საგაზეთო ქსელები“ – როდესაც სხვადასხვა ქალაქში ორი ან მეტი გაზეთი ერთიადიამვე პიროვნების მფლობელობაში იმყოფება. მხოლოდ ოთხასამდე ყოველდღიური გაზეთი არის ჯერჯერობით დამოუკიდებელი, ისიც იმიტომ, რომ მათი მცირე მოცულობა ან ტირაჟი არ აღუძრავს დაპატრონების სურვილს მსხვილ კომპანიებს.

- ხშირად, გაზეთების მსგავსად, სატელევიზიო არხებიც ერთი ჯგუფის ხელშია თავმოყრილი. მაგ., 1990 წელს ჯგუფი „კეპიტალ სიტიზ/ვი-ბი-სი“ (Capital Cities/ABC) ამერიკის რვა დიდ ქალაქში ფლობდა სატელევიზიო სადგურებს: ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, სან-ფრანცისკოში, მიუსტონში, ფრენსოში და რელი-დარემში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფი ემსახურებოდა სატელევიზიო ბაზრის 24 პროცენტს (Broadcasting, 1990).

- შესაძლოა, მფლობელის ხელში ერთდროულად სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო საშუალებები იყოს თავმოყრილი. ზოგჯერ ერთი კორპორაცია ერთ ტერიტორიაზე ფლობს როგორც ტელე-რადიოსადგურებს, ასევე გაზეთსაც. მაგალითად, უდიდესი საგაზეთო ქსელის მქონე „განეტ კომპანი“ (Gannett Company) ფლობს ათ სატელევიზიო სადგურს, ცხრა FM და შვიდ AM რადიოსადგურს. საზოგადოების გარკვეული ნაწილი შემფოთებულია საინფორმაციო საშუალებების ერთპიროვნულ მფლობელობაში კონცენტრირების გამო. ხელისუფლება ითვალისწინებს ამ განწყობილებას და ცდილობს, მოაწესრიგოს საინფორმაციო საშუალებების მფლობელობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (იხ. ჩანართი 4. 1).

ჩანართი 4.1

კერძო მფლობელობის და ცენზურის წინააღმდეგ?

საჭიროა თუ არა სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცალკეული დიდი კორპორაციების ხელში თავმოყრა? საზოგადოებას ნაწილი ამის წინააღმდეგაა. მათ მიაჩნიათ, რომ მასახელმწიფოს მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდების გარანტია არაის კონკრეტული არსებობა საინფორმაციო ბაზარზე. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი ინფორმაციას აკონტროლებს კორპორაციის ხელმძღვანელობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა აქვს, ამერიკელის ხელში იქნება იგი თუ უცხოელისა. განვიხილოთ შესდეგი მაგალითები.

ბოსტონის უმერსონის კოლეჯის პროფესორი მასობრივი ინფორმაციის დარგში რეპორტ პლიარდი 1987 წელს მიწვეული იქნა გაეხეთ „ბოსტონ ჰერალდის“ მიერ, რათა განეხილა ორი სატელევიზიო პროგრამა. ეს იყო „ქორწინება ბავშვებთან ერთად“ და „ქრისტიან ოლიმპისი შოუ“. ამ გადაცემებით შედგა „ფოქსის“ (FOX) სატელევიზიო არხის დებიუტი. თავიდან პლიარდმა უარი განაცხადა ამ მოწვევაზე, რადგან არხის დამაარსებელი რეპორტ მერლო კი ერთდროულად იყო „პერალდის“ და „ფოქსის“ სატელევიზიო არხის მფლობელიც. როდესაც ვაზუთის რედაქტორებმა უთხრეს, რომ ესაქტორიოზალი მიუკერძოებელი გარეშე ექსპერტი, იგი დათანხმდა. მას არ მოეწონა პროგრამები. „ქორწინება ბავშვებთან ერთად“ შეაფასა, როგორც მის მიერ ნანახ ყველა გადაცემასთან შედარებით ყველაზე „უხამსი გადაცემა“ გახეთმა, რომელსაც აქვს რუბრიკა „სატელევიზიო არხი ვთავაზობთ ახალ ცხოვრებისეულ ისტორიას“, არ დაბეჭდა არცერთი კრიტიკული მასალა, რომელთა ავტორები არ იყვნენ „ბოსტონ ჰერალდის“ თანამშრომლები, მათ შორის რეპორტ პლიარდისაც.

პიტერ კარლმა, ენ-ბი-სი-ს ჩიკაგოს ფილიალის უერთდისკტმა, გასაშუვალ მოამზადა მასალა უზარისხო ქანსებისა და ხრახნების გამოყენებაზე ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში, როგორცაა ხიდები, თეითფინანსის ძრავები, ბირთვული რაკეტები და, ასევე, „ნასას“ კოსმოსურ პროგრამებში. ამ რეპორტაჟში კარლმა მოიხსენია „ჯენერალ ელექტრიკ კორპორეში“ (იგი აკეთებს თეითფინანსების ძრავებს), როგორც ამ ჯარისის ერთერთი მომხმარებელი. ეს მასალა გადაიცა 1987 წლის 30 ნოემბერს, მაგრამ რედაქტორების დროს ამავტორული იყო ყველაფერი, რაც კი შეეხებოდა „ჯენერალ ელექტრიკ კორპორეში“-ს იგი ფლობს ენ-ბი-სი-ს.

1990 წელს, როდესაც იაპონურმა კომპანიამ „მაკუსუტა კორპორეშიმ“ შეიძინა კინოსტუდია „ემ-სი-ვი“, მისმა პრეზიდენტმა, აკიო ტანიმ ამეკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას სურს გააქარწყლოს ამერიკელების შიში სტუდიის მიერ წარმოებულ ფილმებზე იაპონელების მხრადან შეხამლო ცენზურის გამო. მან განაცხადა, რომ, პირიქით, შეუნარსუნებს „ემ-სი-ვი“-ს ამერიკულ ხასიათს. შემდეგ კორესპონდენტმა მიმართა კითხვით: „გაქვო თუ არა სურავლი შექმნათ ფილმი გარდაცვლილი ამერიკათრის პირობიტოს ომიდროინდელი როლის შესახებ?“ ბატონ ტანიის აღულება შეეცყო და თქვა: „ვერასდროს წარმოვიდგენდი ასეთ სიტუაციას, ამდენად მე არ შემიძლია პასუხი გავცე ამ კითხვაზე“. კითხვაზე – „დაუშვებდა თუ არა იგი ისეთი ფილმების გადაღებას, რომელსაც გაკრტიკებული იქნებოდა იაპონიის საზოგადოება და ეკონომიკა“, მან ასევე უპასუხა: „მე ვერც კი ვიფიქრებდი, რომ მსგავსი კითხვის მოსმენა მაშიხეზოდა“.

წყაროები: Paul Starobin "Murdoch v. Murdoch", *Congressional Quarterly Weekly Report*, June 3, 1989 p. 1316; James Warren, "Today Edited GE from News Story", *Chicago Tribune*, December 2, 1989 p. 3; David E. Sanger, "Politics and Multinational Movies", *New York Times*, November 27, 1990. p. C5.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სახელმწიფო რეგულირება

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უმეტესობა კერძო პირების ხელშია, ისინი სახელმწიფო რეგუ-

ღირებისაგან არ არიან დაზღვეულნი, გაზეთებზე მეტად მთავრობის მიერ ტელერადიომაუწყებლობა იმართება.

კავშირგაბმულობის ფედერალურ კომიტეტს (Federal Communication Commission - FCC) დავალებული აქვს შიდასახელმწიფოებრივი და უცხოეთის რადიო-სატელევიზიო, სატელეფონო, სატელეგრაფო, საკაბელო და სატელევიზიო კომუნიკაციების რეგულირება. მის უფლებებში შედის მაუწყებლობაზე ნებართვის გაცემა, ტექნიკური მითითებების შემუშავება, იმ რადიო- და სატელევიზიო სადგურების რიცხვის შეზღუდვა, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ კომპანიას.

ეფ-სი-სი-ს შვიდი წყერი შერჩეულია პრეზიდენტის მიერ. მათ სხვადასხვა დროს დაიწყეს მუშაობა და სხვადასხვა დროს უნდა დაამთავრონ იგი. სამსახურიდან მათი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათ წინააღმდეგ ადრული იქნება საქმე იმპიჩმენტის გზით. შესაბამისად, ეფ-სი-სი მინიჭებული დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომიტეტად, რომელიც გათავისუფლებულია როგორც პრეზიდენტის, ასევე კონგრესის პოლიტიკური კონტროლისაგან (დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომიტეტებს განვიხილავთ მეთუ თავში).

აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორება უკრძალავს კონგრესს პრესის თავისუფლების შეზღუდვას. დროთა განმავლობაში „პრესაში“ მოიცვა „ყველა“ მასობრივი საინფორმაციო საშუალებაც. პრესის მიერ ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული კონსტიტუციური გარანტია „პრესის თავისუფლების შესახებ“. ამ უკანასკნელის საფუძველზე იგი თავს უფლებას აძლევდა გამოექვეყნებინა თავისი სურვილის მიხედვით შერჩეული მასალა. ბოლო ორასი წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ იქნა მრავალი საქმე, რომლებიც კანონის ფარგლებში აზუსტებდნენ პრესის თავისუფლების საზღვრებს (ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული შემთხვევები განხილული იქნება მე-12 თავში). ხშირ შემთხვევაში სასამართლოები წინააღმდეგობას უწევდნენ ხელისუფლების მცდელობას, შეეზღუდა პრესის მიერ იმ ინფორმაციისა და შეხედულებების გამოქვეყნების უფლება, რომელთაც ეს უკანასკნელი ჩათვლიდა საჭიროდ. ერთერთ მნიშვნელოვან გამონაკლისს შეადგენს ომის პერიოდში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხი. უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ცენზურას ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, როგორცაა სამხედრო-სატრანსპორტო გემების მოძრაობის გრაფიკი, ინფორმაცია ჯარების გადაადგილების შესახებ საბრძოლო მოქმედების დროს. სხვა შემთხვევებში უზენაესი სასამართლო მხარს უჭერდა კონსტიტუციურ გარანტიას პრესაზე ცენზურის დაწესების წინააღმდეგ. ამ პოზიციის შედეგად შერთებულ შტატებს გააჩნია ყველაზე თავისუფალი და მძლავრი საინფორმაციო საშუალებები.

იმის გამო, რომ ტელერადიომაუწყებლობა იყენებს სახელმწიფო ეთერს, პრესისგან განსხვავებით სახელმწიფო მეტად ერევა მის საქმიანობაში. ეფ-სი-სი-ს მიზანია, „ჩააყნოს რადიომაუწყებლობა (და მოგვიანებით – ტელევიზია) ხალხის ინტერესების, კეთილდღეობის და საჭიროების სამსახურში.“ სამოცზე

მეტი წელია, რაც რადიომაუწყებლობის საქმიანობას არეგულირებს „კავშირ-გაბმულობის ფედერალურ აქტში“ (1934 წ.) მოცემული სამი პირობა: თანაბარი შესაძლებლობების წესის მიხედვით ეფ-სი-სი მოითხოვს, თუკი რადიოსადგური დაუთმობს ან მიჰყიდის საეთერო დროს რომელიმე სახელმწიფო თანამდებობაზე დასახელებულ რომელიმე კანდიდატს, იგი ვალდებულია იმავე პირობებით დაუთმოს ეთერი სხვა კანდიდატებსაც. ეთერის გამოყენების შესაძლებლობის წესი ადგენს, რომ იგი უნდა დაეთმოს ნებისმიერ საკითხზე ყველა სახის დაპირისპირებულ მოსაზრებას. სამართლიანობის დოქტრინა ავალდებულებდა ყველა რადიო- და ტელესადგურს მიუკერძოებლად წარმოედგინა სადისკუსიო საკითხზე ორივე მოსაზრება. პირველი ორი პირობა დღემდე ძალაშია, რაც შეეხება მესამეს, იგი ანულირებული იქნა 1987 წელს იმ მოსაზრებით, რომ უზღუდავდა ტელერადიომაუწყებლობას სიტყვის თავისუფლებას.

მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა პოლიტიკური ეფექტიანობა

ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იძენენ მოქალაქეები პოლიტიკურ ცოდნას, რას გეზულობენ ისინი საინფორმაციო საშუალებებით? გამოვიკვლევთ საინფორმაციო საშუალებების გავლენას ადამიანთა შეხედულებებზე, პოლიტიკურ დღის წესრიგზე და პოლიტიკურ სოციალიზაციაზე.

საიდან იღებს მოსახლეობა ინფორმაციას?

მოსახლეობა ახალ ინფორმაციას, ძირითადად, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გზით იღებს. 1960-იანი წლების დასაწყისამდე ეს ხდებოდა უმეტესად გაზეთების მეშვეობით. 1960-იანი წლების დასაწყისიდან ტელევიზიამ დააქინა გაზეთების, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროს, როგორც 1980-იანი წლების ბოლოს, მოსახლეობის დაახლოებით 2/3 ახალი ინფორმაციის ძირითად წყაროდ მიიჩნევა ტელევიზიას, ნახევარზე ნაკლები – გაზეთებს, ერთ მეხუთედზე ნაკლები – რადიოს, ტელევიზია მოსახლეობისთვის არის ახალი ინფორმაციის მიღების არა მხოლოდ ძირითადი წყარო, არამედ სხვა საშუალებებთან შედარებით უფრო სანდოც. გაზეთებთან შედარებით, ტელევიზიას ორჯერ მეტი ხალხი ენდობა (Stanley and Nicini, 1990, p. 69). თუმცა, ბევრი გამოკვლევა მოწმობს, რომ ეს მონაცემები გადაჭარბებულად წარმოადგენს ადამიანების დამოკიდებულებას ტელევიზიის, როგორც ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროს მიმართ და, ასევე, მისდამი ნდობის ხარისხსაც (Grabcr, 1988, p. 101).

როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი დამოკიდებულია განათლების დონეზე. იგივე ეხება ასაკსაც. ერთ-ერთი გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ახალ ამბებში გათვითცნობიერებულ ადამიანთა ნახევარზე მეტს (რომლებიც კითხულობენ სპეციალურ ჟურნალებს, უსმენენ რადიოს და

ტელევიზიას) დამთავრებული აქვს კოლეჯი. ახალ ამბებში გათვითცნობიერებულითა თითქმის ნახევარი ორმოცდაათი წლისა და მეტი ასაკისაა (Times Mirror, 1990). სხვა ფაქტორებთან შედარებით, რასა არ არის დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მიღების სურვილთან, სქესს კი აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ისინი, ვინც რეგულარულად არ კითხულობს და არ ადევნებს თვალყურს ახალ ამბებს, უმეტესად ქალები არიან (60 პროცენტი). გათვითცნობიერებულითა უმეტესობას შეადგენენ მამაკაცები (56 პროცენტი).

რა ახსოვთ ადამიანებს და რა იციან

რა ოდენობის პოლიტიკურ ინფორმაციას იღებს მოსახლეობა, თუკი მისი 84 პროცენტი კითხულობს ან ისმენს ახალ ამბებს, დაახლოებით 75 პროცენტი კი რეგულარულად ადევნებს თვალყურს მათ ტელევიზიით? ყველანაირი გამოთვლით ჩანს, რომ არც თუ ისე ბევრს. 1990 წლის პირველ ორ თვეში ორი სხვადასხვა გამოკითხვისას პოლიტიკურ მოვლენებს შორის, რესპონდენტებმა ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები. 1990 წლის თებერვალში, ჩეხოსლოვაკიის ახალი პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველი ვიზიტით ეწვია შეერთებულ შტატებს და სიტყვით გამოვიდა კონგრესში. მარტში ჩატარებული გამოკითხვისას დასმული იყო შემდეგი კითხვა: „იცი თუ არა, ვინ არის ვაცლავ ჰაველი?“. მხოლოდ 14 პროცენტმა შესძლო გაცეცა სწორი პასუხი. იგივე გამოკითხვისას დასმული იყო შემდეგი კითხვა: „იცი თუ არა, ვინ არის მარლა მეიფლსი?“ 37 პროცენტმა იცოდა, რომ იგი იყო ნიუ-იორკელი მულტიმილიონერის, დონალდ ტრამპის მაშინდელი საყვარელი (Times Mirror, 1990, p.125).

• დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხი გასცეს უმეტესად იმათ, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალ ინფორმაციას, ტელევიზიის სრულყოფასთან ერთად, გაიზარდა ახალი ინფორმაციის უფრო ფართო მიწოდების შესაძლებლობები, გაიზარდა მოსახლეობის „მიჯაჭვა“ ტელევიზიაზე. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა დღეს მეტად არის გათვითცნობიერებული, ვიდრე ოცი წლის წინ იყო. სამწუხაროდ, ასე არ არის. 1967 და 1987 წლებში ჩატარებული გამოკითხვებისას რესპონდენტებს სთხოვდნენ დაესახელებინათ თავისი შტატის გუბერნატორი, შტატის რომელიმე წარმომადგენელი კონგრესში, ადგილობრივი სკოლის დირექტორი, 1967 წელს მხოლოდ 9 პროცენტმა ვერ შესძლო დაესახელებინა თუნდაც ერთი თანამდებობის პირი, 1987 წელს კი – 17 პროცენტმა. ავტორი ასკვნის, რომ ამის მიზეზი არის ტელევიზიაზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე, „მიჯაჭვეულობის“ გაზრდა (Bennett, 1989).

✓ ზოგიერთი გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ამ დამოკიდებულების ზრდა აქვეითებს ადამიანის უნარს, დამოუკიდებლად განასხვავოს ინფორმაცია ერთმანეთისგან. რატომ ხდება ასე? ტელევიზია ცდილობს, ინფორმაცია პოლიტიკურ საკითხებზე ერთ ან ორ წუთში ჩაატიოს, ეს გამოორიცხავს პოზიციის ფართო ანალიზს; ამავე დროს ტელევიზია ცდილობს გააძლიეროს ვიზუალური მხარე (Grabber, 1988). ამდენად, მაყურებელი პიროვნებას ვიზუალურად უფრო იცნობს,

ვიდრე გარკვეულ საკითხზე მისი პოზიციის მიხედვით. საბოლოოდ, სატელევიზიო არსები, რომელთა პროგრამები რეგულირდება ეფ-სი-სის მიერ, და ინტერესებული არიან იყვნენ „სამართლიანი და ზომიერი“ კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, რის შედეგად ასევე შეიძლება მოხდეს კანდიდატების პოზიციების გათანაბრება. რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ტელევიზიის ტექნიკური შესაძლებლობების საოცრებებზე, საზოგადოებრივ საქმეებში მოსახლეობის გათვითცნობიერებისას მისი როლი მცირეა. სინამდვილეში, ელექტრონულმა ჟურნალისტიკამ შეიძლება იმოქმედოს მოსახლეობის მიერ რეალური ცოდნის მიღების საწინააღმდეგოდ.

იმასაც ამტკიცებენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიით იღებენ, პოლიტიკურად უფრო დაბნეულები და ცინიკური არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ არიან ტელევიზიაზე დამოკიდებული (Robinson, 1975). ეს პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად ჩნდება მაშინ, როცა საქმე ეხება საერთაშორისო მოვლენებს. მოსახლეობის უმეტესობა შედარებით ნაკლებად არის დაინტერესებული უცხოეთის ამბებით, თუმცა ტელერადიომუწყებლობა „ზედმინიჭებით ინტენსიურად“ აშუქებს მათ (Grabber, 1988). მოსახლეობა კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს იმ ქვეყნების მიმართ, რომელთაც ნაკლებად იცნობს, როცა მოსახლეობამ არ იცის, რა იფიქროს, ვისი დაიჯეროს, ის ხდება „უფრო ცინიკურად, უფრო ნეგატიურად და უფრო კრიტიკულად განწყობილი ხელმძღვანელობისა და სამთავრობო ინსტიტუტების მიმართ“ (Schincider, 1982. p. 13).

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე

• ამერიკელთა უმრავლესობა თვლის, რომ საინფორმაციო საშუალებები დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. ათიდან ცხრა ამერიკელი თვლის, რომ ასევე დიდ გავლენას ახდენენ ისინი საზოგადოებრივ აზრზეც (იხ. „რას შევადაროთ?“ 4.1). მაგრამ, არც ისე ადვილია საზოგადოებრივ აზრზე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გავლენის მასშტაბების განსაზღვრა. ამის მიზეზია ის, რომ უმეტესობა ღებულობს ინფორმაციას სწორედ მათი მეშვეობით: ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს საშუალებები ქმნიან საზოგადოებრივ აზრს მოვლენების უბრალოდ გადმოცემის (რეპორტაჟის) გზით, ამის მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა 1992 წელს აღედგინა წესრიგი სომალიში. შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფების მიერ მშვიერი ბავშვებისათვის ლუკმაპურის წართმევის სცენების სატელევიზიო ჩვენებამ განაპირობა ამერიკის საზოგადოების მხარდაჭერა შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სომალიში გასაგზავნად.


• საზოგადოებრივი აზრის ცვლილებების უფრო ფართო შესწავლამ გვიჩვენა, რომ სატელევიზიო ახალი ამბების გადაცემას თან ახლავს სისტემატური და, ზანდაზან, დრამატული ეფექტიც კი. ერთი გამოკვლევის დროს პერიოდულად ატარებდნენ გამოკითხვას ოთხმოცამდე საშინაო და საგარეო საკითხის ირგვლივ. შემთხვევების დაახლოებით ნახევარში საზოგადოებრივი აზრი 6 პროცენტ-

რას შიშავდართი? 4.1.

საზოგადოებრივი აზრი საინფორმაციო საშუალებების შესახებ

ამერიკელები უფრო მეტად აცნობიერებენ საინფორმაციო საშუალებების პოლიტიკურ ძალას, ვიდრე დასავლეთის ოთხი სხვა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქენი. ეს დასკვნა გაკეთდა 1987 წლის გაზაფხულზე დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, ესპანეთსა და შეერთებულ შტატებში ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე. იითოეულ ქვეყანაში რესპონდენტებს კითხეს: „როგორ ფიქრობთ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გავლენა [ინსტიტუტის დასახელება] ძალიან დიდია, საკმაოდ დიდია, თუ უმნიშვნელოა?“ პასუხების „ძალიან დიდი“ და „საკმაოდ დიდი“ შეჯამება წარმოდგენილია სვეტების სახით შესაბამის გრაფებში. ყველა ქვეყანაში მოქალაქეთა უმეტესობა აღნიშნავს საინფორმაციო საშუალებების დიდ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ, მხოლოდ ამერიკელები თვლიან, რომ იგი ასევე დიდ გავლენას ახდენს ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებებზე.

გავლენა საზოგადოებრივ აზრზე



პროცენტული მონაცემები შეეხება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გავლენას ცალკეულ სახელისუფლებო ინსტიტუტზე.

(წყარო: Laurence Parisot, "Attitudes About the Media: A Five-Country Comparison", *Public Opinion* 10 (January-February 1988): 60.

ნტული პუნქტით შეიცვალა. მკვლევარებმა შეუდარეს ეს ცვლილებები ინფორმაციის ათი სხვადასხვა წყაროს პოზიციის ცვლილებას. ამ წყაროებს შორის იყვნენ სატელევიზიო ქსელის კომენტატორები, პრეზიდენტი, პრეზიდენტის პარტიის წევრები, ოპოზიციური პარტიის წევრები, დაინტერესებული ჯგუფების წევრები. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ყველაზე მძაფრი ეფექტი ჰქონდა ახალი ამბების ტელეკომენტატორებს – ერთი კომენტარი იწვევდა საზოგადოებრივი აზრის შეცვლას 4 პროცენტული პუნქტით (Page et al., 1987. p. 31).

საინფორმაციო საშუალებების როლი პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში

მკვლევარების უმრავლესობა თვლის, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, საზოგადოებრივი აზრის გარდა, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკური დღის წესრიგზე. პოლიტიკური დღის წესრიგი არის იმ გასაკეთებელი ან განსახილველი საკითხების ჩამონათვალი, რომელიც მთავრობის ყურადღებას მოითხოვს. ისინი, ვინც ადგენენ პოლიტიკური დღის წესრიგს, განსაზღვრავენ, თუ რა საკითხები უნდა იყოს განხილული მთავრობის მიერ, თუკი რომელიმე საკითხი არ შედის პოლიტიკური დღის წესრიგში, მთავრობის არცერთი წარმომადგენელი თითსაც არ გაანძრევს მის გადასაწყვეტად.

• მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შეერთებულ შტატებში პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში. განსაკუთრებით ეს ეხება ტელევიზიას, რომელსაც ყოველდღიურად თითქმის ყველა სახლში ადევნებენ თვალყურს. საზოგადოებრივ აზრზე ტელევიზიის გავლენის საფუძვლიანმა შესწავლამ აჩვენა, რომ „გარკვეულ პრობლემებზე აქცენტირებით და სხვების იგნორირებით, სატელევიზიო ახალი ამბები ამერიკის მოსახლეობაში აყალიბებს პოლიტიკურ პრიორიტეტებს“ (Iyengar and Kinder, 1987, p.33). უფრო მეტიც, „რაც უფრო მეტად დგას განზე მაყურებელი საზოგადოებრივი საქმიანობისგან, მით მეტია სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემების პოლიტიკური დღის წესრიგზე ზემოქმედების ძალა“ (ibid., p. 60).

• ის, რასაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი იუწყებიან, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავებას სახელმწიფოებრივ დონეზე. ჟურნალ-გაზეთებისა და სატელევიზიო მაუწყებლობის საინფორმაციო მიმოხილვის ერთმა შესწავლამ აჩვენა, რომ პრობლემები, რომელთაც ხალხი „ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა“, მოვლენის ტიპიდან გამომდინარე განსხვავებულად შუქდებოდა საინფორმაციო საშუალებებში.

• საზოგადოებრივ აზრში განსაკუთრებულ გამოხმაურებას პოულობს მასობრივი საშუალებების მიერ ისეთი აქტუალური პრობლემების გაშუქება, როგორცაა ინფლაცია და უმუშევრობა. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უნარი – განსაზღვროს, თუ რა არის „ახალი ამბები“ და ამით გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკოსებს აღუძრავს სურვილს, რომ თვითონ მოახდინონ გავლენა საინფორმაციო მიმოხილვაზე.



დაინახო ნიშნავს დაიჯერო (ზოგჯერ!)

1971 წლის 3 მარტს მოყვარულმა ვიდეოოპერატორმა აღბეჭდა, თუ როგორ ცემდა რამდენიმე ლოს-ანჯელესელი პოლიციელი რიჯინი კინგს, შაკანთან მძღოლს, რომელიც სავაჭრო წესების დარღვევისათვის გაასჯერეს. დღეს უკვე ცნობილი ფირი, რომელიც დაეხმარა ამ მხეცობის მსხვერპლს თავისი პოლიციის დაცვაში, ეროვნული და ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ნახა მოსახლეობის 80 პროცენტმა. ამან გამოიწვია პოლიციელთა მოქმედების კრიტიკული შესწავლა მიუღი ქვეყნის მასშტაბით: მოგვიანებით, კალიფორნიის ნაიციქ მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებაში, არ ეცნოთ პოლიციელები დამნაშავედ, ლოს-ანჯელესში გამოიწვია არეულობა, ქვეყანაში კი - მოსახლეობის აღშფოთება. 1993 წელს ფედერალურმა სასამართლომ კვლავ განიხილა საქმე. ოთხ პოლიციელს წაუკუნეს ბრალდება კინგის სამოქალაქო უფლებების შელახვის თაობაზე. ამჯერად სასამართლომ ორი პოლიციელი დამნაშავედ ცნო.

ცხადია, პოლიტიკურ ლიდერებს სჯერათ, რომ საინფორმაციო საშუალებები ძალიან გავლენიანი რამაა და ცდილობენ შესაბამისად იმოქმედონ: ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ამ საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. პრეზიდენტი კი ყოველდღიურად იღებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების ახალი ამბების დაიჯეტს, მაშინ, როცა პრეზიდენტი ცდილობს გაიგოს, რას ფიქრობენ საინფორმაციო საშუალებები ხელისუფლებასა და პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ, დანარჩენი პოლიტიკური ელიტაც ცდილობს, არ ჩამორჩეს მოვლენათა განვითარებას და თვალყურს ადევნებს საინფორმაციო საშუალებების მიერ გადმოცემულ ახალ ამბებს.

საინტერესოა, რომ მასობრივი საშუალებები იქცა მნიშვნელოვან ელიტარულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის საშუალებად. ისინი ცდილობენ მათი საშუა-

ლებით ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე ან განსაზღვრონ ერთმანეთის სუსტი ან ძლიერი მხარეები, დაეუშვათ, მიმდინარეობს ზეწოლა თეთრ სახლზე რაიმე პოლიტიკური საკითხის ირგვლივ და მის წარმომადგენელს სთხოვენ თხუთმეტწუთიანი მონაწილეობა მიიღოს „მაკნილ/ლერერის სატელევიზიო პროგრამაში“, სადაც მას მრავალ შეკითხვას დაუსვამენ. ამ შემთხვევაში, თეთრი სახლის მიზანია გავლენა მოახდინოს არა ხალხის „ახალ ამბებში გათვითცნობიერებულ“ მცირე ნაწილზე, არამედ სხვა ელიტარული წრეების აზროვნებაზე, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ამ პროგრამებს.

საინფორმაციო საშუალებების გავლენა სოციალიზაციაზე

ამ თავის დასაწყისში ჩვენს მიერ ჩამოთვლილი იყო პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტები, მაგრამ მათ შორის მაშინ არ განგვიხილავს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. ისინი კი პოლიტიკური სოციალიზაციის მნიშვნელოვან აგენტებს წარმოადგენენ. ახალგაზრდები იშვიათად ადევნებენ თვალყურს ახალ ამბებს. თუმცა, ტელერადიომაუწყებლობის გასართობი ფუნქცია ერთგვარად ეხმარება მათ პოლიტიკური ფასეულობების შექმნაში, ადრე ბავშვები ინფორმაციას იღებდნენ მხოლოდ რადიოდან, ახლა იგი ტელევიზიამ შეცვალა (Zoglin. 1990. p.75). ის, რასაც პატარები თავის დროზე გებულობდნენ რადიოპროგრამებიდან, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც გებულობენ დღეს. „რადიოს ოქროს ხანაში“, პოპულარულ რადიოდადგომებში ბავშვებს ხშირად აჯერებდნენ, რომ „დანაშაული არ იქნება შეწყნარებული“. ასწავლიდნენ, რომ კანონდამცავი ორგანოები აუცილებლად დაიჭვრდნენ დამნაშავეებს. ინფორმაცია არ იცვლებოდა. დამნაშავეები იყვნენ ცუდები, პოლიციელები – კარგები, დამნაშავეებს იჭერდნენ და მკაცრად სჯიდნენ დანაშაულის ჩადენისათვის.

● დღეს ტელევიზია განსხვავებულად წარმოადგენს სამართალდამცავ სისტემას. მაგალითად, ზოგიერთ პროგრამაში პოლიციელები და ციხის ზედამხედველები მკვლელებად არიან წარმოდგენილნი. ეს არის გადაცემების ერთ-ერთი ციკლი, რომელშიც საუბრობენ ინსტიტუციური კორუფციის შესახებ. მსგავსი ხასიათის სერიאלებია „კანონი და წესრიგი“ და „კანონის წინააღმდეგ“. რომელშიც ასევე აჩვენებენ სამართალდამცავ ორგანოებში არსებულ მანკიერ მხარეებს. ძნელია იმის მტკიცება, რომ ასეთი გადაცემები მოქალაქეებს კანონისა და პოლიციისადმი პატივისცემის გრძობას უნერგავენ.

✓ ამდენად, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში მასობრივი საინფორმაციო საშუალებები წინააღმდეგობრივ როლს თამაშობენ. ერთი მხრივ, ისინი უზრუნველყოფენ ხელისუფლებისადმი ხალხის მხარდაჭერას ეროვნული დღესასწაულების, ეროვნული გმირების დაბადების დღეების, ღირშესანიშნავი პოლიტიკური თარიღების აღნიშვნით, და, შესაბამისად, მოქალაქის აღზრდით. მეორეს მხრივ, ისინი ძირს უთხრიან მთავრობისადმი ხალხის სიკბის ფაქტორს. როდესაც აქვეყნებენ მოქალაქეთა საჩივრებს, თანამდებობრივი დანაშაულების შესახებ ჟურნალისტური გამოძიების შედეგებს, უთმობენ საეთერო დროს ან პირველ გვერდს პოლიტიკის კრიტიკას, პროტესტებს, ტერორისტებსა და მკვლელებსაც კი.

მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა შეფასება მთავრობასთან მიმართებაში

ჩვენ აღწერეთ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დღევანდელი სტატუსი და ის, თუ როგორ გადასცემენ ისინი ახალ ამბებს აუდიტორიას. არიან თუ არა ისინი ტენდენციური ახალი ამბების გადმოცემისას? ეხმარებიან თუ არა დემოკრატიულ მთავრობას? ახლენ თუ არა გავლენას თავისუფლებაზე, წესრიგსა და თანასწორობაზე?

არის თუ არა მაუწყებლობა ტენდენციური?

ახალ ამბებში უნდა აისახოს რეალობა, თუმცა, თანამედროვე ჟურნალისტიკის მკვლევარები თვლიან, რომ ეს რეალობა საგრძნობლად მახინჯდება საინფორმაციო საშუალებების მფლობელთა, რედაქტორთა და თვით კორესპონდენტთა იდეოლოგიური მრწამსის შესაბამისად.

ახალი ამბების ტენდენციურობის დამამტკიცებელ არგუმენტს აქვს ორი მხარე: ერთი მხრივ, ახალი ამბების კორესპონდენტებს აკრიტიკებენ მათ მიერ ინფორმაციის ლიბერალურ სპექტრში დანახვისათვის, სოციალური თანასწორობის მხარდაჭერისთვის, რითაც ისინი ძირს უთხრიან სოციალურ წესრიგს; მეორე მხრივ, საინფორმაციო საშუალებების შეძლებულ და კონსერვატორ მფლობელებს უკიეინებენ, რომ ისინი იცავენ უთანასწორობას, ამით განამტკიცებენ არსებულ წესრიგს და ამას ისინი აღწევენ გასართობი პროგრამების სიუხვით, რაც აღუნებს მოსახლეობაში კრიტიკული ანალიზის უნარს.

• თუმცა სურათი ბუნდოვანია, მაინც არსებული ვითარება უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კორესპონდენტები უმეტესად ლიბერალები არიან, ასობით რეპორტიორის, ტელერადიომაუწყებლობის მუშაკის საარჩევნო ქცევის შესწავლამ აჩვენა, რომ 1964 წლიდან მოყოლებული 1980-იანი წლების ჩათვლით, საპრეზიდენტო არჩევნებში ისინი ხმას უმეტესწილად დემოკრატიული პარტიის კანდიდატებს აძლევდნენ (Lichter and Rothman, 1976; Bozell and Baker, 1990). უფრო მეტიც, 1989 წელს ჩატარებული გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ სამოცდათორმეტი გაზეთის 1 200 თანამშრომლიდან 62 პროცენტი თავს ლიბერალ დემოკრატად მიიჩნევდა, 22 პროცენტი კი – კონსერვატორ რესპუბლიკელად (ibid, p. 38).

• 1992 წლის ზაფხულში საპრეზიდენტო კამპანიის სატელევიზიო მიმოხილვის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა დროს ყურადღების ცენტრში სხვადასხვა კანდიდატები იყვნენ. დემოკრატთა ყრილობის პერიოდში და მანამდე, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ტელემაუწყებლობაში ქლინტონს გამოეყო 454 წუთი, მაშინ, როცა ბუშს – 400. მაგრამ რესპუბლიკელთა ყრილობიდან „შრომის დღემდე“ (სექტემბრის დასაწყისი) ბუშს ჰქონდა 2,6 წუთი ახალი ამბების ყოველ გადაცემაში, მაშინ, როცა ქლინტონს – 1,6 წუთი (Kolbert, 1982 p. 1). კომენტატორებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ ახალი ამბები „ატრიალონ“ ისე, რომ მიმოხილვას მიეცეს კარგი ან ცუდი მიმართულება. მაგალითად, რო-



დაძმობილება მტერთან?

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მთაყრობა და საინფორმაციო საშუალებები ერთმანეთის მოწინააღმდეგეებად გვეჩვენებიან, ხშირად ისინი ერთმანეთთან ვეღვაზე ახლოს არიან. ეს კარგად ჩანს ამ ფოტოზე, სადაც კორესპონდენტები თავმოყრილი არიან ქლინთონის არგელიე, ცდილობენ მიიღონ მკირეიოდენი ახალი ინფორმაცია, რათა დაუყრენებლიე გაღასკენ იგი მოსახლეობას.

დესაც ბუშმა ტეხასის შტატში განაცხადა, რომ იგი აპირებს ტაივანში გაყიდოს რეაქტიული ავიაცამანადგურებლები, რათა შეინარჩუნოს სამუშაო ადგილები, ეი-ბი-სი-ის მიმომხილველმა, ბრით ჰიუმმა გადმოსცა, რომ საგარეო პოლიტიკის მოშველიებით ბუში ცდილობს საკუთარ შტატში საარჩევნო კამპანიისთვის მხარდაჭერის მოპოვებას. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ იმ მოქალაქეებისა და პოლიტიკოსების მიერ, რომელნიც აგვისტოს თვეში გამოვიდნენ ტელევიზიით, უფრო მეტი დადებითი ითქვა ბუშის (43 პროცენტი), ვიდრე ქლინთონის მისამართით (32 პროცენტი).

თუმცა ჟურნალისტების უმეტესობა თავს ლიბერალად თვლის, გაზეთებს, რომლისთვისაც ისინი მუშაობენ, საზოგადოებრივი აზრი უფრო კონსერვატიულად (42 პროცენტი), ვიდრე ლიბერალურად (28 პროცენტი) მიიჩნევს (Schneider and Lewis, 1985). ჟურნალისტები გარკვეულწილად დაპირისპირებული არიან

თავის რედაქტორებთან, რომლებიც უფრო კონსერვატორები არიან და, ამდენად, ანელებენ თავიანთი თანამშრომლების ლიბერალურ პათოსს (Stanley and Niemi, 1990).

– √ თუკი საინფორმაციო საშუალებების მფლობელები და რედაქტორები მართლაც ცდილობენ შეინარჩუნონ სტატუს ქვო, მაშინ არჩევნებში მათგან უფრო არსებული ხელისუფლების მხარდაჭერას უნდა ველოდეთ, ვიდრე პრეტენდენტისა. მაგრამ რეალობა სხვაგვარია. ერთერთმა მკვლევარმა, რომელმაც დააფიქსირა 1984 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის ლიბერალური გადახრა, შეისწავლა 1980 წლის კამპანიაც. იმ დროს რეიგანი იყო პრეტენდენტი, ხოლო ჯიმი კარტერს ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა. ამ კამპანიის დროს საინფორმაციო საშუალებები კარტერს უფრო უარყოფითად ხატავდნენ, ვიდრე მის კონსერვატორ ოპონენტს. მკვლევარმა მხედველობაში მიიღო ორივე კამპანია და დაასკვნა, რომ სატელევიზიო ახალი ამბების სადამოს გამოშვებებში არ შეიმჩნეოდა თანმიმდევრული იდეოლოგიური ტენდენციურობა. პირიქით, ის რაც 1980 და 1984 წლებში მიჩნეული იყო ტენდენციურობად ან იდეოლოგიის გავლენად, პრინციპში იყო პრეზიდენტის და პრეტენდენტის წინააღმდეგ შექმნილი წინასწარი განწყობა (Robinson, 1985).

• ამ მიზნების შესაბამისად, თუკი ჟურნალისტებს აქვთ რაიმე გაცხადებული ტენდენცია, ის საერთოდ პოლიტიკოსების წინააღმდეგ არის მიმართული. თუკი პრეზიდენტი ხელახლა იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ჟურნალისტმა შეიძლება თვითონ იკისროს პასუხისმგებლობა და მისი უპირატესობის შემცირების მიზნით ახალ ამბებში პრეზიდენტის მეტოქე უკეთ წარმოაჩინოს (Clancey and Robinson, 1985). ამრიგად, საინფორმაციო საშუალებების მიერ კამპანიის გაშუქება ან პროდემოკრატიულად (და, ამდენად, ლიბერალურად) ან პრორესპუბლიკურად (ამდენად, კონსერვატიულად) დამოკიდებულია უფრო იმაზე, თუ რომელი პარტია არის ამ პერიოდში ხელისუფლების სათავეში.

რასაკვირველია, რეპორტაჟების ტენდენციურობა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის არ არის დამახასიათებელი. მაგალითად, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ათი წლის განმავლობაში იყო კამათი ატომური ენერჯის გამოყენების მხარდასაჭერად და წინააღმდეგ. მაშინ, როცა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ ყველაზე გაწონასწორებული ინფორმაცია იყო მოწოდებული, პრესისა და ტელევიზიის მეტი ნაწილი ტენდენციურად იყო განწყობილი ატომური ენერჯის გამოყენების წინააღმდეგ (Rotham and Lichter, 1987, p. 393).

საინფორმაციო საშუალებების წვლილი დემოკრატიის განვითარებაში

ადრე აღვნიშნეთ, რომ დემოკრატიის დროს ინფორმაციის ნაკადი მთავრობასა და მოქალაქეებს შორის უნდა იყოს ორმხრივი; ხელისუფლებისგან მოქალაქეებისკენ და მოქალაქეებისგან ხელისუფლებისკენ. შეერთებულ შტატებში საინფორმაციო საშუალებები კერძო მფლობელობაშია და ინფორმაცია იშვიათად მიემართება ხელისუფლებისგან მოქალაქეებისკენ ამ საშუალებათა გვერდის

ავლით. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან, როგორც ახლახან განვიხილეთ, ჟურნალისტები ძალიან კრიტიკულად არიან განწყობილი პოლიტიკოსების მიმართ. ისინი ინსტინქტურად ეძებენ უზუსტობებს ფაქტებში, ხოლო არგუმენტებში – სუსტ მხარეებს. ზოგი მიმომხილველი ახალი ამბების საინფორმაციო საშუალებებს და მთავრობას განიხილავს, როგორც ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს, – ისინი არ ენდობიან ერთმანეთს, ეჯიბრებიან ერთმანეთს ხალხის სიმპათიების მოპოვებაში. გარკვეული თვალსაზრისით ეს სწორია. საინფორმაციო საშუალებები იმ შემთხვევაში ემსახურებიან კარგად დემოკრატიის მაქორიტარულ და პლურალისტურ მოდელს, თუკი ისინი აუმჯობესებენ იმ ინფორმაციის ხარისხს, რომელსაც აწვდიან ხალხს თავისი მთავრობის შესახებ.

• შესაძლოა, კონტაქტი მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის გაიზარდა 1992 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს ტელევიზიაში სპეციალური პროგრამების შემოღებით; აქ კანდიდატები გამოდიოდნენ პირდაპირ ეთერში, მაგალითად, პროგრამაში „ლარი კინგი ცოცხალ ეთერში“, სადაც ისინი პირდაპირ პასუხობდნენ მოქალაქეთა შეკითხვებს. ზოგი ეკვის თვლით უყურებს ასეთ ურთიერთობას, რადგან ამ დროს კანდიდატებს შესაძლებლობა ეძლევათ თავი აარიდონ ისეთ კითხვაზე პასუხის გაცემას, რომელიც შეიძლება დაეხმება გამოცდილ ჟურნალისტს.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები გადასცემენ ინფორმაციას მოქალაქეებიდან ხელისუფლებას – პოლიტიკურ მოვლენებზე და ხელისუფლების მოქმედებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა რეაქციის შესწავლის საშუალებით. პრესა ტრადიციულად ასახავდა საზოგადოებრივ აზრს (და ხშირად ქმნიდა მას) ახალი ამბების მიწოდებით და პოლიტიკური კურსის შემოთავაზების გზით. მაგრამ, მისი როლი საზოგადოებრივი აზრის ასახვაში უფრო სრულყოფილი გახდა „ინფორმაციის საუკუნეში“. გამოკითხვის პრაქტიკის გავრცელებამდე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გაზეთებში მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდებოდა (Smith, 1990, pp.21-36).

• მას შემდეგ, რაც 1930-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, გაზეთებმა დაიწყეს უფრო დამაჯერებელი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი აზრის შესახებ. 1970-იანი წლებისთვის საინფორმაციო სამსახურებში საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ჯგუფები გადაიქცნენ განყოფილებებად. დროდადრო, ბეჭდვითი და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები აერთიანებენ ძალისხმევას ქვეყნის მასშტაბით ასეთი გამოკითხვების ჩასატარებლად.

• დღეს, საინფორმაციო საშუალებების ხელში არის ის იარაღი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ უკეთესად, ვიდრე ოდესმე, ასახონ საზოგადოებრივი აზრი ისინი ამ შესაძლებლობას კარგად იყენებენ. „ნიუ-იორკ თაიმსი“ და „სი-ბი-ეს ნიუზი“ ატარებენ ერთობლივ გამოკითხვებს, რომელიც გადაიცემა სი-ბი-ეს-ის, „სალამოს ახალ ამბებში“ და შემდეგ, მთლიანად ხდება მისი ანალიზი „თაიმსში“. 1988 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის 31 სხვადასხვა შესწავლა (უმეტესობა სი-ბი-

ეს-თან ერთად), რომელიც საფუძვლად დაედო ოცდათხუთმეტ სტატიას და რომლის შედეგები მოყვანილი იყო ამ კამპანიასთან დაკავშირებულ 135 სხვა სტატიაში (Kadavy, 1991). ასევე დაუკავშირდნენ ერთმანეთს „უოშინგტონ პოსტი“ და „ეი-ბი-სი ნიუზი“, „უოლ-სთრიტ ჯორნალი“ და „ენ-ბი-სი ნიუზი“. ყოველდღიური გაზეთების 40 პროცენტი ატარებს გამოკითხვებს (Holley, 1991, p. 225).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აყალიბებს შეხედულებებს უბრალოდ კითხვების დასმით, მისი მიზანია უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს საზოგადოებრივ აზრზე და დაუბრუნოს ეს ცოდნა ისევე საზოგადოებას, თუმცა საზოგადოებრივ აზრზე ფართო ინფორმაციის ქონა არ იძლევა მთავრობის პასუხისმგებლობის გარანტიას საზოგადოების მოთხოვნების მიმართ, ასეთი ცოდნა საჭიროა მაშინ, როცა მთავრობა მოქმედებს დემოკრატიის მაკორიტირული მოდელის თანახმად.

გაეღენა თავისუფლებაზე, წესრიგზე და თანასწორობაზე

შეერთებულ შტატებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებები დიდ როლს თამაშობენ თანასწორობის, განსაკუთრებით, რასობრივი თანასწორობის დამყარებაში, 1950-1960-იან წლებში, სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის გაძლიერების დროს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები აშუქებდნენ კონფლიქტს სამხრეთში; თუ როგორ ცდილობდნენ შვეკანიანი ბავშვები ევლოთ თეთრკანიანთა სკოლებში, ან როგორ ცემდნენ და ზოგჯერ კლავდნენ კიდევ იმით, ვინც ცდილობდა შვეკანიანი ამომრჩევლის რეგისტრაციას ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ფართოდ ხდებოდა ამ საკითხების გაშუქება, სამოქალაქო უფლებების საკითხი დადგა პოლიტიკური დღის წესრიგში. ამან გამოიწვია კონგრესში იმ ძალთა გაერთიანება, რომლებიც ცდილობდნენ მიეღოთ ახალი კანონები რასობრივი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. საინფორმაციო საშუალებებმა ასევე წამოჭრეს საკითხი ქალთა უფლებების შესახებ. ყურადღება კონცენტრირებული იყო „ქალთა ეროვნული ორგანიზაციისა“ და ქალთა თანასწორობისათვის მოქმედი სხვა ჯგუფების ირგვლივ. საერთოდ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები შესაძლებლობას აძლევდა გარკვეული პრობლემების მქონე ჯგუფების წარმომადგენლებს, გაეკეთებინათ განაცხადი თავისი მდგომარეობის შესახებ მთელი მოსახლეობის წინაშე და ამით მოეპოვებინათ ადგილი პოლიტიკური დღის წესრიგში.

• მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თანახმა არიან, რათა ხელისუფლებამ თანასწორობის მიღწევისათვის შეზღუდოს პიროვნული თავისუფლება, ისინი ეწინააღმდეგებიან მთავრობის მოქმედებას – შეზღუდოს პრესის თავისუფლება წესრიგის დაცვის მიზნით. მათ სწამთ, რომ პრესის თავისუფლება წმიდათაწმიდაა. მაგალითად „ლოს-ანჯელეს თაიმსის“ მიერ 2 703 გამოკითხულ ჟურნალისტთა 98 პროცენტი წინააღმდეგი იყო, ნება დაერთოთ ხელისუფლების წარმომადგენლისათვის, ხელი შეეშალა იმ ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, რომელიც მცდარად იქნებოდა მიჩნეული (მაშინ, როცა რიგით მოსახლეობაში ასეთ აზრს მხარს უჭერდა 50 პროცენტი). თუმცა საზოგადოებ-

რიობა თვლის, რომ გარკვეული ინფორმაცია არ უნდა გამოქვეყნდეს, მაგალითად, საიდუმლო საბუთები, რომელიც ეხება სახელმწიფო უშიშროებას, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტთა სიას, ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველ ფოტოებს, ჟურნალისტებს მაინც არ სურთ დაემორჩილონ ასეთ შეზღუდვებს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები თითქმის შეუფერხებლად აშუქებდნენ სპარსეთის ყურის კრიზისს, ისინი მაინც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ომით გამოწვეული ცენზურული შეზღუდვების გამო. ამის საპირისპიროდ, ომის დროს ჩატარებული გამოკითხვისას მოსახლეობის 57 პროცენტმა გამოთქვა აზრი, რომ სამხედროებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ჟურნალისტების მუშაობას (Times Mirror, 1991).

- საინფორმაციო საშუალებები, საკუთარი თავისუფლების დასაცავად, დემოკრატიის პლურალისტური მოდელის პირობებში მოქმედებს, როგორც დანტერესებული ჯგუფი. მათ სურთ გააშუქონ რაც უნდათ და როცა უნდათ. ეს კი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ხელისუფლების მცდელობას შეინარჩუნოს წესრიგი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სამი მაგალითი:

- მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ ტერორისტული მოქმედების სენსაციური გაშუქება ტერორისტებს უქმნის პაბლისიტის (რეკლამას უკეთებს) – ანუ იმას, რაც მათ უნდოდათ. ამიტომ, მეტად რთული გახდა ტერორისტული საფრთხის შემცირება და, აქედან გამომდინარე, წესრიგის უზრუნველყოფა.
- ტელევიზიით მხეცური მკვლელობების და გაუპატიურებების ხშირად გასართობი პროგრამების სახით ჩვენებამ წარმოქმნა „გადმოღებული“ დანაშაული: ისინი ხშირად ისეა ჩადენილი, „როგორც ტელევიზიით აჩვენეს“.
- ფართო გამოხმაურებამ, რომელიც მიეცა ფალსიფიცირებული წამლებით გამოწვეულ სიკვდილის ერთეულ შემთხვევებს (კერძოდ, ტაილენოლის კაფსულებით, რომელშიც ციანიდი იყო შერეული), სხვა პროდუქტების პრესტიჟზეც დიდი გავლენა მოახდინა.

▶ პრესის თავისუფლება არის კეთილშობილური ფასეულობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი დემოკრატიული მთავრობისთვის. მაგრამ, არ უნდა უგულვებელყოთ ის ფაქტი, რომ ხანდახან ძალიან ძვირად გვიჯდება ამ თავისუფლების არაკვალიფიციური გამოყენება.

შეჯამება

ამერიკაში საზოგადოებრივი აზრი არ მართავს. უმეტეს საკითხებზე იგი მხოლოდ საერთო საზღვრებს უწესებს სახელმწიფო პოლიტიკას. ამერიკელთა უმეტესობის იდეოლოგიური შეხედულებები თავს იყრის „ზომიერის“ კატეგორიაში და ასეა უკვე ათეული წლების მანძილზე. ამი-

ტომ, ხელისუფლების პოლიტიკის ცვლილებას ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ მწვავე პოლიტიკური კონფლიქტები არ მოჰყვება ხოლმე.

- ადამიანები თავის პოლიტიკურ შეხედულებებს აყალიბებენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში. ბავშვობასა და ახ-

აღგაზრდობაში სოციალიზაციის მნიშვნელოვანი აგენტებია ოჯახი, სკოლა, უბანი და თანასწორები. ერთი და იმავე სოციალური ჯგუფის წევრები გადიან პოლიტიკური სოციალიზაციის მსგავს პროცესს და, ახლანდ, იძენენ მსგავს ფასილებებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს არც თუ იშვიათად განსხვავებული ფასეულობები აქვთ და ხშირად გამოხატავენ ძირეულად განსხვავებულ თვალსაზრისს. განსხვავება განათლების, რასისა და რელიგიის მიხედვით წესრიგსა და თანასწორობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრზე ამჟამად უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე განსხვავება შემოსავალში, რეგიონულ კუთვნილებაში და უნიკურ წარმომადგენლობაში.

• გამოკითხულთა უმეტესობა არ ფიქრობს პოლიტიკაზე იდეოლოგიური ტერმინებით (გამოკითხვისას მათ სთხოვეს ამის გაკეთებას), მაგრამ ისინი ხალხისთ განსაზღვრავენ თავის შეხედულებებს ლიბერალურ-კონსერვატიულ შკალაზე. ბევრი რესპონდენტი ირჩევს საშუალო კატეგორიას – „ზომიერი“, სხვები მიიჩნევენ თავს ან ლიბერალად, ან კონსერვატორად, ხშირად ურთიერთსაპირისპირო მიხედვების გამო. წესრიგის და თანასწორობის ფასეულობების შესაბამისად იდეოლოგიის ანალიზის ჩვენი ორგანზომილებიანი ჩარჩო იძლევა ოთხ იდეოლოგიურ ტიპს: ლიბერალებს, კონსერვატორებს, ლიბერტარელებს და პოპულისტებს.

• გამოკითხვის პასუხების მიხედვით ამერიკელი ამომრჩეველები თითქმის თანაბრად დაიფი ოთხ იდეოლოგიურ ტიპად. მოსახლეობის 25 პროცენტმა გასცა ლიბერალური პასუხები, რომლებიც ეწინააღმდეგება ხელისუფლების მოქმედებას – დაამყაროს წესრიგი თანასწორობის ხარჯზე, ზოლო მათ დაუპირისპირდა თითქმის ამდენივე კონსერვატორი. ასევე პოპულისტები, რომლებიც მომხრე არიან იმისა, რომ მთავრობამ დააწესოს წესრიგი და თანასწორობა, უპირისპირდება ოდნავ უფრო მრავალრიცხოვან ლიბერტარელებს, რომლებიც არ ითხოვენ არც

წესრიგის და არც თანასწორობის დამყარებას და მხოლოდ თავისუფლების მომხრენი არიან.

იდეოლოგიურ ორიენტაციასთან ერთად პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების პროცესში ერთგვარ სხვა ფაქტორებია პარიონებები, თუკი ისინი პარიონულად დაინტერესებული არიან მთავრობის პოლიტიკით, თავის შეხედულებებს პირადი ინტერესის საფუძველზე აყალიბებენ ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში, რომელსაც უნდა დაეყრდნოს მოქალაქეთა შეხედულებები, გამოკითხვის შედეგებში მნიშვნელოვანი გადახრები ჩნდება, რაც დამოკიდებულია კითხვის ფორმულირებაზე და მიმდინარე მოვლენებზე. უამრავი ფაქტორი ჩნდება პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენენ შეხედულებების სისტემების ჩამოყალიბებაზე. ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს ვიზუალურად კარგად წარმოვადგინოთ შეხედულებათა ფორმირების რთული პროცესი. ინფორმაციის უქონლობის დროს ადამიანები დიდი გულსისყურით ეკიდებიან პოლიტიკური ლიდერების რჩევებს – დაუჭირონ თუ არა მხარი ამა თუ იმ საკითხს; ამ რჩევებს ისინი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ღებულობენ.

დემოკრატიის რომელი – მაქორითარული თუ პლურალისტური – მოდელია უკეთ მორგებული საზოგადოებრივი აზრის გამოყენებაზე? ზოგჯერ საზოგადოებები გვიჩვენებს ცხად და მყარ შეხედულებებს ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, რაც მაქორითარულ მოდელს უფრო შეესაბამება. მაგრამ, უფრო ხშირად, საზოგადოებრივ აზრს მყარი საფუძველი აქვს არა ცოდნაში, არამედ იდეოლოგიურ ტენდენციურობაში. უფრო მეტიც, უფრო ძლიერა ჯგუფები ხშირად ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, კონსენსუსის უქონლობა მეტ თავისუფლებას ანიჭებს პოლიტიკოსებს სპეციფიკური პოლიტიკის გატარებისას, ეს კი უფრო შეესაბამება პლურალისტურ მოდელს. რა თქმა უნდა, პოლი-

ტიკოსთა მოქმედებები იმ ჟურნალისტთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, რომლებიც მუშაობენ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში.

• მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ინფორმაციას გადასცემენ დიდ და ფართო აუდიტორიას ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალებებით. მასობრივი საშუალებების მთავარი ფუნქცია გართობაა. თუმცა, ისინი ასევე ასრულებენ პოლიტიკურ ფუნქციებს: გადმოსცემენ ახალ ამბებს, უკეთებენ მათ კომენტარს, გაელენას ახლენენ მოქალაქეთა შეხედულებებზე პოლიტიკურ დღის წესრიგზე და მოსახლეობის პოლიტიკურ სოციალიზაციაზე.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები შეერთებულ შტატებში კერძო საკუთრებაში იმყოფება. ამდენად, მათების მისაღებად, ისინი ძირითადად ყოფიან საერთო დროს და ადგილს (გაზეთებსა და ჟურნალებში) რეკლამისათვის, ორივე ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალებები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი ინფორმაცია არის საყურადღებო, გადაწყვეტილებას იღებენ აუდიტორიის მოთხოვნების შესაბამისად. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს შორის აგრესიული კონკურენციის გამო ისინი ხშირად ეძებენ სენსაციურ მასალას.

ხელისუფლება უფრო მეტად ახდენს ტელერადიომაუწყებლობის საშუალებების რეგულირებას (ტექნიკური, მფლობელობისა და შინაარსობრივი თვალსაზრისით), ვიდრე გაზეთების და ჟურნალების რეგულირებას. ხელისუფლება ცდილობს რადიოთი და ტელევიზიით პოლიტიკური პაექრობის თანაბარი გაშუქების უზრუნველყოფას.

• მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხალხი ტელევიზიით უფრო მეტ ინფორმაციას იღებს, ვიდრე გაზეთებიდან, ეს უკანასკნელი ბევრად უფრო საფუძვლიან ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას პო-

ლიტიკის შესახებ. მიუხედავად მასობრივი საშუალებების მიერ გამოცემული ინფორმაციის სიუხვისა, ხალხის უმეტესობას აქვს პოლიტიკური ინფორმაციის დამახსოვრების გასაოცრად დაბალი უნარი. ეს უნარი დღეს ბევრად დაბალია, ვიდრე 1960-იანი წლების შეახანებში იყო. პრობლემა ის კი არ არის, რომ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს არ შეუძლიათ ახალი ამბების ხარისხიანი გაშუქება, არამედ ის, რომ საზოგადოება ამას არც ითხოვს.


• მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თანამშრომელთა ელიტარული ნაწილი, ცნობილი ტელეკომენტატორების უმეტესობის ჩათვლით, უფრო ლიბერალურია, ვიდრე მთელი საზოგადოება (რამდენადაც ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჟურნალისტების მიერ დემოკრატიზმისათვის ხმის მიცემის ტენდენციით და მათივე თვითშეფასებით, რომლებიც სოციოლოგიურ გამოკვლევებში აისახება). მიუხედავად ამისა, თუ ინფორმაციის საშუალებები ახალი ამბების გაშუქებისას ტენდენციურობას აკლენენ, ეს უფრო მოქმედი ხელისუფლებისა (უპირატესად, პრეზიდენტის) და მისი მეტოქის მიმართ დამოკიდებულებაში აისახება, ვიდრე მხოლოდ პროლიბერალური პოზიციით.

• მაქორიტარული დემოკრატიის პოზიციიდან მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ხალხს განსაზღვრული ხელისუფლებისათვის ინფორმაციის გადაცემას უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე. საინფორმაციო საშუალებები გააფართოვებენ იცავენ პრესის თავისუფლებას. ხელისუფლების უკმაყოფილების მიუხედავად, ფართოდ ამუშებენ ისეთ მოვლენებს, როგორცაა პროტესტები, ტერორისტული აქტები და სხვა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ უწყისრიობა ან საფრთხე შეუქმნან წესრიგს.

საკვანძო ტერმინები

საზოგადოებრივი აზრი	public opinion
პოლიტიკური სოციალიზაცია	political socialization
„ძველი“ ეთნიკურობა	“old” ethnicity
„ახალი“ ეთნიკურობა	“new” ethnicity
სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი	socioeconomic status
პირადი დაინტერესების პრინციპი	self-interest principle
პოლიტიკური განსწავლულობა	political sophistication
შეხედულებათა სისტემა	opinion schema
კავშირურთიერთობა	communication
მასობრივი კომუნიკაციები	mass communications
მასობრივი საინფორმაციო საშუალებები	mass media
ბეჭდვითი ინფორმაციის საშუალებები	print media
ელექტრონული ინფორმაციის საშუალებები	broadcast media
კავშირგაბმულობის ფედერალური	Federal Communications
კომიტეტი (ფე-სი-სი)	Commission (FCC)
თანაბარი შესაძლებლობების წესი	equal opportunities rule
სამართლიანობის დოქტრინა	fairness doctrine
პოლიტიკური დღის წესრიგი	political agenda

პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები



5

სენატში ისმის შედახილები: „არავითარი სისხლი ნავთობის სანაცვლოდ. არ გვინდა ომი ბუმის გამო!“ სპარსეთის ყურეში კრი-

ზისის გარშემო მიმდინარე დებატების დროს დემოკრატ სენატორ სემ ნენს თერთმეტმა პიროვნებამ სიტყვა შეაწყვეტინა. ისინი სასწრაფოდ გააძევა პოლიციამ. სენატორი კი ლაპარაკობდა ძალის გამოყენების წინააღმდეგ, მაგრამ არც მის ლაპარაკს და არც დემონსტრანტების შედახილებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სხდომის მეორე დღეს, 1991 წლის 12 იანვარს, სენატმა (52 – დადებითი და 47 – უარყოფითი ხმით) თანხმობა განაცხადა ქუვეითიდან ერაყის ჯარების გამოსაძევებლად სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე, რათა შეესრულებინათ გაეროს რეზოლუცია, წარმომადგენელთა პალატა ხმათა შემდეგი სხვაობით – 250-183 – შეუერთდა ამ გადაწყვეტილებას. ხუთი დღის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი დაუწყო ერაყს.

1990-91 წლებში, 1960-იანი წლებისგან განსხვავებით, ანტისაომარ მოძრაობაში დიდი არეულობა სუფევდა. თავდაპირველად ქუვეითის გამო წარმოებული ომის მიმართ ყველაზე ხმაძაღად პროტესტს გამოთქვამდა ზოგიერთი ისეთი შეუვალი კონსერვატორი, როგორიც მიმომხილველი პატრიკ ბიუქენენია: იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ერაყთან ომით. ეს კონ-

სერვატორი კრიტიკოსები საკმაოდ უცნაურ კოალიციაში აღმოჩნდნენ ვიეტნამის ომის ყოფილ მოწინააღმდეგეებთან. მაგრამ ეს მშვიდობის მომხრეთა კოალიცია სპარსეთის კრიზისთან დაკავშირებით სულაც არ აღმოჩნდა ერთსულოვანი.

ზემოაღმნიშნულმა კენჭისყრამ კონგრესში მკაფიოდ გამოიჯნა ომის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. მემარჯვენე კრიტიკოსების უმეტესობამ, მათ შორის პატრიკ ბიუქენენმაც, პოზიცია შეიცვალა და პრეზიდენტ ბუშის მომხრეთა ბანაკში გადაინაცვლა. ამან ანტისაომარ მოძრაობას მემარცხენე ელფერი შესძინა, გააცოცხლა მოგონებები ვიეტნამისდროინდელ ანტისაომარ პროტესტებზე, მაშინდელ ლოზუნგს „არ გვინდა ვოჯოხეთში წასვლა!“ დაემატა „არ გვინდა ამერიკის ნავთობის მონოპოლიების მოგებისთვის სიკვდილი!“

პირველსავე შაბათს ომის დაწყების შემდეგ ვაშინგტონში ჩატარებულმა ანტისაომარმა მიტინგმა დაახლოებით 75 ათასი მონაწილე მიიზიდა, ერთი კვირის შემდეგ მიტინგს უკვე 150 ათასი კაცი ესწრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიტინგები ამერიკის საზოგადოების ფართო სექტორს წარმოაჩენდა, ომის დაწყების საღამოს ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მოსახლეობის 80 პროცენტი მხარს უჭერდა ბუშის მოქმედებას.

• როგორც ვიეტნამის ომის დროს, ანტისაომარი პროტესტი ყველაზე მეტად საუნივერსიტეტო ქალაქებში გაისმოდა. ის კია, რომ ამჟამად სტუდენტთა შეხედულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ერთ-ერთი მიტინგის დროს პოლიცია იძულებული გახდა გაეცალკევებინა ომის მონაწილე დემონსტრანტები ასაძლე კონტრდემონსტრანტისაგან, რომლებიც უმეტესწილად რესპუბლიკური პარტიის კოლეჯების ეროვნული კომიტეტიდან იყვნენ; ისინი აფრიალებდნენ ამერიკის დროშას შეძახილებით „აშშ!“ საუნივერსიტეტო ქალაქების უმრავლესობაში ომისადმი მხარდაჭერას დროშებისა და ყვითელი ლენტების გამოჩენით გამოხატავდნენ.

• ერაყთან ომის დაწყებამდე ბევრი მიმოძიხილველი თანამედროვე სტუდენტ-ქაქში პოლიტიკურ აპათიას ხედავდა. მართლაც, მათ არ გამოუშუქავნებიათ 1960-იანი წლების მსგავსი ფართო სტუდენტური აქტივობა და, ისიც გაურკვეველია, ეჭება თუ არა ხანგრძლივი ზეგავლენა სპარსეთის ყურის ომს მათ პოლიტიკურ ქცევაზე. 1970-80-იან წლებში მოხდა კი ისეთი რამ, რასაც შეეძლო ამერიკელი ახალგაზრდობის პოლიტიკური ქცევის შეცვლა? ვხედებით თუ არა პოლიტიკურ აპათიას ყველა ასაკის ამერიკელში? არიან თუ არა დღეს ამერიკელები პოლიტიკურად ნაკლებად აქტიურნი? რით განსხვავდებიან ისინი სხვა ქვეყნების მოქალაქეთაგან? რა დონის და რა სახის მონაწილეობაა საჭირო დემოკრატიის პლურალისტური თუ მაჟორიტარული მოდელების შენარჩუნებისთვის? ამ თავში შევეცდებით პასუხი გავცეთ სამთავრობო საქმეებში ხალხის მონაწილეობასთან დაკავშირებულ ჩამოთვლილ და სხვა მრავალ საკითხს. ადამიანთა უმრავლესობა პოლიტიკურ მონაწილეობაში, უპირველეს ყოვლისა, არჩევნებს გულისხმობს. თუმცაღა, პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმებიც არსებობს. ისინი, ზოგ შემთხვევაში, არჩევნებზე უფრო ეფექტიანია. დავიწყებთ იმის განხილვით, თუ რა როლს თამაშობს პოლიტიკური მონაწილეობა დემოკრატიულ მთავრობაში, რა განსხვავებაა პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეულ

და უჩვეულო ფორმებს შორის; შემდეგ განვსაზღვრავთ მონაწილეობის ცალკეული ტიპის ხასიათს და მასშტაბს ამერიკის პოლიტიკისთვის, საარჩევნო უფლებებს, როგორც მასების პოლიტიკური მონაწილეობის მთავარ მექანიზმს, დაბოლოს, გაეარკვევთ, თუ რამდენად ემსახურებიან მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები თავისუფლების, თანასწორობის, წესრიგის ფასეულობებს და, ასევე, დემოკრატიის პლურალისტურ და მაჟორიტარულ მოდელებს.

დემოკრატია და პოლიტიკური მონაწილეობა

„ხალხი უნდა მართავდეს ხელისუფლებას“ – ეს არის დემოკრატიის იდეალი. არის თუ არა აუცილებელი დემოკრატიული მთავრობისათვის მოქალაქეების მონაწილეობა პოლიტიკაში და, თუ არის, რა სახით? უშუალო დემოკრატიის მომხრეები თვლიან, რომ, თუ მოქალაქეები არ იღებენ უშუალო მონაწილეობას სამთავრობო საქმეებში, მათ არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია დემოკრატიაზე. უფრო პრაქტიკული მიმომხილველები თვლიან, რომ ხალხს შეუძლია შუალობით მართოს მთავრობა მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, და რომ დიდ სახელმწიფოში მთავრობის არჩევნები – ხმის მიცემის ფორმალური პროცედურა – არის ერთადერთი ქმედითუნარიანი გზა დემოკრატიისაკენ.

ვნახოთ, რა განსხვავებაა პირველ თავში განხილულ უშუალო და შუალობით დემოკრატიათ შორის. უშუალო დემოკრატიის დროს მოქალაქეები იკრიბებიან და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს, შუალობითი დემოკრატიის დროს კი მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ სამთავრობო საქმეებში მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რომელთაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები მათ მაგივრად. მაჟორიტარული მოდელის მიხედვით, პოლიტიკური მონაწილეობის მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფორმა არჩევნები. პლურალისტური მოდელი კი არჩევნებს, მონაწილეობის სხვა ფორმებთან შედარებით, ნაკლებად ეყრდნობა.

• არჩევნები სახელმწიფოს დემოკრატიულობის აუცილებელი პირობაა და არა მისი გარანტი. მაგალითად, საბჭოთა კავშირში რეგულ. ულად ტარდებოდა არჩევნები, რომლებშიც მოსახლეობის 99 პროცენტი იღებდა მონაწილეობას. მაგრამ ეს საბჭოთა ხელისუფლების დემოკრატიულობის მაჩვენებელი მაინც არ იყო. დემოკრატიის ორივე მოდელი, მაჟორიტარული და პლურალისტურიც, მეტნაკლებად ეყრდნობა არჩევნებს, თუმცა მოქალაქეებს პოლიტიკური ქცევის სხვა საშუალებებსაც აძლევს. პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის, საერთო ინტერესის მქონე ადამიანების გაერთიანების (დაინტერესებული ჯგუფების შექმნის), სახელმწიფო მოღვაწეებთან კონტაქტის, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ჩატარების, ოფიციალურ პოსტზე თავისი წარმომადგენლის გაყვანის და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი პროტესტის საშუალებასაც კი.

• პოლიტიკურ მონაწილეობას ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც „ცალკეული მოქალაქეების ქმედებას, რომლის საშუალებითაც მათ მთავრობასა და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა ან მათთვის მხარდაჭერა სურთ“ (Milbrath and Goel).

1977). ეს განსაზღვრება მოიცავს პოლიტიკაში მონაწილეობის ორივე ფორმას – ჩვეულსა და უჩვეულოს. ჩვეული (ანუ კონვენციური) მონაწილეობა შედარებით რუტინული ქცევაა, რომელიც იყენებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუციურ არხებს, განსაკუთრებით – კანდიდატებისათვის მხარდაჭერას და არჩევნებში მონაწილეობას.

პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო (ანუ არაკონვენციური) ფორმა კი არის ისეთი ქცევა, რომელიც უპირისპირდება ან არ ემორჩილება ხელისუფლების ინსტიტუციურ წესებს ან გაბატონებულ კულტურას (ამდენად, ის პიროვნულად მძიმეა როგორც მონაწილისათვის, ასევე იმისათვის, ვისაც უპირისპირდება). არჩევნებში მონაწილეობა და ხელისუფლებისადმი წერილობითი მიმართულების გაგზავნა არის პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეული ფორმა. საზოგადოებრივ შენობებში მჯდომარე გაფიცვები, მოწოდებები თეთრი სახლის ფანჯრებთან არის უჩვეულო მონაწილეობის მაგალითები. პოლიტიკური მონაწილეობის ზოგიერთ უჩვეულო ფორმას ძალაუფლების არმქონე ჯგუფები იყენებენ პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად.

მონაწილეობის უჩვეულო ფორმა

1965 წლის 7 მარტს, კვირას, დაახლოებით ექვსასაკაციანი ჯგუფი შეეცადა მოეწყო მსვლელობა ალაბამის შტატის ქალაქ სელმადან შტატის დედაქალაქ მონტგომერიმდე შავკანიანთა საარჩევნო უფლებების მხარდასაჭერად (იმ დროისათვის სელმის 15 ათას შავკანიანს შორის, რომელთაც საარჩევნო უფლება ჰქონდათ, რეგისტრირებული ხუთასზე ნაკლები იყო). ალაბამის გუბერნატორმა ჯორჯ უოლესმა მსვლელობა არაკანონიერად გამოაცხადა და მათ შესაჩერებლად შტატის სამხედრო ნაწილები გაგზავნა. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს შეხედნენ მდინარე ალაბამაზე, ედმუნდ პეტუსის ხიდზე, სელმის მისადგომებთან, მანიფესტაცია სამხედროებმა და პოლიციამ დაარბიეს. დემონსტრანტთა დარბევისას გამოყენებულ იქნა ხელკეტები, მათრახები და ცრემლმდენი გაზი. ეს დღე „სისხლიანი კვირადღის“ სახელით გახდა ცნობილი.

• ეს მსვლელობა პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმა იყო. პოლიტიკური პროტესტის გამოსახატად 50 მილზე მსვლელობის მოწყობა არ არის ჩვეული ქცევა. იგი დაუპირისპირდა დაწესებულ სისტემას, რომელიც ათეული წლების განმავლობაში უკრძალავდა შავკანიანებს მონაწილეობის ჩვეული ფორმის – არჩევნებში ხმის მიცემის საშუალების გამოყენებას.

• ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო უფლებებისათვის მხარდამჭერი მანიფესტაცია არ ქმნიდა ძალადობის საფრთხეს. მანიფესტანტებთან მხეცურმა ანგარიშსწორებამ დაწარჩნ მოსახლეობას გაუადვილა სამხრეთში სამოქალაქო უფლებების პრობლემის სერიოზულობის გაცნობიერება. მონაწილეობის უჩვეულო ფორმა მეტად მძიმეა, ხანდახან ძალადობის ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ რისკის გაწვევად ღირს.

მხარდაჭერა მონაწილეობის უჩვეულო ფორმისადმი

• პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმას დიდი ხნის ისტორია აქვს: „ბოსტონის ჩაის სმა“ 1773 წელს ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი პროტესტის გრძელ სიაში პირველი იყო. ეს მოძრაობა რევოლუციით დამთავრდა. ჩვენ, ჩვეული ფორმებისგან განსხვავებით, უჩვეულო ფორმების შესახებ ნაკლები ინფორმაცია გვაქვს, ამის მიზეზი ორმხრივია: პირველი – ჩვეულ ფორმებზე მონაცემების შეგროვება უფრო ადვილია და ამდენად, ისინი უფრო ხშირად ხდებიან ხოლმე შესწავლის საგანი, მეორე – პოლიტოლოგები იხრებიან უფრო ოფიციალური, ანუ პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეული ფორმებისაკენ. ფაქტობრივად, პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ არსებული ზოგიერთი სახელმძღვანელო საერთოდ გამორიცხავს ყველა იმ სახის ქმედებას, რომელიც არ ჯდება ამ სისტემაში. პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმის შესახებ გაკეთებულ ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევაში ხალხს ეკითხებოდნენ, მიუღიათ თუ არა მონაწილეობა, ან იწონებდნენ თუ არა პოლიტიკური ქცევის ამ სხვა ფორმას, არჩევნების გარდა (Barnes and Kaase, 1979). ნახ. 5. 1-ზე ნაჩვენებია, რომ მოქმედების ათი ტიპიდან მხოლოდ წერილობითი მიმართვები იქნა მიჩნეული ჩვეულ ფორმად იმ თვალსაზრისით, რომ ასეთ ქცევას საყოველთაო მხარდაჭერა ჰქონდა და ფართოდ გამოიყენებოდა.

აქვე იყო განხილული მეორე საკითხიც: არის თუ არა მოქმედების ორი სხვა ფორმა – ნებადართული დემონსტრაციები და ბოიკოტი – მონაწილეობის ჩვეული ფორმა. ნახ. 5. 1-ზე წარმოდგენილი პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმები მიჩნეულ იქნა უჩვეულო ფორმებად. ფაქტობრივად, თუ პოლიტიკური ქმედება აფერხებს ყოველდღიური ცხოვრების წესს (მაგალითად, ტრანსპორტის ბლოკირება), ზიანს აყენებს საკუთრებას (კედლებზე ლოზუნგების დახატვა ან მინების ჩამსხვრევა), ან იწვევს ფიზიკურ ძალადობას, ასეთ ქმედებას ერთსულოვნად გამოეხ. ამერიკელები არ ამართლებენ პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმებს. 1968 წელს ჩიკაგოში, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამოსულმა დემონსტრანტებმა ჩაშალეს დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობა, პოლიციამ ისინი სასტიკად დაარბია. ხალხმა იხილა ვიდეოფირი, რომელზეც ეს შეტაკება იყო აღბეჭდილი და გააკიცხა დემონსტრანტები და არა პოლიცია.

მონაწილეობის უჩვეულო ფორმების ეფექტიანობა

პროტესტებმა სპარსეთის ყურეში საომარი კონფლიქტის წინააღმდეგ ხელი არ შეუშალეს 1991 წელს პრეზიდენტ ბუშს, გაეცა ბრძანება ერაყის წინააღმდეგ შეტევის განხორციელების შესახებ. საერთოდ, ეფექტიანია თუ არა მონაწილეობის უჩვეულო ფორმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ძალადობას იწვევს? დიახ, ეფექტიანია. მაგალითად, ანტისაომარმა პროტესტებმა აიძულეს პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი უარი ეთქვა 1968 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. ამ პროტესტმა გაზარდა მოსახლეობის შემფოთება ვიეტნამის ომში შეერთებული შტატების მონაწილეობის გამო.


წარმატებები ჰქონდა სამოქალაქო უფლებების მოძრაობის წევრთა უჩვეულო ქმედებებსაც, დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი სათავეში ედგა მონტგომერის ავტობუსების ბოიკოტირებას, რომელმაც დასაბამი მისცა სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობას, იგი იყენებდა უშუალო მოქმედებას: თავს უყრიდა ხალხს ადგილობრივ მთავრობებთან და მეწარმეებთან დასაპირისპირებლად საზოგადოებრივ დაწესებულებებსა თუ მთავრობაში ყველა მოქალაქის მიმართ თანასწორუფლებიანი დამოკიდებულების მოთხოვნით.

• პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეული ფორმებით მოქმედების შესაძლებლობას მოკლებული სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის წევრები ცდილობდნენ უჩვეულო ფორმებით მოეხდინათ გავლენა კონგრესზე. მათი მიზანი იყო, იძულებული გაეხადათ კონგრესი, რათა მიეღო კანონები სამოქალაქო უფლებების შესახებ. 1957, 1960, 1964 და 1968 წლებში კონგრესმა მიიღო ასეთი კანონები. თითოეული მათგანი უზრუნველყოფდა რასობრივი, კანის ფერის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმომავლობის გამო დისკრიმინაციული დამოკიდებულებისაგან ფედერალურ დაცვას, 1964 წლის აქტი აგრეთვე კრძალავდა დისკრიმინაციას დასაქმებისას სქესობრივი განსხვავების გამო. გარდა ამისა, 1965 წლის საარჩევნო უფლებების აქტის თანახმად, ოფიციალური საარჩევნო პროცედურა ფედერალური მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა, ამიტომ გაიზარდა შავკანიან ამომრჩეველთა რიცხვი, განსაკუთრებით სამხრეთში. სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ისტორია გვიჩვენებს, რომ სოციალური ცვლილება მაშინაც შეიძლება მოხდეს, როდესაც მას თავიდან სასტიკად ეწინააღმდეგებიან. ¹

მიუხედავად იმისა, რომ უშუალო პოლიტიკური მოქმედება და კონფრონტაციის პოლიტიკა ქმედითურადაა შეიძლება იყოს, მისი გამოყენებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა საჭირო. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ უშუალო მოქმედება ხელს აძლევს იმათ, ვინც ერთდროულად (1) არ ენდობა პოლიტიკურ სისტემას და (2) ვისაც აქვს პოლიტიკური *ეფექტიანობის* ძლიერი გრძნობა – ანუ სჯერა, რომ შეუძლია პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა (Craig and Magiotta, 1981). მაგრამ შექმნის თუ არა ასეთი განწყობების კომბინაცია ისეთ ქცევას, რომელიც პოლიტიკურ სისტემას დაუპირისპირდება, დამოკიდებულია ორგანიზებული ჯგუფური საქმიანობის დონეზე (Pollack, 1982).

• გადაწყვეტილება მოქმედების უჩვეულო ფორმის არჩევის შესახებ დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად აქვთ განვითარებული პიროვნებებს *ჯგუფური ცნობიერება* (ჯგუფში გაერთიანება, მისი პოზიციის გაცნობიერება საზოგადოებაში, მისი მიზნები და მოქმედების სავარაუდო კურსი). ეს ფაქტორები შეიმჩნეოდა შავკანიანებსა და ახალგაზრდებს შორის 1960-იანი წლების შუახანებში. დღეს იგივე ფაქტორები უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი შავკანიანებში და ნაკლებად – ქალებში.

აშკარად ჩვეული (კონვენციური) მოქმედება



ნაზ. 5.1. რას თვლიან ამერიკელები პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმად?

ერთი გამოკითხვის დროს ამერიკელებს დაუსვეს კითხვა: ამართლებენ თუ არა პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმას, გარდა არჩევნებისა, გაირკვა, რომ რესპონდენტები, თითქმის ერთსულოვნად, ჩამოთვლილი ათი ფორმიდან უმეტესობას არ ამართლებდნენ. ეს არ შეეხებოდა მხოლოდ ხელმოწერილ მიმართულებს, რაც ამერიკაში ფართოდ გამოიყენება, რაც შეეხება კანონით დაშვებულ დემონსტრაციებში მონაწილეობას (უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით), ამ ფორმას არ უჭერდა მხარს გამოკითხულთა 24 პროცენტი, რომელთაც თვითონაც იშვიათად თუ მიმართავდნენ. პროლეუქტების ბოიკოტირების მიმართ დამოკიდებულება, წინააღმდეგობრივი იყო, მაგრამ უფრო ფართოდ ხორციელდებოდა. დემონსტრაციებზე დასწრება და პროლეუქტების ბოიკოტირება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იქნეს მიხნეული პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეულ (კონვენციურ) ფორმად. დანარჩენი შვიდი ფორმა ცალსახად იქნა მიხნეული უჩვეულო ფორმად. (წყარო: Samuel H. Barnes and Max Kaase, eds., *Political Action: Mass Participation in Five Western Democracies* (Beverly Hills, Calif. Sage, 1979, p. 545).

პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმები ამერიკაში


მოუხედავად იმისა, რომ ამერიკელთა უმრავლესობამ შეიძლება არ მოიწონოს მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა, მთავრობის მიმართ პროტესტის გამოხატვა მანც ხდება. ამერიკის, ისევე, როგორც ევროპის სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები, მზად არიან პოლიტიკაში უშუალო მოქმედებისათვის. 1981 წელს საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და აშშ-ში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამერიკელები ამტკიცებენ, თითქოს მათ „ჩაუდენიათ“ იმდენივე (ან მეტიც კი) უჩვეულო მოქმედება, რამდენიც ზემოაღნიშნული ქვეყნების მოქალაქეებს; ლაპარაკია მონაწილეობაზე უკანონო დემონსტრაციებში, ბოიკოტზე და პიროვნების მიმართ ძალადობის გამოყენების შესახებაც კი (Dalton, 1988). ბოლო პერიოდის ერთი გამოკვლევის მიხედვით ამერიკელები, სხვა ქვეყნების მოქალაქეთაგან განსხვავებით, მეტ ინტერესს იჩენენ სხვადასხვა სახის პოლიტიკური საპროტესტო საქმიანობის მიმართ, ეს უპირისპირდება მოსაზრებას ამერიკელების პოლიტიკური აპათიურობის შესახებ (Jennings et al., 1990).

ხომ არა აქვს ნაკლი ამერიკულ პოლიტიკურ სისტემას, რაკი მისი მოქალაქეები მიმართავენ პოლიტიკური მონაწილეობის გაუმართლებელ და მიუღებელ ფორმებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე უნდა გავიგოთ, ხშირად მიმართავენ თუ არა ისინი მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს.

მონაწილეობის ჩვეული ფორმა

• ნებისმიერი ხელისუფლების დემოკრატიულობის დამამტკიცებელი ის არის, შეუძლიათ თუ არა მოქალაქეებს სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით მის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა (იგულისხმება შეხვედრები სახელმწიფო მოღვაწეებთან, კანდიდატების მხარდაჭერა, არჩევნებში მონაწილეობა და ა.შ.). პოლიტიკური მონაწილეობა საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს მოქალაქეების სიცოცხლეს და კეთილდღეობას, მოქალაქეებს არ უნდა სჭირდებოდეთ ხელისუფლებაზე უშუალო მოქმედებით ძალდატანების მოხდენა იმ მიზნით, რომ მთავრობამ გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები, დემოკრატიული ხელისუფლების მიზანია პოლიტიკურ მონაწილეობას მისცეს *კონვენციური* ხასიათი – მისცეს რიგით მოქალაქეებს საშუალება იმისა, რომ შედარებით ჩვეულებრივი, უსაფრთხო მოქმედებით აიძულოს მთავრობა, ყურადღება მიაქციოს მათ ინტერესებს და მოთხოვნებს.

• მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს შორის ყველაზე თვალსაჩინო კანდიდატისათვის არჩევნებში ხმის მიცემაა, თუმცა, პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ჩვეული ფორმებიც არსებობს. ზოგ შემთხვევაში მონაწილეობის სხვა ფორმა უფრო მნიშვნელოვანიაც კია, ვიდრე ხმის მიცემა, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ბევრ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია. არსებობს პოლიტიკური ქცევის ორი მთავარი კატეგორია: მოქმედება, რომელიც გამოხატავს



არეულობანი ლოს ანჯელესში 1992 წელს

უჩვეულო პოლიტიკური ქცევა მის უკიდურეს გამოვლენაში წარმოადგენს ისეთ ქმედებას, როდესაც ცალკეული პირები, რომელთაც ჯგუფური ცნობიერება გააჩნიათ, პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად სწავიან პიროვნულ ძალადობას ან აზიანებენ საკუთარებას. გარკვეული თვალსაზრისით, 1992 წლის არეულობანი ლოს-ანჯელესში ასეთ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფოტოზე აღბეჭდილია ორი ლოს-ანჯელესელი მოქალაქე, რომლებიც ძალადობის უშუალო შედეგებს აკვირდებიან

სამთავრობო პოლიტიკისადმი მხარდაჭერას და მოქმედება, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ პოლიტიკის შეცვლას ან მასზე გავლენის მოხდენას.

მხარდამჭერი ქცევა

• მხარდამჭერი ქცევა ისეთი ქმედებაა, რომელიც გამოხატავს ერთგულებას ქვეყნისა და მთავრობისადმი. მაშინ, როდესაც წარმოთქვამენ ერთგულების ფიცს და დღესასწაულზე აღმართულია ამერიკის დროშა, ჩვენ გამოვხატავთ მხარდაჭერას ქვეყნისადმი და, მასთან ერთად, პოლიტიკური სისტემისადმი. ჩვეულებრივ, ამ სახის ცერემონიალური მოქმედებანი მოქალაქისაგან მცირე ინიციატივას მოითხოვს. ხმის მიცემის მარტივი ქმედებაც კი თავისთავად მიუთითებს პოლიტიკური სისტემისადმი მხარდაჭერაზე. სხვა მხარდამჭერი ქმედებები, როგორცაა არჩევნებში დამკვირვებლად ყოფნა ანდა სადღესასწაულო აღლუმის ორგანიზება, მეტ ინიციატივას მოითხოვს.

• მაგრამ, ხანდახან იმის პიროვნებისეულმა აღქმამ, თუ რა არის პატრიოტიზმი, მოქალაქეს შეიძლება გადააღაზინოს საზღვარი ჩვეულ და უჩვეულო ქცევას შორის. თავისი მოჭარბებული სურვილით – მხარი დაუჭირონ ამერიკის პოლი-

ტიკურ სისტემას, ისინი არბევენ საპროტესტო მიტინგებს, ვინაიდან ამ ღონისძიებას მიიჩნევენ რადიკალურად ან გარკვეული კუთხით „არაამერიკულად“. რადიკალურად განწყობილი ჯგუფები, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდნენ პოლიტიკურ სისტემას მკვეთრი ცვლილებების მოთხოვნით, მაგრამ თავგამოდებული პატრიოტები არანაკლებ საშიშროებას უქადიან მას. მათი არასწორად მიმართული მოზღვავებული ერთგულება უარყოფს უთანხმოების გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებებს (Gibson, 1989).

ზეგავლენის მქონე ქცევა

• ზეგავლენის მქონე ქცევას იყენებენ მთავრობის პოლიტიკის შესაცვლელად ან გარდასაქმნელად. პოლიტიკური ინტერესებისათვის ასეთი ქცევის ზოგიერთი ფორმა ხელისუფლებისგან მოელის გარკვეულ სარგებელს, დანარჩენს კი უფრო ფართო მიზნები ამოძრავებთ.

კერძო სარგებელი. მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ცდილობს გავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე, რათა ამით ისარგებლოს უშუალოდ მისმა ოჯახმა, და მეგობრებმა. დემოკრატიის თეორიისათვის, რა თქმა უნდა, მისაღებია პიროვნების ინტერესის დაკმაყოფილება საარჩევნო პროცესის საშუალებით, მაგრამ თითოეულ პიროვნებას მხოლოდ ერთი საარჩევნო ხმა აქვს. ამდენად, თუკი მას გვერდით არ უდგას ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა, იგი ბევრს ვერაფერს გამორჩება ხელისუფლებას.

• განსხვავებულია ის პოლიტიკური ქმედებები, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან ცოდნას და დიდ ინიციატივას. ცალკეულმა პიროვნებებმა ან პატარა ჯგუფებმა, რომლებსაც გავლენა აქვთ ოფიციალურ პირებზე, შეიძლება დაიკმაყოფილონ თავისი კერძო ინტერესები ისე, რომ სხვებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ. ისინი ფარულად იღებენ სარგებლობას ხელისუფლებისაგან და ამით მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან დემოკრაციას. დემოკრატიის პლურალისტური თეორია ამტკიცებს, რომ ჯგუფებს უნდა გააჩნდეთ იმის შესაძლებლობა, რომ აიძულონ ხელისუფლება გადაწყვიტოს მათი სპეციფიკური პრობლემები და მოთხოვნები. ამის საპირისპიროდ, მაჟორიტარული თეორია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა გააკეთოს ის, რაც უმრავლესობას არ სურს.

✓ • რისი მოთხოვნა შეუძლიათ მთავრობისაგან ცალკეულ პირებს და რა გზით უნდა წამოაყენონ ეს მოთხოვნა? ცოტას თუ ესმის, რომ *სასამართლო სისტემის გამოყენება არის პოლიტიკური მონაწილეობის ფორმა*. მისი საშუალებით ხდება უფლებების მოპოვება დემოკრატიულ საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა სასამართლოს იყენებს კერძო ინტერესებისათვის, ზოგი იყენებს მას (როგორც ქვემოთ იქნება განხილული) უფრო ფართო მიზნების მისაღწევად. სასამართლოსთვის მიმართვა მოითხოვს დიდ პიროვნულ ინიციატივას, კანონის ცოდნას და ადვოკატის დასაქირავებლად ფინანსურ სახსრებს.

• ზოგიერთი მოქალაქე ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ მომსახურებას. ეს შეიძლება შეეხებოდეს ქალაქის სატყეო დეპარტამენტს (ვთქვით, მოჭრან გამხმარი ხე სახლის წინ) ან ცხოველთა კონტროლის

ადგილობრივ ცენტრს (მიიღონ ზომები ცოფიანი ძაღლის წინააღმდეგ) და სხვა. ამგვარი „კონტაქტური“ ქცევის, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ფორმის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ის დაკავშირებულია არა პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმებთან, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან; როგორც ჩანს, მაღალი სტატუსის მქონე ადამიანებს უფრო უადვილდებათ კონტაქტი სახელმწიფო მოხელეებთან (Verba and Nic, 1972).

• ამერიკელები მეტს მოითხოვენ ადგილობრივ, ვიდრე ქვეყნის ხელისუფალთაგან. ხალხის უმეტესობა ფართო სპექტრის სოციალური პრობლემების გადაჭრას ადგილობრივი მთავრობისაგან მოეწოდოს. კანზას სიტის (მისურის შტატი) მცხოვრებთა აზრის შესწავლისას აღმოჩნდა, 90 პროცენტი ფიქრობს, რომ საცხოვრებელი რაიონის მომსახურებაზე პასუხისმგებლები არიან ადგილობრივი მესვეურები. ამ მომსახურებაში შედის: პარკების დაცვა, სტანდარტების დაწესება ახალი მშენებლობისათვის, გამოუსადეგარი ნაგებობების აღება, კერძო მესაკუთრების მიერ ნაგვისა და სარეველებისგან ტერიტორიის გაწმენდის უზრუნველყოფა და ავტობუსებით მომსახურება. მკვლევარმა აღნიშნა, რომ ძნელი წარმოსადგენია ფედერალური ხელისუფლების ქმედებები, რომლებიც ასეთივე კონსენსუსს გამოიწვევენ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა თავდაცვა, გარემოს კონტროლი და სხვა სფეროები (Shafir, 1984).

• მოქალაქეები შეიძლება გაერთიანდნენ რაიმე პროექტის წინააღმდეგაც. 1980-იან წლებში გაჩნდა ისეთი მოვლენა, რომელსაც უწოდეს NIMBY ("not in my back yard" – „არა ჩემს ეზოში“): ეს არის მოქალაქეთა აქტიური პროტესტი იმ არასასურველი მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც მათი საცხოვრებლის ახლოს მიმდინარეობს.

• დაბოლოს, ზეგავლენის მქონე ერთ-ერთი ფორმაა კანდიდატის საარჩევნო კამპანიაში ფინანსური მონაწილეობა. ამ შემთხვევაშიც, საბოლოო მიზანი შეიძლება იყოს როგორც კერძო სარგებელი, ისე უფრო ფართო სარგებლიანობა.

ამ მიმოხილვის შედეგად წარმოიშვება რამდენიმე მოსაზრება: პირველი – ხელისუფლებისთვის მიმართვა იმ მიზნით, რომ იგი ემსახუროს კერძო ინტერესებს, შეეფერება დემოკრატიის თეორიას; ეს ხელს უწყობს მოქალაქის აქტიურობის გამოვლენას; მეორე – ინდივიდუალური კონტაქტი შეიძლება იყოს მონაწილეობის ფორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა ფორმებთან; მესამე – მონაწილეობის ეს ფორმა, შესაძლოა, უფრო მეტად იქნეს გამოყენებული იმ მოქალაქეების მიერ, რომელთაც მეტი ცოდნა და ფინანსური საშუალება აქვთ; მეოთხე – ინდივიდუალური მონაწილეობა შეიძლება ემსახუროდეს ცალკეული პიროვნების ინტერესებს უმრავლესობის საზიანოდ.

✓ *ფართო პოლიტიკური მიზნები.* მივედით იქამდე, რაზეც ფიქრობს მეცნიერთა უმრავლესობა, როდესაც ლაპარაკობს პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ; ქმედებამდე, რომელიც გავლენას ახდენს თვითონ ხელისუფალთა და პოლიტიკის შერჩევაზე. აქაც გვხვდება ისეთი ქცევა, რომელიც საჭიროებს მცირე ინიციატივას (როგორიცაა ხმის მიცემა) და დიდ ინიციატივას (პოლიტიკურ მიტინგებში მონაწილეობა, საარჩევნო კამპანიის დროს სხვების დარწმუნება). მომდევნო განყოფილებაში ყურადღებას გავამახვილებთ არჩევნებზე, როგორც მონაწილე-

ობის მექანიზმზე. ამჯერად, უბრალოდ შევნიშნავთ, რომ *ხმის მიცემა* პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით, მცირე ინიციატივის მომთხოვნი ქმედებაა. მოგვიანებით ვნახავთ, რომ აშშ-ში ამომრჩევლის რეგისტრაცია უფრო მეტ ინიციატივას მოითხოვს, ვიდრე ხმის მიცემა არჩევნების დღეს.

ფართო მიზნებზე გავლენის მოსახდენად მონაწილეობის სხვა ტიპებს მეტი ინიციატივა ესაჭიროებათ. მაგალითად, თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მიღება ყველაზე დიდ ინიციატივას საჭიროებს. (იხ. თავი 6). ზოგი ქმედება, რომელიც შედარებით დიდ ინიციატივას მოითხოვს (მიტინგებზე დასწრება და საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობა), უკავშირდება საარჩევნო პროცესს; სხვები კი, როგორცაა საკანონმდებლო ორგანოში დებატებზე დასწრება და კონგრესისადმი მიმართულების გაგზავნა – არა. აშშ-ში მოქალაქეთა კონტაქტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ 2/3 მონაწილეობას განიხილავს ფართო მიზნებთან კავშირში და მხოლოდ 1/3 – პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით (Verba and Nye, 1972).

• ადრე უკვე აღინიშნა, რომ სასამართლო შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური სარგებლიანობისათვის, ასევე ფართო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. პიროვნება ან ჯგუფი იწყებს საგანგებო სასამართლო პროცესს ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად ე. წ. „ჯგუფური ქმედების სარჩელს.“ ეს ფორმა პირველად გამოიყენეს „ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის ასოციაციის“ ადვოკატებმა „ბრაუნი განათლების სამმართველოს წინააღმდეგ“ სასამართლო პროცესის დროს (1954 წ.), რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო სკოლების დესეგრეგაციის საკითხს. მათ მიღწიეს მიზანი: უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კანონი სახელმწიფო სკოლების სეგრეგაციის შესახებ. ამან არა მხოლოდ ლინდა ბრაუნს, რომელმაც ადრე საქმე, არამედ სხვა, მსგავს სიტუაციაში მყოფ შავკანიანებსაც მისცა უფლება ესწავლათ თეთრკანიანებთან ერთად. მონაწილეობის ეს ფორმა ეფექტიანია ორგანიზებული ჯგუფებისათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ ძალუძს მიღწიოს თავის მიზნებს პრეზიდენტისა და კონგრესის საშუალებით.

მოქალაქეებს შეუძლიათ სცადონ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო პროცესში პირდაპირი მონაწილეობით. ამისათვის ერთ-ერთი გზა კონგრესის მოსმენებზე დასწრებაა, ეს სხლომები საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს და დროდადრო ტარდება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. პოლიტიკურ პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაადვილებლად ეროვნული ხელისუფლების ქვედანაყოფებს ევალებათ სისტემატურად გამოაკვეყნონ ცნობები წესდებების შესახებ. *Federal Register*-ში (ყოველდღიური ბეჭდვითი ორგანო, სადაც ქვეყნდება ყველა შეთავაზებული და მოწონებული წესდების ნუსხა). ეს დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოქალაქეთათვის მათი მოთხოვნისთანავე.

პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეული ფორმები ამერიკაში

ხშირად აქვთ თუ არა ამერიკელებს კონტაქტი ხელისუფლების წრემოდგენლებთან და ხშირად იყენებენ თუ არა პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით? ხუთი ქვეყნის შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ხმის მიცემაში მონაწილეობაა. ამერიკელები, დანარჩენ ოთხ ქვეყანასთან შედარებით, ნაკლებად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. ამავე დროს, ისინი მეტ აქტიურობას იჩენენ მონაწილეობის სხვა ფორმების გამოყენებაში.

მკვლევარებმა შენიშნეს ეს პარადოქსი და დაწერეს: „თუკი ყურადღებას ეროვნული მასშტაბის არჩევნებზე გავამახვილებთ, ვნახავთ, რომ აშშ ხუთი ქვეყნიდან ყველაზე პასიურია... მაგრამ, თუ განვიხილავთ სხვა მაჩვენებლებს, პოლიტიკური აპათიის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ შეერთებულ შტატებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური აქტიურობის მაღალი დონე ასახავს მონაწილეობის ორივე – ჩვეული და უჩვეულო – ფორმის საკმაოდ ოპტიმალურ შეფარდებას“ (Kaase and Marsh, 1979). ცხადია, შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილეობის დაბალი პროცენტი გარკვეულად გამოცანას წარმოადგენს. ჩვენ ქვემოთ შევხებით ამ „გამოცანას“, მაგრამ თავიდან ყურადღებას გავამახვილებთ არჩევნებზე და საარჩევნო სისტემებზე.

პოლიტიკური მონაწილეობა ხმის მიცემის საშუალებით

საარჩევნო პროცესი დემოკრატიული ხელისუფლების საფუძველია. დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ქვეყნებს განასხვავებენ იმის მიხედვით, ტარდება თუ არა ქვეყანაში არჩევნები და თუ ტარდება – რა სახისა. არჩევნები მნიშვნელოვანია დემოკრატიისათვის, რადგან პროცედურული დემოკრატიის სამი ნორმატიული პრინციპის საშუალებით მას შეუძლია სამთავრობო პროცესში მოახდინოს მასების მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაცია (ეს განხილული იყო პირველ თავში). საარჩევნო წესები ადგენენ: 1) *ვისა აქვს* ხმის უფლება; 2) *რამდენად ფასობს* თითოეული მოქალაქის ხმა; 3) *რამდენი ხმა* არის საჭირო გამარჯვების მოსაპოვებლად.

• არჩევნები ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ფორმალური პროცედურაა. ხმის მიცემა არის მოქმედება, რომელსაც ასრულებს პიროვნება არჩევნების დროს ალტერნატიულ კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთებისას.

პოლიტიკური მონაწილეობის ფორმალიზაცია ხდება ხმის მიცემის და ხმების დათვლის წესების მეშვეობით, ამით საარჩევნო სისტემები საშუალებას აძლევენ მრავალრიცხოვან ადამიანებს, რომელთაც ცალ-ცალკე მცირე პოლიტიკური ძალა აქვთ, განახორციელონ დიდი პოლიტიკური ძალაუფლება. საარჩევნო სისტემების საშუალებით ერთობლივად წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მართოს და, გარკვეულ შემთხვევებში, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ.

არჩევნების ჩატარების უბრალო ფაქტი ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ის განსაკუთრებული წესები და გარემოებანი, რომლებიც განაპირობებენ ხმის მიცემას. დემოკრატიის თეორიის თანახმად, ხმის მიცემის შესაძლებლობა ყველას უნდა ჰქონდეს. თუმცა, პრაქტიკაში არცერთი ქვეყანა არ იძლევა ხმის მიცემის უნივერსალურ უფლებას. ყველა ქვეყანას აქვს ასაკობრივი შეზღუდვები ხმის მიცემის უფლების მინიჭებისას. გარდა ამისა, ამ უფლებას არ აძლევენ მოქალაქეობის არქონის, დანაშაულის ჩადენის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სხვა შემთხვევებში. როგორია აშშ-ში არჩევნებში მონაწილეობის უფლების სურათი?

ხმის მიცემის უფლების გაფართოება აშშ-ში

შეერთებული შტატები იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც „მასების“ ხმის მიცემის უფლების საშუალებით უზრუნველყო წარმომადგენელთა საყოველთაო არჩევნები. თუმცა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მაინც არ იყო უნივერსალური. კონსტიტუციის შექმნის პერიოდში ყველა მოზრდილისათვის ხმის უფლების მინიჭების იდეა იმდენად რადიკალური იყო, რომ არ შეიძლებოდა მისი სერიოზული აღქმა და, მით უმეტეს, მიღება. ხმის უფლების მინიჭება კონსტიტუციის შემდგენლებმა მიანდეს თვით შტატებს, მხოლოდ ერთი პირობის დათქმით: იმ პიროვნებას, რომელსაც შეეძლო ხმა მიეცა „შტატის საკანონმდებლო დაწესებულების ყველაზე მრავალრიცხოვანი განსტოებისათვის“, ასევე შეეძლო მიეცა ხმა თავისი წარმომადგენლისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში (მუხლი 1, ნაწილი 2).

თავდაპირველად, შტატების უმრავლესობამ წამოაყენა გარკვეული მოთხოვნები, კერძოდ, გადასახადების გადახდა და უძრავი ქონების ფლობა, როგორც ხმის მიცემის უფლების პირობა, რითაც შეზღუდა პოლიტიკური თანასწორობა. მაგალითად, ვირჯინიის შტატში საარჩევნო ხმის უფლების მისაღებად აუცილებელი იყო მოქალაქეს კერძო საკუთრებაში ჰქონოდა 25 აკრი ათვისებული ან 500 აკრი ათვისებული მიწის ნაკვეთი. 13-მა შტატმა ამ მოთხოვნების შეცვლა დაიწყო 1800 წლის შემდეგ. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება სწრაფად გაფართოვდა 1815 წლის შემდეგ, როდესაც შემოერთებული იქნა „დასავლეთის“ შტატები (ინდიანა, ილინოისი, ალაბამა), რომელთა მიწები ნაყოფიერი და კარგად დასახლებული იყო. 1850-იანი წლებისთვის თითქმის ყველა შტატში გაუქმდა მოთხოვნა გადასახადის გადახდისა და უძრავი ქონების ფლობის შესახებ, რამაც ხმის მიცემის უფლება მიანიჭა მუშათა კლასს, კერძოდ, მისი პრობითი სქესის თეთრკანიან წარმომადგენლებს. შავკანიანებისა და ქალეებისათვის ხმის უფლების მინიჭებას უფრო დიდი დრო დასჭირდა.

შავკანიანებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება. კონსტიტუციის მეტოხუთმეტე შესწორება, რომელიც 1870 წელს მიიღეს, უკრძალავდა შტატებს საარჩევნო ხმის უფლებაზე უარის თქმას რასის, კანის ფერის და წარსულში მონობაში ყოფნის გამო. მიუხედავად ამისა, ყოფილი კონფედერაციის სამხრეთის შტატებმა ამ შესწორებას „შემოუარეს“ ზოგი შეზღუდვის აღდგენით (გადასახადი არჩევნებში მონაწილეობისათვის, წერა-კითხვის ცოდნის შემოწმება),

რომლებიც შაკვანიანების წინააღმდეგ იყო მიმართული. შესწორებაში არაფერი იყო ნათქვამი კერძო ორგანიზაციების არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე. ასე, რომ, შაკვანიანებს არ ჰქონდათ „კერძო“ ორგანიზაციების, მაგალითად, დემოკრატიული პარტიის პირველად არჩევნებში მონაწილეობის უფლება საყოველთაო არჩევნებისათვის კანდიდატების შესარჩევად. იმის გამო, რომ, სამხრეთის შტატების პოლიტიკის სათავეში დემოკრატიული პარტია მოექცა, „თეთრი პირველადი არჩევნების“ მეშვეობით, მიუხედავად XV შესწორებისა, მოხდა შაკვანიანებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა. გარდა ამისა, სამხრეთის შტატების ბევრ რეგიონში, ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით, შაკვანიანები იძულებული იყვნენ თავი აერიდებინათ არჩევნებში მონაწილეობისთვის.

შაკვანიანებისთვის საარჩევნო უფლებების მიცემა ორ ეტაპად მოხდა (20 წლის შუალედით). 1944 წელს უზენაესმა სასამართლომ, ერთ-ერთი პროცესის დროს („*სმიტი ოლრაითის წინააღმდეგ*“) დაადგინა, რომ ის კანონები, რომლებიც ხელს უშლიდნენ პირველად არჩევნებში შაკვანიანების მონაწილეობას, არაკონსტიტუციური იყო, ვინაიდან პარტიის პირველადი არჩევნები ოფიციალური პირების საყოველთაო არჩევნების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა (Smith v. Allwright, 1944). 1965 წელს მიღებულმა „აქტმა საარჩევნო უფლებების შესახებ“, რომელიც ხუთი თვის შემდეგ მოჰყვა სელმის „სისხლიან კვირადღეს“, გააუქმა შაკვანიანების ტესტირების დისკრიმინაციული წესები. აქტის მიხედვით, ფედერალურ რეგისტრატორებს ევალებოდათ რეგისტრაციაში გაეტარებინათ ხმის მიმცემნი სამხრეთის შვიდ შტატში, სადაც 1964 წლის არჩევნებში რეგისტრირებული იყო საარჩევნო ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები. 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ დადგინებით საქმეზე „*პარპერი ვირჯინიის შტატის საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ*“, საარჩევნო გადასახადი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

ეროვნული მთავრობის ამ ღონისძიებებმა შტატებში პოლიტიკური თანასწორობის გასაძლიერებლად მკვეთრად გაზარდა სამხრეთელი შაკვანიანების არჩევნებში რეგისტრაციის მაჩვენებელი, თუმცა ამ საქმეს მართლაც დიდი დრო დასჭირდა.

საარჩევნო ხმის მინიჭება ქალებისათვის. ქალებმა ასევე დიდი დრო და ენერგია მოანდომეს ხმის მიცემის უფლების მოპოვებას. 1869 წლამდე ქალებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება არც აშშ-ში და არც სხვა რომელიმე ქვეყანაში (Ladd, 1985). ხმის მიცემის უფლების მოპოვებისათვის ქალებმა ორგანიზება დაიწყეს 1800-იანი წლების შუახანებში. „საფრეჯისტებად“ ცნობილ ამ პირველ ფემინისტებს თავიდან დიდი გავლენა არ მოუხდენიათ პოლიტიკაზე. პირველ გამარჯვებას მათ მიადწიეს 1869 წელს, როდესაც ვაიომინგმა, ჯერ კიდევ ტერიტორიის სტატუსის მქონემ, მისცა მათ ხმის უფლება. არც ერთ სხვა შტატს არ გადაუდგამს ასეთი ნაბიჯი 1893 წლამდე; ამ წელს კოლორადოს შტატმა მიანიჭა ქალებს ხმის უფლება.

1896-1918 წლებში კოლორადოს მიბაძა 12 სხვა შტატმა. მათი უმრავლესობა დასავლეთით იყო განლაგებული, სადაც მიწის პირველ ამთვისებლებს („პიონე-


რებს“) შორის ქალის როლი საკმაოდ ხშირად სცილდებოდა მის ტრადიციულ როლს ოჯახში. ქალების მოძრაობა ხმის მიცემის უფლებისათვის ქვეყნის მასშტაბითაც გაძლიერდა. ხშირად იგი ღებულობდა უჩვეულო ფორმებს, რაც მამაკაცთა და, ზოგჯერ, ქალების მხრიდანაც გაცხარებულ წინააღმდეგობას აწყობდა. 1919 წლის ივნისში კონგრესმა საბოლოოდ მიიღო კონსტიტუციის XIX შესწორება, რომელიც უკრძალავდა შტატებს ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას სქესის მიხედვით. შესწორება რატიფიცირებული იქნა 1920 წლის აგვისტოში, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის.

ამერიკაში ხმის უფლების გაფართოების შეფასება. ხმის უფლების უკანასკნელი მნიშვნელოვანი გაფართოება შეერთებულ შტატებში მოხდა 1971 წელს, როდესაც კონსტიტუციის XXVI შესწორების თანახმად, ამომრჩეველთა ასაკი 18 წლამდე შემცირეს. ამერიკა დიდი ხნის განმავლობაში შორს იდგა ხმის უფლების უნივერსალური, დემოკრატიული იდეალისაგან. თუმცა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, იგი საკმაოდ დემოკრატიულად გამოიყურებოდა. ნორვეგიაში 1921 წლამდე, საფრანგეთში – 1944 წლამდე, იტალიაში, იაპონიასა და ვენესუელაში – 1946 წლამდე, ბელგიაში – 1948 წლამდე და შვეიცარიაში – 1971 წლამდე დარღვეული იყო თანასწორუფლებიანობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ხმის უფლების თვალსაზრისით (Crewe, 1981).

◆ ძნელია რასობრივი ნიშნით ხმის მიცემის შეზღუდვების შედარება, რადგანაც დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობას არა აქვს ისეთივე რასობრივი სტრუქტურა, როგორც აშშ-ს. მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაორის ხალხმა (ახალი ზელანდია) ხმის უფლება მოიპოვა 1867 წელს, მაშინ, როდესაც ავსტრალიელ აბორიგენებს არ ჰქონდა ხმის უფლება 1961 წლამდე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არადემოკრატიულ სამხრეთ აფრიკაში შაკანინანებს საერთოდ არ ჰქონდათ საარჩევნო უფლებები 1993 წლამდე. ქვეყნების უმრავლესობას, რომლებიც თავისუფალ არჩევნებს ატარებენ, ამომრჩეველთა მინიმალურ ასაკად მიჩნეული აქვთ 18 წელი (არცერთ ქვეყანაში არ არის ამაზე დაბალი ასაკი).

ხმის მიცემის რილი პოლიტიკაში

◆ ჯგუფები, რომლებსაც არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, იბრძოდნენ მის მოსაპოვებლად, ვინაიდან ხმის უფლებას მოაქვს პოლიტიკური ძალაუფლება. ამერიკის შეერთებულ შტატებში რწმენა იმისა, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და მთავრობის კონტროლი საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით, განსაკუთრებით ძლიერი იყო პროგრესივიზმის პერიოდში (დაახლოებით 1900-1925 წწ.). პროგრესივიზმი იყო იმ პოლიტიკური რეფორმის ფილოსოფია, რომელიც ნდობას უცხადებდა ცალკეული მოქალაქის ზნეობრიობას და სიბრძნეს, მაგრამ არ ენდობოდა „სპეციალური ინტერესების“ მქონე ჯგუფებს (რკინიგზებს, კორპორაციებს) და პოლიტიკურ ინსტიტუტებს (ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებსა და საკანონმდებლო ორგანოებს).



ბრძოლა ქალების ხმის უფლებებისათვის... და მის წინააღმდეგ მხოლოდ ახალგაზრდები და უმცირესობანი როლი მიმართავენ პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმებს. 1800-იანი წლების ბოლოს და 1900-იანი წლების დასაწყისში ქალები მართავდნენ მანიფესტაციებს და დემონსტრაციებს თანასწორი ხმის უფლების მოსაპოვებლად. ზოგჯერ ისინი ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. მათ შეკრებებს არბევდნენ მამაკაცები, აგრეთვე ის ქალები, რომლებიც ქალთა უფლებების გაზრდის წინააღმდეგი იყვნენ

პროგრესივიზმის ლიდერები იყვნენ მოწინავე პოლიტიკოსები (ყოფილი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი, ვისკონსინელი სენატორი რობერტ ლა ფოლეთი) და ცნობილი მეცნიერები (ისტორიკოსი ფრედერიკ ჯექსონ ტერნერი, ფილოსოფოსი ჯონ დიუი). ისინი უარს ამბობდნენ პარტიის მიერ შერჩეული კანდიდატებისთვის ხმის მიცემაზე. ამიტომ მხარს უჭერდნენ პირდაპირ პირველად არჩევნებს – წინასწარ არჩევნებს, რომელთაც ატარებენ შტატების მთავრობები, სადაც ამომრჩეველები პარტიულ კანდიდატებს არჩევენ საყოველთაო არჩევნებისათვის. უნდოდათ რა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა არჩეული კანდიდატების მთავრობიდან გამოყვანა, პროგრესივისტებმა მხარი დაუჭირეს გამოწვევას სპეციალური არჩევნების საფუძველზე, რომელიც ჩატარდებოდა ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობის მიერ ხელმოწერილი პეტიციის საფუძველზე.

პროგრესივისტები კანონების წარდგენასა და გატარებაში ასევე ეყრდნობოდნენ მასების საარჩევნო ძალას. ამით ისინი უახლოვდებოდნენ უშუალო დემოკრატიას – მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებაში. ამისათვის მათ განავითარეს ორი მექანიზმი, რომელიც დღესაც გამოიყენება.

- რეფერენდუმი – ეს არის ხალხის მიერ პირდაპირი ხმის მიცემა წარმოდგენილი კანონის ან შტატის კონსტიტუციაში შესწორების შეტანის თაობაზე. კენჭისყრისთვის წარდგენილი საკითხები ცნობილია, როგორც წინადადებები. დაახლოებით ოცდახუთი შტატი ატარებს რეფერენდუმს კანონების თაობაზე; ყველა შტატი, დელავეარის გარდა, ატარებს რეფერენდუმს საკუთარ კონსტიტუციაში შესწორებების თაობაზე. წინადადებათა უმეტესობას რეფერენდუმზე აყენებენ საკანონმდებლო ორგანოები და არა ამომრჩევლები.

- ინიციატივა – ეს არის პროცედურა, რომლის საშუალებითაც ამომრჩევლებს შეუძლიათ ისეთი პრობლემის წარდგენა, რომელიც გადაწყვეტილი იქნება საკანონმდებლო ორგანოების მიერ ან ხალხის მიერ – რეფერენდუმზე. ეს პროცედურა მოიცავს რეგისტრირებული ამომრჩევლების განსაზღვრული რაოდენობის ხელმოწერების შეგროვებას (ჩვეულებრივ, შტატის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხუთიდან ათ პროცენტამდე). ამის შემდეგ ხდება პეტიციის შეტანა შტატის შესაბამის დაწესებულებაში. ამომრჩეველთა ინიციატივის ცალკეულ ფორმებს ოცამდე შტატი უზრუნველყოფს.

ერთი მეცნიერის გამოანგარიშებით 1898 წლიდან ჩატარდა 17 ათას რეფერენდუმზე მეტი, ხოლო 1968 წლიდან 1978 წლამდე კი – 2300-ზე მეტი (Magleby, 1984). 1980-იან წლებში თითოეულ საყოველთაო არჩევნების ოფიციალურ სარჩევნო ბიულეტენში შეჰქონდათ 250-მდე ისეთი საკითხი, რომელიც ცალკეულ შტატს ეხებოდა, თუმცა მათგან შედარებით მცირე რაოდენობა (ჩვეულებრივ 50-ზე ნაკლები) მოხდა ბიულეტენში ინიციატივის შედეგად (Cronin, 1989). 1992 წლის არჩევნებისას 23 შტატში მოქალაქეთა ინიციატივებმა შექმნა უშუალო კანონშემოქმედების შესაძლებლობა – საკითხები სარჩევნო ბიულეტენებში იქნა შეტანილი.

რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა პროგრესივისტების მიერ ხელისუფლებაში უშუალო მონაწილეობის მექანიზმის შემუშავებას? ერთ-ერთმა მეცნიერმა, რომელიც სწავლობდა ინიციატივის და რეფერენდუმის უფლების გამოყენებას, არასახარბიელო სკრატი დააკვირდა. მან შენიშნა, რომ 1980-იან წლებში განვითარდა ძვირადღირებული „ინდუსტრია“, რომელიც ფულს აკეთებდა პეტიციებზე ხელმოწერების შეგროვებით და შემდგომ დიდ თანხებს იყენებდა რეფერენდუმის მხარდამჭერი (ან მისი საწინააღმდეგო) კამპანიების დასაფინანსებლად (Magleby, 1984, p.59). 1990 წელს, სხვადასხვა სამრეწველო კორპორაციებმა 10 მილიონ დოლარად ღირებული კამპანია გააჩაღეს „დიდი მწვანის“ (“Big Green”) საწინააღმდეგოდ: ეს უკანასკნელი იყო გარემოს დაცვისათვის გამიზნული ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც უნდა შეზღუდულიყო ზღვის ფსკერზე ჭაბურღილების გაჭრა, პესტიციდების გამოყენება და ჰაერის დამბინძურებელი საწარმოების საქმიანობა (Fears on..., 1990).

თანხებმა, რომელიც საჭირო გახდა შტატის მასშტაბით კამპანიის განსახორციელებლად, გაზარდა სარეფერენდუმო პოლიტიკაში განსაკუთრებით დანტერესებული ჯგუფების რიცხვი. ამომრჩეველთა უმრავლესობა აღიარებს, რომ არა აქვთ საკმარისი ცოდნა ბიულეტენში წარმოდგენილ წინადადებათა უმეტესობის შესახებ. ამდენად, მათ არ შეუძლიათ გონივრული არჩევანის გაკეთება.

კალიფორნიაში, 1990 წლის არჩევნებისას, ორასგვერდიან (sic!) ბუკლეტში, რომელიც თან ახლდა საარჩევნო ბიულეტენს, აღწერილი იყო ჩვიდმეტი საკანონმდებლო ინიციატივა და შტატის კონსტიტუციის შესწორება (Reinhold, 1990). მაგრამ სხვა სოლიდური ნაშრომი ასკვნის, რომ უშუალო დემოკრატიის მექანიზმი „უკეთ მუშაობს შტატისა და ადგილობრივ დონეზე, ვიდრე ამას ხალხი აცნობიერებს“. ეს შრომა ჩამოთვლიდა თოთხმეტ დამცავ მექანიზმს იმის საგარანტიოდ, რომ უშუალო დემოკრატია ემსახურება უფრო ფართო და გრძელვადიან საზოგადოებრივ ინტერესებს შტატისა და ადგილობრივ დონეზე. აღნიშნავდა რა, რომ შეერთებული შტატები იყო იმ მცირერიცხოვან დემოკრატიულ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ ატარებენ საყოველთაო რეფერენდუმს, ავტორი მაინც საკანონმდებლო ინიციატივისა და რეფერენდუმის ეროვნულ დონეზე აყვანის წინააღმდეგი იყო (Cronin, 1989, p. 25).

ცხადია, რომ საკანონმდებლო ინიციატივის და რეფერენდუმის საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ მთავრობის პოლიტიკაზე. გაურკვეველია მხოლოდ ის, თუ რამდენად გააუმჯობესებენ უშუალო დემოკრატიის ეს ფორმები იმ პოლიტიკას, რომელსაც არჩეული წარმომადგენლები ახორციელებენ.

ხმის მიცემა კანდიდატებისთვის

ჩვენ ბოლოს განსახილველად შემოვიჩინახეთ პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე თვალსაჩინო ფორმა – კანდიდატების არჩევა საზოგადოებრივ სამსახურში, კანდიდატების არჩევნები დემოკრატიულ ხელისუფლებაში ორნაირი მიზნით ხდება: ჯერ ერთი, ეს საშუალებას აძლევს მოქალაქეებს აირჩიონ ის კანდიდატები, რომლებიც, მათი აზრით, უკეთ მოემსახურებიან ხალხის ინტერესებს; და მეორე – ხმის მიცემა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს ხელახლა აირჩიონ ისინი, ვინც, მათი აზრით, იმედი გააპართლა და გადაირჩიონ ისინი, ვისაც უვარგისად თვლიან. მეექვსე თავში ჩვენ განვიხილავთ იმ ფაქტორებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ხმის მიცემით გაკეთებულ არჩევანს, აქ კი გავარკვევთ ამერიკელების დამოკიდებულებას საარჩევნო პროცესისადმი.

საერთო-ეროვნულ დონეზე ამერიკელები, როგორც ჩანს, კმაყოფილდებიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორი თანამდებობის პირის – პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევით. პრეზიდენტს ამომრჩეველები ანდობენ კაბინეტის დანიშვნას თავისი ადმინისტრაციის სამართავად, რაც შეეხება შტატისა და ადგილობრივ დონეს – აქ ამომრჩეველები დაჟინებით მოითხოვენ ყველა თანამდებობის პირის არჩევას: ყველა შტატი ირჩევს გუბერნატორს, ორმოცდაორი შტატი – გუბერნატორის მოადგილესაც კი, ორმოცდასამი – გენერალურ პროკურორს, ოცდათვრამეტი – ხაზინადარს და შტატის მდივანს, ოცდახუთი – აუდიტორს. სია გრძელდება: ირჩევენ განათლების სუპერინტენდენტს (სამმართველოს უფროსს), სოფლის მეურნეობის მდივანს, ინსპექტორს, განათლების საბჭოს, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიას. ქაუნთის არჩევითი მთავრობის წევრებს მიეკუთვნებიან შერიფი, ხაზინადარი, მდივანი, სასკოლო გა-

ჩანართი 5.1.

რამდენ კაცს ირჩევს ამერიკელი ამომრჩეველი?

არც ერთი ქვეყანა არ მოითხოვს თავისი ამომრჩევლებისგან ამდენი გადაწყვეტილების მიღებას საყოველთაო არჩევნებში, რამდენსაც აშშ. აქ წარმოიდგინეთ ოფიციალური საარჩევნო ბიულეტენის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო ქალაქ კვანსტონის მოქალაქეებისთვის (ილინოის შტატი, კუკის ქაუნთი) 1990 წლის არჩევნებში. აქ მოცემული იყო ოცდასამი სხვადასხვა თანამდებობა: 104 კანდიდატიდან ამომრჩეველებს უნდა აერჩიათ ორმოცდაექვსი. გარდა ამისა, ამომრჩეველებს წარუდგინეს ორმოცდათერთამეტი მოსამართლის სია. მათ უნდა გადაეწყვიტათ, ვინ უნდა დარჩენილიყო დაკავებულ თანამდებობაზე. საარჩევნო ბიულეტენი ასევე მოიცავდა ორ ქაუნთის დონის და ორ საქალაქო რეფერენდუმს. სხვა შტატებში ბიულეტენები დაახლოებით ასეთივე სირთულითაა. თუკი მოქალაქეები ვერ შეძლებენ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას ამ ბიულეტენის საფუძველზე, მათ ამაში ვერც დააღანაშალებ!

(ჩანართის გაგრძელება იქნება)

ნათლების სამმართველოს უფროსი და მოსამართლე (ხშირად – რამდენიმე). ადგილობრივ დონეზეც კი, 15 300 სასკოლო საბჭოდან აბსოლუტური უმრავლესობა (სულ 600-იოდეს გარდა) არჩევითი ორგანოა. ნაცვლად იმისა, რომ შტატისა და ქაუნთის მთავარ აღმასრულებლებს მივანდოთ უფრო ნაკლები დონის ადმინისტრატორების დანიშვნა (რასაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობებისათვის ვანდობთ პრეზიდენტს), ჩვენ, ამერიკელები, მოვლით, რომ ამომრჩეველი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს უამრავი კანდიდატიდან ყველაზე ღირსეულის შესარჩევად, რომელთა გვარებს იგი, უმეტესწილად, პირველად ხვდება საარჩევნო ბიულეტენში (იხ. ბიულეტენის ნიმუში – ჩანართი 5.1.).

დემოკრატიის ამერიკული ვარიანტის თანახმად, ჩვენი კანონები შეუზღუდავად მიიწვევენ ამომრჩევლის უნარს გააკეთოს სწორი არჩევანი კანდიდატებს შორის და ხმის მიცემის საშუალებით გააკონტროლოს მთავრობა. ლოგიკა, როგორც ჩანს, ასეთია: არჩევნები კარგია; რაც მეტია არჩევნები – მით უკეთესი და ყველაზე ბევრი არჩევნები საუკეთესო შედეგს იძლევა! ამ ლოგიკით, შეერთებულ შტატებს ამჟამად საუკეთესო და მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული მთავრობა ჰყავს (ყველა დონეზე), რადგან ის მსოფლიო ჩემპიონია არჩევნების ჩატარებაში. ერთი ავტორი (აივორ კრიუ), როდესაც ადარებს არჩევნებს ამერიკაში და ოცდაექვს დემოკრატიულ ქვეყანაში, ასკვნის:

„ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება ამერიკას არჩევნების სიხშირისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით. არც ერთი სხვა ქვეყანა არ ატარებს ქვედა პალატის არჩევნებს ორ წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის არჩევნებს კი – ოთხ წელიწადში ერთხელ. არც ერთი ქვეყანა არ ირჩევს სახალხო შტატის გუბერნატორს და ქალაქის მერს. არც ერთ ქვეყანაში არ ინიშნება არჩევნები არაწარმომადგენლობითი თანამდებობების (მოსამართლე, შერიფი, გენერალური პროკურორი, ქალაქის ხაზინადარი და სხვა) დაკავებისას. საშუალო ამერიკელს ნებისმიერი სხვა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქესთან შედარებით ბევრად მეტი (დაახლოებით 3-4-ჯერ) არჩევანის გაკეთების უფლება აქვს“ (Creve. 1981. p. 232).

მიუხედავად ამისა, სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან შედარებით, აშშ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ამომრჩეველთა აქტიურობის (არჩევნებში მონაწილეობის) თვალსაზრისით (Miller et al., 1980). მაშ, როგორ შეესაბამება ამერიკელ ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა არჩევნებისადმი – დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტისადმი – ერთგულებას? უფრო ღრმად რომ ჩაუხედოთ მოვლენებს, როგორ შეესაბამება საარჩევნო ურნებთან მისული ამომრჩეველთა დაბალი პროცენტი იმ მონაცემებს, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდით, მონაცემებს, რომლებიც ამერიკას ხუთ დემოკრატიულ ქვეყანას შორის პირველ ადგილზე აყენებს ჩვეული (კონვენციური) თუ უჩვეულო (არაკონვენციური) პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ამერიკელები მზად არიან ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის მისაღებად, გარდა არჩევნებისა!

პოლიტიკური მონაწილეობის ახსნა

თქვენ უკვე ნახეთ, რომ პოლიტიკური მონაწილეობა შეიძლება ატარებდეს ჩვეულ და უჩვეულო ფორმას, შეიძლება მოითხოვდეს მცირე ან დიდ ინიციატივას; ასევე, შეიძლება ემსახურებოდეს ხელისუფლების მხარდამჭერ ან მის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მომხდენ იდეას, ამ განყოფილებაში განხილულია ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ფორმებზე. მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ხმის მიცემაზე. პირველ რიგში, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, მონაწილეობის ფორმების რამდენი ვარიანტი არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მონაწილეობის თავისებურებები სხვადასხვა დროს

გახდენ თუ არა ამერიკელები პოლიტიკურად უფრო აპათიურნი? 1952-88 წლებში მონაწილეობის მასშტაბების შესწავლამ მრავალფეროვანი თავისებურებანი გამოავლინა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი *სტატილური* იყო მოქალაქეთა შემდეგი ჯგუფებისათვის: ისინი, ვინც თავისი კანდიდატებისათვის მუშაობდა (3-6 პროცენტი), ვინც ესწრებოდა პარტიულ კრებებს (6-9 პროცენტი), ვინც არწმუნებდა ხალხს ამა თუ იმ არჩევანის სისწორეში საპრეზიდენტო არჩევნების წლებში (29-35 პროცენტი). ინტერესი საარჩევნო კამპანიებისადმი ხანდახან რვა-ათი პროცენტული პუნქტით იზრდებოდა კიდევ. და მაინც, 1992 წელს, 1988 წელთან შედარებით, ამომრჩეველთა რიცხვის მკვეთრი ზრდის მიუხედავად (56 პროცენტი), მონაწილეობის მაჩვენებელი ზოგადად საპრეზიდენტო არჩევნებში შემცირდა (1952 წელს იყო 63 პროცენტი, 1988 წელს კი ჩამოვიდა 50 პროცენტამდე). ამერიკაში არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი ხომ ისედაც დაბალია სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ კიდევ უფრო მცირდება. ამავე დროს, როცა კენჭისყრაში მონაწილეობის მაჩვენებელი ასე ეცემა, პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმები აღმავლობას განიცდის. რა ხდება? ვინ აძლევს ხმას? ვინ არ აძლევს ხმას? რატომ? აქვს თუ არა, ყოველივე ამას რაიმე მნიშვნელობა?

სტანდარტული სოციალურ-ეკონომიკური ახსნა

• მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი კარგი მაჩვენებელია ჩვეული (კონვენციური) პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების უმეტესობისათვის. მაღალი განათლების, დიდი შემოსავლის მქონე მოსამსახურეები და პროფესიონალები უკეთ ხვდებიან, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკა მათ ცხოვრებაზე. მათ იციან, როგორ უნდა მოახდინონ გავლენა მთავრობის საქმიანობაზე და ამ საქმიანობისათვის საჭირო საშუალებებიც გააჩნიათ (დრო, ფული). ამდენად, ისინი უფრო არიან მზად პოლიტიკაში მონაწილეობისათვის, ვიდრე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე პირები. კავშირს სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსსა და ჩვეულ პოლიტიკურ მონაწილეობას შორის უწოდებენ მონაწილეობის სტანდარტულ სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს (Verba and Nie, 1972).

უჩვეულო პოლიტიკური ქცევა ნაკლებად არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. სხვა ქვეყნებში მონაწილეობის უჩვეულო ფორმების შესწავლამ უჩვენა, რომ საპროტესტო ქმედებები დაკავშირებულია უფრო დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობასთან (Kaase and Marsh, 1979). თუმცა, უჩვეულო პოლიტიკური მონაწილეობის ცალკეული შემთხვევების შესწავლისას შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა, რომ პროტესტის გამომხატველები (ძირითადად, შავკანიანები) ხშირად უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონენი არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ იღებს მონაწილეობას ამ აქციებში.

ადამიანები არაერთგვაროვნად იღებენ გადაწყვეტილებას პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი მთლიანად ვერ ხსნის ამ განსხვავების მიზეზს. მეორე კრიტერიუმი ასაკია. ახალგაზრდები უფრო არიან მზად პოლიტიკურ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ პოლიტიკური მონაწილეობის ჩვეულ ფორმებს ნაკლებად მიმართავენ. ხმის მიცემის რაოდენობრივი მაჩვენებელი იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად (დაახლოებით 65 წლამდე), ამის შემდეგ კი უკვე ის ასაკია, როდესაც ფიზიკური უძლეობა მატულობს და, შესაბამისად, ქვეითდება მაჩვენებელიც (Gant and Luttbeg, 1991).

ორი სხვა ცვლადი – რასა და სქესი – წარსულში გავლენას ახდენდა მონაწილეობაზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს კავშირიც შეიცვალა. შავკანიანები, რომელთაც 1950-იან წლებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ამჟამად უტოლდებიან თეთრკანიანებს. ასევე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ წარსულში ქალებს. მაგრამ დღეისათვის თითქმის მთლიანად გაქრა განსხვავება სქესის საფუძველზე. ბოლოდროინდელი კვლევისას ხმის მიცემის სოციალური საფუძველის შესახებ აღმოჩნდა, რომ დაქორწინებული მამაკაცები და ქალები უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას ხმის მიცემაში, ვიდრე დაუქორწინებლები (Straits, 1990).


ჩვეული პოლიტიკური მონაწილეობის სხვადასხვა ტიპების ახსნისათვის სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა

ენიჭება განათლებას. განათლების დონესა და ჩვეული პოლიტიკური მონაწილეობის ფორმებს შორის მჭიდრო პირდაპირპროპორციული კავშირია (Center... 1989). მჭიდრო კავშირი განათლებასა და საარჩევნო მონაწილეობას შორის ბადაბს კითხვას სხვა ქვეყნებთან შედარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის შესახებ. ფაქტია, რომ კოლეჯდამთავრებულთა ხვედრითი წილი ამერიკაში უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. უფრო მეტიც, ეს ხვედრითი წილი სტაბილურად იზრდება. მაშ, რატომაა ამომრჩეველთა მონაწილეობის მაჩვენებელი ასეთი დაბალი? რატომ კლებულობს იგი დროთა განმავლობაში?

არჩევნებში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი ამერიკაში

ხმის მიცემა არის მონაწილეობის დაბალინივთიანი ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს პოლიტიკური მონაწილეობის განმაპირობებელ სამივე მოტივს – ქვეყნისადმი ერთგულების გამოხატვას, კერძო სარგებლობის მიღებას და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენას. თუ გამოვრიცხავთ 1992 წელს, 1960 წლიდან ამერიკაში კლებულობს ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი მაშინ, როცა იზრდება ინტერესი მონაწილეობის სხვა ფორმებისადმი (იხ. ნახ. 5. 2). ამერიკელები, სხვა ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად, შეიძლება მეტადაც კი, მონაწილეობდნენ პოლიტიკაში ჩვეული და უჩვეულო მეთოდებით. და მაინც, 1992 წლის არჩევნებში აქტივობის მოულოდნელად მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად (მონაწილეობა მიიღო 56-მა პროცენტმა), ამერიკელები ამ მაჩვენებლით მკვეთრად ჩამორჩებიან სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეებს. ამას რაღაცა ახსნა უნდა მოეძებნოს.

• *არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის შემცირება სხვადასხვა პერიოდში.* ამომრჩეველთა ხვედრითი წილის ყველაზე მკვეთრი დაცემა (5 პროცენტული პუნქტით) აღინიშნა 1968 და 1972 წლებს შორის. ამ პერიოდში, კერძოდ, 1971 წელს, რატიფიცირებულ იქნა კონსტიტუციის XXVI შესწორება. ამ შესწორების თანახმად, მინიმალურ საარჩევნო ასაკად დაკანონდა თვრამეტი წელი (ნაცვლად მანამდე მიღებული ოცდაერთისა). ოცდაერთ წლამდე ასაკის ადამიანები, ჩვეულებრივ, ნაკლებად არიან დაინტერესებული ხმის მიცემით. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ამ კონსტიტუციურ შესწორებას მოჰყვა ეროვნულ არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის (ფაქტობრივ მონაწილეთა შეფარდება საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა საერთო რაოდენობასთან) ერთგვარი შემცირება. ზოგიერთი მკვლევარის გამოთვლით, საარჩევნო ასაკის დაწვეამ 18 წლამდე გამოიწვია არჩევნებში მონაწილეობის შემცირება სულ 1-2 პროცენტული პუნქტით 1952 წელთან შედარებით (Shabbcer, 1981; Abramson and Aldrich. 1981), მაგრამ მაშინ აუხსენელი რჩება კიდევ 10 პროცენტული პუნქტით შემცირება.



ნახაზი 5.2. არჩევნებში მონაწილეობის შემცირება: აუხსნელი გამოცანა
 შეერთებულ შტატებში ხმის მიცემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია განათლების დონე. იმ მოქალაქეთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ოცდახუთ წელზე მეტი ხნის არიან და აქვთ საშუალო ან უფრო მაღალი განათლება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტაბილურად იზრდება. მიუხედავად ამისა, 1960 წლიდან მოყოლებული, მცირდება ხმის მიცემის საერთო მაჩვენებელი. ეს მოვლენა მიხსნულია ამოუხსნელ ამოცანად. მართალია, არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელმა 1992 წელს 56 პროცენტამდე აიწია, მაგრამ მხოლოდ დრო გვიჩვენებს, არის თუ არა ეს პროცენტის შემობრუნების სიგნალი (წყაროები: Nelson, 1989; Statistical Abstract of the United States, 1990, Washington, D.C., U.S. Government Printing Office, 1990, p.133)

მკვლევარებს უჭირთ იმ თავსატეხის ახსნა, თუ რატომ დაიწყო არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის კლება 1968 წლის შემდეგ. ზოგიერთი მათგანი ამ მოვლენას უკავშირებს ამომრჩევლების დამოკიდებულების შეცვლას პოლიტიკისადმი: ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია იმდგაცრეუბა მთავრობის მიმართ, ვინაიდან ის არ პასუხობს ყველა მოთხოვნას და ამიტომ ითვლება, რომ „ქენჭისყრას აზრი არა აქვს“. სხვა ფაქტორია პოლიტიკური პარტიებისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მათ შორის პარტიული იდენტიფიკაციის შესუსტება (Teixeira, 1987).

შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის შედარება სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან. მიუხედავად იმისა, რომ განათლების დონე მაღალია და ამერიკელები ჩვეულებრივზე მეტად მონაწილეობენ პოლიტიკური საქმიანობის სხვადასხვა ფორმებში, არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აქ მაინც დაბალია. ამის ასახსნელად მკვლევარები ეყრდნობიან ორ ფაქტორს. პირველი ის არის, რომ არსებობს განსხვავება საარჩევნო კანონებსა და ადმინისტრაციულ სისტემას შორის. ხმის

მიცემა ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულოა. ამდენად, მაღალია ამომრჩეველთა მონაწილეობაც. გარდა ამისა, არსებობს ხმის მიცემის წამახალისებელი სხვა გზებიც: არჩევნების დღის უქმედ გამოცხადება, ორდღიანი არჩევნების ჩატარება, იმ პირთა ბიულეტენების ჩაგდება, რომლებიც თვითონ არ გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში (აბსენტიზმის ბიულეტენები). ამერიკაში ამ ხერხიდან არცერთს არ მიმართავენ, ამომრჩევლის რეგისტრაციაც ინდივიდუალური საქმეა, მაშინ, როცა თითქმის ყველა სხვა დემოკრატიული ქვეყანა რეგისტრაციის ტვირთს უფრო ხელისუფლებას აკისრებს, ვიდრე ცალკეულ ამომრჩეველს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ხმის მიცემა შეერთებულ შტატებში ორსაფეხურიანია. პირველი – რეგისტრაცია, მოითხოვს მეტ ინიციატივას, ვიდრე მეორე – საარჩევნო ყუთთან მისვლა და ბიულეტენის ჩაგდება. შტატების უმეტესობაში რეგისტრაციის პროცესი დროით (ჩვეულებრივ, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე) და ადგილმდებარეობით (ხშირად, ქაუნთის სასამართლოს შენობაში და არა საარჩევნო უბანში) გამოყოფილია ხმის მიცემის პროცესისაგან. უფრო მეტიც, რეგისტრაციის პროცედურა ხშირად ბუნდოვანია და, ამდენად, მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა უნდა გაკეთდეს. ადამიანებმა, რომლებიც გადაადგილდებიან (აშშ მოსახლეობის 1/3 საცხოვრებელს იცვლის საპრეზიდენტო არჩევნებს შორის პერიოდში), ხელმეორედ უნდა გაიარონ რეგისტრაცია. მოკლე, მიუხედავად იმისა, რომ ხმის მიცემა მოითხოვს მცირე ინიციატივას, რეგისტრაცია საჭიროებს დიდ ინიციატივას. ამდენად, თუკი არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელს გამოვიანგარიშებთ რეგისტრაციის მონაცემების საფუძველზე გამოდის, რომ რეგისტრირებული ამერიკელი ამომრჩეველების 87 პროცენტი აძლევს ხმას. ამ მონაცემების საფუძველზე, შეერთებული შტატები დემოკრატიული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს უტოლდება, თუმცა ნუსხის ზედა ნაწილში მაინც ვერ ხვდება (Glass et al., 1984).

მეორე ფაქტორი, რომელსაც ხშირად ახსენებენ ამერიკის არჩევნებში დაბალი მონაწილეობის ასახსენლად, არის აშშ-ში ისეთი პოლიტიკური პარტიების უქონლობა, რომლებსაც ძალუძთ გარკვეული სოციალური ჯგუფების, განსაკუთრებით, დაბალი კლასისა და დაბალი განათლების მქონე ადამიანების, არჩევნებისათვის მობილიზება. ამერიკის პარტიები ნაწილობრივ ცდილობენ იმუშაონ ამ მიმართულებით. თუმცა, მათი კავშირი ცალკეულ ეთნიკურ, პროფესიულ და რელიგიურ ჯგუფებთან (როგორც ეს სხვა ქვეყნებშია) არ არის იმდენად ძლიერი. ერთი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ პარტია-სოციალური ჯგუფის მჭიდრო კავშირს შეუძლია საგრძნობლად გაზარდოს არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი (Powell, 1986).

ამ ორ ფაქტორს, რეგისტრაციის სირთულეს და პარტია-სოციალური ჯგუფის კავშირის უქონლობას, დავუმატებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ხმის მიცემა მოითხოვს ნაკლებ ინიციატივას, საარჩევნო ბიულეტენებში მრავალრიცხოვანი კანდიდატების შესწავლა მოითხოვს საკმაოდ დიდ ინიციატივას. ზოგს უბრალოდ არ შეუძლია ხმის მიცემა: ისინი თვლიან, რომ მათთვის მძიმეა არჩევანის გაკეთება შტატების საარჩევნო ბიულეტენებში წარმოდგენილ მრავალრიცხოვან კანდიდატს შორის.

მიმომხილველები და საზოგადოებრივი მოღვაწეები თვლიან, რომ ამომრჩეველთა მცირე რაოდენობა მეტყველებს გარკვეული სახის პოლიტიკურ უძლეურებაზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ცუდ დემოკრატიაზე. დანარჩენებს ეს ნაკლებად აინტერესებთ*. არჩევნებში მონაწილეობა პოლიტიკური მონაწილეობის მხოლოდ ერთი ფორმაა, რაც შეეხება სხვა ფორმებს – აქ ამერიკელები უკეთ გამოიყურებიან. უფრო მეტიც: ერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ

„არჩევნებში მონაწილეობის მანიკუნებელი არ ასახავს „არჩევნის მოცულობას“ – შემახვევითაა სიხშირეს, ორგანიზებისა და გადაწყვეტილებების სიქეტრს, „ხმის წონას“ – რაც ქვეყნის მოქალაქის უფლებებში შედის... ამრიგად, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის მანიკუნებელი აშშ-ში უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში, ეს არ ნიშნავს, რომ ამერიკელი მოქალაქეები ნაკლებად მონაწილეობენ არჩევნებში; შეიძლება, სულაც პირიქით“ (Crews. 1981. p. 262).

პოლიტიკური მონაწილეობა და თავისუფლება, თანასწორობა და წესრიგი

როგორც ვნახეთ, ამერიკელები, სხვა დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეების მსგავსად, სხვადასხვა გზით იღებენ მონაწილეობას მართვაში. რა კავშირშია პოლიტიკური მონაწილეობა ისეთ ფასეულობებთან, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა და წესრიგი?

პოლიტიკური მონაწილეობა და თავისუფლება

ნორმატიული თეორიის თვალთახედვით, პოლიტიკურ მონაწილეობასა და თავისუფლებას შორის კავშირი აშკარაა. პიროვნებას უნდა გააჩნდეს თავისუფლება, მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლებასა და პოლიტიკაში იმ გზით და იმ ზომით, რაც მას სურს. მას, აგრეთვე, უნდა გააჩნდეს თავისუფლება არ მიიღოს მონაწილეობა. იდეალურ შემთხვევაში მონაწილეობისათვის მოხსნილი უნდა იყოს ყველა ბარიერი, როგორიცაა ხმის მიცემის რეგისტრაციის შემზღუდავი სისტემა და საარჩევნო კამპანიისთვის ხარჯების შეზღუდვა, მაგრამ, აგრეთვე, არც ხმის მიცემა უნდა იყოს სავალდებულო.

● თეორიულად, მონაწილეობის თავისუფლება იმასაც გულისხმობს, რომ პიროვნებას უნდა შეეძლოს თავისი სიმდიდრის, კავშირების, ცოდნის, ორგანიზაციული ნიჭის ან სხვა შესაძლებლობის გამოყენება მთავრობის გადაწყვეტი-

* ერთმა მიმომხილველმა მოსწრებულად შენიშნა, რომ „არჩევნებში მონაწილეობის დაბალი მანიკუნებელი ნიშნავს, რომ ხალხი პოლიტიკას თავისი ცხოვრებისათვის გადამწყვეტად არ მიიჩნევს – ის მათთვის არც ხსნა და არც უბედურება... არჩევნებში მონაწილეობის დაბალი მანიკუნებელი ყველაზე კარგი ინდიკატორია იმისა, რომ ხალხი კმაყოფილია.“ (Krauthammer, 1990, p. 88).

ლებებზე გავლენის მოსახდენად (იგულისხმება კანონიერი გზები). ყველა ამ საშუალებიდან ინდივიდუალური ხმის მიცემა, თავისუფლების თვალსაზრისით, შეიძლება იყოს ყველაზე სუსტი და პოლიტიკური ზეგავლენის მოსახდენად – ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი. ნათელია, რომ თავისუფლება, როგორც ფასეულობა, სხვა ფაქტორებთან შედარებით, პოლიტიკური მონაწილეობის დროს ყველაზე უკეთ ემსახურება იმათ, ვისაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესის დაკმაყოფილებისთვის ყველაზე მეტი რესურსი გააჩნია.

პოლიტიკური მონაწილეობა და თანასწორობა

კავშირი პოლიტიკურ მონაწილეობასა და თანასწორობას შორის აშკარაა. ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა თანაბრად უნდა იყოს შესაძლებელი ყველასთვის. განსხვავებული ინდივიდუალური შესაძლებლობა არ უნდა მოქმედებდეს ღარიბებისა და სხვა მხრივ დაჩაგრული პირების წინააღმდეგ. არჩევნები, პოლიტიკური მონაწილეობის სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაზე კარგად ემსახურება თანასწორობის იდეალს. ბიულეტენების დათვლის ფორმალური წესი „ერთი პიროვნება – ერთი ხმა“ – სპობს განსხვავებას ცალკეული პიროვნებების სხვადასხვა მატერიალურ შესაძლებლობებს შორის.

ამავე დროს, ადამიანთა ჯგუფებს, რომლებსაც მცირე შესაძლებლობა ააჩინათ, შეუძლიათ გააერთიანონ თავისი ხმები უფრო დიდი პოლიტიკური ძალების მისაღწევად. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს ძალა გამოიყენეს ევროპული წარმოშობის სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში წამყვანი ადგილის მოსაპოვებლად და ამ გზით გარკვეული სარგებლის მისაღებად (თავი 4). უფრო გვიან შეაკანინებმა, ესპანურენოვანებმა, ჰომოსექსუალისტებმა და ინვალიდებმა გამოიყენეს ხმის მიცემის უფლება პოლიტიკური აღიარების მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, უმცირესობებს, ხმის მიცემის უფლების მოსაპოვებლად, ხშირად უხდებოდათ მიმართვა პოლიტიკური მონაწილეობის არაკონვენციური ფორმებისათვის.

პოლიტიკური მონაწილეობა და წესრიგი

კავშირი პოლიტიკურ მონაწილეობასა და წესრიგს შორის არაერთგვაროვანია. მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა, მაგალითად, სამშობლოს ერთგულების ფიცის დადება ან არჩევნებში მონაწილეობა, პრინციპში, წესრიგის განმტკიცებას ემსახურება და, ამიტომ, მათ მხარს უჭერენ ისინი, ვინც წესრიგს ყველაზე მეტად აფასებს. მაგრამ მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა უწესრიგობას იწვევს და მათ მიმართ უარყოფითი განწყობაა. ქალებისათვის ხმის მინიჭების უფლებასაც კი ბევრი წინააღმდეგა (არა მარტო კაცები, არამედ ქალების ნაწილიც), ვინაიდან ისინი შიშობდნენ, რომ ამას მოჰყვებოდა სოციალური წესრიგის დარღვევა – ქალისა და კაცის ტრადიციული როლების აღრევა.

პოლიტიკური მონაწილეობის ორივე ფორმამ – ჩვეულმაც და უჩვეულმაც,

შეძლება გამოიწვიოს ოფიციალური პირის თანამდებობიდან განთავისუფლება, მაგრამ თვით *რეჟიმისტვის* – პოლიტიკური სისტემისათვის – უფრო საშიშია პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმა. წესრიგის შენარჩუნებისთვის მთავრობა შეძლებისდაგვარად ცდილობს მონაწილეობის უჩვეულო ფორმა ჩვეულებით შეცვალოს.

- გაიხსენეთ სტუდენტთა მღელვარებები საუნივერსიტეტო ქალაქებში ვიეტნამის ომის დროს, როდესაც ათასობით სტუდენტმა გააჩერა ტრანსპორტი, დაიკავა შენობები, გაანადგურა ქონება და მოქმედებდა სხვა უჩვეულო ფორმებით. სამოქალაქო უწყისრიგობის წინააღმდეგ კონგრესმა დაიწყო მოქმედება. 1971 წლის 23 მარტს მან მიიღო XXVI შესწორება, რომელმაც ამომრჩევლის ასაკი თვრამეტ წლამდე შეამცირა. როგორც ცნობილია, შესწორების საბოლოოდ დასაკანონებლად საჭიროა მისი რატიფიკაცია შტატების ლეგისლატურების სამი მეოთხედის მიერ. ეს განხორციელდა განსაკუთრებულად მოკლე დროში: 1 ივლისამდე უკვე 38-მა შტატმა მოახდინა მისი რატიფიკაცია, რითაც შესწორების რატიფიკაციის სისწრაფის რეკორდი დამყარდა!

იურიდიულ კომისიაში კონგრესის წევრების გამოსვლებში ნათქვამი იყო, რომ თვრამეტ წლამდე საამომრჩევლო ასაკი საჭირო იყო „ახალგაზრდების შინაგანი ენერჯის მოსათოკად და მისი სასარგებლო, კონსტრუქციული გზით წარმართვისათვის, რათა დაეზღვიათ სტუდენტობა ზედმეტი აგრესიულობისაგან და „საშიში, დამანგრეველი აქტივობისაგან“ (Ginsberg, 1982). იგივე მიმომხილველი ამტკიცებდა, რომ ასაკის დაწვევა მოხდა არა ახალგაზრდების, არამედ თანამდებობის პირთა მოთხოვნით, რათა ახალგაზრდობა ჩართულიყო პოლიტიკურ პროცესში, რაც, თავის მხრივ, შეამცირებდა არეულობის ალბათობას (ibid).

პოლიტიკური მონაწილეობა და დემოკრატიის მოდელები

არჩევნები დემოკრატიის ინსტიტუციური მექანიზმია, რომელიც მოქალაქეებს აძლევს, იმის საშუალებას, რომ არჩევანი გააკეთოს ასარჩევ კანდიდატებსა და საკითხებს შორის. თუმცა, არჩევნები სხვა მიზნებსაც ემსახურება (Ginsberg, 1982, pp 6-7).

- *არჩევნების მეშვეობით ხდება პოლიტიკური საქმიანობის სოციალიზაცია, მისი საშუალებით, ცალკეული მოქალაქეების ინიციატივაზე დაფუძნებული სპორადული მოქმედებები გადაიქცევა რუტინულ საზოგადოებრივ ფუნქციად. მაგალითად, ცვლილებისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობა მოქალაქეებს უარს ათქმევინებს ქუჩის დემონსტრაციებზე, ეს კი საშუალებას იძლევა, შენარჩუნებულ იქნეს ხელისუფლების სტაბილურობა მასობრივი პოლიტიკური აქტივობის საშიში ფორმების თავიდან აცილების გზით.*

- არჩევნები პოლიტიკურ ძალაუფლებასთან დაახლოების ინსტიტუციური გზაა. ის შესაძლებლობას აძლევს რიგით მოქალაქეს წარადგინოს თავისი კანდიდატურა პოლიტიკურ სტრუქტურებში ან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს პოლიტიკური ლიდერების არჩევაში, კანდიდატის არჩევისათვის მუშაობა სტიმულს აძლევს საარჩევნო კამპანიის წევრს, გამოკვეთოს პრობლემები და შესთავაზოს კიდევ მათი გადაწყვეტის გზები ახლადღანიშნულ თანამდებობის აირს.
- არჩევნები განამტკიცებს სახელმწიფოს ძლიერებას და ავტორიტეტს, არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ხელს უწყობს მოქალაქეების დარწმუნებას, რომ ხელისუფლება პასუხობს მათ საჭიროებებსა და სურვილებს; ეს ზრდის ხელისუფლების ლეგიტიმურობას.

პოლიტიკური მონაწილეობა და მაჟორიტარიზმი

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელი ადგენს, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა ხალხის მოთხოვნილებები მიმართ ზორციელდება მასების პოლიტიკაში მონაწილეობის საშუალებით. მიუხედავად ამისა, მაჟორიტარული მოდელი პოლიტიკურ მონაწილეობას ფართოდ არ განიხილავს. მაჟორიტარიზმი უპირატესობას ანიჭებს ჩვეული, ინსტიტუციონალიზებული ქცევის ვიწრო ფორმას – არჩევნებში მონაწილეობას. კერძოდან მაჟორიტარიზმი ეყრდნობა ხმების დათვლას იმის დასადგენად, თუ რა სურს მოსახლეობის უმრავლესობას, ის ძალიან გადახრილია პოლიტიკურ მონაწილეობაში მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობის მხარე. მაჟორიტარიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არჩევნების საშუალებით კორმალისებულ კოლექტიურ გადაწყვეტილებებს და, ამიტომ, ძალიან ცოტა შანსს უტოვებს მიზანსწრაფულ და ნიჭიერ ინდივიდებს, რომლებსაც სურთ პირადი გავლენა მოახდინონ სამთავრობო საქმიანობაზე.

მაჟორიტარიზმი სხვა გზითაც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას. ამახვილებს რა ყურადღებას ხმის მიცემაზე, როგორც მასების მონაწილეობის მთავარ საშუალებაზე, იგი ავიწროებს ჩვეული (კონვენციური) პოლიტიკური ქცევის არეალს. ამგვარად, მაჟორიტარულ მოდელში მონაწილეობის მექანიზმები ზღუდავენ თავისუფლებას, რადგან წინდაწინ ადგენენ, თუ რომელი პოლიტიკური ქმედება არ არღვევს წესრიგს და, ამდენად, მისაღებია. ანიჭებს რა პოლიტიკურ მონაწილეობაში უპირატესობის თანასწორობას და წესრიგს, ამით მაჟორიტარული მოდელი ახლოს დგას პოპულიზმის იდეოლოგიურ ორიენტაციასთან (იხ. თავი 1).

პოლიტიკური მონაწილეობა და პლურალიზმი

ნიჭიერმა და მარჯვე მოქალაქეებმა, რომლებსაც სურთ პრობლემების გადაწყვეტაში მთავრობის დახმარების მიღება, პლურალისტურ მოდელში საშუალება ექნებათ. ხელისუფლების დეცენტრალიზებული და ორგანიზაციულად რთული

ფორმა მასში სხვადასხვა გზით შეღწევის შესაძლებლობას იძლევა და ძალიან კარგადაა მორგებული პოლიტიკური მონაწილეობის ყველა ჩვეულ (კონვენციური) ფორმას, არჩევნებს გარდა. მაგალითად, შეძლებულ ადამიანებს და კარგად დაფინანსებულ ვაგუფებს შეუძლიათ დაიქირაონ ლობისტები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები კონგრესში.

დემოკრატიის ერთი პლურალისტური ვერსიის თანახმად, მოქალაქეებს სრული უფლება აქვთ გაუმასპინძლდნენ ოფიციალურ პირებს და ყველა სხვა ღონეც იხმარონ, რათა თავს მოახვიონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის საკუთარი, ეგოისტური თვალთახედვა. მაგრამ სხვა, როგორც ჩანს, უფრო მისაღები ვერსია მიიჩნევს, რომ პლურალიზმი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ისინი ინდივიდუალად აღიქვან ხელისუფლებასთან ურთიერთობის დროს და ცალკეულ შემთხვევებში მოქალაქეებმა გავლენა მოახდინონ პოლიტიკის შემუშავებაზე და გამოიყენონ (რამდენადაც ეს შესაძლებელია წარმომადგენლობით ხელისუფლებაში) საკუთარი სოციალური პოტენციალი საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის გზით.

შეჯამება

იმისათვის, რომ „სახალხო ხელისუფლება“ არსებობდეს, საჭიროა ხალხის მონაწილეობა პოლიტიკაში. მონაწილეობის ჩვეული (კონვენციური) ფორმებიდან, პირველ რიგში, ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტები და არჩევნებში მონაწილეობა წარმოგვიდგება. თუმცა, მოქალაქეები პოლიტიკაში უჩვეულო (არაკონვენციური) გზებითაც იღებენ მონაწილეობას, მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებებში მჯდომარე გაფიცვების მოწყობით, ტრანსპორტის ბლოკირებით და ა. შ. მოქალაქეთა უზრავლესობა არ ამართლებს უჩვეულო პოლიტიკური ქცევის ზოგიერთ ფორმას, მიუხედავად ამისა, სწორედ მონაწილეობის უჩვეულო საშუალებებით მოიპოვეს შეკანონებმა და ქალებმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კანონიერი უფლებები, მათ შორის საარჩევნო ხმის უფლებაც.

● ადამიანები სხვადასხვა მიზეზის გამო იღებენ მონაწილეობას პოლიტიკაში: თავისი ქვეყნისთვის მხარდაჭერის, თავისთვის ან თავისი მეგობრებისთვის განსა-

კუთრებული სარგებლობის მიღების ან ფართო საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მოქალაქეთა პოლიტიკური საქმიანობა შეიძლება მოითხოვდეს პოლიტიკური განათლების და ინიციატივის ძალიან მცირე ან საკმაოდ დიდ გამოვლინებას.

პრესა ხშირად გვიხატავს ამერიკაში პოლიტიკური მონაწილეობის შეუღამაზებელ სურათს. აშკარაა, რომ ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც ხმას აძლევს საყოველთაო არჩევნების დროს, შეერთებულ შტატებში განუზრვლად მცირდება და, ამიტომ, არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლით ამერიკა ბევრად ჩამორჩება სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს. მაგრამ, თუკი შევადარებთ შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის ფართო სპექტრით – ჩვეული და უჩვეულო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების გათვალისწინებით, აღმონდება, რომ ამერიკის მოქალაქენი ისეთივე თუ მეტს არა, მონაწილეობას ღებულობენ პოლიტიკურ პროცესში, როგორც სხვა ქვე-

ენების მოქალაქენი ა რჩეულებში მონაწილეობის დაბალ მაჩვენებელზე ამერიკაში ზემოქმედებას ახდენს ამომრჩეველთა რეგისტრაციის სპეციფიკური წესები, რომლებიც როდია და დიდ ინციტივას მოითხოვს. გარდა ამისა, ამერიკას აკლია ისეთი ინსტიტუტები (უპირველეს ყოვლისა, ძლიერი პოლიტიკური პარტიები), რომლებიც გაზრდიდნენ რეგისტრაციის მაჩვენებლებს და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე პირებს საარჩევნო უბნებთან მოიყვანდნენ.

● პოლიტიკური მონაწილეობისკენ მიდრეკილება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. განათლების დონე, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ერთ-ერთი კომპონენტი, არის ჩვეული პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე ძლიერი ინდიკატორი აშშ-ში. ვინაიდან პოლიტიკური მონაწილეობაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, პოლიტიკური სისტემა მიმართულია მალა-

ლი სტატუსის მქონე ადამიანების ირტირებისაკენ პლურალისტური დემოკრატია, რომელიც მეტ საშუალებას აძლევს შეძლებულ მოქალაქეებს, გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე, აძლიერებს ამ პოლიტიკურ ტენდენციას.

მაჟორიტარული დემოკრატის მთავარი დასაყრდენია არჩევნები და კონცეფცია: „ერთი პიროვნება – ერთი ხმა“. იგი ნაკლებად შეძლებულ მოქალაქეებს სთავაზობს ხელისუფლების გადაწყვეტილებების კონტროლს არჩევნების საშუალებით. ასევე ღროს, არჩევნები ემსახურება ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას სამთავრობო პროცესში მასების ჩართვის გზით, რაც ხმის მიცემით ხორციელდება. ნიშნავს თუ არა რაიმეს ხმის მიცემა – ეს დამოკიდებულია არჩევნების ღროს ამომრჩევლის მიერ გაკეთებულ არჩევანზე. არჩევანის სპექტრი არის ქვეყნის პოლიტიკური პარტიების ფუნქცია, რაზეც შეძლებ თავეში ვისაუბრებთ.


საკვანძო ტერმინები

არჩევნები
 პოლიტიკური მონაწილეობა
 ჩვეული (კონვენციური) მონაწილეობა
 უჩვეულო (არაკონვენციური) მონაწილეობა
 უშუალო მოქმედება
 მხარდაჭერი ქცევა
 ზეგავლენის მომხდენი ქცევა
 კვლევური ქმედების სარჩელები
 საარჩევნო უფლება
 ხმის მიცემა
 პროგრესივიზმი
 პირდაპირი პირველადი არჩევნები

elections
 political participation
 conventional participation
 unconventional participation
 direct action
 supportive behaviors
 influencing behaviors
 class-action suits
 suffrage, franchise
 voting
 progressivism
 direct primary

გამოწვევა (დეკლარაციის, თანამდებობის პირის)	recall
რეფერენდუმი	referendum
წინადადება	proposition
ინიციატივა	initiative
სტანდარტული სოციალურ-ეკონომიკური მოდელი	standard socioeconomic model
არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი	turnout rate

პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო კამპანიები და არჩევნები



6

1992 წლის ზაფხულის დასაწყისში როს პერომ შიშის ზარი დასცა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების პარტიებს. თებერ-

ვალში გამოჩენილმა მარჯვე, გულლია ბიზნესმენმა – პერომ, სი-ენ-ენ-ის გადაცემების წამყვანს, ლარი კინგს უთხრა, რომ იგი მხოლოდ მაშინ წამოაყენებდა თავის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში, თუ მისი სახელი ორმოცდაათივე შტატის ბიულეტენში იქნებოდა შეტანილი, პეროს ამ გამოწვევამ იმ მოქალაქეებში ჰპოვა გამოძახილი, რომლებსაც არც ჯორჯ ბუში მოსწონდათ და არც დემოკრატების რომელიმე კანდიდატი. 23 მარტს, პეროს მოხალისე მომხრეებმა მისი გვარი ტენესის შტატის ბიულეტენში შეიტანეს, მაისისთვის იგი უკვე ხუთი შტატის ბიულეტენში იყო, ივნისისთვის – რამდენიმე შტატით მეტში, ივლისის შუა რიცხვებისათვის – ოცდაათი შტატის, ხოლო სექტემბრის შუა რიცხვებისათვის – ორმოცდაათივე შტატის ბიულეტენში აღმოჩნდა.

პეროს კანდიდატურამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა რიგით ამომრჩეველებში. გელაპის კვლევითი ცენტრის მიერ ივნისის დასაწყისში ჩატარებულ გამოკითხვაში იმის შესახებ, თუ ვის აძლევს ამომრჩეველი უპირატესობას, პერო ლიდერობდა (39 პროცენტი) ბუშთან (31 პროცენტი) და ქლინთონთან (25 პროცენტი) შედარებით. იმ დროს ბევრს სჯეროდა, რომ პრეზიდენტობისთვის



პოპულისტი მილიარდერი

როს პერომ დღეი პირობა, რომ იყიდდა პრეზიდენტობას ამერიკელი ხალხისათვის და საამისოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა: პერომ დახარჯა 60 მილიონ დოლარზე მეტი და მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების 20 პროცენტი, მაგრამ მან ვერ გაიმარჯვა, კერძოდ, როტშტატი და იქვერცერთი ამომრჩევის ხმა ვერ მიიღო. მიუხედავად ამისა, მან დაიწყო გაელენა იჭონია 1972 წლის საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობასა და არჩევნების შედეგებზე. მისი მძაფრი გამოხლომები ბუშის წინააღმდეგ ქლინთონის კამპანიის წინააღმდეგ ასახადა წყალს; პეროს ენერგიულმა გამოსვლებმა ტელეეკრანებზე აღიაროლი ითამაშა ამომრჩეველთა აქტიუობის ზრდაზე: 1972 წლის შედეგ მათი მონაწილეობის მასშვებელი ყველაზე მაღალი - 55 პროცენტი - იყო

პაექრობა გაიმართებოდა ბუშსა და პეროს შორის, ხოლო დემოკრატების კასადი დატი გულგატეხილი მესამე იქნებოდა. ყველაზე უფრო ინფორმირებული დამკვირვებლები კი ფიქრობდნენ, რომ არჩევნების მოახლოებისას პეროს კანდიდატურა თანდათან გაქრებოდა და ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას ბუში დაკლინთონი გაიყოფდნენ.

რატომ უგულვებელყვეს ინფორმირებულმა დამკვირვებლებმა ზეფხულას დასაწყისში, პეროს ბუშის დროს, მისი გამარჯვების შესაძლებლობა? ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი მიზეზის განხილვას 12 წლით უკან გადავყვართ. ერთი ათწლეულით ადრე უკვე იყო მსგავსი დამოუკიდებელი კანდიდატის მაგალითი. 1980 წლის გაზაფხულის მიწურულს ჯონ ანდერსონი, რესპუბლიკელთა ლიდერი კონგრესში, საპრეზიდენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს როგორც დამოუკიდებელი

კანდიდატი. ქვეყანაში იმ დროს არსებული განწყობა ძლიერ ჰგავდა 1992 წლისას. ბრალდებას, რომ იგი თავისი კანდიდატურის წარდგენით მხოლოდ გააფუჭებდა საქმეს, ანდერსონმა უპასუხა: „რა არის გასაფუჭებელი? იმ ორი ადამიანის მანსი, რომლებიც, სულ ცოტა, ნახევარ ქვეყანას არ უნდა?“. ანდერსონი, პეროს მსგავსად, იენისის დასაწყისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამომრჩეველთა 26 პროცენტი უპირატესობას ანიჭებდა მას. ანდერსონის გვარი, პეროს მსგავსად, მისმა ერთგულმა ამომრჩევლებმა შეიტანეს 50-ე შტატის ბიულეტენში. არჩევნების მოახლოებისას ანდერსონის მხარდაჭერა შემცირდა. მან მოიპოვა ხმების 7 პროცენტზე ნაკლები – ერთ შტატშიც კი ვერ მიაღწია წარმატებას.

მეორე მიზეზი პირველთანაა დაკავშირებული. ამერიკის ორპარტიული სისტემის სიძლიერის გამო, პერო, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი (ისევე, როგორც ანდერსონი) განწირული იყო დამარცხებისათვის. (უკვე 125 წელზე მეტია, რაც რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები დომინირებენ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ და შტატების პოლიტიკაში. მათი დომინირება უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ნებისმიერი ორი წამყვანი პარტიისა რომელიმე სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში. საერთოდ, ძალიან ცოტა დემოკრატიულ ქვეყანას აქვს ორპარტიული სისტემა (ყველაზე აშკარა გამონაკლისებია დიდი ბრიტანეთი და ახალი ზელანდია), თუმცა ყველას აქვს გარკვეული ფორმის მრავალპარტიული სისტემა.)

• რატომ აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს პოლიტიკური პარტიები? რა ფუნქციას ასრულებენ ისინი? როგორ გახდა ამერიკა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ქვეყანა? მართლა განსხვავდებიან თუ არა ეს პარტიები თავისი პლატფორმებისა და მოქმედებების მიხედვით? მართლა საჭიროა თუ არა პარტიები მთავრობის დემოკრატიულობისათვის, თუ ისინი მხოლოდ მთავრობისა და მოქალაქეების ურთიერთობებში ერევიან? ამ თავში ჩვენ შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას პოლიტიკური პარტიების განხილვის გზით: ისინი ამერიკის პოლიტიკაში, ალბათ, ყველაზე ძნელად გასაგები ელემენტებია.

რა უნდა ითქვას იმ საარჩევნო კამპანიაზე, რომელსაც ორი ძირითადი პარტია ატარებს? ამ თავში ჩვენ, აგრეთვე, განვიხილავთ, თუ დროთა განმავლობაში როგორ შეიცვალნენ ეს კამპანიები; როგორ ხდება შეერთებულ შტატებში კანდატების დასახელება; რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი საარჩევნო კამპანიებში; რატომ ანიჭებენ ამომრჩევლები რომელიმე კანდიდატს უპირატესობას სხვებთან შედარებით? ამის გარდა, ჩვენ მივმართავთ შემდეგ კითხვებს: რა როლს ასრულებენ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კამპანიებში და კანდიდატების დასახელებისას? საარჩევნო კამპანიების ფუნქცია ამომრჩევლების ინფორმირებაა თუ მათი იმედის გაცრუება? რამდენად მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის წარმატებისათვის ფულის საკითხი? რა მნიშვნელობა აქვს პარტიულ იდენტიფიკაციას, პროგრამულ საკითხებს, კანდიდატების დამახასიათებელ თვისებებს არჩევნების შედეგებისათვის? როგორ მიესადაგებიან კამპანიები, არჩევნები და პარტიები დემოკრატიის მაჟორიტარულ და პლურალისტურ მოდელებს?

პოლიტიკური პარტიები და მათი ფუნქციები

დემოკრატიის თეორიის თანახმად, მოქალაქეების მიერ ხელისუფლების კონტროლის ძირითადი საშუალებაა თავისუფალი არჩევნები. ამერიკელების უმეტესობა ეთანხმება იმას, რომ ხმის მიცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა: უკანასკნელი საპრეზიდენტო კამპანიის შემდეგ გამოკითხულთა 86 პროცენტს მიაჩნდა, რომ „არჩევნები აიძულებენ მთავრობას ყურადღება მიაქციოს ხალხის აზრს“ (Center, 1984). თუმცა, ამერიკელები სულაც არ არიან იმ როლის მხარდამჭერები, რომელსაც არჩევნებში ასრულებენ პოლიტიკური პარტიები: 1980 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში დიდი უმრავლესობა (73 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ „არჩევნების საუკეთესო ფორმაა ერთ-ერთი კანდიდატის შერჩევა მისი პარტიული კუთვნილების გაუთვალისწინებლად“. უმრავლესობა (56 პროცენტი) ფიქრობდა, რომ „პარტიები უფრო ბუნდოვანს ხდიან არჩევანის შესაძლებლობას“, ხოლო 49 პროცენტმა სულაც უკიდურესი პოზიცია დაიკავა: „უკეთესი იქნებოდა, თუკი არცერთ საარჩევნო ბიულეტენში არ იქნებოდა მითითებული, თუ რომელ პარტიას ეკუთვნის კანდიდატი“ (Gitelson et al., 1984).

მიუხედავად ამისა, ამერიკელები ერთსულოვნად კიცხავენ ისეთ „არადემოკრატიულ“ ქვეყნებს, სადაც არჩევნებში პარტიები არ იღებენ მონაწილეობას. სიმართლე რომ ვთქვათ, ამერიკელებს თან სძულთ და თან უყვართ თავისი პოლიტიკური პარტიები. მათ სჯერათ მთავრობის დემოკრატიულობისთვის პარტიების აუცილებლობისა. ამავე დროს, ისინი ფიქრობენ, რომ პარტიები რამდენადმე „ობსტრუქციონისტები“ არიან და არ შეიძლება მათი ნდობა. ეს უნდობლობა განსაკუთრებით მძლავრია ახალგაზრდა ამომრჩევლებს შორის. დემოკრატიულ მთავრობაში პოლიტიკური პარტიების როლის უკეთ შესაფასებლად ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა არის პარტია და რას აკეთებს ის.

განსაზღვრებები

პოლიტიკური პარტია არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება კანდიდატებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებაში *ამავე ორგანიზაციის სახელით*, დეფინიციის ხაზგასმული ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ნამდვილი პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფო თანამდებობებზე არჩევნებისთვის კანდიდატების დასახელება ინდივიდისთვის პარტიის ოფიციალური კანდიდატების სტატუსის მინიჭებით ხდება. ეს ფუნქცია განასხვავებს დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს დანტერესებული ჯგუფებისგან. პროფკავშირების გაერთიანება და „მეწარმეთა ეროვნული ასოციაცია“ დანტერესებული ჯგუფებია. ისინი მრავალმხრივ ეხმარებიან კანდიდატებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი არასდროს არ გამოდიან მათი სახელით. თუკი ეს ასე მოხდა, მაშინ დანტერესებული ჯგუფი გარდაიქმნება პოლიტიკურ პარტიად. მოკლედ, ორგანიზაციის მიერ კანდიდატისათვის პოლიტიკური ნიშნის მიცემა განსაზღვრავს ორგანიზაციას, როგორც პარტიას.

დემოკრატიის თეორეტიკოსების უმეტესობას მიაჩნია, რომ თანამედროვე

სახელმწიფო ვერ ჩაითვლება დემოკრატიულად, თუკი არჩევნებში რევულარულად არ იპაექრებს, სულ ცოტა, ორი პარტია მაინც, ფაქტობრივად, დემოკრატიასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ადამიანების უმეტესობა ხელისუფლების დემოკრატიულობას განსაზღვრავს იმის მიხედვით, უშვებს თუ არა იგი პარტიების მეტოქეობას.

პარტიის ფუნქციები

(*პარტიებს წვლილი შეაქვთ დემოკრატიულ ხელისუფლებაში იმ ფუნქციების საშუალებით, რომელსაც ისინი ასრულებენ პოლიტიკურ სისტემაში, რაც წარმოადგენს მთავრობისა და ხალხის ურთიერთდამაკავშირებელი ინსტიტუტების სისტემას. პარტიების ფუნქციებს შორის მთავარია ოთხი: კანდიდატების დასახელება სახელმწიფო სტრუქტურებში არჩევისთვის, ხმის მიცემის სტრუქტურირება არჩევნებში, ალტერნატიული სამთავრობო პროგრამის შეთავაზება და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის კოორდინაცია.*)

კანდიდატის დასახელება. დემოკრატიულ ხელისუფლებაში პოლიტიკურ პარტიებს თავისი წვლილი შეაქვთ სახელმწიფო სტრუქტურაში კანდიდატების უბრალო დასახელებითაც კი. პარტიების არარსებობის შემთხვევაში ამომრჩევლები თვითწარდგენილი კანდიდატების დამაბნეველი სიმრავლის წინაშე აღმოჩნდებოდნენ; ყოველი მათგანი პირადი მეგობრობის, პოპულარობის ან სახელის გამოყენებით ეცდებოდა სხვებზე თუნდაც პატარა გამარჯვების მოპოვებას. (პარტიებს შეუძლიათ მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების კარგი შერჩევის უზრუნველყოფა პარტიის სხვა წევრების გამოკითხვის საშუალებით, პარტიის წევრები - *კანდიდატის თანახმობრივად*, საშუალო ამომრჩეველთან შედარებით, უკეთ იცნობენ პოტენციურ კანდიდატს. ამდენად, ისინი განსაზღვრავენ, თუ რამდენად მისაღებია ამ პიროვნების კანდიდატურა პარტიის წარმომადგენლის როლში.)

პარტიები იზიდავენ ნიჭიერ პირებს, რათა ისინი გახდნენ მათი კანდიდატები, ამ გზით პარტიები უზრუნველყოფენ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებს შორის კვალიფიკაციის გარკვეულ დონეს და ხშირად ამ დონის ამაღლებასაც უწყობენ ხელს.

(*არჩევანის სტრუქტურირება.* პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ ხელისუფლებას ხმის მიცემისას არჩევანის სტრუქტურირებაში ეხმარებიან ბიულეტენში კანდიდატების რიცხვის იმ რაოდენობამდე დაყვანით, რამდენსაც ექნება გამარჯვების რეალური შანსი. ჩამოყალიბებულმა პარტიებმა, რომლებმაც წარსულში უკვე მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა, უკვე შეიძინეს ერთგული ამომრჩევლები, რომლებიც პარტიის კანდიდატებისთვის გარანტირებული საარჩევნო ხმების მოსალოდნელ ბაზისს ქმნიან. ეს აფერხებს არაპარტიული კანდიდატების არჩევნებში შიშის მიწოდებას და ახალ-ახალი პარტიების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, რეალური არჩევანი კეთდება მთავარი პარტიების მიერ შემოთავაზებულ კანდიდატებს შორის. ამ არჩევანს ხმის მიცემა დაჰყავს

პარტიებსა და უკვე ჩამოყალიბებული რეპუტაციის მქონე კანდიდატებს შორის პაექრობამდე: ამას კი ოპტიმუმამდე მიჰყავს იმ ახალი ინფორმაციის მოცულობა, რომელიც ესაჭიროება ამომრჩევლებს რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად.)

ალტერნატიული სამთავრობო პროგრამების შეთავაზება. პარტიები ეხმარებიან ამომრჩევლებს სწორი არჩევანის გაკეთებაში მთავრობის მოქმედების ალტერნატიული პროგრამების შემოთავაზებითაც, უფრო სწორად, იმ პოლიტიკის წარმოდგენით, რომელიც უნდა გაატარონ პარტიულმა კანდიდატებმა გამარჯვების შემთხვევაში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამომრჩევლებმა არაფერი იციან პარტიული კანდიდატების კვალიფიკაციის შესახებ, მათ შეუძლიათ გააზრებულად მისცენ ხმა იმ კანდიდატს, რომლის პროგრამა მათთვის სასურველ პოლიტიკასთან უფრო ახლოს იქნება. საარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკური პროგრამები იცვლება კანდიდატიდან კანდიდატამდე, არჩევნიდან – არჩევნივამდე. თუმცა, ერთი პარტიის კანდიდატები უფრო ისეთი პოლიტიკის მიმართ არიან კეთილგანწყობილნი, რომელიც ესადაგება მათი პარტიის ძირითად პოლიტიკურ ფილოსოფიას ან იდეოლოგიას. ბევრ ქვეყანაში პარტიული ნიშანი – მაგალითად, „კონსერვატორი“ ან „სოციალისტი“, ასახავს მათ პოლიტიკურ პრინციპსაც.

მაშინ, როცა დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს აქვთ საკმაოდ ნეიტრალური დასახელებები, ბევრი პატარა პარტია თავის სახელს ოავისივე პოლიტიკის რეკლამისთვის იყენებს. ასეთებია, მაგალითად, „მაგარი სასქელების გაყიდვის აკრძალვის მომხრეთა პარტია“, „ფერმერთა და მუშათა პარტია“, „სოციალისტური პარტია“.

ორი წამყვანი პარტიის შინაარსობრივად ნეიტრალურმა სახელმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ისინი თავისი პოლიტიკითაც არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგრამ ეს ასე არ არის. ისინი რეგულარულად ატარებენ ძალიან განსხვავებულ პოლიტიკას. ამ ფაქტს ჩვენ შემდეგში განვიხილავთ.

(სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის კოორდინაცია. პარტიული ორგანიზაციები ეხმარებიან თანამდებობის პირებს მათი საქმიანობის კოორდინაციაში. მთავრობა, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებათა გამიჯვნას, პასუხისმგებლობას ანაწილებს პოლიტიკის გატარებაშიც. ქვეყნის პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ლიდერებს არ მოეთხოვებათ ერთმანეთთან თა.ამშრომლობა. პოლიტიკურმა პარტიებმა იკისრეს ხელისუქლების გამიჯვნის პირობებში შემაკავშირებელი ფუნქცია: ისინი ახდენენ პოლიტიკის კოორდინაციას, რითაც ქვეყანა ეფექტიანად იმართება.)

აშშ პარტიული პოლიტიკის ისტორია

ამერიკის შვერთებული შტატების ორი წამყვანი პარტია მსოფლიოს უძველესი პოლიტიკური პარტიების რიცხვს მიეკუთვნება. დემოკრატიული პარტია, რომელიც 1828 წელს გაფორმდა, მაგრამ ფესვები 18-ე საუკუნეში აქვს, პრეტენ-

ზიას აცხადებს, რომ საერთოდ მსოფლიოში უძველესი პარტიაა. მისი უახლოესი მეტოქეა ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, რომელიც შეიქმნა 1832 წელს,* რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბებამდე (1854 წ.) ორი ათეული წლით ადრე. როგორც დემოკრატიულ, ასევე რესპუბლიკურ პარტიებს უკვე რამდენიმე თაობის მოქალაქეები უჭერენ მხარს. ისინი ამერიკის ისტორიის ნაწილს შეადგენენ და ინსტიტუციონალიზებული არიან ამერიკის პოლიტიკურ პროცესში.

პარტიული სისტემის წარმოშობა

დღეს პარტიულ საქმიანობას ამერიკის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ იყო. კონსტიტუციაში ნახსენებიც კი არ არის პოლიტიკური პარტიები და 1787 წელს, როცა კონსტიტუცია იწერებოდა, ისინი არც კი არსებობდნენ.

• რაც შეეხება იმ ჯგუფებს, რომლებშიც გარკვეული საერთო პოლიტიკური ინტერესების მქონე ადამიანები იყვნენ გაერთიანებული, მათ *ფრაქციებს* უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ფრაქციებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მათ სახიფათოდაც თვლიდნენ. კონსტიტუციის მიღების ერთი არგუმენტი, რაზეც ლაპარაკია „ფედერალისტ № 10“-ში (იხ. თავი 2), ის იყო, რომ ფედერალურმა სისტემამ უნდა აღკვეთოს მთავრობაზე ფრაქციების მაკონტროლებელი გავლენა.

კონსტიტუციის რატიფიკაციის ირგვლივ მიმდინარე დებატებმა წარმოშვეს ორი ფრაქცია. ისინი, ვინც მხარს უჭერდნენ კონსტიტუციას, ცნობილი იყვნენ „ფედერალისტებად“, ხოლო მათი ოპონენტები – „ანტიფედერალისტებად“. ამ სტადიაზე ჯგუფებს არ შეიძლება პარტიები ეწოდოთ, რადგან ისინი არ მფარველობდნენ არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს. ჯორჯ ვაშინგტონი ჩვენ შეგვიძლია მივაკუთვნოთ ფედერალისტებს იმის გამო, რომ ის მხარს უჭერდა კონსტიტუციას, თუმცა იგი არ იყო ფრაქციის ლიდერი და აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ფრაქციულ პოლიტიკას. ვაშინგტონის მმართველობის დროს მძლავრი ეროვნული მთავრობის მომხრეებსა და ნაკლებად ძლიერი, დეცენტრალიზირებული მთავრობის მომხრეებს შორის არსებული განხეთქილება მკვეთრად გამწვავდა.

პირველმა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ელიგ ზენდერ ჰემილტონი ედგა, თავის თავს *ფედერალისტები* უწოდა. მეორე ჯგუფმა კი, რომელსაც სათავეში თომას ჯეფერსონი ედგა, თავის თავს *რესპუბლიკელები*** უწოდა.

ადმინისტრაციაში არსებული პოლიტიკური განხეთქილებით ძალაგამოცლილმა ჯორჯ ვაშინგტონმა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში 1796 წელს,

* ინგლისის კონსერვატიული პარტიის ოფიციალური გაფორმება მოხდა მხოლოდ 1870 წელს (მთარგმნელის შენიშვნა).

** მიუხედავად იმისა, რომ ჯეფერსონის ფრაქცია რესპუბლიკელთა სახელს ატარებდა, ესენი არ იყვნენ ის რესპუბლიკელები, რომლებსაც დღეს ვიცნობთ. სინამდვილეში, ჯეფერსონის მიმდევრები შემდეგ ცნობილი გახდნენ, როგორც დემოკრატი რესპუბლიკელები და ამ პარტიის ერთი ფრთა 1828 წელს იქცა დემოკრატიულ პარტიად.

ილაპარაკა პარტიების „დამლუპველი მოქმედების“ შესახებ. მიუხედავად ამისა, პარტიულმა კონცეფციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი პოლიტიკურ სისტემაში. იქიდან მოყოლებული დღემდე პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად, ერთმანეთს უმეტესწილად ორი მთავარი პოლიტიკური პარტია ებრძვის.

დღევანდელი პარტიული სისტემა: დემოკრატები და რესპუბლიკელები

1820-იანი წლებისთვის ფედერალისტები უკვე აღარ არსებობდნენ. 1828 წელს დემოკრატიული რესპუბლიკური პარტია ორად გაიყო. ერთი ფრთა, ენდრიუ ჯექსონის ხელმძღვანელობით, გადაიქცა დემოკრატიულ პარტიად, მეორე კი, რომელსაც მოგვიანებით სხვა პატარა პარტიები შეუერთდა, ჩამოყალიბდა ვიგების პარტიად, რომელმაც ორი ათწლეული იარსება.

1850-იანი წლების დასაწყისში, მონობის მოწინააღმდეგე ძალებმა (რომელიც მოიცავდა ვიგებს, თავისუფალ მიწათმოქმედებს და მონობის მოწინააღმდეგე დემოკრატებს) დაიწყეს გაერთიანება. მათ ჩამოაყალიბეს ახალი რესპუბლიკური პარტია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მონობის გავრცელებას კანზასისა და ნებრასკის ტერიტორიებზე. ეს ის პარტიაა, რომელიც დაფუძნდა 1854 წელს და დღესაც განაგრძობს არსებობას, როგორც ამჟამინდელი რესპუბლიკური პარტია.

რესპუბლიკელებმა პირველად 1856 წელს მიიღეს მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო სრულიად ახალი პარტია, მან მიიღო ხმების 33 პროცენტი. მეტიც, მისი კანდიდატი ჯონ ფრემონტი დაწინაურდა II შტატში (ყველა ჩრდილოეთშია). მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებში, 1860 წელს, რესპუბლიკელებმა წარადგინეს ეიბრეკემ ლინკოლნის კანდიდატურა და წარმატებითაც დაუპირისპირდნენ დემოკრატიულ პარტიას, რომელშიც, მონობის საკითხთან დაკავშირებით, სერიოზული განხეთქილება მოხდა.

მიიჩნევენ, რომ ლინკოლნის გამარჯვება 1860 წელს კრიტიკული არჩევნების დროს მოპოვებული პირველი გამარჯვება იყო. არსებული პარტიების სისტემის დროს სამჯერ ჩატარდა კრიტიკული არჩევნები, ანუ ისეთი, როდესაც ხდება ამომრჩეველთა ჯგუფების პარტიული კუთვნილების მკვეთრი გადანაწილება. ასეთი გადანაწილება ხმის მიცემის თავისებურებებში შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე არჩევნების დროსაც. ამას საარჩევნო გადაჯგუფებას უწოდებენ. თუკი ორპარტიულ სისტემაში ერთ პარტიას რეგულარულად მხარს უჭერს ამომრჩეველთა უმრავლესობა, მას უმრავლესობის პარტიას უწოდებენ, მეორეს კი – უმცირესობის პარტიას. 1860 წლის არჩევნებმა ქვეყანა ორად გაყო: ჩრდილოეთის შტატებად, რომლებმაც უმთავრესად რესპუბლიკელებს მისცეს ხმა, და სამხრეთის შტატებად, რომლებშიც უმრავლესობა დემოკრატები იყვნენ. სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის გამარჯვებამ სამხრეთზე ამ უკანასკნელში მჭიდროდ შეაკავშირა დემოკრატების მომხრეები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1876 წლის არჩევნების შემდეგ ფედერალური ჯარები სამხრეთიდან გაიყვანეს. 1880-1920 წლებში, 40 წლის განმავლობაში, „კონფედერაციის“ II შტატიდან ერთშიც კი არ გაუმარჯვია პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატს.

1896 წელს მეორე კრიტიკულმა არჩევნებმა რესპუბლიკური პარტია ნამდვილი უმრავლესობის პარტიად გადააქცია, როცა დემოკრატების ინფლაციური პლატფორმის საპირისპიროდ, განმტკიცდა კავშირი რესპუბლიკელებსა და ბიზნესს შორის. რესპუბლიკელების მომხრეების დიდი ტალღა აგორდა მჭიდროდ დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ და შუა-დასავლეთ რაიონებში. ბევრი მათგანი სამუდამოდ ამ პარტიის ერთგული დარჩა (Club et al., 1980, p. 99).

მესამე კრიტიკული არჩევნები ჩატარდა 1932 წელს, როცა ფრენკლინ დელანო რუზველტმა სამხრეთელი დემოკრატების, ჩრდილოეთის ქალაქების მუშების, საშუალო ფენის ლიბერალების, კათოლიკეების, ებრაელების და თეთრკანიანი ეთნიკური უმცირესობების გაერთიანებით „რუზველტის კოალიციაში“ დემოკრატიული პარტია უმრავლესობის პარტიად აქცია (შაკვანიანების შედარებით მცირე რაოდენობა, რომელიც იმ დროს სარგებლობდა ხმის მიცემის უფლებით, უფრო რესპუბლიკელებს აძლევდა ხმას, როგორც ტრადიციულად „ლინკოლნის პარტიას“). დემოკრატებმა დიდხანს შეინარჩუნეს კონტროლი კონგრესზე*.

დღეს უკვე შეიმჩნევა, რომ დემოკრატების კოალიცია, შეკავშირებული რუზველტის მიერ 1932 წელს, დაიშალა. უდავოა, რომ სამხრეთი ისეთივე ერთსულოვნებით აღარ ემხრობა დემოკრატებს. 1952 წლიდან სამხრეთელები, ფაქტობრივად, რესპუბლიკელების პრეზიდენტობის კანდიდატებს უფრო აძლევენ ხმას, ვიდრე დემოკრატებისას.

ამერიკის შეერთებული შტატების პარტიული სისტემა, როგორც ჩანს, არ განიცდის ახალ საარჩევნო გადაჯგუფებას. პირიქით, უფრო ის ჩანს, რომ დგება საარჩევნო დაჯგუფების შესუსტების პერიოდი, როდესაც პარტიული ერთგულება კენჭისყრის დროს ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება. ამ თავის მომდევნო ფურცლებზე ჩვენ განვიხილავთ პარტიული ერთგულების გავლენას არჩევნებზე.

ამერიკული ორპარტიული სისტემა

1860 წლის კრიტიკულმა არჩევნებმა საბოლოოდ დაამკვიდრა რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები როგორც მთავარი პარტიები ამერიკულ ორპარტიულ სისტემაში. ამ სისტემაში ამომრჩეველები იმდენად ერთგული არიან ერთი ან მეორე წამყვანი პარტიისა, რომ მესამე, ანუ ნებისმიერი პატარა პარტიის კანდიდატს გამარჯვების ძალიან მცირე შანსი რჩება. რასაკვირველია, ასე ხდება საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც, რაც კარგად დაინახა როს პერომ. მესამე პარტიის კანდიდატებმა შეიძლება გაიმარჯვონ მხოლოდ ადგილობრივი ან შტატის მასშტაბით. ახლანდელი ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ შედარებით პატარა პარტიების კანდიდატებმა არჩევნებში გამარჯვების შედეგად სულ რამდენიმე ადგილის მოპოვება შესძლეს ამერიკის შეერთებული შტატების

* 1994 წლის ნოემბერში, პირველად ბოლო ათწლეულების მანძილზე, ამერიკის კონგრესის ორივე პალატაში არჩევნების დროს გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა. თვლიან, რომ ეს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის – პრეზიდენტ ბილ ქლინტონის – პოპულარობის მკვეთრი დაცემის შედეგითაა (მთარგმნელის შენიშვნა).

კონგრესსა და სენატში. მაგრამ მათ ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. მიუხედავად ამისა, არ უნდა უგულვებელყოთ პატარა პარტიების გარკვეული წვლილი (მათ შორის ისეთებისაც კი, როგორცაა „ანტიმასონური პარტია“, „ბოპულისტური პარტია“ და 1912 წლის „პროგრესივისტული პარტია“). ამ თავში ჩვენ განვიხილავთ მესამე პარტიების ბედს ამერიკაში, აგრეთვე იმას, თუ რატომ აქვს შეერთებულ შტატებს მხოლოდ ორი წამყვანი პარტია, თუ როგორ ეხმარება ფედერალიზმი პარტიების არსებობას და აღვწერთ ამომრჩეველთა ერთგულებას მთავარი პარტიების მიმართ.

ამერიკის პატარა პარტიები

პატარა პარტიები ყოველთვის ფიგურირებდნენ ამერიკის პარტიულ პოლიტიკაში. მაგრამ „ეროვნული ერთობა“, რომელიც 1980 წელს ეხმარებოდა ჯონ ანდერსონს და ორგანიზაცია „ჩვენ ერთად ვდგევართ“, რომელიც 1992 წელს მხარს უჭერდა პეროს, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პარტიები: შტატების უმეტესობაში ორივე კანდიდატი დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს. ჩვენს პოლიტიკურ ისტორიაში ნამდვილ პატარა პარტიების უმეტესობა ოთხი ტიპისაა: განდგომილთა პარტიები, ფერმერთა და მუშათა პარტიები, იდეოლოგიური პროტესტის პარტიები და ერთი საკითხის პარტიები (Ranney and Kendall, 1956).

- განდგომილთა პარტიები ყალიბდებიან იმ ფრაქციებისგან, რომლებიც გამოეყვნენ ერთ-ერთ მთავარ პარტიას. უკმაყოფილო ლიდერები, როგორც იყვნენ 1912 წელს თეოდორ რუზველტი და 1968 წელს ჯორჯ უოლესი, განუდგნენ თავის ყოფილ პარტიებს და დაუპირისპირდნენ მათ. სამოქალაქო ომიდან მოყოლებული, 30 საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში, მსგავსი რამ ექვსჯერ მოხდა.
- ფერმერთა და მუშათა პარტიები ფერმერებსა და ქალაქის მუშებს წარმოადგენენ. ისინი თვლიან, რომ მუშათა კლასი არ იღებს მის კუთვნილ წვლილს საზოგადოებრივი დოვლათიდან. „სახალხო პარტია“ ჩამოყალიბდა 1892 წელს, მისი მეტსახელია ბოპულისტური პარტია. იგი ფერმერთა და მუშათა პარტიის კარგი მაგალითია.
- იდეოლოგიური პროტესტის პარტიები არსებული სისტემის კრიტიკაში ფერმერთა და მუშათა პარტიებზე უფრო შორს მიდიან. ეს პარტიები უარყოფენ გაბატონებულ დოქტრინებს და სთავაზობენ რადიკალურად განსხვავებულ პრინციპებს, რომლებიც მთავრობისგან მეტ აქტიურობას ითხოვენ. სოციალისტური პარტია ყველაზე მეტ წარმატებას აღწევს იდეოლოგიური პროტესტის სხვა პარტიებს შორის, მაგრამ, უკანასკნელ წლებში იდეოლოგიურ პროტესტს უფრო ხშირად მემარჯვენე პარტიები აცხადებენ, რომლებიც მოუწოდებენ საზოგადოებას მთავრობისგან რადიკალური გამიჯვნისკენ. ასეთია ლიბერტარული პარტიის პროგრამა, რომელიც თავისუფლებას წესრიგსა და თანასწორობაზე მალლა აყენებს.

- ერთი საკითხის პარტიები ყალიბდებიან პრინციპის და არა მთავრობის ზოგადი ფილოსოფიის გასატარებლად. მაგალითად, „მაგარი სასმელების აკრძალვის პარტია“ ყველაზე უფრო „გამძლე“ ერთი საკითხის პარტიაა. იგი სპირტიანი სასმელების მოხმარების წინააღმდეგია და 1884 წლიდან ამ პარტიის კანდიდატები ყოველ საპრეზიდენტო არჩევნებში იღებენ მონაწილეობას.

მესამე პარტიები უმთავრესად მთავარი პარტიების მიერ შემოთავაზებული არჩევანის მიმართ თავიანთი უკმაყოფილების გამოხატვის და საარჩევნო სისტემაში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ყალიბდებიან (Roscutstone et al., 1984). როგორია მათი წარმატება?

ორი გამონაკლისის გარდა, პატარა პარტიები მცირე რაოდენობის ხმებს იღებენ. პირველი გამონაკლისია, როცა განდგომილთა პარტიებმა ორჯერ მიიღეს ხმების 10 პროცენტზე მეტი საპრეზიდენტო არჩევნების დროს: არცერთ სხვა პატარა პარტიას არასდროს არ მიუღია ხმების მეტი რაოდენობა. მეორე გამონაკლისი იყო, როცა რესპუბლიკური პარტია, როგორც ერთი საკითხის მესამე პარტია, რომელიც წარმოიშვა 1854 წელს, წინ აღუდგა ახალ ტერიტორიებზე მონობის გავრცელებას. იგი რიგით მეორე იყო (წინ გაუსწრო ვიგებს) თავის პირველსავე არჩევნებში 1856 წელს. ეჭვგარეშეა, რესპუბლიკელების ასეთმა უჩვეულო გამონაკლისმა ხელი შეუწყო სხვა მესამე პარტიების წარმოქმნას.

პატარა პარტიებს, როგორც რაიმე პოლიტიკური კურსის მომხრეებს, ოდნავ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. ზოგჯერ ისინი რეალურ გავლენას ახდენენ მთავარი პარტიების პოლიტიკაზე. ხმის უფლების მინიჭება ქალებისათვის, საშემოსავლო გადასახადის შემოღება, სენატორების პირდაპირი არჩევნები – ეს ყველაფერი იწყებოდა მესამე პარტიებში.

უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პატარა პარტიები „დამცავების“ როლს ასრულებენ. ისინი საშუალებას აძლევენ სტატუს ქვითი უკმაყოფილო პირებს წარმოადგინონ თავიანთი პოლიტიკა სისტემის ფარგლებში და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ დიალოგში. მიუხედავად იმისა, რომ როს პერო არ წარმოადგენდა მესამე პარტიას, მისმა კანდიდატურამ და ხმების 19 პროცენტმა 1992 წელს ბევრ ამომრჩეველს მოზღვავებული ენერგიისგან განტვირთვის საშუალება მისცა. თუკი პატარა პარტიები გამოხატავენ ფართო უკმაყოფილებას, მაშინ რა წარმატება ხვდით მათ წილად არჩევნებში, ვთქვით ლიბერტარული, მუშათა, სპირტიანი სასმელების აკრძალვის პარტიებს 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში? ბევრი არაფერი. პატარა პარტიებმა ხმების საერთო რაოდენობის ერთ პროცენტზე ნაკლები მოაგროვეს.

რატომაა ორპარტიული სისტემა?


შეერთებული შტატების პარტიული სისტემის ისტორია, ძირითადად, ორი პარტიის ისტორიაა, რომლებიც ენაცვლებიან ერთმანეთს მთავრობის კონტროლში. მცირე გამონაკლისის გარდა, ეს მოდელი უჩვეულოა სხვა დემოკრატიული ქვეყნებისთვის, სადაც უფრო მიღებულია მრავალპარტიული სისტემა. რატომ

აქვს შეერთებულ შტატებს მხოლოდ ორი წამყვანი პარტია? ამ კითხვაზე ყველაზე დამაჯერებელი პასუხი მომდინარეობს შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემიდან და აქ მიმდინარე პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის თავისებურებებიდან.

ტიპური არჩევნებისას შეერთებულ შტატებში ერთი ადგილისთვის იბრძვის ორი ან მეტი კანდიდატი. იმარჯვებს ერთი კანდიდატი, რომელიც დააგროვებს ხმების მეტ რაოდენობას. თუ პრინციპი – *გამარჯვებულის არჩევა ხმების უბრალო უმრავლესობით*, – გამოიყენება არჩევნებისას, ამ სისტემას უწოდებენ მაჟორიტარულ წარმომადგენლობას. ვნახოთ, თუ რა გზით ხდება შტატების მიერ წარმომადგენლების არჩევა კონგრესში. თუკი შტატი ავჯანის 10 წარმომადგენელს, მაშინ შტატი იყოფა 10 საარჩევნო ოლქად. ყოველ ოლქში ხმათა უმრავლესობით ირჩევენ მხოლოდ ერთ წარმომადგენელს. მაჟორიტარული წარმომადგენლობა (ოლქიდან თითო წარმომადგენელი) ასევე გამოიყენება შტატების უმრავლესობის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისთვისაც. ალტერნატიულად, საკანონმდებლო ხელისუფლება შეიძლება არჩეული იქნას პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის საშუალებით, რომელიც პარტიებს აძლევს ადგილებს საკანონმდებლო ხელისუფლებაში არჩევნების შედეგად მოპოვებული ხმების რაოდენობის პროპორციულად. ამ სისტემის მიხედვით, შტატს შეუძლია ჩაატაროს არჩევნები ერთიან საარჩევნო ოლქში, ვთქვათ 10 ადგილისათვის, სადაც ყოველი პარტია წარმოადგენს 10 კანდიდატის სიას. ამომრჩევლები ხმას აძლევენ მათთვის სასურველ პარტიულ სიას. კანდიდატები აირჩევიან ყოველი სიის დასაწყისიდან მოყოლებული, პარტიის მიერ მოპოვებული ხმების პროპორციის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ეს უკანასკნელი ფორმა ამერიკელებისათვის უცნაურად ჩანს, იგი გამოიყენება ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში. პროპორციული წარმომადგენლობა ქმნის (ან უხანგრძლივებს არსებობას) პარტიებს, რომელთაგან თითოეულს მთელი ქვეყნის მასშტაბით აქვს საკმარისი საარჩევნო ძალა, რათა აირჩიოს თავისი პარტიული სიის კანდიდატების მინიმალური რაოდენობა მაინც (ამერიკის შეერთებული შტატების სისტემისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ ერთია გამარჯვებული, ისიც ხმების უბრალო უმრავლესობით). ამიტომაც, მაჟორიტარული წარმომადგენლობის სისტემა აიძულებს ამერიკის საზოგადოებრივ ჯგუფებს იმუშაონ ორიდან ერთ-ერთ პარტიაში, რათა ჰქონდეთ არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი. ასეთი სისტემის შედეგია მხოლოდ ორი წამყვანი პარტიის არსებობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემას შეუძლია განგვიმარტოს, თუ რატომ ფუნქციონირებს მხოლოდ ორი პარტია. კონგრესის საარჩევნო ოლქებში. მაგრამ რატომ მოქმედებს იგივე ორი პარტია (დემოკრატიული და რესპუბლიკური) თითოეულ შტატში? პასუხი ამ კითხვაზე მოცემულია პრეზიდენტობისთვის საარჩევნო ბრძოლაში. საპრეზიდენტო არჩევნების მოგება შეუძლია მხოლოდ იმ ერთ კანდიდატს, რომელიც მთელ ქვეყანაში მიიღებს *ამომრჩევთა ხმების უმრავლესობას*. პრეზიდენტობის კანდიდატებმა ერთი და იმავე პარტიული ნიშნით უნდა მოიპოვონ ამომრჩევთა ხმები ყოველ შტატში.



ეიფორია უაილდერთან დაკავშირებით

1988 წლის ნოემბერში, დემოკრატი ლ. დავლას უაილდერი აირჩიეს ვირჯინიის გუბერნატორად 0,5 პროცენტზე ნაკლები ხმების უპირატესობით. ის გახდა სახელმწიფოში პირველი შავკანიანი გუბერნატორი. უაილდერის გამარჯვება გვიჩვენებს პარტიული სისტემის ფედერალურ სტრუქტურას: ერთ პარტიას შეუძლია მოვიდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სახელმწიფო დონეზე, მაშინ, როცა მეორეს შეუძლია გაიმარჯვოს შტატის დონეზე

ასე რომ, მთელი საარჩევნო კამპანიის მოსაგებად ისინი აერთიანებენ შტატებში მიღებულ ამომრჩევთა ხმებს, რომლის მეშვეობითაც ამომრჩევთა კოლეჯია, საბოლოოდ აირჩევს პრეზიდენტს. პრეზიდენტობა საკმაოდ დიდი ჯილდოა უცნაური კოალიციების შესაქმნელად: მაგალითად, დემოკრატიულ პარტიაში ერთიანდებიან სამხრეთელი თეთრკანიანი პროტესტანტები, ჩრდილოეთის შტატების ებრაელები, ქვეყნის შავკანიანების დიდი უმრავლესობა და სხვები მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოიგონ საპრეზიდენტო არჩევნებში.

ამერიკულ საარჩევნო სისტემას შეუძლია აგვიხსნას ორპარტიულობის მიზეზი. მაგრამ, რატომ უნდა ჩანდნენ ერთი და იგივე პარტიები არჩევნებიდან არჩევნებამდე? რატომ არსებობენ დღემდე დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები? აქ უკვე ერევა პოლიტიკური სოციალიზაცია. ეს ორი პარტია არსებობს იმიტომ, რომ ისინი გადარჩნენ. პოლიტიკური სოციალიზაციის თავისებურებამ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ამ ორ პარტიას ისეთი ძლიერი

ამჟამად მისცა დღეს არსებული საარჩევნო სტრუქტურის შესაქმნელად, რომ სხვა პარტიებს ცვლილების შეტანის შანსი დაეკარგათ.

პარტიული სისტემის ფედერალური საფუძველი


პარტიების ისტორიის შესწავლა პრეზიდენტობისთვის ბრძოლის მაგალითზე მოსახერხებელიცაა და ბევრის მოქმედიც. მაგრამ მხოლოდ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება პარტიების პოლიტიკის მეტისმეტ გამარტივებას გამოიწვევს. პარტიას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს შტატების სამთავრობო სტრუქტურებში გამარჯვების მოპოვებაზე საპრეზიდენტო არჩევნებში სასტიკი დამარცხების შემთხვევაშიც კი. ეს მცირე გამარჯვებები საშუალებას აძლევს თითოეულ პარტიას მზადყოფნაში იყოს შემდეგი ბრძოლისათვის.

1984 წელს რესპუბლიკელების გამარჯვებამ გვიჩვენა, თუ როგორ გადაიქცევა შტატი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული პარტიის თავშესაფრად. 1984 წელს რონალდ რეიგანმა 49 შტატში მიიღო ხმების უმრავლესობა, მან გამარჯვდა ყველა შტატში, მინესოტის გარდა (მისი ოპონენტის – უოლტერ მონდეილის სამშობლო). რეიგანის სრულიად განსაცვიფრებელი გამარჯვების მიუხედავად, დემოკრატებმა მაინც შეინარჩუნეს კონტროლი წარმომადგენელთა პალატაზე. დემოკრატებმა დაიკავეს გუბერნატორის 34 ადგილი (რესპუბლიკელებმა – 16). დემოკრატებს ხვდათ აგრეთვე შტატების საკანონმდებლო ორგანოებში დეპუტატების ადგილების 65 პროცენტი. ამრიგად, დემოკრატები აკონტროლებდნენ გუბერნატორებს, კონგრესის ზედა და ქვედა პალატას (Public Opinion, 1985).

რეიგანის გამარჯვებამ 1980 და 1984 წლებში და ბუშის გამარჯვებამ 1988 წელს შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ დემოკრატები უნდა დამშვიდობებოდნენ საპრეზიდენტო პოლიტიკას. ადრეულ პერიოდში, როცა დღეს არსებული პარტიები ფეხს იკიდებდნენ, ალბათ, ასეც იქნებოდა. ახლა კი, დემოკრატიულმა პარტიამ შესძლო ფუნქციონირება შტატების უმეტესობაში და თავის გადარჩენა ფედერალურ სისტემაში. შტატების პოლიტიკის გამიჯვნა ეროვნული პოლიტიკისგან საშუალებას აძლევს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულ პარტიებს, მოიშუშონ ჭრილობები და შემდეგ ოპტიმისტურად დაუბრუნდნენ ახალ არჩევნებს და გაიმარჯვონ კიდევ, როგორც ეს ბილ ქლინთონმა გააკეთა 1992 წელს.

პარტიული იდენტიფიკაცია ამერიკაში

პარტიული იდენტიფიკაციის კონცეფცია ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია პოლიტიკურ მეცნიერებაში. ეს ეხება პარტიის მიმართ ამომრჩევლის ფსიქოლოგიურ ერთგულებას, რაც არ არის მხოლოდ არჩევნებისას პარტიისათვის ხმის მიცემა, მეცნიერები პარტიულ იდენტიფიკაციას მარტივი შეკითხვით ადგენენ: „ჩვეულებრივ, თავს მიიჩნევთ რესპუბლიკელად, დემოკრატად, დამოუკიდებლად თუ სხვა რომელიმე პარტიის მომხრედ?“ ხმის მიცემა ქვეყანა, იდენტიფიკაცია კი – შეგნების მდგომარეობა. მაგალითად, 1952 და 1956 წლებში



ნახაზი 6.1. პარტიული იდენტიფიკაციის მიხედვით განაწილება 1952-92 წლებში
 1952 წლიდან მოყოლებული ყოველი საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამომრჩეველს მთელ ქვეყანაში ეკითხებოდნენ: „ჩვეულებრივ, თავს მიიხსენებ რესპუბლიკელად, დემოკრატად, დამოუკიდებლად თუ რომელიმე სხვა პარტიის მომხრედ?“ ამომრჩეველების უმეტესობა დაუფიქრებლად პასუხობდა, რომ თელის თავს დემოკრატად ან რესპუბლიკელად. მაგრამ დამოუკიდებელთა პროპორცია დროთა განმავლობაში გაიზარდა. დემოკრატების, როგორც უმრავლესობის პარტიის სტატუსი, თანდათან ეცემა. მიუხედავად ამისა, დღესაც ამერიკელების უმრავლესობა ემხრობა ერთ-ერთ მთავარ პარტიას. დემოკრატები კვლავ უფრო მეტი არიან, ვიდრე რესპუბლიკელები (წყარო: Warren E. Miller, Arthur H. Miller and Edward S. Schneider, *American National Election Studies Data Sourcebook, 1952-78*/ Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1980, 1981) შეზღვევით მონაცემები დამატებულია ავტორების მიერ.

საპრეზიდენტო არჩევნებისას მილიონობით სამხრეთელმა, რომლებიც თავს კვლავაც დემოკრატებად თვლიდნენ, ხმა მისცეს რესპუბლიკელთა კანდიდატს – დუაით აიზენჰაუერს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის გამორჩენილი მხედართმთავარი იყო.

1952 წლიდან მოყოლებული თვითიდენტიფიცირებული რესპუბლიკელების, დემოკრატების და დამოუკიდებლების (რომლებიც არცერთ პარტიასთან არ აიგივებენ თავს) პროპორციული განაწილება მოცემულია ნახაზზე 6.1 აღინიშნება სამი მნიშვნელოვანი თავისებურება:

- ყოველ საარჩევნო წელს რესპუბლიკელების და დემოკრატების პროპორცია, ერთად აღებული, გაცილებით მეტია დამოუკიდებლების პროპორციაზე;
- დემოკრატების პროპორციული რაოდენობა მუდმივად აღემატებოდა რესპუბლიკელებისას;

- დროთა განმავლობაში დემოკრატების მომხრეთა პროპორცია მცირდებოდა როგორც რესპუბლიკელების, ისე დამოუკიდებლების სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიული იდენტიფიკაციის გრძობა განაწყობს მოქალაქეებს თავისი საყვარელი პარტიისთვის ხმის მისაცემად, არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ სხვა პარტიის კანდიდატის არჩევა. თუკი ერთი პარტიის მომხრეები საკმაოდ ხშირად აძლევენ ხმას თავიანთი პარტიის საწინააღმდეგოდ, მათ შეიძლება საბოლოოდ შეიცვალონ თავისი პარტიული იდენტიფიკაცია. ეტყობა, დროთა განმავლობაში, სწორედ ასეთი გადაფასება მოხდა სამხრეთელების აზროვნებაში. 1952 წელს თეთრკანიანი სამხრეთელების 70 პროცენტი თავის თავს დემოკრატად თვლიდა, 20 პროცენტზე ნაკლები კი – რესპუბლიკელად. 1988 წელს თეთრკანიანი სამხრეთელების 37 პროცენტი იყო დემოკრატი, 25 პროცენტი – რესპუბლიკელი და 38 პროცენტი – დამოუკიდებელი. მთელ ერში რესპუბლიკელებისა და დამოუკიდებლების პროპორციის ზრდა (დემოკრატების რიცხვის შემცირების პარალელურად) უმეტესწილად გამოწვეულია თეთრკანიან სამხრეთელებში პარტიული ორიენტაციის შეცვლით.

ვინ არიან ამომრჩევლებში თვითიდენტიფიცირებული დემოკრატები და რესპუბლიკელები? 1988 წლის გამოკითხვის თანახმად აქ აშკარაა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენა. ის ადამიანები, რომლებსაც მცირე შემოსავალი, ნაკლები განათლება და ნაკლებად პრესტიჟული სამსახური აქვთ და ვინც დიდ ოჯახებად ცხოვრობს, თავს უფრო დემოკრატებად თვლიან, ვიდრე რესპუბლიკელებად.

რელიგიური და რასობრივი ფაქტორები უფრო მძაფრ განსხვავებას ქმნის პარტიებს შორის. ებრაელები, სხვა რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტად უჭერენ მხარს დემოკრატებს. უმცირესობათა წარმომადგენლებიც (განსაკუთრებით შავკანიანები) უფრო დემოკრატები არიან. სქესის მიხედვით განსხვავება გარკვეულ როლს ასრულებს ამერიკის პოლიტიკაში: ქალები ბევრად უფრო ხშირად არიან დემოკრატები, ვიდრე მამაკაცები (Smith, 1988).

პარტიულ იდენტიფიკაციაზე რეგიონული გავლენა დროთა განმავლობაში შეიცვალა. სამხრეთი დღეს ცოტათი უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სხვა რეგიონები, მაშინ, როცა დასავლეთი უპირატესად რესპუბლიკელების მომხრე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატების მხარდაჭერა შემცირდა, ჩვენ კვლავ სამხრეთში ვხედავთ რუზველტის ძველი დემოკრატიული კოალიციის ელემენტებს იქაურ სოციალურ ჯგუფებში. კოალიციაში მომხდარი მთავარი ცვლილება შავკანიანი ეთნიკური ჯგუფების მიერ თეთრკანიანების ადგილის დაკავება იყო: შავკანიანები მიემხრნენ დემოკრატებს, რადგანაც 1960-იან წლებში დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს კანონმდებლობას სამოქალაქო უფლებების შესახებ.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ნახევარი ემხრობა თავისი მშობლების პარტიას. ამასთან, პარტიული იდენტიფიკაციის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება. ახალგაზრდა ამომრჩეველთა ჯგუფები მეტწილად დამოუკიდებელი ამომრჩევლები არიან, თუმცა,

რეიგანის პრეზიდენტობის წლებში ისინი რესპუბლიკელებსაც ემხრობოდნენ. უფროსი ასაკის ჯგუფები ყველაზე უფრო სტაბილურ ერთგულებას ამჟღავნებდნენ. ყველაზე ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ჯგუფები უფრო თანაბრად არიან განაწილებული პარტიებს შორის. ზოგიერთ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ პარტიული იდენტიფიკაციის მიხედვით დაყოფა იცვლება ასაკობრივ ზრდასთან ერთად. ეს გამოიწვევს დემოკრატიების უმრავლესობის შემდგომ დაკნინებასა და, ალბათ, საარჩევნო ბალანსის შემდგომ დარღვევას.

და მაინც, მოქალაქეები პოულობენ თავის პოლიტიკურ ნიშას და იქ აპირებენ დარჩენას. ამერიკელ ამომრჩევლებში საყოველთაოდ გავრცელებული პარტიული ერთგულების გრძნობა ჯერ კიდევ არჩევნების ჩატარებამდე იძლევა ხმის მიცემის სტრუქტურის ჩამოყალიბების საშუალებას, იქამდეც კი, სანამ კანდიდატები იქნებიან დასახელებული. შემდეგში ჩვენ განვიხილავთ, თუ რამდენად განსაზღვრავს პარტიული იდენტიფიკაცია ხმის მიცემას. მაგრამ, პირველ რიგში უნდა ვნახოთ, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებები დემოკრატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს შორის.

პარტიული იდეოლოგია და ორგანიზაცია

ჯორჯ უოლესი, უკმაყოფილო დემოკრატი, რომელიც პრეზიდენტობისთვის იბრძოდა როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, ჩიოდა: „იოტისოდენა განსხვავებაც კი არ არის დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის.“ იუმორისტი უილ როჯერსი ამბობდა, „მე არ ვარ არცერთი ორგანიზებული პარტიის წევრი – მე დემოკრატი ვარ.“ უოლესის კომენტარი ზიზლის გრძნობით იყო განმსჭვალული, როჯერსისა კი – იუმორით. უოლესი არ იყო მართალი, როჯერსის ნათქვამი უფრო ჰგავდა სიმართლეს. ჩვენ შევეცდებით, გავფანტოთ მითი იმის შესახებ, თითქოს პარტიები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე, შევეცდებით ავხსნათ, თუ როგორ არიან ისინი ორგანიზებული, რათა კოორდინირება გაუწიონ პარტიული კანდიდატების და ოფიციალურ პირთა საქმიანობას მთავრობაში.

განსხვავებები პარტიულ იდეოლოგიებში

ჯორჯ უოლესის განცხადების მიუხედავად, ორ პარტიას შორის „იოტაზე მეტი“ განსხვავებაა. ფაქტობრივად, ეს სხვაობა მრავალი მილიარდი დოლარის ტოლია. ეს არის იმ სხვადასხვა სამთავრობო პროგრამის საფასური, რომელთაც ცალკეული პარტია უჭერს მხარს. დემოკრატებს უფრო, ვიდრე რესპუბლიკელებს, სამთავრობო ხარჯებში წინა პლანზე წამოწეული აქვთ სოციალური კეთილდღეობა (ამით ისინი ხელს უწყობენ თანასწორობას). სოციალური კეთილდღეობის პროგრამა კი საკმაოდ ძვირია და მოითხოვს დიდძალ სახსრებს.

ამასობაში, რესპუბლიკელებიც უკან არ იხევენ მათი აზრით, დიდმნიშვნელოვან, მილიარდობით დოლარის ღირებულების პროექტებზე, რომელთა შორისაა თავდაცვა.

რონალდ რეიგანი დემოკრატებს დიდ მფლანგველებად მიიჩნევდა, თუმცა, მისი ადმინისტრაციის დროს, ქვეყნის თავდაცვის ხარჯები | ტრილიონ დოლარს აღემატებოდა. რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა („ვარსკვლავეთის ომები“ – კოსმოსური თავდაცვა), რომელსაც ბუშიც უჭერდა მხარს, მრავალი მილიარდი დოლარი ღირდა. დანახარჯებთან დაკავშირებული ეს განსხვავებები ასახავენ რეალურ იდეოლოგიურ განსხვავებებს პარტიებს შორის.

ამომრჩევლები და აქტივისტები. ამ განსხვავების ახსნის ერთი გზაა პარტიის რიგითი მომხრეების (მათი, ვინც თავს დემოკრატად ან რესპუბლიკელად თვლის) შედარება მათთან, ვინც აქტიურად მოქმედებდა არჩევნების დროს.

ნახ. 6. 2.-ზე ნაჩვენებია, რომ 1992 წელს დემოკრატების 23 პროცენტი საკუთარ თავს კონსერვატორად ახასიათებდა მაშინ, როცა რესპუბლიკელებში – 44 პროცენტი. მე-4 თავში განვიხილეთ, რომ ბევრი რიგითი ამომრჩეველი, პარტიული აქტივისტებისგან განსხვავებით, არ ფიქრობს პოლიტიკაზე იდეოლოგიური თვალთახედვით. პარტიებს შორის იდეოლოგიური განსხვავება უფრო მკაფიო ფორმებს იღებს, როცა საქმე ეხება პარტიის აქტივისტებს. დემოკრატთა ყრილობაზე დელეგატების მხოლოდ 3 პროცენტი მიიჩნევდა თავს კონსერვატორად რესპუბლიკელთა ყრილობის დელეგატების 70 პროცენტისაგან განსხვავებით.

პლატფორმები: თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა. პარტიული ფილოსოფიის გასაგებად ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ პარტიის პლატფორმებს – მათ პოლიტიკურ განცხადებას, მიღებულს პარტიულ ყრილობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს პარტიის პლატფორმას, რამდენიმე მეცნიერმა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით აჩვენა, რომ სახელმწიფოს სათავეში მოსული პარტიები ცდილობენ განახორციელონ თავიანთი პლატფორმა (Pomper, 1968; Fishel, 1985).

პარტიულ პლატფორმებს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პარტიული ყრილობის დელეგატებისთვის. პლატფორმის ფორმულირება ხშირად სიტყვიერად გამოხატავს სხვაობას ამ პარტიაში შემავალი ფრაქციების გამარჯვებასა თუ დამარცხებას შორის. ამიტომ, პლატფორმები იძლევიან იმის სრულ სურათს, თუ რომელი პოლიტიკის მომხრეები არიან პარტიული აქტივისტები.

1992 წელს დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ყრილობების მიერ მიღებული პლატფორმები სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთს: ისგან როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. დემოკრატებმა, რომლებიც პირველები შეიკრიბნენ, შეიმუშავეს შედარებით მოკლე, 9 თათსისიტყვიანი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა ბილ ქლინტონის ზომიერ ფილოსოფიას და ცენტრისაკენ მეტ გადახრას. დემოკრატების 1988 წლის პლატფორმა ასეთი იყო: „ჩვენ გვჯერა, რომ ყოველ ამერიკელს აქვს ეკონომიკური სამართლიანობის უფლება“ (ფრაზა, რომელიც საზოგადოდ ნიშნავს თანასწორობის მხარდაჭერას). 1992 წლის პლატფორმის დევიზი კი იყო: „ამერიკის ეკონომიკური სიდიადის აღორძინება“. ოთხი წლის წინ პარტია პირდებოდა ყველა მოქალაქისთვის „თანასწორ ხელმისაწვდომობას“ განათლების მიღებაზე, კომუნალურ მომსახურებაზე, დასაქმებაზე, ბინით უზრუნ-


ველყოფაზე, ბიზნესზე და ა. შ. ახლა დემოკრატები ამბობდნენ: „ჩვენი პარტიის უპირველესი ამოცანაა მყარი, არაინფლაციური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის და, აქედან გამომდინარე, ყველა სხვა შესაძლებლობის შექმნა. 1992 წელს დემოკრატები ფიქრობენ, რომ ამერიკისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკაა, რომელიც სთავაზობს ყველას განვითარებას და დასაქმებას“.

ამასობაში რესპუბლიკელებმა იმაზე უფრო მემარჯვენე პოზიცია დაიკავეს, ვიდრე, ალბათ, უნდოდა პრეზიდენტ ბუშს. თავისი დიდი, 35 ათას-სიტყვიანი პლატფორმის შესავალში რესპუბლიკელებს მოჰყავდათ ლინკოლნის სიტყვები: „მთავრობა არ უნდა ჩაერიოს!“ (იმ საქმეებში, რომელთაც ადამიანები თვითონაც მოუვლიან). პლატფორმა იმეორებდა რესპუბლიკელების ტრადიციული ფილოსოფიის სხვა პრინციპებსაც: „რესპუბლიკელებს ყოველთვის სჯეროდათ, რომ ეკონომიკურ აყვავებას განაპირობებს კერძო მეწარმეობა და არა სამთავრობო პროგრამები... ჩვენ გვჯერა, რომ პიროვნების თავისუფლება, მუყაითი შრომა და პერსონალური პასუხისმგებლობა, თავისუფალი საზოგადოების საფუძველი და ამავე დროს, მსაჯობის ეფექტიანობის საფუძველიცაა“.

1992 წელს ორი პარტიის პლატფორმებში არსებული განსხვავება უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მათ სპეციფიკურ წინადადებებში. აბორტების საკითხზე დემოკრატები მხარს უჭერდნენ ქალთა უფლებას აბორტებზე გამონაკლისის გარეშე, მაშინ, როცა რესპუბლიკელები მოითხოვდნენ კონსტიტუციაში შესწორების შეტანას აბორტების წინააღმდეგ. დემოკრატები ემხრობოდნენ ცეცხლსასროლ იარაღზე კონტროლს, რესპუბლიკელები კი ეწინააღმდეგებოდნენ მას; დემოკრატები იცავდნენ ჰომოსექსუალისტების უფლებებს, რესპუბლიკელები კი წინააღმდეგი იყვნენ ჰომოსექსუალისტები დაცვის უფლების მქონე უმცირესობად მიიჩნიათ. რაც შეეხება სამედიცინო მომსახურების საკითხს, დემოკრატები მომხრენი იყვნენ, რომ მთავრობა ყოფილიყო საყოველთაო სამედიცინო მომსახურების გარანტი, რესპუბლიკელები კი ამ სფეროში მთავრობის მეტი კონტროლის წინააღმდეგი იყვნენ.

თავისუფლების, წესრიგის და თანასწორობის საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისი ამკარად განასხვავებს ორ პარტიას ერთმანეთისგან. ეს საკითხები, ამავე დროს, ხელისუფლების დილემის საფუძველს წარმოადგენს (იხ. თავი 1). აქ მოცემული ტიპოლოგიის თანახმად, რესპუბლიკელების 1992 წლის პლატფორმა მათ პარტიას კონსერვატორთა კატეგორიას აკუთვნებდა, დემოკრატებისა კი – ლიბერალურს.

განსხვავებული, მაგრამ მსგავსი. დემოკრატებს¹ და რესპუბლიკელებს ძალიან განსხვავებული იდეოლოგიური ორიენტაცია აქვთ, თუმცა, ბევრი მიმომხილველი მაინც აცხადებს, რომ იდეოლოგიურად პარტიები საკმაოდ მსგავსნი არიან, განსაკუთრებით თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების პარტიებს. მათ აერთიანებთ ის, რომ ორივე მხარს უჭერს კაპიტალიზმს და უარყოფს სახელმწიფო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე (იხ. თავი 1). დემოკრატების და რესპუბლიკელების პოზიციების შესწავლისას ეკონომიკის ოთხ საკითხზე



ნახაზი 6.2. პარტიის მომხრეების და დელეგატების იდეოლოგიები 1992 წელს მიუხედავად ბეერის მიერ გამოთქმული თვალსაზრისისა, თითქოს რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები მსგავსია, მათ იდეოლოგიებში სავსებით განსხვავებებია. როდესაც რესპოდენტებს სთხოვდნენ თავისი ადგილი განესაზღვრათ იდეოლოგიურ შკალაზე, მეტი რესპუბლიკელი მიიხსენებდა თავს კონსერვატორად, ვიდრე დემოკრატი. ეროვნული ყრილობების დელეგატებს შორის ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა. (წყარო: Washington Post, July 12, 1992; August 16, 1992)

- წარმოების საშუალებების საკუთრებაზე, ეკონომიკურ დაგეგმვაზე, დოვლათის გადანაწილებაზე და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე – აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებიან ყველა ამ საკითხში მთავრობის აქტიუობის ზრდას. როდესაც მეცნიერებმა შეადარეს ზემოხსენებული მონაცემები ცამეტი სხვა დემოკრატიული ქვეყნის პარტიების პოზიციებს, აღმოჩნდა, რომ ამერიკის ძირითად პარტიებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ტიპურ ორპარტიულ სისტემაში. მაგრამ, ამერიკული პარტიები უფრო კონსერვატიული არიან ეკონომიკის საკითხებში, ვიდრე სხვა ორპარტიული სისტემის პარტიები. მრავალპარტიული სისტემების უმრავლესობაში მძლავრი სოციალისტური და არასოციალისტური პარტიების არსებობა, იდეოლოგიური თვალსაზრისით, არჩევანის გაცილებით ფართო სპექტრს უზრუნველყოფს, ვიდრე ამერიკული სისტემა, რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს შორის რეალური სხვაობის მიუხედავად.

პარტიის ორგანიზაცია

• ამერიკის პარტიები. შეესაბამებიან ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ სისტემას: მათ (გამიჯნული აქვთ საერთო ეროვნული და შტატების ორგანიზაციები (და ბევრ შემთხვევაში, ცალკე ადგილობრივი ორგანიზაციები). ყოველი მთავარი პარტია ეროვნულ დონეზე ოთხი ძირითადი ორგანიზაციული კომპონენტისაგან შედგება:

- *ეროვნული ყრილობა.* ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ თითოეული პარტია შტატებიდან და სხვა ტერიტორიებიდან (როგორც არის ჰუერტო რიკო და გუამი) თავს უყრის ათასობით დელეგატს ეროვნულ ყრილობაზე, რათა დაასახელოს პრეზიდენტობის კანდიდატი. პრეზიდენტობის კანდიდატის წარსაადგენად მოწვეული ყრილობა არის აგრეთვე პარტიის უმაღლესი მმართველი ორგანო. იგი განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკას პლატფორმის შემუშავების საშუალებით, აყალიბებს პარტიის მოქმედების სამართავ წესებს, ნიშნავს ეროვნულ კომიტეტს მომდევნო ყრილობამდე, რომელიც უფლებამოსილია უხელმძღვანელოს პარტიას.
- *ეროვნული კომიტეტი.* ყოველი პარტიის ეროვნული კომიტეტი შედგება პარტიის ხელმძღვანელი პირებისგან, რომლებიც წარმოადგენენ შტატებს და ტერიტორიებს. მასში შედიან აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების თავმჯდომარეები) 1992 წლის საპრეზიდენტო კამპანიამდე რესპუბლიკელების ეროვნული კომიტეტი (რეკ) შედგებოდა 162 წევრისგან, ხოლო დემოკრატებისა (დეკ) – 403 წევრისგან (Nelson. 1989). ყოველი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს ასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატი: იგი შემდეგ, სათანადო წესის მიხედვით, აირჩევა კომიტეტის მიერ. თუკი კანდიდატი დამარცხდა არჩევნებში, კომიტეტი, ჩვეულებრივ, ცვლის ხოლმე მის მიერ წარდგენილ თავმჯდომარეს.
- *კონგრესის პარტიული კონფერენციები.* კონგრესის ყოველი სესიის დაწყების წინ რესპუბლიკელი და დემოკრატი კონგრესმენები ცალკეულ პალატაში აწყობენ პარტიულ კონფერენციას) (წარმომადგენელთა პალატის დემოკრატები უწოდებენ მას *„caucus“*-ს), (რათა აირჩიონ პარტიული ლიდერები და გადაწყვიტონ ეროვნული კომიტეტების დავალებათა შესრულების საკითხი. თითოეულ პალატაში პარტიული კონფერენცია ავტონომიურია და ეხება მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობას შესაბამის პალატაში.
- *საკონგრესო კამპანიის კომიტეტები.* რესპუბლიკელებს და დემოკრატებს კონგრესის პალატასა და სენატში აქვთ საკონგრესო კამპანიის კომიტეტები. კონგრესის არჩევნებში თავიანთი კანდიდატების მხარდასაჭერად ყოველი მათგანი ქმნის ფონდებს. ის, რომ ასეთი კომიტეტები ცალკე ორგანიზაციებია, იმაზე მიუთითებს, რომ წამყვანი პარტიების საერთო სტრუქტურა სუსტია; ეროვნული კომიტეტი იშვიათად ერევა კონგრესის ცალკეული წევრის არჩევნებში. უფრო მეტიც, საკონგრესო კამპანიის ორგანიზაციებიც კი უბრალოდ უმატებენ თანხას იმ ფონდებს, რომლებსაც აგროვებენ თვითონ სენატორები და წარმომადგენლები ხელახალ არჩევნებში გამარჯვებისათვის.)

შეიძლება ვიფიქროთ, რომ წამყვანი პარტიის თავმჯდომარე, რომელიც პარტიული ორგანიზაციის იერარქიის სათავეშია, არა მხოლოდ კონგრესში აკონტროლებს თავისი პარტიის წევრებს, არამედ შტატების კომიტეტების საშუალებით – ადგილობრივ დონეზეც. ეს შეცდომაა. ფაქტობრივად, არ არსებობს ეროვნული კომიტეტის მხრიდან რაიმე კონტროლი კონგრესზე. კომიტეტი



ლიდერი

რონალდ ბრაუნი, პირველი აფრო-ამერიკელია, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი პოლიტიკური პარტიის - დემოკრატიულის - თავმჯდომარე გახდა 1989 წელს. 1988 წელს იგი სხვა აფრო-ამერიკელის - ჯესი ჯექსონის საპრეზიდენტო კამპანიას ხელმძღვანელობდა. 1992 წელს, ქლინთონის გამარჯვების შემდეგ, იგი დაინიშნა ეაჭრობის დეპარტამენტის მდივნად (მინისტრად)

იძლევა მხოლოდ ძალიან ზოგად მითითებებს საშტატო და ადგილობრივი საარჩევნო კამპანიის დროს. ეროვნული კომიტეტის მთავარი ფუნქციაა კანდიდატის საარჩევნო კამპანიის წარმმართველებთან თანამშრომლობა არჩევნებში გამარჯვების მიზნით.

წლების განმავლობაში ეროვნული კომიტეტის ფუნქციები შემოიფარგლებოდა მომდევნო ყრილობის ორგანიზაციით. კომიტეტს უნდა შეერჩია ყრილობის ჩატარების ადგილი, მოეწვია შტატების პარტიული ორგანიზაციები ყრილობაზე დასასწრებად, უნდა შეედგინა ყრილობის დღის წესრიგი, შეემუშაებინა პარტიის პროგრამის პროექტი და ა. შ. მაგრამ 1970-იან წლებში დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ეროვნული კომიტეტების როლმა გაფართოება დაიწყო, ოღონდ თითოეული პარტიისამ სხვადასხვა მიმართულებით.

1968 წელს დემოკრატების ყრილობის მიმდინარეობისას ქუჩაში მომხდარი არეულობების საპასუხოდ, დემოკრატიულმა პარტიამ შექმნა სპეციალური კომისია, რათა მას წარმოედგინა პარტიის რეფორმების პროექტი. მაკგოვერნ - ფრეიზერის კომისიამ დემოკრატიული პარტიის 1972 წლის ყრილობის წინ

მომზადა ინსტრუქცია დელეგატების შერჩევის შესახებ. ეს ინსტრუქცია შეიცავდა მოთხოვნას, რათა შტატების პარტიულ ორგანიზაციებს გამოეგზავნათ დელეგაციები, რომელშიც იქნებოდა ქალების, შავკანიანების, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლობა შტატის მოსახლეობაში მათი პროპორციის მაქსიმალური გათვალისწინებით (Grotty and Jackson, 1985, p. 33).

პარტიის ეროვნულ კომიტეტს აქამდე არასდროს არ დაუწესებია ასეთი მოთხოვნები შტატების პარტიული ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ამჯერად ამან გაამართლა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიები მას შემდეგ ნაკლებ აქტიურად აკეთებენ ქვოტაზე, ქალების და შავკანიანების მონაპოვარს ამით არაფერი დააკლდა, თუმცა ახალგაზრდობის წარმომადგენლობა შემდგომში არსებითად შემცირდა.

სანამ დემოკრატები დაკავებული იყვნენ პროცედურული რეფორმებით, რესპუბლიკელები ახორციელებდნენ ორგანიზაციულ რეფორმებს. ისინი არ ისწრაფოდნენ იმისკენ, რომ ეროვნული კომიტეტის მეშვეობით შტატის პარტიორგანიზაციებისათვის თავს მოეხვიათ დელეგატთა ქვოტის საკითხი. ნაცვლად ამისა, რეკ-მა გააძლიერა თავისი ფონდების შემგროვებელი, კვლევითი და მომსახურების ფუნქციები. რესპუბლიკელებმა შეიძინეს თავისი საკუთარი შენობა და კომპიუტერი, 1976 წელს კი მათ სრული ხელეფასი დაუნიშნეს პარტიის ეროვნულ თავმჯდომარეს. ადრე ეს თანამდებობა მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე ეკავათ როგორც რესპუბლიკურ, ისე დემოკრატიულ პარტიაში. უილიამ ბროკმა, როგორც რეკ-ის თავმჯდომარემ, გააძლიერა პარტიულ ფუნქციონერთა შტატი, წამოიწყო ახალი პუბლიკაციები, დააწესა სემინარები, დაიწყო არჩევნების ანალიზის ჩატარება, რჩევის მიცემა კანდიდატებისათვის და, საერთოდ, იმის კეთება, რასაც, ჩვეულებრივ, წლების განმავლობაში აკეთებენ სხვა ქვეყნების პარტიების ეროვნული კომიტეტები.

ყველაზე დიდი განსხვავება ეროვნული კომიტეტების რეფორმასთან დაკავშირებით დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მიდგომებს შორის ჩანს იმ ფულის შეგროვებაში, რომელსაც დეკ-ი და რეკ-ი საარჩევნო კამპანიებს ახმარენ. ბროკის თავმჯდომარეობის პერიოდის, რესპუბლიკელები იყენებდნენ პირდაპირ საფოსტო მიმართევებს, რითაც, დემოკრატებთან შედარებით, სამოთხვეურ მეტი ფულის შეგროვებას ახერხებენ. შენატანს ძირითადად პატარა თანხები შეადგენდნენ (100 \$-ზე ნაკლები ოდენობის). მოკლედ, რეკ-მა გაცილებით მეტი ფული დააგროვა დეკ-თან შედარებით. ამ საქმიანობის ეფექტიანობა გამოშლავნდა შტატების პარტიული ორგანიზაციების დონეზე.

შტატისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები

ერთ დროს ორივე წამყვანი პარტია მჭიდროდ იყო დაკავშირებული შტატებისა და ადგილობრივი პარტიულ ორგანიზაციებთან. დიდი ქალაქების პარტიული ორგანიზაციები, როგორც არის დემოკრატების Tammany Hall ნიუ იორკში და Cook County Central Committee ჩიკაგოში, პარტიული აპარატის სრული პროტოტიპები იყვნენ. პარტიული აპარატი იყო ცენტრალიზებული ორგანი-

ზაცია, რომელიც არჩევნების კონტროლის გზით წარმართავდა ადგილობრივ პოლიტიკას. ზოგჯერ იგი ამას არალეგალური გზით აღწევდა: საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად იგი ქალაქის მოსახლეობას უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილებით და სოციალური მომსახურებით. პარტიული აპარატის მფარველობითი და სოციალური მომსახურების ფუნქციები მას შემდეგ იქნა შეკვეცილი, რაც მთავრობამ თავის თავზე აიღო უმუშევართა სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური მომსახურება. ამის შედეგად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უმეტესობამ დაკარგა ხმების მოპოვების და არჩევნებზე ზემოქმედების უნარი.

ორივე პარტიის საშტატო ორგანიზაციები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რესპუბლიკელების საშტატო ორგანიზაციები უფრო ძლიერია, ვიდრე დემოკრატებისა. რესპუბლიკელებს უფრო დიდი ბიუჯეტი და შტატი აქვთ იმისათვის, რომ წარადგინონ კანდიდატები უფრო მეტ თანამდებობებზე. რესპუბლიკელები აგრეთვე უფრო მეტ ფინანსურ და საგანმანათლებლო დახმარებას უწევენ ეროვნული ორგანიზაციიდან შტატის ორგანიზაციებს, ვიდრე დემოკრატები. თუმცა, არცერთი წამყვანი პარტიის ეროვნული კომიტეტი არ ერევა შტატის პარტორგანიზაციის საქმეებში, თუკი ეს უკანასკნელი არ მოითხოვს ამას. ასე ხდება მხოლოდ მომსახურების სფეროში. მაგრამ კავშირი სახელმწიფო - შტატი - ქუთი - დონეებს შორის არც ისე სუსტია, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. იგი შეიძლება უფრო გაძლიერდეს კიდევ (Gibson et al., 1989).

დეცენტრალიზებული, მაგრამ სულ უფრო ძლიერი

ამერიკის პოლიტიკურ პარტიებს ყოველთვის ახასიათებდათ დეცენტრალიზებული მმართველობა. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ ამერიკის სუსტი პარტიები შემდგომში კიდევ უფრო დაკნინდებიან. მაგრამ დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ამერიკის პოლიტიკური პარტიები აღმავლობის გზას ადგანან. დღეს სულ უფრო ნაკლები ამომრჩეველი ვერ ხედავს განსხვავებას პარტიებს შორის, ვიდრე სამი ათწლეულის წინ. კონგრესში კი კენჭისყრა ძირითადად პარტიული ხაზით მიმდინარეობს. საკონგრესო პოლიტიკის სპეციალისტი ასკვნის: „უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, წინამორბედებთან შედარებით, ამჟამინდელი წამყვანი პარტიების ხელმძღვანელობა უფრო აქტიურია და მას უფრო გადაწყვეტი ხმა აქვს პარტიისა და პალატის ფრაქციის ორგანიზაციაში, პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენაში, კანონმდებლობის ფორმირებასა და საკანონმდებლო შედეგის განსაზღვრაში“ (Sinclair, 1989). თუმცა, ამერიკის პარტიები ტრადიციულად მაინც ისეთი სუსტები არიან, რომ ამ დადებითმა ტენდენციებმა დიდად ვერ შეცვალეს მათი ძირითადი ხასიათი. ამერიკის პოლიტიკური პარტიები ორგანიზაციულად კვლავ მოუწესრიგებელი და დეცენტრალიზებული არიან, ამიტომ იბადება კითხვა: როგორ უნდა დააკავშირონ პარტიებმა ამომრჩეველები მთავრობასთან?

პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის მოდელი

დემოკრატიის მაჟორიტარული მოდელის თანახმად, პარტიების არსებითი ფუნქციაა აიძულონ მთავრობა ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს. მაჟორიტარული დემოკრატიის პირობებში პარტიების იდეალური როლი ჩამოყალიბებულია პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის ოთხი პრინციპის საფუძველზე (American, 1951):

1. პარტიებმა ამომრჩევლებს უნდა შესთავაზონ გასაგები და თანმიმდევრული პროგრამა;
2. ამომრჩევლებმა უნდა აირჩიონ კანდიდატები პარტიული პროგრამების მიხედვით;
3. გამარჯვებულმა პარტიამ ხელისუფლების სათავეში ყოფნისას უნდა განახორციელოს თავისი პროგრამა;
4. ამომრჩევლებმა მომდევნო არჩევნებისას პასუხი უნდა მოსთხოვონ მმართველ პარტიას პროგრამის შესრულების შესახებ.

კარგად ახორციელებენ თუ არა ამ პრინციპებს ამერიკის პოლიტიკაში? თქვენ უკვე გაიგეთ, რომ დემოკრატიების და რესპუბლიკელების პლატფორმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და თითოეული იდეოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მდგრადია, ვიდრე ზოგს ჰგონია. ასე, რომ, ხალხი კარგად გებულობს პირველ პრინციპს. ასევე მესამეს – პარტიები იღებენ ძალაუფლებას და ასრულებენ დანაპირებს.

● დემოკრატიის თეორიის თვალსაზრისით, მთავარი საკითხები მეორე და მესამე პრინციპებში დევს; აქცევენ თუ არა ამომრჩევლები ყურადღებას ხმის მიცემისას პარტიულ პლატფორმასა და პოლიტიკას? თუ ყურადღებას აქცევენ, მაშინ ამომრჩევლებმა შემდეგ არჩევნებზე პასუხი უნდა მოსთხოვონ მმართველ პარტიას, ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ დეტალურად უნდა განვიხილოთ პარტიების როლი კანდიდატების დასახელებაში და ხმის მიცემისას არჩევანის სტრუქტურირებაში. ამ თავის შეჯამებისას ჩვენ დაეუბრუნდებით დემოკრატიულ მთავრობაში პოლიტიკური პარტიების როლის შეფასებას.

საარჩევნო კამპანიის ევოლუცია

საარჩევნო კამპანია არის ორგანიზებული მცდელობა იმისა, რომ დაარწმუნონ ამომრჩევლები გააკეთონ არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ ერთი და იმავე ადგილისთვის მებრძოლ კანდიდატებს შორის. ეფექტიანი კამპანია საჭიროებს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, რათა შეიმუშაონ და მოიპოვონ ინფორმაცია ამომრჩეველთა ინტერესების შესახებ, შეიმუშაონ ამ ინტერესების შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა, მიიტანონ კანდიდატების პოზიცია ამომრჩევლებამდე და გააკეთებინონ ამ უკანასკნელებს სასურველი არჩევანი.

ადრე საარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე პოლიტიკური პარტიები ცენტრალურ როლს თამაშობდნენ. დღეს კი კანდიდატები იშვიათად თუ ეყრდნობიან პოლიტიკურ პარტიებს იმაშიც კი, რასაც 1950-იან წლებში ეყრდნობოდნენ. დღეს, კანდიდატები ამომრჩეველთა ინტერესების შესახებ გებულობენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საშუალებით და არა პარტიების მეშვეობით. კანდიდატები თავიანთი კამპანიების სტრატეგიას და ტაქტიკას ადგენენ დაქირავებული პოლიტიკური კონსულტანტების საშუალებით, რომლებიც აყალიბებენ ჭკვიანურ, ლაკონურ „ლოზუნგებს“ ამომრჩეველთა ყურადღების მისაპყრობად. ამდენად, ისინი აღარ იღებენ კონსულტაციებს პარტიული ცენტრებიდან, თავიანთ მიმართვას ამომრჩეველებს აწვდიან საინფორმაციო კამპანიების საშუალებით და ამომრჩეველთა მიზიდვაში იმედს აღარ ამყარებენ პარტიის ლიდერებზე.

- საარჩევნო კამპანიების მოქმედების ცენტრმა პარტიებიდან კანდიდატებისკენ გადაინაცვლა. პარტიების როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა; ის აღარ „აწარმოებს“, ის მხოლოდ მხარს უჭერს. წარსულში პარტიები ფაქტობრივად მართავდნენ, ანუ აწარმოებდნენ საარჩევნო კამპანიებს. დღეს კი ისინი უმთავრესად არსებობენ იმისათვის, რათა მხარი დაუჭირონ კამპანიებს დემოკრატიული პროცედურის უზრუნველყოფის გზით, ან პარტიის კანდიდატების მომსახურებით თუ ფონდებით უზრუნველყოფის გზით. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატები ხშირად გაურბიან თავიანთი პარტიული წევრობის აფიშირებას, მაინც პარტიულობის „ნიშანი“ კანდიდატების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ატრიბუტია არჩევნების დროს.

საარჩევნო კამპანიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, ალბათ, ის არის, რომ კანდიდატებს აღარ ჰყოფნით ერთი კამპანია იმისათვის, რომ იქნენ არჩეული. ახლა მათ უნდა ჩაატარონ კამპანია იმისათვისაც, რომ ისინი დაასახელონ (ფუნქცია, რომელიც ერთ დროს პარტიების მიერ კონტროლდებოდა). თუმცა დღეს ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე კანდიდატებს ასახელებენ არა პარტიული ორგანიზაციები, არამედ თვით პარტიაში. ეს ნიშნავს, რომ პარტიული ლიდერები თვითონ იშვიათად არჩევენ კანდიდატებს, არამედ აწყობენ და ხელმძღვანელობენ საარჩევნო პროცესს, რომლის დროსაც პარტიის ამომრჩეველები ირჩევენ კანდიდატებს. თითქმის ყველა პიროვნებამ, ვისაც სურს, რომ გახდეს პარტიის კანდიდატი ქვეყნის ძირითად თანამდებობებზე არჩევნებში, პირველად უნდა გაიმარჯვოს პარტიის მიერ წარდგენისთვის ჩატარებულ არჩევნებში, ე. ი. მათ, ვინც აპირებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, ჯერ უნდა ჩაატაროს დასახელებისათვის საჭირო კამპანია.)

კანდიდატის დასახელება

ამერიკის პარტიულ პოლიტიკაში კანდიდატის დასახელების პროცესის ყველაზე მთავარი თვისება ის არის, რომ იგი ჩვეულებრივ მოიცავს არჩევნებს, რომელიც ტარდება პარტიის ამომრჩეველთა მონაწილეობით. ფაქტობრივად, არცერთი სხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტია არ წარადგენს კანდიდატებს სა-

ხელმწიფო საკანონმდებლო სისტემისთვის პარტიული არჩევნების გზით. მსოფლიოს პარტიების ნახევარზე მეტში კანდიდატებს საკანონმდებლო ხელისუფლებაში არჩევენ პარტიის ადგილობრივი ლიდერები და, უმეტეს შემთხვევაში, მათ ამტკიცებენ პარტიის ეროვნული ორგანიზაციები. მსოფლიოს პარტიების ერთ მესამედზე მეტში ეროვნული ორგანიზაციები თვით არჩევენ პარტიის კანდიდატებს სახელმწიფო საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის (იხ. „რას შევადართ?“ 6. 1) (Janda, 1980).

დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მიერ კანდიდატების დასახელება საერთო-სახელმწიფო და საშტატო პოლიტიკური თანამდებობებისათვის რამდენადმე განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. იმის გამო, რომ თითოეული შტატი თავისი კანონების მიხედვით მართავს კანდიდატის დასახელების პროცესს (ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან სხვა ქვეყნების უმეტესობაში პოლიტიკურ პარტიებს არ უქმნიან იმ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ კანდიდატების შერჩევის წესს), დასახელების პრაქტიკა განსხვავდება პარტიული არჩევნების ტიპის შესაბამისად და იმის მიხედვით, თუ რა ტიპის თანამდებობას ეძიებენ კანდიდატები.

დასახელება კონგრესმენობისა და შტატის დონის ოფიციალური თანამდებობის კანდიდატად

(შეერთებულ შტატებში მაღალი თანამდებობების მაძიებელ კანდიდატებს წარადგენ პირველადი არჩევნების გზით; ესაა წინასწარი არჩევნები, რომელიც ტარდება თვით პარტიის შიგნით. მისი მიზანია შერჩევა კანდიდატისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შემდგომ არჩევნებში.) 37 შტატში კანდიდატის დასახელება შტატისა თუ საერთო-სახელმწიფო თანამდებობაზე ხდება მხოლოდ პირველადი არჩევნების გზით, ხოლო დანარჩენ შტატებში იგივე ტიპის პროცედურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამრიგად, დასახელების პროცესი ძალიან დეცენტრალიზებულია და ეყრდნობა ათასობით, შესაძლოა, მილიონობით რიგითი წევრის გადაწყვეტილებას.

(პირველადი არჩევნები შტატისა და სახელმწიფო თანამდებობებისთვის განსხვავებულია, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ შტატში ტარდება იგი. 40-იოდე შტატში ყველაზე გავრცელებული ტიპია დახურული პირველადი არჩევნები, სადაც ამომრჩევლებმა უნდა განაცხადონ თავისი პარტიული კუთვნილების შესახებ მანამდე, სანამ მიიღებენ ბიულეტენს. ამ უკანასკნელში მოცემულია პარტიის პოტენციურ კანდიდატთა სია. შტატების მცირე რაოდენობაში იყენებენ ღია პირველად არჩევნებს, სადაც აუცილებელი არაა ამომრჩეველმა წინასწარ გამოაცხადოს თავისი პარტიული კუთვნილება, მაგრამ საარჩევნო ყუთში ჩასაგდებად მან უნდა ამოირჩიოს. მხოლოდ ერთი პარტიის ბიულეტენი. ყოვლისმომცველი ტიპის პირველად არჩევნებში, რომელიც დღეს 2-3 შტატში გამოიყენება, ამომრჩევლები იღებენ ორივე პარტიის ბიულეტენს, სადაც მოცემულია ორივე პარტიის პოტენციური კანდიდატების სია და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კანდიდატების წარდგენაში ყველა თანამდებობისთვის.)

პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელება

პრეზიდენტობის კანდიდატებს პარტიები წარადგენენ პარტიის ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა ზაფხულში, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე) ადრე კანდიდატის დასახელება პირდაპირ პარტიულ ყრილობაზე ხდებოდა, ხანდახან განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ – თუკი ხმები ისე იყოფოდა, რომ ვერც ერთი კანდიდატი ვერ აგროვებდა უმრავლესობას. მაგრამ განმეორებითი კენჭისყრა უკანასკნელად დასჭირდათ 1952 წელს, როცა ედლაი ე. სტივენსონის პრეზიდენტობის კანდიდატად წარსადგენად დემოკრატებმა სამი კენჭისყრა ჩაატარეს. (1968 წლიდან ორივე პარტიის ყრილობები ახდენენ მხოლოდ დელეგატების შესარჩევი რთული პროცესის შედეგების რატიფიცირებას.

ყრილობის დელეგატების შერჩევა. არ არსებობს ქვეყნის რაიმე კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აირჩიონ პარტიებმა თავიანთი დელეგატები ეროვნული ყრილობისათვის. ნაცვლად ამისა, შტატების კანონმდებლებმა შეიმუშავეს უამრავი პროცედურა, რომლებიც ხანდახან განსხვავებულია ერთი და იმავე შტატის რესპუბლიკელებისა და დემოკრატებისათვის. დელეგატების შერჩევის პროცედურაში ყველაზე მნიშვნელოვანი პირველადი საპრეზიდენტო არჩევნებისა და პარტიის ლიდერების დახურულ თათბირებს შორის განსხვავებაა.

პირველადი საპრეზიდენტო არჩევნები არის სპეციალური პირველადი არჩევნები, რომელიც გამოიყენება პარტიის კანდიდატის წარსადგენ ყრილობაზე დამსწრე დელეგატების შესარჩევად. *პრეზიდენტობისთვის პრეფერენტულ პირველად არჩევნებში* პარტიის მხარდამჭერები პირდაპირ აძლევენ ხმას პიროვნებას, როგორც მათი პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატს; დელეგატების ხმებს მომავალი კანდიდატები ამ გზით აგროვებენ, ეს მეთოდი 1992 წელს გამოიყენეს დემოკრატებმა ყველა შტატში ჩატარებულ პირველად არჩევნებში, ხოლო რესპუბლიკელებმა – 34 შტატში.

(*დელეგატების შესარჩევ პირველად არჩევნებში*) (რომლებიც მხოლოდ რესპუბლიკელებმა გამოიყენეს ხუთ შტატში) პარტიის ამომრჩეველები პირდაპირ ირჩევენ ყრილობის დელეგატებს, რომლებსაც შეეძლოთ გამოეცხადებინათ ან არ გამოეცხადებინათ პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს უჭერენ მხარს.

დელეგატების შერჩევის ადგილობრივი დახურული თათბირის მეთოდს რამდენიმე ეტაპი აქვს. ის იწყება მომდევნო შეკრებისთვის დელეგატთა ასარჩევად პარტიის ადგილობრივი მხარდამჭერების შეკრებით, ჩვეულებრივ, ქაუნთის დონეზე. ადგილობრივ თათბირზე არჩეული დელეგატების უმეტესობა ღიად უჭერს მხარს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს. ქაუნთის თათბირი, თავის მხრივ, ირჩევს დელეგატებს უფრო მაღალი საფეხურის თათბირისათვის. ეს პროცესი მთავრდება შტატის პარტიულ ყრილობაზე, რომელიც უკვე ირჩევს დელეგატებს ეროვნული ყრილობისთვის. 1992 წელს დაახლოებით 15 შტატი იყენებდა დახურული თათბირის ამგვარ მეთოდს (რამდენიმე შტატი კი აერთიან-

ნება დახურულ თათბირს და პირველად არჩევნებს). თათბირები გამოიყენებოდა უფრო დემოკრატიების, ვიდრე რესპუბლიკელების მიერ.)


პირველადი არჩევნები ყრილობისთვის დელეგატების შესარჩევად პირველად 1912 წელს გამოიყენეს. დღეს პარტიები დაახლოებით 40 შტატში ეყრდნობიან ამ მეთოდს, რომლის საშუალებითაც იწვევენ დელეგატების 80 პროცენტზე მეტს.

კანდიდატების დასახელების კამპანია. ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც არა აქვს ანალოგი სხვა რომელიმე ქვეყნის პარტიულ პოლიტიკაში. პოტენციური პრეტენდენტები აცხადებენ თავიანთ პრეტენზიას თანამდებობაზე და იწყებენ კამპანიას ყრილობის დელეგატების არჩევამდე მრავალი თვით ადრე. 1992 წლის თებერვლის დასაწყისში შერჩევის პროცესი დაიწყო აიოვას შტატის დახურული თათბირებით. მას მაშინვე მოჰყვა ნიუ-ჰემპშირის ამომრჩეველთა პირველადი არჩევნები. ისტორიული შემთხვევითობის წყალობით, ეს ორი პატარა შტატი კანდიდატების პოპულარობის პირველი შემფასებელი ხდება. შესაბამისად, ისინი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში ხვდებიან.

აიოვას შტატის დახურული თათბირები და ნიუ-ჰემპშირის პირველადი არჩევნები პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის პროცესში სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ. აიოვაში პარტიულ თათბირებზე გამოირიცხებიან ის კანდიდატები, რომელთაც პარტიების ერთგული წევრები მიუღებლად მიიჩნევენ. ნიუ-ჰემპშირის პირველადი არჩევნები, რომელიც აიოვას თათბირებიდან ერთი კვირის შემდეგ ტარდება, აფასებს, თუ რამდენად მოსწონთ აიოვაში გამოვლენილი პრეტენდენტები რიგით პარტიულ ამომრჩევლებს, რაც მოასწავებს მათ შესაძლებელ წარმატებას საყოველთაო არჩევნების დროს.

1992 წელს ორივე პარტიის პირველად საპრეზიდენტო არჩევნებში თითქმის 35 მილიონმა მოქალაქემ უყარა კენჭი და ნახევარმა მილიონმა მონაწილეობა მიიღო პარტიულ თათბირებში. მილიონობით ამომრჩევლების წინაშე – პირველად არჩევნებში და ასი ათასობით პარტიული აქტივისტის წინაშე – პარტიის დახურულ თათბირებზე პრეზიდენტობის კანდიდატების კამპანიის ჩატარებას გარკვეული შედეგები აქვს:

- წარდგენის პროცესის გაურკვეველობა იზიდავს პრეზიდენტობის ხუთ-ექვს მოსალოდნელ კანდიდატს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი პარტიას არ წარმოადგენს პრეზიდენტი, რომელიც ხელახლა იყრის კენჭს;
- კანდიდატებს არ შეუძლიათ მიაღწიონ დასახელებას, თუკი მათ მხარს არ უჭერს საკუთარი პარტიის მომხრეების უმეტესობა. 1936 წლიდან, მას შემდეგ, რაც სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები ხელმისაწვდომი გახდა, ამ წესიდან მხოლოდ ორი გამონაკლისი იყო: ედლაი სტივენსონმა 1952 წელს და ჯორჯ მაკგოვერნმა 1972 წელს თავიანთი (დემოკრატიული) პარტიის მომხრეების უმეტესობა ვერ დაიგულებს. ორივე მათგანმა საყოველთაო არჩევნების დროს მწარე მარცხი იწვნია.



პოლიტიკური კამპანიების წარმოება: შიდა ისტორია

სინამდვილეში, ეს სულაც არ არის ამაღლებელი. წარმატებული კამპანიის წარმართვა, ჩვეულებრივ, მოითხოვს არჩევნების საერთო მიზართულებისა და ამომრჩეველთა მრავალფეროვანი სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების ღრმა სტატისტიკურ დამუშავებას. ტეხასის შტატში, ქ. ისტინში, რესპუბლიკელების ერთ-ერთი სტრატეგის – კარლ როუვის ოფისში გაკეთებულია მრავლისმოქმედი წარწერა: *ქარიზმა არაა ყველაფერი, ჩვენს დღეებში კომპიუტერი შეიძლება იყოს ყველაფერი!*

- პრეზიდენტობის კანდიდატები, რომლებიც დასახელების რთულ პროცესს იგებენ, მხოლოდ საკუთარი ძალებით აკეთებენ ამას და ხშირად სულაც არ გრძნობენ თავს დაეალებულად პარტიის ეროვნული ორგანიზაციის წინაშე. მაგალითად, ჯიმი კარტერმა, რომელიც დემოკრატიულ პარტიაში ნაკლებად ცნობილი კაცი იყო და არ გააჩნდა კავშირები პარტიის ეროვნულ ხელმძღვანელობაში, 1976 წელს მოუგო დასახელების პროცესი ბევრად უფრო გამორჩენილ დემოკრატებს. შემდგომ მან საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა.

საარჩევნო კამპანიის წარმართვა

ბარბარა და სტივენ სელმორებმა შეიმუშავეს ანალიზის სტრუქტურა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ კონტექსტზე, კამპანიის წარსამართ რესურსებზე და იმ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რომელიც საფუძვლად უდევს კანდიდატების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას (Salmore and Salmore, 1989).

პოლიტიკური კონტექსტი

კამპანიის დაგეგმვისას თითოეულ კანდიდატს გასათვალისწინებელი აქვს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ფაქტორი: 1. თანამდებობა, რომელსაც კანდიდატი ეძიებს და 2. არის თუ არა კანდიდატი ინკუმბენტი (ამჟამინდელი თანამდებობის პირი, რომელიც ხელახალი არჩევისთვის იბრძვის), თუ ის პრეტენდენტი (პიროვნება, რომელიც ინკუმბენტის თანამდებობის დასაკავებლად იბრძვის). ალტერნატიულად, კანდიდატს შეუძლია კენჭი იყაროს ღია არჩევნებში, რომელშიც ინკუმბენტი მონაწილეობას არ იღებს გადადგომის ან გარდაცვალების გამო. პრეტენდენტებთან შედარებით, ინკუმბენტებს დიდ უპირატესობა აქვთ, განსაკუთრებით კონგრესში არჩევნებისას.

ყოველმა კანდიდატმა კამპანიის წამოწყებისას უნდა შეისწავლოს თავისი ამომრჩევლების დამახასიათებელი თვისებები, კერძოდ, მათი რაოდენობა, განსახლება და სოციალური შემადგენლობა. საზოგადოდ, რაც უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ელექტორატი, მით უფრო რთული და ძვირადღირებულია კამპანია.

ამომრჩევლების პოლიტიკური მიდრეკილებები საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. კანდიდატს არა მარტო გაუადვილდება არჩევნებში გამარჯვება, თუკი მისი პარტია ამომრჩევლების უმრავლესობის პოლიტიკურ ინტერესებს შეესატყვისება, არამედ უადვილდება წარმატებული კამპანიის ჩასატარებლად საჭირო სახსრების მოგროვებაც. და ბოლოს, მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა საკითხებმა, – როგორც არის ეკონომიკური კრიზისი, პირადი სკანდალები ან ომი – შეიძლება გავლენა მოახდინონ კამპანიის მსვლელობაზე. მათ შეიძლება გააბათილონ ისეთი დადებითი ფაქტორები, როგორც არის ინკუმბენტობა და ამომრჩეველთა ჩვეული მიდრეკილებანი.

დაფინანსება

წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა სპიკერმა თომას ონილმა ერთხელ აღნიშნა: „დღეს ყოველი კამპანია შედგება ოთხი ნაწილისაგან: კანდიდატი, კანდიდატის პროგრამა, კამპანიის ორგანიზაცია და კამპანიის წარმოებისთვის საჭირო სახსრები. სახსრების გარეშე შეგიძლიათ დაივიწყოთ დანარჩენი სამი“ (Dionne, 1980). ფულით კამპანიისათვის შესაძლებელია დაიჭირავთ საუკეთესო მენეჯერები, ტექნიკური საშუალებები, ტრანსპორტი, კვლევის ცენტრი და კონსულტანტები. ორგანიზაციის ხარისხს მხოლოდ ფული განსაზღვრავს. თუმცა კორელაცია ძალიან ძლიერი არაა, მაგრამ თუ ფული არსებობს, კანდიდატებიც კარგია!

ძნელია ზოგადად ვილაპარაკოთ პოლიტიკური კამპანიების ფონდების შეგროვებაზე. კამპანიების დაფინანსება ახლა მკაცრად რეგულირდება ეროვნული და შტატების მთავრობების მიერ და წესები განსხვავდება იმის შესაბამისად, თუ რა დონის მოხელეებს ირჩევენ: სახელმწიფოს, შტატის თუ ადგილობრივ დონეზე. საპრეზიდენტო და კონგრესის არჩევნების დაფინანსების კანონებშიც არის განსხვავება.

კამპანიის დაფინანსების რეგულირება. კამპანიის დაფინანსების მკაცრი კანონები შედარებით ახალი ამბავია ამერიკის პოლიტიკისათვის. კამპანიებისთვის შემოტანილი თანხების შემზღუდავ და კამპანიის დანახარჯების მკონტროლებელ ადრეულ კანონებს ხან ერთი ნაკლი აღმოაჩნდებოდა, ხან მეორე. ზუსტად ვერცერთი ვერ ახორციელებდა ადმინისტრაციულ ზომებს.

1971 წელს, პარტიული რეფორმების პერიოდში, კონგრესმა მიიღო *კანონი ფედერალური საარჩევნო კამპანიის შესახებ* (Federal Election Campaign Act - FECA), რომელიც ახორციელებს ახალ მკაცრ წესებს, რათა სრულყოფილად ხდებოდეს ანგარიშგება კამპანიების ფულადი შემოსავლისა და გასავლის შესახებ. ძველი კანონმდებლობის სისუსტე მალე გამოაშკარავდა. 1968 წელს, FECA-ს მიღებამდე, პალატის და სენატის კანდიდატები აცხადებდნენ, რომ მათი კამპანიების დანახარჯები 8,5 მილიონ დოლარს შეადგენდა. FECA-ს ამოქმედების შემდეგ კი, იმავე რაოდენობის კანდიდატებმა აღიარეს, რომ 1972 წელს მათ დანახარჯეს 88,9 მილიონი დოლარი (Federal Election Commission, 1985).

1971 წლიდან მოყოლებული, FECA-ში შეიტანეს რამდენიმე ცვლილება. ეს ცვლილებები უფრო აძლიერებდნენ ამ კანონს. 1974 წლის ცვლილების საფუძველზე შეიქმნა ფედერალური საარჩევნო კომისია (Federal Election Commission - FEC), რომელიც აწესებს ლიმიტს კამპანიის დროს შემოსულ თანხებზე და მოითხოვს კამპანიის ჩატარებისას გაწეული დანახარჯების სრულ მონაცემებს. FEC-ი აგრეთვე მართავს საპრეზიდენტო კამპანიის საზოგადოებრივ დაფინანსებას, რაც დაიწყო 1976 წლის არჩევნებიდან.

საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსება. საპრეზიდენტო კამპანიები ყოველთვის ძვირადღირებული იყო. ამ კამპანიისათვის თანხების შეგროვების მეთოდები ხანდახან ეჭვს იწვევდა. 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, სანამ FEC-ი ხელში აიღებდა საპრეზიდენტო კამპანიის დაფინანსებას და კამპანიების დანახარჯების მოწესრიგების საქმეს, პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის კამპანიის კომიტეტმა დახარჯა 65 მილიონ დოლარზე მეტი, რომლის ნაწილი არაკანონიერი გზით იყო მოპოვებული (რისთვისაც კამპანიის ზოგიერთი ორგანიზატორი ციხეში აღმოჩნდა). 1974 წელს, კამპანიების დაფინანსების ახალმა კანონმა შესაძლებელი გახადა საპრეზიდენტო პირველადი და საყოველთაო არჩევნების დროს საზოგადოებრივი ფონდების გამოყენება გარკვეული პირობებით.

(პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების მაძიებელს უფლება აქვს გამოიყენოს ფედერალური დაფინანსება 20 შტატიდან, თითოეულში 5 000 დოლარის ოდენობით (ერთი კერძო შენატანი არ უნდა აღემატებოდეს 250 დოლარს). ამის შემდეგ FEC-ი ამ შენატანებს უდარებს ზღვრულ ხარჯებს. თავდაპირველად, 1974 წლის კანონის შესაბამისად, FEC-ი ზღუდავდა საპრეზიდენტო პირველადი არჩევნების საერთო დანახარჯებს 10 მილიონი დოლარით, მაგრამ 1992 წლისათვის ეს თანხა გაიზარდა 27,6 მილიონამდე (ცხოვრების ღირებულების ზრდის გამო დაწესებული კოეფიციენტების გათვალისწინებით). დამატებით 5,5 მილიონი თვით ამ ფონდების შეგროვების ხარჯებისათვის იყო გათვალისწინებული.)

დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების საპრეზიდენტო კანდიდატებად დასახელებულნი საზოგადოებრივი ფონდებიდან ლებულობენ თავიანთი საარჩევნო კამპანიისათვის პირველადი არჩევნების ზღვრული თანხის (27,6 მილიონი დოლარი) გაორმაგებულ ოდენობას (55,2 მილიონი დოლარი – 1992 წელს) იმ შემთხვევაში, თუ ისინი მხოლოდ ამ საზოგადოებრივ ფონდებს დახარჯავენ. გარდა ამისა, თითოეული წამყვანი პარტია ლებულობს თანხებს პრეზიდენტობის კანდიდატის დამტკიცების მიზნით თავიანთი ეროვნული ყრილობის ჩასატარებლად: 1992 წელს ეს II მილიონი დოლარი იყო. ორივე ძირითადი კანდიდატი 1976 წლიდან ლებულობდა ამ საზოგადოებრივ დაფინანსებას და მათი საპრეზიდენტო კამპანიის ხარჯები 1972 წელს ნიქსონის რეკორდულ დანახარჯებზე ბევრად ნაკლები იყო.

საზოგადოებრივი ფონდები უშუალოდ გადაეცემა კანდიდატის კამპანიის კომიტეტს და არა რომელიმე პარტიის ეროვნულ კომიტეტს. FEC-ი ზღუდავს ასევე იმ თანხებსაც, რაც შეუძლიათ დახარჯონ ეროვნულმა კომიტეტებმა კანდიდატების სასარგებლოდ. 1992 წელს დასაშვები თანხა იყო 10,3 მილიონი დოლარი. FEC-მა დააწესა ლიმიტი თანხაზე, რომელიც კერძო პირებს (1 000 დოლარი) და ორგანიზაციებს (5 000 დოლარი) შეუძლიათ შეიტანონ კანდიდატის საარჩევნო კომიტეტში ერთი არჩევნების განმავლობაში. თუმცა, ისინი არ იზღუდებიან იმ ხარჯებში, რომელსაც გაიღებენ თავიანთი კანდიდატის დასახმარებლად*.

საზოგადოებრივი ფონდები სხვადასხვა გავლენას ახდენს საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე. ცხადია, ისინი ზღუდავენ კამპანიის ღირებულებას. ისინი აგრეთვე ხელს უწყობენ საყოველთაო არჩევნებში ძირითადი კანდიდატების ხარჯების გათანაბრებას. მათ გააძლიერეს კამპანიების „პერსონიფიცირება“, რადგან ფედერალური ფონდები ეძლევა თითოეული პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატს და არა იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც კანდიდატი წარმოადგენს. დაბოლოს, საზოგადოებრივი დაფინანსება აძლევს კანდიდატებს დახარჯონ დიდი დრო „ათას დოლარიანი შენატანების“ ძიებაში (ინფლაციის მიუხედავად შენატანის ეს ზღვარი 1974 წლიდან არ შეცვლილა).

1980-იან წლებში ორივე პარტიამ დაიწყო კანონში არსებული „ხერხელის“ გამოყენება მისი გვერდის ავლის მიზნით: კანონი უფლებას იძლევა ფაქტობრივად შეუზღუდავად მიიღონ თანხები კერძო პირებისგან და ორგანიზაციებისგან იმ პირობით, რომ ეს თანხები დაიხარჯება პარტიის საფოსტო გზაწინაღობებზე, ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის და საარჩევნო კამპანიის ზოგი სხვა ხარჯისათვის. დემოკრატიების და რესპუბლიკელების ეროვნული კომიტეტები აგროვებენ ამ „ქაღალდის ფულს“, რომელსაც უყოფენ შტატებისა და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს რეგისტრაციის წარმართვისათვის და სხვა საჭიროე-

* განსხვავება შენატანსა და დანახარჯებს შორის დამოკიდებულია იმაზე, არის ფონდები კოორდინირებული კამპანიის ნაწილი (შენატანი), თუ დამოუკიდებლად არის დახარჯული კანდიდატის კამპანიაზე (დანახარჯი). FEC-ის 1974 წლის შესწორებამ დააწესა ზღვარი კამპანიის შენატანებზე და დარტყრულს მხოლოდ მოქალაქეების მიერ დამოუკიდებლად გაწეულ დანახარჯებზე. 1976 წელს უხენაქსმა სასამართლომ გააუქმა ზღვარი მოქალაქეების დანახარჯებზე, როგორც სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, რასაც კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს

ბებისათვის, რაც უშუალოდ პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის არ არის განკუთვნილი, მაგრამ მათაც წაადგება. ამ „კოორდინირებული კამპანიების“ შედეგი იყო ეროვნული და შტატების პარტიების ორგანიზაციული როლის გაზრდა კამპანიებში.

შესაძლებელია თქვენ იფიქროთ, რომ პარტიის საპრეზიდენტო კამპანია მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პარტიის კანდიდატების კონგრესში ასარჩევ კამპანიას. ეს ასე არაა. გავიხსენოთ, რომ კამპანიის ფონდებს განაგებს პრეზიდენტობის კანდიდატი და არა პარტია და რომ პარტიის ეროვნული კომიტეტი არ წარმართავს საპრეზიდენტო არჩევნებს. პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ საერთო საქმისათვის გამოჩნდნენ ხალხის წინაშე კონგრესის კანდიდატებთან ერთად. მაგრამ, საპრეზიდენტო არჩევნები ჩვეულებრივ ფინანსურად და სხვა მხრივაც დამოუკიდებელია კონგრესის საარჩევნო კამპანიისგან.

სტრატეგია და ტაქტიკა

● *სტრატეგია* საარჩევნო კამპანიაში არის საერთო მიდგომა, რომელიც გამოიყენება მოქალაქეების დასარწმუნებლად – ხმა მისცენ კონკრეტულ კანდიდატს; *ტაქტიკა* კი ეხება მიმართვის შინაარსს და ამომრჩევლებამდე მისი მიტანის გზებს. სელმორი და სელმორი გამოყოფენ სამ ძირითად სტრატეგიას, რომლების მიხედვითაც წარმართება კამპანიები:

1. *პარტიაზე ორიენტირებული სტრატეგია* მთლიანად ეყრდნობა იმის დადგენას, თუ ვის ემხრობა ამომრჩეველი, და ასევე პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს კამპანიას საჭირო სახსრებით;

2. *პრობლემაზე ორიენტირებული სტრატეგია* მხარდაჭერას ეძებს იმ ჯგუფებში, რომლებსაც მკვეთრად გამოკვეთილი თვალსაზრისი აქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ კურსზე;

3. „*იმოჯზე*“ *ორიენტირებული სტრატეგია* დამოკიდებულია კანდიდატის ისეთი პიროვნული თვისებების აღქმაზე, როგორცაა გამოცდილება, ლიდერობის უნარი, პატიოსნება, დამოუკიდებლობა და სანდობა (Salmore and Salmore, 1980, p. 11).

კამპანიის სტრატეგია მორგებული უნდა იქნეს არჩევნების პოლიტიკურ კონტექსტს. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ პარტიაზე ორიენტირებული სტრატეგია გამოდგება უფრო პოლიტიკურად ნაკლებ ინფორმირებული ამომრჩევლებისთვის, ვიდრე კარგად ინფორმირებულთათვის. როგორ გეტულობს კანდიდატი, თუ რა იცის და რას ფიქრობს ამომრჩეველი პოლიტიკის შესახებ და როგორ შეუძლია მას ამ ინფორმაციის გამოყენება? დღეს კანდიდატი, ჩვეულებრივ, სოციოლოგს ან პოლიტიკურ კონსულტანტს მიმართავს, რომლებიც ასობით არიან. ამ წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით კამპანიის პროფესიონალ მენეჯერს შეუძლია დასახოს სტრატეგია, რომელშიც გადაწყვეტს, თუ რაზე გააკეთოს ორიენტაცია – პარტიაზე, პრობლემებზე თუ იმოჯზე.

ეს მიმართვები ძირითად საარჩევნო კამპანიებში ამომრჩევლებს მიეწოდება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეოხებით ახალი ამბების გადაცემის და რეკლამირების გზით.

ახალი ამბების მოშადება. კამპანიების ორგანიზატორები დიდად აფასებენ საინფორმაციო საშუალებებში ახალი ამბების მიმოხილვის გამოყენებას ორი მიზეზის გამო: (1) ახალი ამბების გადაცემა უფასოა და (2) ხალხს ისინი ობიექტურად ეჩვენება. ჟურნალისტების ყურადღების მიპყრობას სხვადასხვა გზით ცდილობენ; ასეთია პრესკონფერენციის მოწყობა მოვლენებით ნაკლებად დატვირთულ დღეებში (მაგალითად, კვირა დღეს) ან კანდიდატების განცხადებების დაკავშირება მიმდინარე მოვლენებთან. ახალი ამბების მიმოხილვის გამოყენების შესაძლებლობა ინკუმბენტის კიდევ ერთი უპირატესობაა პრეტენდენტთან შედარებით: მან შეიძლება მიიპყროს ყურადღება პოლიტიკური გადაწყვეტილებების უბრალო გამოცხადებითაც კი.

ფასიანი რეკლამა. სატელევიზიო ახალი ამბები კამპანიის საკითხების შესახებ მცირე ინფორმაციას შეიცავენ. ახალი ამბებისა და რეკლამების შესწავლისას 1984 წლის კამპანიის უკანასკნელ კვირებში დადგინდა, რომ „ამომრჩეველთა დიდი უმეტესობა უფრო მეტ ინფორმაციას ლებულობდა პოლიტიკური რეკლამებიდან, ვიდრე სატელევიზიო ახალი ამბების გადაცემებიდან“ (Kern, 1989). ფასიანი რეკლამების პირველი მიზანია დაამახსოვრონ კანდიდატის გვარი; მეორე – დაეხმარონ კანდიდატს მისი ღირსებების წარმოჩენაში; მესამე – რეკლამას ნეგატიური ობიექტიც შეიძლება ჰყავდეს – ოპონენტი, – რათა უკეთ წარმოაჩინოს თავისი კანდიდატი. გვარის დაამახსოვრება ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ბევრ ამომრჩეველს არ შეუძლია ზეპირად დაასახელოს თავისი შტატის სენატორების და წარმომადგენლების გვარები, მაგრამ მას შეუძლია ამოიცნოს ისინი ისეთ სიაში, როგორც საარჩევნო ბიულეტენია. მკვლევარები ხელახალი ვადით გადარჩეული კონგრესის წევრების მაღალ მაჩვენებელს, უმთავრესად, მიაწერენ მათ გვართა შეცნობის მაღალ დონეს (იხ. თავი 8).

ერთ დროს სახელმწიფო თანამდებობის მაძიებელი კანდიდატები თავიანთ კამპანიებში ძირითადად ეყრდნობოდნენ საგაზეთო რეკლამებს; დღეს ისინი უპირატესობას ანიჭებენ ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებას. ელექტრონულ საშუალებებზე, განსაკუთრებით კი ტელევიზიაზე დაყრდნობამ საზოგადოების ნაწილში წარმოქმნა ეჭვი, რომ კანდიდატებს ეხმარებიან ე. წ. „ვიდეოსტილის“ შექმნით, როდესაც კონსულტანტი და კანდიდატი შემოუშავებენ ისეთ თემას, რომელიც აუდიტორიის დადებით რეაქციას ითვალისწინებს და აწვდიან მას 30-წამ ორ კომერციულ გადაცემაში. ამასთან ერთად, ბოლო წლებში ტენდენცია უფრო ისეთი იყო, რომ მოკლე სარეკლამო გადაცემებით იმდენად კანდიდატს კი არ უჭერდნენ მხარს, რამდენადაც მეტოქეს ესზომოდნენ თავს. თუმცა, ასეთი „ნეგატიური კამპანია“ ზოგს საერთოდ აბრუნებინებს პირს პოლიტიკისგან, მაგრამ ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევს.

არჩევნები

კონსტიტუციის თანახმად, წარმომადგენელთა პალატაში ყველა ადგილის და სენატში ადგილთა 1/3-ის შეესება ზდება საყოველთაო არჩევნების შედეგად,

რომელიც ეწყობა ლუწ წლებში, ნოემბრის პირველი ორშაბათის მომდევნო სამშაბათს. საყოველთაო არჩევნებს ყოველი შტატი იყენებს 500 ათასამდე შტატისა და ადგილობრივი თანამდებობის პირის ასარჩევად) ეს არჩევნებს კიდევ უფრო საყოველთაო ხასიათს აძლევს. (ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ აირჩევა პრეზიდენტი. ეს საარჩევნო წელი ცნობილია, როგორც *საპრეზიდენტო არჩევნების წელი*. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებულ არჩევნებს ეწოდება *საკონგრესო ან შუალედური არჩევნები*.)

საპრეზიდენტო არჩევნები

განსხვავებით ყველა სხვა თანამდებობაზე არჩევისაგან, პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელიც ხმების უმეტესობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ავტომატურად გამარჯვებული ჯერ არ არის. პრეზიდენტის არჩევა ხდება ამერიკის კონსტიტუციაში განსაზღვრული ორსაფეხურიანი პროცედურის შედეგად, რომელიც მოითხოვს, რომ პრეზიდენტი არჩეულ იქნეს იმ ამომრჩევთა ჯგუფის (კოლეგიის) მიერ, რომლებიც შტატებს წარმოადგენენ.

ამომრჩევთა კოლეგია. ამომრჩეველები უშუალოდ პრეზიდენტს არ ირჩევენ. ფაქტობრივად, ისინი ხმას აძლევენ ნაკლებად ცნობილ ამომრჩევთა სიას (საარჩევნო ფურცელზე, ჩვეულებრივ, მათი გეარებიც კი არაა ჩაწერილი), რომლებიც ვალდებულია იღებენ ერთ-ერთი კანდიდატის წინაშე. ამომრჩევეები ხანდახან არღვევენ თავიანთ დანაპირებს, როცა ისინი დეკემბერში აგდებენ შევსებულ ბიულეტენებს მათი შტატის კაპიტოლიუმში. უკანასკნელად ასეთი რამ მოხდა 1988 წელს, როცა მარგარეტ ლიჩმა, დემოკრატების ამომრჩევა დასავლეთ ვირჯინიიდან, უარი თქვა. ხმა მიეცა მაიკლ დუკაკისისთვის, ამომრჩევთა კოლეგიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემაა საყოველთაო და ამომრჩევთა ენჭვისყრების შედეგების შეჯგურება. არა აქვს მნიშვნელობა, კანდიდატი გაიმარჯვებს შტატში 5 თუ 500 000 ხმის უპირატესობით: იგი მოიპოვებს შტატის ამომრჩევთა მთელ ხმებს.*

{ამომრჩევთა კოლეგიაში ყოველ შტატს ეკუთვნის თითო ხმა თითოეული თავისი სენატორისთვის (სულ 100 ხმა) და წარმომადგენლისათვის (სულ 435 ხმა); ჯამში სულ 535 ხმაა. გარდა ამისა, კონსტიტუციის XXIII-ე შესწორების თანახმად, კოლუმბიის ოლქს მისცეს დამატებით სამი ხმის უფლება, თუმცა იგი არ ირჩევს კონგრესის წევრებს. ასე, რომ, ამომრჩევთა ხმების რაოდენობა 538-ია. აქედან უმეტესობაა (270 ხმა) საჭიროა იმისათვის, რომ ერთ-ერთი კანდიდატი პრეზიდენტად იქნეს არჩეული.** 1990 წლის აღწერის შედეგად

* ორი გამონაკლისია – მენისა და ნებრასკის შტატები, სადაც შტატის ამომრჩევთა შესაბამისად ორი და სამი ხმა საკონგრესო ოლქებში დგინდება. პრეზიდენტობის კანდიდატი, ვინც გაიმარჯვებს თითოეულ ოლქში, მიიღებს ერთი ამომრჩევის ხმას, მთელ შტატში გამარჯვებული კი – ორ ხმას.

** თუკი ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ამომრჩევთა კოლეგიის ხმების უმრავლესობას, არჩევნები გადადის წარმომადგენელთა პალატაში. პალატა შეძევნაირად აძლევს ხმას: ყოველ შტატს თითო ხმა აქვს პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი კანდიდატისთვის. წარმომადგენელთა პალატის არჩევნების კანდიდატებად ხდება ის სამი პირი, ვინც ყველაზე უფრო დაწინაურდება

დადგენილი მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილებების გამო, 1988 და 1992 წლების საპრეზიდენტო არჩევნებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შტატებს შორის ამომრჩევთა ხმების განაწილებაშიც (იხ. ნახაზი 6.3).

ამომრჩევთა კოლეგიის ყველაზე უფრო არასასიამოვნო ასპექტი ის გახლავთ, რომ ქვეყნის მასშტაბით ხმების უმრავლესობის მოპოვების მიუხედავად, კანდიდატი შეიძლება დამარცხდეს ამომრჩევთა კოლეგიაში. ეს შეიძლება მოხდეს, თუკი ერთი კანდიდატი დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს ზოგ შტატში, ხოლო მეორე – მცირე სხვაობით – მეტი რაოდენობის შტატში. ასე მოხდა სამ არჩევნებში ასზე მეტი წლის წინ.

გავაუქმთ საარჩევნო კოლეგია? რეფორმის მომხრენი არასწორად მიიჩნევენ ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც არჩევნებში წაგების თუნდაც თეორიულ საშუალებას აძლევს საყოველთაო არჩევნებში ხმების უმრავლესობის მომპოვებელ კანდიდატს. პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების რეფორმა შექმნიდა პრეზიდენტის არჩევის წმინდა მაჟორიტარულ წესს. ამომრჩევთა კოლეგიის სისტემის დამცველები კი მიუთითებენ, რომ, მიუხედავად ხარკეზებისა, არსებული სისტემა სტაბილური მაინც არის. მათი აზრით, შესაძლოა საზიფათო იყოს მისი შეცვლა ახალი სისტემით, რომელმაც შეიძლება შეცვალოს პარტიული სისტემა ან საპრეზიდენტო კამპანიის მსვლელობის წესი. ზოგი მეცნიერი ასაბუთებს, რომ ამომრჩევთა კოლეგიის ტენდენცია – გააზვიადოს მოპოვებული გამარჯვების მასშტაბი, ზრდის პრეზიდენტად არჩეულის კანონიერებას. მაგ., ბილ ქლინთონმა მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების 43 პროცენტი, მაგრამ ამომრჩევთა კოლეგიის ხმების 69 პროცენტი. ყოველ შემთხვევაში, ძირეული რეფორმის უკანასკნელი წინადადებები ჯერჯერობით მიუღებელი რჩება.

კონგრესის არჩევნები

პრეზიდენტობის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებისას მოთავსებულია ბიულეტენის თავში. მას მოჰყვებიან ქვეყნის, შტატისა და ადგილობრივი თანამდებობების მაძიებელი კანდიდატები. ამომრჩეველზე ამბობენ, რომ იგი გაუყოფელ ხმას აძლევს, თუკი მხარს უჭერს ყველა თანამდებობისთვის მხოლოდ ერთი პარტიის კანდიდატებს. ამომრჩეველზე, რომელიც სხვადასხვა თანამდებობებზე სხვადასხვა პარტიის კანდიდატებს ირჩევს, ამბობენ, რომ იგი ჰყოფს ხმას. ამომრჩეველთა დაახლოებით ნახევარი თანახმაა გაჰყოს ხმა შტატის და ადგილობრივ თანამდებობებზე სხვადასხვა პარტიის კანდიდატებს შორის. ამავე დროს, ამომრჩეველთა პროპორციული შემადგენლობა, ვინც ხმა მისცა პრეზიდენტობის კანდიდატს – ერთი პარტიიდან და კონგრესის წევრობის კანდიდატს – მეორე პარტიიდან, 1952 წლის 13 პროცენტიდან – 1988 წლის 25 პროცენტამდე გაიზარდა. უკანასკნელ ათწლეულებში ამის შედეგად ძირითადად

საყოველთაო არჩევნებისას. ამერიკის ისტორიაში საპრეზიდენტო არჩევნები გადავიდა წარმომადგენელთა პალატაში მხოლოდ ორჯერ: პირველად – 1800 წელს და მეორედ – 1824-ში. ორივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა სტაბილური ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებამდე.

არსებობდა გაყოფილი მთავრობა, სადაც 1980-1992 წლებში რესპუბლიკელები ფლობდნენ პრეზიდენტის პოსტს, ხოლო დემოკრატები აკონტროლებდნენ კონგრესის ორივე პალატას. 1992 წელს, დემოკრატ ქლინთონის გამარჯვების შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებში როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების სათავეში დემოკრატები აღმოჩნდნენ.*

თუკი ამომრჩევთა კოლეგია უზრუნველყოფს რესპუბლიკელების უპირატესობას პრეზიდენტობის მოპოვებაში, დემოკრატებს უპირატესობა აქვთ კონგრესის არჩევნებში. 1955 წლიდან 1992 წლამდე დემოკრატებმა მოიგეს ყველა არჩევნები წარმომადგენელთა პალატაში და ამავე პერიოდში (ექვსი წლის გამოკლებით) აკონტროლებდნენ სენატსაც. 1954 წლიდან რესპუბლიკელები არჩევნებში პროპორციულად მიღებულ ხმებზე 6,8 პროცენტით ნაკლებ ადგილს ღებულობდნენ წარმომადგენელთა პალატაში. არჩევნების სპეციალისტები მიუთითებდნენ, რომ ზემოაღნიშნული თავისებურება ერთწევრიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ჩატარებული მაჟორიტარული არჩევნების შედეგია, როდესაც ის კანდიდატი, ვინც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, გამარჯვებულად ცხადდება, ხოლო დანარჩენების მიერ მიღებული ხმები იკარგება. ასეთი სისტემის აღმნიშვნელი ბრიტანული ტერმინი არის *first-past-the-post* („პირველ ადგილზე გასული ღებულობს ყველაფერს“). მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ყველა არჩევნებში, რომელიც მაჟორიტარული სისტემით ტარდება, ის პარტია, რომელიც ყველაზე მეტ ხმას აგროვებს, პროპორციულად უფრო მეტ ადგილს ღებულობს პარლამენტში. იგივე ხდება ამომრჩევთა კოლეგიის შემთხვევაში, რომელიც ხმას აძლევს პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, ვინც მოიგო ამომრჩევთა მეტი ხმა 50 შტატში მეტი შეფარდებითი უპირატესობით, ვიდრე კანდიდატმა ხმების სახით მოიპოვა საყოველთაო არჩევნებზე.

ხმის მიცემისას არჩევანის მიზეზების ახსნა

რატომ ამჯობინებს ამომრჩეველი ერთ კანდიდატს მეორეს? ამის მარტივი განსაზღვრა ძნელია, მაგრამ არსებობს ამ საკითხთან მიახლოების გზები. ხმის მიცემისას ინდივიდუალური არჩევანი შეიძლება აიხსნას, როგორც *ხანგრძლივკადიანი* და *ხანმოკლეკადიანი ძალების* მოქმედების შედეგი. ხანგრძლივკადიანი ძალები მოქმედებენ არჩევნების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, რაც წინასწარ განაწყობს ამომრჩევლებს ხმა მისცენ გარკვეული ტიპის კანდიდატებს. მოკლეკადიანი ძალები დაკავშირებული არიან ცალკეულ არჩევნებთან: ისინი წარმოიქმნება კანდიდატებისა და აქტუალური საკითხების კომბინირების შედეგად. *პარტიული იდენტიფიკაცია* ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გრძელკადიანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებზე შეერთებული შტატებში. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოკლეკადიანი ფაქტორია *კანდიდატის თვისებები* და მისი *პოლიტიკური პოზიცია*.

* მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა: 1994 წლის შუალედურ არჩევნებზე რესპუბლიკელებმა კონგრესის ორივე პალატაში მიიღეს უმრავლესობა და მთავრობა ისევ გაყოფილი აღმოჩნდა. (მთარგმნელის შენიშვნა).

გადაწყვეტილება დიდი ხანია მიიღეს, ან მიიღეს ყრილობამდე. 1992 წელს ბევრმა ამომრჩეველმა შეცვალა თავისი არჩევანი ივლისში, როს პეროს ჩამოშორების შემდეგ – და კვლავ შეიცვალა ოქტომბერში, მისი დაბრუნების შემდეგ. 1952 წლიდან მოყოლებული, საპრეზიდენტო არჩევნების დროს 40 პროცენტამდე ამომრჩეველმა განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება მანამ, სანამ კანდიდატები საარჩევნო ბრძოლისათვის მოემზადებოდნენ. ის ამომრჩეველები კი, რომლებიც ადრე ღებულობენ გადაწყვეტილებას, საზოგადოდ ხმას აძლევენ საკუთარი პარტიული იდენტიფიკაციის მიხედვით.

საინფორმაციო საშუალებებში ხშირი კომენტარების მიუხედავად იმის შესახებ, რომ მცირდება ამომრჩეველთა პარტიული ერთგულება, პარტიულ იდენტიფიკაციას არსებითი გავლენა ჰქონდა 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. დემოკრატიების 77 პროცენტმა ხმა მისცა ქლინთონს, ხოლო რესპუბლიკელების 73 პროცენტმა – ბუშს. ქლინთონს მისცა ხმა დამოუკიდებლების 38 პროცენტმა. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა საპრეზიდენტო არჩევნებისას.

იმის გამო, რომ დემოკრატები რაოდენობრივად სჭარბობენ რესპუბლიკელებს, დემოკრატებმა თითქოს უპირატესობა უნდა მიიღონ. მაშ, რატომ მოიგეს რესპუბლიკელმა კანდიდატებმა 1952 წლიდან მოყოლებული თერთმეტიდან შვიდი საპრეზიდენტო არჩევნები? ერთი მიზეზის გამო: დემოკრატები არ მიდიან საარჩევნო ურნებთან ისე თანმიმდევრულად, როგორც რესპუბლიკელები. მეორე მიზეზია ის, რომ დემოკრატები უფრო ადვილად განუდგებიან ხოლმე თავის პარტიას. ასეთი „განდგომა“ ხდება კანდიდატების პირადი თვისებების და კონკრეტული საკითხების გამო, რაც ხელს უწყობს პრეზიდენტობის რესპუბლიკელ კანდიდატებს.

კანდიდატების თვისებები

კანდიდატის პირადი თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ამომრჩეველებისთვის, ვისაც არა აქვს საკმაო ინფორმაცია კანდიდატის წარსული საქმიანობის და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, ანუ ამომრჩეველთა უმრავლესობისათვის. ამ სახის ინფორმაციის უქონლობის გამო ამომრჩეველები ცდილობენ იპოვონ კანდიდატების პიროვნული გასაღები, რათა იწინასწარმეტყველონ, რამდენად კარგად გაართმევენ არჩეული კანდიდატი თავს ახალ თანამდებობას.

● პოლიტიკური შეფასებისას ზოგი მიმართავს თავიანთ უშუალო ცოდნას რელიგიის, სქესის და რასის შესახებ, ასეთი სტერეოტიპული აზროვნება განმარტავს მხარდაჭერის არ უარყოფის მოდელს; მაგალითად, დამოკიდებულება პრეზიდენტობის კათოლიკე კანდიდატის (ჯონ კენედი), ვიცე პრეზიდენტობის ქალი კანდიდატის (ჯერალდინ ფერარო, 1984წ.) და პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების შაკანიანი პრეტენდენტის (ჯესი ჯექსონი – 1984 და 1988 წლებში) მიმართ ამ სტერეოტიპებითაც აიხსნება.

ამომრჩეველები ამბობენ, რომ კანდიდატების დემოგრაფიული მახასიათებლების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის პერსონალურ თვისებებს. 1988 წელს ორი გამოკითხვის დროს ეკითხებოდნენ: „იმისთვის, რომ არჩევ-

ნებში გამარჯვებული კანდიდატი იყოს კარგი პრეზიდენტი, როგორი უნდა იყოს იგი და რითი უნდა მოვიდეს სამუშაოზე?“ ორივე გამოკითხვაში, ამომრჩეველთა დაახლოებით 55 პროცენტმა მიუთითა პიროვნების ხასიათის თვისებებზე, კერძოდ, დიდმა უმრავლესობამ გამოაკო ნდობის ფაქტორი; დაახლოებით 40 პროცენტი თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანია „კომპეტენტურობის“ ფაქტორი, (რაც გარკვეულად მოიცავდა „ლიდერობას“ „ცოდნას“ და „გამოცდილებას“). მხოლოდ 33 პროცენტი უკავშირებდა კარგ პრეზიდენტს მის პოლიტიკურ პოზიციებს. დაახლოებით ნახევარი აღნიშნავდა: საჭიროა „მთელი ხალხის საჭიროებაზე ზრუნვა“ ან „სამართლიანობა“ (Buchanan, 1991)ა

მიუხედავად ზეოპანიმონულია, როდესაც იმავე გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ეკითხებოდნენ: „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს თქვენ მხარდაჭერას პრეზიდენტობის კანდიდატისადმი?“, ისინი პირველ ადგილზე აყენებდნენ პოლიტიკურ პოზიციას და კომპეტენტურობას (40-40 პროცენტი თითოეულს), რაც ბევრად აღემატებოდა ისეთ ფაქტორს, როგორიცაა პიროვნული თვისებები (15 პროცენტამდე) და პარტიული კუთვნილება (6 პროცენტი). მაგრამ, როდესაც ამომრჩევლებს უშუალოდ არჩევნების წინ ჰკითხეს „რა არის უმთავრესი მიზეზი, რომლის გამოც გადაწყვიტეთ ხმა მისცეთ [ბუშს ან დუკაისს] და არა მის ოპონენტს?“ პირველ ადგილზე აღმოჩნდა გამოცდილება და პარტიული კუთვნილება (16-16 პროცენტი თითოეულს) (ibid, p. 32).

საკითხები და პოლიტიკური კურსი

კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთება მათი პიროვნული თვისებების საფუძველზე გასაგებია, მაგრამ დემოკრატიის თეორიის მიხედვით, ეს არ არის მიზანშეწონილი. ეს თეორია მიუთითებს, რომ მოქალაქეებმა, კანდიდატებისათვის ხმის მიცემისას, უნდა გაითვალისწინონ მათი წარსული მოღვაწეობა და მათ მიერ შემოთავაზებული კურსი. პოლიტიკური კურსის შესაბამისად კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთება ნიშნავს, რომ ამომრჩევლები ხმას აძლევენ „საკითხებს“, რაც შეესაბამება დემოკრატიის თეორიის იდეალურ კონცეფციას. მაგრამ სინამდვილეში საარჩევნო გადაწყვეტილებების მიღებაში ფიგურირებს საკითხიც, კანდიდატის პირადი თვისებებიც და პარტიული იდენტიფიკაციაც. თუმცა მათი შეფარდებითი გავლენის ზუსტი დადგენა ჭირს, მაგრამ მათი ეფექტის შეფასება შეიძლება მრავალვარიანტული სტატისტიკური მოდელის გამოყენებით. ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ 1950-იანი წლების არჩევნებთან შედარებით, 1980-იან წლებში არჩევანის ჩამოყალიბებაში, პოლიტიკური საკითხები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ (Fraunzich, 1989). მაგრამ, დემოკრატიის თეორიისათვის სამწუხაროდ, საპრეზიდენტო არჩევნების კვლევა ძირითადად გვიჩვენებს, რომ ბიულეტენების შევსებისას პოლიტიკური საკითხები უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე პარტიული კუთვნილება ანდა კანდიდატების „იმიჯი“. მხოლოდ 1972 წელს მოხდა ისე, რომ „საკითხს“ მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე კანდიდატის პარტიულ კუთვნილებას. ეს მოხდა მაშინ, როცა ამომრჩევლებმა უარი თქვეს ჯორჯ მაკგოვერნის

არჩევაზე, რადგან იგი ზედმეტად ლიბერალად აღიქვეს (Gant and Luttbeg, 1991, pp. 63-64).

მიუხედავად იმისა, რომ 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, პარტიული კუთვნილებით ხმის მიცემა გარკვეულად შესუსტდა, ხდება ამომრჩევლების პოზიციების გათანაბრება პოლიტიკურ საკითხებთან და პარტიულ კუთვნილებასთან დაკავშირებით. რაც უფრო მეტად თანხვედბა პარტიული კუთვნილება იდეოლოგიურ ორიენტაციას, მით უფრო გონივრულია პარტიების მიხედვით ხმის მიცემა. პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატის პოზიციის შესახებ სრული ინფორმაციის არქონის დროს პარტიული კუთვნილება მისი პოზიციის გარკვეული ინდიკატორია (Johnson and Feldman, 1984, p. 938).

საარჩევნო კამპანიების ეფექტი

თუკი პარტიული კუთვნილება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას, და, ამასთან, ეს ფაქტორი მოკლე დროში არ იცვლება, მაშინ საარჩევნო კამპანიის გავლენა არჩევნების შედეგებზე გარკვეულად შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, როდესაც არჩევნების დროს კონკურენტები თითქმის თანაბარი ძალისა არიან, სულ რამდენიმე ხმის ცვლილება ნიშნავს გამარჯვებას ან დამარცხებას. ასე, რომ, კამპანია გადაამწყვეტია მაშინაც კი, თუკი მას საერთო გავლენა მცირე აქვს. კანდიდატების იმიჯის შემქმნელებისა და კამპანიის კონსულტანტების მხრიდან არჩევნებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობისთვის მთავარი შეზღუდვა არის ის, რომ ისინი მოპირდაპირე მხარეებზე მუშაობის გზით რეგულარულად აწონასწორებენ ერთმანეთს. უფრო მეტიც, საარჩევნო კამპანიის ახალი ტექნოლოგიის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ

„არავისა აქვს ოდნავი წარმოდგენაც კი იმის შესახებ თუ ხმების რამდენი პროცენტის მომატება შეუძლია ან ფაქტობრივად შემატა კონსულტანტმა ანდა „კამპანიის ახალმა ტექნოლოგიამ“ ნებისმიერ კანდიდატს მოცემულ ვითარებაში. საარჩევნო კამპანიის მიმომხილველებს ძალიან იშვიათად თუ აქვთ ზუსტი წარმოდგენა – რა მოვლენა ან მოვლენათა რიგმა განაპირობა არჩევნების შედეგი. საარჩევნო კამპანიის წარმოება კვლავაც რჩება რთულ, არაწინასწარმეტყველებად და ძალიან არამეტყველურ საქმედ. ასე რომ, მადლობელი უნდა ვიყოთ თუნდაც იმის გამო, რომ საარჩევნო კამპანია ყოველთვის ტარდება“ (Sabato and Beiler, 1988, pp. 4-5).

პოლიტოლოგთა სხვა სკოლა ამტკიცებს, რომ საპრეზიდენტო და სხვა მაღალი რანგის არჩევნებზე უდიდეს გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები, განსაკუთრებით ისეთი მიმდინარე ეკონომიკური საკითხები, როგორცაა უმუშევრობა და ინფლაცია. სხვა ფაქტორები, რომლებსაც ასევე ვერ უწევენ კონტროლს საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები, არის ომი და კანდიდატის ინკუმბენტობა (ასარჩევ თანამდებობაზე ყოფნ.). ეს ფაქტორები მძლავრ ზემოქმედებას ახდენენ ამომრჩევლის ქცევაზე და ისინი შეიძლება შეტანილი იქნენ საპრეზიდენტო არჩევნების პროგნოზის შედარებით წარმატებულ მოდელებში (Rosenstone, 1983).

საარჩევნო კამპანიები, არჩევნები და პარტიები

თანამედროვე ამერიკის პოლიტიკაში საარჩევნო კამპანიებს ახასიათებთ ძლიერი პერსონიფიკაცია, კონცენტრირება კანდიდატის გარშემო; ისინი არ ექვემდებარებიან პარტიული ორგანიზაციების კონტროლს. იზრდება ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება, განსაკუთრებით ტელევიზიისა, რომელიც დიდად ეხმარება კანდიდატებს ელექტორატის მიმართ მათი მიმართვის პერსონალიზებაში. ყოველივე ეს არის საარჩევნო კამპანიების ძირითადი ტენდენცია, მაშინ, როცა პარტიული იდენტიფიკაციის დაკნინებამ შეამცირა პარტიის მეშვეობით წარმოებული მიმართვების ეფექტი. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების პარტიულობა და ამომრჩეველთა პარტიული იდენტიფიკაცია – ორივე ერთად – გარკვეულად განმარტავს ამომრჩეველთა ქცევას, პარტიულ ორგანიზაციებს მინც არ უკავიათ ცენტრალური ადგილი ამერიკაში ჩატარებულ არჩევნებში. ამ ფაქტს დემოკრატიული ხელისუფლებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

პარტიები და მაჲორიტარული მოდელი

დემოკრატიის მაჲორიტარული მოდელის თანახმად, პარტიები მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხის მთავრობასთან დაკავშირების საქმეში, რაც იძულებულს ხდის მთავრობას ყური უდღოს საზოგადოებრივ აზრს. ფაქტობრივად, დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები მოქმედებენ ამ მოდელით იმდენად, რამდენადაც ისინი განსხვავებულ პოლიტიკური პლატფორმებს აყალიბებენ და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ცდილობენ გამოცხადებული პოლიტიკური კურსის განხორციელებას. პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის ამ მოდელისათვის შემაბრკოლებელი ფაქტორი კანდიდატებსა და ამომრჩევლებს შორის კამპანიების და არჩევნების გზით კავშირის დამყარებაში მდგომარეობს.

თუ ცოტა რამ გაქვთ წაკითხული პარტიული პლატფორმების როლის შესახებ კანდიდატების წარდგენაში, კამპანიების წარმართვასა ან ამომრჩეველთა არჩევანის ახსნის საქმეში, მიხვდებით, რომ ამომრჩევლები კანდიდატებს პარტიული პროგრამების მიხედვით არ ანიჭებენ უპირატესობას. ასევე, ისინი არ თხოვენ პასუხს „მმართველ პარტიას“ შემდეგი არჩევნების დროს მათი პროგრამების შესრულების თაობაზე. უკანასკნელი მეტწილად შეუძლებელია, რადგან ამერიკაში, სადაც პრეზიდენტი, ჩვეულებრივ, ერთი პარტიის წარმომადგენელია, ხოლო კონგრესს აკონტროლებს მეორე პარტია, მმართველი პარტია არ არსებობს. ასე ხდებოდა უმეტესწილად II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (1969 წლის შემდეგ 13 კონგრესიდან 10-ში მისი უმრავლესობა არ ეკუთვნოდა იმავე პარტიას, რომელსაც პრეზიდენტი). მაშინ, როცა ამომრჩევლები პრეზიდენტსა და კონგრესმენების უმეტესობას სხვადასხვა პარტიებიდან ირჩევენ, პატარა იმედი თუ რჩება იმისა, რომ განხორციელდება დემოკრატიული მთავრობის მაჲორიტარული მოდელი.

პარტიები და პლურალისტური მოდელი

შეერთებული შტატების პარტიები უფრო დემოკრატიის პლურალისტური მოდელის მიხედვით ფუნქციონირებენ, ვიდრე მაფორიტარულით. ჩვენი პარტიები არ წარმოადგენენ მოქალაქეების მიერ თავიანთი მთავრობის ძირითად მაკონტროლებელ მექანიზმს; ნაცვლად ამისა, ისინი ფუნქციონირებენ როგორც ორი გიგანტური დანტერესებული ჯგუფი. პარტიების ინტერესს წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურისთვის თავისი კანდიდატების არჩევა და ხელახალი არჩევა, რათა ნახონ სარგებლობა სამოქალაქო სამსახურში. კერძო შემთხვევების გარდა, პარტიებს არ ანაღვლებთ პოლიტიკური საკითხები ან იდეოლოგია, რომლის მიმდევრები არიან კონგრესში ან ქვეყნის სხვა სამსახურებში ასარჩევი მათი კანდიდატები.

ზოგიერთ მკვლევარს სჯერა, რომ ძლიერ პარტიებს მაშინაც კი შეაქვთ დიდი წვლილი მთავრობის დემოკრატიულობაში, როცა ისინი სრულად არც კი ესადაგებიან პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის მოდელს. თუმცა, ამერიკის პარტიები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ ხმების სტრუქტურირებაში და ალტერნატიული სამთავრობო პროგრამის შემოთავაზებით, უფრო ძლიერ პარტიებს შეეძლებოდათ უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება სამთავრობო პოლიტიკის კოორდინაციაში. კანდიდატების დასახელების პროცესის და საარჩევნო კამპანიის დეცენტრალიზებული ხასიათი, ორგანიზებულ (არაპარტიულ) ჯგუფებს ბევრ შესაძლებლობას აძლევს, რათა მთავრობის არჩევნებისას მხარი დაუჭირონ და მიემხრონ მათი ინტერესების გამოხატველ კანდიდატებს. ეს ხდება პლურალისტური მოდელის მიხედვით, თუმცა, ზოგ შემთხვევაში აშკარაა, რომ ასეთი რამ უმრავლესობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

შეჯამება

პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური პარტიები ოთხ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ: კანდიდატების დასახელება, ამომრჩეველთა ხმების სტრუქტურირება, ალტერნატიული სამთავრობო პროგრამების შემოთავაზება, და მთავრობის მოხელეთა მოქმედების კოორდინირება. შეერთებული შტატების პოლიტიკური პარტიები ამ ფუნქციებს უფრო დიდი ხნის განმავლობაში ასრულებენ, ვიდრე სხვა ქვეყნების პარტიები. 1828 წელს დაარსებული დემოკრატიული პარტია მსოფლიოში უძველესი პარტიაა. 1856 წლის არჩევნების შემდეგ რესპუბლიკური პარტიის, როგორც ერთ-ერთი მთავარი პარტიის გამოჩენის შემდეგ, მან დემოკრატიულ

პარტიასთან ერთად შექმნა დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე ძველი პარტიული სისტემა.

● ამერიკის ორპარტიულ სისტემას ჰქონდა სამი კრიტიკული არჩევნები. ყოველ მათგანს მრავალი წლით შეჰქონდა მკვეთრი ცვლილებები ამომრჩეველებში და გაეღწინა ახლენდა პარტიების ბალანსზე. 1860 წლის არჩევნებმა რესპუბლიკელები ჩრდილოეთის მთავარ პარტიად აქცია, ხოლო დემოკრატები – სამხრეთისა. 1896 წლის კრიტიკულმა არჩევნებმა განამტკიცეს კავშირი რესპუბლიკელებსა და ბიზნესის ინტერესებს შორის, მჭიდროდ დასახელებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ და შუა დასავლეთის რაიონებში. მან წარმოშ-

კა ამომრჩეველთა მხარდაჭერის დიდი ტალღა, რომელმაც სამ ათწლეულზე მეტი ხნით გახადა რესპუბლიკური პარტია ქვეყნის უმრავლესობის პარტიად. დიდმა დემოკრატიულმა შექმნა პირობები 1932 წლის კრიტიკული არჩევნებისთვის. მან დემოკრატიული გარდაქმნა უმრავლესობის პარტიად და მისცა მას ხანგრძლივი კონტროლი კონგრესზე.

პატარა პარტიებმა ვერ მიაღწიეს დიდ წარმატებას ამერიკის საარჩევნო სისტემაში, თუმცა მათ, იდეების თვალსაზრისით, წვლილი შეჰქონდათ დემოკრატიების და რესპუბლიკელების პლატფორმების ჩამოყალიბებაში. სპეციფიკური საარჩევნო სისტემის ბუნებისა და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა ორპარტიული სისტემა, რის გამოც ამერიკელების უმეტესობა ან რესპუბლიკურ ან დემოკრატიულ პარტიას მიაკუთვნებს თავს.

მთავარი მისი ფედერალური სისტემა ეხმარება დემოკრატიებს და რესპუბლიკელებს გადაიტანონ მთავარი, ეროვნული დონის არჩევნებში განცდილი დამარცხება შტატების დონეზე მიღწეული გამარჯვების ხარჯზე. პარტიული იდენტობის კაცის მოდელი უკანასკნელი წლების განმავლობაში იცვლებოდა: რაც უფრო მეტი ხალხი ხდებოდა დამოუკიდებელი და რესპუბლიკელი, მით უფრო მცირდებოდა დემოკრატიების მომხრეთა რიცხვი. მიუხედავად ამისა, დემოკრატიები პროპორციულად მუდმივად სჭარბობდნენ რესპუბლიკელებს, ხოლო ორივე პარტიის მომხრენი ბევრად აღემატებოდნენ დამოუკიდებლებს.

• პარტიის მომხრეები, პარტიის აქტივისტები და პარტიული პლატფორმები გვიჩვენებენ ორი წამყვანი პარტიის იდეოლოგიურ ორიენტაციებს შორის არსებულ სხვაობებს. დემოკრატიების მომხრეები და აქტივისტები თავის თავს ლიბერალურად მიიჩნევენ, ხოლო რესპუბლიკელების მომხრეები და აქტივისტები – კონსერვატორულად. დემოკრატიების 1992 წლის

პლატფორმაში გვინვენა მათი უფრო ლიბერალური ორიენტაცია – თავისუფლებასთან შედარებით თანასწორობაზე მეტი აქცენტის გაკეთება. რესპუბლიკელების პლატფორმა კი უფრო კონსერვატიული იყო, მეტი კონცენტრაციით თავისუფლებაზე, მაგრამ ასევე სოციალური წესრიგის აღდგენის მნიშვნელობის ხაზგასმით. დღეს, რესპუბლიკური პარტია, ორგანიზაციული თვალსაზრისით, როგორც ქვეყნის, ასევე შტატების დონეზე უფრო ძლიერი პარტია გახდა, ვიდრე დემოკრატიული პარტია. ორივე პარტიას ეტყობა გამოცოცხლების ნიშნები. მიუხედავად ამისა, ისინი, სხვა ქვეყნების პარტიებთან შედარებით, ძლიერ დეცენტრალიზებული არიან.

საარჩევნო კამპანიები პარტიის ირგვლივ კონცენტრირებული პროცესიდან კანდიდატის ირგვლივ კონცენტრირებულ პროცესად იქცა. იმისათვის, რომ კანდიდატებმა წარმატებას მიაღწიონ მათ ჯერ თავიანთი პარტიიდან დასახელების მოსაპოვებლად უნდა ჩაატარონ კამპანია, ხოლო შემდეგ მეორე კამპანია – საყოველთაო არჩევნებისთვის. ამერიკის პარტიების დეცენტრალიზაციაში მთავარი ფაქტორი არის პარტიების დაყრდნობა პირველად არჩევნებზე, რომლის დროს ხდება კანდიდატების დასახელება. ფაქტობრივად საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არც დემოკრატიების და არც რესპუბლიკელების კანდიდატის დასახელების საკითხი არ წყდება პარტიის ეროვნულ ყრილობაზე. ეს ყრილობაზე არის განსაზღვრული დეკლარაციების შეჩვენების რთული პროცესით; მათ ირჩევენ კონკრეტული კანდიდატისათვის მხარდაჭერის მანდატით. თუმცა თუ კანდიდატს არ გააჩნია ფართო მხარდაჭერა პარტიაში, მას არც შეუძლია მიაღწიოს დასახელებას. კანდიდატის წარმატება (მაგალითად, პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება) მისივე ძალისხმევის შედეგია და კანდიდატები ნაკლებად არიან დავალებულნი პარტიის ეროვნული ორგანიზაციისაგან.

კანდიდატები ჩვეულებრივ ინარჩუნებენ

იმ პერსონალს, რომელიც მათ დაეხმარა დასახელების მიღწევაში, რათა იგივე ხალხი დაეხმაროს საყოველთაო არჩევნების დროს. კამპანიების დაფინანსების დინამიკა იძულებულს ხდის კანდიდატებს, რომ უმთავრესად საკუთარი სახსრების იმედი ჰქონდეთ, ან – საპრეზიდენტო არჩევნებისას – საზოგადოებრივი ფონდების იმედი. პარტიული ორგანიზაციები, კამპანიის დანახარჯების შედარებით მცირე ნაწილს იღებენ თავის თავზე. კანდიდატებმა საჭირო სახსრების უმეტესობა თვითონ უნდა მოიპოვონ. თანამედროვე კამპანიის წარმართვაში ფული არსებით როლს თამაშობს. გამოკითხვების წარმოება ამომრჩეველთა ინტერესების დასადგენად და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით კანდიდატის გეარის, კვალიფიკაციის, პოლიტიკური მრწამსის რეკლამირებას – ყველაფერს ამას სჭირდება ფული. მართალია, კანდიდატები, სადაც კი შესაძლებელია, ეძებენ ახალი ამბების უფასო გადაცემებს, მაგრამ კანდიდატების უმეტესობას მიმართულების გადასაცემად ფასიანი განცხადებების იმედი უნდა ჰქონდეთ. მეტწილ ინფორმაციას საარჩევნო კამპანიის შესახებ ამომრჩეველებიც განცხადებებიდან იღებენ. ბოლო წლებში თავი იჩინა ფასიანი (ძირითადად, სატელევიზიო) განცხადებებში მეტოქის უარყოფითად წარმოჩენის ტენდენციამ. თუმცა ასეთი ტექნიკა საბოლოოდ სასურველ შედეგს აძლევს იმას, ვინც მეტად „გასაყარა“ მეტოქე, მაგრამ ამომრჩეველთა ნაწილში პოლიტიკის მიმართ ერთგვარი ზიზღის გრძნობას იწვევს.

საპრეზიდენტო არჩევნების სტრუქტურაზე გავლენას ახდენს ამომრჩევთა კოლეგიაში ხმათა უმრავლესობის დაგროვების აუცილებლობა. თეორიულად ახლაც შესაძლებელია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა მოიპოვოს საყოველთაო არჩევნებზე ხმების უმრავლესობა, ხოლო ამომრჩევთა კოლეგიაში წაავოს. მაგრამ ასეთი რამ აღარ მომხდარა ას წელზე მეტია. ამომრჩევთა კოლეგია ჩვეულებრივ კიდევ უფრო ადიდებს იმ უპირატესობას,

როისლითაც ერთ-ერთმა კანდიდატმა საყოველთაო არჩევნებზე დაამარცხა მეორე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რესპუბლიკელები მეტ წარმატებას აღწევდნენ საპრეზიდენტო არჩევნებში, ხოლო დემოკრატები – კონგრესის (განსაკუთრებით, წარმომადგენელთა პალატის) არჩევნებში.

ხმის მიცემის არჩევანს განაპირობებს პარტიული კუთვნილება, კანდიდატების პირადი თვისებები ან მათი პოლიტიკური პოზიცია. ამომრჩევლის პარტიული კუთვნილება დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც აყალიბებს საარჩევნო გადაწყვეტილებას, მაგრამ ცოტა კანდიდატს თუ აქვს თავისი პარტიის იმედი კამპანიის წარმოებისას.

დღეს, კანდიდატების უმეტესობა აწარმოებს პერსონიზებულ კამპანიებს, სადაც წინა პლანზეა წამოწეული მათი დამახასიათებელი თვისებები, ან პოლიტიკური კურსი. როგორც ჩანს, საპრეზიდენტო კამპანიები ზრდიან ხალხის ციფნას პოლიტიკური საკითხების შესახებ, მაგრამ გარკვეული სახის უსაინხმობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საარჩევნო კამპანიები არჩევნების შედეგებზე.

პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის მოდელის შესაბამისად, ამერიკის პოლიტიკური პარტიები (ცდილობენ ცხოვრებაში გაატარონ თავიანთი პლატფორმები, თუკი ისინი ხელისუფლებაში მოვლენ. მაგრამ ეს სპეციფიკურად თან ახლავს კანდიდატების დასახელებას, კამპანიებს და არჩევნებს ამერიკაში, ძალიან არიულებს პასუხისმგებლობის მქონე პარტიული მთავრობის იდეის განხორციელებას. ამრიგად დემოკრატის მაქორითარულ მოდელს ნაკლები ასპარეზი ეძლევა. ამერიკული პარტიები უკეთ ერგებიან დემოკრატის პლურალისტურ მოდელს, რომელიც პარტიებს აღიქვამს, როგორც დიდ დაინტერესებულ ჯგუფებს, რომლებიც ეპაექრებიან უფრო მცირე ჯგუფებს თავიანთი ინტერესების დასაცავად. ყოველ შემთხვევაში პოლიტი-

კური პარტიები თავიანთ კეთილშობილურ მიზნად აცხადებენ ხალხის უმრავლესობის მოთხოვნების დაცვას. როგორც მომ-

დევრო თავში ვნახავთ, დაინტერესებულ ჯგუფებში ასეთ მიზნებს არამც თუ ახორციელებენ, არც კი აცხადებენ.

საკვანძო სიტყვები

პოლიტიკური პარტია
 დასახელება
 პოლიტიკური სისტემა
 კრიტიკული არჩევნები
 საარჩევნო გადაჯგუფება
 უმრავლესობის პარტია
 უმცირესობის პარტია
 საარჩევნო დაჯგუფების შესუსტება
 ორპარტიული სისტემა
 განდგომილთა პარტიები
 ფერმკერთა და მუშათა პარტიები
 იდეოლოგიური პროტესტის პარტიები
 ერთი საკითხის პარტიები
 მაჟორიტარული წარმომადგენლობა
 პროპორციული წარმომადგენლობა
 პარტიული იდენტიფიკაცია
 პარტიის პლატფორმა
 ეროვნული ყრილობა
 ეროვნული კომიტეტი
 პარტიული კონფერენციები
 საკონგრესო კამპანიის კომიტეტები
 პარტიული აპარატი
 პასუხისმგებლობის მქონე
 პარტიული მთავრობა
 საარჩევნო კამპანია
 პირველადი არჩევნები
 დახურული პირველადი არჩევნები
 ღია პირველადი არჩევნები
 ფულსმომცემელი ტიპის
 პირველადი არჩევნები
 ადგილობრივი დახურული
 პარტიული თათბირი
 ინკუმბენტი
 პრეტენდენტი
 ღია არჩევნები
 ფედერალური საარჩევნო კომისია
 საყოველთაო არჩევნები
 გაუყოფელი ხმა
 გაყოფილი ხმა
 მაჟორიტარული არჩევნები


political party
 nominate
 political system
 critical election
 electoral realignment
 majority party
 minority party
 electoral dealignment
 two-party system
 bolter parties
 farmer-labor parties
 parties of ideological protest
 single-issue parties
 majority representation
 proportional representation
 party identification
 party platform
 national convention
 national committee
 party conferences
 congressional campaign committee
 party machine

 responsible party government
 election campaign
 primary election
 closed primary
 open primary

 blanket primary

 local caucus
 incumbent
 challenger
 open election
 Federal Election Commission (FEC)
 general election
 straight ticket
 split ticket
 first-past-the-post

დაინტერესებული ჯგუფები



7

ამ ცხოვრებაში ბევრი რამაა უფრო ადვილი, ვიდრე კონგრესის მიერ სუფთა ჰაერის შესახებ კანონის მიღება. მიზეზი მარტივია: უამრავი დაინტერესებული ჯგუფი სხვადასხვა მხარეს უბიძგებს კონგრესს (უფრო ზუსტად – კონგრესმენებს). არც ერთ ჯგუფს არ შეუძლია მიაღწიოს სასურველს და, ამიტომაც, ბრძოლა ყველასათვის მისაღები კომპრომისის მისაღწევად რთული და ხანგრძლივია.

ბევრი უშედეგო ცდის შემდეგ (უკანასკნელი წარმატებული ცდა შედგა 1977 წელს) კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 1989 წელს მიიღო ახალი კანონმდებლობა სუფთა ჰაერის შესახებ. სენატმა მიაღწია კანონპროექტის დამტკიცებას 1990 წლის გაზაფხულზე – მას შემდეგ, რაც დიდი შეხლა-შემოხლა იყო იმის თაობაზე, თუ ვინ იმსახურებდა „გამონაკლისს“ და სპეციალურ პრივილეგიებს. ერთმა მიმომხილველმა კონფლიქტს სუფთა ჰაერის კანონპროექტის შესახებ უწოდა „ლობირების სუპერ-თასის გათამაშება“ (Abramson, 1990). პრინციპში, ყველა სუფთა ჰაერის მომხრე – მანამდე, სანამ კანონი სუფთა ჰაერით სუნთქვისათვის ყველას გადასახადს არ მოსთხოვს. თბოელექტროსადგურების მფლობელებმა ჩრდილოეთ დაკოტას შტატიდან გარკვეული მოსაზრებებით მოახერხეს „ჩამოეჭრათ“ თავისი ვალდებულება დაბინძურების შემცირების საქმეში. მეორადი ნედლეულის გადაამუშავებელმა ქარხნებმა ფლორიდის შტატში

შეძლეს გამოჩაგვინა მძღვევა კანონის აღსრულებაში, რითაც 400 მილიონი დოლარი დაზოგეს, რომელიც გამწმენდ ნავებობებზე უნდა დაეხარჯათ. სიმინდის მწარმოებელმა ფერმერებმა დიდი ბრძოლა მოიგეს, როდესაც კანონში შეატანინეს პუნქტი, რომლის ძალითაც ცხრა ყველაზე ჰაერდაბინძურებულ ქალაქში აუცილებელი გახდა უფრო სუფთა ბენზინის გამოყენება – ეს ბენზინი კი მიიღება სიმინდიდან მიღებული ეთანოლის მეშვეობით.

იყო ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ძალიან დაზარალებულნი იყვნენ დასავლეთ ვირჯინიიდან და შუა-დასავლეთის შტატებიდან ითხოვდნენ სუბსიდიებს, რადგან თვლიდნენ, რომ „სუფთა ჰაერის საკურთხეველზე მსხვერპლად იქნენ მიტანილი“. კანონპროექტის ძალაში შესვლა შეამცირებდა ქვანახშირის მოხმარებას და მრავალი მეშახტის სამუშაოდან დათხოვნას გამოიწვევდა. მეშახტეების მოთხოვნა სენატში სულ ერთი ხმის დანაკლისის გამო ვერ გავიდა (49 – მომხრე, 50 – წინააღმდეგი). ფოლადის მწარმოებლებიც მხარს უჭერდნენ ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს, რომლებიც ამ ქარხნების ტოქსიკური გამოჩაგვინების მოცულობას არეგულირებდნენ. მათაც წააგეს. მთლიანობაში, ჰაერის სისუფთავის შესახებ აქტის სენატისეული ვარიანტი სხვადასხვა ჯგუფთა შორის მარიგებათა ნაერთს წარმოადგენდა. ერთ-ერთი ბუნების დამცველი ასე აღწერდა ამ სიტუაციას: ეს იყო ცალკეული ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამართული ველური შეხლა-შემოხლა.

კანონპროექტი სუფთა ჰაერის შესახებ, რომელიც კანონშემოქმედთა და დაინტერესებული ჯგუფების მორიგებებისა და კომპრომიზების ნაერთს წარმოადგენდა, საბოლოოდ გადაცემულ იქნა წარმომადგენელთა პალატაში. პალატის ვარიანტის ბევრი პუნქტი განსხვავდებოდა სენატის კანონპროექტისგან. თუმცა, მომრიგებელ კომიტეტში დამუშავების შემდეგ, ეს განსხვავებები საერთო მნიშვნელობაზე დაიყვანეს და ჰაერის სისუფთავის შესახებ კანონპროექტი გადაეცა პრეზიდენტ ბუშს, რომლის ხელმოწერის შედეგად იგი კანონად იქცა.

„სუფთა ჰაერის აქტის“ ისტორია დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის ზოგიერთი მხარის მკაფიო ილუსტრაციაა.

პლურალისტური დემოკრატიის ცენტრში არიან ჯგუფები, რომლებიც თავიანთი ვიწრო ინტერესებისთვის იბრძვიან. აქ სხვადასხვა მწარმოებლები, პროფკავშირები, ფერმერთა ჯგუფები ებრძოდნენ ბუნების დამცველებს და ხანდახან ერთმანეთსაც, კანონმდებლობის ამა თუ იმ დებულების გამო. მაჟორიტარული ინტერესი ჰაერის სისუფთავეა, მაგრამ ჰაერის სისუფთავისათვის ბრძოლის პოლიტიკას არ შეიძლება ეწოდოს მაჟორიტარული პროცესი, რამდენადაც დაინტერესებული ჯგუფები მუშაობენ, რათა შეასუსტონ უმრავლესობის კონტროლი საზოგადოებრივ პოლიტიკაზე. ბუნებრივია, ამერიკის საზოგადოებას სურს, რომ ჰაერი ნაკლებად იყოს დაბინძურებული, მაგრამ მას ასევე უნდა იაფი ელექტრობა, იაფი ბენზინი, მზარდი ეკონომიკა და ინფლაციის დაბალი ტემპები. დაინტერესებულმა ჯგუფებმა, რომლებიც სენატის კანონპროექტის ცალკეულ პუნქტებზე მუშაობდნენ, სწორედ ეს საზოგადოებრივი პრეფერენციები გამოიყენეს და ზოგჯერ ძალზე მარჯვედაც, რათა დაერწმუნებინათ კანონშემოქმედნი და შეემციებინათ ჰაერის სისუფთავის წარმოდგენილი სტანდარტები.

იმ პროცესის ანალიზისას, რომლითაც დაინტერესებული ჯგუფები და ლობისტები გამოდიან ხოლმე სხვადასხვა ჯგუფების სახელით, ჩვენ ყურადღებას გაავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე: როგორ ყალიბდება ინტერესების მქონე ჯგუფები? ვის წარმოადგენენ ისინი? რა ტაქტიკას იყენებენ, რათა დაარწმუნონ კანონმემოქმედნი, რომ მათი ინტერესების დაცვა ნიშნავს მთელი სახელმწიფოს ინტერესების საუკეთესო დაცვას? რატომ გაიზარდა ამ უკანასკნელ ხანს ასე სწრაფად დაინტერესებული ჯგუფების რაოდენობა? რა მოკვცა შედეგად ასეთ ზრდას?

დაინტერესებული ჯგუფები და ამერიკის პოლიტიკური ტრადიცია

დაინტერესებული ჯგუფი ინდივიდთა ორგანიზებული ერთობაა, რომელსაც აერთიანებს კონკრეტული პოლიტიკური მიზნები და რომელიც ცდილობს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე (Berry, 1989, p.4).

ამერიკის ყველაზე ცნობილ დაინტერესებულ ჯგუფებს წარმოადგენენ „ამერიკის შრომის ორგანიზაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი“, „ამერიკის ფერმერთა ბიუროების ფედერაცია“ (წარმოადგენს ფერმერთა ინტერესებს), „ბიზნესმენტა მრგვალი მაგიდა“ (წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს) და „საერთო საქმე“ (წარმოადგენს ხელისუფლების რეფორმით დაინტერესებულ მოქალაქეებს). დაინტერესებულ ჯგუფებს ხანდახან ლობის უწოდებენ, ხოლო მათ წარმომადგენლებს – ლობისტებს.

დაინტერესებული ჯგუფები: სიკეთე თუ ბოროტება?

ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ხშირად წამოიჭრება დებატები იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს დაინტერესებულ ჯგუფს დემოკრატიულ საზოგადოებაში? ხომ არ წარმოადგენენ დაინტერესებული ჯგუფები რაიმე საფრთხეს პოლიტიკური სისტემის კეთილდღეობისათვის? თუ, პირიქით – ხელს ხომ არ უწყობენ ისინი ამ სისტემის სათანადო ფუნქციონირებას? ალექსის დე ტოკვილი, ამერიკის ფრანგი სტუმარი, მეცხრამეტე საუკუნის ადრეულ წლებში გაოცებული წერდა ორგანიზაციათა სიმრავლის შესახებ ამერიკაში: „ყველა ასაკის, ყოველგვარი პირობების მქონე, ყველანაირი განწყობის ამერიკელები გამუდმებით ქმნიან ასოციაციებს“ (Tocqueville, 1966, p. 198). ტოკვილი ვარაუდობდა, რომ ორგანიზაციების ასეთი იოლი შექმნა ამერიკის ძლიერ დემოკრატიულ კულტურაზე მეტყველებს.

ჯეიმზ მედისონი განსხვავებულ პერსპექტივას ხედავდა. „*ფედერალისტურ ფურცლებში*“ იგი „ფრაქციათა“ – ამერიკის საზოგადოების მთავარი დაჯგუფებების – სიმძლავრის საშიშროების გამო აფრთხილებდა ამერიკელებს. „*ფედერალისტ № 10*“-ში 1787 წელს იგი წერდა, რომ ფრაქციათა შორის გარდაუვალი და არსებითი განსხვავებების გამო ყოველი ფრაქცია შეეცდება აიძულოს ხელისუფლება სხვათა ხარჯზე გაატაროს მისთვის სასარგებლო პოლიტიკა.



ნახ. 7.1 განსაკუთრებულად დაინტერესებული ჯგუფები: ო, როგორ გვიყვარს ისინი!

გელაბის ინსტიტუტის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ, თუმცა არსებობს გარკვეული შეშფოთება ზოგიერთი სპეციალური დაინტერესებული ჯგუფის ძალის გამო, ამერიკელები მაინც უჭერენ მხარს ლობისტური ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობას; და მაინც, შეფასებათა შკალაზე ძალიან დიდი დიაპაზონია: მაგალითად, „თამბაქოს ინსტიტუტის“ დაბალი მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ მის საქმიანობას არც თუ ისე დადებითად აფასებენ (წყარო: Gallup Report, May, 1989, pp. 25-27).

თუმცა მედისონი ამავე დროს ფრაქციათა დვენის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი ასკვნიდა, რომ ფრაქციათა გაუქმება მხოლოდ ჩვენს თავისუფლებაზე უარის თქმით შეიძლება: „ფრაქციებისთვის თავისუფლება იგივეა, რაც ცეცხლისათვის ჰაერი“. მედისონი თვლიდა, რომ ფრაქციათა ეგონისტური მოქმედებისგან „ხსნა“ შეიძლება იყოს მხოლოდ ამ მოქმედების შედეგების კონტროლში, კონტროლი კი განხორციელდება დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ, რომლის ხელისუფლება იშუამავლებს დაპირისპირებულ ფრაქციათა შორის. ქვეყნის სიდიდე და მრავალსახეობა, ისევე, როგორც ხელისუფლების სტრუქტურა, იმის გარანტია იქნება, რომ უმრავლესობის ფრაქციაც კი ვერ გათელავს დანარჩენთა უფლებებს (Dahl, 1956).

როგორ შევაფასებთ დაინტერესებულ ჯგუფებს – სიკეთეა იგი თუ ბოროტება? პასუხი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რისი ერთგულები ვართ – თავისუფლებისა თუ თანასწორობის (იხ. თავი 1). ამერიკელების უმეტესობა ზოგადად მხარს უჭერს იმ მოქალაქეთა ჯგუფებს, რომლებიც გარკვეული იდეოლოგიური მიმართულების მატარებლები არიან (იხ. ნახ. 7.1). მაგრამ ხალხისთვის ლობის ორგანიზების უფლების მიცემა არ იძლევა გარანტიას, რომ ისინი ჩამოყალიბდებიან თანაბარი ძალის მქონე დაინტერესებულ ჯგუფებად. ჩვენს ამ განსჯაზე გავლენას ახდენს ისიც, თუ დემოკრატიის რომელი მოდელისკენ უფრო ვიხრებით – მაჟორიტარულისა თუ პლურალისტურისკენ. დემოკრატიის თეორიის ამ ფართო საკითხებს დაეუბრუნდებით, როდესაც უფრო ღრმად განვიხილავთ დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობას.

დაინტერესებული ჯგუფების როლი

დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის „მანკიერი“ მხარე ნათელია: თითოეულ ჯგუფს გააჩნია თავისი ეგოსტური ინტერესები, რომლებიც ყოველთვის არ ემსახურება დანარჩენი ამერიკელების ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. დაინტერესებული ჯგუფების „დადებითი“ მხარე შეიძლება არც ისე ნათელი იყოს. რა სარგებლობა მოაქვს დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობას ჩვენი პოლიტიკური სისტემისთვის?

წარმოადგენლობა. დაინტერესებული ჯგუფები წარმოადგენენ ხალხს ხელისუფლების წინაშე. ისევე, როგორც კონგრესის წევრი წარმოადგენს გარკვეულ საარჩევნო ოლქს, ასევე წარმოადგენენ ხალხის ჯგუფს ლობისტებიც. მაგალითად, ტელერადიომუწყებლობის ეროვნული ასოციაციის ლობისტი ლაპარაკობს ტელე- და რადიომუშაკების სახელით მაშინ, როცა კონგრესი ან ხელისუფლების რომელიმე ორგანო ლებულობს ამ საკითხის გარშემო შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

ნებისმიერ პოლიტიკურ ინტერესს – ცემენტის მრეწველობას, სოციალურ დაცვას თუ გადაშენების პირას მისულ სახეობებს – ძალიან წაადგება ლობისტების საქმიანობა ვაშინგტონში.

კონგრესის წევრები წარმოადგენენ თავიანთი საარჩევნო ოლქებისა და შტატების მრავალფეროვან, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს. კონგრესმენები სხვადასხვა მიმართულებით ექაჩებიან ადმინისტრაციის წევრებსაც, რომლებსაც, თავის მხრივ, გააჩნიათ საკუთარი პოლიტიკური პრეფერენციებიც. დაინტერესებული ჯგუფები გამოხატავენ თავისი წევრების ინტერესებს პოლიტიკურ ფორუმზე წარმოადგენისას.

მონაწილეობა. დაინტერესებული ჯგუფები იძლევიან პოლიტიკური მონაწილეობას საშუალებას. ერთნაირად მოაზროვნე მოქალაქეებს შეუძლიათ გააერთიანონ საკუთარი შესაძლებლობები და თავისი ენერჯია მიმართონ კოლექტიური პოლიტიკური ქმედების განსახორციელებლად. ერთი ფერმერი, რომელიც იბრძვის უფრო მაღალი ფასების მხარდასაჭერად, ბუნებრივია, შორს ვერ წავა, მაგრამ ერთ ორგანიზაციად გაერთიანებულ ათასობით ფერმერს გაცილებით მეტი შანსი აქვს აიძულოს კანონშემოქმედნი გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები.

განათლება. ლობირების განხორციელებისა და ჯგუფის შემადგენლობის გაზრდაში დაინტერესებული ჯგუფები ეხმარებიან თავიანთი წევრების, მთლიანად საზოგადოების და მთავრობის მოხელეების განათლებას მიუხედავად იმისა, რომ ისინი „ფაქტების“ მხოლოდ საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევიან, მათ სააშკარაოზე გამოაქვთ უფრო დიდი ინფორმაცია, რომელიც ათვისებულ და შეფასებულ უნდა იქნეს საზოგადოების მიერ.

პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბება. დაინტერესებულ ჯგუფებს კიდევ ერთი ფუნქცია გააჩნიათ: ე. წ. „პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების“ პროცესის საშუალებით მათ პოლიტიკურ არენაზე გამოაქვთ ახალი

საკითხები. ამერიკის საზოგადოებაში მრავალი პრობლემა არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი ვერ დაინტერესებს ხელისუფლების ოფიციალურ პირებს. დაინტერესებული ჯგუფები, თავიანთი პროპაგანდის საშუალებით, აცნობენ ხელისუფლებას არსებულ პრობლემებს და შემდეგ აიძულებენ მას გადაწყვიტოს ეს პრობლემები. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ვიდეო-აპარატურა პოპულარული გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლობისტებმა წამოჭრეს მთელი რიგი საკითხებისა საავტორო უფლებების კანონისა და კინოსტუდიებისთვის ჰონორარის გადახდის შესახებ. ამერიკის კინოსლოციაციამ და ელექტრონული მრეწველობის ასოციაციამ დააყენა ეს საკითხი კონგრესის წინაშე და მოითხოვა მისი გადაწყვეტა.

პროგრამების მონიტორინგი. დაბოლოს, დაინტერესებული ჯგუფები მონაწილეობას იღებენ პროგრამების მონიტორინგში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი თვალყურს ადევნებენ ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვან სამთავრობო პროგრამებს: როგორ ვითარდება მოვლენები ვაშინგტონსა თუ იმ ადგილზე, სადაც ეს პროგრამა უნდა დაინერგოს. პრობლემების წარმოშობისას დაინტერესებული ჯგუფები აიძულებენ ადმინისტრატორებს გადაწყვიტონ ეს პრობლემები მათი (დაინტერესებული ჯგუფების) საბოლოო მიზნების შესაბამისად. ისინი საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობენ მოხელეების მიერ კანონის დარღვევაზე და საქმესაც კი აღძრვენ მათი არაკანონიერი ქმედების აღკვეთის შესახებ.

ამგვარად, დაინტერესებული ჯგუფები მართლაც ასრულებენ გარკვეულ დადებით როლს. თუმცა, ნაადრევია იმის თქმა, რომ ამ ჯგუფების პოზიტიური მხარე მთლიანად აწონასწორებს ნეგატიურს. პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს იმის შესახებ, თუ რა საერთო გავლენას ახდენენ დაინტერესებული ჯგუფები საზოგადოებრივი პოლიტიკის შემუშავებაზე. ყველაზე მთავარია იმის გარკვევა, ექვემდებარება თუ არა დაინტერესებული ჯგუფების მოქმედება კონტროლს, როგორც ამას მედისონი თვლიდა საჭიროდ?

როგორ ყალიბდება დაინტერესებული ჯგუფები

ხომ არ არის დაინტერესებული ჯგუფის შექმნა ზოგიერთისათვის უფრო ადვილი? აქვს თუ არა ზოგიერთ ფრაქციას წარმომადგენლობა მაშინ, როცა სხვას იგი არ გააჩნია? პლურალისტები თვლიან, რომ პოლიტიკური პრობლემის წამოჭრისას შესაბამისი პოლიტიკის მიმდევარი დაინტერესებული ჯგუფები იწყებენ ლობირებას. პოლიტიკური კონფლიქტები საბოლოოდ წყდება ხელისუფლებასა და მონაწილე ორგანიზაციათა შორის მორიგებისა და მოლაპარაკების საფუძველზე. მედისონისგან განსხვავებით, რომელიც ხაზს უსვამდა ფრაქციათა პოტენციურ საფრთხეს, პლურალისტები დარწმუნებული არიან, რომ დაინტერესებული ჯგუფების არსებობა კარგია, რადგან სისტემის შიგნით წარმომადგენლობის გაფართოებით ისინი კიდევ უფრო აღრმაკვებენ დემოკრატიას.

პლურალიზმის შემადგენელი ნაწილია იმის რწმენა, რომ დაინტერესებული

ჯგუფები აუცილებლად წარმოიშობიან მაშინ, როცა ამის საჭიროება დგება. ამას ხაზს უსვამდა დევიდ ტრუმენი თავის კლასიკურ ნაშრომში „სამთავრობო პროცესი“ (Truman, 1951). იგი ამბობდა, რომ როცა ინდივიდებს ემუქრებათ მათთვის მიუღებელი ცვლილება, ისინი ერთიანდებიან დაინტერესებულ ჯგუფებად. მაგალითად, როცა ხელისუფლება აპირებს მრეწველობის რომელიმე დარგისათვის კონტროლის დაწესებას, ამ დარგის კომპანიები ქმნიან პროფესიულ ორგანიზაციას, რათა დაიცვან საკუთარი ფინანსური კეთილდღეობა. ტრუმენი ყოველივე ამაში ხედავდა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. არსებული ჯგუფები წონასწორობას ინარჩუნებენ მანამ, სანამ რაიმე საფრთხე (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, ხელფასის შემცირება ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დაცემა) არ დააყენებს ახალი ჯგუფების შექმნის აუცილებლობის საკითხს.

ტრუმენისეული შეშფოთების თეორია დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის იდეალიზებულ სურათს ხატავს. სინამდვილეში, ადამიანები ავტომატურად არ ერთიანდებიან ორგანიზაციებად, როცა მათ რაიმე საშიშროება ემუქრებათ. არაორგანიზებულობის კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ჰერბერტ გენსის წიგნი – „ქალაქელი სოფლელები“ – აღწერილი ამბავი (Gans, 1962). სოციოლოგი გენსი დასახლდა ქ. ბოსტონის უესტ-ენდში, მცირეშემოსავლიანთა საცხოვრებელ რაიონში. 1950-იანი წლების დასასრულს ამ რაიონში უნდა განხორციელებულიყო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. არსებული ნაგებობანი უნდა შეცვლილიყო თანამედროვე შენობებით. ეს ნიშნავდა, რომ აქ მცხოვრებ ხალხს, უპირატესად ღარიბ, იტალიური წარმოშობის ამერიკელებს, მოუხდებოდათ იმ ადგილების დატოვება, რომლებიც ძალიან უყვარდათ. უესტ-ენდის მოსახლეობამ ვერ წამოიწყო ბრძოლა თავისი რაიონის გადასარჩენად. საფუძველი კი ჩაეყარა რაღაც ორგანიზაციას, მაგრამ მან მცირედი მხარდაჭერა ჰპოვა. ადგილობრივი მცხოვრებნი არაორგანიზებული აღმოჩნდნენ. მალე მათ მოუხდათ თავიანთი რაიონის დატოვება, შენობები კი დაანგრიეს.

შეშფოთების თეორიას აშკარად არ შეუძლია იმის ახსნა, თუ რა მოხდა ბოსტონის უესტ-ენდში. არახელსაყრელი პირობები ან ცვლილებების საფრთხე არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ჩამოყალიბდება დაინტერესებული ჯგუფი. მაშ, რა აკლია მის შექმნას? პოლიტოლოგ რობერტ სოლსბერის თანახმად, შესაძლებელია, გადამწყვეტი აღმოჩნდეს დაინტერესებული ჯგუფის ხელმძღვანელობის საკითხი (Salisbury, 1969).

დაინტერესებული ჯგუფების ლიდერები 5.

დაინტერესებული ჯგუფის ლიდერის როლს სოლსბერი ადარებს ანტრეპრენიორისას ბიზნესის სფეროში. ანტრეპრენიორი ის პიროვნებაა, რომელიც ქმნის ახალ საწარმოს, ჩვეულებრივ, საკუთარი ფინანსური რისკის ხარჯზე. სოლსბერი ამტკიცებს, რომ დაინტერესებული ჯგუფის ლიდერი ან ორგანიზატორი წარმატებას აღწევს ან ვერ აღწევს იმავე მიზეზით, რომლითაც მეწარმე-ანტრეპრენიორი. ბიზნესის ანტრეპრენიორის მსგავსად, დაინტერესებული ჯგუფის მოთავეს უნდა გააჩნდეს ერთგვარი მიმზიდველობა, რათა

დაარწმუნოს წევრები შემოუერთდნენ მას: პოტენციურ წევრებს უნდა სჯეროდეთ, რომ ძალების და სახსრების შეერთებით მიღებული მოგება ბევრად გადააჭარბებს გაწეულ ხარჯებს.

„ფერმის მუშების გაერთიანებული კავშირის“ განვითარება გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ლიდერს დინტერესებული ჯგუფის ფორმირებაში. ეს კავშირი წარმოადგენს იმ ადამიანთა გაერთიანებას, რომლებიც იღებენ მოსავალს კალიფორნიასა და სამხრეთ-დასავლეთ შტატებში. ამ გაერთიანების წევრებს, უპირატესად, ღარიბი და გაუნათლებელი მექსიკური წარმოშობის ამერიკელები შეადგენენ.

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ძალისხმევა არ დაზოგილა ამ სოფლის მუშების გასაერთიანებლად. მიუხედავად ამისა, ბევრი მიზეზის გამო (ლიდერებისადმი უნდობლობა, დამქირავებელთა მხრიდან დაშინება, საწევრო გადასახადისთვის სახსრების უქონლობა) ეს არ მოხდა. 1962 წელს სეზარ ჩავესმა, ღარიბმა მექსიკელ-ამერიკელმა, მოიარა კალიფორნიის ცენტრალური რაიონები იმისათვის, რომ დალაპარაკებოდა და დაერწმუნებინა იქაურები კავშირის შექმნის აუცილებლობაში. თავდაპირველად ჩავესი ცდილობდა ძლიერი პროფკავშირის შექმნას, რაც შეიძლება მეტი წევრის გაერთიანებით. მას შემდეგ, რაც 1965 წელს მევენახეთა წინააღმდეგ გაფიცვა მარცხით დამთავრდა, მან შეცვალა თავისი ტაქტიკა. ჩავესი და მისი მომხრეები, შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის მსგავსად, 250 მილის მარშით გავლის შემდეგ მიადგნენ შტატის დედაქალაქს – საკრამენტოს, რათა დახმარება ეთხოვათ გუბერნატორისთვის. ამ მარშითა და სხვა არამალისმიერი ქმედებით ჩავესმა და მისმა მომხრეებმა იმ ხალხის სიმპათიაც კი დაიმსახურეს, რომელთაც უშუალოდ არ ეხებოდა შექმნილი სიტუაცია.

ამ მხარდაჭერით ჩავესი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა და მან კალიფორნიულ მევენახეთა ბოიკოტისკენ მოუწოდა. ამერიკელთა მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანმა ნაწილმა, უარი თქვა კალიფორნიული ყურძნის ყიდვაზე. მევენახეებს, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ კავშირს, ამან დიდი ფინანსური დარტყმა მიაყენა. ასევე სხვა ეკონომიკური ზეწოლის შედეგად, მევენახეები საბოლოოდ დათანხმდნენ ეცნოთ და მორიგებოდნენ ფერმის მუშათა გაერთიანებულ კავშირს. კავშირი, თავის მხრივ, დაეხმარა მის წევრებს მოლაპარაკების შედეგად მიეღოთ დამატებითი ხელფასი და სხვა შეღავათები.

ვისი ორგანიზება ხდება?

აწ გარდაცვლილი სეზარ ჩავესი იმის კარგი მაგალითია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლიდერის როლი ახალი დინტერესებული ჯგუფის ჩამოყალიბებაში. მრავალი წლის განმავლობაში, ცული პირობების არსებობის მიუხედავად, ფერმის მუშების ორგანიზების ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა, სეზარ ჩავესის აქტიურმა ხელმძღვანელობამ კი შედეგი გამოიღო.

დინტერესებული ჯგუფის ჩამოყალიბებისას მოქმედებს ერთი მნიშვნელოვანი ელემენტიც. ბოსტონის უესტ-ენდის ადგილობრივი მცხოვრებნი, ისევე,

როგორც ფერმის მუშები კალიფორნიაში, წარმოდგენენ ღარიბ, ძალიან მცირე განათლების მქონე, პოლიტიკურად გამოუცდელ ინდივიდებს. ეს ის ფაქტორებია, რომლებიც უადრესად ართულებენ მათ გაერთიანებას დაინტერესებულ ჯგუფად. ისინი რომ უზრუნველყოფილი, განათლებული, პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანები ყოფილიყვნენ, ალბათ, დაუყოვნებლივ გაერთიანდებოდნენ. ფულიანი ხალხი უფრო განათლებულია და იცის, თუ როგორ მუშაობს პოლიტიკური სისტემა. ისინი სრულიად დარწმუნებული არიან, რომ მათ ქმედებას ცვლილებები მოჰყვება.

თითოეულ დაინტერესებულ ჯგუფს თავისი განუმეორებელი ისტორია აქვს. უკვე განხილული სამი ფაქტორი გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ ყალიბდება ან არ ყალიბდება დაინტერესებული ჯგუფი. უპირველეს ყოვლისა, რაიმე მკვეთრმა ცვლილებამ ან საშიშროებამ, შესაძლებელია, დაარწმუნოს ადამიანთა ჯგუფი პოლიტიკური წარმომადგენლობის საჭიროებაში. თუმცა, მხოლოდ სახიფათო ცვლილებები არ იძლევიან ორგანიზაციის ჩამოყალიბების გარანტიას და ორგანიზაციები უსაფრთხო ვითარებაშიც ყალიბდება. გარდა ამისა, ლიდერობის ხარისხი გადამწყვეტია დაინტერესებული ჯგუფის ჩამოყალიბების საქმეში. დაბოლოს, რაც უფრო მაღალია ჯგუფის პოტენციური წევრების სოციალურ-ეკონომიკური დონე, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ისინი გაიგებენ დაინტერესებული ჯგუფის ფასს და, ამდენად, მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკაში ამ ჯგუფთან შეერთების გზით.

კვლავ რჩება ერთი საკითხი: საქმე ის კი არ არის, წარმოდგენილია თუ არა დაპირისპირებული ინტერესები, არამედ ის, თუ როგორ არიან ისინი წარმოდგენილი. მედისონის წინაპირობა რომ მოვიხმოთ – ექვემდებარება თუ არა კონტროლს (ამ შემთხვევაში – უზრუნველყოფილთა და განათლებულთა) ფრაქციის მიერ მიღებული უპირატესობები? სანამ ამ შეკითხვას ვუპასუხებდეთ, ჩვენი ყურადღება იმ რესურსებზე უნდა გადავიტანოთ, რომლებიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული ჯგუფებისთვის.

დაინტერესებული ჯგუფების რესურსები

დაინტერესებული ჯგუფის ძალა, უნარი და გავლენა დიდადაა დამოკიდებული მის რესურსებზე. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსებია მისი წევრები, ლობისტები, აგრეთვე ფული, იმ ფონდების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება გამოეყოს ჯგუფის პოლიტიკურ კანდიდატს. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს ჯგუფი ამ რესურსებს.

წევრები

დაინტერესებული ჯგუფისთვის ყველაზე ფასეული რესურსი მისი პოლიტიკურად აქტიური და მრავალრიცხოვანი შემადგენლობაა. თუკი ლობისტი ცდილობს დაარწმუნოს კანონმდებელი, მხარი დაუჭიროს ამა თუ იმ კანონპროექტს, მას ამ საქმეში დიდ დახმარებას გაუწევს ის, თუ კანონმდებლის საცხოვ-

რებელ რაიონში ან შტატში ჯგუფის წევრთა დიდი ნაწილი ცხოვრობს. მსროლელთა ეროვნული ასოციაცია (National Rifle Association - NRA) საკმაოდ დიდი ძალის მქონე დაინტერესებული ჯგუფია კაპიტოლიუმის ბორცვზე. კონგრესის წევრებმა იციან, რომ ასოციაციის 2,6 მილიონი წევრი კარგად არის ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ როგორ აძლევს ხმას კონგრესის ესა თუ ის წევრი კანონპროექტებს იარაღის კონტროლის შესახებ. ასევე იციან ისიც, რომ ეს ინფორმაცია გავლენას იქონიებს არჩევნებისას.

ორგანიზაციის წევრები, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, ორგანიზაციის არა მარტო პოლიტიკურ „კუნთებს“, არამედ ფინანსურ რესურსებსაც წარმოადგენენ. რაც უფრო მეტი ფულის შეგროვების უნარი შესწევს ორგანიზაციას საწევროებისა და შეწირულობების სახით, მით უფრო მეტი ლობისტის დაქირავება (ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებზე ზემოქმედების მიზნით) და კანონშემოქმედების პროცესის მონიტორინგი შეუძლია. მეტი რესურსები ორგანიზაციის წევრებთან ინტენსიური კავშირის და მათი უკეთ ინფორმირების მეტ საშუალებას იძლევა, ეხმარება ჯგუფს შეინარჩუნოს წევრები და მოიზიდოს ახლები.

წევრების შენარჩუნება. იმისათვის, რომ ორგანიზაციამ შეინარჩუნოს თავისი წევრები, უნდა დაარწმუნოს ყოველი მათგანი, რომ იგი კარგად მუშაობს და ძალისხმევას არ იშურებს თავისი ინტერესების პროპაგანდისათვის. ჯგუფის წევრების ურთიერთმხარდაჭერის უმთავრესი იარაღია ყოველკვირეული მაცნე ან ჟურნალი. აქ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აწვდიან მათ ახალ ინფორმაციას და ახსენებენ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

ბიზნესმენების, პროფესიონალებისა და მუშათა ასოციაციები უფრო ადვილად ამყარებენ კავშირს თავიანთ წევრებთან ვიდრე მოქალაქეთა ჯგუფები, რომელთა ორგანიზაციულ საფუძველს წარმოადგენს იმ საკითხებზე ზრუნვა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ჯგუფის წევრების სამუშაოსთან. ბევრ კორპორაციაში პროფკავშირის წევრობა მოითხოვს სულ მცირე ხარჯებს. მუშათა კავშირებს ეხმარებიან იმ შტატებში, სადაც მუშებს მოეთხოვებათ იმ კავშირის წევრობა, რომელიც დამქირავებელთან მორიგებას აწარმოებს. მოქალაქეთა ჯგუფები კი თავიანთ საქმიანობას აფუძნებენ მონაწილეთა იდეოლოგიურ განწყობილებაზე. ეს ჯგუფები დიდი პრობლემის წინაშე დგანან: დავა ამა თუ იმ საკითხის გარშემო შეიძლება გამწვავდეს ან განელდეს, ანდა რაც ერთ წელს დიდი ინტერესის საგანი იყო, მეორე წელს შეიძლება სრულიად უინტერესო გახდეს მოქალაქეთათვის.

ახალი წევრების მოზიდვა. ნებისმიერი დაინტერესებული ჯგუფი ცდილობს მოიზიდოს ახალი წევრები რესურსების გასაფართოებლად და ახალი ძალებს შესაძენად. ჯგუფებს, რომლებიც იდეოლოგიურ მისწრაფებებს ეყრდნობიან, განსაკუთრებული პრობლემა აქვთ, რადგან კონკურენცია პოლიტიკის უმრავლეს სფეროში ძალზე ძლიერია. მაგალითად, ხალხი რომელსაც გარემოს დაცვის პრობლემები აწუხებს, შეიძლება შეუერთდეს უამრავ ადგილობრივი, შტატისა და ეროვნული მასშტაბით მომუშავე ჯგუფს, რომლებიც ბუნების დაცვის საკითხებზე ლობირებას ეწევიან.

ახალი წევრების მიზიდვის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ, პირდაპირი ფოსტა ანუ წერილები, რომლებიც ეგზავნება შერჩეულ აუდიტორიას, რათა ხელი შეუწყონ ორგანიზაციას გაზარდონ იმ წევრთა რიცხვი, ვისაც სურს წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. პირდაპირი ფოსტის ძირითადი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი დიდ ხარჯებს მოითხოვს, ხოლო უკუკავშირის დონე ძალზე დაბალია.

„უბილეთო მგ ზავრების პრობლემა“. მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული ჯგუფები ენერგიულად ცდილობენ თავისი ინტერესების დაცვას, მათ ჩვეულებრივ უჭირთ საკუთარი წვლილის შესატანად მოიზიდონ ყველა ის ადამიანი, ვინც ჯგუფის მიზნებს თანაუგრძნობს და პრაქტიკულ მოგებას ნახულობს ამ მიზნების განხორციელებისგან. ამერიკელი ეკონომისტები ამ სირთულეს უწოდებენ free-rider problem (უბილეთო მგ ზავრების პრობლემა), სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაე სხვამ გააკეთოს ჩემი საქმე“ საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების საკითხი ამ დილემის კარგი ილუსტრაციაა. თითქოს ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიას, რომელიც ძირითადად მაყურებელთა გადასახადის ხარჯზე არსებობს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუმცა იმათგან, ვინც რეგულარულად სარგებლობს ამ ტელეარხით, მხოლოდ მცირე ნაწილი თუ გაიღებს რაიმე თანხას: „უბილეთო მგ ზავრებსაც“ ისევე მიუწვდება ხელი ამ არხზე, როგორც გადასახადის გადამხდელთ.

იგივე პრობლემა წამოიჭრება დაინტერესებული ჯგუფების შემთხვევაშიც. თუკი ლობისტური ჯგუფი მოიპოვებს გარკვეულ სარგებელს, ამით სარგებლობენ არა მარტო ჯგუფის წევრები, არამედ სხვებიც. ამიტომაც, ბევრი არ უერთდება ამ ჯგუფებს, ამჯობინებენ, რომ ფინანსური ტვირთი სხვამ ზიდოს. „უფასო თანამგ ზავრების პრობლემა“ აძნელებს გადამხდელუნარიანი წევრების მოზიდვას. თუმცა, როგორც ამას მოგვიანებით ვნახავთ, დაინტერესებული ჯგუფების რაოდენობა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა. მილიონობით ამერიკელს შეაქვს თავისი წვლილი ამ ჯგუფების საქმიანობაში, რადგან თავის მოვალეობად მიაჩნიათ მათი სახელით მოქმედი ორგანიზაციის დახმარება (Olson, 1968; Hansen, 1985).

მრავალი დაინტერესებული ჯგუფი, რომელიც ორგანიზაციულად გაფორმდა, თავის წევრებს სთავაზობს ისეთ სარგებელს, რომელსაც საერთო არა აქვს რა პოლიტიკასთან თუ ლობირებასთან. მაგალითად, ბიზნესის პროფესიული კავშირები წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს მრეწველობის განვითარების მიმართულებების და მართვის ეფექტიანი მეთოდების შესახებ. ეს კავშირები ატარებენ მრავალ ისეთ ღონისძიებას, სადაც წევრები სწავლობენ, ერთმანეთს ეცნობიან, ეძებენ ახალ მიმწოდებელს და კლიენტებს.

ლობისტები

დაინტერესებული ჯგუფების მიერ შეგროვებული თანხის ნაწილი გამოიყენება ლობისტების საქმიანობის ასანაზღაურებლად. ლობისტები აკავშირებენ ორგანიზაციას მთავრობასთან. ისინი ხელისუფლებაში მყოფ ხალხს აცნობენ,

თუ რას ითხოვენ ორგანიზაციის წევრები და, პირიქით, საქმის კურსში აყენებენ ორგანიზაციის წევრებს მთავრობის მოქმედების შესახებ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (იხ. ჩანართები 7.1 და 7.2). ლობისტები შეიძლება იყვნენ თვით ორგანიზაციის ან საზოგადოებრივი ურთიერთობების (პაბლიკ რილეიშნის) ფირმის შტატზე მყოფი თანამშრომლები ანდა იურიდიული ფირმის ყოფილი თანამშრომლები, რომლებსაც პენსიაზე გასვლის შემდეგ ქირაობენ. ლობისტის დაქირავებისას დაინტერესებული ჯგუფი ეძებს ისეთ პიროვნებას, რომელმაც იცის, როგორ იმუშაოს ვაშინგტონში. ლობისტებს აფასებენ გამოცდილების მიხედვით. მათ იციან ხელისუფლების მუშაობის სისტემა. ჩვეულებრივ, ეს არის ხალხი, რომლებსაც უმუშავიათ ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ორგანოებში და ამ მუშაობის უშუალო გამოცდილება გააჩნიათ.

ლობისტობა სარფიანი პროფესიაა. ერთ-ერთი გამოკვლევის თანახმად, ლობისტის საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს 90 ათას დოლარზე მეტს (Salisbury, 1986). ამიტომ, ამ პროფესიას ხელისუფლების მრავალი ყოფილი წევრი ეზიარა. ვაშინგტონში გავრცელებულია გამოთქმა: „თავიდან სამართავად მოდიან, ხოლო ბოლოს ლობისტებად რჩებიან“. იმისთვის, რომ კონგრესის ყოფილმა წევრებმა არ მიიღონ მაღალი შემოსავალი, 1991 წლიდან თანამდებობის დატოვების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მათ არ ეძლევათ სენატში ან წარმომადგენელთა პალატაში ლობირების უფლება (Mallack, 1990).

ბილ ქლინთონმა კიდევ უფრო მკაცრი მოთხოვნები დააწესა თავისი ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირთა მიმართ: მათ არ შეუძლიათ ხელისუფლების იმ ორგანოს ლობირება, რომლის მიმართაც გააჩნიათ „არსებითი პასუხისმგებლობა“. ეს შეზღუდვა გრძელდება თანამდებობის დატოვებიდან 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, მათ სამუდამოდ ეკრძალებათ წარმოადგინონ ნებისმიერი უცხო სახელმწიფო (Kamien and Von Drehle, 1992).

ვაშინგტონის მრავალი იურიდიული ფირმა, თავიანთი ადგილმდებარეობის გამო, ჩართულია ლობირების პროცესში. ის კორპორაციები, რომელთაც არ გააჩნიათ თავიანთი ოფისები ვაშინგტონში, ეროვნული ხელისუფლების წინაშე თავისი მიზნების ლობირებისთვის დიდად არიან დამოკიდებული ამ იურიდიულ ფირმებზე. დროთა განმავლობაში იურიტი-ლობისტები იქცევიან ექსპერტებად გარკვეულ პოლიტიკურ სფეროში.

ლობისტზე გავრცელებული აზრის მიხედვით, ეს არის „მკლავჭიდიელი“, პიროვნება, რომელიც ნებისმიერი ვხით ცდილობს დაარწმუნოს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება, მხარი დაუჭიროს გარკვეულ პოლიტიკას. მაგრამ, ლობირების პროცესი უფრო დახვეწილია. ლობისტის უპირველესი საქმეა პოლიტიკის შემუშავებისთვის ინფორმაციის გადაცემა. ლობისტი, ხელისუფლების ოფიციალურ პირებსა და მათ პერსონალს უწყვეტ ნაკადად აწვდის მონაცემებს, რომელიც ემსახურება გარკვეული პოლიტიკური მიზნების მხარდაჭერას. ის ასევე ცდილობს შექმნას დაინტერესებული ჯგუფის მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ის პირობები, რომლებიც კარნახობს ამ ცვლილებების გატარების აუცილებლობას. სინამდვილეში, ლობისტი, ცდილობს დაარწმუნოს პოლიტიკის შემუშავებელი სწორედ თავისი მონაცემების მეტ საიმედოობასა და სიზუსტეში.

ჩანართი 7.1

მისი კლიენტია "Japan, Inc."

როცა რომელიმე იაპონური კომპანია შეერთებული შტატების ხელისუფლებასთან რაიმე პრობლემას აწყდება, დახმარებისთვის იგი, ალბათ, სტენტონ ანდერსონს მიმართავს. ანდერსონი – იურისტი, მომრიგებელი და ლობისტია – ყველაფერს წარმატებით ართმევს თავს.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ანდერსონი გახდა ერთ-ერთი საავიაციო ფირმის ლობისტი ვაშინგტონში. იურიდიული ხარისხის მოპოვებამდე რესპუბლიკელთა პოლიტიკაშიც მონაწილეობდა. მოგვიანებით, კაპრობის დეპარტამენტში მუშაობისას, ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა. აქ მას მაღალი თანამდებობა ექავა – კავშირებს ამყარებდა კონგრესსა და დეპარტამენტს შორის. ანდერსონი მის მიერ დაარსებული იურიდიული ფირმის უფროსი პარტნიორია. ამავ დროს იგი ხელმძღვანელობს "Global USA"-ს – ლობისტურ ფირმას. მის იაპონულ კლიენტებს შორის იყენებენ: "All Nippon Airways" და ისეთი მაღალი ტექნოლოგიის კომპანიები, როგორცაა "Fanuc LID" და "Kyocera Corp." როცა მის კლიენტებს, მაგალითად, იაპონურ ტელეკომუნიკაციების კომპანიებს, ემუქრებათ ტარიფების ცვლილებები, ანდერსონი ატარებს სტრატეგიას, რომლის დახმარებითაც არწმუნებს კონგრესს წევრებს, რომ ასეთი კანონის მიღება აუცილებლად გამოიწვევს იაპონელების მხრიდან საპაგიეროს გადახდის სურვილს და ამით დაზარალებულ იაპონიაში მომუშავე ამერიკული კომპანიები.

ანდერსონი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მისი სამუშაო მხოლოდ ხელისუფლების ლობირება არ არის და რომ მისი საშუალებით იგი თავის უცხოელ კლიენტებს აცნობს ამერიკას. იგი ამბობს: „მე ბევრ რამეს ვუბნია ჩემს კლიენტებს, მათ სურს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ... მე მათთვის უბრალოდ ამ ინფორმაციის წყარო ვარ“.

წყაროები: Clyde H. Farnsworth, "Japan's Top U.S. Lobbyist" *New York Times*, June 2, 1985, p. F6. Eduardo Lachica "Japanese Are Lobbying Hard in U.S. to Offset Big Protectionist Push" *Wall Street Journal*, August 23, 1985, p.1.

პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები

ერთ-ერთი ორგანიზაციული საშუალება, რომელმაც შეიძლება გაუადვილოს მუშაობა ლობისტს, არის პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები (political action committee - PAC - პაკი). პაკები თავს უყრიან კამპანიის შედეგად წევრებისგან მიღებულ საწევროებს და მოახმარენ მათ პოლიტიკური ორგანიზაციის კანდიდატებს. ფედერალური კანონის თანახმად, პაკს შეუძლია გასცეს 5 000 დოლარი კონგრესის ერთ არჩევნებში მონაწილე თითოეულ კანდიდატზე. 1974 წელს არჩევნების კამპანიის ფინანსირების კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ, პაკების რაოდენობა სწრაფად იზრდება. ძირითადად ეს ხდებოდა იმ კორპორაციების ხარჯზე, რომელთა უმრავლესობას ეკრძალებათ პოლიტიკური მოქმედების კომიტეტის უშუალო მართვა. ასევე სწრაფად გაიზარდა ე. წ. დაუკავშირებელი პაკების რიცხვი. ძირითადად, ეს არის ის იდეოლოგიური ჯგუფები, რომელთაც არ გააჩნიათ დამფუძნებელი ლობისტური ორგანიზაცია. ისინი იქმნებიან მხოლოდ და მხოლოდ კამპანიის ჩატარებისთვის საჭირო სახსრების მოზიდვისა და განაწილებისთვის. პაკი შეიძლება იყოს დაინტერესებული ჯგუფის ლობისტური ფილიალი ან მთლიანად დამოუკიდებელი, დაუკავშირებელი ჯგუფი.

ჩანართი 7.2.

მისი კლიენტები ღარიბი ბავშვები

მერიენ რაით იდელმანის ამომრჩეველები საწვეროს არ უხდინან მის ორგანიზაციას. ისინი არ კითხულობენ მაკრეს, სადაც აშუქებენ ამ ორგანიზაციის საქმიანობას ახალგაზრდების მცირე ნაწილს თუ სმენია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც „ბავშვთა ფონდი“ ეწოდება.

ეს ორგანიზაცია ეწევა ლობირებას ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის ოჯახის დაეგეგმვაში, რათა თავიდან აიცილოს არასრულწლოვანების საადრევი ორსულობა. იდელმანი კარგად იცნობს განსაცვიფრებელ სტატისტიკას: ყოველ წელს 1,1 მილიონი არასრულწლოვანი ორსულდება. ეს რიცხვი მთლიანად 125 ათას გოგონას, რომელთა ასაკი არ აღემატება 15 წელს, მათ უმეტესობას უღარიბესი გოგონები შეადგენენ.

იდელმანი, პატარა ქალაქის ბაპტისტი მღვდლის შვილი სამხრეთ ქეროლიანდან, სწავლობდა სპილენძის კოლეჯსა და იელის იურიდიულ სასწავლებელში. ვაშინგტონში ჩამოსვლამდე ავი მუშაობდა საკანონმდებლო დაცვის ფონდში – ფერადგანაზნა მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის იურისტიად – მისისიპიში. 1973 წელს მან დააარსა ბავშვთა დაცვის ფონდი, რომელიც მალე ავტორიტეტულ ორგანიზაციად იქცა. მისი შტატი შედგება 67 წევრისაგან, წლიური ბიუჯეტი კი შეადგენს 4,4 მილიონ დოლარს.

იდელმანის ლობირების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია აიძულოს ხელისუფლების ოფიციალური პირები გაითავისონ ის, რომ ღარიბ ბავშვთა დახმარება არა მარტო პუბლიკური აქტია, არამედ რესურსების დაზოგვაცაა. იდელმანი ამბობს: „ჩვენი მიზანია გავაგვიბნოთ სახელმწიფოს, თუ რა ესაჭიროებათ ბავშვებს, ჩავატაროთ პროფილაქტიკური ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვთა დაავადებები, მათ მიერ სკოლის მითრევა და სხვა სერიოზული მიუღწეველობა“.

იდელმანის წინადადება მუშაობდა მხარდაჭერა პოპოს ქლინთონის ადმინისტრაციაში. იდელმანის ახლო მეგობარი, პილერი როდემ ქლინთონი, უკვე ოცი წელია, რაც მღვანელობს ბავშვთა დაცვის ფონდში როგორც ადვოკატი და დირექტორატის წევრი. მისი კიდევ ერთი მეგობარი, დონა შალალა, მუშაობს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მდივნად ქლინთონის კაბინეტში. იდელმანის კანდიდატურა იზილებოდა კაბინეტის მდივნის თანამდებობაზე. თუმცა, იგი ამჯობინებს იყოს დამოუკიდებელი და შეინარჩუნოს არასამთავრობო პოზიცია, სადაც არანაკლები საქმის გაკეთება შეუძლია.

წყაროები: *Public Interest Profiles* (Washington, D.C.: Foundation for Public Affairs, 1986) p.13.; Lena Williams. "She Whose Constituents are 61 Million Children," *New York Times*, February 27, 1986, p.B 10; "Power and Glory," *Newsweek*, December 28, 1992, pp.12-19.

რატომ აყალიბებენ დაინტერესებული ჯგუფები პაკ-ებს? ერთმა ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ მისმა კომპანიამ ჩამოაყალიბა პაკი, რადგან „პოლიტიკოსებთან საუბარი კი კარგია, მაგრამ ისინი უკეთ გისმენენ, როცა ცოტა ფულიც გაქვს“.

კონგრესის წევრებს და მათ პერსონალს სურთ შეხვდნენ თავიანთ ამომრჩეველთა წარმომადგენლებს, მაგრამ საამისოდ დრო არა აქვთ. თუმცა, კონგრესის წევრს ან მის თანამშემწეს გაუჭირდებათ უარის თქმა რომელიმე კომპანიის ლობისტთან შეხვედრაზე, თუკი ამ კომპანიის პაკ-მა უკანასკნელ საარჩევნო კამპანიაში მის სასარგებლოდ შეწირულობა გაიღო.

ჩვეულებრივი პაკები, დაინტერესებული ჯგუფების მსგავსად, პრაგმატული

ორგანიზაციები არიან; პოლიტიკური ფილოსოფიის გატარება, პოლიტიკური მიზნების მიღწევასთან შედარებით, მათთვის მეორეხარისხოვანია. 1990 წლის შუალედური არჩევნებისთვის პაკებმა მთელი თავიანთი შეწირულობის 83 პროცენტი გადასცეს კონგრესის ინკუმბენტ (მოქმედ) წევრებს, უპირატესად ლიბერალურ და ზომიერ დემოკრატებს (PAC Activity, 1991).

მოქალაქეთა ჯგუფების პაკები თავიანთ საქმიანობას უფრო იდეოლოგიურ საწყისებზე აგებენ. ბიზნესმენების, მუშებისა ან პროფესიული კავშირების პაკებისგან განსხვავებით, ისინი თავიანთი ფონდების უმეტეს ნაწილს, უფრო მეტად, პრეტენდენტებს გადასცემენ. პაკების უმეტესობისთვის შეწირულობანი კონგრესში შეღწევის საშუალებაა, რაც ამავე დროს, კონგრესის სამსახურებზე გავლენის მოპოვების გადამწყვეტი ფაქტორია (Wright, 1990).

პაკების მზარდი როლი კონგრესის საარჩევნო კამპანიათა დაფინანსებაში დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის ყველაზე სადაო ასპექტია. წარმომადგენელთა პალატის წევრთა დახლოებით ნახევარი თავისი საარჩევნო კამპანიისთვის შემოწირულობის 50 პროცენტს პაკებიდან ლეზულობს. კრიტიკოსები ადანაშაულებენ პაკებს იმაში, რომ მათი ფული იწვევს ფაეორიტიზმს ან კორუფციას. მაგალითისთვის ისინი მიუთითებენ ანაბრებისა და სესხების დაწესებულებათა (S&L) ცნობილ სკანდალზე, რომელიც გადასახადის გადამხდელს ასობით მილიარდი დოლარი დაუჯდათ. 1980-იან წლებში, ანაბრებისა და სესხების ინდუსტრიამ, კონგრესის წევრებს შეწირულობის სახით 11 მილიონზე მეტი დოლარი გადასცა. ზოგიერთი გავლენიანი კანონმდებელი, რომლებმაც მიიღეს ეს შეწირულობა, ჩაერივნენ ფედერალური რეგულაციის საკითხებში და სთხოვეს ადმინისტრატორებს, „რობილად მოპყრობოდნენ“ ზოგიერთ საფინანსო დაწესებულებას, რომლებიც ფინანსურ სიძნელებს განიცდიდნენ.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ კორპორაციების პაკები სხვა პაკებთან შედარებით, უფრო მეტ შეწირულობას გასცემენ კონგრესის წევრობის კანდიდატებზე. მაგრამ დემოკრატიულ ქვეყანაში ფული არ უნდა იყოს გავლენის ფაქტორი: ზოგიერთ მოქალაქეს არ შეუძლია ფული გაიღოს, მაგრამ მისი უფლებები დაცული უნდა იქნეს. ამ თვალსაზრისით, წამოიჭრება პოლიტიკური თანასწორობის საკითხი. რესპუბლიკელი სენატორის რობერტ დოულის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ არსებობს არც ღარიბთა დახმარების, არც კვების ბარათების და არც უფასო სამედიცინო დახმარების პაკები“ (Drew, 1982).

მიუხედავად ამისა, პაკების შენარჩუნების სასარგებლოდ მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება. ისინი საშუალებას აძლევენ ხალხს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში. ასევე, საშუალებას აძლევენ ცალკეულ ინდივიდებს, თავი მოუყარონ თავიანთ მცირე რესურსებს და დაძლიონ გრძნობა, რომ ერთი ადამიანი უძლურია მოახდინოს რაიმე ცვლილება. პაკის მომხრეები ასევე აღნიშნავენ, რომ მათი აკრძალვა პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლების აკრძალვას ნიშნავს.

ლობირების ტაქტიკა

უნდა გვახსოვდეს, რომ ლობირების პროცესი საკანონმდებლო ხელისუფლებას სცდება. ეს ჯგუფები, შესაძლებელია, ეძიებდნენ დახმარებას სასამართლოებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისევე, როგორც კონგრესში. უფრო მეტიც, დაინტერესებულ ჯგუფებს შეუძლია თავისი ყურადღება ხელისუფლების ერთი განშტოებიდან მეორეზე გადაიტანოს. მას შემდეგ, რაც კანონპროექტი კანონად იქცევა, ჯგუფი, რომელიც ეწეოდა საკანონმდებლო ხელისუფლების ლობირებას, ახლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლებს, რომელსაც ამ ახალი კანონის განხორციელება ევალება. ზოგიერთი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიუღებელი რჩება საკანონმდებლო დონეზე, ამიტომ მისი მიღება ხდება კანონქვემდებარე აქტების გზით. ლობის სურს უზრუნველყოს ამ აქტების მაქსიმალური დაახლოება ჯგუფის მიზნებთან.

განვიხილოთ ლობირების სამი ტაქტიკა: პირველი, რომელიც მიმართულია პოლიტიკის შემმუშავებელთა მიმართ და ხორციელდება დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლების საშუალებით (უშუალო ლობირება); მეორე, რომელიც მოიცავს ჯგუფის წევრებს (ფართო მასების ლობირება) და, მესამე, რომელიც მიმართულია საზოგადოებისადმი (საინფორმაციო კამპანიები).

ჩვენ ასევე განვიხილავთ ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად დაინტერესებული ჯგუფების ერთიან ძალისხმევას კოალიციების საშუალებით.

უშუალო ლობირება

უშუალო ლობირება პოლიტიკის შემმუშავებლებთან უშუალო კონტაქტს ეყრდნობა. ვაშინგტონელი ლობისტების ერთმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მათი 98 პროცენტი, თავიანთი ჯგუფების შეხედულებების გამოსახატავად, ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან უშუალო კონტაქტს იყენებს (Schlozman and Tierney, 1986). ამ ურთიერთობას მაშინ აქვს ადგილი, როცა ლობისტი ხვდება კონგრესის წევრებს, სააგენტოს ოფიციალურ პირს ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს. ამ შეხვედრებისას ლობისტი, ჩვეულებრივ, მონაცემების ფორმით გადასცემს მეორე მხარეს თავის არგუმენტებს გარკვეული საკითხის გარშემო. თუკი ლობისტი, ვთქვათ, სავაჭრო პალატიდან, ხვდება კონგრესის წევრს იმ კანონპროექტის საკითხზე, რომელსაც მისი ორგანიზაცია უჭერს მხარს, იგი არ ეუბნება (და არც მიუთითებს), „ხმა მიეცით ამ კანონპროექტს, თორემ ჩვენი ხალხი ხმას არ მოგცემთ შემდგომ არჩევნებში“. ამის მაგივრად, ლობისტმა შეიძლება თქვას: „თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, შეიქმნება სამუშაო ადგილები იქ, სადაც თქვენ კენჭს გიყრიან“. წარმომადგენლისთვის ძნელი არ უნდა იყოს იმის განჭვრეტა, რომ კანონპროექტისთვის ხმის მიცემამ, შესაძლებელია, ძალიან შეუწყოს მას ხელი მომდევნო არჩევნებში.

პერსონალური ლობირება ყოველდღიური პროცესია. ლობისტი კონტაქტებს უნდა ინარჩუნებდეს კონგრესის თუ სააგენტოების მოხელეებთან და უზრუნველყოფდეს მათ შესაბამისი მონაცემებით. მაგალითად, ამერიკის გაზის ასოცია-

ციის ლობისტებს აქვთ ხელისუფლების 1200 წარმომადგენლის სია, რომლებიც „ხშირად უნდა მონახულონ, რათა არაოფიციალურად ისაუბრონ მათთან და ინფორმაცია მიაწოდონ ასოციაციის შესახებ“. ლობისტების ჯგუფის ხელმძღვანელს აქვს მაღალი რანგის მთავრობის მოხელეების მოკლე, 104-კაციანი სია. იგი უკვე შეხვდა თითოეულ მათგანს და იმედი აქვს, რომ მისი მონაცემები „აუცილებლად მხედველობაში იქნება მიღებული სამთავრობო ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას“ (Chubb, 1983).

უშუალო ლობირების ერთ-ერთი ტაქტიკაა ჩვენების მიცემა კონგრესის კომისიაში მოსმენისას, როდესაც ხდება კანონპროექტის განხილვა. ეს ტაქტიკა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ჯგუფს, დაფიქსირდეს მისი თვალსაზრისი წერილობითი ფორმით და ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის მოსმენის შედეგების გამოქვეყნების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენების მიცემა ლობირების ერთი ხილული თეჯსაჩინო ნაწილია, მას უბრალო „ვიტრინად“ მიიჩნევენ. ლობისტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჩვენების მიცემა თავისთავად მცირე გავლენას ახდენს კონგრესის წევრებზე.

უშუალო ლობირების სხვა, მაგრამ გარკვეულად განსხვავებული მიდგომა არის *კანონიერების დაცვა*. ამ ტაქტიკის გამოყენებისას ჯგუფი ცდილობს მიაღწიოს მის პოლიტიკურ მიზნებს სასამართლოს წინაშე საქმის ადვოკატით. რეიგანის პრეზიდენტობის დროს, შინაგან საქმეთა დეპარტამენტი არც თუ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი გარემოს დაცვის ჯგუფების მიმართ. როცა ამ დეპარტამენტმა განიხრახა მეტი ფართი გამოეყო ოკეანის ფსკერზე საბურღი სამუშაოების ჩასატარებლად, „ეროვნული რესურსების დაცვის საბჭომ“ და ბუნების დაცვის სხვა ჯგუფებმა ამ პროცესის შესაჩერებლად დეპარტამენტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყეს.

ფართო მასების ლობირება.

ფართო მასების ლობირებაში ჩართული არიან დაინტერესებული ჯგუფის რიგითი წევრები, აგრეთვე ის ხალხი, რომლებიც არ შედიან ამ ორგანიზაციაში, მაგრამ უთანაგრძობენ მის პოლიტიკურ მიზნებს. ისეთ ტაქტიკას, როგორცაა წერილობითი მიმართვების კამპანიები და საპროტესტო გამოსვლები, უშუალო ლობირებასთან ერთად ხშირად იყენებენ ვაშინგტონელი წარმომადგენლები. პოლიტიკოსები მეტი გულისყურით ეკიდებიან ლობისტის გამონათქვამს, როცა იციან, რომ ამომრჩეველები თვალს ადევნებენ მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

თუ ხელისუფლების წარმომადგენლები უპასუხოდ ტოვებენ ლობირების კონვენციურ (ჩვეულ) ტაქტიკას, ჯგუფმა შეიძლება მიმართოს *პოლიტიკური პროტესტის* რაიმე ფორმას. პროტესტი ან დემონსტრაცია, როგორცაა პიკეტირება ან მსვლელობა, გამიზნულია პრობლემისადმი მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების მისაპყრობად. როდესაც „ამერიკის სასოფლო-სამეურნეო მოძრაობის“ სამი ათასი ფერმერი, თავიანთ ტრაქტორებზე ამხედრებულნი, ვაშინგტონს გაემართნენ, რათა გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება კარტერის



შეიძლება, ყურადღება მოგვაქციოთ?

მასობრივი დემონსტრაცია ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც იყენებენ დინტერესებული ჯგუფები პოლიტიკის შემმუშაებლებზე გაუღენის იოსახდენად. სურათზე: „ქალთა ეროვნული ორგანიზაციის“ მიერ მოწყობილია დემონსტრაციამ მიიზიდა ათასობით ქალი, რომელიც მხარს უჭერდა აბორტის ლეგალურ ხასიათს. აქცია მიმდინარეობდა ვაშინგტონში, თეთრ სახლთან საკმაოდ ახლოს

ადმინისტრაციის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გამო, ამ სანახაობამ უდიდესი საზოგადოებრივი ყურადღება მიიპყრო. ამ არაკონვენციურმა (უჩვეულო) გამოსვლამ ხელი შეუწყო საზოგადოების გათვითცნობიერებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების დაცემის მიზეზებში და აიძულა ხელისუფლება ზომები მიეღო ამ პრობლემის გადასაჭრელად [Cigler and Hansen, 1983].

საპროტესტო საქმიანობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პროცესია, მაშინ, როცა დემონსტრაცია მოკლევადიანი აქციაა. ძნელია დემონსტრანტთა დიდი რაოდენობის შენარჩუნება და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, დინტერესებული ჯგუფის მომხრეთა მუდმივი აქტიურობისა და აღშფოთების შენარჩუნების გზით.

საყურადღებო გამონაკლისი იყო 1960-იანი წლების დემონსტრაციები სამოქალაქო უფლებებისთვის, რომლებიც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. პროტესტები საზოგადოებრივი აზრის შექმნის მთავარი ფაქტორი იყო, რამაც თავის მხრივ დააჩქარა 1964 წლის „სამოქალაქო უფლებების აქტისა“ და 1965 წლის „საარჩევნო უფლებათა აქტის“ მიღება (Garrow, 1978).

საინფორმაციო კამპანიები

დაინტერესებული ჯგუფები კარგად გრძნობენ, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა მათ მოქმედებას ლობირების პროცესში კიდევ უფრო მეტ ძალას მატებს. მათ მიაჩნიათ, რომ მოიპოვებენ ამ მხარდაჭერას, თუკი საზოგადოებას გააცნობენ თავიანთ პოზიციას და იმ მონაცემებს, რომლებიც ამ პოზიციას განამტკიცებენ. ამ მიზნით დაინტერესებული ჯგუფები მიმართავენ საინფორმაციო კამპანიებს – საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისთვის გამიზნულ ორგანიზებულ საქმიანობას, რომლის საშუალებითაც ჯგუფი თავის თვალსაზრისს აცნობს საზოგადოებას. ამ დროს გამოყენებული სხვადასხვა საშუალებებიდან ზოგი მიმართულია უფრო ფართო საზოგადოებისკენ, ზოგი კი მცირე აუდიტორიაზეა გამიზნული.

პაბლიკ რელიეშნუი ერთ-ერთი საინფორმაციო ტაქტიკაა. იგი მოიცავს, მაგალითად, ორატორთა გაგზავნას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართულ მიტინგებზე ან ბროშურების და პროსპექტების შედგენასა და გავრცელებას. ამ ტაქტიკის ძალზე თვალსაჩინო ფორმაა განცხადებების გამოქვეყნება გაზეთებსა და ჟურნალებში, მაგრამ ეს ძვირადღირებული ტაქტიკაა და, აქედან გამომდინარე, მას რამდენიმე ჯგუფი თუ მიმართავს.

დაინტერესებული ჯგუფები კიდევ ერთი გზით ახორციელებენ ზეწოლას თავისი მიზნების მისაღწევად: ეს არის *კვლევის* ორგანიზება, როცა ჯგუფი თვლის, რომ მას შეუძლია დაავალოს მკვლევართა ჯგუფს გარკვეული საკითხის შესწავლა. მაგალითად, იმ ჯგუფებმა, რომლებიც ინვალიდთა უფლებებისთვის იღწვოდნენ, წარმატებით დაიცვეს პროგრამები საბიუჯეტო შემცირებისაგან იმით, რომ კანონშემოქმედნი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო მონაცემებით უზრუნველყვეს. ამ მონაცემების თანახმად, ინვალიდების შენახვა შესაბამის დაწესებულებებში გაცილებით ძვირი დაჯდება, ვიდრე იმ პროგრამების განხორციელება, რომლებითაც ინვალიდებს სახლში ეხმარებოდნენ (Kii usley, 1984).

ზოგიერთი ჯგუფი თვლის, რომ კონგრესში სახელობითი *კენჯისერის შედეგების* გამოქვეყნება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების კარგი საშუალებაა. ეს დაინტერესებული ჯგუფები უბრალოდ აქვეყნებენ თავიანთ საინფორმაციო პუბლიკაციებში მონაცემებს იმის თაობაზე, თუ რას დაუჭირეს მხარი კონგრესის წევრებმა ორგანიზაციისთვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხზე კენჭისყრისას. სხვა ჯგუფები ადგენენ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ძირითადი პრობლემების განხილვისას კენჭისყრის მაჩვენებლების შედარების საშუალებას იძლევა. ყოველი კონგრესმენის შეფასება ხდება 0-დან 100 პროცენტამდე იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ დაუჭირა მან მხარი ჯგუფის თვალსაზრისს.

კოალიციის შექმნა

ლობირების ტაქტიკის საბოლოო ასპექტია კოალიციის შექმნა. ამ დროს, ერთობლივი ლობირების მიზნით ერთიანდება რამდენიმე ორგანიზაცია. ეს ერთობლივი ძალისხმევა ხელს უწყობს მსგავსი თვალსაზრისის მქონე ჯგუფების რესურსების დაზოგვასა და უფრო ეფექტიან გამოყენებას. კოალიცია ყვე-

ლაზე ხშირად იქმნება იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც ერთსა და იმავე პოლიტიკურ სფეროში მოღვაწეობენ და მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები გააჩნიათ. ასე, მაგალითად, ფემინისტურ პრობლემებზე ერთობლივ მუშაობას ეწევიან ქალთა ეროვნული ორგანიზაციები და გაერთიანებები: ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (National Organization for Women), ქალთა ეროვნული პოლიტიკური თათბირი (The Women's National Political Caucus), ამომრჩეველ ქალთა ლიგა (The League of Women Voters), ამერიკის ქალ პროფესორ-მასწავლებელთა ასოციაცია (The American Association of University Women) და ქალთა თანასწორობისათვის მოქმედების ლიგა (The Women's Equity Action League). ჩვეულებრივ, ეს ორგანიზაციები ერთად მოქმედებენ (Costain, 1980). ასეთი კოალიციების უმეტესობა არაფორმალურია.

დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის განვითარება

ამერიკის პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა აქტიური დაინტერესებული ჯგუფების რიცხვის ინტენსიური ზრდა. ვაშინგტონში არსებული ლობის ერთი გამოკვლევის მონაცემები ადასტურებენ, რომ არსებული ჯგუფების 30 პროცენტი შექმნილია 1960-1980 წლებში (Walker, 1981). ყველაზე დიდი მატება ჰქონდა სამი ტიპის ჯგუფს: პაკებს (რომელიც ზევით განვიხილეთ), მოქალაქეთა ჯგუფებს და ბიზნისის ლობს.

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მოძრაობა.

უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული მოქალაქეთა მრავალი ჯგუფი ცნობილია, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ჯგუფი (public interest groups). საერთოდ, ითვლება, რომ ასეთ ჯგუფებს არ გააჩნიათ პირადი ეკონომიკური ინტერესი (Berry, 1977). ასეთია, მაგალითად, ამ თავის დასაწყისში აღწერილი გარემოს დაცვის ჯგუფები, რომლებიც დაბინძურების კონტროლის უფრო მკაცრი კანონისათვის იბრძვიან. ასეთი ნორმების დადგენის შედეგად ისინი არ ელიან რაიმე ფინანსურ მოგებას: ჯგუფის წევრების სარგებელი, უპირატესად, იდეოლოგიური და ესთეტიურია, კორპორაციები კი, რომლებიც იგივე მკაცრი ნორმების წინააღმდეგ იბრძვიან, ცდილობენ შეინარჩუნონ მოგება. ამ ორი ტიპის ჯგუფის მოტივები განსხვავებულია. გარემოს დაცვის ჯგუფის ლობი, კორპორაციისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველ ჯგუფს წარმოადგენს, კორპორაცია კი – არა.

საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი მრავალი ჯგუფი ეროვნული პოლიტიკის მამოძრავებელ ძირითად ძალად იქცა. „საერთო საქმე“ (Common Cause), – „კარგი მთავრობისათვის“ მებრძოლი ერთ-ერთი ცნობილი ჯგუფი, მუშაობს ფინანსური რეფორმების განხორციელებისთვის, ხელისუფლების ეთიკურ კონტროლზე, კონგრესისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში საჯაროობის დამკვიდრებაზე (McFarland, 1984).

მოდრაობათა წარმოშობა. ტრადიციულად, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ლობი არ წარმოადგენდა ვაშინგტონის პოლიტიკის ძირითად ფაქტორს. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფების აღმავლობა 1960-იანი წლების ბოლოს, არ აღმოჩნდა ისე მოკვლევადიანი, როგორც ამას ვარაუდობდნენ. ახალი ჯგუფები, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური სექტორის ლიბერალურ ნაწილს განეკუთვნებოდნენ. თუმცა, ამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე ახალი კონსერვატიული ჯგუფიც ჩამოყალიბდა. როგორც შემარცხენე, ასევე შემარჯვენე ჯგუფებმა, საკმაო პოლიტიკურ პოპულარობას მიაღწიეს.

რატომ წარმოიშვა ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ამდენი საზოგადოებრივი ინტერესის დამცველი ჯგუფი? ეს მოძრაობა, 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლისა და ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო აქციებისგან იღებს სათავეს. ორივე შემთხვევაში „მგზნებარე მოქალაქეები“ მიიჩნევდნენ, რომ პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო პროცესი ვერ ახორციელებდნენ ცვლილებებს. ამდენად, საჭირო იყო მოქალაქეთა კოლექტიური ქმედების გამოყენება.

1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ამერიკელები ცინიკურად იყვნენ განწყობილი ხელისუფლებისადმი. კლებულობდა ერთგულება პოლიტიკური პარტიებისადმიც. თუკი არ შეიძლება არც ხელისუფლების და არც პოლიტიკური პარტიების ნდობა იმ თვალსაზრისით, რომ არცერთ მათგანს არ შეუძლია მოქალაქეთა ინტერესების სათანადოდ წარმოდგენა, მაგალითად, გარემოსა და მომხმარებელთა დაცვის საკითხებში, მაშინ მათ ერთადერთ ალტერნატივად იდეოლოგიური ინტერესების ჯგუფებში მონაწილეობა რჩება.

კონსერვატორთა რეაქცია. გაუგებარია, თუ რატომ ჩამორჩებოდნენ კონსერვატორები ლიბერალებს მობილიზაციის თვალსაზრისით. თუმცა, ახალი შემარჯვენე ჯგუფების წარმოშობა, ალბათ, კონსერვატორების რეაქციაა ლიბერალური ჯგუფების წარმატების მიმართ. კონსერვატორთა ჯგუფები, მათი ლიბერალი ოპონენტების მსგავსად, პოლიტიკური მოღვაწეობის მრავალ სფეროს მოიცავენ. მათი უმეტესობა ლიბერალებს უპირისპირდება. მაგალითად, ფილის სკლაფლის „არწივების ფორუმი“ დიდხანს და თავგამოდებით იბრძოდა „თანასწორი უფლებების შესწორებისა“ და სხვა ფემინისტური ჯგუფების პოზიციების წინააღმდეგ.

კონსერვატორთა ჯგუფები არ არიან ლიბერალი მოქალაქეების ლობის სარკისებრი ანარეკლი [Himmelstein, 1990]. „ახალ შემარჯვენეთა“ მოძრაობის განმასხვავებელი ნიშანია აქტიური მონაწილეობა რელიგიურ ორგანიზაციებში. ისეთი ჯგუფები, როგორიცაა „რელიგიური მრგვალი მაგიდა“ და „ქრისტიანთა ხმა“, აქტიურად იბრძვიან ისეთი პოლიტიკისათვის, რომელიც შეესაბამება ქრისტიანულ მოძღვრებას (მაგალითად, მოითხოვენ ლოცვის შემოღებას სკოლებში და აბორტების შეზღუდვას). ის ამერიკელები, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყნისათვის მეტი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოს და ეკლესიის სრულ გამოყვანას, მწვავედ აკრიტიკებენ რელიგიური შემარჯვენეების ლობირებას. თუმცა, ეს უკანასკნელნი თვლიან, რომ მათი ზნეობრივი ვალია ხელისუფლების პოლიტიკაში ქრისტიანული პრინციპების გატარება.

პრეზიდენტ რეიგანის დროს თეთრი სახლის კარი ღია იყო კონსერვატორთა ჯგუფებისთვის. მათი წარმომადგენლები ხშირად ხვდებოდნენ თეთრი სახლის თანამშრომლებს. აი, კონგრესში კი, ისინი მსგავსი წარმატებით ვერ სარგებლობდნენ; აქ არ იქნა განხორციელებული ბევრი მათი სანუკვარი ოცნება, სკოლაში ლოცვის შემოღების კონსტიტუციური შესწორების ჩათვლით. კონსერვატორები ენთუზიაზმის გარეშე შეხვდნენ ბუმის პრეზიდენტობას, რომელსაც ისინი „კაბინეტურ ზომიერს“ უწოდებდნენ და კიდევ უფრო გულგრილად შეხვდნენ ქლინთონს, რომლის პოზიციას ზოგიერთ საკითხში დღესაც მიუღებლად მიიჩნევენ.

ბიზნესის ლობი

ვაშინგტონში ასევე გაიზარდა ბიზნესის ლობის რიცხვი. ცალკეული კორპორაციებისა და ბიზნესის პროფესიული ასოციაციების ოფისები დღეს უფრო თვალში საცემი გახდა, ვიდრე ოდესმე. მეწარმეთა ასოციაციები, ისეთი, როგორიცაა „იპოთეკური ბანკირების ასოციაცია“, ან „ელექტრონული მანქანათმშენებლობის ეროვნული ასოციაცია“, არის ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისი დარგის კომპანიებს წარმოადგენენ. 1970-იანი წლების გარკვეულ პერიოდში დაიწყო ბიზნესის ლობის ბუმი და მეწარმეთა ასოციაციებს გადაჰქონდათ თავიანთი შტაბები ვაშინგტონში. კორპორაციები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ოფისები ვაშინგტონში, აფართოებდნენ თავის შტატს.

ბიზნესის წარმომადგენლობის ინტენსიური ზრდა იყო ერთგვარი რეაქცია ხელისუფლების ფართომასშტაბიან აქტიუობაზე 1960-70-იან წლებში. რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ საქმიანობის გაფართოება გამოწვეული იყო ლიბერალური ინტერესების მქონე ჯგუფების წარმატებული საქმიანობით, რომლებიც ენერჯიულად უჭერდნენ მხარს გარემოსა და მომხმარებლის დაცვის რეგულირებას. „გარემოს დაცვის სააგენტოს“, „სამომხმარებლო პროდუქციის უსაფრთხოების კომისიის“ და სხვა მარეგულირებელი სააგენტოების შექმნამ ბევრ კომპანიას დაანახა, რომ ლიბერალთა ლობირება უშუალო გავლენას ახდენს მათ საქმიანობაზე. იმ კომპანიებმა, რომლებიც ვაშინგტონის გარეთ იყვნენ განლაგებული, აღმოაჩინეს, რომ რეაგირება უხდებათ საკანონმდებლო შედეგებზე და არ მონაწილეობენ საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. კომპანიებმა დაინახეს, რომ აუცილებელია ვაშინგტონში მათი გადასვლა მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დროულად მიღებისა და ამ ინფორმაციის შედეგად ადრეული რეაგირების მოხდენის მიზნით.

ბიზნესის ლობის ზრდას ვაშინგტონში ხელი შეუწყო თვით ამ ლობის კონკურენტულმა ხასიათმა. მაგალითად, უკანასკნელ ხანს სადაზღვევო კომპანიები, საბროკერო ფირმები, საინვესტიციო ბანკები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა შეჭრილიყვნენ ერთმანეთის საზღვრებში. იმდენად ბევრი ახალი ხალხი ჩაება ამ საქმეში, რომ პოლიტიკის შემუშავება უფრო ძნელი შეიქმნა. წარმომადგენელთა პალატის საბანკო კომისიის ერთმა წევრმა ამ ცვლილებების თაობაზე ასეთი განცხადება გააკეთა: „როდესაც პირველად მოვხვდი კონგრესში, აქ



გადასახადების ლობისტი

ნარლ ზ უოკერი ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახელოვებული ლობისტია ბიზნესის ხაზით. მას აქვს დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში და ადრე ეკავა მაღალი თანამდებობა აშშ-ს ფინანსთა დეპარტამენტში. უოკერს, გამოცდილების და პოლიტიკური ცოდნის გამო, გადასახადების საკითხში კონგრესის ლობირების მიზნით ხშირად ქირაობენ კორპორაციები

საფინანსო საკითხებით დაინტერესებული ხუთი მთავარი ჯგუფი იყო. ახლა კი აქ ხუთჯერ მეტი მაინც არის. თუკი თქვენ ცდილობთ ყველა მეწარმეთა ჯგუფის დაკმაყოფილებას, ეს საკმაოდ ძნელი საქმეა“ (Langley, 1986).

ბიზნესის ლობის ზრდამ კიდევ უფრო გააძლიერა და გააფართოვა ბიზნესის წარმომადგენლობა ეროვნულ პოლიტიკაში. ნახაზი 7.2. გვიჩვენებს, რომ ვაშინგტონში ოფისის მქონე დაინტერესებული ჯგუფების დაახლოებით ნახევარს შეადგენენ კორპორაციები ან მეწარმეთა ჯგუფები. იმდენად, რამდენადაც ბიზნესის ლობის შეუძლია მიიღოს ფული კორპორაციის რესურსებიდან, ისინი უფრო ადვილად აფინანსებენ თავისი ლობირების ოპერაციებს იმ ჯგუფებთან შედარებით, რომლებიც დამოკიდებული არიან ინდივიდუალურ ნებაყოფლობით შემოწირულობებზე.

დაინტერესებული ჯგუფები: შეფასება


1950-60-იან წლებში პლურალისტური შეხედულებების მქონე მეცნიერები ერთი ასპექტის პროგნოზში მართალი აღმოჩნდნენ, მეორეში კი შეცდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაინტერესებული ჯგუფები ცენტრალურ როლს შეასრულებდნენ. მართლაც, ამერიკის საზოგადოებ-

რიობის სხვადასხვა სექტორი თითქოს იზიარებს ამ შეხედულებას: ამას ადასტურებს ამ უკანასკნელ ხანს შექმნილი დანიტერესებული ჯგუფების სიმრავლე. მაგრამ იმდროინდელი პლურალისტები თვლიდნენ, რომ დანიტერესებული ჯგუფების წარმომადგენლობა უფრო გაწონასწორებული იქნებოდა, ვიდრე დღეს რეალურად არის. დღეს ქვეყანას ისეთი პოლიტიკური სისტემა აქვს, რომელიც სულ უფრო და უფრო ექვემდებარება დანიტერესებული ჯგუფების ზეწოლას და, ამავე დროს, ეს ისეთი პოლიტიკური სისტემაა, სადაც ზოგი ინტერესი – უპირატესად, ბიზნესის ინტერესები – გაცილებით უკეთაა წარმოდგენილი, ვიდრე სხვათა ინტერესები.

რა შედეგები შეიძლება აქონდეს ასეთ განვითარებას?

ერთი შედეგი ის გახლავთ, რომ დანიტერესებული ჯგუფების დიდი და მზარდი რაოდენობა მუშაობს პოლიტიკური პარტიების გაძლიერების წინააღმდეგ. ბევრი აქტივისტი თვლის, რომ ვიწრო ინტერესებზე დაფუძნებული ჯგუფი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური პარტია. ბევრი ლობი, რომელიც ამ დანიტერესებული ჯგუფების აქტივისტების საქმეს აკეთებს, მუშაობს ვიწრო საკითხებზე; ამის საპირისპიროდ, პოლიტიკურ პარტიებს უხდებათ მრავალი საჭირობოროტო პოლიტიკური საკითხის ერთმანეთში „განზავება“, რათა ამომრჩეველთა რაც შეიძლება ფართო წრისათვის იყონ მიმზიდველი. ამდენად, ხალხი, რომელიც სისხლხორცეულად არის დანიტერესებული კონკრეტული საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებით, ცდილობს გაეღწეოს მოახდინოს ხელისუფლებაზე უფრო კერძო ლობირების გზით, ვიდრე პოლიტიკური პარტიების საშუალებით. ეს, ცხადია, ხელს არ უწყობს ამერიკელების მეტ დანიტერესებას პოლიტიკური პარტიების გამოცოცხლებით, მათი უფრო პასუხისმგებელ პოლიტიკის შემშუშაებელ ორგანიზაციებად ჩამოყალიბებით.

ასეთი დანიტერესების უქონლობა ძალზე სამწუხაროა. დანიტერესებულ ჯგუფს, პარტიის ფუნქციების შევსების გარდა, არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ეს უმეტესად პატარა ჯგუფებია, რომელთა საზრუნავს მხოლოდ ზოგიერთი პრობლემა შეადგენს. პარტიები კი შეიძლება გახდნენ მაჟორიტარული დემოკრატიის ინსტრუმენტები. მათ შეუძლიათ შექმნან ამომრჩეველთა ფართო კოალიციები და აქციონ ისინი ფართომასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების საფუძვლად. პარტიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მათ შეუძლიათ სრულფასოვნად წარმოადგინონ ის ხალხი, ვინც არაა ჯეროვნად წარმოდგენილი დანიტერესებული ჯგუფების მიერ. პოლიტოლოგი უოლტერ დინ ბერნჰეიმი ამბობდა: „პარტიებს შეუძლიათ შექმნან მრავალთა, ინდივიდუალურად სუსტთა, გამაწონასწორებელი კოლექტიური ძალა, რომელიც დაუპირისპირდება შედარებით მცირერიცხოვანთა, მაგრამ ინდივიდუალურად – ან ორგანიზაციულად – ძლიერთა ჯგუფს“ (Burnham, 1970, p. 133). სამწუხაროდ, ცოტა ვინმეს თუ სურს პარტიების განახლება საკუთარი დანიტერესებული ჯგუფების გავლენის ხარჯზე. პარტიული სისტემა განახლდება, თუკი თვით პარტიები უფრო მიმზიდველი გახდებიან, და არა იმის გამო, რომ ხალხი ზურგს შეაქცევს თავისსავე დანიტერესებულ ჯგუფებს.



ცხრილი 7.2 ვაშინგტონში არსებული დაინტერესებული ჯგუფები დაინტერესებული ჯგუფები მრავალგვარი ბიზნესის ორგანიზაციები ქმნიან მათ ყველაზე დიდ ნაწილს. კორპორაციებსა და მეწარმეთა ასოციაციებს ყველაზე ხშირად აქვთ საკუთარი ოფისი ან ჰყავთ ლობისტი ქვეყნის დედაქალაქში – ვაშინგტონში. (წყარო: Kay Lehman Schlozman and John T. Tierney. *Organized Interests and American Democracy*, New York: Harper and Row, 1986, p.67).

რეგულირება

დაინტერესებულ ჯგუფებს თავისი წვლილი შეაქვთ დემოკრატიულ მთავრობაში თავიანთი მხარდამჭერების ინტერესების წარმოდგენით. მაგრამ შემოფოთება იმის გამო, რომ დაინტერესებულ ჯგუფებს ჭარბი გავლენა აქვთ და რომ საზოგადოების ზოგიერთი ფენა მეტი სიმეტად არის წარმოდგენილი მათ მიერ, რეფორმების გატარების მოთხოვნის საფუძველი გახდა. მაგრამ ძალზე ცოტა რამ კეთდება დაინტერესებული ჯგუფების გავლენის შესასუსტებლად.

პრობლემა, როგორც მედისონმა განჭვრიტა, ის არის, რომ დინტერესებული ჯგუფების საქმიანობის შეზღუდვა, ძირეული თავისუფლების შეზღუდვის გარეშე, ძნელი მისაღწევია. კონსტიტუციის პირველი შესწორება ამერიკელებს ხელისუფლებისადმი პეტიციით მიმართვის უფლების გარანტიას აძლევს. ლობირებაც, პრინციპში, ორგანიზებული პეტიციის ფორმაა.

ლობირების რეფორმის გატარების ერთ-ერთი მცდელობა იყო 1946 წლის „ლობირების რეგულირების ფედერალური აქტი“. ამ კანონის მიხედვით, ყველა ლობისტი ვალდებული იყო რეგისტრაციაში გატარებულიყო და კონგრესში წარედგინა ხარჯების ანგარიში. პრაქტიკულად, კანონი არაეფექტიანი გამოდგა. უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, ეს კანონი ეხება მხოლოდ იმ პირებს ან ორგანიზაციებს, რომელთა „პრინციპული მიზანია“ კანონმდებლობაზე ზეგავლენის მოხდენა. ეს ბევრ ლობისტს, თუ უმრავლესობას არა, ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ზემოხსენებული კანონის წინაშე. ამის შემდეგ გატარდა რამდენიმე „ზომიერი“ რეფორმა. თუმცა, დინტერესებული ჯგუფების საქმიანობის მოწესრიგების მოთხოვნებზე შორს ისინი ვერ წაივლინენ (Matlack, 1990).

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

დინტერესებული ჯგუფებისა და პოლიტიკური რეფორმის გარშემო მიმდინარე მრავალი პაექრობა ეძღვნება პაკების როლს კონგრესის არჩევნების კამპანიის დაფინანსების საქმეში. 1970-იან წლებში კონგრესმა გადადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების პრაქტიკაში ცვლილებების შესატანად. ამჟამად არსებობს ძალზე მკაცრი მოთხოვნები. მაღალი თანამდებობის კანდიდატების საარჩევნო კამპანიის დროს ყველა მნიშვნელოვანი შეწირულობის წყაროს შესახებ აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება. საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიები უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი დაფინანსებით: გადასახადის გადამხდელთა ფული თანაბრად უნაწილდება მთავარი პარტიებისგან წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატებს.

რეფორმატორები ასევე ცდილობენ კონგრესში პაკების სავარაუდო გავლენის შემცირებას საზოგადოებრივი დაფინანსების და სხვა გეგმების მოთხოვნით, რომლებიც გამიზნულია პაკების მიერ უზრუნველყოფილი საარჩევნო კამპანიების დაფინანსების პროცენტული მაჩვენებლების შესამცირებლად. ვინაიდან ინკუმენტებისათვის გაცილებით ადვილია ფულის შეგროვება პაკების შემვეობით, ვიდრე პრეტენდენტებისათვის, არსებობს ძლიერი მოტივაცია, რომ არაფერი შეიცვალოს. მაგრამ საზოგადოების მხრიდან მძაფრმა კრიტიკამ აიძულა კონგრესი ხელი მოეკიდა რეფორმისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მკვეთრად განსხვავებულმა მიდგომამ რესპუბლიკელებისა და დემოკრატების მხრიდან შეაფერხა ლობირების რეფორმის შესახებ კანონის მიღება.

პაკ-ის გარშემო გამართული დებატები კიდევ ერთი მაჩვენებელია იმ მძაფრი დაძაბულობისა, რომელიც არსებობს თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს შორის. ბერისთვის პაკ-ის შეზღუდვა მათი პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს: განა არა აქვს ადამიანს უფლება გაერთიანდეს მათთან,

ვინც მის მსგავსად ფიქრობს და გაიღოს შეწირულობა მის მიერ შერჩეული კანდიდატისთვის? მეორენი კი ამტკიცებენ, რომ პაკების მიერ საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შედეგად ღრმავდება უთანასწორობა ღარიბებსა და მდიდრებს შორის.

შეჯამება

დაინტერესებული ჯგუფები მრავალმხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამერიკის პოლიტიკაში. ისინი მოქალაქეთათვის პოლიტიკაში მონაწილეობის საშუალებას ქმნიან, თავისი წევრების თვალსაზრისს მთავრობას აცნობენ. ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მათ განკარგულებაში არსებული რესურსებითა და იმ ტაქტიკით, რომელსაც იყენებენ ხელისუფლებაზე ხეკულების მოხდენის მიზნით. ბოლო წლებში მკვეთრად იმატა დაინტერესებულ ჯგუფთა რიცხვმა.

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული ჯგუფების რიცხვი იზრდება და გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის, ძირითადი პრობლემა, რომელიც ორასზე მეტი წლის წინათ დააყენა მედისონმა, კვლავ გადაუჭრელი რჩება: თავისუფალ და ღია საზოგადოებაში ჯგუფები ყალიბდება, რათა გაატარონ მათთვის სასარგებლო პოლიტიკა უფრო ფართო ეროვნული ინტერესების ხარჯზე. მედისონი იმედოვნებდა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა მოსახლეობისა და ხელისუფლების სტრუქტურის მრავალსახეობა იქნებოდა.

მედისონის მოლოდინი გარკვეულად გამართლდა. ბუნებრივმა განსხვავებებმა ჯგუფებს შორის თავიდან აგვაცილა ერთი რომელიმე ფრაქციის ტირანია. და მაინც, დაინტერესებული ჯგუფების სისტემა გაუწონასწორებელი რჩება. საზოგადოების ზოგიერთი ფენა (განსაკუთრებით ბიზნესმენები, მდიდრები, განათლებულები) გაცილებით უკეთესად არის ორგანიზებული, ვიდრე სხვა ფენები. მოქალაქეთა ჯგუფების ზრდამ გარკვეულად შეამცირა ეს უთანასწორობა. თუკმა უთანასწორობა ვერავრით კვლავ არსებობს, რაც ჩანს

იმ განსხვავებაში, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ინტერესები ვაშინგტონში.

ამ უთანასწორობამ თანამედროვე მეცნიერთა უმეტესობა ადრეული პლურალიზმების ორი საკვანძო პოსტულატის უარყოფამდე მიიყვანა: ლობის ჩამოყალიბების თავისუფლება ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფებს შორის და რომ კომპრომისებს, რომლებიც ამ კონკურენციიდან წარმოიშობება, მიყვართ ისეთ პოლიტიკაში, რომელიც სამართლიანად ასახავს საზოგადოებაში არსებულ დაყოფას. სინამდვილეში კი ბიზნესმენებსა და პროფესიულ ჯგუფებს მეტი უპირატესობა აქვთ, ვინაიდან ისინი უფრო მეტად არიან მზად გართიანდნენ თავისი ინტერესების დასაცავად და მეტი რესურსებიც გააჩნიათ საერთო მიზნის მისაღწევად. ამდენად, დაინტერესებული ჯგუფების სისტემა საფრთხეს უქმნის პოლიტიკური თანასწორობის იმ იდეას, რომელიც ჩამოყალიბებულია პრინციპში: „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“. ფორმალური პოლიტიკური თანასწორობის მიღწევა უფრო მოსალოდნელია დაინტერესებული ჯგუფების პოლიტიკის გარეთ – არჩევნებში, სადაც მეტოქე პარტიების კანდიდატები მონაწილეობენ. ეს უფრო ეთანხმება დემოკრატიის მაკორატარულ მოდელს.

დაინტერესებული ჯგუფების სისტემით გამოწვეული უთანასწორობის მიუხედავად, ცოტა რამ თუ იყო გაკეთებული მათი საჭიანობის შესახლუდავად. საზოგადოებრივ პოლიტიკას ძირითადად წარმართავდა მედისონის აზრი, რომ პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა თავიდან

უნდა იქნეს აცილებული, თუნდაც ეს ზღე-
ბოდეს დინტერესებული ჯგუფების იმ
საქმიანობის დაშვების ხარჯზე, რომელიც
ხელს უწყობს მოსახლეობის ეიწრო წრის
ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილე-
ბას. თუმცა, როგორც ამას პოლიტიკური
მოქმედების კომიტეტების (პაკ) პრობლემა
გვიჩვენებს, მთავრობას მიუხედავად დინტე-
რესებული ჯგუფებისათვის გარკვეული
შეზღუდვების დაწესება, ვინაიდან პოლი-

ტიკური კანდიდატებისათვის შეუზღუ-
დავი დახმარების აღმოჩენის უფლების
მინიჭება პაკებისათვის თვით ამერიკის
პოლიტიკური სისტემის, რწმენას შეარ-
ყევდა. მაგრამ, კვლავ მწეავე პრობლემა
რჩება, თუ სად უნდა იფოს პაკების საქმი-
ანობის ზღვარი, რადგან არ არსებობს კონ-
სენსუსი ამერიკის საზოგადოების ურ-
თიერთდაპირისპირებული მოთხოვნების
გაწონასწორების შესახებ.

საკვანძო ტერმინები

დინტერესებული ჯგუფი

ლობი

ლობისტი

ლობირება

პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბება

მონიტორინგი

დინტერესებული ჯგუფის ლიდერი

მოქალაქეთა ჯგუფები

პირდაპირი ფოსტა

„უბილეთო მგზავრების“ პრობლემა

პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი (პაკ)

დაუკავშირებელი პაკები

ფართო მასების ლობირება

საინფორმაციო კამპანიები

უშუალო ლობირება

კოალიციის შექმნა

საზოგადოებრივი ინტერესების

დამცველი ჯგუფი

მეწარმეთა ასოციაცია

interest group

lobbies

lobbyist

lobbying

agenda building

monitoring

interest group entrepreneur

citizen groups

direct mail

free-rider problem

political action committee (PAC)

nonconnected PAC

grassroots lobbying

information campaigns

direct lobbying

coalition building

public interest group

trade association

კონგრესი



8

1986 წელს ლუიზა სლოთერმა გადაწყვიტა ჩართულიყო კონგრესის არჩევნებში. ამ დროს ის დამარცხების აშკარა კანდიდატი იყო. დემოკრატი სლოთერი, წარმომადგე-

ნელთა პალატის წევრის, რესპუბლიკელი ფრედ ექერტის მეტოქე ხდებოდა. ძალზე ძნელია ინკუმბენტი მეტოქის დამარცხება. თუმცა ექერტმა კონგრესის არჩევნებში პირველად მხოლოდ 1984 წელს გაიმარჯვა და ჯერჯერობით შედარებით ნაკლებად „მყარად იდგა“, ვიდრე კონგრესის დანარჩენი სტაჟიანი ინკუმბენტი წევრები. ექერტამდე ნიუ-იორკის გარეუბან როჩესტერს მთელი ოცი წლის განმავლობაში სხვა რესპუბლიკელი წარმომადგენდა.

მიუხედავად ძალთა ასეთი თანაფარდობისა, ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო ორგანოს წევრი ქალი საარჩევნო ბრძოლაში ჩაერთო. მან თავიდან მიიღო შემოწირულობები მუშათა რამდენიმე „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტისგან“ (პაკ-ი) და დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზება. იგი საკმაოდ ნიჭიერი გამოდგა ფულის შეგროვებაში; ამან მის საარჩევნო კამპანიას მეტი დამაჯერებლობა შესძინა და, თანაც, გაუადვილა დამატებითი თანხების მოზიდვა იმ პირთაგან, რომელთაც ძალზე უძნელდებოდათ კონგრესის ინკუმბენტი წევრის მეტოქისათვის თანხის შეწირვა. საბოლოოდ, ასობით ათასმა დოლარმა პაკებიდან თავი მოიყარა სლოთერისა და ექერტის საარჩევნო კამპა-

ნიების სალაროებში. არჩევნების ხარჯებმა ამ საარჩევნო ოლქში ერთ მილიონ დოლარს გადააჭარბა.

კონგრესის არც ერთი წევრი არ იცავდა ისე პრეზიდენტ რეიგანის პოზიციას, როგორც ექერტი, ვაშინგტონში თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში. კონსერვატიული, კლდესავით შეუვალელი იდეოლოგიიდან გამომდინარე, მან ხმის მიცემისას ისეთ საკითხებს დაუჭირა და ისეთს არ დაუჭირა მხარი, რომ გაანაწიენა თავისი ამომრჩევლები. მაგალითად, მან ხმა მისცა სოციალური დაცვის ხარჯების შემცირებას, მაგრამ სტუდენტებისთვის სესხის მიცემის პროგრამის, ტოქსიკური ნარჩენებისაგან გაწმენდის დაფინანსებისა და სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული მთავრობის მიმართ სანქციების გატარების წინააღმდეგ წავიდა. სლოთერმა კარგად გამოიყენა ექერტის ეს პოზიცია სატელევიზიო რეკლამების დახმარებით, მისი დისკრედიტაციის მიზნით.

სლოთერმა გაცილებით უკეთ წარმართა თავისი საარჩევნო კამპანია, ვიდრე ექერტმა. სლოთერს ჰყავდა მოხალისეთა ენერჯიული არმია, რომლებიც საარჩევნო ოლქში კარდაკარ დადიოდნენ. მისგან განსხვავებით, ექერტმა ამ საქმისთვის პატარა ჯგუფი გამოყო. საარჩევნო კამპანიის დროს ექერტი არათანმიმდევრული და დაბნეული ჩანდა მაშინ, როცა სლოთერი მეთოდურად და აგრესიულად უტევედა მას არაპოპულარული წინასაარჩევნო პოზიციის გამო. ამ არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, იმ ფაქტმა, რომ ექერტი კონგრესის წევრი იყო, მას კინალამ გამარჯვება მოუტანა – სლოთერმა სულ რაღაც 3 300 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა (Fowler and McClure, 1989).

ექერტი იყო ერთერთი იმ ექვსი ინკუმბენტი წევრიდან, რომელთაც წააგეს არჩევნები, დანარჩენმა ინკუმბენტებმა კი პრეტენდენტები დაამარცხეს.

სლოთერ-ექერტის საარჩევნო მართონი ამერიკული დემოკრატიის ძირითადი მამოძრავებელი ძალის ილუსტრაციაა; ესაა კონფლიქტი ადგილობრივ და ეროვნულ პოლიტიკას შორის.

ექერტი ვაშინგტონს გაემართა იმ მიზნით, რომ მხარი დაეჭირა რონალდ რეიგანის მიერ ჩამოყალიბებული კონსერვატიული იდეოლოგიური პროგრამისათვის. თუ ექერტი თვლიდა, რომ ამ მოქმედებას მხარს უჭერდნენ მისი ამომრჩევლები, იგი ცდებოდა. ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფები მის საარჩევნო ოლქში კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ რეიგანის პროგრამის გარკვეულ ნაწილს. ამდენად, როდესაც ექერტი მხარს არ უჭერდა ხანდაზმულ მოქალაქეთა დახმარების, გარემოს დაცვის და სხვა პროგრამებს, ამით იგი ძალაუნებურად აძლიერებდა სლოთერის საარჩევნო კამპანიის საფუძველს. ექერტს სურდა ყოფილიყო მაჟორიტარული დემოკრატიის ინსტრუმენტი, მაგრამ იგი პლურალისტური დემოკრატიის ძალებმა ისმზვერპლეს.

ამ თავში და ასევე მე-9, მე-10 და მე-11 თავებში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ დემოკრატიის პლურალისტურ და მაჟორიტარულ გაგებას შორის არსებულ დაპირისპირებაზე. ეს კონფლიქტი დემოკრატიულ ქვეყნებში კარგად ჩანს კანონმდებლების, როგორც ხალხის წარმომადგენლების, მოქმედების მაგალითზე. ამგვარად, კონგრესის შესწავლისას წამოიჭრება ორი ძირითადი საკითხი: ვის წარმოადგენენ კონგრესის წევრები, როდესაც ხმას აძლევენ ცალკეულ

პოლიტიკურ საკითხს? ვის უნდა წარმოადგენდნენ ისინი? აქ ჩვენ ვეცდებით პასუხი გავცეთ პირველ შეკითხვას. მეორეს კი თქვენს განსასჯელად დავტოვებთ.

კონგრესის წარმოშობა და უფლებამოსილებანი

კონსტიტუციის დამფუძნებლებს სურდათ, რომ ძალაუფლება არ ყოფილიყო თავმოყრილი მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში, თუმცა, ამავე დროს, ისინი იმაზე ზრუნავდნენ, რომ შეექმნათ საკმაოდ ძლიერი კავშირი, რათა დაეძლიათ იმ მთავრობის სისუსტე, რომელიც „კონფედერაციის მუხლების“ საფუძველზე შეიქმნა. ისინი მწვავედ კამათობდნენ ახალი ხელისუფლების სტრუქტურაზე. ბოლოსდაბოლოს, მათ შექმნეს საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ისეთივე ექსპერიმენტული იყო, როგორც ახალი სახელმწიფოს დემოკრატია.

დიდი კომპრომისი

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი ორი განცალკევებული და თანაბრად ძლიერი პალატისგან შედგება: წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. კანონპროექტი ვერ გახდება კანონი, თუკი მისი ერთნაირი ტექსტი არ იქნება მიღებული ორივე პალატის მიერ. კონსტიტუციის შედგენის პროცესში ძალაუფლებისთვის უმძაფრესი ბრძოლის ცენტრში მოექცა საკანონმდებლო ხელისუფლებაში წარმომადგენლობის საკითხი. ხალხმცირე შტატებს უნდოდათ, რომ ყველა შტატს თანაბარი რაოდენობით ჰყოლოდა წარმომადგენლები ამ ორგანოში. შტატებს მრავალრიცხოვანი მოსახლეობით კი სურდათ, რომ წარმომადგენელთა რაოდენობა განსაზღვრული ყოფილიყო მოსახლეობის რაოდენობის საფუძველზე, რადგან არ უნდოდათ, რომ უგულვებელყოფით მათი ძალა. დიდმა კომპრომისმა მოხსნა დაპირისპირება: პატარა შტატებმა მიიღეს წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობა სენატში. წარმომადგენელთა პალატამ კი, სადაც დეპუტატების არჩევა ხდება მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, შეინარჩუნა ფინანსურ საკითხებზე კანონპროექტების შემუშავების ერთპიროვნული უფლება.

კონსტიტუციის თანახმად, თითოეულ შტატს წარმოადგენს ორი სენატორი, რომელთაგან თითოეულს ირჩევენ ექვსი წლის ვადით. სენატის წევრთა ერთი მესამედი გადაირჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. კონსტიტუციის ძირითადი ტექსტის თანახმად სენატორები უნდა აერჩიათ შტატების საკანონმდებლო ორგანოებს, მაგრამ, 1913 წლის XVII შესწორების თანახმად, სენატორთა არჩევა უნდა მოხდეს საერთო-სახალხო კენჭისყრით; წარმომადგენელთა პალატის წევრებს კი თავიდანვე ხალხი ირჩევდა ორი წლის ვადით. არჩევნები წარმომადგენელთა პალატის ყველა ადგილისათვის ერთდროულად იმართება.

იმის გამო, რომ წარმომადგენელთა პალატაში ყოველ შტატს ჰყავს თავისი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი წარმომადგენლობა, კონსტიტუციით დადგენილია, რომ ათ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს მოსახლეობის აღწერა. წარმომადგენელთა რაოდენობა პირველ აღწერამდე (1790წ.) კონსტიტუ-


ციამ 65-ით განსაზღვრა. იმის გამო, რომ იზრდებოდა მოსახლეობა, კავშირს კი ახალი შტატები შეემატა, წარმომადგენელთა პალატას დაემატა ადგილები. თუმცა, გარკვეულ მომენტში წარმომადგენელთა რაოდენობა იმდენად უნდა გაზრდილიყო, რომ იგი კარგავდა თავის ეფექტიანობას. ამიტომ 1929 წელს პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, განესაზღვრა წარმომადგენელთა რიცხვი 435-ით. მოსახლეობის ზრდით გამოწვეული ცვლილება, რომელიც უნდა აისახებოდა შტატების წარმომადგენლების რაოდენობაში, წესრიგდება მოსახლეობის აღწერის შემდეგ შტატებს შორის წარმომადგენელთა გადანაწილების საშუალებით. 1990 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგად კალიფორნიამ, ქვეყნის უდიდესმა შტატმა, გადანაწილების საფუძველზე შეიღი დამატებითი ადგილი მიიღო. ამდენად, მას სულ ორმოცდათორმეტი ადგილი გაუხდა. მინიგანის, ოპაიოს, პენსილვენიის შტატებმა, თითოეულმა ორ-ორი წარმომადგენლის, ნიუ-იორკმა კი – სამი ადგილი დაკარგა.

შტატების წარმომადგენლებს ირჩევენ ცალკეული საკონგრესო ოლქებიდან. თითოეულ შტატში არის იმდენი საკონგრესო ოლქი, რამდენ წარმომადგენელსაც გზავნის იგი პალატაში. უზენაესი სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილების თანახმად, 1960-იან წლებში შტატებს დაევაღათ საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა ისე, რომ თითოეულ ოლქში მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა ყოფილიყო.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მოვალეობანი

მიუხედავად იმისა, რომ „დიდმა კომპრომისმა“ წარმომადგენლობის მნიშვნელოვნად განსხვავებული სქემები განსაზღვრა სენატისა და პალატისათვის, კონსტიტუცია მათ არსებითად მსგავს საკანონმდებლო უფლებებს ანიჭებს. ისინი ინაწილებენ ომის გამოცხადების, არმიისა და სამხედრო ფლოტის შექმნის, სესხის აღებისა და ფულის მოჭრის, შტატებს შორის ვაჭრობის რეგულირების, ფედერალურ სასამართლოთა შექმნის, იმიგრანტთა ნატურალიზაციის დამდგენი წესების შემუშავების და „ყველა იმ კანონის შექმნის უფლებას, რომელიც აუცილებელი და სავალდებულო იქნება ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების აღსრულებისთვის“ (მუხლი 1, ნაწილი 8).

ცხადია, არსებობს მცირეოდენი განსხვავება ამ ორი პალატის კონსტიტუციურ მოვალეობათა შორის. ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ წარმომადგენელთა პალატას აქვს უფლება შეიტანოს კანონპროექტი ფინანსურ საკითხებზე, რასაც ესწრაფვოდნენ შტატები კონსტიტუციური კონვენტის დროს. პრაქტიკაში ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რადგან ყველა ეს კანონპროექტი, მათ შორის კანონპროექტი წლიური შემოსავლის შესახებ, საბოლოოდ მოწონებულ უნდა იქნეს როგორც პალატის, ასევე სენატის მიერ. პალატას აქვს ასევე იმპიჩმენტის უფლება, ანუ უფლება ბრალი დასდოს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და სხვა სამოქალაქო თანამდებობის პირებს „ღალატში, მექრთამეობაში ან სხვა სახის მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში“.



* შტატების საკანონმდებლო ორგანოების მონაცემები არ არის ცნობილი.

ნახ. 8.1. კონგრესი ჯერ ისევ მამაკაცთა კლუბია!

ბოლო წლებში ქალებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს შტატების საკანონმდებლო ორგანოების და სახელმწიფოს საკანონმდებლობებზე არჩევისას. ქალებს ასეთი წარმატებები კონგრესის დონეზე ჯერ არ ჰქონიათ, თუმცა, ამ მხრივ 1992 წელს წინ დიდი ნაბიჯი გადაიდგა. აძლენი ქალი ადრე არასდროს არ აურჩევიათ წარმომადგენელთა პალატასა და სენატში.

სენატი უფლებამოსილია იმპიჩმენტის ბრალდების განხილვისას იმოქმედოს, როგორც სასამართლომ: დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა დამსწრე სენატორთა ორი მესამედის მხარდაჭერა. მხოლოდ ენდრიუ ჯონსონი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც იმპიჩმენტი წარმოუდგინეს: 1868 წელს დამნაშავედ მის ცნობას სენატში ერთი ხმა დააკლდა. უფრო მოგვიანებით, უითერგეითის სკანდალში მონაწილეობისთვის პალატის იურიდიულმა კომისიამ ხმა მისცა პრეზიდენტ ნიქსონის იმპიჩმენტს. თუმცა, სანამ მთელი პალატა უყრიდა კენჭს მის იმპიჩმენტს, 1974 წლის აგვისტოში იგი გადადგა. დამნაშავეებად ცნეს ფედერალური მოსამართლეების მცირე რიცხვი და ისინი გაანთავისუფლეს თანამდებობებიდან.

კონსტიტუცია უფლებას აძლევს სენატს დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს პრეზიდენტის მიერ წამოყენებული კანდიდატები გარკვეულ თანამდებობებზე (როგორცაა ფედერალური მოსამართლეები, ელჩები, კაბინეტის წევრები) და სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები. პრეზიდენტი უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები, მაგრამ შემდეგ ისინი დასამტკიცებლად წარდგენილი უნდა იყოს სენატში (სადაც ხმების, სულ ცოტა, ორი მესამედია საჭირო). ამ მოთხოვნის გამო ხელშეკრულების ირგვლივ მოლაპარაკებისას აღმასრულებელი ხელისუფლება მხედველობაში იღებს სენატის განწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში მოცემულია კონგრესის უფლება-

მოსილების ვრცელი ჩამონათვალი, მნიშვნელოვანი დავა წარმოშობილა იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი განეკუთვნება მხოლოდ კონგრესის უფლებამოსილებებს. მაგალითად, ომის გამოცხადების უფლებას კონსტიტუცია მხოლოდ კონგრესს ანიჭებს, მაგრამ ბევრ პრეზიდენტს წამოუწყია საომარი მოქმედება თავისი ინიციატივით. ხშირად სასამართლოებს აღმოუჩენიათ, რომ კონგრესი შტატების უფლებების უზურპირებას ახდენდა.

კონგრესის არჩევა

თუ ამომრჩევლები უკმაყოფილო არიან კონგრესის მუშაობით, ამის სათქმელად მათ შეუძლიათ თავისი საარჩევნო ხმის გამოყენება. ამერიკელებს ხშირად ეძლევათ ამის საშუალება კონგრესის არჩევნების მეშვეობით, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

ინკუმბენტობის ეფექტი

კონგრესის არჩევნები საშუალებას აძლევს ამომრჩევლებს, გამოხატონ თავისი დამოკიდებულება კონგრესის მუშაობის მიმართ კონგრესის მოქმედი წევრების (ინკუმბენტების) ხელშეირედ არჩევის, ან მათ შორის „გაიძვერების გარეთ გაგდების“ საშუალებით. როგორც ჩანს, ამომრჩევლები მეორე ვადით უფრო ირჩევენ, ვიდრე „აგდებენ გაიძვერებს“. მეორე ვადით არჩევის მაჩვენებელი, 1950 წლიდან ჩატარებული არჩევნების უმეტესობაში, გასაოცრად მაღალია. პალატის წევრთა 90 პროცენტმა შეინარჩუნა თავისი ადგილი (თუმცა, 1992 წლის არჩევნებში 90 პროცენტზე ნაკლებმა თუ შეძლო ხელმეორე ვადით არჩევნებში გამარჯვება). უფრო მეტიც, პალატაში არჩევნების შედეგები ინკუმბენტებისათვის ძალიან მომგებიანია: 1992 წლის არჩევნებში პალატის ინკუმბენტი წევრების უმეტესობამ ხმების 60 პროცენტი და მეტი დააგროვა.

ამ მონაცემებმა შეიძლება გაკვირება გამოიწვიოს, რადგან კონგრესი, მთლიანობაში, განსაკუთრებით მაღალ შეფასებას არ იმსახურებს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ მას საზოგადოების დაახლოებით ერთი მესამედი თუ ენდობა (Gallup, 1988). 1992 წელს ბევრი შტატის ამომრჩევლების მიერ მოწონებულ იქნა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც აწესებს შეზღუდვებს კონგრესის წევრების საკონგრესო საქმიანობის ვადაზე*. აღმოჩნდა, რომ ხალხი განასხვავებს ერთმანეთისგან კონგრესის ინსტიტუტს მისი წარმომადგენლებისა და სენატორებისგან. რატომ აღწევენ კონგრესის წევრები

* ვადის შეზღუდვის კონსტიტუციურობა კამათს იწვევს. ამის მიზეზია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ რაბანტიმე წლის წინ კონგრესში ასარჩევად დააწესა მხოლოდ ის ცენზი, რომელიც კონსტიტუციაშია მოცემული (აიქ კი არაფერია თქმული იმის შესახებ, თუ რამდენჯერ შეიძლება კონგრესში იქნას არჩევა). 1992 წელს თოთხმეტივე შტატში, სადაც გადასაწყვეტი იყო კონგრესში წარმომადგენლობის ვადის ლიმიტი, ამომრჩეველი დაეთანხმა ამ შეზღუდვას (კოლორადოს შტატმა უფრო ადრე, 1970 წელს შემოიღო ასეთი შეზღუდვა). შტატის ლეგისლატურაში არჩევის ვადების შეზღუდა ასევე დაკანონდა მრავალ შტატში და ისინი უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად სცნო.

რას შევადაროთ? 8.1.

**მანჩესტერი, ნიუ-ჰემფშირი თუ მანჩესტერი, ინგლისი.
არიან ამომრჩევლები, რომლებსაც უნდა ვემსახუროთ**

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და ბრიტანეთის პარლამენტის სტრუქტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა, მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა. კერძოდ, ეს მსგავსება შეეხება იმას, თუ როგორ ასრულებს ამ ორგანოს თითოეული წევრი თავის მოვალეობას. ერთ-ერთი მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ წარმომადგენელთა პალატისა და ბრიტანეთის თემთა პალატის წევრებიც დაუღალავად მუშაობენ თავის ამომრჩევლებთან. ისინი ხშირად ჩადიან თავიანთ საარჩევნო ოლქებში, რათა გაიგონ ამომრჩეველთა აზრი და ინტერესები, სთავაზობენ დახმარებას. აკმ-ში და ბრიტანეთში ამომრჩევლები ფიქრობენ, რომ კანონმდებლები ვალდებული არიან დაეხმარონ ამომრჩევლებს და უზრუნველყონ თავისი საარჩევნო ოლქის ეკონომიკური კეთილდღეობა. ამ მსგავსების გარდა, მათ შორის განსხვავებაც არსებობს. ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გვიჩვენებს ამერიკელი და ბრიტანელი მოქალაქეების გამოკითხვის შედეგებს. მათ ეკითხებოდნენ, თუ საკანონმდებლო ორგანოს რა ინტერესებს მიიჩნევენ ისინი ყველაზე მნიშვნელოვნად.

ბრიტანეთში, უმნიშვნელოვანესად თვლიან ადგილობრივ ინტერესებს ამერიკელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთო-პოლიტიკურ ინტერესს („პოლიტიკის შექმნას“ და „ხელახდევლობას“). ბრიტანეთში სუსტი საპარლამენტო კომისიები და ძლიერი პარტიული სისტემა გაცილებით მეტ სიძნელეებს უქმნის რიგით კანონმდებლებს პოლიტიკურ შედეგებზე გავლენის მოსახდენად. ალბათ, ამ რეალობას აახაზდა ბრიტანეთთა პასუხები.

კანონმდებლები იძიებენ ანტიპეტს ასეთ მნიშვნელობას ამომრჩევლებთან მუშაობას, რომ სურთ არჩეულ იქნენ ხელმძღვრე ვადით. ისინი თვლიან, რომ დახმარება, რომელსაც სთავაზობენ თავის ამომრჩევლებს, მათ ბევრ ხმას შემატებს. ისინი არ ცდებიან გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამერიკელი და ბრიტანელი კანონმდებლები, რომლებიც ძალდონებს არ იმურობენ ამომრჩევლებთან მუშაობისათვის, უფრო პოპულარული არიან, მეტ პატივისცემას იმსახურებენ და საარჩევნო ყუბობთან გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე იმ კანონმდებლებს, რომლებიც არ მუშაობენ ასე გულმოდგინედ თავის ამომრჩევლებთან. გარდა ამისა, ამერიკის წარმომადგენელთა პალატის წევრებს თანამემწყობა მოზრდილი შტატი ჰყავთ (ჩვეულებრივ, 4-5 კაცი მთლიან განაკვეთზე), რომლებიც მუშაობენ ამომრჩეველთა პრობლემებზე. ბრიტანელ პარლამენტარებს კი ან საერთოდ არ ჰყავთ თანამემწყობი, ან ძალიან ცოტა. ასე რომ, იათ თვითონ უხდებთ ამომრჩეველთა პრობლემებზე მუშაობა, როგორც ეს ძველად ხდებოდა.


(გაგრძელება იქნება)

ასეთ წარმატებას მეორე ვადით არჩევნებში? (გამოკითხვების უმრავლესობა, რომელიც ეხება მეორე ვადით არჩევის ეფექტს, ყურადღებას ამახვილებს პალატის არჩევნებზე. ამიტომ, ჩვენც ამ უკანასკნელზე შევჩერდებით).

საკონგრესო ოლქებად ხელახალი დაყოფა. ინკუმენტობის ეფექტის ერთი ახსნა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ხდება საკონგრესო ოლქებად ხელახალი დაყოფა აღწერის შედეგად ჩატარებული გადანაწილების საფუძველზე. სრულიად შესაძლებელია, რომ შტატის კანონმდებლებმა ისე გამოჰყონ საკონგრესო ოლქები, რომ სარგებელი ნახონ ან ერთ-ერთი, ანდა ორივე პარტიის ხელმძღვრე ვადით ასარჩევმა კანდიდატებმა. საკონგრესო ოლქის საზღვრების

რას შევადაროთ? 8.1 მამრძელება

გამოკითხულთა თვალსაზრისით კანონმდებელთა საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია



წყარო: Bruce Cain, John Ferejohn and Morris Fiorina, *The Personal Vote*. (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1987).

შეცვლა ერთ-ერთი პარტიის მომხრეთა სასარგებლოდ „ჯერიმანდერინგის“ * სახელითაა ცნობილი.

საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლა მთლიანად ვერ ხსნის ინკუმენტობის ეფექტს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გადანაწილების შემდეგ საზღვარ-შეცვლილი და შეუცვლელი ოლქების ადგილები, კონკურენციის თვალსაზრისით, დაახლოებით ერთნაირია (Ornstein, 1990; Ferejohn, 1977).

და მაინც, პოლიტიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჯერიმანდერინგს. პოლიტიკური პარტიები კი ძალღონეს არ იშურებენ რათა დარწმუნდნენ, რომ საარჩევნო ოლქების საზღვრები სამართლიანადაა დადგენილი.

* ტერმინი გამოიგონეს მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის, რესპუბლიკელი ელბრიჯ ჯეკის მოწინააღმდეგეებმა. ჯერიმ 1812 წელს შეცვალა საარჩევნო ოლქის საზღვრები თავისი პარტიის სასარგებლოდ და ოლქის მოხაზულობა სალამანდრას დაამსგავსა: აქედანაა ტერმინი ჯერიმანდერინგი. ასეთი პრაქტიკა აშშ-ში ფართოდ გავრცელდა და უზენაესმა სასამართლომ იგი კონსტიტუციის დარღვევად ჩათვალა მხოლოდ 1990 წელს (Grofman, 1990). (მთარგმნელის შენიშვნა).

ავტორიტეტი. კონგრესში ყოფნას მნიშვნელოვანი პრივილეგიები მოაქვს. ჯერ ერთი – ხელახალი ვადით ასარჩევი კანდიდატები გარკვეული რეპუტაციით სარგებლობენ ამომრჩეველებს შორის თუნდაც იმით, რომ ისინი უკვე არიან კონგრესის წევრები. ავტორიტეტს უზრუნველყოფენ პრეს-ჰენდები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საქმის კურსში ჩააყენონ საზოგადოება თავისი უფროსების საქმიანობისა და გამოსვლების შესახებ. ამას ისინი აკეთებენ იმ საარჩევნო ოლქების საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, სადაც არჩეული არიან კონგრესის წევრები, ანუ სადაც ეგულებათ სანუკვარი საარჩევნო ხმები (Cook, 1989). თავის მხრივ, ადგილობრივი პრესა მოწადინებულია გააშუქოს მათი კონგრესმენების შეხედულებები ამა თუ იმ მიმდინარე საჭირობო საკითხზე.

მეორე საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომია კონგრესმენებისთვის, დაფრანკვის – წერილების უფასოდ გაგზავნის – პრივილეგიაა. წერილები გამიზნულია იმისათვის, რომ ამომრჩეველებს კანონმდებელთა ვინაობა, საქმიანობა და მიღწევები გააცნონ. პერიოდული ინფორმაცია კონგრესის ახალი ამბების შესახებ ყოველთვის აღწერს კონგრესმენის წარმატებებს მისი ოლქისთვის ფულადი სახსრების შეგროვებისა და ახალი პროექტების მიზიდვის საქმეში.

კონგრესის წევრის მრავალრიცხოვან შტატს ხელეწიფება „ქეისუორკი“ – დახმარება ამომრჩეველთა იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც სამთავრობო სააგენტოებს ეხება. ეს შეიძლება იყოს სოციალური დახმარების კონტროლი ან მცირე ბიზნესის მფლობელისათვის შესაბამისი ფედერალური სააგენტოს მონახვაში დახმარების გაწევა. ამომრჩეველები, რომლებსაც ამგვარ მეურვეობას უწევენ, ჩვეულებრივ, კარგად იმახსოვრებენ იმათ, ვინც მათ ეხმარება (იხ. „რას შევადართ?“ 8.1.).

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ცხადია, ვისაც სურს კონგრესის ინკუმბენტი წევრის დამარცხება არჩევნებში, ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს. თუმცა, ინკუმბენტს ამ შემთხვევაშიც უპირატესობა აქვს. პრეტენდენტები უდიდეს წინააღმდეგობას აწყდებიან საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად საჭირო სახსრების შეგროვებისას, იმდენად, რამდენადაც მათ უხდებათ დაფინანსებელთა ეჭვების გაფანტვა პრეტენდენტის არჩევნებში გამარჯვების თაობაზე. პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები დიდ უპირატესობას ანიჭებენ ინკუმბენტებს (იხილეთ თავი 7). არჩევნებში პრეტენდენტთა დაფინანსებით მათ, როგორც ჩანს, არ სურთ თანამდებობის პირების განაწყენება. მაგალითად, 1989-90 წლების საარჩევნო ციკლში, პაკ-ებმა გამოჰყვეს 116,6 მილიონი დოლარი არჩევნებში მონაწილე კონგრესის ინკუმბენტი წევრების დასაფინანსებლად, მაშინ, როდესაც პრეტენდენტებს გამოეყო 15,8 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი (Abramowitz, 1991).

იღბლიანი პრეტენდენტები. მართალია, კონგრესის წევრის, განსაკუთრებით წარმომადგენელთა პალატის წევრის, არჩევნებში დამარცხება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არაა. ოპოზიციურმა პარტიამ და ანტიპათიურად განწყობილმა პაკ-ებმა, შესაძლოა, „მიზანში ამოიღონ“ მხცოვანი ასაკის, სტაჟის სიმცირის ან



ქალის წვლიწადი

მოუხკლავად იმისა, რომ პრეტენდენტისთვის ძნელია კონგრესის რომელიმე ინკუმბენტი წვერის დამარცხება, 1992 წელს კალიფორნიელმა დაიანა ფაინსტაინმა (მარცხნივ) ეს შესძლო. კალიფორნიელმა დეიკოკრატმა ბარბარა ბოქსერმა ასევე გაიმარჯვა არჩევნებში. იმ წელს ქალების რიცხვი აშშ-ს სენატში ორიდან ექვსამდე გაიზარდა.

არახელსაყრელად საზღვრებშეცვლილი ოლქის გამო არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ინკუმბენტი. ამის შედეგად ფინანსური დახმარების ნაკადი მიემართება პრეტენდენტისკენ. ეს კიდევ უფრო ზრდის მისი გამარჯვების შანსს. ინკუმბენტები შეიძლება იმსხვერპლოს მათი პარტიით საერთო უკმაყოფილებამაც. საერთო უკმაყოფილება პრეზიდენტით შეიძლება გავრცელდეს წარმომადგენელთა პალატის ან სენატის იმ წევრებზეც, რომლებიც მის პარტიას ეკუთვნიან.

1992 წელი ინკუმბენტებისათვის ძალიან მარცხიანი გამოდგა სამი მიზეზის გამო: პირველი დიდი აურზაური ატყდა, როდესაც გაირკვა, რომ ერთ-ერთმა ბანკმა, რომელიც წარმომადგენელთა პალატის წევრებს ემსახურებოდა ნება დართო კონგრესმენებს სასაჯელის გარეშე ესარგებლათ იმაზე მეტი თანხით,

ვიდრე ანგარიშზე ჰქონდათ. ასეთი აღმოჩნდა პალატის თითქმის 250 წევრი. ზოგიერთმა თავის საკრედიტო ანგარიშს ასჯერ გადააჭარბა. მეორე მიზეზი: 1990 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ ჩატარებულმა გადანაწილებამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთმა შტატმა დაკარგა ადგილები წარმომადგენელთა პალატაში. ზოგიერთი საკონგრესო ოლქი რადიკალურად განსხვავებულ საზღვრებში მოექცა, არჩევნებში მონაწილე კონგრესის ინკუმბენტი წევრები ერთმანეთის მეტოქეებიც კი აღმოჩნდნენ. მესამე კი ის იყო, რომ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა დიდი ზიანი მიაყენეს არჩევნებში მონაწილე კონგრესის წევრებს, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელებს, რომლებიც აკონტროლებდნენ თეთრ სახლს.

სენატის ერთი ინკუმბენტი წევრი დამარცხდა წინასაარჩევნო კრებაზე, სამი – საყოველთაო არჩევნებში; წარმომადგენელთა პალატაში 19 წარმომადგენელი დამარცხდა წინასაარჩევნო კრებაზე, 24 – საყოველთაო არჩევნებში. საერთო ჯამში პალატის არჩევნებში ადგილები დაკარგა 43-მა ინკუმბენტმა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრია. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების უკმაყოფილებას კონგრესის მუშაობით, ბევრი მიმომხილველი წარმომადგენელთა პალატაში უფრო დიდ ცვლილებებს ელოდა.

მაჟორიტარული დემოკრატიის მომხრენი დაბნეული არიან კონგრესის ინკუმბენტი წევრების (განსაკუთრებით, წარმომადგენელთა პალატაში) საარჩევნო წარუმატებლობის მაჩვენებლით. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამოძრჩეველები ხმის მიცემისას უპირატესად ხელმძღვანელობენ კანდიდატების პიროვნული მონაცემებით, მათი გამოცდილებით და ნაკლებად – სახელმწიფო პრობლემებზე მათი შეხედულებებით (Jacobson, 1990). ამგვარი ტენდენცია, მიმართული პალატის ფაქტობრივად უკონკურენტო არჩევნებზე მიგვანიშნებს, რომ ძნელია საარჩევნო ხმების გარდაქმნა გარკვეული პოლიტიკის მანდატად, რომელიც გამარჯვებული კანდიდატებისათვის ფუძემდებლური უნდა გახდეს.

ვის ვირჩევთ?

ხალხი, რომელსაც ამერიკელები ირჩევენ კონგრესში, არ წარმოადგენს ამერიკის საზოგადოების „სრულ სპექტრს“. კონგრესის წევრების უმეტესობა პროფესიონალი იურისტები და ბიზნესმენები არიან (Ornstein et al., 1990). მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს ფაბრიკა-ქარხნების მუშები წარმოადგენენ, თითქმის შეუძლებელია, რომელიმე მათგანი დასახელებული იქნეს კანდიდატად კონგრესის არჩევნებში.

ქალებს და უმცირესობათა ჯგუფებს დიდი ხნის განმავლობაში არავინ წარმოადგენდა კონგრესში. „საარჩევნო უფლებათა აქტის“ 1982 წლის შესწორებებმა ცვლილებები შეიტანეს საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენაში. ამას მოჰყვა მრავალი ახალი საარჩევნო ოლქის შექმნა, სადაც უმრავლესობას ან თითქმის უმრავლესობას აფრო-ამერიკელთა და ესპანურენოვანი უმცირესობის წარმომადგენლები შეადგენენ (Benenson, 1992). 1992 წლის არჩევნების შემდეგ აფრო-ამერიკელთა რაოდენობა წარმომადგენელთა პალატაში 25-დან 38-მდე

გაიზარდა, ესპანურენოვან წარმომადგენელთა კი – 10-დან 17-მდე. სენატში არჩეული იყო აგრეთვე აბორიგენი ამერიკელი ინდიელი ბენ ნაითჰორს ქემბელი, დემოკრატი კოლორადოს შტატიდან. 1992 წელი აღიარებული იყო „ქალთა წელიწადად“. წარმომადგენელთა პალატის წევრობის კანდიდატებად დასახელდა ქალთა რეკორდული რიცხვი – 106; პალატაში არჩეულ იქნა 19 ახალი ქალი წევრი. ამდენად, აქ ქალების საერთო რიცხვმა 47-ს მიაღწია. სენატში აირჩიეს ოთხი ახალი ქალი. ამდენად, ქალების რიცხვი გასამკეცდა (ორიდან ექვსამდე). ახალ სენატორ ქალთა შორის იყო კეროლ მოზლი ბრაუნი – პირველი აფრო-ამერიკელი ქალი.

ამ წარმატების მიუხედავად, უმცირესობებმა და ქალებმა ჯერ მაინც ვერ მიაღწიეს პროპორციულ წარმომადგენლობას ვერც პალატასა და ვერც სენატში. ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ფაბრიკა-ქარხნების მუშები საკანონმდებლო ორგანოს გარეთ რჩებიან. თუკი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო ელექტორატს უნდა ასახავდეს, ამას ვერ ვიტყვით კონგრესის შესახებ. მოსახლეობის სოციალური მახასიათებლისა და კონგრესის წევრობის შესაბამისობა წარმომადგენლობის საკითხისადმი მიდგომის ერთი მხარეა. კონგრესის წევრების უკეთ შეფასება შეიძლება იმის მიხედვით, თუ რაოდენ სრულფასოვნად წარმოადგენენ ისინი ამომრჩეველთა შეხედულებებს პოლიტიკური კურსის შემუშავების თაობაზე. ჩვენ დავუბრუნდებით წარმომადგენლობის თემას საკანონმდებლო პროცესის განხილვის შემდეგ.

როგორ დგება კონგრესის დღის წესრიგი

ოფიციალური საკანონმდებლო პროცესი იწყება მაშინ, როდესაც კონგრესის წევრი წარმოადგენს კანონპროექტს – წინადადებას ახალი კანონისათვის. წარმომადგენელთა პალატაში ახალ კანონპროექტებს კონგრესის წევრები ყრიან ე. წ. „პოპერში“ – წითელი ხის ყუთში, რომელიც ღვას სპიკერის კათედრის ახლოს, სენატორები კი თავის კანონპროექტებს გადასცემენ სენატის მდივნებს ან ადგილიდან წარუდგენენ სხდომას (Oleszek, 1989). სანამ წარმოდგენილი იქნება კანონპროექტი რაიმე პრობლემის გადასაჭრელად, ვინმემ უნდა იცოდეს ამ პრობლემის არსებობის ან მისი გადაწყვეტის საჭიროების შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრობლემა, ან საკამათო საკითხი როგორმე უნდა მოხვდეს კონგრესის დღის წესრიგში. პოლიტოლოგების ცნობარში გამოთქმას – „დღის წესრიგი“ – ორი მნიშვნელობა აქვს. ვიწრო მნიშვნელობით ეს არის ოფიციალური დღის წესრიგი, რომელშიც კენჭისყრაზე დასაყენებელ კანონპროექტთა ჩამონათვალია მოცემული; უფრო ფართო მნიშვნელობით ეს არის დაუწერელი დღის წესრიგი, რომელიც შედგება ყველა იმ საკითხისგან, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ უნდა განიხილოს. აქ ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს მეორე, ფართო მნიშვნელობით.

ძალიან ბევრი საკითხი, რომელზეც კონგრესი მუშაობს დროის გარკვეულ მონაკვეთში, თითქმის ყოველთვის აქტუალურია. მიუხედავად ამისა, ყველა ეს

პრობლემა დღის წესრიგში ღვება გარკვეულ მომენტში. მაგალითად, თორმეტიოდე წლის წინ, მათ შორის, ვინც პროფესიით ექიმი არ იყო, ცოტამ თუ იცოდა ალცჰაიმერის დაავადების შესახებ. ეს არის გონებრივი სისუსტის გარკვეული ფორმა, რომელიც იწვევს მეხსიერების დაკარგვას, შემეცნებითი უნარის შესუსტებას, პიროვნულ მოშლილობას. მას შემდეგ, რაც სამეცნიერო მიღწევების შედეგად შესაძლებელი გახდა ალცჰაიმერის დაავადების, როგორც განსაკუთრებული პათოლოგიის განსაზღვრა, ზოგიერთებმა, რომლებსაც ოჯახებში ჰყავდათ ალცჰაიმერით დაავადებული წევრები, ჩამოაყალიბეს ე. წ. დანტერესებული ჯგუფი „ალცჰაიმერის ასოციაცია“. მოგვიანებით, ამ ასოციაციამ ვაშინგტონში გახსნა თავისი ოფისი კონგრესში ლობირების გასაძლიერებლად. ამ ჯგუფის საზრუნავია აიძულოს კონგრესი გააორმაგოს ალცჰაიმერის დაავადების სამეცნიერო კვლევისთვის გამოყოფილი ფედერალური დაფინანსება (Kosterlitz, 1990).

კონგრესის დღის წესრიგში, როგორც წესი, ზვდება მეცნიერული პრობლემები. ზოგჯერ რომელიმე თვალსაჩინო მოვლენა ასევე აიძულებს მთელ ქვეყანას და, შესაბამისად, კონგრესსაც, ყურადღება მიაპყროს რაღაც პრობლემას მაგალითად, მაშინ, როდესაც დასავლეთ ვირჯინიის ერთ-ერთ მაღაროში 1968 წელს მომხდარმა აფეთქებამ 78 მაღაროელი იმსხვერპლა, კონგრესი დაუყოვნებლივ შეუდგა მაღაროელთა უსაფრთხოების დამცავი კანონების შემუშავებას. დღის წესრიგში პრობლემის ოპერატიულ დაყენებას ასევე განაპირობებს პრეზიდენტის მხარდაჭერა. ის ყურადღება, რომელსაც უთმობენ საინფორმაციო საშუალებები პრეზიდენტს, ამ უკანასკნელს აძლევს უზარმაზარ შესაძლებლობას, მიაპყროს ხალხის ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებიც, მისი აზრით, ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ ქმედებას საჭიროებენ. კონგრესის შიგნით, პოლიტიკურ დღის წესრიგში გავლენის მოხდენა კი შეუძლიათ პარტიულ ლიდერებსა და კომისიების თავმჯდომარეებს.

„კანონმდებლობის ტური“: მიმოხილვა

კანონპროექტების შედგენის და მათი მიღების პროცესი შედარებით მარტივია იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიცავს გარკვეულ ეტაპებს. ამ პროცესს ართულებს მხოლოდ ის, რომ ყველა ეტაპზე კანონმდებლობა შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს განხილული. აქ ჩვენ განვიხილავთ იმ პროცესს, რომლის საფუძველზეც იქმნება კანონი. მომდევნო ნაწილებში განვიხილავთ ამ პროცესის ზოგიერთ სირთულეს.

მას შემდეგ, რაც კანონპროექტს წარადგენენ წარმომადგენელთა პალატაში ან სენატში, მას განსახილველად გადასცემენ შესაბამის კომისიას (იხ. ნახაზი 8.2.). მაგალითად, კანონპროექტი ბანკების შესახებ გადაეცემა პალატაში საბანკო, საფინანსო და საქალაქო საკითხების კომისიას ან საბანკო, ბინათმშენებლობის და საქალაქო საკითხების კომისიას სენატში, იმისდა მიხედვით, თუ რომელ პალატაში იყო იგი წარდგენილი. მას შემდეგ, რაც კომისია ყოველმხრივ განიხილავს ამ კანონპროექტს, მას გადასცემენ სპეციალურ ქვეკომისიას. ქვეკო-

მისიაში შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე მოსმენა. სპეციალისტებმა შეიძლება ჩაატარონ კანონმდებლობის ექსპერტიზა. თავდაპირველი კანონპროექტი ჩვეულებრივ იცვლება, ან მასში შეიძლება შეიტანონ შესწორებები. შემდეგ, თუკი გარკვეული სახით იგი მიღებულ იქნება ქვეკომისიის მიერ, მას უბრუნებენ სრულ კომისიას. თუკი მას იწონებს კომისია, იგი გადაეცემა პალატის სრულ შემადგენლობას. აქ, კანონპროექტის ირგვლივ შეიძლება გაიმართოს დებატები, შესწორდეს და, საბოლოოდ, იქნეს მიღებული ან არა.

წარმომადგენელთა პალატის კომისიებიდან გამოსული კანონპროექტები, პალატის სრულ შემადგენლობამდე გადაეცემა წესების კომისიას. ეს კომისია დაურთავს კანონპროექტს „წესს“, რომელიც წარმართავს შემდგომ დებატებს ადგილიდან: წესი აზუსტებს დებატების ხანგრძლივობას და შესწორებათა იმ ტიპებს, რომლებიც შეიძლება შემოთავაზებული იყოს განხილვისას.

სენატს არა ჰყავს ანალოგიური კომისია. თუმცა, შეზღუდვები დებატების ხანგრძლივობის შესახებ, შესაძლებელია, დადგინდეს ერთსულოვანი თანხმობის საფუძველზე.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონპროექტი ერთსა და იმავე საკითხზე მიღებულია კონგრესის ორივე პალატის მიერ, წარმოდგენილი ვარიანტები, ჩვეულებრივ, ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ შემთხვევაში განსხვავების უკუსავდებად მუშაობას იწყებს შემთანხმებელი კომისია, რომელიც შეიმუშავებს კომპრომისულ ვარიანტს. ეს უკანასკნელი უკან ეგზავნება ორივე პალატას შემდგომი კენჭისყრისათვის. თუკი კანონპროექტს მიიღებს ორივე პალატა, მაშინ იგი ეგზავნება ხელმოსაწერად ან ვეტოს დასადებად პრეზიდენტს.

კანონპროექტი ხდება კანონი მას შემდეგ, რაც მას ხელს მოაწერს პრეზიდენტი. თუ პრეზიდენტი კანონპროექტს ვეტოს დაადებს (არ მოიწონებს მას), მაშინ იგი დაუბრუნდება კონგრესს უარყოფის მოტივირებით. ამ შემთხვევაში, კანონპროექტი მაშინ ხდება კანონი, თუკი კონგრესი, თითოეულ პალატაში ხმების ორი მესამედით, გააუქმებს პრეზიდენტის ვეტოს. თუ პრეზიდენტი ათი დღის (კვირა დღეები არ ითვლება) განმავლობაში არც ხელს მოაწერს და არც ვეტოს დაადებს კანონპროექტს, მაშინ იგი კანონი ხდება. გამონაკლის შემთხვევაში, პრეზიდენტს შეუძლია განუხილველად დატოვოს კანონპროექტი, თუკი კონგრესი არდადგების გამო წყვეტს თავის მუშაობას ამ ათი დღის განმავლობაში და კანონპროექტი მიუღებლად ითვლება. ამას „ჯიბის ვეტოს“ უწოდებენ.

კანონპროექტის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს საკანონმდებლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერ პალატაში განხილვისას. კანონშემოქმედება (და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კურსის შემუშავება) კონგრესში მრავალი გზით არის ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც დაინტერესებულია კანონმდებლობაზე გავლენა მოახდინოს. ეს საჯაროობა ეთანხმება დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს. „საკანონმდებლო ტურის“* გავლის პროცესში კანონპრო-

* პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა პირველად აღწერა საკანონმდებლო პროცესი, როგორც „საკანონმდებლო ტური“ (სიტყვასიტყვით „კანონმდებლობის ცეკვა“ – “dance of legislation”).

წარმომადგენელთა პალატა

სენატში

კანონპროექტი წარმოდგენილია პალატაში და გადაეცემა კომისიას, რომელიც გადასცემს შესაბამის

კანონპროექტი შემოღის და გადაეცემა შესაბამის კომისიას, რომელიც გადასცემს მას შესაბამის

ქვეკომისიის
ქვეკომისიის წევრები შეისწავლიან კანონპროექტს, ატარებენ მოსმენებს და მართავენ დებატებს სხვადასხვა დებულებებთან დაკავშირებით. თუკი კანონპროექტს მოიწონებენ, იგი გადადის

ქვეკომისიის
ქვეკომისიის წევრები შეისწავლიან კანონპროექტს, აწვობენ მოსმენებს, მართავენ დებატებს თუ კანონპროექტი მოწონებულ იქნა, იგი გადადის

კომისიაში
კომისიის სრული შემადგენლობა განიხილავს კანონპროექტს თუკი მას მოიწონებენ ამ ფორმით, იგი გადადის

კომისიაში
კომისიის სრული შემადგენლობა იხილავს კანონპროექტს თუკი იგი ამ ფორმით მოწონებულ იქნა, იგი გადადის

წესების კომისიაში
წესების კომისია გამოსცემს წესს, რომელიც წარმართავს დებატებს პალატაში და ავზაინის მას

სენატში
სენატის სრული შემადგენლობა მართავს დებატებს კანონპროექტის გარშემო და, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს მასში შესწორებები. თუ კანონპროექტი მიღებულია ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება პალატის ვარიანტისაგან, ის უნდა გადავიდეს

პალატაში
პალატის სრული შემადგენლობა მართავს დებატებს კანონპროექტის ირგვლივ და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს მასში შესწორებები. თუ კანონპროექტი მიღებულია ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება სენატის ვარიანტისაგან, ის უნდა გადავიდეს

შემთანხმებელ კომისიაში
სენატორები და წარმომადგენლები შემთანხმებელ კომისიაში ხელდებათ ერთმანეთს, რათა შეათანხმონ განსხვავებები კანონპროექტის ვარიანტებს შორის. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, კომპრომისული ვარიანტი გადაეცემა როგორც

პალატას,
პალატა ეწევა უფროს შემთანხმებელი კომისიის კანონპროექტს. თუ იგი სენატშიც იქნა მოწონებული, იგი გადაეცემა

ასევე სენატს,
სენატი ეწევა უფროს შემთანხმებელი კომისიის კანონპროექტს. თუ იგი აქაც მოიწონეს და წარმომადგენელთა პალატაშიც, იგი გადაეცემა

პრეზიდენტს
პრეზიდენტი ხელს აწერს, ან ვეტოს ადებს კანონპროექტს. კონგრესს შეუძლია გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო ორივე პალატაში ხმათა ორი მესამედით.

ნახ. 8.2. საკანონმდებლო პროცესი

ნახაზზე აღწერილია კანონპროექტის მიღების ტიპური პროცესი. საჭიროა გვახსოვდეს, რომ კანონპროექტი შეიძლება ჩაეარდეს ნებისმიერ ეტაპზე, თუკი მას არ ექნება სათანადო მხარდაჭერა.

ექტში შეაქვთ შესწორებები იმ კონსენსუსის მიღწევის მიზნით, რომლის შედეგადაც იგი მიღებულ იქნება და კანონად იქცევა. პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ძალიან ნელა და ხშირად უნაყოფოც იყოს. კანონმდებლობის ჩაშლა უფრო ადვილია, ვიდრე კანონის მიღება. ეს პროცესი ცალკეულ ჯგუფებს ხშირად აძლევს იმის საშუალებას, რომ გამოთქვან აზრი იმის შესახებ, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას და, თუ საჭიროა, ჩაფუშონ თავიანთი ოპონენტების გეგმები.

უკანასკნელ ხანებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ამ საერთო პროცესის ერთმა ვარიანტმა – ეს არის კანონმდებლობის პაკეტი (omnibus legislation): საკანონმდებლო წინადადება წარმოადგენს სხვადასხვა კანონპროექტთა პაკეტს, რომელიც განსახილველად წარდგენილია პალატასა და სენატში ერთი მთლიანი სახით. კანონმდებლობის პაკეტის ხშირად გამოიყენება ბიუჯეტის კანონპროექტებისთვის, რომლებიც მთავრობის სხვადასხვა საქმიანობისთვის განკუთვნილ დაფინანსებას შეეხება. ამ კანონმდებლობის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონგრესს პრეზიდენტზე ზემოქმედების მეტ საშუალებას აძლევს. პრეზიდენტს ხანდახან გადასცემენ იმ კანონპროექტებს, რომლებიც უკანასკნელ მომენტშია მიღებული. ასეთ კანონპროექტზე ვეტოს დადების შემთხვევაში მთავრობის მრავალი სამსახური დაიხურებოდა სახსრების უკმარისობის გამო. საფინანსო კანონების პაკეტი ასევე ხელსაყრელია კონგრესისათვის იმ წესებისა ან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც რწმუნებულებას ანიჭებს კონგრესს, კენჭი უყაროს კანონპროექტების პაკეტები შესწორებების შეტანის გარეშე. ამგვარად, კონგრესის წევრებს შეუძლიათ უთხრან თავის ამომრჩევეებს და ლობისტებს, რომ ისინი (წევრები) გამოუვალ სიტუაციაში იყვნენ. ერთ-ერთი მკვლევარის თქმით, ყოვლისმომცველი კანონპროექტების პაკეტები „უზრუნველყოფენ კონგრესის წევრების პოლიტიკურ საფარს“ (Oleszek, 1989, p. 4).

კომისიები – კონგრესის მუშა ძალა

ვუდრო უილსონმა ერთხელ შენიშნა: „კონგრესის სესია კონგრესის საჯარო გამოფენაა, ხოლო კონგრესი კომისიებში – ესაა კონგრესი მუშაობის პროცესში“ (Wilson, 1885). კანონშემოქმედების რეალური პროცესი კონგრესის კომისიებში მიმდინარეობს.

შრომის განაწილება კომისიებს შორის

წარმომადგენელთა პალატა და სენატი იმავე მიზეზითაა დაყოფილი კომისიებად, რის გამოც იყოფა ყოველი დიდი ორგანიზაცია განყოფილებებად და დეპარტამენტებად: იმისათვის, რომ გამოიყენოს ექსპერტების ცოდნა და გამოცდილება გარკვეულ სფეროებში. მაგალითად, კონგრესის გადაწყვეტილებები იარაღის სისტემების შესახებ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჯანმრთელობის დაზღვევის ანაზღაურებასთან დაკავ-

შირებით მიღებულ გადაწყვეტილებებთან. უფრო მიზანშეწონილია კონგრესის რომელიმე წევრმა მეტი დრო დაუთმოს თავდაცვის საკითხების შესწავლას და გახდეს ამ სფეროს კვალიფიცირებული ექსპერტი (და ასეც ხდება), მაშინ, როცა სხვა დაკავებული იქნებოდა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით.

თუმცა, კონგრესის ყველა წევრს უხდება ხმის მიცემა იმ კანონპროექტებისთვის, რომლებიც წარმოდგენილია კომისიების მიერ. ისინი, ვინც არ არიან შესაბამისი კომისიის წევრები, დამოკიდებული არიან ამ უკანასკნელებზე, რამდენადაც კომისიის წევრები გულდასმით განიხილავენ პრობლემას, აუცილებლობის შემთხვევაში ეძებენ კომპრომისულ ვარიანტებს და წარადგენენ ხოლმე გონივრულ კანონპროექტს, რომელსაც დამტკიცების დიდი შანსი ექნება. თითოეული კონგრესმენი ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის აკარგინაობის შესახებ. მას შემდეგ, რაც კანონპროექტი მიაღწევს წარმომადგენელთა პალატას და სენატს, მათ წევრებს მხოლოდ მცირეოდენი შესწორებების შეტანის საშუალება ეძლევათ (ან, შეიძლება, სულაც არ მიეცეთ ამის საშუალება); ისინი მხარს უჭერენ ან უარყოფენ მთლიან კანონპროექტს.

მუდმივმოქმედი კომისიები. კონგრესში რამდენიმე განსხვავებული სახის კომისიაა. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია მუდმივმოქმედ კომისიებს. მუდმივმოქმედი კომისიები ის კომისიებია, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ერთ საკანონმდებლო სფეროში. ასეთია, მაგალითად, წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომისია, ან გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სენატის კომისია. ყოველდღიური საკანონმდებლო მუშაობა მიმდინარეობს სენატის თექვსმეტ მუდმივმოქმედ კომისიასა და წარმომადგენელთა პალატის ოცდამდე მუდმივმოქმედ კომისიაში (იხ. ცხრილი 8. 1.). სენატის მუდმივმოქმედ კომისიაში, ჩვეულებრივ, 15-20 სენატორია, პალატის თითოეულ კომისიაში კი დაკავებულია 30-40 წევრი. დემოკრატთა და რესპუბლიკელთა თანაფარდობა მუდმივმოქმედ კომისიაში ძირითადად ასახავს მათ თანაფარდობას მთლიანად სენატსა და პალატაში. კონგრესის ყოველი წევრი, შესაძლებელია, იყოს მხოლოდ რამდენიმე მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

მუდმივმოქმედი კომისიები, მცირე გამონაკლისის გარდა, დაყოფილია ქვეკომისიებად. მაგალითად, წარმომადგენელთა პალატის სოფლის მეურნეობის კომისიას აქვს რვა ქვეკომისია, მათ შორის ერთი - ხორბლის, სოიას და საკვები მარცვლეულისა, მეორე - მეცხოველეობის, მერძეველებისა და მეფრინველეობის და ა. შ. ქვეკომისიის წევრები საკმაოდ ვიწრო პოლიტიკის სფეროში უწყვეტი მუშაობის შედეგად ექსპერტები ხდებიან.

კონგრესის სხვა კომისიები. კონგრესის წევრებს ასევე შეუძლიათ იმუშაონ ერთობლივ, შერჩეულ და შემთანხმებელ კომისიებში. ერთობლივი კომისიები შედგება სენატისა და პალატის წევრებისაგან. მუდმივმოქმედი კომისიების მსგავსად, მცირერიცხოვანი ერთობლივი კომისიების საქმიანობა ეხება პოლიტიკის გარკვეულ სფეროს. მაგალითად, ერთობლივი ეკონომიკური კომისია ატარებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზს. ერთობლივი კომისიები თითქმის მუდმივმოქმედი კომისიების მსგავსად მოქმედებენ, თუმცა მათი უფ-

ლებები უფრო შეზღუდულია: მათ არ შეუძლიათ კანონპროექტის წარდგენა პალატასა თუ სენატში.

შერჩეული კომისიები იქმნება დროებით, განსაკუთრებული მიზნისთვის იმ საგანგებო სიტუაციების და პრობლემების განსახილველად, რომლებიც არ შედიან, ან მხოლოდ ნაწილობრივ შედიან მუდმივმოქმედი კომისიების კომპეტენციის სფეროში. სენატის კომისია, რომელიც იხილავდა უოთერგეითის სკანდალს, მხოლოდ ამ მიზნით შექმნილ შერჩეულ კომისიას წარმოადგენდა.

შემთანხმებელი კომისია ასევე დროებითი კომისიაა, რომელიც იქმნება სენატისა და პალატის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის ვარიანტების შესათანხმებლად. მისი წევრები ინიშნებიან იმ მუდმივმოქმედი კომისიებიდან და ქვეკომისიებიდან, რომლებიც თავდაპირველად ამუშაებდნენ კანონპროექტს და წარუდგენდნენ მას შესაბამის პალატას. ვარიანტებს შორის არსებული განსხვავებებიდან და კანონპროექტის საკანონმდებლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემთანხმებელი კომისია შეიძლება მუშაობდეს რამდენიმე საათის ან რამდენიმე კვირის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც შეთანხმებული კომისია მიიღებს კომპრომისულ ვარიანტს, მას წარუდგენენ ორივე პალატას. თითოეულ პალატას შეუძლია მოიწონოს ან არ მოიწონოს კანონპროექტი, მაგრამ არც ერთს აღარ შეუძლია მასში შესწორების შეტანა ან მისი შეცვლა. კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტების მხოლოდ 15-20 პროცენტი გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას, თუმცა, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი და საკამათო კანონპროექტი მას გადაეცემა ხოლმე (Longley and Oleszek, 1989).

ცალკეული კანონპროექტების სხვადასხვა ვარიანტებს შორის განსხვავებების ნიველირება ხდება კომისიების ან ქვეკომისიების ლიდერებს შორის არაოფიციალური მორიგების შედეგადაც.

საკონგრესო კომპეტენცია და მუშაობის სტაჟი

კომისიის წევრად დანიშნვის შემდეგ წარმომადგენელი და სენატორი დაინტერესებულია დარჩეს ამ თანმდებობაზე, რათა აიმაღლოს კომპეტენტურობა და გაველნა მოიპოვოს კონგრესში. გაველნა იზრდება ისეთი ფორმალური საშუალებითაც, როგორცაა მუშაობის სტაჟი ანუ კომისიაში ხანგრძლივი მუშაობა. კომპეტენტურობის ამაღლების და სტაჟის შეძენის მიზნით წევრები ცდილობენ დარჩნენ ერთსა და იმავე კომისიაში. ხანდახან ისინი იცვლიან ადგილს თუ მათ შესთავაზებენ მუშაობას უფრო პრესტიჟულ კომისიაში (როგორცაა, მაგალითად, დაფინანსების გზებისა და საშუალებების ან მიზნობრივი დაფინანსების კომისიები პალატაში), ან ისეთ კომისიაში, რომელშიც მუშავდება მათი ამომრჩეველებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კანონმდებლობა.

კომისიის თავმჯდომარე, ჩვეულებრივ, ხდება უმრავლესობის პარტიის წევრი, რომელსაც ამ კომისიაში მუშაობის ყველაზე ხანგრძლივი გამოცდილება აქვს (უმრავლესობის პარტია ხელმძღვანელობს კომისიას ორივე პალატაში). უმრავლესობის პარტიის სხვა, ხანგრძლივი სტაჟის მქონე წევრები ხდებიან ქვე-

ცხრილი 8.1. კონგრესის მუდმივმოქმედი კომისიები

სენატის მუდმივმოქმედი კომისიები

სოფლის მეურნეობის, კვების, სატყეო მეურნეობის მიზნობრივი დაფინანსების	საფინანსო საგარეო ურთიერთობათა
სამხედრო სამსახურის	სამთავრობო საქმეთა
საბანკო, ბინათმშენებლობის და საქალაქო საკითხების	იურიდიული
საბიუჯეტო	შრომისა და შრომითი რესურსებისა
ვაჭრობის, მეცნიერებისა და ტრანსპორტის	წესებისა და ადმინისტრაციის
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების	მცირე ბიზნესის
გარემოსა და საზოგადოებრივ სამუშაოთა	ვეტერანთა საქმეების

წარმომადგენელთა პალატის მუდმივმოქმედი კომისიები

სოფლის მეურნეობის	შინაგან საქმეთა
მიზნობრივი დაფინანსების	იურიდიული
სამხედრო სამსახურის	საეაჭრო ფლოტისა და თევზჭერის
საბანკო, საფინანსო და საქალაქო საკითხების	საფოსტო და სამოქალაქო სამსახურის
საბიუჯეტო	საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის
კოლუმბიის ოლქის	წესების
განათლების და შრომის	მეცნიერების, კოსმოსისა და ტექნიკის
ენერგეტიკისა და ვაჭრობის	მცირე ბიზნესის
საგარეო საქმეთა	ქვეყნის ნორმების
მთავრობის საქმიანობის	ვეტერანთა საქმეების
პალატის ადმინისტრაციის	დაფინანსების გზებისა და საშუალებების

წყარო: *Committees and Subcommittees of the 99th Congress, supplement to Congressional Quarterly Weekly Report, 2 May, 1987.*

კომისიების თავმჯდომარეები, მაშინ, როცა ასეთივე სტაჟის მქონე პიროვნებები უმცირესობის პარტიიდან გაველნას იძენენ როგორც უმცირესობის მაღალი რანგის წევრები. ეს კონგრესის წევრებს აძლევს საშუალებას მოიპოვონ მაღალი სტატუსი და დიდი ძალაუფლება. წარმომადგენელთა პალატაში 140 ქვეკომისიაა, ხოლო სენატში - 90.

კომისიების რეფორმა

კომისიების სისტემა და სტაჟის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს კომისიის ხელმძღვანელობას, სერიოზული კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა 1970-იან წლებში. რეფორმის მოთხოვნა მოდიოდა პალატის ლიბერალი და ახალგაზრდა წევრებისაგან. „იხინი გაღიზიანებული იყვნენ იმით, რომ ძველი, კომისიებზე დაფუძნებული წესები ზღუდავდა მათ მონაწილეობას და პოლიტიკურ გავლენას. კომისიის თავმჯდომარე, ხშირად, უმცირესობის მაღალი რანგის წევრებთან ერთად, ბატონობდა სხდომებზე“ (Riesclbacli, 1986, p. 47).

შეიქმნა რამდენიმე შერჩეული კომისია, რომელთაც უნდა შეესწავლათ წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ორგანიზაციის საკითხები. მიუხედავად

იმისა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ყველა რეფორმა არ იქნა განხორციელებული, მაინც ბევრი ცვლილება მოხდა. გაიზარდა ქვეკომისიების რიცხვი და მათი გავლენა მუდმივმოქმედ კომისიებთან მიმართებაში. წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიზმმა (უმრავლესობის პარტია) აუკრძალეს თავისი პარტიის წევრებს ერთზე მეტი ქვეკომისიის თავმჯდომარეობა. ცვლილება განიცადა ასევე სტაჟის სისტემამ წარმომადგენელთა პალატაში. შემოღებული ახალი წესების თანახმად, კომისიის თავმჯდომარის არჩევისას სტაჟს აღარ ენიჭებოდა მნიშვნელობა. ამ წესებმა ძალა გამოაცალეს სტაჟის სისტემას. 1975 წელს წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიზმმა კენჭისყრისას „გააშავეს“ კომისიების სამი არაპოპულარული, ხანშიშესული თავმჯდომარე. ამით მათ აჩვენეს, რომ ისინი აღარ მოითმენდნენ ავტოკრატიულ მეთოდებს. პალატის დემოკრატიზმმა ადრე კიდევ ერთი ცვლილება შეიტანეს: კომისიის თავმჯდომარეს ჩამოართვეს ქვეკომისიის თავმჯდომარის დანიშვნის უფლება. ამ ცვლილების მიზანი იყო ქვეკომისიებისათვის მეტი ავტონომიურობის და ძალაუფლების მინიჭება.

გაცილებით ნაკლები რეფორმები გატარდა სენატში. ამ ორგანოში წევრების შედარებით მცირე რაოდენობა იძლევა იმის გარანტიას, რომ უმრავლესობის თითქმის ყველა სენატორი, სულ ცოტა, ერთი ქვეკომისიის თავმჯდომარე მაინც გახდება. გარდა ამისა, სენატის მუშაობა უფრო მეტად ჩანს და სენატორები, კომისიაში მათი მოღვაწეობის და სტაჟისგან დამოუკიდებლადაც მოიპოვებენ აღიარებასა და გავლენას. ერთი გამოკვლევა ასკვნის, რომ „კომისიებს ნაკლებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პირადი ინტერესების განხორციელების თვალსაზრისით სენატში, ვიდრე წარმომადგენელთა პალატაში“ (Smith and Deering, 1984, p. 271).

კანონშემოქმედების პროცესი

რამდენადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი მუშავდება კომისიებსა და ქვეკომისიებში, ამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ არიან ისინი ორგანიზებული კონგრესში. კანონპროექტის შექმნის პირველ ეტაპზე ხდება არსებული პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვება. კომისიის წევრები იკვლევენ დასმულ პრობლემას. შესაძლოა მოეწიოს განხილვები, რათა მოისმინონ იმ მოწმეთა მოსაზრებები, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა ამ სფეროში.

შეხვედრებს, რომლის დროსაც კომისიები და ქვეკომისიები მართავენ დებატებს კანონპროექტის გარშემო და შეაქვთ მასში შესწორებები, უწოდებენ *მონიშვნის სესიებს*. პროცესი, რომლის საშუალებითაც კომისიები იღებენ გადაწყვეტილებებს, ერთმანეთისგან განსხვავდება. ბევრ კომისიაში არსებობს კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების ძლიერი ტრადიცია. ასეთი კომისიის თავმჯდომარე, უმცირესობის მაღალი რანგის წევრი და სხვები, გულმოდგინედ მუშაობენ კომისიის სესიებზე და არაოფიციალური მოლაპარაკებისას, რათა გამოძებნონ საერთო პლატფორმა იმ სადავო საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ განხეთქილების მიზეზს კომისიის წევრებს შორის.

სხვა კომისიებში მათი წევრები ძლიერ პარტიულ და იდეოლოგიურ დაპირისპირებას ავლენენ. კომისიების და ქვეკომისიების ლიდერები ცდილობენ ამ ტიპის დაპირისპირების დაძლევის ისეთი კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც შესაბამისი პალატის უმრავლესობის მხარდაჭერას ჰპოვებს.

კომისიები: მაჟორიტარული და პლურალისტური შეხედულებები

ბუნებრივია, მიზანშეწონილია კანონშემოქმედების პროცესში ჩართონ რაც შეიძლება ბევრი ექსპერტი. სწორედ ამას აკეთებს კომისიების სისტემა. მაგრამ, ხელისუფლება უდიდესი ძალაუფლებით აღჭურავს კონგრესის კომისიებსა და ქვეკომისიებს, განსაკუთრებით კი მათ თავმჯდომარეებს. ეს უფრო წარმომადგენელთა პალატას ეხება, რომელიც უფრო დეცენტრალიზებულია გაკლენის თვალსაზრისით და პალატის სხდომაზე განხილვისას უფრო მეტ შეზღუდვებს ქმნის კანონპროექტში შესწორების შეტანის მხრივ. კომისიის წევრებს შეუძლიათ „დამარხონ“ კანონპროექტი, ანუ არ გადასცენ იგი წარმომადგენელთა პალატასა თუ სენატს. კომისიის წევრების გაკლენა ვრცელდება სხდომაზე მიმდინარე განხილვების დროსაც. კომისიის წევრების უმეტესობა არის შემთანხმებული კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც ევალება კანონპროექტის კომპრომისული ვარიანტის შემუშავება.

კომისიებისა და ქვეკომისიების აღჭურვა პოლიტიკური ძალაუფლებით უნდა ნიშნავდეს უმრავლესობის პარტიის ძალაუფლების შეზღუდვას და, ამრიგად, მაჟორიტარიზმის წინააღმდეგ მუშაობს. ამავე დროს, კომისიების სისტემა აძლიერებს პლურალიზმის ძალას ამერიკის პოლიტიკაში. წარმომადგენლები და სენატორები არჩეული არიან სხვადასხვა საარჩევნო ოლქებიდან და შტატებიდან. ამიტომ, ისინი ყოველთვის ცდილობენ გახდნენ იმ კომისიების წევრები, რომელთა გადაწყვეტილებები მეტად მნიშვნელოვანია მათი ამომრჩევლებისთვის. მაგალითად წევრები, რომლებიც არჩეული არიან სასოფლო სამეურნეო რეგიონებიდან, ცდილობენ გახდნენ პალატისა თუ სენატის სოფლის მეურნეობის კომისიის წევრები. ლიბერალებს ქალაქებიდან მეტი სურვილი აქვთ გახდნენ იმ კომისიის წევრები, რომლებიც ამუშავენ სოციალურ პროგრამებს. ამის შედეგად, ცალკეული კომისია წინასწარ არის განწყობილი ისეთი კანონის შესაქმნელად, რომელიც სასურველი იქნებოდა იმათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება ამ კანონით გათვალისწინებული წესები.

შეიძლება მაჟორიტარიზმის მოქმედების მაგალითად მივიჩნიოთ მთელი პალატის ან სენატის შეკრება კანონპროექტისათვის ხმის მისაცემად. თითოეული ამ ორგანოს წევრების კოლექტიურმა შეხედულებებმა, შესაძლებელია, ყველაზე კარგად ასახოს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის განსხვავებული ინტერესების „ნაზავი“. კომისიაში გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებენ იმასაც, თუ რა იქნება უფრო მისაღები პალატის ან სენატის მთელი შემადგენლობისთვის. მიუხედავად ამისა, იმ დროისათვის, როცა კონგრესმენების ფართო წრე იწყებს კანონპროექტის განხილვას სხდომებზე, ბევრი მნიშვნე-

ლოვანი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია კომისიებში. კონგრესის შინაგანი სტრუქტურიდან გამომდინარე, წევრების მცირერიცხოვანი ჯგუფები არაპროპორციულად დიდ გავლენას ახდენენ იმ კონკრეტულ სფეროზე, რომელიც მათ განსაკუთრებით აინტერესებთ.

ლიდერები და მიმდევრები კონგრესში

პალატისა და სენატის ორგანიზაციულ სისტემაში კომისიების თავმჯდომარეებზე მაღლა ხელისუფალთა კიდევ ერთი ფენაა. რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ლიდერები ორთავე პალატაში იღწვიან, რათა მათმა პარტიამ გავლენის მაქსიმუმი მოიპოვოს. ამავე დროს, ისინი იმაზეც ზრუნავენ, რომ მათი პალატა თანმიმდევრულად და ეფექტიანად მუშაობდეს. ორივე პალატის მუშაობაზე გავლენას ახდენენ ის წესები და ნორმები, რომლებიც შემუშავებულია წლების განმავლობაში.

ხელმძღვანელობის ვალდებულებები

ორივე პარტია ირჩევს ხელმძღვანელებს თითოეულ პალატაში. წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობის პარტიის ლიდერი პალატის სპიკერიცაა. იგი კათედრიდან ჩაქუჩით ხელში ხელმძღვანელობს პალატის სხდომებს. უმცირესობის პარტიაში მისი ექვივალენტია უმცირესობის ლიდერი. უმრავლესობის პარტია თავის ლიდერს ირჩევს დახურულ პარტიულ კრებაზე. უმრავლესობისა და უმცირესობის პარტიები თავის კანდიდატებს სპიკერის თანამდებობაზე წარადგენენ კონგრესის პირველსავე სხდომაზე. ოფიციალური არჩევნები მკაცრად მიჰყვება პარტიულ გეზს და ამტკიცებს უმრავლესობის პარტიის დახურული კრების გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ უმცირესობის პარტიის კანდიდატი ხდება უმცირესობის ლიდერი. სპიკერი კონსტიტუციური თანამდებობის პირია, თუმცა კონსტიტუციაში არ არის მოცემული სპიკერის მოვალეობების ჩამონათვალი. უმცირესობის ლიდერი არ არის მოხსენიებული კონსტიტუციაში. თუმცა, ეს თანამდებობაც მნიშვნელოვან პარტიულ პოსტად ჩამოყალიბდა პალატაში.

კონსტიტუციის თანახმად, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი სენატის თავმჯდომარეა. თუკი კენჭისყრისას არ არის მოსალოდნელი ხმების თანაბარი განაწილება, რომლის დროსაც მის ხმას გადაწყვეტი მნიშვნელობა ექნება, ჩვეულებრივ, ვიცე-პრეზიდენტი არ ცხადდება სენატში. დროებითი თავმჯდომარე (*president pro tempore*), რომელიც არჩეულია უმრავლესობის პარტიის მიერ, ვიცე-პრეზიდენტის არყოფნისას ხელმძღვანელობს სენატს. მაგრამ, ჩვეულების შესაბამისად, ეს კონსტიტუციური პოსტი მხოლოდ საპატიო თანამდებობად ითვლება.

რეალური ძალაუფლება სენატში უმრავლესობის ლიდერის ხელშია. აქაც, ისევე, როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ოპოზიციური პარტიის უმაღლესი თანამდებობა უმცირესობის ლიდერს უკავია. ტექნიკურად, უმრავლესობის ლიდერი სხდომებზე არ თავმჯდომარეობს (სენატორები ენაცვლებიან ერთმანეთს

დროებითი თავმჯდომარის თანამდებობაზე), თუმცა იგი ადგენს კანონპროექტების მიღების გრაფიკს უმცირესობის ლიდერთან შეთანხმებით.

უფრო ფართო გაგებით, პარტიული ლიდერები გადამწყვეტ როლს თამაშობენ კონგრესში კანონპროექტის გატარებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აკისრიათ ლიდერებს, კანონპროექტის შინაარსის ირგვლივ მორიგებების და მოლაპარაკებების წარმართვაა. იმ შემთხვევაში, თუკი განსახილველი საკითხი წარმოშობს უთანხმოებას მათ პალატაში, ორ პალატას შორის ან თავის პალატასა და თეთრ სახლს შორის, ლიდერები ვალდებული არიან გამოიმუშაონ კომპრომისული შეთანხმება.

ჯერ არც ისე დიდი ხნის წინ, 1950-იან წლებში, საკანონმდებლო პროცესს უძღვებოდნენ ძლიერი პარტიული ლიდერები. მაგრამ დღევანდელ კონგრესში რიგითი წარმომადგენლები და სენატორები ვერ აიტანდნენ ამ ტიპის ხელმძღვანელობას. ამასთან ისიც უეჭველია, რომ დღევანდელი ლიდერები კონგრესში დიდ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ შედეგებზე. ერთმა ექსპერტმა დაასკვნა, რომ „ხელმძღვანელობის წვლილი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისას შეზღუდულია, თუმცა, მას არსებითი წვლილი შეაქვს კრიტიკულ შემთხვევებში“ (Pcabody, 1976, p.9).

პროცედურის წესები

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის მუშაობა აგებულია *ოფიციალურ პროცედურულ წესებზე* და *ქვეყნის არაოფიციალურ ნორმებზე*. ორივე პალატის მოქმედების წესები, ძირითადად, საპარლამენტო პროცედურის წესებია. მაგალითად, ისინი ადგენენ კანონპროექტების მიღების გრაფიკს, ადგენენ, თუ რომელი კანონპროექტი როდის და როგორ უნდა იქნეს გამოტანილი სესიაზე დასამტკიცებლად.

ორ პალატას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება, როგორც ადრე იყო აღნიშნული, მდგომარეობს იმაში, რომ სხდომებზე დებატების წარმართვისას წარმომადგენელთა პალატა იყენებს წესების კომისიას. ასეთივე კომისიის – „საგზაო ინსპექტორის“ – უქონლობის გამო სენატი ეყრდნობა ერთსულოვან შეთანხმებას დებატების დაწყებისა და ხანგრძლივობის შესახებ. თუ ერთი სენატორი კი ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას, ის ძალაში ვერ შევა. სენატორები, როგორც წესი, არ არიან ამ შეთანხმების წინააღმდეგი, რადგან ყოველ მათგანს ესაჭიროება ასეთივე *ერთსულოვანი თანხმობა* თავისი კანონპროექტის გამოტანისას.

თუკი სენატორს კატეგორიულად არ უნდა, რომ კანონპროექტი მიღებული იქნეს, მას შეუძლია დააყოვნოს კანონპროექტის განხილვა ობსტრუქციის მოწყობის, ანუ მის ირგვლივ გაუთავებელი მსჯელობის გზით. ისტორიული ტრადიციით, სენატი თავის წევრებს არ უზღუდავს გამოსვლის დროს. ამ საქმეში რეკორდი დამყარებული აქვს რესპუბლიკელ სენატორ სტრომ თარმონდს სამხრეთ ქეროლაინიდან: მისი გამოსვლა ოცდაოთხ საათსა და 18 წუთს გრძელდებოდა (Jones, 1982, p.332). წარმომადგენელთა პალატაში კი არც ერთ წევრს არა აქვს ერთ საათზე მეტი ხნით ლაპარაკის უფლება ერთსულოვანი თანხმობის გარეშე.

1917 წლის ობსტრუქციის შემდეგ სენატმა მიიღო ე. წ. „შეზღუდვის მექანიზმი“ – დებატების ლიმიტირების წესი. „შეზღუდვის მექანიზმისთვის“ კენჭისყრის გასამართად საკმარისია თექვსმეტი სენატორის ხელმოწერა, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად – 60 სენატორის ხმა (Olczek, 1989).

ქვევის ნორმები

ორივე პალატას აქვს ქვევის კოდექსი, რომელიც ხელს უწყობს მათ მართვას. უპირატესად ეს არის ქვევის დაუწერელი ნორმები. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ოფიციალურად იქნა მიღებული წესად. კონგრესის წევრები აღიარებენ: იმისათვის, რომ კონგრესი არ გადაიქცეს ფრაქციათა შორის ხელწართული ბრძოლის ასპარეზად, გამორიცხული ან მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი პიროვნული კონფლიქტები. ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი ნორმა ის არის, რომ წევრები პატივისცემით მოეკიდონ ერთმანეთს საჯარო გამოსვლების დროს. სხდომებზე დებატების დროს მოსისხლე ოპონენტებიც კი ერთმანეთს ასე მამართავენ: „ჩემო კარგო მეგობარო, ბატონო სენატორო, ამა და ამ შტატიდან...“, ან „პატივცემულო კოლეგა“.

კონგრესში ქვევის ალბათ ასევე მნიშვნელოვანი ნორმაა ის, რომ მის წევრებს უნდა უნდოდეთ ერთმანეთთან შეთანხმება. კანონშემოქმედება გაცემის და მიღების პროცესია: ამდენად, იგი მოითხოვს კომპრომისს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონგრესის წევრებმა უბრალოდ უარი თქვან თავის პრინციპებზე პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მათ გულდასმით უნდა მოუხმინონ მეორე მხარეს და არ დაიშურონ ძალისხმევა, რათა გონივრულ კომპრომისს მიაღწიონ. ცხადია, თუკი ორივე მხარე ჯიუტად დგას თავის პოზიციაზე, მაშინ ისინი ვერასდროს შეთანხმდებიან.

უკანასკნელ ხანებში ქვევის ზოგიერთმა ნორმამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. კონგრესის ახალგაზრდა წევრები უფრო თავდაჯერებული გახდნენ. გამოცდილების შესაძენად მათ უკვე აღარ უნდათ დიდხანს მოწაფეების როლში ყოფნა, ესწრაფვიან რა მთავარი როლის შესრულებას საკანონმდებლო პროცესში. ერთმა მეცნიერმა შენიშნა: „შეგირდობის ნორმა... უკვე გაქრა ორთავე პალატაში“ (Smith, 1989, p.138). პატივს აღარც კომისიების პრივილეგიებს მიაგებენ. კომისიები კონგრესის მთავარ ძალად რჩება. თუმცა, კონგრესის წევრებს, რომლებიც არ არიან კომისიის წევრები, აღარ უნდათ კომისიისთვის ავტონომიის მინიჭება გარკვეულ პოლიტიკურ სფეროში. დღეს კონგრესის ეს წევრები გაცილებით მეტ შესწორებებს წარადგენენ სხდომაზე გამართული დებატების დროს, რათა ამით შეცვალონ კომისიების კანონპროექტის პოლიტიკური საფუძველი.

საკანონმდებლო გარემო

მას შემდეგ, რაც კომისია შეიმუშავეს კანონპროექტს, იგეგმება მისი განხილვა სხდომაზე. როგორ ლებულობენ კანონმდებლები გადაწყვეტილებას, თუ

რას მისცენ ხმა? ამ განყოფილებაში ჩვენ განვიხილავთ იმ ფართო საკანონმდებლო გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს კონგრესში გადაწყვეტილების მიღებაზე. უფრო ზუსტად, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ გავლენას ახდენენ კანონმდებლებზე პოლიტიკური პარტიები, დაინტერესებული ჯგუფები, კოლეგები, აპარატი, პრეზიდენტი და ამომრჩევლები (ეს საკითხები განხილულია ჯონ ქინგდონის მიხედვით: იხ. Kingdon, 1981).


პოლიტიკური პარტიები

ქვეყნის მთავარ პარტიებს შეზღუდული გავლენა აქვთ კანონშემოქმედებაზე. ისინი არ აკონტროლებენ კანდიდატთა დასახელებას სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში. კანდიდატები თავისი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დიდ ნაწილს იღებენ არა პოლიტიკური პარტიებიდან, არამედ ინდივიდუალური პირებისგან და პაკეტიდან. მაგრამ, თითოეული პალატის პარტიული ხელმძღვანელობა ცდილობს გავლენა მოახდინოს რიგით კონგრესმენებზე. მაგალითად, ცალკეულ მათგანს, შესაძლოა, სჭირდებოდეს პარტიულ ხელმძღვანელთა დახმარება გარკვეულ კანონპროექტთან დაკავშირებით. ამიტომ, მათ გარკვეული ინტერესი აქვთ პარტიულ ლიდერებთან თანამშრომლობისა.

ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა სამხრეთელ დემოკრატთა მზარდი პარტიული ერთგულება. თუმცა, ისინი ჯერაც ნაკლებად აძლევენ ხმას დემოკრატი კოლეგების უმრავლესობასთან ერთად (განსხვავებით პარტიის ჩრდილოეთელი წევრებისგან) მათი პარტიული ერთგულება მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. ნახაზი მ.3.). პარტიული ერთგულების ზრდის პირველი მიზეზია ის, რომ სამხრეთის პოლიტიკაში აღარ დომინირებს რასობრივი პრობლემა. ეს საკითხი აღარც ეროვნულ დღის წესრიგში დგას, როგორც ეს ადრე იყო. 1965 წლის საარჩევნო უფლებების კანონის მიღების შემდეგ მოხდა მრავალრიცხოვან შეკანინანთა რეგისტრაცია. სამხრეთში ისინი შეადგენენ დემოკრატიული კოალიციის დიდ ნაწილს და გამაწონასწორებელ გავლენას ახდენენ ტრადიციულად კონსერვატიული სამხრეთის დემოკრატიულ პარტიაზე.

დაინტერესებული ჯგუფები

მეშვიდე თავში უკვე აღნიშნული იყო, რომ ლობისტები, გარდა იმისა, რომ საქმის კურსში აყენებენ კანონმდებლებს იმის შესახებ, თუ რომელ ჯგუფს რა პოზიცია უკავია გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, ბევრ სხვა რამესაც აკეთებენ. მათი უპირველესი ფუნქციაა უზრუნველყონ კანონშემოქმედნი საჭირო და სარწმუნო ინფორმაციით. კანონმდებლებს არ სჭირდებათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროფკავშირები მხარს უჭერენ მინიმალური ხელფასის ზრდას. მათ სჭირდებათ ანალიზი და მოხსენებითი ბარათები იმის თაობაზე, თუ რატომ არ გამოიწვევს მინიმალური ხელფასის ზრდა ინფლაციას, რატომ არ დასცემს კონკურენტულობის დონეს მსოფლიოს ბაზარზე, როგორ აამაღლებს ღარიბი მუშების ცხოვრების დონეს და რატომ შეამცირებს იგი დანახარჯებს კეთილდღეობის ამაღლების პროგრამებზე.



ნახაზი 8.3. სამხრეთელი დემოკრატები უბრუნდებიან პარტიას
 სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობამ 1960-იან წლებში გამოიწვია მკვეთრი განხეთქილება დემოკრატიულ პარტიაში. ეს ნახაზი გვიჩვენებს, თუ თანდათანობით როგორ „აშუქელა“ ამ პრობლემას, როგორ დააჩქარა ამ პრობლემის გადაწყვეტა შაკანანებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებამ 1965 წლის შესაბამისი აქტის მიღების შემდეგ. ციფრები დიაგრამაზე გვიჩვენებენ წარმომადგენელთა პალატის იმ წევრთა რაოდენობას პროცენტებში, რომლებმაც ხმა მისცეს თავისი პარტიის უმრავლესობასთან ერთად (წყაროები: Norman J. Ornstein, Thomas E. Mann and Michael I. Malbin. *Vital Statistics on Congress, 1989-1990* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Inc., 1990), p. 199

კრიტიკოსები ხშირად უწოდებენ ლობის „ზეწოლის ჯგუფს“, თუმცა, პოლიტოლოგები უფრო ნეიტრალურ ტერმინებს არჩევენ. დაინტერესებული ჯგუფები მართლაც ცდილობენ ზეწოლა მოახდინონ კონგრესზე. ზეწოლის ერთერთი ეფექტიანი ფორმა ამომრჩევლების კონტაქტი თავიანთ კანონმდებლებთან, როდესაც ამ უკანასკნელთ აცნობენ ფაქტების საკუთარ ინტერპრეტაციას. კონგრესმენებმა უნდა გაითვალისწინონ ეს, ვინაიდან მათ ხელმეორედ ირჩევენ არა ვაშინგტონის ლობისტები, არამედ ამომრჩევლები.

კოლეგები

ლობისტები და დაინტერესებული ჯგუფები ინფორმაციის კარგი წყაროა. თუმცა, მათ მიერ წარმოდგენილი ფაქტები და არგუმენტები მეტად ემსახურება მათ საკუთარ ინტერესებს. უფრო ობიექტური ინფორმაციისათვის კანონმდებელს შეუძლია მიმართოს თავის კოლეგას წარმომადგენელთა პალატიდან ან სენა-

ტიდან. ამის ერთი მიზეზია ის გამოცდილება, რომელსაც იძენენ კონგრესის წევრები კომისიებში მუშაობისას. მეორე მიზეზი ისაა, რომ პალატის წევრები და სენატორები ქმნიან *თანაწორთა გკუფს*, რომლის წევრთა შორის დროთა განმავლობაში ყალიბდება ერთმანეთისადმი ნდობა, მეგობრობა და პროფესიული პატივისცემა.

კონსულტაციები კოლეგებთან შეიძლება ხორციელდებოდეს კანონმდებელთა სხვადასხვა ფორმალური ჯგუფების საშუალებითაც. შტატების დელეგაციების უმრავლესობა ხშირად ხვდება ერთმანეთს წარმომადგენელთა პალატაში, რათა განიხილოს საერთო ინტერესებთან დაკავშირებული საკითხები. არსებობს ბევრი სხვა ჯგუფი და დახურული კრება, სადაც ერთობლივად მუშაობენ იმ საკითხებზე, რაც განსაკუთრებით აინტერესებთ მათ ან მათ ამომრჩეველებს. მაგალითად, წარმომადგენელთა პალატაში იმართება ორპარტიული დახურული კრებები, რომელთაგან ზოგიერთზე იხილავენ ქვანახშირისა და ფოლადის, სხვაზე კი – ირლანდიის საქმეებს. არსებობს ესპანურენოვან წარმომადგენელთა დახურული კრება, რომელიც სათავეში ჩაუდგა იმიგრაციისა და ორენოვანი განათლების საკითხების განხილვას. ბოლოს, პალატაში არსებობს კანონმდებელთა მხარდამჭერი ჯგუფები, როგორცაა *დემოკრატიის კელევის გკუფი* ან რესპუბლიკელების *კონსერვატიულ შესაძლებლობათა საზოგადოება* (ეს ორივე ჯგუფი წარმომადგენელთა პალატაშია).

კონგრესის აპარატი

კონგრესის თანამშრომლების რაოდენობა უკიდურესად გაიზარდა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. თუმცა, დღეისათვის იგი სტაბილური გახდა. 1950-იანი წლების შუახანებში წარმომადგენელთა პალატის თანამშრომელთა შტატი დაახლოებით 2 500 კაცს შეადგენდა. 1981 წლისათვის ეს ციფრი თითქმის 7 500-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში სენატის თანამშრომელთა რიცხვი 1000-დან 4 000-მდე გაიზარდა (იგივე რაოდენობა დარჩა დღემდე). ამ პერიოდში ასევე გაიზარდა კონგრესის კომისიებში მომუშავე პერსონალის რიცხვიც (Ornstein et al., 1990). თანამშრომლების გაზრდილი შტატი ეხმარება კონგრესის წევრებს უფრო ფართო მასშტაბის სამუშაოს შესრულებაში (იხ. თავი 9).

აპარატის თანამშრომლები წარმოადგენენ თავიანთი უფროსების ინტერესებს კანონპროექტის ყოველდღიური განხილვისას. მათი არსებობა სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ კონგრესმენებს და სენატორებს შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ ახალ-ახალ პრობლემებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ გავლენას კონგრესში და ამომრჩეველთა შორის. უფრო ზოგადად, როგორც ერთმა მკვლევარმა შენიშნა, „პერსონიზებული, დახელოვებული თანამშრომლების გამოყენებამ საშუალება მისცა კონგრესს შეენარჩუნებინა თავისი, როგორც ფედერალური პოლიტიკის უმთავრესი ინიციატორის, პოზიცია, მიუხედავად ამასრულებელი ხელისუფლების მხარდი გავლენისა“ (Malbin, 1980, p.240).

პრეზიდენტი

კონგრესის წევრებისგან განსხვავებით, რომლებსაც ცალკეული შტატების საარჩევნო ოლქებში ირჩევენ, პრეზიდენტს ირჩევს მთელი ქვეყნის მოსახლეობა. ამიტომ, პრეზიდენტს მეტი პრეტენზია აქვს წარმოადგენდეს ხალხს, ვიდრე კონგრესის ცალკეულ წევრს. თუმცა, ასევე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მთელ კონგრესს მეტი პრეტენზია აქვს წარმოადგენდეს ამომრჩეველთა უმრავლესობას, ვიდრე პრეზიდენტს. ასეა თუ ისე, პრეზიდენტები სარგებლობენ იმით, რომ ისინი მთელი ხალხის მიერ არიან არჩეულნი და ჩვეულებრივ იქცევიან ისე, თითქოს ისინი უმრავლესობის სახელით ლაპარაკობენ.

მეოცე საუკუნეში საზოგადოების იმედები იმის თაობაზე, უკრაოდენ ბევრის გაკეთება შეუძლია პრეზიდენტს თავის თანამდებობაზე, ძალიან გაიზარდა. ახლა იმასაც მოველით, რომ პრეზიდენტი ჩვენი მთავარი კანონმდებელი იქნება: წარმოადგენს კანონპროექტებს და გამოიყენებს თავის გავლენას კონგრესზე, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს ეს კანონპროექტები. ეს სრულიად განსხვავდება ისტორიული წარსულისგან, როცა ხელისუფლებათა გამიჯვნის კონსტიტუციური დოქტრინის გამო პრეზიდენტები შეზღუდულნი იყვნენ და კონგრესის წევრებთან მხოლოდ კონფიდენციალურად თანამშრომლობდნენ.


დღეს თეთრი სახლი დაუფარავად ერევა არა მარტო კანონპროექტების შემუშავებაში, არამედ საკანონმდებლო პროცესშიც. თუკი თეთრ სახლს არ მოსწონს კანონპროექტი, იგი ცდილობს გამონახოს კომპრომისი მთავარ კანონმდებლებთან, რათა მოხდეს კანონპროექტის შესწორება. ყველაზე მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვისას პრეზიდენტი, შესაძლოა, თვითონ შეხვდეს კანონმდებლებს, რათა დაარწმუნოს ისინი ხმა მისცენ ან არ მისცენ ამ კანონპროექტს.

კონგრესში მიმდინარე ყოველდღიური პროცესების მონიტორინგის და სამთავრობო პოლიტიკის საკითხების ფართო წრის ლობირების მიზნით, ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში მუშაობს საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობის ჯგუფი, რომელშიც ასობით მუშაკია ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმენები ხელმძღვანელ როლს ანიჭებენ პრეზიდენტს კანონპროექტის წარმოდგენის საკითხში, კონგრესი გულმოდგინედ იცავს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის გარშემო დებატების გამართვის, მისი შესწორების, მიღების ან ჩაგდების უფლებას. თუკი კონგრესი თვლის, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი მიუღებელია, პრეზიდენტსა და მას შორის ხშირად ხდება კონფლიქტი.

ოლქის ამომრჩეველები

ოლქის ამომრჩეველები არიან ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ და ხმას აძლევენ კანონმდებლებს საარჩევნო ოლქში ან შტატში. კონგრესის წევრებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ რა სურთ მათ ამომრჩეველებს ადგილებზე. თუკი კანონმდებლები ბევრ ხალხს გაანაწყენებენ იმით, თუ როგორ მისცემენ ხმას კენჭისყრისას, მომავალ არჩევნებში მათ შეიძლება დაკარგონ თავისი ადგილი.



კავშირის მდგომარეობა

კონსტიტუცია მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა დროდადრო მიაწოდოს კონგრესს ინფორმაცია კავშირის მდგომარეობის შესახებ და განსახილველად წარუდგინოს ის ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც თელის საჭიროა. ამ სურათზე პრეზიდენტი ქლინაინა ასრულებს ამ მოთხოვნას თავისი პირველი მიმართვისას

საკანონმდებლო გარემოს ყველა ამ ფაქტორის გავლენის გათვალისწინებისას არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ კანონმდებლებს საკუთარი ურყევი პრინციპებიც აქვთ. ისინი მოდიან კონგრესში დიდი სურვილით – იმუშაონ რომელიმე საკანონმდებლო საკითხის ირგვლივ და არ საჭიროებენ ზეწოლას იმ მიმართულებით, თუ როგორ იმოქმედონ ან მისცენ თუ არა ხმა ამა თუ იმ წინადადებას. რეალურად მოსალოდნელია, რომ კანონმდებელთა საკუთარი პრინციპები მკვეთრად განსხვავებულად ამომრჩეველთა სურვილებისგან. ეს პრობლემა მოგვიანებით იქნება განხილული ამავე თავში.

კანონმდებლებზე გავლენის ყველა შესაძლებელ წყაროს შორის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი? სამწუხაროდ, არ არსებობს ამის განსაზღვრის რაიმე საშუალება. ერთ-ერთ ძალიან საინტერესო გამოკვლევაში პოლიტოლოგმა ჯონ ქინგდონმა კითხვა დაუსვა წარმომადგენელთა პალატის წევრებს იმის თაობაზე, თუ როგორ უყალიბდებათ მათ აზრი სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით. მან აღმოაჩინა, რომ კოლეგები და ამომრჩეველები უფრო ხშირად ახდენენ მათზე გავლენას, ვიდრე სხვა ფაქტორები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. ქინგდონი, ამასთანავე, გვაფრთხილებს, რომ კონგრესში გადაწყვეტილების მიღების პროცესი რთულია და არცერთი ცალკე აღებული ფაქტორი არ არის იმდენად

მნიშვნელოვანი, რომ მხოლოდ მან მოახდინოს გაკლენა კონგრესმენებზე ხმის ამა თუ იმ გზით მიცემის დროს (Kingdon, 1981, p. 242).

საკანონმდებლო ზედამხედველობა

ვაშინგტონში ხშირად ამბობენ, რომ „ცოდნა ძალაა“. იმისათვის, რომ კონგრესმა შეინარჩუნოს გაკლენა მის მიერ შემუშავებულ პროგრამებზე, მან უნდა იცოდეს, თუ როგორ ხორციელდება ეს პროგრამები პასუხისმგებელი ორგანოების მიერ. ამ მიზნით კანონმდებლები და კომისიები აწარმოებენ ზედამხედველობას. ისინი სწავლობენ ამ სააგენტოების მუშაობას იმის განსაზღვრისთვის, ხორციელდება თუ არა ის კურსი, რომელსაც მოელის მათგან კონგრესი.

ზედამხედველობის ფუნქციას კონგრესი რამდენიმე გზით ახორციელებს. მათგან ყველაზე თვალსაჩინოა მოსმენა. მოსმენა შეიძლება იყოს მიმდინარე განხილვის ნაწილი ან იმ ინფორმაციის თანამდევი შედეგი, რომელიც ნათელს ჰყენს პროგრამასთან ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. კონგრესი სხვა საშუალებითაც ადგენებს თვალყურს სამინისტროებისა და სხვა ორგანოების მუშაობას. იგი ითხოვს მოხსენებით ბარათებს ცალკეული ორგანიზაციების საქმიანობისა და ღონისძიებების შესახებ. კონგრესის ზედამხედველობის დიდი ნაწილი ხორციელდება არაოფიციალური გზებითაც. მუდმივი კონტაქტები არსებობს კომისიის და ქვეკომისიის ლიდერებსა და აღმასრულებელი სააგენტოების ადმინისტრაციას შორის, აგრეთვე კომისიის აპარატსა და ამ სააგენტოების აპარატს შორის (Aberbach, 1990).

კონგრესის ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მკვეთრად გაიზარდა 1970-იანი წლების დასაწყისიდან. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მზარდი ფედერალური მთავრობის ზედამხედველობისთვის კონგრესმა შექმნა საჭირო აპარატი. 1970-იან წლებში ორგანიზაციათა საქმიანობისა და წინადადებების ყოვლისმომცველი ანალიზისთვის, კონგრესმენების პერსონალური და კომისიების აპარატის გარდა, კონგრესმა შექმნა კიდევ ორი ახალი სპეციალური ორგანო: *კონგრესის საბიუჯეტო სამსახური* და *ტექნიკური შეფასების სამსახური*. კონგრესისთვის საფუძვლიან გამოკვლევებს ასევე აწარმოებენ დიდი ხნის ისტორიის მქონე *მთავრობის სააღრიცხვო სამსახური* (Government Accounting Office - GAO) და *კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევითი სამსახური*.

კონგრესს დიდი ხნის განმავლობაში აკრიტიკებდნენ სუსტი ზედამხედველობისთვის. დღეს კი აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი ზედმეტად ერევა ადმინისტრაციული პოლიტიკის შემუშავებაში და რომ იგი დაკავებულია მიკრომმართველობით. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კონგრესი არღვევს ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპს იმით, რომ არ აძლევს სააგენტოებს იმის შესაძლებლობას, თავისი შეხედულებისამებრ განახორციელონ მათზე დაკისრებული პროგრამები.

განსაკუთრებით საინტერესოა კონგრესის მზარდი აგრესიულობა საგარეო

საქმეთა სფეროში. ეს უფლება დიდი ხნის განმავლობაში პრეზიდენტის კომპეტენციაში შედიოდა. 1970 წელს ნიქსონის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა გაემხილა კონგრესისთვის თავისი პოზიცია მოლაპარაკების შესახებ მანამ, სანამ არ დაიწყებოდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. თუმცა, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ამუშავებდა წინადადებას შეიარაღების შესახებ 1983 წელს, სენატორები უილიამ კონი და სემ ნანი მივიდნენ თეთრ სახლში, რათა აპარატის ხელმძღვანელთან, ჯეიმზ ბეიკერთან ერთად დაემუშავებინათ ეს საკითხი.

წარმომადგენლობის დილემა

წარმომადგენელთა პალატის ან სენატის არჩევნების მიმდინარეობისას კანდიდატები, ჩვეულებრივ, დებენ პირობას, რომ თავდაუზოგავად იმუშავებენ თავიანთი ოლქისა და შტატის ინტერესების დასაცავად. თუმცა, ვაშინგტონში ისინი დგებიან ხოლმე დილემის წინაშე (რომელზეც ამ თავის დასაწყისში გვქონდა საუბარი): ის, რაც უნდათ მათ ამომრჩევლებს, შეიძლება არ უნდოდეს მთელ ამერიკელ ხალხს.

პრეზიდენტები და „მაღაზიის პარკები“.

პოლიტოლოგი რიჩარდ ფენო თან ახლდა პალატის ზოგიერთ წარმომადგენელს თავიანთ მშობლიურ ოლქში მოგზაურობის დროს, როდესაც იგი აგროვებდა მასალას თავისი წიგნისთვის *“Home Style”*.

ერთ-ერთი მოგზაურობისას იგი აეროპორტში ელოდებოდა კონგრესმენისა და მისი თანაშემწის ჩამოფრენას ვაშინგტონიდან ჩამოსვლის შემდეგ კონგრესმენმა თქვა: „დღეს თხუთმეტი წუთი ველაპარაკე ტელეფონით პრეზიდენტს. მას საცოდავი ხმა ჰქონდა და რაღაცას მემუდარებოდა“. კონგრესმენი თავს გრძობდა გამარჯვებულად და გახარებული იყო. როდესაც თანაშემწის მანქანასთან მივიდა, კონგრესმენმა დაინახა, რომ მანქანა სავსე იყო საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი საგნებით: მაღაზიის პარკებით საყიდლებისთვის, რომლებზეც კონგრესმენის სურათი და სახელი იყო აღბეჭდილი. კონგრესმენის პატივისცემის ამ სახით გამოხატვა ქალაქიდან ქალაქში მეორდებოდა. „ყველაფერი მეორდება“ – ამოიოხრა შეწუხებულმა კონგრესმენმა (Fenno, 1978).

კონგრესის ყოველი წევრი ცხოვრობს ორ სამყაროში: პრეზიდენტების სამყაროში და ცელოფანის პარკების სამყაროში. კონგრესმენის ყველა კვირა ერთმანეთს ჰკავს: ვაშინგტონში მუშაობა, თვითმფრინავში ჩაჯდომა და თავის ოლქში ჩასვლა. აქ იგი ხვდება ცალკეულ ამომრჩევლებს და ესაუბრება მოქალაქეთა ჯგუფებს, ეკლესიის მრევლს, ბიზნესმენტა გაერთიანებებს, პროფკავშირის წევრებს და სხვებს. პალატის წევრის მუშაობის სტატისტიკური მაჩვენებლის თანახმად, არასაარჩევნო წელს იგი საშუალოდ 35-ჯერ ჩადის თავის ოლქში და მათთან მუშაობას საშუალოდ 138 დღეს ანდომებს (Ibid, p. 32).

კონგრესის წევრებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ადამიანები, რო-

მელთაც იგი უნდა წარმოადგენდეს, ვერ ახერხებენ მასთან შეხვედრას. ეს ბრალდება, როგორც ჩანს, უსამართლოა. კანონმდებლები ძალღონეს არ იშურებენ, რათა რაც შეიძლება მჭიდრო კონტაქტში იყვნენ ამომრჩევლებთან და იცოდნენ თუ რა აღელვებს მათ. უფრო ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათ ამ ცოდნის საფუძველზე.

მეურვეები თუ დელეგატები?

ვალდებული არიან თუ არა კონგრესის წევრები ხმა მისცენ იმას, რაც სურთ მათ ამომრჩევლებს მაშინაც კი როცა ეს მათ სინდისს ეწინააღმდეგება? ზოგიერთი ამბობს, რომ არ უნდა მისცენ: ისინი ამტკიცებენ, რომ კანონმდებელი თავისუფალი უნდა იყოს არჩევანის გაკეთებისას და უნდა შეეძლოს ხმა მისცეს იმას, რასაც საჭიროდ თვლის. ეს თვალსაზრისი დიდი ხნის განმავლობაში დაკავშირებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოსთან ედმუნდ ბერკთან. ბერკმა, რომელიც პარლამენტში მოღვაწეობდა, თავის ამომრჩევლებს ბრისტოლში უთხრა: „მართალია, პარლამენტის წევრს თქვენ ირჩევთ, მაგრამ არჩევის შემდეგ ის უკვე *პარლამენტის* წევრია და არა ბრისტოლისა“ (Bredvold and Ross, 1960, p. 148).

ბერკი თვლიდა, რომ ამომრჩევლები იმიტომ აგზავნიან თავის წარმომადგენლებს პარლამენტში, რომ ხმა მისცენ იმას, რასაც თვით ამომრჩევლები თვლიან უკეთესად. წარმომადგენლები როგორც მეურვეები, ვალდებული არიან მხედველობაში მიიღონ ამომრჩეველთა შეხედულებები, მაგრამ ხმის მიცემისას არ იმოქმედონ მათი სურვილების მიხედვით, თუკი თვლიან, რომ ეს შეხედულებები მცდარია.

სხვები ფიქრობენ, რომ კანონმდებელი ვალდებულია წარმოადგენდეს ამომრჩეველთა უმრავლესობის თვალსაზრისს, ვინაიდან იგი არის დელეგატი, რომელსაც ამომრჩევლის მხრიდან აქვს მითითება, თუ რას მისცეს ხმა. მათი აზრით, დელეგატები, მეურვეებისგან განსხვავებით, მზად უნდა იყვნენ მისცენ ხმა თავისი საკუთარი პრეფერენციების საწინააღმდეგოდაც.

ამგვარად, კონგრესის წევრებზე ორი ურთიერთსაპირისპირო ძალა მოქმედებს. მაშინ, როცა ამომრჩეველთა ინტერესები მათ დელეგატობისკენ ეწევა, ფართო ეროვნული ინტერესები მეურვეობისკენ მოუწოდებს. კონგრესმენის როლის ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო განსაზღვრებიდან გამომდინარე, ცხადია, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კონგრესი ცალსახად არც დელეგატების და არც მეურვეების ორგანო არაა. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამომრჩევლებისათვის ინტერესის მქონე საკითხების გადაწყვეტისას პალატის წევრებს უფრო მეტად დელეგატების როლის შესრულება სურთ (Miller and Stokes, 1963). თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ნათელი არ არის, თუ რა სურთ ამომრჩევლებს. ბევრი პრობლემა არც ისე კარგად იკვეთება ადგილებზე და, ამდენად, ამომრჩევლების ჯგუფებსაც განსხვავებული წარმოდგენა აქვთ. ამომრჩეველთა წერილები შეიძლება წარმოადგენდნენ ცალკეული აქტივისტების და არა საარჩევნო ოლქის მთელი მოსახლეობის ინტერესებს.

პლურალიზმი, მაჟორიტარიზმი და დემოკრატია

მეურვისა თუ დელეგატის როლის დილემა, რომლის წინაშეც დგებიან კონგრესის წევრები, უაღრესად დიდ გავლენას ახდენს იმ გზის არჩევაზე, რომლითაც უნდა იმართებოდეს ქვეყანა. თუკი კანონმდებლები მოქმედებენ, როგორც დელეგატები, პოლიტიკური კურსის შემუშავების პროცესი კონგრესში უფრო პლურალისტურია, ანუ პოლიტიკური კურსი ასახავს იმ შეთანხმების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელ კანონმდებელთა შორის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანონმდებლები მოქმედებენ როგორც მეურვეები და ხმას აძლევენ ისე, როგორც საკუთარი სინდისი კარანახობთ, კურსის შემუშავება ნაკლებად დაკავშირებული ცალკეული ოლქის ან შტატის ინტერესებთან. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ეს გადაწყვეტილება ასახავს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესს.

ამ თავს ჩვენ ვამთავრებთ კონგრესის პლურალისტური ბუნების მოკლე მიმოხილვით. თუმცა, შედარებისათვის, პირველ რიგში, მოკლედ უნდა განვიხილოთ უფრო მაჟორიტარული ტიპის საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი.

საპარლამენტო ხელისუფლება

ამერიკის საკანონმდებლო სისტემაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ფუნქციები განაწილებულია პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, რომელთა არჩევა ხდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს, როგორცაა ინგლისი და იაპონია, აქვთ საპარლამენტო ხელისუფლება. საპარლამენტო სისტემაში მთავარი აღმასრულებელი პირი, ამავე დროს, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელიცაა. საკანონმდებლო ორგანოში არჩევის შემდეგ მისი პარტია ფლობს იქ ადგილების უმეტესობას ან შეადგენს მმართველი კოალიციის უმეტესობას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველები ხმას არ აძლევენ პრემიერ-მინისტრს. ისინი ხმას აძლევენ მხოლოდ პარლამენტის წევრობის კანდიდატს. ამდენად, თავის ადგილობრივ საოლქო არჩევნებში მათთვის სასურველი პარტიის კანდიდატისთვის ხმის მიცემით ისინი არაპირდაპირ გავლენას ახდენენ პრემიერ-მინისტრის არჩევნებზე.

ვინაიდან უმრავლესობის პარტიის ლიდერი, ამავე დროს, მთავრობის მეთაურიცაა, მთავრობის ძალაუფლება საპარლამენტო სისტემაში, ძირითადად, თავმოყრილია საკანონმდებლო ორგანოებში. უფრო მეტიც, საპარლამენტო საკანონმდებლო ორგანოები ძირითადად შედგება ერთი პალატისგან ან შეიძლება პქონდეს მეორე პალატაც, რომელიც პირველზე ბევრად სუსტია (ბრიტანეთის პარლამენტში თემთა პალატა ღებულობს სამთავრობო გადაწყვეტილებებს, ლორდთა პალატა კი საზოგადოების გარკვეულ, ხშირად, თვალსაჩინო წევრთა სადისკუსიო კლუბი უფროა, ვიდრე საკანონმდებლო ორგანო). საპარლამენტო ხელისუფლების დროს, როგორც წესი, არ არსებობს ისეთი სასამართლო, რომელმაც შეიძლება არაკანონიერად ცნოს პარლამენტის მიერ მიღებული აქტები.

ამ სისტემაში ხელისუფლება იმ პარტიის ხელშია, რომელიც აკონტროლებს პარლამენტს. სახელმწიფო ხელისუფლებათა გაუმიჯვნელობის პირობებში ხელისუფლების საქმიანობა ნაკლებად გაკონტროლდება. საბოლოო შედეგი ის არის, რომ საპარლამენტო ხელისუფლება გაცილებით უფრო მიესადაგება დემოკრატიის მაჟორიტარულ მოდელს, ვიდრე საკონგრესო ხელისუფლება.

პლურალიზმი მაჟორიტარიზმის წინააღმდეგ კონგრესში

დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ იგი უფრო პლურალისტურია, ვიდრე მაჟორიტარული. აქტუალური თემა ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი. ამერიკელები შეშფოთებული არიან იმ დიდი დეფიციტის გამო, რომელმაც უკანასკნელ წლებში საგრძნობი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ბიუჯეტს. კონგრესში დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც გამუდმებით მოუწოდებენ დეფიციტის შემცირებისკენ. თუმცა, როდესაც კონგრესის წინაშე წარადგინენ ხარჯების კანონპროექტებს, კანონმდებლები იწყებენ იმაზე ფიქრს, თუ რას მოუტანს ან არ მოუტანს ესა თუ ის კანონპროექტი მათ ოლქს ან შტატს. 1988 წელს კონგრესის მიერ დამტკიცებული იქნა 604-მილიონიანი ხარჯების კანონპროექტი. იგი მოიცავდა ცალკეული კონგრესმენების მიერ „მოპოვებულ“ უამრავ პროექტს, რომლებსაც სარგებლობა მოჰქონდა მათი ოლქისათვის და შტატისთვის. მაგალითად, რესპუბლიკელმა სენატორმა ჯეიმზ მაკლურმა მოიპოვა 6,4 მილიონი დოლარის სუბსიდია, რათა აუშენებინა სამთო-სათხილამურო კურორტი კელოგში, აიდაჰოს შტატში. დემოკრატმა კონგრესმენმა დენიელ აკაკამ მიიღო 250 ათასი დოლარის ოდენობის უპროცენტო სესხი გარეული ღორებისა და მცენარეული საფარის კონტროლისათვის ჰალიეკალას ნაციონალურ პარკში, ჰავაიზე. რესპუბლიკელმა სენატორმა თელ სტივენსონმა მოუტანა 2,6 მილიონი დოლარი თევზის რეწვის განვითარების ფონდს ალასკაზე. ეს ყველაფერი კი ბიუჯეტის დეფიციტს ზრდის.

ამის მსგავსი პროექტები ბიუჯეტში მოხვდა კონგრესმენებს შორის გარეგების საშუალებით. ადრე ამ თავში თქვენ ნახეთ, რომ კონგრესში ქცევის ნორმები ამის საშუალებას იძლევა. კონგრესის წევრები ცდილობენ მოიპოვონ ისეთი პროექტები და პროგრამები, რომლებიც სარგებელს მოუტანენ მათ ამომრჩევლებს და, ამავე დროს, წაადგებათ თვით მათ არჩევნების დროს. იმისათვის, რომ მოიპოვოს მისი საკუთარი ამომრჩევლებისათვის სასარგებლო პროექტი, კონგრესის წევრს უნდა სურდეს სხვა კანონმდებლის პროექტისათვის ხმის მიცემა. ამ ტიპის სისტემა აშკარად ხელს უწყობს პლურალიზმს.

ზოგი გრძნობს, რომ კონგრესი იძულებულია ნაკლებად პლურალისტური იყოს, თუკი იგი აპირებს ისეთი სერიოზული პრობლემის მოგვარებას, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

ისინი კი, ვინც პლურალიზმის მომხრეები არიან, მონდომებით აღნიშნავენ კონგრესის ღირსებებს. მაგალითად, ბევრი საარჩევნო ოლქი კარგად სარგებლობს მათზე გაწეული ხარჯებით. ალასკელი მეთევზეებისთვის, მათი მრეწველობისთვის ახალი ბაზების მშენებლობის უზრუნველსაყოფად გაწეული ხარ-

ჯები არ არის უაზრო დანაკარგი: მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ. მეთევზეები იხდიან გადასახადებს მთავრობის დასაფინანსებლად, და, ამდენად, უფლებაც აქვთ მოსთხოვონ მთავრობას მათ პრობლემებზე ზრუნვა და დახმარება.

პლურალიზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ კონგრესის შემადგენლობა ასახავს მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებულ მრავალფეროვნებას, მისი წევრები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო, გაზისა და ნავთობმომპოვებელ, ინდუსტრიულ რეგიონებს, დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეებს და ა. შ. ისინი მიუთითებენ, რომ ამერიკა თვით არის პლურალისტური ქვეყანა და, თუკი „ჩვენი კონგრესმენები არ დაიცავენ ჩვენს ინტერესებს, ამას კონგრესის რომელიმე სხვა წევრი გააკეთებს.“

პლურალისტური საკანონმდებლო ორგანოს ალტერნატივაა, იმოქმედოს ზუსტად მაჟორიტარული პრინციპების შესაბამისად. იმისათვის, რომ ამ სახის სისტემამ იმუშაოს, ჩვენ დაგვჭირდებოდა ძლიერი პარტიები, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონგრესმენობის კანდიდატებს თითოეული პარტიიდან თავის საარჩევნო პროგრამაში შედარებით ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონდეთ მთავარი საკითხების მიმართ. მაშინ უმრავლესობის პარტია კონგრესში იმოქმედებდა ამომრჩევლებისგან მიღებული იმპერატიული მანდატის საფუძველზე, იმ მთავარ საკითხებთან მიმართებაში მაინც, რომლებიც საარჩევნო კამპანიის ცენტრში იდგა. ეს სრულიად განსხვავებული რამ იქნებოდა დღეს ამერიკაში არსებული პლურალისტური სისტემისგან, რომელიც აძლიერებს დაინტერესებული ჯგუფებისა და ადგილობრივი ამომრჩევლების გავლენას ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე. თუმცა, ძნელი სათქმელია, რომელია უკეთესი.

შეჯამება

კონგრესი ამერიკის ხელისუფლებაში წამყვან როლს თამაშობს მისი კანონმდებელი ფუნქციის გამო. იგი ადგენს ქვეყნის კანონებს და ცდილობს თვალყური ადევნოს მათ განხორციელებას. ეს კონტროლი გვეხმარება, გავერკვეთ იმ ახალ საკითხებში, რომლებიც წინდება პოლიტიკური დღის წესრიგში. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ კონგრესის წევრები წარმოადგენენ ამომრჩევლებს, მუშაობენ იმაზე, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის ყველა კუთხის ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესები.

ჩვენ ბევრს ვითხოვთ კონგრესისგან. ამიტომ იმის კრიტიკა, თუ რამდენად კარგად

ართმევს იგი თავს ამ სამუშაოს, გარდაუვალია. თუმცა, გარკვეული დადებითი შედეგებიც არის. კომისიების სისტემა ხელს უწყობს კომპეტენციის ამძლევას. წარმომადგენლებსა და სენატორებს, რომლებმაც უფრო მეტი იციან ცალკეული საკითხის შესახებ, მეტი გავლენა აქვთ ამ საკითხის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღებაზეც. ამერიკული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს კანონმდებლების ძუღლს, მჭიდრო ურთიერთობას ამომრჩევლებთან.

კონგრესში, პოლიტიკის შემუშავების პროცესში, დიდ როლს თამაშობს „გარიგება“ და კომპრომისი. ზოგი ფიქრობს, რომ ეს შემაშფოთებელია. მათ ნაკლებად

უნდათ გარიგება და უფრო მეტად – ერთგულება პრინციპებისადმი. ეს აზრი ძირითადად შეესაბამება მაჟორიტარულ დემოკრატიას. სხვები კი, იცავენ რა დღევანდელ სისტემას, ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატები არის დიდი, რთული ქვეყანა და რომ ის პოლიტიკური კურსი, რომელიც მართავს მას, უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ინტერესების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

არ არსებობს მოკლე და ზუსტი პასუხი იმაზე, თუ რომელი საკანონმდებლო სისტემა უზრუნველყოფს უფრო კარგ წარ-


მომადგენლობას ამომრჩევლებისთვის – მაჟორიტარული თუ პლურალისტური. ამერიკის პოლიტიკური სისტემა პლურალისტურია. იგი ემსახურება სხვადასხვა უმცირესობების ინტერესებს, რომელიც სხვა მხრივ უგულვებელყოფილი ან სულაც დათრგუნული იქნებოდა უმრავლესობის მხრიდან. თუმცა, არსებობს იმის საფუძველიანი არგუმენტიც, რომ კონგრესის მხრიდან ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე რეაგირება ამერიკელთა უმრავლესობის ხარჯზე ხდება.

საკვანძო ტერმინები

გადანაწილება
 იმპიჩმენტი
 საარჩევნო ოლქებად ხელახალი დაყოფა
 ჯერიმანდერინგი
 დაფრანკის პრივილეგია
 ქეისუორკი
 კანონპროექტი
 დღის წესრიგი
 ვეტო
 ჯიბის ვეტო
 კანონმდებლობის პაკეტი
 მუდმივმოქმედი კომისია
 ერთობლივი კომისია
 შერჩეული კომისია
 შემთანხმებელი კომისია
 სტაჟი
 პალატის სპიკერი
 პარტიული თავბირი
 უმრავლესობის ლიდერი
 ობსტრუქცია
 კამათის შეწყვეტა
 ოლქის ამომრჩევლები
 ზედამხედველობა
 მიკრომართველობა
 მეურვეები
 დელეგატები
 საპარლამენტო სისტემა

reapportionment
 impeachment
 redistricting
 gerrymandering
 franking privilege
 casework
 bill
 agenda
 veto
 pocket veto
 omnibus legislation
 standing committee
 joint committee
 select committee
 conference committee
 seniority
 speaker of the House
 caucus
 majority leader
 filibuster
 cloture
 constituents
 oversight
 micromanagement
 trustees
 delegates
 parliamentary system

საპრეზიდენტო ხელისუფლება



9

„დააკვირდით ჩემი ტუჩების მოძრაობას: „არავითარი ახალი გადასახადები!“ – ეს სიტყვები ჯორჯ ბუშმა წარმოთქვა 1988 წელს რესპუბლიკელთა პარტიის ყრილობაზე, ნიუ-ორლეანში. ამით მან მსოფლიოს განუცხადა, რომ შეინარჩუნებს მისი პარტიის ყველაზე „ძვირფას იერსახეს“: რესპუბლიკელთა პრეზიდენტობის კანდიდატი გადასახადების გაზრდის წინააღმდეგი იყო!

რონალდ რეიგანმა მოსწრებულად შეარქვა სახელი დემოკრატებს – „დაბეგერის და ფლანგვის პარტია“. რეიგანის ადმინისტრაციის პერიოდში გადასახადები მნიშვნელოვნად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ბუში გრძნობდა, რომ „არავითარი ახალი გადასახადების“-ს პოზიციაზე დგომა არ იყო საკმარისი. თავისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს მან წამოაყენა წინადადება შეემცირებინათ გადასახადი კაპიტალიდან შემოსავალზე, რომლის მიღება ხდება ისეთი აქტივების – როგორცაა აქციები და უძრავი ქონება – რეალიზაციიდან. ეს წინადადება მიმზიდველი იქნებოდა იმ ადამიანებისათვის, ვისაც გააჩნია საინვესტიციო სახსრები, მაგრამ არა ამერიკელთა იმ უძრავლესობისათვის, რომლებიც კვირიდან კვირამდე ხელფასზე ცხოვრობენ.

ბუშმა თითქმის შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირება. 1989 წლის შემოდგომაზე წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც

კაპიტალიდან შემოსავალზე უფრო ნაკლები გადასახადები დაწესდა, ვიდრე ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალზე. ასეთი ორსაფეხურიანი საგადასახადო სისტემა ადრეც არსებობდა, ოღონდ რამდენიმე წლის წინ იგი გაუქმდა საგადასახადო სისტემის რეფორმის კანონით. სენატის უმრავლესობა მხარს უჭერდა კაპიტალიდან შემოსავალზე გადასახადის შემცირებას, მაგრამ დემოკრატიების ლიბერალური ფრთა ობსტრუქციით დაემუქრა სენატს. ამიტომ რესპუბლიკელებმა ამჯერად უკან დაიხიეს, მაგრამ დაპირდნენ, რომ მომავალ წელს ისინი იმავე წინადადებას შემოიტანდნენ.

დავა კაპიტალიდან შემოსავალზე გადასახადის შემცირების შესახებ ნათლად ასახავს ჩვენს პარტიულ სისტემაში არსებულ ტრადიციულ განხეთქილებას. რესპუბლიკელები ხაზს უსვამდნენ, რომ კაპიტალიდან შემოსავალზე გადასახადის შემცირება ბიძგს მისცემს ეკონომიკურ აღმავლობას: ბიზნესმენებს მეტი სტიმული ექნებათ დააბნდნენ ფული გრძელვადიან წამოწყებებში; დემოკრატები კი აცხადებდნენ, რომ ეს ნიშნავს გადასახადების შემცირებას მხოლოდ შეძლებულთათვის.

1990 წელს ბუში კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს. მისი დაბრუნება „არავითარი ახალი გადასახადები“-ს – პოზიციაზე გამოიწვია იმ მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რომელიც მოხდა ძალთა თანაფარდობაში. ამ ცვლილებების მიზეზები იყო უზარმაზარი ფედერალური დეფიციტი და რესპუბლიკელთა და დემოკრატთა შეუთანხმებლობა ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით. ბუში იმედოვნებდა, რომ ზოგიერთი გადასახადის გაზრდის საქმეში მისი მხარდაჭერის საფასურად დემოკრატები, შესაძლებელია, დათმობაზე წასულიყვნენ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, კაპიტალის შემოსავალზე გადასახადის შემცირების საკითხში. მიუხედავად ამისა, დემოკრატები კვლავ ამ გადასახადის შემცირების წინააღმდეგი იყვნენ. ბუში ისევ დათმობაზე წავიდა, იგი დაეთანხმა კონგრესის ლიდერებს საბიუჯეტო ღონისძიებების სისტემის თაობაზე, რომლებიც ითვალისწინებდნენ გადასახადების საკმაო გაზრდას და ბიუჯეტის შეკვეცას, რათა ხუთი წლის განმავლობაში ხუთასი მილიარდით შეემცირებინათ დეფიციტი.

მაგრამ ეს საბიუჯეტო გარიგებაც მალე ჩაიშალა. რესპუბლიკელები კონგრესში აჯანყდნენ, რადგან ეს პროექტი ზრდიდა გადასახადებს და არ ქმნიდა არავითარ სტიმულს კაპიტალდაბანდებათა ზრდისათვის (რომელსაც მისცემდა კაპიტალიდან შემოსავალზე გადასახადის შემცირება). დემოკრატები კი აჯანყდნენ, რადგან გადასახადების გაზრდა უმძიმესი დარტყმა იქნებოდა მშრომელი კლასებისათვის. ბუში ტელევიზიით გამოვიდა და სთხოვა ამერიკელ ხალხს მხარი დაეჭირა მისთვის: „თუ ჩვენ ვერ შევძელით ამ შეთანხმების კანონად მიღება, ეკონომიკა შეირყევა, ბაზარი შეიძლება აირიოს, რასაც ეკონომიკური კრიზისი მოჰყვება“ – თქვა მან. ბუშის სიტყვამ უარყოფითი შედეგი გამოიღო, უამრავი ამერიკელი წერილებს წერდა და ურეკავდა თავიანთ წარმომადგენლებს კონგრესში, რათა ეთქვა მათთვის, არ მიეცათ ხმა კანონის პაკეტისათვის. პალატამ არ მიიღო ბიუჯეტის კანონპროექტი და ბუშს მწვავე დამარცხება აეგმა.

შემდგომში მოვლენები ბუშისთვის კიდევ უფრო არასასიკეთოდ წარიმართა.

გათამამებულმა იმით, რომ ბუშის საბიუჯეტო კანონის პაკეტი უარკვევს, დემოკრატიკებმა „მუშტების ქნევა“ დაუწყეს რესპუბლიკელებს: მათ მდიდრების პარტიას ეძახდნენ. ამან ამერიკელების მგრძობიარე სიმი გააღიზიანა და ბუშსა და რესპუბლიკელებს თავდაცვითი პოზიციის დაჭერა მოუხდათ.

დემოკრატიკებმა წარმოადგინეს კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ზრდიდა გადასახადებს შეძლებულთათვის და ამცირებდა მას საშუალო ფენის წარმომადგენელთათვის. რესპუბლიკელებმა სწრაფად გაიაზრეს, რომ მდიდრებისათვის გადასახადის გაზრდა გარდუვალი იყო. თუმცა, თუკი ბუში დათმობდა პოზიციას მდიდრებისთვის გადასახადების გაზრდის საკითხში, მას, შესაძლებელია, სამაგიეროდ მიეღო რაიმე, მაგალითად, კაპიტალიდან შემოსავლის გადასახადის შემცირება.

ძნელი დასადგენი იყო, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ბუში. მას შემდეგ, რაც მან თქვა, რომ დათანხმდებოდა კაპიტალიდან შემოსავლის გადასახადის შემცირების სანაცლოდ მდიდრებისათვის გადასახადის გაზრდას, მან იმავე დღეს შეიცვალა აზრი. შემდეგ, მეორე დღეს, ისევ სხვა აზრზე იდგა. ამ ორჭოფობამ კიდევ უფრო შეამცირა მორიგების შანსი ბუშისათვის. ბიუჯეტის კანონპროექტი, რომელიც ბოლოსდაბოლოს მიიღეს, შეიცავდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს კაპიტალიდან შემოსავლის დაბეგერის სისტემაში. დემოკრატიკებმა აშკარა გამარჯვება მოიპოვეს.

ცხადია, ის, რაც დემოკრატიკებმა მოიმოქმედეს, იყო მაჟორიტარული პოლიტიკის გათამამება. თუკი პოლიტიკასა და არჩევნებს გადაეკცევთ რეფერენდუმად იმის შესახებ, თუ რა არის უკეთესი დაბალი შემოსავლის მქონე ამერიკელებისთვის და რა არის უკეთესი შეძლებულთათვის, მაშინ პარტიას, რომელიც იცავს ნაკლები შემოსავლის მქონე მრავალრიცხოვანი ადამიანების ინტერესებს, უპირატესობა გააჩნია.

ვანალიზებთ რა საპრეზიდენტო ხელისუფლების სხვადასხვა წახნაგებს, პერიოდულად ჩნდება კითხვა: არის თუ არა საპრეზიდენტო ხელისუფლება უმთავრესად პლურალისტური დემოკრატიის ინსტრუმენტი, რომელიც ემსახურება მცირერიცხოვან, მაგრამ საკუთარი აზრის გამოხატვის უნარის მქონე ამომრჩეველებს, თუ ეს თანამდებობა უზრუნველყოფს მაჟორიტარულ დემოკრატიას, რომელიც უპირატესად ფართო საზოგადოებრივი აზრის ინტერესებს პასუხობს?

ამ საკითხის განხილვასთან ერთად წინამდებარე თავში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ საპრეზიდენტო ხელისუფლების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზეც. როგორია საპრეზიდენტო უფლებამოსილებანი? როგორ არის ორგანიზებული პრეზიდენტის მრჩეველთა ინსტიტუტი? რა გავლენას ახდენს ხელისუფლებათა გამიჯვნა საკანონმდებლო და აღმასრულებელ განსტოებებად საშინაო პოლიტიკაზე? და ბოლოს, რა განსაკუთრებული საკითხებისა და პრობლემების წინაშე დგებიან პრეზიდენტები საგარეო საქმეებში?

საპრეზიდენტო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძველი

კოლონიებს ახალი დამთავრებული ჰქონდათ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, როცა შეიქმნა პრეზიდენტის ინსტიტუტი. კოლონიების რეაქცია ინგლისის ბატონობაზე მიმართული იყო მეფე ჯორჯ III ავტოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. ამდენად, კონსტიტუციური კონვენტის დელეგატები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ არაკონტროლირებად ხელისუფლებას და გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ შეექმნათ ყოვლისშემძლე, დიქტატორული საპრეზიდენტო ხელისუფლება.

დელეგატებს, ერთის მხრივ, ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების შიში ჰქონდათ, მეორეს მხრივ, მათ უნდოდათ ჰყოლოდათ ძლიერი ხელმძღვანელობა. „კონფედერაციის მუხლებმა“, რომლებიც არ ითვალისწინებდა სახელმწიფოს მეთაურს, ვერ მოახერხა შტატების შეკავშირება ერთ გაერთიანებულ სახელმწიფოდ (იხ. თავი 2). ჯონ ჯეიმ, რომელიც გულისხმობდა კონფედერაციის მარცხს, მისწერა ჯორჯ ვაშინგტონს: „მეფე ხომ არ ვიყოლიოთ?“ (Kocny, 1981, p.20).

მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხელისუფლების იდეა არააპოპულარული იყო დელეგატთა შორის, ამ უკანასკნელთ ესმოდათ, რომ უნდა შექმნილიყო გარკვეული ტიპის აღმასრულებელი ორგანო. მათი ამოცანა იყო ძლიერი ხელისუფლების უზრუნველყოფა, ოღონდ ისე, რომ არ დაეშვათ ტირანია.

საპრეზიდენტო ხელისუფლების საწყისი კონცეფციები

დაიწყო დებატები ამ ორგანოს ხასიათის ირგვლივ. უნდა იყოს ერთი პრეზიდენტი, საპრეზიდენტო საბჭო თუ კომიტეტი? პრეზიდენტი უნდა აირჩიოს კონგრესმა თუ არა? უნდა იყოს თუ არა პრეზიდენტი პასუხისმგებელი ამ ორგანოს წინაშე?

საპრეზიდენტო ხელისუფლების საბოლოო სტრუქტურა ასახავდა ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების ფილოსოფიას, რომელიც გასდევდა მთელ კონსტიტუციას. საპრეზიდენტო ხელისუფლება მნიშვნელოვნად იზღუდებოდა იმ უფლებამოსილებებით, რომლებიც სპეციალურად მიენიჭა კონგრესსა და სასამართლოს. ამ ურთიერთგამაწონასწორებელ ძალებს უნდა ემოქმედათ როგორც პრეზიდენტის მაკონტროლებლებს, რამდენადაც მას (პრეზიდენტს) შეიძლება მოენდომებინა თავისი ხელისუფლების გაფართოება.

პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

პრეზიდენტისადმი წაყენებული მოთხოვნები ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის მეორე მუხლის დასაწყისში. პრეზიდენტი უნდა იყოს აშშ-ს მოქალაქედ დაბადებული, სულ ცოტა 35 წლისა, რომელსაც აშშ-ში 14 წელი მაინც უცხოე-

რას შვედარობთ? 9.1.**როგორი გამოცდილება ფასობს?**

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატები ფასობენ უმეტესად თავისი მიღწევებით და პოლიტიკური გამოცდილებით. მიუხედავად ამისა, მათი ევროპელი კოლეგები ჯაბნინა მათ, სამთავრობო საქმიანობაში მუქი გამოცდილების თვალსაზრისით. წინასწარ ჩვენო კამპანიის ჩატარების უნარი გადამწყვეტი ფაქტორია ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების პროცედურაში გამარჯვების მისაღწევად. საკმაოდ დიდი გამოცდილება მრავალრიცხოვან ამომრჩეველთა დარწმუნება იმაში, რომ შენი კანდიდატურა უკეთესია სხვა, ასევე უნარიან, კანდიდატებთან შედარებით, ანდა ის, რომ აწარმოო ხანგრძლივი საარჩევნო კამპანია და შექმნა გამარჯვების მომტანი კოალიცია. კანდიდატის ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილებას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს ამერიკელი ამომრჩევლისთვის, რომელიც დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მის რჩეულს შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება. მიუხედავად ამისა, კანდიდატებს, რომლებსაც მთავრობაში მუშაობის შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვთ და შედარებით ნაკლებ ხანს უმუშაოთ ხელისუფლების ორგანოებში, როგორც, მაგალითად, ჯიმი კარტერს და რონალდ რეიგანს, მანაც შეუძლიათ გაიმარჯვონ პირველად არჩევნებში და გახდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთი პარტიიდან.

ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში განსხვავებულ სურათს ვხვდებით. პარტიის აქტივისტებმა, რომელთაც სურთ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავება საპარლამენტო სისტემის პირობებში, უნდა მიაღწიონ მხარდაჭერას თავიანთი პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში. აღწევენ რა პარტიული იერარქიის მაღალ საფეხურებს მაშინ, როდესაც მათი პარტია აკონტროლებს მთავრობას, ამ ლიდერებს, ჩვეულებრივ, მაღალი თანამდებობა უკავიათ სახელმწიფო სტრუქტურაში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრის თანამდებობის მაკისებელი, ხანამ იგი პარტიის ლიდერი გახდება პარლამენტში, საშუალოდ თორმეტი წელი უნდა იყოს ნამუშევარი მინისტრად. ამერიკაში კი, პირიქით, როგორც წესი, პრეზიდენტობის კანდიდატებს არა აქვთ კაბინეტში მუშაობის გამოცდილება. თუმცა, მათ, როგორც გუბერნატორებს, შეიძლება აქონდეთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილება.

ღიაგრამა გვიჩვენებს, რომ ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს მთავრობაში მუშაობის გაცილებით ნაკლები გამოცდილება აქვთ, ვიდრე ევროპულ პოლიტიკურ ლიდერებს.

(გაგრძელება იქნება)

რია. პრეზიდენტის მოვალეობები ამავე მუხლშია ჩამოყალიბებულია. თუ გავითვალისწინებთ ამ თანამდებობის მნიშვნელობას, პრეზიდენტის მოვალეობის აღწერა, რომელიც კონსტიტუციაშია მოცემული, საოცრად მოკლე და ბუნდოვანია. ამ ბუნდოვანებამ გამოიწვია მუდმივი კონფლიქტები პრეზიდენტის უფლებამოსილებათა საზღვრების თაობაზე.


პრეზიდენტის მთავარი მოვალეობები და უფლებები, რომლებიც ჩამოთვლილია კონსტიტუციაში, შეიძლება შემდეგნაირად შევჯავამოთ:

- იგი არის სახელმწიფოს აღმასრულებელი მეთაური. კონსტიტუცია იძლევა მცირე განმარტებას პრეზიდენტის ადმინისტრაციული მოვალეობის შესახებ. იგი მარტივად ადგენს, რომ „აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს“, და რომ მან უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ „კანონები კეთილსინდისიერად იქნეს აღსრულებული“. ეს დაუზუსტებელი დირექტივები გაგებულ იქნა იმ მნიშვნელობით, რომ

პრეზიდენტმა უნდა უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს სხვადასხვა დეპარტამენტებს, სააგენტოებს და კონგრესის მიერ შექმნილ პროგრამებს. პრაქტიკულად, მთავარი აღმასრულებელი ხელისუფალი გაცილებით მეტ დროს უთმობს თავისი კაბინეტის დეპარტამენტებისა და სააგენტოებისათვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას, ვიდრე არსებული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას;

- *იგი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.* მართალია, კონსტიტუცია შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირად პრეზიდენტს მიიჩნევს, მაგრამ ომის გამოცხადების უფლებას კონგრესს ანიჭებს. ეჭვგარეშეა, რომ კონსტიტუციის დამფუძნებლები მიზნად ისახავდნენ პრეზიდენტის სამხედრო ძალაუფლებაზე დაეწესებინათ კონგრესის კონტროლი. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტებს სამხედრო ოპერაციები კონგრესთან შეუთანხმებლადაც წამოუწყიათ. ვიეტნამის მთელი ომი კონგრესის მიერ ომის გამოცხადებლად მიმდინარეობდა (მაგრამ, 1990 წელს, კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სპარსეთის ყურეში ძალის გამოყენების უფლებას იძლეოდა მანამდე, სანამ კოალიცია ამერიკის მეთაურობით აქ საომარ მოქმედებას წამოიწყებდა);
- *მას შეუძლია მოიწვიოს კონგრესი.* პრეზიდენტი უფლებამოსილია მოიწვიოს კონგრესის სპეციალური სესია „განსაკუთრებულ შემთხვევაში“, თუმცა ეს ძალზე იშვიათად მომხდარა. მან, ასევე, პერიოდულად უნდა აცნობოს კონგრესს, „კაეშირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“;
- *მას აქვს ვეტოს უფლება.* პრეზიდენტს შეუძლია ვეტო დაადოს – არ დაამტკიცოს – კონგრესის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონპროექტი ან რეზოლუცია. გამონაკლისს წარმოადგენს ორივე პალატის ერთობლივი რეზოლუციები კონსტიტუციაში შესწორების შეტანის თაობაზე. კონგრესს შეუძლია გააუქმოს პრეზიდენტის ვეტო თითოეულ პალატაში ხმების 2/3-ით;
- *იგი ნიშნავს სხვადასხვა თანამდებობის პირებს.* პრეზიდენტი უფლებამოსილია დანიშნოს ფედერალური სასამართლოს მოსამართლეები, ელჩები, კაბინეტის წევრები, პოლიტიკის სხვა მთავარი შემუშავებლები და ბევრი შედარებით დაბალი თანამდებობის პირი. მათი უმრავლესობა სენატმა უნდა დაამტკიცოს;
- *იგი დებს ხელშეკრულებებს.* დამსწრე სენატორთა 2/3-ის, „რჩევით და თანხმობით“ პრეზიდენტს შეუძლია დადოს ხელშეკრულებები უცხო სახელმწიფოებთან. პრეზიდენტმა ასევე უნდა „მიიღოს ელჩები“ – ფრაზა, რომელიც პრეზიდენტებმა გაიგეს, როგორც სხვა სახელმწიფოთა ცნობის უფლება;
- *მას აქვს შეწყალების უფლება.* პრეზიდენტს შეუძლია შეიწყალოს ის პიროვნებები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული აშშ-ის წინააღმდეგ, იმპიჩმენტის შემთხვევების გარდა.

რას შევადაროთ? 9.1. (გაგრძელება)



მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლიტიკური ლიდერების პრაქტიკული საქმიანობის საშუალო სტაჟი (წლებში)

- აშშ (პრეზიდენტობის კანდიდატები, 1945 წლიდან)
- ▨ შეერთებული სამეფო (ნამყვანი პარტიების ლიდერები 1945 წლიდან)
- ▤ დასავლეთ გერმანია (ნამყვანი პარტიების ლიდერები 1949 წლიდან)
- საფრანგეთი (პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები 1958 წლიდან)

* აშშ-ს მონაცემები შეიცავს პრაქტიკული საქმიანობის სტაჟს შტატის დონეზე.

წყარო: Richard Rose "Learning to Govern or Learning to Campaign?" in: *Presidential Selection*, ed. Alexander Heard and Michael Nelson (Durham, N.C.: Duke University Press. 1987), pp. 53-73.

პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გაფართოება

კონსტიტუციის დამფუძნებელთა მიერ პრეზიდენტის როლის შეზღუდული გაგება შეიცვალა მისი მნიშვნელოვნად უფრო გაფართოებული ინტერპრეტაციით. ამ განყოფილებაში ჩვენ ვნახავთ, რა დგას კონსტიტუციაში პრეზიდენტის გარკვევით ჩამოყალიბებული მოვალეობების მიღმა და განვიხილავთ უფლებამოსილებათა იმ დამატებით წყაროებს, რომლებიც გამოიყენეს პრეზიდენტებმა თავიანთი თანამდებობის როლის გასაფართოებლად. პირველად ჩვენ განვიხილავთ პრეზიდენტის პრეტენზიებს კონსტიტუციაში ნაგულისხმევი „ხელშეუვალი“ უფლებების მიმართ; შემდეგ მივუბრუნდებით კონგრესის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის უფლებამოსილებათა გადაცემას; მესამე

საკითხი ის არის, თუ რა გავლენა აქვს პრეზიდენტის პოლიტიკურ ოსტატობას ქვეყნის პოლიტიკურ მართვაზე; და ბოლოს, ჩვენ გვაანალიზებთ, თუ როგორ გავლენას ახდენს პრეზიდენტისადმი სახალხო მხარდაჭერა მის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე.

ხელშეუვალი უფლებები

ზოგიერთმა პრეზიდენტმა გააფართოვა თავისი უფლებები ისეთი საშუალებებით, რომლებიც აღემატებოდა პრეზიდენტისათვის დადგენილ უფლებამოსილებას. პრეზიდენტები ამართლებდნენ თავიანთ ასეთ ქცევას იმით, რომ ეს ქმედება მათი თანამდებობის ხელშეუვალი უფლებებში შედის. ასეთი ფართო გაგებით საპრეზიდენტო ძალაუფლება გამომდინარეობს არა მარტო კონსტიტუციის მეორე მუხლში ნათლად ჩამოყალიბებულ მოვალეობათა ნუსხიდან, არამედ იქიდანაც, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს კონსტიტუციაში.

მაშინ, როცა რომელიმე პრეზიდენტი პრეტენზიას აცხადებს უფლებაზე, რომელიც არ შედის უმაღლესი აღმასრულებელი პირის უფლებამოსილებებში, იგი აიძულებს კონგრესსა და სასამართლოს ან უსიტყვოდ დააკმაყოფილონ მისი პრეტენზია, ანდა აუკრძალონ მას უფლებათა ასეთი გაფართოება. ასეთი მოქმედებისას პრეზიდენტი რისკს ეწევა: მან, შესაძლებელია, ხელისუფლების ორივე განშტოებისაგან მწარე პოლიტიკური მარცხი იწვნოს. თუმცა, თუ პრეზიდენტი წარმატებას მიაღწევს გაფართოების საკითხში, მაშინ იგი თავის შემკვიდრებებს საპრეზიდენტო უფლებების მუდმივი გაფართოების კანონიერ საფუძველს შეუქმნის. ხელშეუვალი უფლების გამოყენების ადრეულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა უკვე ჯორჯ ვაშინგტონის პრეზიდენტობის დროს. ბრიტანელებსა და ფრანგებს შორის საომარი მოქმედებისას ვაშინგტონმა გააკეთა განცხადება მკაცრი ნეიტრალიტეტის შესახებ. ამით მან გააღიზიანა ისინი, ვინც ანტიბრიტანული განწყობილებით გამოირჩეოდნენ. აქედან გამომდინარე წარმოქმნილმა დაპირისპირებამ კონსტიტუციური დებატები გამოიწვია. ვაშინგტონის მოწინააღმდეგეებმა აღნიშნეს, რომ კონსტიტუცია არ აძლევს პრეზიდენტს ნეიტრალიტეტის გამოცხადების უფლებას, მისი მომხრეები კი აღნიშნავდნენ, რომ პრეზიდენტს აქვს ხელშეუვალი უფლება, აწარმოოს დიპლომატიური ურთიერთობანი. საბოლოოდ, კონგრესმა და სასამართლომ არ უარყო ვაშინგტონის გადაწყვეტილება. ასე შეიქმნა პრეცედენტი საგარეო საქმეთა სფეროში (Pious, 1979, pp. 51-52).

პრეტენზია ხელშეუვალი უფლების შესახებ ხშირად წარმოიშობა სახელმწიფოს ისტორიის კრიტიკულ მომენტში. მაგალითად, სამოქალაქო ომის დროს ეიბრეკემ ლინკოლნმა გამოსცა ბრძანებულებები, რაც სცილდებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებს და კონგრესისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების უზურპაციას წარმოადგენდა. ლინკოლნმა თქვა, რომ სამხრეთის შტატების გამომწვევი მოქმედებისათვის პასუხის გაცემის გადაუდებელმა ხასიათმა აიძულა იგი ემოქმედა ისე, რომ არ დალოდებოდა კონგრესის თანხმობას. მისი აზრი მარტივი იყო: „განა შეიძლებოდა ქვეყნის დაკარგვა

კონსტიტუციის შენარჩუნების ფასად?“ (Binkley, 1962, p. 155). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლინკოლნმა გვერდი აუარა კონსტიტუციას, რათა გადაერჩინა ქვეყანა. მოგვიანებით კონგრესმა და უზენაესმა სასამართლომ გაამართლეს ლინკოლნის მოქმედებები. ამ გამართლებამ მეტი კანონიერება მიანიჭა ხელშეუვალი უფლებების თეორიას, თეორიას, რომელმაც დროთა განმავლობაში სახე უცვალა პრეზიდენტობის ინსტიტუტს.

კონგრესის მიერ უფლებამოსილებათა გადაცემა

პრეზიდენტის ძალაუფლება იზრდება, როცა პრეზიდენტები თვითონ მოითხოვენ ამას კონგრესისაგან, თუმცა, ბევრ შემთხვევაში, კონგრესი ნებაყოფლობით გადასცემს უფლებამოსილებას აღმასრულებელ ხელისუფლებას. მაშინ, როცა საზოგადოება აიძულებს ქვეყნის მთავრობას გადაჭრას სხვადასხვა პრობლემები იმ პროცედურის საშუალებით, რომელსაც უფლებამოსილებათა გადაცემა ეწოდება, კონგრესი უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რათა მან განახორციელოს ამ პრობლემებთან დაკავშირებული პროგრამები. საკანონმდებლო უფლებამოსილებათა გადაცემის ერთ ასეთ შემთხვევას აღვილი კქონდა 1930-იან წლებში, „დიდი დეპრესიის“ დროს, როდესაც კონგრესმა დიდი თავისუფლება მიანიჭა ფრენკლინ რუზველტის ადმინისტრაციას იმ მოქმედებებში, რომელთა განხორციელებასაც ის საჭიროდ ჩათვლიდა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად.

თუკი კონგრესი დაასკვნის, რომ მთავრობას ესაჭიროება მოქნილობა ამა თუ იმ პრობლემასთან მიმართებაში, პრეზიდენტს ეძლევა სრული თავისუფლება, როცა უნდა და როგორც უნდა, ისეთი პოლიტიკა აწარმოოს. მაგალითად, რიჩარდ ნიქსონს მიანიჭეს შეუზღუდავი უფლებამოსილება ხელფასებისა და ფასების გასაყინად, რათა ამით შებრძოლებოდა მზარდ ინფლაციას. კონგრესს რომ გაემართა დებატები ხელფასის გაყინვის შემოღების დროის თაობაზე, მწარმოებლები და ვაჭრები უეჭველად გაზრდიდნენ ფასებს ამ მოვლენის მოლოდინში. ამის საპირისპიროდ, ნიქსონს მიეცა უფლება მოულოდნელად ემოქმედა და გაფრთხილების გარეშე გაეყინა ფასები და ხელფასები (კონგრესის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის უფლებამოსილების გადაცემა უფრო დეტალურადაა განხილული მე-10 თავში).

სხვა შემთხვევებში, როდესაც კონგრესი ჩათვლის, რომ ზედმეტად დიდი ძალაუფლება იყრის თავს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მაშინ იგი ებუღობს საკანონმდებლო აქტებს და აღადგენს კონგრესის უფლებამოსილებას. 1970-იან წლებში მრავალი წარმომადგენელი და სენატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონგრესის როლი პოლიტიკურ სისტემაში მცირდებოდა, ხოლო პრეზიდენტები იყენებდნენ იმ უფლებამოსილებებს, რომელიც კანონით საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ყველაზე თვალნათლივ კონგრესის რეაქცია გამოჩნდა მაშინ, როცა მან მიიღო რეზოლუცია ომის წარმოების უფლების შესახებ (1973 წ.). ეს რეზოლუცია მიმართული იყო იმისაკენ, რომ ბოლო მოეღოთ პრეზიდენტების პრაქტიკისათვის – ეწარმოებინათ საომარი მოქმედებანი კონგრესის

მკაფიო თანხმობის გარეშე. უფრო მოგვიანებით, კონგრესმა გაცილებით მეტი უფლებები მოითხოვა საგარეო პოლიტიკის წარმოებაში და (როგორც ეს აღნიშნულია მე-8 თავში) აიძულა კიდევ პრეზიდენტი, დაჰკითხოდა კონგრესს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხებში.

პრეზიდენტის უფლებამოსილება – დაიყოლიოს ხალხი

პრეზიდენტის ავტორიტეტი მომდინარეობს არა მარტო მისთვის მიკუთვნებული პასუხისმგებლობისაგან, არამედ ასევე მისი პოლიტიკური ხელოვნებიდან და იქიდან, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს იგი თავისი თანამდებობის შესაძლებლობებს.

რინარდ ნიუსტადტმა თავის წიგნში „საპრეზიდენტო ხელისუფლება“, პრეზიდენტის შესაძლებლობების გამოყენების კლასიკური ანალიზი მოგვცა. წიგნში განხილულია, თუ როგორ მოიპოვენ, კარგავენ ან ინარჩუნებენ თავის გავლენას პრეზიდენტები. ნიუსტადტის თავდაპირველი პოსტულატი მარტივი იყო: „პრეზიდენტის უფლებამოსილება დაყოლიების უფლებაა“ (Neustadt, 1980, p. 10). მიუხედავად ყველანაირი შესაძლებლობებისა – მაღალკვალიფიური აპარატი, საინფორმაციო საშუალებების მიერ მათი საქმიანობის ფართო გაშუქება, ამ თანამდებობისადმი უდიდესი პატივისცემა – პრეზიდენტები უნდა ეყრდნობოდნენ სხვებთან თანამშრომლობას, რათა საქმე გაკეთდეს. პარი ტრუმენის მოსაზრება ნიუსტადტის წინაპირობის გამოძახილია. ტრუმენი ამბობდა: „მთელი დღის განმავლობაში ვზივარ აქ იმისათვის, რომ დავითანხმო ხალხი გააკეთონ ის, რაც ჩემი მუდარის გარეშეც უნდა აკეთონ... საბოლოოდ სულ ეს არის პრეზიდენტის უფლებები“ (Ibid, p.9).

ნიუსტადტის აზრით, საშუალოზე უკეთეს პრეზიდენტსა და საშუალო პრეზიდენტს შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ ვინ როგორ ახერხებს მორიგებას, ურთიერთობას ოპოზიციასთან და პრიორიტეტების შერჩევას. პრეზიდენტმა ბრძნულად უნდა გადაწყვიტოს, რა პოლიტიკური კურსი გაატაროს და რომლის გატარებისაგან შეიკავოს თავი იქამდე, სანამ არ მოიპოვებს მეტ მხარდაჭერას; მან უნდა გადაწყვიტოს, როდის წავიდეს კომპრომისზე და როდის დადგეს მყარად თავის პრინციპებზე; მან უნდა იცოდეს, როდის გამოვიდეს საჯაროდ და როდის იმოქმედოს კულისებში.

პრეზიდენტის პოლიტიკური ხელოვნება, შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი იყოს კონგრესის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისითაც. მთავარ აღმასრულებელ პირს, ცხადია, არ შეუძლია ჩაერიოს ყოველ საკანონმდებლო დავაში. მან ფრთხილად უნდა შეარჩიოს დრო, როდის ჩაერთოს ბრძოლაში, გამოიყენოს თავისი პიროვნული ძალა და თანამდებობის პრესტიჟი, რათა მოარიგოს დაპირისპირებული ფრაქციები.

იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია პრეზიდენტს აიძულოს კონგრესის წევრები ხმა მისცენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, პრეზიდენტის გავლენა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ცვალებადი“. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტებს არ ძალუძთ კონგრესსმენტა ხმების დიდი რაოდენობის მუდმივად წარმართვა



1992 წელს ბილ ქლინთონი გახდა მსოფლიოში უკვე ერთადერთი ზესახელმწიფოს პრეზიდენტი. მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატები შეშფოთებული იყო უზარმაზარი დეფიციტით და მზარდი უმუშევრობით. სამხედრო ხარჯების შემცირების ვით პრეზიდენტი ცდილობდა საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების თაობაზე. სამწუხაროდ, თავდაცვისათვის გამოყოფილი ხარჯების შემცირებით უმუშევართა რიცხს ახალი მუშები ემატება. კალიფორნიის შტატში, სადაც თავდაცვასთან დაკავშირებული საწარმოების და სამხედრო ბაზების ყველაზე დიდი რაოდენობაა თავმოყრილი, უმუშევრობის მანქანებელი ასევე ძალზე მაღალი იყო. სურათზე ლონგ-ბიჩის სამხედრო-საზღვაო გემოსამშენის მუშები ზეიმობენ იმას, რომ მათი საწარმო არ დაიხურება

ამა თუ იმ მიმართულებით. თუმცა, მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ზოგიერთ კენჭისყრაზე: შესაძლებელია, „მათი ერთგული ხმები“ საკმარისი იყოს იმისათვის, რომ გავლენა მოახდინონ ისეთი კანონპროექტების განხილვის შედეგზე, სადაც ხმები იყოფა (Edwards, 1989).

ნიუსტადტი ხაზს უსვამს, რომ პრეზიდენტის გავლენა გარკვეულ მიმართებაშია მის პროფესიულ რეპუტაციასა და პრესტიჟთან. პრეზიდენტის რეპუტაცია ილახება, თუკი იგი ყველანაირად ცდილობს გაიტანოს ის კანონი, რომელსაც საბოლოოდ კონგრესი ან არ მიიღებს, ან არსს გამოაცლის. მაშინ საზოგადოება პრეზიდენტს უძღურად ჩათვლის და შესაბამის დასკვნებს გამოიტანს, კონგრესს კი მომავალში, შესაძლებელია, ნაკლებად მოუნდეს მასთან თანამშრომლობა. ჯიმი კარტერმა ზიანი მიაყენა თავის პრესტიჟს, როცა მზარი დაუჭირა სოცია-

ლური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმას, სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდის შეჩერების და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს შექმნის კანონპროექტებს, რომელთაგან კონგრესმა არც ერთი არ მიიღო. მედლის მეორე მხარე ისაა, რომ პრეზიდენტებს არ შეუძლიათ იოლად აარიდონ თავი სადავო კანონპროექტებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინასაარჩევნო კამპანიის დროს მათ ამის პირობა მისცეს ამომრჩევლებს. თუკი პრეზიდენტი მხოლოდდამხოლოდ უდავო საკითხებს უჭერს მხარს, მაშინ მას ჩათვლიან უნიციტატივო და ზედმეტად ფრთხილ პიროვნებად.

პრეზიდენტი და საზოგადოება

ნიუსტადტის ანალიზის თანახმად, პოპულარულ პრეზიდენტს უფრო შეუძლია დაიყოლიოს საზოგადოება, ვიდრე არაპოპულარულს. პოპულარულ პრეზიდენტს დარწმუნების მეტი ძალა გააჩნია, ვინაიდან მას შეუძლია გამოიყენოს საზოგადოებრივი მხარდაჭერა, როგორც რესურსი მორიგების პროცესში (Edwards, 1989). კონგრესის წევრებს, რომლებმაც იციან, რომ პრეზიდენტი ძალიან პოპულარულია თავის ქვეყანაში, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის უფრო მეტი სტიმული აქვთ.

თანამედროვე საპრეზიდენტო ხელისუფლების ერთი ჩვეულებრივი ასპექტია პრეზიდენტების ძალისხმევა მობილიზება გაუკეთონ საზოგადოებრივ მხარდაჭერას შემოთავაზებული პროგრამების განხორციელების მიზნით. პრეზიდენტი იყენებს სატელევიზიო მიმართევებს და პრესის გამოხმაურებას მის გამოსვლებზე, აგრეთვე, რეპორტიორებისათვის გაცემულ პასუხებს და საჯარო გამოსვლებს, რათა პირდაპირ ელაპარაკოს ამერიკელ ხალხს და დაარწმუნოს იგი თავისი პოლიტიკის გონივრულობაში.

დღეს, ჩვეულებრივ, პრეზიდენტი ეძებს საზოგადოებრივ მხარდაჭერას ცალკეული კანონპროექტისა თუ ფართომასშტაბიანი წამოწყებისათვის, როგორც ეს ჯორჯ ბუშმა გააკეთა საგადასახადო კანონპროექტთან დაკავშირებით (იხ. ამ თავის დასაწყისში), თუმცა, საზოგადოებისადმი მიმართვა ყოველთვის არ ყოფილა პრეზიდენტების ღვიძლი საქმე.

კონსტიტუციის დამფუძნებელთა შიშმა იმის თაობაზე, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება შეიძლება გამოიყენებული ყოფილიყო საზოგადოებრივი ვნებების გაღვივების მიზნით, ადრეული პრეზიდენტები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საჭიროა მეტი თავშეკავება საზოგადოებასთან ურთიერთობაში. პირველი თხუთმეტი პრეზიდენტი სიტყვით გამოდიოდა წელიწადში საშუალოდ 10-ჯერ.


იქიდან მოყოლებული, პრეზიდენტებმა უფრო ინტენსიური გახადეს თავისი უშუალო კონტაქტები საზოგადოებასთან. პრეზიდენტების საჯარო გამოსვლების რაოდენობამ განსაკუთრებით მკვეთრად იმატა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცხადია, თანამედროვე ტექნიკამ თავისი წვლილი შეიტანა ამ ზრდაში და მაინც, საჯარო გამოსვლების რიცხვის გაზრდა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე პრეზიდენტის და მისი მოსაზრებების უფრო ფართოდ წარმოდგენა. საპრეზიდენტო ხელისუფლებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. კონგრესისა და პარტიული ხელმძღვანელობის დასუსტებამ დააჩქარა პრეზიდენტის როლის გაძ-

ლიერება; ამავე დროს, პრეზიდენტის უშუალო ურთიერთობამ ხალხთან კიდევ უფრო მეტი სიძნელებები შეუქმნა პოლიტიკურ პარტიებსა და კონგრესს, რათა კვლავ გაძლიერებულიყვნენ (Lowi, 1985).

პრეზიდენტის პოპულარობა, როგორც წესი, ყველაზე დიდია თანამდებობაზე მისი მოსვლის პირველ წელს. „თაფლობის თვის“ პერიოდი განსაკუთრებით კარგ შესაძლებლობას აძლევს პრეზიდენტს საზოგადოებრივი მხარდაჭერის გამოსაყენებლად, რათა ზოგიერთი თავისი პროგრამა გაიტანოს კონგრესში. რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პირველ წელს, როცა იგი გამოვიდა ტელევიზიით და ხალხს მოუწოდა მხარი დაეჭირათ მისი საკანონმდებლო ინიციატივისათვის, კონგრესის სამსახურები იღებდნენ წერილებს, იყო უამრავი სატელეფონო ზარი. წერილების და სატელეფონო ზარების საფუძველზე პრეზიდენტის მომხრეების თანაფარდობა მოწინააღმდეგეებთან შეადგენდა 10:1. მისი პრეზიდენტობის ხელმეორე ვადის დასაწყისში, რეიგანის სატელევიზიო მიმართვის შემდეგ, კონგრესის სამსახურები დადებითი და უარყოფითი გამოხმაურების თანაბარ რაოდენობას ღებულობდნენ (West, 1987), ე. ი., რეიგანმა ნაწილობრივ დაკარგა უნარი მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის მობილიზება.

პრეზიდენტის პოპულარობის აღმავლობა და დაღმავლობა შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით. პირველი – პრეზიდენტის საქმიანობის საზოგადოებრივ შეფასებაზე გავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური პირობები, როგორიცაა ინფლაცია და უმუშევრობა; მეორე – ამავე შეფასებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს მისი ადმინისტრაციის პერიოდში. ჯიმი კარტერის პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა, როცა ანტიამერიკულად განწყობილმა ირანელებმა თეირანში მძევლად აიყვანეს ამერიკის საელჩოს თანამშრომლები. მაგრამ „დროშის ფრიალით“ პრეზიდენტის მხარდაჭერამ საბოლოოდ ადგილი დაუთმო იმდგაცრუებას, რაკი პრეზიდენტმა ვერ მოახერხა მძევლების გამოხსნა: კარტერის პოპულარობა მკვეთრად დაეცა; მესამე – პრეზიდენტის პოპულარობაზე გავლენას ახდენს ისიც, ჩართულია თუ არა ამერიკა ომში, რასაც შეუძლია შეცვალოს საზოგადოების კეთილგანწყობა. მაგალითად, ჯონსონმა დაკარგა პოპულარობა, როცა მან ვიეტნამში ამერიკის სამხედრო ჩარევის ესკალაცია წამოიწყო.

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები „გრძნობენ“, კარგად იქცევა პრეზიდენტი თუ არა, მაგრამ ობიექტური საბუთი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის რეპრეზენტატული გამოკვლევების საშუალებით (იხ. თავი 4) (ნახაზი 9.1. ასახავს ჯორჯ ბუშის პოპულარობის ყოველთვიურ მაჩვენებელს მისი თანამდებობაზე მოსვლიდან 1992 წლის არჩევნებამდე გელაპის ინსტიტუტის ყოველთვიური მონაცემების საფუძველზე). იქამდე, ვიდრე ეკონომიკა კვლავ ძლიერი რჩებოდა და ბუშსაც გახანგრძლივებული „თაფლობის თვე“ ჰქონდა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები ბუშის პრეზიდენტობის პირველ წელს მის დიდ პოპულარობაზე მეტყველებდა. შემდგომში კი პოპულარობას ზიანი მიაყენა ეკონომიკის შესუსტებამ და „არავითარი ახალი გადასახადები“-ს პლატფორმიდან გადახვევამ. ბუშის პოპულარობა კვლავ ძლიერ ამალდა, როცა კოალიციამ გამოაძევა ერაყის არმია ქუვეითიდან. მისი პოპულარობა დაეცა მას



ნახაზი 9.1. ბუშის პოპულარობის ინდექსის დაცემა

ტრუმენის პრეზიდენტობის პერიოდიდან გელაჰის ინსტიტუტი ყოველთვიურად იკვლევს საზოგადოებრივ აზრს და სუამს კითხვას: „იწონებთ თუ არა ამჟამინდელი პრეზიდენტის საქმიანობას?“ მას შემდეგ, რაც კოალიციამ, რომელსაც ამერიკა ელგა სათავეში, გამანადგურებელი დამარცხება აგვმა სადამ ჰუსეინის არმიას, ბუშის პოპულარობა 89 პროცენტამდე გაიზარდა. ეს გელაჰის ინსტიტუტის მიერ პრეზიდენტის საქმიანობის იდეისზე დაფიქსირებულ შეფასებათა მაჩვენებლებს შორის უმაღლესია. ბოლოს კი ბუშის პოპულარობა ისე მკვეთრად დაეცა, რომ მხოლოდ ჯიმი კარტერის მაჩვენებელი იყო უფრო დაბალი, როცა ეს უკანასკნელი ხელმძღვრედ იყრიდა კენჭს პრეზიდენტის თანამდებობაზე. წყარო: Gallup Poll Monthly

შემდეგ, რაც გამარჯვების ბრწყინვალება ჩაქრა. მესამე წელს ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო დასწია ბუშის რეიტინგი. 1992 წლის გარკვეულ პერიოდში ყოველი სამი ამერიკელიდან მხოლოდ ერთი უჭერდა მხარს ბუშის საქმიანობას.

პოპულარობის დაცემის საბოლოო შედეგი ის არის, რომ ერთი ვადით უკვე არჩეულმა შეიძლება ხელმეორე არჩევნებში ვედარ გაიმარჯვოს. ფორდი და კარტერი, რომელთა პოპულარობა მკვეთრად დაეცა, დამარცხდნენ ხელმეორე ვადით არჩევის მცდელობისას. ლინდონ ჯონსონმა, პოპულარობის დაცემის გამო, უარი თქვა 1968 წლის არჩევნებში მონაწილეობაზე. ჯორჯ ბუშმა ვერ შეძლო ხელმეორედ მოეპოვებინა ამომრჩეველთა ნდობა. მისმა დამარცხებამ ცხადყო ამომრჩეველთა სურვილი, დაესაჯათ ბუში მისი პრეზიდენტობის პერიოდში უფერული ეკონომიკური კურსის გატარების გამო. თუმცა, რეიტინგის დაცემა თავისთავად არ გულისხმობს მის შეუქცევადობას. 1981-82 წლების ეკონომიკური დაღმავლობის შემდეგ ეკონომიკის გაჯანსაღებამ დაუბრუნა პოპულარობა რეიგანს. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ რეიგანის ადმინისტრაციას იარაღი მიუყიდა ირანისთვის და შემოსული ფულის ნაწილი ნიკარაგუაში მეამბოხე ძალების

დასაფინანსებლად გამოუყენებია, რეიგანის რეიტინგი მკვეთრად დაეცა. თუმცა, პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში მისი რეიტინგი კვლავ ამაღლდა (Casper, 1988, p. 172-210). პრეზიდენტები, რომლებმაც თავისი საქმიანობის ძირითადი პრინციპების გამო პატივისცემისა და კეთილგანწყობის კვალი დატოვეს, უკეთ ახერხებდნენ არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევას.

კავშირი არჩევნებთან

თავის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი ჯიმი კარტერმა მკვეთრად გააკრიტიკა დაინტერესებული ჯგუფები, რომლებმაც მას პრეზიდენტობა გაუმწარეს. „ამ ჯგუფებმა – თქვა მან, – დაამახინჯეს ჩვენი მიზნები, რადგან სახელმწიფო ინტერესი ყოველთვის არ არის ჩვენი ცალკეული თუ განსაკუთრებული ინტერესების ჯამი“. კარტერმა აღნიშნა პრეზიდენტის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა: „პრეზიდენტი არის ერთადერთი არჩეული ოფიციალური პირი, რომელიც წარმოადგენს მთელ ერს“ (Prepared, 1981). კარტერმა, ისევე, როგორც ყველა სხვა პრეზიდენტმა, თანამდებობაზე მოსვლისთანავე გაიაზრა მაფორიტარიზმისა და პლურალიზმის დაპირისპირების დილემა. პრეზიდენტმა უნდა მოიგოს ურიცხვი ამომრჩევლის გული და, ამავე დროს, შეეცადოს გააკეთოს ის, რაც მთელი ქვეყნისათვისაა სასიკეთო.

ადვილია, განზე გადავ და ამტკიცო – პრეზიდენტი ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს უმრავლესობის ინტერესს და მიდიოდეს მაფორიტარული გზითო. სინამდვილეში კი, თუნდაც თანამდებობისათვის ბრძოლის პერიოდში, კანდიდატები თავის თავს მოსახლეობის ცალკეულ ნაწილებს უკავშირებენ. საარჩევნო კამპანიის სტრატეგიიდან, თავიანთი პარტიის აქტივისტებთან თანამშრომლობიდან და საკუთარი პოლიტიკური შეხედულებიდან გამომდინარე, პრეზიდენტობის კანდიდატები თანამდებობას იკაებენ უკვე იმ განწყობით, რომ შემდგომში დააკმაყოფილონ ამომრჩეველთა უფრო ერთი ჯგუფის ინტერესები, ვიდრე მეორესი.

პრეზიდენტობის ყოველი კანდიდატი ცდილობს შექმნას საარჩევნო კოალიცია, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ 270 ამომრჩევის ხმას (538-დან). საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას კანდიდატი ცდილობს მოაგროვოს სხვადასხვა ჯგუფების ამომრჩეველთა ხმები სხვადასხვა საკითხების მხარდაჭერის საშუალებით. იმის გამო, რომ მისმა პოზიციამ გარკვეულ პრობლემებზე, შესაძლებელია, მოიზიდოს ზოგიერთი ამომრჩეველი და ჩამოიცილოს სხვები, კანდიდატებმა შეიძლება წინასწარგანზრახული ბუნდოვანებით გამოხატონ თავიანთი მოსაზრება პრობლემების შესახებ.

თუმცა კანდიდატებს არ შეუძლიათ განგებ ბუნდოვნად ილაპარაკონ ყველა პრობლემაზე. კანდიდატი, რომელიც თავს არიდებს ბევრ პრობლემაზე კონკრეტულ საუბარს, შეიძლება სუსტად მიიჩნიონ. მომავალი პრეზიდენტები ვერ ააგებენ თავიანთ პოლიტიკურ კარიერას, თუკი მონდომებით არ იმუშავენ საჭირობო პრობლემებზე და ამომრჩეველებთან მჭიდრო კავშირი არ ეწეებათ. ამის შედეგად, პრეზიდენტები თავის თანამდებობას იკაებენ ამომრჩეველთა

უმრავლესობის მხარდაჭერით, ერთი მხრივ, და ცალკეულ დაინტერესებულ ჯგუფებთან მჭიდრო კავშირის წყალობით – მეორე მხრივ.

არჩევნები და მანდატი

კანდიდატები, რომლებიც იმარჯვებენ საპრეზიდენტო არჩევნებში, აუცილებლად აცხადებენ, რომ მათ მიიღეს საყოველთაო-სახალხო მანდატი (რწმუნებულება), იმ პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელსაც ისინი სთავაზობდნენ ამომრჩევლებს საარჩევნო კამპანიის დროს.

ახლადარჩეული პრეზიდენტები საარჩევნო პროცესს მაეორიტარულ ინტერპრეტაციას აძლევენ. ისინი აცხადებენ, რომ მათი არჩევა მთელი ხალხის უშუალო ნების გამოხატულებაა. მათი აზრით, სწორედ ისინი გამოხატავენ ეროვნულ განწყობას და არა კონგრესის 535 ინდივიდუალური წევრი, რომლებიც გაცილებით უფრო მცირე რაოდენობის ამომრჩევლების მიერ არიან არჩეული.

მიუკერძოებელ დამკვირვებლებს, ჩვეულებრივ, უჭირთ კონკრეტული დამატკიცებელი საბუთების მოპოვება იმის შესახებ, რომ ფართო საზოგადოება მხარს უჭერს იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ კურსს, რომლის განხორციელებაც სურს არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატს. არჩევნებისას მოპოვებული აბსოლუტური გამარჯვებაც კი არ აძლევს პრეზიდენტს სრულ მანდატს. 1964 წლის არჩევნებში ლინდონ ჯონსონმა სასტიკად დაამარცხა თავისი რესპუბლიკელი მოწინააღმდეგე ბარი გოლდუოტერი (ჯონსონმა მოიგო 50-დან 44 შტატის ამომრჩევთა ხმები). მიუხედავად ამისა, ჯონსონმა ვერ დაინახა, რომ საზოგადოებას არ უნდოდა ომის გაგრძელება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამის გამო, მისი პოპულარობა მკვეთრად დაეცა. მისი „დიადი საზოგადოების“ სოციალურმა პროგრამებმა, რომლებიც ასე პოპულარული იყო მისი პრეზიდენტობის პირველ ხანებში, საშუალო კლასების თეთრკანიანთა მხრიდან მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.

დაყოფილი ხელისუფლება

მთავარი პრობლემა, რომლის წინაშეც დგება პრეზიდენტი მის მიერ მიღებული მანდატის რეალურ პოლიტიკად გადაქცევის დროს, არის ის, რომ ხელისუფლებათა გამიჯვნის გამო კონგრესი დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. ხელისუფლებები არა მარტო გამიჯნულია, არამედ პრეზიდენტს არ გააჩნია იმის არავითარი გარანტია, რომ მისი პარტიის წევრმა შეიძლება უხელმძღვანელოს კონგრესის რომელიმე პალატას. კონგრესის ორივე პალატა, უკანასკნელ წლებში, მართლაც, ხელისუფლების გაყოფილი კონტროლის ნიმუში იყო: რესპუბლიკელები მართავდნენ თეთრ სახლს, ხოლო დემოკრატები – კონგრესს*. 1968-1992 წლებში რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს

* სულ ცოტა 1994-1996 წლებში ვითარება საპირისპირო იქნება: პრეზიდენტი – დემოკრატია, ხოლო კონგრესის ორივე პალატას, 1994 წლის ნოემბრის შუალედური არჩევნების შემდეგ, კონტროლს უწევენ რესპუბლიკელები (მთარგმნელის შენიშვნა).

შეიდიდან ხუთ საპრეზიდენტო არჩევნებში. მაგრამ დროის ამ მონაკვეთში ისინი მხოლოდ 6 წლის განმავლობაში მართავენ კონგრესის ერთ-ერთ პალატას. თუმცა, პარტიული იდენტიფიკაცია ჯერაც მნიშვნელოვანია, ამერიკელი ამომრჩეველი, უკვე ნაკლებად ენდობა პოლიტიკურ პარტიებს და დღეს ხმას აძლევს კანდიდატს უფრო მისი პირადი მიმზიდველობისა და მის მიერ შემოთავაზებული საკითხების საფუძველზე.

როგორც ჩანს, ამომრჩევლები პრეზიდენტის არჩევისას განსხვავებულ კრიტერიუმს იყენებენ, ვიდრე კონგრესმენების არჩევისას. ერთმა სწავლულმა შენიშნა: „პრეზიდენტობის კანდიდატების შეფასება ამომრჩევლების მიერ ხდება სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემებზე მათი შეხედულების და ამ პრობლემების გადაწყვეტაში მათი კომპეტენტურობის შესაბამისად, კონგრესის წარმომადგენლების შეფასება კი – მათი პიროვნული ხასიათიდან, გამოცდილებიდან, აგრეთვე იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად ერთგულად ემსახურებიან ისინი თავის ოლქებს და ზრუნავენ ადგილობრივ პრობლემებზე“ (Jacobson, 1990, p.300).

კონგრესის დამოუკიდებლობა კიდევ ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ ცდილობენ ასე გულმოდგინედ თანამედროვე პრეზიდენტები საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას თავიანთი პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის. იმ წარმომადგენელთა და სენატორთა ძლიერი საყრდენის გარეშე, რომლებიც იგრძნობდნენ, რომ მათი არჩევა დაკავშირებული იყო პრეზიდენტის არჩევნებთან, ეს უკანასკნელი ხშირად მიიჩნევს, რომ მას საზოგადოებრიობის მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება.

აღმასრულებელი განშტოების აპარატი

როდესაც პრეზიდენტი ცდილობს ამომრჩეველთა მხარდაჭერის შენარჩუნებას იმ პოლიტიკური კურსისათვის, რომელსაც იგი ატარებს, პრეზიდენტი იყენებს მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების დიდ შესაძლებლობებს. პრეზიდენტს ჰყავს თეთრი სახლის პერსონალი, რომელიც ეხმარება მას პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ვიცე-პრეზიდენტსაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია: მისი მოვალეობანი აღმასრულებელ ხელისუფლებაში იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ ურთიერთობაშია იგი პრეზიდენტთან. პრეზიდენტის კაბინეტის მდივნები – ეროვნული მთავრობის მთავარი დეპარტამენტების (სამინისტროების) ხელმძღვანელები, – ასრულებენ რამდენიმე ფუნქციას, მათ შორის, მათ იურისდიქციაში შემავალი პროგრამების წარმართვის გადამწყვეტ ფუნქციას. და ბოლოს, დეპარტამენტებსა და სააგენტოებში პრეზიდენტის მიერ დანიშნულ პირებთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე დგანან პროფესიონალი მოხელეები. ამ მოხელეებს (რომლებზეც მსჯელობა მე-10 თავშია მოცემული) პროგრამების მართვისათვის საჭირო კვალიფიკაცია აქვთ.

თეთრი სახლის აპარატი

პრეზიდენტი დიდად არის დამოკიდებული თავის წამყვან თანაშემწეებზე. ისინი რჩევას აძლევენ მას გადამწყვეტი პოლიტიკური არჩევანის თაობაზე, ამუშავებენ ძირითად სტრატეგიას, რომელსაც მიმართავს ადმინისტრაცია კონგრესისა და საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და აკონტროლებენ პრეზიდენტის დროის განაწილებას, რათა მას ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის საკმარისი დრო რჩებოდეს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი უნდა ენდობოდეს და პატივს სცემდეს ამ უმაღლესი დონის პერსონალს. პრეზიდენტის თანაშემწეთა ვიწრო წრის უმრავლესობა მისი დიდი ხნის პარტნიორები არიან.

პრეზიდენტს, როგორც წესი, ჰყავს აპარატის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს „პირველი თანასწორთა შორის“, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, აპარატის უდავო ლიდერი. არის, აგრეთვე, თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში, რომელიც ატარებს ყოველდღიურ ბრიფინგებს საგარეო და სამხედრო საქმეების თაობაზე და, ასევე, აკეთებს იმ პრობლემების გამიზნულ ანალიზს, რომლებიც დგას ადმინისტრაციის წინაშე. თეთრ სახლშივეა განთავსებული ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭო. მთავარი მრჩეველები საშინაო პოლიტიკის სფეროში დახმარებას უწევენ ადმინისტრაციას პრინციპული მიდგომის განსაზღვრისას ისეთ სფეროებთან დაკავშირებით, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სოციალური მომსახურება.

მთავარი თანაშემწეების შემდეგ მოდის მრავალრიცხოვანი შტატი, რომელიც ემსახურება თანაშემწეებსა და პრეზიდენტს. ეს შტატი ორგანიზებულია გარკვეული საკითხების ირგვლივ. აპარატის ზოგიერთი წევრი მუშაობს ისეთი შიდაპოლიტიკურ საკითხებზე, როგორცაა დაინტერესებულ ჯგუფებთან კავშირი, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან ურთიერთობა, პარტიული საქმეები. ერთი განყოფილება განაგებს მხოლოდ პრესას, ხოლო საკანონმდებლო ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფი ახდენს კონგრესის ლობირებას ადმინისტრაციის ინტერესებიდან გამომდინარე. მართვისა და ბიუჯეტის დიდი სამსახური ანალიზებს ბიუჯეტის მოთხოვნებს, მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ასევე შეისწავლის სააგენტოების ორგანიზაციული მართვის პრაქტიკას. თეთრი სახლის ეს მრავალრიცხოვანი აღმასრულებელი შტატი ცნობილია, როგორც პრეზიდენტის აღმასრულებელი სამსახური. ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობისას აღმასრულებელ სამსახურში დაკავებული იყო ათას ექვსასამდე კაცი, ხოლო ამ სამსახურის წლიური ბიუჯეტი შეადგენდა 100 მილიონ დოლარს (King and Ragsdale, 1988). თანამდებობაზე მოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ აპირებს 25 პროცენტით შეამციროს თეთრი სახლის შტატი იმის საჩვენებლად, რომ მთავრობამ იქამდე უნდა გაიღოს მსხვერპლი, ვიდრე ამას მოსთხოვს გადასახადის გადამხდელებს. და მანაც, კლინტონის აპარატი უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე რეიგანის, კარტერის, ფორდის ან ნიქსონის პრეზიდენტობის დროს იყო (New York Times, 10.02.93).

არ არსებობს პრეზიდენტის მიერ თეთრი სახლის აპარატის ორგანიზების ერთადერთი დაკანონებული გზა. ყოველი პრეზიდენტი ქმნის ისეთ სტრუქტურას, რომელიც ყველაზე კარგად მოერგება მისი მუშაობის სტილს. მაგალითად, დუაით აიზენჰაურს, ყოფილ გენერალს, უნდოდა ხელისუფლებას ჰქონოდა ზუსტი ჩარჩოები და იერარქიული სტრუქტურა, რომელიც სამხედრო დაქვემდებარებას წააგავდა. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს პრეზიდენტი დიდი გამოცდილების მქონე შტატს, მდგომარეობს იმაში, თუ რა უფლებამოსილებით აღჭურვავს მას. კარტერი თვითონ ჩაეფლო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რათა ამით უზრუნველყო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. რონალდ რეიგანი კი პირიქით მოიქცა: იგი თავის როლს ადმინისტრაციისათვის გენერალური მიმართულების დასახვაში ხედავდა. მან ფართო სპექტრის უფლებამოსილებანი მიანიჭა თავის შტატს, რათა ემოქმედათ მის სასარგებლოდ. ბილ კლინტონის სტილი იმაში მდგომარეობს, რომ მაღალ თანამდებობებზე დანიშნოს ისეთი ოფიციალური პირები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მიაწოდებენ მას განსხვავებულ, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს, რის შემდეგაც „პრეზიდენტი თვითონ გადაჭრის თითქმის ყველა კონფლიქტს“ (Walsh et al., 1992, pp.18-20).

თეთრი სახლის აპარატის ფორმალური ორგანიზაციის მიუხედავად, მას ისევე სჩვევია „შინაომები“, როგორც სხვა დიდ ორგანიზაციებს. ეს ბრძოლა სათავეს იღებს არა მარტო ინდივიდუალური ამბციებისა და პოლიტიკურ შეხედულებათა განსხვავებებში, არამედ, ასევე, კომპეტენციების ურთიეროგადაფარვაში. მაგალითად, ხშირად წარმოიშეება კონფლიქტი სახელმწიფო მდივანსა (კაბინეტის წევრი) და ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანამშემწეს შორის: თითოეულს სურს პირველობა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

ვიცე-პრეზიდენტი

ვიცე-პრეზიდენტის უპირველესი ფუნქციაა „იყოს რეზერვი“, რომელსაც თითქმის აღარაფერი ამოივებს პრეზიდენტობას (იხ. ჩანართი 9.1). ტრადიციულად, ვიცე-პრეზიდენტებს არ იყენებენ მნიშვნელოვანი მრჩეველის როლში. ამის ნაცვლად, პრეზიდენტები ავალებენ მათ ყოველდღიური მიმდინარე პოლიტიკური ამოცანების შესრულებას: კამპანიის მომზადებას, ფულადი სახსრების შეგროვებას, პარტიის მომხრეების „მოფერებას“. ასე ხშირად ხდება, ვინაიდან ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას უფრო პოლიტიკური კამპანიის ჩატარების მიზნით არჩევენ, ვიდრე სახელმწიფოს მართვისთვის.

დენ ქუეილის მაგალითი ამის ტიპური ნიმუშია. 1988 წელს, ქუეილი იყო მეორე ვადით არჩეული სენატორი ინდიანას შტატიდან, და ამ დროისათვის უკვე 12 წელი იყო კონგრესში, მაგრამ მას ყველა „მსუბუქ წონით კატეგორიად“ მიიჩნევდა. რეალურად არავის სჯეროდა, რომ იგი იყო ყველაზე უკეთესი კანდიდატურა პრეზიდენტობისათვის იმ შემთხვევაში, თუკი ბუშს რაიმე მოუვი-

ჩანართი 9.1.

ვინ გახდება პრეზიდენტი, როცა პრეზიდენტი აღარა გვყავს?

რა ხდება, თუკი პრეზიდენტი გარდაიცვლება თავისი ვადის გასვლამდე? ცხადია, ვიცე-პრეზიდენტი ხდება ახალი პრეზიდენტი. მაგრამ, რა ხდება, თუკი ვიცე-პრეზიდენტი კვლავ ან ტოვებს თანამდებობას გარკვეული მიზეზების გამო? რა ხდება, როცა პრეზიდენტი სიბერის ან ავადმყოფობის გამო შრომის უნარს კარგავს? ამ საკითხების გადაწყვეტა კონსტიტუციის ავტორებმა ვერ მოახერხეს.

ბირთულმა ერამ კიდევ უფრო მწვავედ დააყენა ეს საკითხები. როცა ვუდრო უილსონს დაჰბლა დაცვა 1919 წელს, ქვეყანა გარკვეული დროით კანონიერი ხელმძღვანელის გარეშე დარჩა, თუმცა, მოქმედი პრეზიდენტის არყოფნას იმ პერიოდში საფრთხე არ შეუქმნია ამერიკელთა სიცოცხლისთვის. დღეს კი, ატომური თავდასხმის შესაძლებლობის პირობებში, ეროვნული უშიშროება მოითხოვს მეთაურის მუდმივად ყოლის აუცილებლობას. კონსტიტუციის XXV შესწორება, რომელიც 1967 წელს იქნა რატიფიცირებული, გვაძლევს ცოცხალი პრეზიდენტის შეცვლის მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუკი მას არ ძალუძს თანამდებობასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულება. შესაძლებელია, პრეზიდენტმა თვით განაცხადოს, რომ იგი უსლურია გააგრძელოს თავისი მოვალეობის შესრულება, ასევე ვიცე-პრეზიდენტმა და კაბინეტმა, შესაძლებელია, ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილება პრეზიდენტის შრომისუუნარობის შესახებ. ორივე შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხდება.

1981 წელს რეიგანი სერიოზულად დაიჭრა მისი მკვლელობის მცდელობის დროს და მისთვის სასწრაფოდ უნდა გაეკეთებინათ ქირურგიული ოპერაცია. XXV შესწორება არ იქნა გამოყენებული ვიცე-პრეზიდენტისა და კაბინეტის მიერ. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, როცა რეიგანს კიბოს ოპერაციას უკეთებდნენ, მან წერილი გაუგზავნა ვიცე-პრეზიდენტს, ვირჯი ბუშს და გადასცა მას ძალაუფლება იმ ვადით, რა დროითაც იგი ანესთეზიის ქვეშ უნდა ყოფილიყო. რვა საათის შემდეგ იმ ანაბ დაიბრუნა თავისი ხელისუფლება. XXV შესწორების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი და კაბინეტი ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა პრეზიდენტს დაუბრუნდეს თავისი მოვალეობის შესრულებას, საბოლოო გადაწყვეტილება კონგრესმა უნდა მიიღოს. XXV შესწორება ასევე ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ ვიცე-პრეზიდენტის შერჩევას, თუკი ეს თანამდებობა ვაკანტური აღმოჩნდება. ამავე დროს, პრეზიდენტის არჩევანი უნდა მოიწონოს კონგრესის ორივე პალატის უმრავლესობამ. ამ გზით გახდა ჯერალდ ფორდი ვიცე-პრეზიდენტი 1973 წელს, როცა სპირი ავნიუ გადადგა მას შემდეგ, რაც უარი თქვა თავი ემართლებინა მის მიმართ წაყენებული ბრალდების გამო: მას ბრალად ედებოდა სამემოსავლო გადასახადისათვის თავის არიდება და ქრთამის აღება. მოგვიანებით, როცა რიჩარდ ნიქსონი გადადგა და ფორდი პრეზიდენტი გახდა, ამ უკანასკნელმა ვიცე-პრეზიდენტად სელონ რიკველერი აირჩია.

დოდა. ბუში ხაზს უსვამდა, რომ მან იმიტომ შეარჩია ქუეილი, რათა ასპარეზზე გამოეყვანა უფრო ახალგაზრდა თაობა.

ბილ ქლინთონის კომპანიონმა - ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა ელ გორმა სხვადასხვაგვარად შეიტანა წვლილი მათ წარმატებულ საარჩევნო კამპანიაში 1992 წელს. მან, როგორც ახალგაზრდა სამხრეთელმა ლიბერალმა, გააძლიერა პარტიაში ახალგაზრდობის იმიჯი და მოხერხებულად მოიხიდა უკან, დემოკრატიულ პარტიაში, რეიგანისა და ბუშის პრეზიდენტობის დროს გაბნეული სამხრეთელი ამომრჩევლები. ქლინთონი, უეჭველია, მიხვდა, რომ წარმომადგენელთა პალატასა და სენატში ელ გორის მუშაობის გამოცდილება სასარგებლო იქნებოდა პრეზიდენტისთვის, რომელიც კონგრესმენიც კი არ ყოფილა.

ცხრილი 9.1. კაბინეტი

დეპარტამენტის დასახელება	შეიქმნა	დასაქმებულთა რაოდენობა
სახელმწიფო (საგარეო საქმეთა)	1789	25 288
ხაზინის (ფინანსთა)	1789	158 655
თავდაცვის*	1789	1 034 152
იუსტიციის*	1789	83 932
შინაგან საქმეთა	1849	77 679
სოფლის მეურნეობის	1862	122 594
ვაჭრობის	1913	69 920
შრომის	1913	17 727
ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების **	1953	123 957
ბინათმშენებლობისა და საქალაქო განვითარების	1965	13 596
ტრანსპორტის	1966	67 364
ენერგეტიკის	1977	17 731
განათლების	1979	4 771
ვეტერანთა საქმეების	1988	248 174

* სამხედრო დეპარტამენტი შეიქმნა 1789 წელს; თავდაცვის დეპარტამენტი - 1949 წელს. დასაქმებულთა რაოდენობა ეხება მხოლოდ სამოქალაქო პირებს

+ იუსტიციის მინისტრი, იგივე გენერალური პროკურორი, იყო პირველი კაბინეტის წევრი. იუსტიციის დეპარტამენტი შეიქმნა 1870 წელს

++ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური კეთილდღეობის დეპარტამენტი გაარდაიქმნა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების დეპარტამენტად 1979 წელს, როცა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი განათლების დეპარტამენტი

წყარო: Bureau of the Census, *Statistical Abstract of the United States*, 1992 (Washington D.C.: U.S. Government Printing Office, 1992), გვ. 330.

კაბინეტი

პრეზიდენტის კაბინეტი შედგება დეპარტამენტების ხელმძღვანელებისგან - მდივნებისაგან (რაც მინისტრს უთანაბრდება) და სხვა მცირერიცხოვანი საკვანძო თანამდებობის პირებისგან, როგორცაა პრეზიდენტის აპარატის მართვისა და ბიუჯეტის სამსახურის ხელმძღვანელი და აშშ-ს წარმომადგენელი გაეროში. კაბინეტი ძალიან გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ჯორჯ ვაშინგტონმა ჩამოაყალიბა პირველი კაბინეტი, რომელშიც შედიოდნენ გენერალური პროკურორი, სახელმწიფო, ფინანსთა და სამხედრო მდივნები. ცხადია, კაბინეტის გაფართოება 14 დეპარტამენტამდე ასახავს მთავრობის ზრდას და მის ჩარევას ისეთ დარგებში, როგორცაა ენერგეტიკა, ბინათმშენებლობა, ტრანსპორტი (იხ. ცხრილი 9.1.).

თეორიულად, კაბინეტის წევრები ქმნიან მრჩეველთა ორგანოს, რომელსაც ხვდება პრეზიდენტი, რათა განიხილოს მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. პრაქტიკულად კი, კაბინეტის სხდომებს ახასიათებენ როგორც „ყოველად უშინაარსოს და უშედეგოს“; რომლის დროსაც ადგილი აქვს „ინფორმაციის განგებ არგაცვლას, როგორც ურთიერთ არაკონსულტირების პროცესის ნა-

წილს“ (Cronin, 1980, p. 253). რატომ ხდება ასე? პირველი – კაბინეტი ძალიან გაფართოვდა. ეს ორგანო მდივნებისა, კაბინეტის სხვა ოფიციალური პირებისა და პრეზიდენტის თანამშემწის ჩათვლით, სულ ცოტა, 20 წევრისგან შედგება. ზოგი პრეზიდენტი თვლიდა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის ამ მოცულობის კაბინეტი უმართავია; მეორე – კაბინეტის ზოგიერთი წევრი ვიწრო სპეციალისტია, მაგალითად, თავდაცვის მდივანი, ალბათ, არ გამოდგება კარგ მრჩეველად ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც ეხება სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას. ამდენად, მათ, უბრალოდ, არ შეუძლიათ წვლილის შეტანა ისეთი საკითხების განხილვაში, რომლებზეც მათ მცირე წარმოდგენა აქვთ; მესამე – მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტის წევრებს ძალიან შთამბეჭდავი ბიოგრაფია აქვთ, ისინი პიროვნულად, შესაძლებელია, არც თუ ისე ახლოს იყვნენ პრეზიდენტთან ან ამ უკანასკნელისთვის არცთუ ისე ადვილი იყოს მათთან მუშაობა. პრეზიდენტი კაბინეტის წევრებს ხშირად მათი რეპუტაციის გამო არჩევს. თუმცა, ამ არჩევანისას იგი შეიძლება ხელმძღვანელობდეს კაბინეტის რასობრივი, ეთნიკური, გეოგრაფიული, სქესობრივი ან რელიგიური ნიშნით დაბალანსების საჭიროებითაც.

და ბოლოს, პოლიტიკის შემუშავებისას თანამედროვე პრეზიდენტები არ ეყრდნობიან კაბინეტს, რადგანაც ამ მიზნისათვის მათ ჰყავთ თეთრი სახლის მრავალრიცხოვანი აპარატი, რომელიც მათ საჭირო რჩევებით უზრუნველყოფს. კაბინეტში შემაჯავლი მდივნებისაგან განსხვავებით, რომლებსაც პრეზიდენტის სურვილები ერთი მიმართულებით ეწევიან, დაქვემდებარებული დეპარტამენტისა კი – მეორე მიმართულებით, თეთრი სახლის აპარატის შტატი პასუხისმგებელია მხოლოდ პრეზიდენტის წინაშე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტს, როგორც გადაწყვეტილების მიღების კოლექტიურ ორგანოს, პერიოდულად იწვევენ ხოლმე, მისი სხდომები უფრო აკადემიურ ხასიათს ატარებს. რეალურად, პრეზიდენტები თანამშრომლობენ თეთრი სახლის აპარატის სპეციალისტებთან, მრჩეველებთან და კაბინეტის ზოგიერთ მდივანთან.

აღმასრულებელი ხელისუფლების უზარმაზარი მასშტაბი, მისაღები გადაწყვეტილებების რაოდენობა და სირთულე სერიოზული გამოცდაა თეთრი სახლისთვის. თავისი პოლიტიკური მიზნების და პრეფერენციების განსახორციელებლად თანამედროვე პრეზიდენტები თავისი აპარატის მრავალრიცხოვან შტატს სულ უფრო მზარდი როლის შესასრულებლად იყენებენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პრეზიდენტი როგორც ქვეყნის ლიდერი

არჩევნების მომთავრების და თანამდებობის დაკავების შემდეგ პრეზიდენტი მზადაა უხელმძღვანელოს ქვეყანას. ყოველ პრეზიდენტს აქვს საკუთარი მოსახრება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიუდგეს მთავრობა პოლიტიკურ პრობლემებს თავისი მმართველობის პერიოდში. პრეზიდენტი დროის უმეტესს ნაწილს იმის ცდაში ატარებს, რომ როგორმე აიძულოს კონგრესი მიიღოს ისეთი კა-

ნონმდებლობა, რომელშიც აისახება მისი (პრეზიდენტის) საერთო ფილოსოფია და გარკვეული პოლიტიკური პრეფერენციები.

პოლიტიკური ფასეულობებიდან...

პრეზიდენტები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა აზრი აქვთ მათ მთავრობის როლის შესახებ. ლინდონ ჯონსონს საშინაო საქმეებთან დაკავშირებით ლიბერალური თვალსაზრისი ჰქონდა. იგი თვლიდა, რომ მთავრობა ვალდებულია დახმარება გაუწიოს არახელსაყრელ პირობებში მყოფ ამერიკელებს. ჯონსონმა საინაუგურაციო მიმართვაში ასე გამოხატა თავისი შეხედულება სამართლიანობაზე:

„სამართლიანობა იყო იმის მთავარი პირობა, რომ ყველას, ვინც ჩამოვიდა ამერიკაში, თავისი წილი ჰქონოდა ამ მიწის დოკლათში. მდიდარ ქვეყანაში ოჯახები არ უნდა ცხოვრობდნენ უსამუშელო გაჭირვებაში. ნაყოფიერ ქვეყანაში ბავშვები არ უნდა შიმშილობდნენ. სასწაულმოქმედ ქვეყანაში მოწყაისი არ უნდა იტანჯებოდეს და არ უნდა კვდებოდეს უპატრონოდ. ცოდნისა და სწავლულთა ქვეყანაში ახალგაზრდებს წერა-კითხვა უნდა ასწავლონ.

ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში, რაც მე სახელმწიფოს ვემსახურე, მე ვიწამე, რომ ჩვენი ნამდვილი მტერია უსამართლობა – ჩვენი რესურსების ასეთი ფლანგვა. ოცდაათი თუ მეტი წლის განმავლობაში, იმ შესაძლებლობებით, რაც მე გამაჩნდა, მე ვიბრძოდი ამის წინააღმდეგ“ (Public. 1966. p. 72).

ჯონსონი სიტყვებს – „სამართლიანობა“ და „უსამართლობა“ – ხმარობდა როგორც სინონიმებს სიტყვებისთვის – „თანსწორობა“ და „უთანსწორობა“. ეს სიტყვები ექვსჯერ იყო გამოყენებული მის გამოსვლაში, „თავისუფლება“ კი მხოლოდ ორჯერ. ჯონსონმა გამოიყენა თავისი პოპულარობა, ოსტატობა და თანამდებობის შესაძლებლობები, რათა დაენერგა „სამართლიანი“ ამერიკის ცნება, რასაც მან „ღიადი საზოგადოება“ უწოდა.

„ღიადი საზოგადოების“ მისაღწევად ჯონსონმა კონგრესს წარუდგინა უპრეცედენტო ლიბერალური კანონმდებლობის პაკეტი; მან წამოიწყო ისეთი პროექტები, როგორიც იყო „შრომითი კორპუსი“ (რომელიც ქმნიდა ცენტრებსა და ბანაკებს 16-დან 21 წლამდე ახალგაზრდებისთვის, სადაც ისინი გადიოდნენ პროფესიულ წვრთნასა და იძენდნენ მუშაობის გამოცდილებას), „მედიკარი“ (Medicare) – „სამედიცინო მომსახურების კორპუსი“ (რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევდა ხანშიშესულთ) და „მასწავლებელთა ეროვნული კორპუსი“ (რომელიც აფინანსებდა ღარიბ რაიონებში მასწავლებლების მუშაობას). კონგრესში დიდი დემოკრატიული უმრავლესობის მხარდაჭერით მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 1965-1966 წლებში კონგრესმა დაამტკიცა ეს კანონები. ლიბერალიზმს ფართო ასპარეზი გაეხსნა.


ჯონსონის საინაუგურაციო სიტყვიდან ზუსტად ოცი წლის შემდეგ, რონალდ რეიგანმა, პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევისას ფიცის დადების შემდეგ მიმართა ამერიკელ ხალხს. რეიგანმა კვლავ დაადასტურა თავისი კონსერვატიული ფილოსოფია. სიტყვაში იგი ხაზს უსვამდა თავისუფლებას. მან ეს სიტყვა თით-

ხმეტჯერ გამოიყენა, მაშინ, როცა „სამართლიანობა“ და „თანასწორობა“ ერთხელაც არ უხსენებია. მან თავდაყირა დააყენა ჯონსონის ფილოსოფია იმის განცხადებით, რომ „მთავრობა არის არა ჩვენი პრობლემის გადაწყვეტის საშუალება, არამედ თვით არის პრობლემა“ (Transcript, 1985). თავისი პრეზიდენტობის პერიოდში რეიგანი მრავალი სოციალური პროგრამის ჩაშლას შეეცადა, შეამცირა რა ხარჯები ისეთ პროგრამებზე, როგორცაა „შრომითი კორპუსი“ და კვების პროდუქტების ბარათები. მისი პრეზიდენტობის ბოლო ხანებში ფედერალურ ხარჯებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მკვეთრად გაიზარდა თავდაცვისა და „მკვეთრად შემცირდა სოციალური პროგრამების ფედერალური ხარჯები, რითაც ფინანსური საფუძველი ეცლებოდათ დემოკრატიული პარტიის ინტერესებს და იმ საარჩევნო ოლქებს, სადაც დემოკრატები დომინირებდნენ“ (Phillips, 1990, p.88).

პოლიტიკურ დღის წესრიგამდე

ამრიგად პოლიტიკური პრაქტიკის ფესვები შეიძლება გამომდინარეობდეს პრეზიდენტის უფრო ზოგადი პოლიტიკური იდეოლოგიიდან. პრეზიდენტობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიის პერიოდში აყალიბებს თავის შეხედულებას მთავრობის შესახებ. თუმცა, როცა პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის ცეცხლოვანი რიტორიკა ეჯახება იმ ცივ რეალობას, რომელიც უჩვენებს, თუ რეალურად რისი გაკეთებაა შესაძლებელი ვაშინგტონში, ახლად არჩეული პრეზიდენტი იძულებული ხდება გააკეთოს არჩევანი და გადაწყვიტოს, რა უნდა განახორციელოს მან თავისი პრეზიდენტობის პერიოდში. ეს არჩევანი აისახება იმ კანონპროექტებში, რომლებსაც წარუდგენს პრეზიდენტი კონგრესს, აგრეთვე იმაში, თუ რამდენად ენერგიულად ზრუნავს ის ამ კანონპროექტების მიღებისათვის. პრეზიდენტის კანონპროექტები, რომლებიც წარმოდგენილია მისი მოკავშირეების მიერ პალატასა და სენატში, თავდაპირველად ყოველთვის დიდ ყურადღებას იმსახურებენ. ერთ-ერთი ვაშინგტონელი ლობისტის სიტყვებით, „როცა პრეზიდენტი აგზავნის კანონპროექტს, იგი პირველ ადგილს იკავებს დღის წესრიგში. ყველა დანარჩენი კანონპროექტები კი მომდევნო ადგილებზე გადადიან“ (Kingdon, 1984, p.25).

პრეზიდენტის როლი საკანონმდებლო ხელისუფლებაში, უპირატესად, მეოცე საუკუნის მოვლენაა. 1921 წლამდე, „ბიუჯეტისა და აღრიცხვის აქტის“ მიღებამდე, აღმასრულებელი ხელისუფლების დეპარტამენტებსა და სააგენტოებს არ უხდებოდათ თავიანთი საბიუჯეტო კანონპროექტების შეთანხმება თეთრ სახლთან. მანამდე პრეზიდენტი კოორდინირებასაც კი არ უწევდა წინადადებებს იმის შესახებ, თუ რამდენი უნდა დაეხარჯა აღმასრულებელ ხელისუფლებას იმ პროგრამებზე, რომლებსაც იგი წარმართავდა. მოგვიანებით, ფრენკლინ რუზველტმა მოითხოვა, რომ ყველა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მომდინარეობდა დეპარტამენტებიდან და სააგენტოებიდან, შეთანხმებული ყოფილიყო თეთრ სახლთან. დეპარტამენტებს აღარ ეძლეოდათ კანონპროექტის წარდგენის უფლება თეთრი სახლის მხარდაჭერის გარეშე.



ნახაზი 9.2. რეიგანის გავლენა საბიუჯეტო პრიორიტეტებზე

რონალდ რეიგანი ძალიან აქტიურად მუშაობდა, რათა დაერწმუნებინა კონგრესი ხარჯების პრიორიტეტების შეცვლის აუცილებლობაში. თუმცა, მან ვერ შესძლო „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ იდეის სრული მოშლა, მაგრამ სოციალური პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება კი მოახერხა („სოციალურ პროგრამებში“ არაა შეტანილი ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე და სამედიცინო მომსახურებაზე Medicare-ის პროგრამით) (წყარო: Phillips, 1990)

რუზველტის გავლენა პრეზიდენტსა და კონგრესს შორის ურთიერთობაზე შორს გასცდა ამ ახალი ადმინისტრაციული მოწესრიგების საზღვრებს. რუზველტის პირველი ვადით პრეზიდენტობა 1933 წელს საკანონმდებლო წინადადებების შთამბეჭდავი სიით დაიწყო. დაიწყო მაშინ, როცა ქვეყანაში „დიდი დეპრესია“ მძვინვარებდა კონგრესმა, თავისი მუშაობის პირველი ასი დღის განმავლობაში, მიიღო თხუთმეტი მნიშვნელოვანი კანონი, მათ შორის „სოფლის მეურნეობის რეგულირების აქტი“, „გარემოს დაცვის აქტი“, „ეროვნული ეკონომიკის აღდგენის აქტი“; არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრეზიდენტს ამდენი მოეთხოვოს და ამდენი მიეღოს კონგრესისგან. რუზველტის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის თანახმად, პრეზიდენტმა ენერგიულად უნდა უხელმძღვანელოს კონგრესს თავისი საკუთარი საკანონმდებლო პროგრამის საშუალებით.

მთავარი ლობისტი

მაშინ, როცა ფრენკლინ რუზველტი და პარი ტრუმენი პირველად ჩაერთვნენ საკანონმდებლო პაკეტების საფუძვლიან მომზადებაში, პოლიტოლოგები, ჩვეულებრივ, ამ პროცესს შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „პრეზიდენტს შემოაქვს

წინადადება და კონგრესი განსჯის“*. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გაგზავნის თავის კანონპროექტს კაპიტოლიუმის ბორცვზე, კონგრესი მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რა უყოს მას. მაგრამ, დროთა განმავლობაში, პრეზიდენტები სულ უფრო და უფრო მეტ აქტიურობას იჩენდნენ საკანონმდებლო პროცესის ყველა ეტაპზე. პრეზიდენტისგან მოვლიან არა მარტო კანონპროექტის წარდგენას, არამედ მისი მიღების უზრუნველყოფასაც.

პრეზიდენტის ძალისხმევას, გაუღენა მოახდინოს კონგრესზე, ზურგს უმაგრებს საკანონმდებლო ორგანოებთან მისი ურთიერთობის ჯგუფი. ყველა დეპარტამენტსა და სააგენტოს ჰყავს „კანონმდებლობის სპეციალისტები“. ეს ხალხი მუშაობს თეთრი სახლის საკანონმდებლო ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიონ ადმინისტრაციის ლობირებას ძირითად პრობლემებთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ორგანოებთან ურთიერთობის ჯგუფი არის დამაკავშირებელი რგოლი თეთრ სახლსა და კონგრესს შორის. როცა კანონპროექტი ნელ-ნელა იკაფავს გზას კონგრესში, ჯგუფის წევრები აუწყებენ პრეზიდენტს ან კაბინეტის მდივანს წარმოქმნილი პრობლემების თაობაზე. ისინი აზუსტებენ, თუ კანონპროექტის რომელ ნაწილს ემუქრება საფრთხე, რომელი შეიძლება იქნეს შეცვლილი ან ამოღებული. ისინი ატყობინებენ თავის უფროსებს, თუ რომელი შესწორების შეტანაა მოსალოდნელი, კონგრესის რომელი წევრი საჭიროებს ლობირებას და კანონპროექტის მიღების რა შანსია გარკვეული დებულებების დატოვებით ან ამოღებით. ამის შემდეგ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ როგორი რეაგირება უნდა მოახდინოს ადმინისტრაციამ. მაგალითად, როცა რეიგანის თეთრმა სახლმა გაარკვია, რომ მას რამდენიმე ხმა აკლდებოდა პალატაში ბიუჯეტის კანონპროექტის გასატანად, მან უარი თქვა წინააღმდეგობაზე შაქრის ფასის მხარდამჭერი კანონპროექტის მიმართ. ამან მიიზიდა ლუიზიანისა და ფლორიდის შტატების წარმომადგენელთა ხმები ბიუჯეტის კანონის სასარგებლოდ (ეს ორი შტატი შაქრის მწარმოებლები არიან). ამას თეთრი სახლი გარიგებად არ თვლიდა და აღინიშნა, რომ „პოზიციაში კორექტივი იქნა შეტანილი (King, 1981).

პრეზიდენტის საქმიანობის გარკვეულ ნაწილს „ხელების გადაგრეხა“ შეადგენს. იგი ინერტულ კანონმდებლებს „უკარნახებს“, თუ რას უნდა მისცენ ხმა. საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობის ჯგუფისა და კონგრესის ურთიერთობა დღითიდღე უფრო და უფრო იხვეწება, რამდენადაც ჯგუფი ცდილობს გამოიმუშაოს კონსენსუსი კონგრესის წევრებთან ერთობლივი მუშაობის საშუალებით. ამ ჯგუფის წარმომადგენლები თათბირობენ კომისიების წევრებთან, რათა გაერკვნენ მათ ინტერესებში, ეხმარებიან მათ კონსენსუსის მიღწევაში იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის რომელიმე წევრის ინტერესები განსხვავდება პრეზიდენტის პოზიციისგან.

თეთრი სახლი ასევე უშუალოდ მუშაობს დაინტერესებულ ჯგუფებთან

* ინგლისურად “the president proposes and the Congress disposes”, რაც, დაახლოებით, უდრის: „პრეზიდენტი ბჭობდა და კონგრესი იცინოდა!“ (მთარგმნელის შენიშვნა)

კანონმდებლობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. პრეზიდენტის თანაშემწეები იმედოვნებენ, რომ საკვანძო საკითხების ლობისტები გაააქტიურებენ ყველაზე ეფექტიან ლობისტებს – ამომრჩევლებს თავიანთი საარჩევნო უბებიდან. დაინტერესებულ ჯგუფებს შეუძლიათ სწრაფად დაუკავშირდნენ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც ყველაზე მეტად ზრუნავენ ამ კანონპროექტზე. თეთრი სახლის ერთ-ერთმა თანაშემწემ აღფრთოვანებულმა განაცხადა: „უძრავი ქონების აგენტებს შეუძლიათ ნახევარი მილიონი საფოსტო ერთეულის გაგზავნა 24 საათის განმავლობაში“ (Kumar and Grossman, 1984). მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობის ჯგუფის მუშაობა კონგრესთან უმეტესწილად თანამშრომლობის სულისკვეთებითაა გაუღენთილი, შეთანხმების მიღწევა ყოველთვის არ ხერხდება. თუკი კონგრესი ღებულობს ისეთ კანონს, რომელსაც ეწინააღმდეგება პრეზიდენტი, პრეზიდენტს შეუძლია ვეტო დაადოს კანონს და უკან გაუგზავნოს კონგრესს. თუმცა, როგორც ადრე იყო აღნიშნული, კონგრესს შეუძლია ვეტოს გაუქმება თითოეულ პალატაში ხმათა ორი მესამედით. პრეზიდენტები იშვიათად იყენებენ ვეტოს უფლებას. თუმცა, იმის შიში, რომ პრეზიდენტს შეუძლია ვეტოს დადება, ზრდის კონგრესის წევრებთან მისი მორიგების შესაძლებლობებს.

პრეზიდენტის და კონგრესის მორიგება იმასთანაა დაკავშირებული, თუ როგორ დამოკიდებულებაშია პრეზიდენტი ამერიკელ ხალხთან. პრეზიდენტისა და საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობის ჯგუფის შესაძლებლობა – მოურიგდნენ კონგრესის წევრებს, ბევრად მატულობს, როცა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას პრეზიდენტის რეიტინგი მაღალია.

პარტიის ლიდერი

პრეზიდენტის საქმიანობაში შედის მისი საკუთარი პარტიის ხელმძღვანელობა. ეს არაოფიციალური მოვალეობაა, წინასწარ განსაზღვრული ამოცანების გარეშე. ამ მიმართებით, ამერიკელი პრეზიდენტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ევროპელი პრემიერ-მინისტრებისაგან, რომლებიც თავისი პარტიის ოფიციალური საპარლამენტო ლიდერები არიან, ისევე, როგორც მთავრობის მეთაურები. იმდენად, რამდენადაც პოლიტიკურ პარტიებს ევროპაში მეტად ძლიერი ეროვნული ორგანიზაციები აქვთ, პრემიერ-მინისტრებს მეტი საფუძველი აქვთ უხელმძღვანელონ პარტიულ ორგანიზაციას.

ამერიკაში პრეზიდენტებს შეუძლიათ ეფექტიანად იმუშაონ პარტიის ეროვნული აპარატის დახმარების გარეშეც. მაგალითად, ლინდონ ჯონსონი აგდებულად ეკიდებოდა დემოკრატიული პარტიის ეროვნულ კომიტეტს. მან იზრუნა იმისათვის, რომ შემცირებულიყო ამ კომიტეტის ბიუჯეტი და უარი განაცხადა ზოგიერთი მრჩევლის თხოვნაზე, შეეცვალა კომიტეტის უუნარო თავმჯდომარე. ჯონსონი ფიქრობდა, რომ სუსტი ეროვნული კომიტეტი საშუალებას მისცემდა მას, კონტროლი გაეწვია პარტიული საქმეებისათვის თეთრი სახლიდან. სხვა თანამედროვე პრეზიდენტების მსგავსად, ჯონსონს სწამდა, რომ უფრო ეფექტიანად დაამყარებდა უშუალო კონტაქტს ამერიკელ ხალხთან. იგი ვერ ხედავდა იმის საჭიროებას, რომ ეროვნული, შტატის ან ადგილობრივი პარტიული ხელ-

მძღვანელები ყოფილიყვნენ შუამავლები მისი კოალიციის მშენებლობის პროცესში.

პარტიასთან მუშაობა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს პრეზიდენტად გახდომისთვის, ვიდრე ქვეყნის მართვისათვის. ჯორჯ ბუში დაუღალავად მუშაობდა „შემოვლახე“, როცა ვიცე-პრეზიდენტი იყო და რესპუბლიკელთა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობითა და ფულის შეწირვის მიზნით გამართულ სადილებზე ხშირი გამოჩენით, შეიძინა მომხრეები. როცა ბუში და სენატორი რობერტ დოული, მისი მთავარი კონკურენტი რესპუბლიკური პარტიიდან, პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელებისას, ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ, 1988 წლის გადაწყვეტ პირველად არჩევნებში, ბუშს უდიდესი დასაყრდენი ძალა გააჩნდა შტატებისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პარტიულ ლიდერებს შორის: ეს პიროვნებები მისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციის ხერხემალს წარმოადგენდნენ.

პრეზიდენტი, როგორც მსოფლიო ლიდერი

პრეზიდენტის, როგორც ხელმძღვანელის, მოვალეობები სცილდება კონგრესსა და სახელმწიფოს და ვრცელდება საერთაშორისო არენაზე. ყოველი მთავრობა ცდილობს დაიცვას ის, რასაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესებად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტი მზად უნდა იყოს იმოქმედოს, როგორც დიპლომატმა და კრიზისების მომწესრიგებელმა.

საგარეო ურთიერთობანი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ამერიკის პრეზიდენტების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო მსოფლიოში კომუნისტური ექსპანსიის შეკავება. ახლა, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის კრაზის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტები საერთაშორისო ურთიერთობების ახალ ეპოქაში შედიან. პრეზიდენტის საქმიანობის აღწერისას, ამჟამად განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ დანარჩენ სამყაროსთან, განსაკუთრებით, ევროპასა და იაპონიასთან ეკონომიკური ურთიერთობის მართვაზე. უაღრესად რთული პრობლემები ჩნდება სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით, ვინაიდან პრეზიდენტმა ერთმანეთს უნდა შეუთანხმოს უცხო ქვეყნების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები (რომელთა შორის ბევრი ამერიკის მოკავშირეა) ამერიკის ცალკეული კომპანიების ინტერესებთან, ამერიკის ეკონომიკის საჭიროებებთან და აღმასრულებელი ხელისუფლების მოთხოვნებთან.

კომუნიზმის დაცემა არ აძლევს პრეზიდენტს თავდაცვის პრობლემების იგნორირების შესაძლებლობას. მსოფლიო ჯერ კიდევ ადვილად აალებად ადვილად რჩება, ხოლო რეგიონულმა კონფლიქტებმა შეიძლება კვლავ ჩაითრიონ ომში ამერიკის შეერთებული შტატები. 1990 წელს, როდესაც ერაყი შეიჭრა ქუვეითში და სწრაფად დაიპყრო იგი, პრეზიდენტი ბუში მიხვდა, რომ მას სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების მტკიცე დაცვისა არაბ

მოკავშირეებთან ამ რეგიონში გვერდში ამოდგომით. ბუში ტელეფონს არ მოშორებია, რათა დაეყოლიებინა ვეროპელი და არაბი ლიდერები, შემოერთებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს კოორდინირებულ სამხედრო მოქმედება ქუვეითის გასანთავისუფლებლად. ერთმა ჟურნალისტმა თქვა, რომ „ეს საოცარი სანახაობა იყო: ბუშს სულ ოთხი დღე დასჭირდა, მთელი მსოფლიოს სადამ პუსეინის წინააღმდეგ დასარაზმავად“ (Barnes, 1990, p.12).

კრიზისების რეგულირება

პერიოდულად პრეზიდენტი მოსალოდნელი კონფლიქტის, ან მცირე კონფლიქტის სერიოზულ სამხედრო შეტაკებაში გადაზრდის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე. ასეთი ეპიზოდების მართვა პრეზიდენტის საქმიანობის არსებითი ნაწილია. დღეს, ჩვენ უსაზღვროდ უნდა ვენდობოდეთ იმ პიროვნებას, რომელსაც აქვს უფლება თითო დააჭიროს ბირთვულ ლილაკს. ამომრჩეველთა სათვის კანდიდატის გონიერება და განსჯის უნარი იმის უპირველესი მოტივია, მისცენ თუ არა მას ხმა. ბარი გოლდუოტერის გამანადგურებელი მარცხი 1964 წლის არჩევნებში, გამოწვეული იყო მის მიერ „იარაღის ჟღარუნით“. გოლდუოტერის სამხედრო მუქარით სავსე რიტორიკამ ბუში ამერიკელი დააფრთხო. შეშფოთებულებმა იმით, რომ იგი დაუფიქრებლად გამოიყენებდა ატომურ იარაღს, მათ ხმა მისცეს ლინდონ ჯონსონს.

პრეზიდენტს უნდა შეეძლოს კრიზისულ სიტუაციებში ცივი გონებით განსჯა. ჯონ კენედის ქცევა კუბის კრიზისის დაძლევისას სანიმუშოდ იქცა. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირმა კუბაში განალაგა ბირთვული რაკეტები, კენედიმ რჩევა სთხოვა თავის მთავარ თანაშემწეებს. წარმოადგინეს ორი ვარიანტი: შეიარაღებული შეჭრა კუბაში და რაკეტებზე საჰაერო დარტყმა. კენედიმ გადაწყვიტა მესამე, ყველაზე უსაფრთხო, ვარიანტის არჩევა – კუბის საზღვაო ბლოკადა. საბჭოთა კავშირმა ამჯობინა აღარ გაეგრძელებინა ამერიკის გაღიზიანება და მალე დათანხმდა გამოეტანა კუბიდან რაკეტები. თუმცა, გარკვეული დროის განმავლობაში, მსოფლიოს სუნთქვა ეკვროდა ბირთვული ომის ყველაზე რეალური საფრთხის გამო.

არსებობს თუ არა სახელმძღვანელო პრინციპები, თუ რა უნდა მოიმოქმედოს პრეზიდენტმა კრიზისის პერიოდში, ან სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მომენტში? პირველი, რასაკვირველია არის მრჩეველებსა და საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობა; მეორე – „ზედმეტად არ აჩქარდე“; მესამე – კარგად დაგეგმილი განხილვის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს გულდასმით ანალიზს და საჯარო დებატებს (Burke and Greenstein, 1989). მეოთხე სახელმძღვანელო პრინციპია, იმ მოსაზრებათა რიგის განხილვა, რომელმაც განაპირობა მიღებული გადაწყვეტილება, იმაში დარწმუნება, რომ არ მოხდა ვარაუდების გაიგივება ჭეშმარიტებასთან. როცა კენედიმ გადაწყვიტა მხარი დაეჭირა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გეგმისათვის, რომელიც ითვალისწინებდა კუბაზე ფიდელ კასტროს მოწინააღმდეგე ემიგრანტების შეჭრას, მან ვერ განსაზღვრა, რომ წარმატების შესაძლებლობა ემყარებოდა იმ

უსაფუძვლო ვარაუდს, რომ კუბის მოსახლეობა დაუყოვნებლივ აუჯანყდებოდა კასტროს რეჟიმს (Newstadt and May, 1986).

და მანც, ეს ძალზე ზოგადი წესებია, რომლებიც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შეცდომები არ იქნება დაშვებული. ყოველი კრიზისი უნიკალური მოვლენაა. ზოგჯერ ყველა ალტერნატივა შეიცავს მნიშვნელოვან რისკს. და, თითქმის ყოველთვის, დრო არსებითი ფაქტორია.

პრეზიდენტის პიროვნული ხასიათი

როგორ შეუძლია საზოგადოებას შეაფასოს, პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს აქვს განსჯის უკეთესი უნარი და ისეთი ხასიათი, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება ამ თანამდებობას? ამერიკელებს უხდებათ შეფასება კანდიდატის პიროვნული ხასიათისა და ხელმძღვანელობის სტილისა. 1988 წელს საჯაროდ გამოთქმულმა ეჭვმა გერი ჰარტის ხასიათის შესახებ იძულებული გახადა იგი უარი ეთქვა ბრძოლაზე დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისათვის. საზოგადოება შეაშფოთა არა მარტო ინფორმაციამ ჰარტის ცოლქმრული ღალატის შესახებ, არამედ მისმა უპასუხისმგებლობამაც. ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა: „რომელი ჭკუათმყოფელი არ ჩაადგებს არაფრად „ნიუ-იორკ თაიმსის“ რეპორტიორის შეკითხვას იმის თაობაზე, რომ იგი ეჭვმიტანილია ქალებთან დროს გატარებაში; და ამის შემდეგაც ჩაშლის თავის საკვირაო წინასაარჩევნო გამოსვლას და პაემანს დაუნიშნავს, თავის სახლში, მაიამელ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს?“ [Sheehy, 1987].

ხასიათის საკითხი ასევე ამოტივტივდა 1992 წელს, როცა ბუშის კამპანიამ მწვავედ შეუტია ბილ ქლინტონს იმის გამო, რომ ქლინტონი მიკიბულ-მოკიბულად პასუხობდა შეკითხვებზე, თუ როგორ აარიდა თავი ჯარში გაწვევას ვიეტნამის ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ქლინტონის წინააღმდეგ მიმართულმა კამპანიამ გარკვეული ეჭვები აღძრა მის ხასიათთან დაკავშირებით, ამომრჩევლების არჩევანი უფრო ეკონომიკურმა საკითხებმა გადასწონა.

კანდიდატის ხასიათი, ცხადია, საარჩევნო კამპანიის მწვავე საკითხს წარმოადგენს. პრეზიდენტის მოქმედებები მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს, იდეოლოგიის და პოლიტიკის გარდა, ასახავს იმ მორალურ, ეთიკურ და ფსიქოლოგიურ ძალებს, რომლებიც ქმნიან მის ხასიათს.

კანდიდატებს „შუბლზე არ აწერიათ“, თუ როგორი ხასიათი ექნებათ მათ, როგორც პრეზიდენტებს. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლები აკეთებენ თავის შეფასებას იმის თაობაზე, თუ როგორ მოიქცევა პრეზიდენტი თანამდებობაზე, არ არის იმის გარანტია, რომ ეს შეფასება მცდარი არ აღმოჩნდება. კანდიდატის ხასიათი აწონილ-დაწონილი უნდა იყოს სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა იდეოლოგია, პარტიის წევრობა, მისი მიდგომა სხვადასხვა პრობლემების მიმართ.



განსხვავება ხასიათში

კელეინი კულიჯისა და ჯონ კენედის პიროვნულმა ხასიათმა განაპირობა საპრეზიდენტო ხელისუფლების ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სტილი. „დაანებე თავი“ – იყო კულიჯის დევიზი: ეს ბევრს გვეუბნება მის მიდგომაზე პრეზიდენტის ხელისუფლებაში. კენედის დახასიათებისას ტრადიციულად ხმარობდნენ სიტყვას „ენერჯიული“. ეს სიტყვა ყველაზე შესაფერისია მისი პრეზიდენტობის სტილის აღწერისთვისაც. ისტორიკოსმა არტურ მლეზინჯერმა კენედის შესახებ თქვა: „მისი საპრეზიდენტო ცხოვრება იყო ინტუიცია მოქმედებასთან ერთად“

შეჯამება

როდესაც კონსტიტუციური კონვენტის დელეგატებმა თავი მოიყარეს ახალი სახელმწიფოს მოაჯრობის სტრუქტურის წამოსაყალიბებლად, მათ ძალზე გაუჭირდათ პრეზიდენტის თანამდებობის განსაზღვრა. მათ უნდოდათ, რომ თანამდებობა საკმარისად დიდი ძალაუფლების მატარებელი ყოფილიყო, რათა განეხორციელებინა ქვეყნის ხელმძღვანელობა, მაგრამ არც იმდენად ძლიერი, რომ პრეზიდენტებს გამოეყენებინათ თავისი უფლებამოსილებანი ტირანიისა და დიქტატურისათვის.

დროსა განმავლობაში საპრეზიდენტო ხელისუფლების საწყისი კონცეფცია თანდათან გარდაიქმნა, ვინაიდან პრეზიდენტები უსადაგებდნენ თანამდებობას ქვეყნის ცვალებად მოთხოვნილებებს. ძირითა-

დი ტენდენციამ პრეზიდენტის ძალაუფლების გაფართოება. ეს ხდებოდა პრეზიდენტის „სკელმწიფოული უფლების“ საფუძველზე გარდა ამისა, კონგრესმა თვითონაც გადასცა უფლებამოსილებათა საგრძნობი წილი აღმასრულებელ ხელისუფლებას, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა პრეზიდენტის როლი.

რამდენადაც პრეზიდენტი არჩეულია მთელი ქვეყნის მიერ, პოლიტიკის განსაზღვრისას მას შეიძლება აქონდეს პრეტენზია, წარმოადგენდეს ყველა მოქალაქეს. ამომრჩეველთა ეს ფართო ბაზა საპრეზიდენტო ხელისუფლებას მაკორიტირული დემოკრატიის ინსტიტუტად აქცევს, განსხვავებულ კონგრესის ტენდენციისგან – იყოს პლურალისტური დემოკრატიის იდეის გამტარებელი.

მართლა, მოქმედებს თუ არა საპრეზიდენტო ხელისუფლება მათორიტარული სტილით, დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: პოლიტიკური პრობლემის შესახებ არსებული საზოგადოებრივი აზრის პრეზიდენტისეულ აღქმაზე, საზოგადოებრივი აზრისა და პრეზიდენტის პოლიტიკური იდეოლოგიის ურთიერთმიმართებაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენადაა მოწადინებული პრეზიდენტი, თანამდებობის ძალით გაატაროს თავისი იდეები.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა სწრაფად იზრდება, რის შედეგადაც თეთრი სახლი საკმაოდ მოზრდილ ბიუროკრატიულ აპარატად გადაიქცა. მეოცე საუკუნეში საპრეზიდენტო ხელისუფლების ახალი მოვალეობანი განსაკუთრებით შესამჩნევია საკანონმდებლო ხელისუფლებასთან მიმართებაში. ამჟამად

პრეზიდენტისაგან მოელიან პოლიტიკურ ინიციატივებს კონგრესისათვის და ლობირებას, რისი მეშვეობითაც იგი კონტროლს გაუწევს კანონპროექტის გზას საკანონმდებლო პროცესში.


პრეზიდენტის როლი საგარეო ურთიერთობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრეზიდენტების გამუდმებული ზრუნვის საგანს კომუნიზმის გავრცელების შეკავება წარმოადგენდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმმა კრაზი განიცადა, პრეზიდენტებისათვის უპირველეს საზრუნავს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები შეადგენს. კელავ ძალაში რჩება ეროვნული უშიშროების პრობლემა, რამდენადაც რეგიონული კონფლიქტები, შესაძლებელია, უშუალოდ შეეხონ აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესებს.

საკვანძო ტერმინები

ვეტო
 განუყოფელი უფლებამოსილება
 უფლებამოსილებათა გადაცემა
 მანდატი (რწმუნებულება)
 ხელისუფლების გაყოფილი კონტროლი
 პრეზიდენტის აღმასრულებელი სამსახური
 კაბინეტი
 საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობის
 ვგუფი

veto
 inherent power
 delegation of power
 mandat
 divided control of government
 Executive Office of the President
 Cabinet
 legislative liaison staff


ბიუროკრატია



10

საკითხავი ის კი არ იყო, არის თუ არა ანდრეს სერანოს ფოტოგრაფია – „ქრისტე შარდში“ – ხელოვნების ნიმუში (ზოგი ასე თვლიდა, ზოგი კი მას, უბრალოდ, უხამსობად მიიჩნევდა), საკითხავი უფრო ის იყო, უნდა დაიხარჯოს თუ არა გადასახადის გადამხდელთა ფული ამ ნამუშევრის მხარდასაჭერად (1987 წელს სერანოს გამოეყო ფედერალური გრანტი 15 ათასი დოლარის ოდენობით). სერანომ გადაიღო ქრისტეს ჯვარცმის ფოტოსურათი და ჩასდო იგი თავისი შარდით სავესტამენტის გასაშვებლად ტურტელში, რამაც კრიტიკის ქარცეცხლი გამოიწვია. მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო კამათი ენ-ი-ეის (National Endowment for Arts - NEA – ენ-ი-ეი – „სახელმწიფო დახმარება ხელოვნებისათვის“) როლის შესახებ. ენ-ი-ეი არის სამთავრობო სააგენტო, რომელიც დახმარებას უწევს ხელოვნების მუშაკებს.

მას შემდეგ, რაც ქ. რიჩმონდის (ვირჯინიის შტატი) ხელოვნების მუზეუმმა გამოფინა სერანოს ფოტოგრაფია, გამძვინვარებულმა პასტორმა დონალდ უილდმონმა, კონსერვატიული შეხედულების ჯგუფის – „ამერიკის ოჯახის ასოციაციის“ თავმჯდომარემ გაუგზავნა გაზეთის. ამონაჭერი სერანოს ფოტოგრაფიით ამერიკის ყველა კონგრესმენს. რესპუბლიკელმა სენატორმა ჯესი ჰელმსმა (ჩრდილოეთ ქეროლიანა) არ დააყოვნა პასუხი: „სერანოს უნდა საყოველთაო



თქვენი გადასახადის დოკუმენტები მუშაობენ?

ანდრეს სერანოს წინააღმდეგობრივმა შემოქმედებამ დაიმსახურა გრანტი სააგენტოსაგან „სახელმწიფო დახმარება ხელოვნებისათვის“. ამ სურათზე იგი აღბეჭდილია თავისი ფოტოგრაფიის – „ქრისტე შარდში“ – ფონზე, რომელმაც დიდი ქარცეცხლი დააწია ამ სახელმწიფო სააგენტოს.

აღფოთების გამოწვევა. მისი უფლებაა იყოს სულელი, მაგრამ ისულელოს საკუთარი დროის და საკუთარი სახსრების ხარჯზე“.

პელმსის სიტყვებმა საზოგადოება შეძრა. მძიმე შრომით დაკავებულმა გადასახადების ბეგრმა გადამხდელმა დასვა კითხვა: რატომ იხარჯება ფედერალური საშემოსავლო გადასახადის ნაწილი ისეთ ხელოვნებაზე, რომელიც ქრისტიანობის ყველაზე წმინდა სიმბოლოს მასხრად იგდებს?

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ენ-ი-ეიმ, სერანოს გარდა, დააფინანსა ფოტოგრაფი რობერტ შეიფლთორფის ნამუშევრების გამოფენაც. ამ ექსპოზიციაში ჩართული იყო ისეთი სურათები, რომელზეც აღბეჭდილი იყვნენ მამაკაცები ჰომოეროტიკულ და სადომაზობისტურ პოზებში (იხ. თავი 12).

გარდაუვალი გახდა ისეთი კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც შეზღუდვდა ენ-ი-ეის დაფინანსებას; გაჩნდა წინადადება მისი საერთოდ გაუქმების

შესახებ. კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ენ-ი-ეი უმართავია. მათი აზრით, ეს იყო სამთავრობო ბიუროკრატის შემოქმედების ტიპური შემთხვევა, როდესაც იგი აკეთებს იმას, რაც სურს და ნაკლებად უწყევს ანგარიშს საზოგადოებრივ ინტერესს. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ენ-ი-ეის დამცველთა კონტრშეტევა. გასაკვირი არ არის, რომ სააგენტოს მხარდაჭერას გამოხატავდა შემოქმედი ხალხი, რომელთაც უშუალოდ უნდა შეხებოდა დაწესებული შეზღუდვები. მათ პქონდათ ძლიერი არგუმენტი: ენ-ი-ეიზე დაწესებული შეზღუდვები ნიშნავს შემოქმედებითი თვითგამოხატვის თავისუფლებაზე ძალადობას.

კონგრესმა ამ დაპირისპირებას მისთვის ჩვეული კომპრომისით უპასუხა. პალატამ და სენატმაც მიიღეს კანონი, რომელიც მხატვრებისგან სუბსიდიების უკან დაბრუნებას მოითხოვდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მათ უხამსობაში დაადანაშაულებდნენ. იმის განსაზღვრა კი, არის თუ არა ნამუშევარი უხამსი, კონგრესმა სასამართლოს მიანდო და არა ენ-ი-ეის. მიუხედავად იმისა, რ. მ. უხამსობისათვის მსჯავრის დადება საკმაოდ ძნელია, ბევრი მაინც შიშობს, რომ მხატვრებისათვის სუბსიდიების გამოყოფისას ენ-ი-ეი ამიერიდან უფრო ფრთხილი იქნება.

ენ-ი-ეის გარშემო ატეხილი დავა ნათლად ასახავს იმ დამბულობას, რომელიც მუდმივად არსებობს ამერიკაში თავისუფლებასა და წესრიგს შორის. უილდმონი, ჰელმსი და ენ-ი-ეის სხვა კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ცდილობენ წესიერებისა და რელიგიის დაცვას ამერიკის საზოგადოებაში. მეორე მხარე კი თვლის, რომ ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო მონაპოვარია თავისუფლებისადმი ერთგულება, რომელიც მოიცავს გამოხატვის თავისუფლებასაც. ზოგი ამბობდა, რომ ის შემოქმედნი, რომლებიც ენ-ი-ეის კლიენტები იყვნენ, მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენენ მის პოლიტიკურ კურსზე, საზოგადოება კი ნაკლებადაა ინფორმირებული ფედერალური საქმიანობის ამ ვიწრო სფეროს შესახებ. ხალხი, ფაქტობრივად, გამოაფხიზლა ამ რამდენიმე არატაიურმა და სენსაციულმა ნამუშევარმა. არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ჩვეულებრივ მოქალაქეთა შეზღუდვები მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ცოდნა იმ ხელოვნების შესახებ, რომელიც მხარდაჭერის ღირსია.

ენ-ი-ეის მსგავსად, ბევრ სხვა სამთავრობო ორგანიზაციას ედება ბრალი იმაში, რომ ისინი არ ექვემდებარებიან დემოკრატიულ კონტროლს. ამ თავში ჩვენ ვცდილობთ იმის განსაზღვრას, თუ ვინ აკონტროლებს ბიუროკრატის ამერიკის მთავრობაში. ჩვენ, აგრეთვე, გავეანალიზებთ იმასაც, თუ რატომ არის ხალხი ასე უკმაყოფილო ბიუროკრატით და განვიხილავთ იმ რეფორმებს, რომლებმაც, შეიძლება, უფრო ეფექტიანი გახადოს მთავრობის საქმიანობა.

ორგანიზაციის საკითხი

ქვეყნის კანონები და პოლიტიკური კურსი ხორციელდება სხვადასხვა სახის დეპარტამენტების (სამინისტროების), სააგენტოების, სამმართველოების,

ბიუროების, დაწესებულებების და სხვა სამთავრობო ერთეულების საშუალებით. ყველა ესენი ბიუროკრატის სახელითაა ცნობილი.

ბიუროკრატია აღნიშნავს ნებისმიერ დიდსა და რთულ ორგანიზაციას, რომლის თანამშრომლებსაც გააჩნიათ ძალიან კონკრეტული პასუხისმგებლობა და რომლებიც მუშაობენ უფლებამოსილების იერარქიული პრინციპით. ამ სამთავრობო დაწესებულებების თანამშრომლებს ერთგვარი ირონიით ბიუროკრატებად მოიხსენიებენ. ჩვენ ვსწავლობთ ბიუროკრატიებს, ვინაიდან ისინი მთავარ როლს ასრულებენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების ხელისუფლებაში. მაგრამ ასეთი ორგანიზაციები ნებისმიერი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, თუნდაც ეს საზოგადოება პრიმიტიული იყოს. მაგალითად, პრეინდუსტრიული ტომის ორგანიზაცია არ იყო უბრალოდ მისი განვითარების თავისებური ასპექტი – ის გადაწყვეტი მნიშვნელობისა იყო ტომის წევრების არსებობისათვის.

თანამედროვე სამთავრობო ბიუროკრატის ორგანიზაცია ხშირად ასახავს თვით მისი (ბიუროკრატის) გადარჩენის მოთხოვნილებებს. პრეინდუსტრიულ ტომებსაც ხშირად მტრულ გარემოცვაში უხდებოდათ გადარჩენისათვის ბრძოლა. არანაკლებ მტრულია თანამედროვე გარემოცვა, რომელიც საკვება დაპირისპირებული პოლიტიკური მოთხოვნებით და ბიუჯეტის შემცირების მუდმივი მუქარით. ის, თუ როგორ არის ორგანიზებული სამთავრობო ბიუროკრატია, ასახავს, აგრეთვე, მისი კლიენტების მოთხოვნილებებსაც. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ბიუროკრატის ორგანიზაციული სტილი გავლენას ახდენს მისი ამოცანების განზოციელების ეფექტიანობაზე.

„ეფექტიანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის ერთი გზა არ არსებობს“ (Wilson, 1989, p.25). მაგალითად, თუ სახელმწიფო სკოლების მუშაობა შეიძლება გამოასწოროს მათთვის მინიჭებულმა მეტმა ავტონომიამ, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის გასაუმჯობესებლად იგივე საშუალება შესაძლოა არ გამოდგეს, ვინაიდან ამ სამსახურის მთავარი მიზანია ერთნაირ პირობებში მყოფი პიროვნებებისათვის თანაბარი დახმარების გაწევა.

ბიუროკრატული სახელმწიფოს განვითარება

ბიუროკრატის შესწავლა კონცენტრირებულია დიდი სამთავრობო ორგანიზაციების პრობლემებზე. ამერიკელების საერთო წუხილია ბიუროკრატული აპარატის სიდიდე და მის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების სიმრავლე. რიგითი ამერიკელის წარმოდგენაში ფედერალური მთავრობა მიაგავს რვაფეხას, რომლის საცეცები ყველგან და ყველაფერს შეიძლება მიწვდეს.

ამერიკის მთავრობის ზრდა

ამ საუკუნეში ამერიკის მთავრობა უსაზღვროდ გაიზარდა. ერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ „გარემო:ს დაცვის სააგენტოს წყლისა და სახიფათო ნედლეულის განყოფილების ადმინისტრატორის მოადგილის შტატმა ჯორჯ ვაშინგტონის მთელ პირველ ადმინისტრაციას გადააჭარბა“ (Porter, 1980, p. 50).

მართალია, ბიუროკრატიული აპარატი ჯორჯ ვაშინგტონის დროსაც იყო საჭირო: ეჭვს არ იწვევდა საფოსტო სამსახურის და საფინანსო დეპარტამენტის აუცილებლობის საკითხი. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ მეოცე საუკუნეში მთავრობა უსაშველოდ გაიბერა ყველა (სახელმწიფო, შტატისა თუ ადგილობრივ) დონეზე. მთავრობის რიცხობრივ ზრდას მთელი რიგი მიზეზები აქვს.

მეცნიერება და ტექნიკა. მთავრობის უზომო ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თვით საზოგადოება გახდა უფრო რთული. ჯორჯ ვაშინგტონს არ ჰყავდა „გარემოს დაცვის სამმართველოს“ წყლისა და სახიფათო ნედლეულის განყოფილების ადმინისტრატორის მოადგილე, რადგან არ იყო მისი საჭიროება. არც „აერონავტიკისა და კოსმოსის ეროვნული ადმინისტრაციის“ (NASA) საჭიროება არსებობდა მანამდე, სანამ არ გამოიგონებდნენ რაკეტებს. ძველ დეპარტამენტებსაც მოუხდათ თავიანთი საქმიანობის სპექტრის გაზრდა, რათა მხარი აეხათ ტექნიკური და საზოგადოებრივი ცვლილებებისათვის. მაგალითად, ავილოთ ის ცვლილებები, რომლებიც მოიტანა გენურმა ინჟინერიამ: აშშ-ს ვაჭრობის სამინისტროს საპატენტო განყოფილებას მოუხდა ახალი მოთხოვნილებების გათვალისწინება, რათა შეექმნათ პატენტის ახალი ფორმა მწარმოებელთა ინტერესის დასაკმაყოფილებლად: ახალი პოლიტიკის მიხედვით, ისეთი ახალი ცხოველის გამოყვანებმა, როგორიცაა „ჯიპი“ (მიიღება ცხვირისა და თხის ემბრიონების შერწყმით), უნდა მიიღონ საავტორო ჰონორარი ფერმერის მიერ გამოზრდილ თითოეულ ცხოველზე (Schneider, 1988, p.A1).

ბიზნესის რეგულირება. მთავრობის ზრდის მეორე მიზეზია საზოგადოებრივი აზრის შეცვლა ბიზნესთან დაკავშირებით. თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ბიზნესი ავტონომიური სფერო იყო და ნებისმიერი ჩარევა ეკონომიკაში მთავრობის მხრიდან, ავტონომიის შეზღუდვის მიზნით, მიუღებლად ითვლებოდა. ამ დამოკიდებულების შეცვლა დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, როდესაც ამერიკელები მიხვდნენ, რომ ასეთი laissez faire-ის პოლიტიკის წყალობით მათ არ ექნებოდათ მომხმარებლისთვის სარგებლობის მომტანი კონკურენტუნარიანი ბაზარი. მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში თანდათანობით მისაღები გახდა იმდენად, რამდენადაც აუცილებელი იყო მწარმოებელთა და გამსაღებელთა შესაძლო უპატიოსნო პრაქტიკასთან ბრძოლა. თუკი მთავრობას უნდოდა აღმოეფხვრა ბიზნესის რაიმე მანე პრაქტიკა, მას სათანადო სააგენტოებიც უსაჭიროებოდა. მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებული სფეროების რეგულირების მიზნით, შეიქმნა ახალი ბიუროკრატიული აპარატები. მაგალითად, „ფასიანი ქაღალდებისა და საბირჟო კომიტეტი“, რომელიც აკონტროლებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას; „სასურსათო პროდუქტებისა და ფარმაცოლოგიის ადმინისტრაცია“, რომლის მიზანია დაიცავს მომხმარებელი არასაიმედო კვების პროდუქტების, წამლებისა და კოსმეტიკური საშუალებებისაგან; „კავშირგაბმულობის ფედერალური კომიტეტი“, რომელიც აკონტროლებს ტელე-რადიო-მაუწყებლობას და სატელეფონო კომპანიებს.

ამ ბიუროკრატიული აპარატების მეშვეობით მთავრობა გახდა ბაზრის არბიტრი, რომელიც აწესებს პატიოსანი ვაჭრობის ნორმებს, ადგენს ტარიფებს და გასცემს ლიცენზიებს ცალკეული ტიპის საქმიანობაზე. პრობლემების ახალი

სფეროების აღმოცენების გამო მთავრობას უხდება ახალი სააგენტოების შექმნა და შემდგომში მათი საქმიანობის გავრცობა. ქვემოთ ვნახავთ, რომ ბოლო ხანებში შეიმჩნევა მთავრობის როლის შემცირება ბაზრის რეგულირების საქმეში.

სოციალური კეთილდღეობა. შეიცვალა შეხედულებები სოციალური კეთილდღეობის სფეროში მთავრობის პასუხისმგებლობის მიმართ. ამერიკული კულტურა საკუთარი შესაძლებლობების რწმენამ გადაარჩინა. გასულ წლებში მთ, ვისაც არ შეეძლო თავისი თავის უზრუნველყოფა, საკუთარ ოჯახზე ან ადგილობრივ პროგრამებზე დაყრდნობა უხდებოდათ.

ხალხი ძალიან ნელა ეგუებოდა მთავრობის, როგორც „უფროსი ძმის“, როლს. მხოლოდ „დიდი დეპრესიის“ დროს დაიწყო მთავრობამ ნაბიჯების გადადგმა გარანტირებული შემოსავლის უზრუნველსაყოფად: 1935 წელს „სოციალური უზრუნველყოფის აქტი“ იქცა კანონად, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა სოციალური კეთილდღეობის ფონდი. ამ ფონდში მშრომელებს შეაქვთ გარკვეული თანხა, სიბერის დროს კი იღებენ პროცენტებს. ამ „აქტის“ ერთი ნაწილი ითვალისწინებდა დახმარებას ღარიბი ოჯახებისათვის. ამჟამად იგი გადაიზარდა „ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში“, რომელიც ამერიკაში კეთილდღეობის ძირითად პროგრამად ითვლება.

პროგრესის რწმენა. ამერიკელების მტკიცე რწმენა პროგრესში ასევე უწყობს ხელს დიდი და მძლავრი ცენტრალური მთავრობის არსებობას. ამერიკის კულტურის შემადგენელი ნაწილია ხალხის რწმენა, რომ ქვეყანას ძალუძს პრობლემების გადაჭრა. ეს განწყობა კარგად გამოხატა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ, როდესაც 1961 წელს გამოაცხადა, რომ აშშ-ს მიზანია 1970 წლამდე მთვარეზე ადამიანის გადასვლა მოაწყოს. თუმცა ეს ამოცანა რთული ჩანდა კენედის დროს, მაგრამ 1969 წლის 20 ივლისს ამერიკელმა ასტრონავტმა მართლაც დადგა ფეხი მთვარეზე. იგივე შემართება ამომრავებს პოლიტიკოსებს, როდესაც ისინი უცხადებენ ომს სიღარიბეს, კიბოს, შიდსს და ა. შ., რაც, ბუნებრივია, მოითხოვს დიდსა და კარგად დაფინანსებულ პროგრამებს და, შესაბამისად, ახალ შტატებს.

პატივმოყვარე ხელმძღვანელები. დაბოლოს, მთავრობა გაიზარდა იმიტომ, რომ მისი ქვედანაყოფების ხელმძღვანელებმა გაზარდეს თავისი ორგანიზაციები და შტატები, რათა მეტი პასუხისმგებლობა აეღოთ თავის თავზე. ფანტაზიის მქონე და მიზანდასახული ადმინისტრატორები ეძებენ საშუალებებს, რათა უკეთ ემსახურონ თავის კლიენტებს. ყოველი ახალი პროგრამა მატებს მათ ახალ უფლებამოსილებას. ამ უფლებამოსილებების გასაძლიერებლად, თავის მხრივ, საჭიროა მეტი დაფინანსება და შტატები. მაგალითად, როდესაც საბჭოთა კავშირში კომუნიზმის კრახმა შემცირების საფრთხე შეუქმნა უშიშროებისა და თავდაცვის ბიუროკრატიული აპარატების ბიუჯეტებს, თავდაცვის დეპარტამენტი სერიოზულად შემობრუნდა გარემოს დაცვის გლობალური პრობლემებისკენ (Shabecoff, 1988).

შეგვიძლია თუ არა მთავრობის შემცირება?

1980 წელს, თავისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს, რონალდ რეიგანი დაპირდა ამომრჩევლებს, რომ შეამცირებდა ძვირადღირებულ ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც, მისი აზრით, ტვირთად აწევა ამერიკელ ხალხს. რეიგანი იმეორებდა რესპუბლიკელთა ტრადიციულ, კონსერვატიულ შეხედულებას: „მთავრობა მეტისმეტად დიდია, მისი შემცირება მხოლოდ რესპუბლიკელებს შეუძლიათ“. მაგრამ, როგორც ნახაზი 10. I. გვიჩვენებს, რეიგანმა, მიუხედავად იმისა, რომ შეამცირა ცალკეული დაწესებულებების მასშტაბი, თავის ლიბერალ წინამორბედთან, ჯიმი კარტერთან შედარებით, მთავრობა გაზარდა.

პრეზიდენტებსა და კონგრესის წევრებს მძიმე საქმის შესრულება უხდებათ ბიუროკრატიული აპარატის შესამცირებლად. თითოეული სამთავრობო ორგანო დახმარებას უწევს საზოგადოების ცალკეულ სექტორს. ფერმერებს სჭირდებათ დახმარება სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მხრიდან თავიანთ პროდუქციაზე ფასების შესანარჩუნებლად. მშენებლები შემოსავალს იღებენ იმ პროგრამებიდან, რომელსაც სთავაზობს მათ ბინათმშენებლობის და საქალაქო განვითარების დეპარტამენტი, ხოლო პროფესიულ კავშირებს ესაჭიროებათ „შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის ადმინისტრაციის“ მძლავრი დახმარება. ნებისმიერი სააგენტოს საქმიანობის შეზღუდვის ყოველნაირ მცდელობას ყოველთვის წინ აღუდგებიან ის დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც იმედს ამყარებენ სწორედ ამ სააგენტოზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ხარჯების შეზღუდვისა და მთავრობის შემცირების მომხრენი არიან, როდესაც მათ ეკითხებიან სპეციალური პროგრამების ან მთავრობის ფუნქციების შესახებ, ისინი მაინც მხარს უჭერენ მთავრობის საქმიანობას (Jacobson, 1990).

პოლიტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, სააგენტოები ცვლილებებისგან არ არიან დაზღვეულნი. მართალია, იშვიათად ხდება დეპარტამენტების ან სააგენტოების გაუქმება, მაგრამ ხშირად ხდება მათი რეორგანიზაცია – პროგრამების გაერთიანება და საქმიანობის სპექტრის შემცირება. არასაკმარისი შედეგის შემთხვევაში პროგრამები კარგავენ მხარდაჭერას. დაფინანსების მოსპობით საფუძველი ეცლება ბიუროკრაციის პოზიციებსაც.

დიდი მთავრობის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი ასახავს კონფლიქტს მაიორიტარიზმსა და პლურალიზმს შორის. მაშინაც კი, როდესაც საზოგადოებას უფრო მცირე მასშტაბის მთავრობა სურს, ამ საყოველთაო სურვილს, შესაძლოა, წინ აღუდგეს საზოგადოების სხვადასხვა სემენტები, რომლებსაც ურჩევნიათ ჰყავდეთ ისეთი მთავრობა, რომელიც მათთვის მნიშვნელოვან ფუნქციებს განახორციელებს. საზოგადოების მხოლოდ ამ ნაწილის წარმომადგენელი ლობისტები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა დაარწმუნონ ადმინისტრაცია და კონგრესი სწორედ მათი სააგენტოების ბიუჯეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში.

ბიუროები და ბიუროკრატები

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ ბიუროკრატია არის უზარმაზარი მონოლითი. სინამდვილეში, ვაშინგტონის ბიუროკრატია არის დეპარტამენტების, სააგენტოების, სამმართველოების, ოფისებისა და კომიტეტების კონგლომერატი, რომელთაგან თითოეული ცალკე ბიუროკრატიაა თავისი საკუთარი უფლებამოსილებებით.

მთავრობის ორგანიზაცია

სამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი ტიპების განხილვით ჩვენ უკეთ მივხდებით, თუ როგორ მუშაობს აღმასრულებელი ხელისუფლება. ამ განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხს და მათ ურთიერთობას თეთრ სახლთან.

დეპარტამენტები. დეპარტამენტები (ჩვენი გაგებით ეს სამინისტროებია. მთარგმნელის შენიშვნა) აღმასრულებელი ხელისუფლების უდიდესი ერთეულებია, რომლებიც მთავრობის პასუხისმგებლობის ფართო სფეროებს მოიცავენ. მე-9 თავში აღნიშნული იყო, რომ ამ დეპარტამენტების ხელმძღვანელები – მდივნები (ჩვენი გაგებით მინისტრები. მთარგმნელის შენიშვნა) სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად ქმნიან პრეზიდენტის კაბინეტს. თითოეული ამ 14 დეპარტამენტიდან იყოფა სააგენტოებად, სამმართველოებად, ოფისებად და სხვადასხვა სამსახურებად.

დამოუკიდებელი სააგენტოები. აღმასრულებელ ხელისუფლებაში არის აგრეთვე ბევრი დამოუკიდებელი სააგენტო, რომლებიც არ ექვემდებარებიან არცერთ დეპარტამენტს, მაგრამ პრეზიდენტისგან მათ გარკვეული ხარისხით მაინც აკონტროლებენ. მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო (CIA) პრეზიდენტის უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება. სხვები კი, კავშირგაბმულობის ფედერალური კომიტეტის (FCC) მსგავსად, შექმნილია, როგორც მარეგულირებელი კომიტეტები. ასეთ კომიტეტებს სათავეში უდგას რამდენიმე რწმუნებული, რომელთაც განსაზღვრული ვადით ნიშნავენ პრეზიდენტი. ზოგიერთი კომიტეტი შექმნილია ბიზნესის მავნე პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, ზოგი კი წარმოების თანმდევი მოვლენების, მაგალითად, ქარხნების მიერ გამოწვეული ჰაერის დაბინძურების გასაკონტროლებლად. არის ისეთებიც, რომლებიც იცავენ საზოგადოებას საზიფათო პროდუქტებისაგან.

მარეგულირებელი კომიტეტები არ იმყოფებიან თეთრი სახლის უშუალო კონტროლის ქვეშ. ასე, რომ, სხვა სააგენტოებისგან განსხვავებით, ისინი უფრო თავისუფალი არიან პოლიტიკური ზეწოლისაგან. თუმცა, მარეგულირებელი კომიტეტები ამ ზეწოლისაგან აბსოლუტურად დაცული მაინც არ არიან. მათ ლობირებას ახდენენ კლიენტების ჯგუფები და ისინი იძულებული არიან გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები. ამ სააგენტოებზე გავლენას ახდენს პრეზიდენტიც, როდესაც ვადის გასვლის ან გადადგომის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე ნიშნავს კომიტეტის წევრებს.

სამთავრობო კორპორაციები. დაბოლოს, კონგრესმაც შექმნა რამდენიმე სამთავრობო კორპორაცია. მომსახურება, რომელიც ხელისუფლების ამ სამსახურების მიერ ხორციელდება, თეორიულად, კერძო სექტორსაც შეეძლო შეესრულებინა. მაგრამ, კონგრესმა გადაწყვიტა, რომ ასეთი კორპორაციები საზოგადოებას უკეთ მოემსახურებიან იმ შემთხვევაში, თუკი მათ გარკვეული კავშირი ექნებათ მთავრობასთან. მთავრობის დაქვემდებარებაშია ფოსტა, რადგანაც მთავრობა თვლის, რომ ამერიკელებს ესაჭიროებათ სრულმასშტაბიანი იაფი საფოსტო მომსახურება და არა მარტო კერძო მომსახურება, რომელიც მხოლოდ მომგებიან მარშრუტებს აითვისებდა. ხანდახან კერძო სექტორს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური სტიმული ზოგი სახის საჭირო მომსახურების განსახორციელებლად. სწორედ ასე აფინანსებდა მთავრობა Anittrak-ის სარკინიგზო ხაზს, რომელსაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა (Tierney, 1984).

სამოქალაქო სამსახური

სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შტატში 3 მილიონამდე სამოქალაქო მუშაკია, რომლებიც აშშ-ს სამუშაო ძალის 2,5 პროცენტს შეადგენენ. ამ აპარატში შედიან: გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, მეტყვევები, საგარეო სამსახურის მუშაკები, კომპიუტერის პროგრამისტები, ინჟინრები და კიდევ მრავალი პროფესიის წარმომადგენლები. ამერიკის ბიუროკრატის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ მისი მუშაკების უმეტესობის დაქირავება სამოქალაქო სამსახურის მოთხოვნების მიხედვით ხდება. სამოქალაქო სამსახური შეიქმნა პენდლტონის აქტის საფუძველზე, 1883 წელს. ამ აქტის მიზანი იყო პროტექციონიზმის – პრეზიდენტის პოლიტიკური თანამოაზრეებითა და ახლობლებით სამთავრობო ადგილების შევსების პრაქტიკის – აღმოფხვრა. სამოქალაქო სამსახური სამუშაო ადგილებს ღირსეულ პირობებზე ანაწილებს და აკონტროლებს იმას, რომ არ ხდებოდეს მოსამსახურეების დათხოვნა პოლიტიკური საბაბით. წლების განმავლობაში დაიხვეწა სამუშაო კვალიფიკაციისა და შერჩევის წესები სამთავრობო თანამდებობების დასაკავებლად.

სამოქალაქო სამსახურის სოციალური შემადგენლობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი ასახავს ამერიკის მოსახლეობის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, როგორიცაა განათლება, შემოსავალი, ასაკი, მამის პროფესია. ფედერალური მთავრობის თანამშრომელთა 27 პროცენტს უმცირესობების წარმომადგენლები შეადგენენ, თუმცა, მათ არ უკავიათ მაღალი თანამდებობები. მთავრობის მაღალ წრეებში ცოტაა შვეკანიანი, ესპანურენოვანი და სხვა უმცირესობების წარმომადგენელი (Bureau, 1990, p.326).

ვაშინგტონში ჩამოსვლისას ბილ ქლინთონმა პირობა დადო, რომ თავის მინისტრთა კაბინეტს „უფრო ამერიკულს“ გახდიდა. ამ მიზნით მან კაბინეტის მდივნების პოსტების კანდიდატებად თავიდანვე შეარჩია ოთხი შვეკანიანი, ორი ესპანურენოვანი პიროვნება და სამი ქალი. ეს თანამდებობები არ განეკუთვნება სახელმწიფო სამოქალაქო სამსახურს. ამასთან, ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს უფროსად ესპანურენოვანი ლაურა დანდრეა ტაისონის, ხოლო გარემოს დაცვის

სამმართველოს ხელმძღვანელად შავკანიანი ქეროლ ბრაუნერის დანიშვნა იმას გვაფიქრებინებს, რომ საფუძველი ჩაეყარა ტენდენციას მაღალ თანამდებობაზე უმცირესობათა წარმომადგენლებისა და ქალთა დანიშვნისა.

საპრეზიდენტო კონტროლი ბიუროკრატიაზე

სამოქალაქო სამსახურის შექმნამ და სხვა რეფორმებმა სამთავრობო მოსამსახურეების უმრავლესობა პარტიულ პოლიტიკას ჩამოაშორა. ახლადარჩეულ პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაკთა ერთ პროცენტზე ნაკლები, მაგრამ ასეთების აბსოლუტური რაოდენობა უმადლეს სამთავრობო ეშელონებში მაინც ძალიან დიდია.

ყოველი ახალი პრეზიდენტი არჩევს კანდიდატურებს, რომლებიც კვალიფიციური იქნება და პოლიტიკურადაც მისაღები. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ხალხს თავისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებიდან არჩევს, დეპარტამენტების ხელმძღვანელები – მდივნები, მათი მოადგილეები, სააგენტოების უფროსები და მათი მსგავსნი უფრო მეტად ბიზნესის სფეროდან, უნივერსიტეტებიდან და თვით მთავრობიდანაც ინიშნებიან.

იმის გამო, რომ დეპარტამენტებსა თუ სხვადასხვა სააგენტოებში პრეზიდენტის ხალხი ცოტაა, იგი ხშირად გამოთქვამს ეჭვს, რომ მას არ გააჩნია საკმარისი კონტროლი ბიუროკრატიაზე. ბოლოდროინდელი პრეზიდენტები ხშირად ცდილობდნენ მოეხდინათ ძალაუფლების ცენტრალიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დანარჩენ ნაწილზე კონტროლის დაწესების გზით.

ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ეროვნული მთავრობის შტატში პრეზიდენტს მეტი დანიშნის უფლება უნდა ჰქონდეს, თვლიან, რომ ბიუროკრატიაზე უფრო დიდი კონტროლის შემთხვევაში პრეზიდენტს თავისი წინასაარჩევნო დაპირებების განხორციელების მეტი შესაძლებლობა ექნება. სხვები კი ყურადღებას ამახვილებენ სტაბილურ თანამშრომლებზე, რომლებსაც თანმიმდევრული კურსის განხორციელება შეუძლიათ. არის შიში იმისა, რომ, საპრეზიდენტო ხელისუფლება ძალიან ძლიერი გახდება. თუმცა ბოლოდროინდელი პრეზიდენტები ხშირად ჩივიან ბიუროკრატის ყოველისშემძლეობისა და უმართავობის შესახებ, ამერიკის პრეზიდენტი არ უნდა წარმოვიდგინოთ „უმწეო, საბრალო გოლიათად“. სინამდვილეში, მას საკმაოდ დიდი გავლენა აქვს სამთავრობო ორგანოებზე.

პოლიტიკის შემუშავება ადმინისტრაციის მიერ: ფორმალური პროცესები

მოქალაქეებს, რომლებმაც ცოტა რამ იციან იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს მთავრობის ოფიციალური პირები, ბიუროკრატის მოქმედება და მისი პოლიტიკა ხშირად ირაციონალურად ეჩვენებათ. ბევრ ამერიკელს აინტერესებს, თუ რატომ უნდა შეიმუშაონ სახელმწიფო სამსახურებმა

პოლიტიკური კურსი, ნაცვლად იმისა, რომ განახორციელონ ის, რაც მათ კონგრესმა დაავალა. ფაქტობრივად, ეს სამსახურები წარმოადგენენ პოლიტიკის შემუშავებელ ავტორიტეტულ ორგანოებს, რომელთა გადაწყვეტილებები არსებით საკითხებზე მოქალაქეებისათვის სავალდებულო ხდება.

ადმინისტრაციული მიხედვლება

როგორ იქმნება აღმასრულებელი სამსახურები? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კაბინეტში შემაჯავლი დეპარტამენტები, დამოუკიდებელი სააგენტოები, სამთავრობო კორპორაციები კონგრესის მიერაა შექმნილი. კონგრესი ქმნის ახალ დეპარტამენტს ან სააგენტოს იმ კანონის მიღებით, რომელშიც აღწერილია მისი მანდატი ანუ მოვალეობანი. ამ მანდატის ნაწილის თანახმად, კონგრესი სააგენტოს ანიჭებს უფლებას მიიღოს გარკვეული პოლიტიკური გადაწყვეტილებები. კონგრესმა დიდი ხნის წინ აღიარა, რომ ყველანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად მას არც დრო და არც ტექნიკური პირობები არ გააჩნია. იდეალში, კონგრესი აყალიბებს ზოგად პრინციპებს, ხოლო დეპარტამენტს ან სააგენტოს ამ პრინციპების შესაბამისად მოქმედება მოუთხოვება. იმ თავისუფლებას, რომელსაც კონგრესი ანიჭებს რომელიმე სააგენტოს მისი საკანონმდებლო მანდატის სულისკვეთებით და ამ მანდატის ფარგლებში პოლიტიკის განსახორციელებლად, ეწოდება ადმინისტრაციული მიხედვლება.

ხანდახან, ახალი სააგენტოსა თუ პროგრამის ჩამოყალიბებისას, კონგრესი ბუნდოვან ინსტრუქციას იძლევა. ზოგჯერ პრობლემა გამოკვეთილია, მისი გადაწყვეტა კი არა. კონგრესი იძულებულია იმოქმედოს. ამიტომ იგი ქმნის სააგენტოს ან პროგრამას თავისი დაინტერესების ნათელსაყოფად, გადაწყვეტილების მიღებას კი სააგენტოს ხელმძღვანელობას ანდობს. მაგალითად, 1934 წლის კანონში, რომლის საფუძველზე შეიქმნა „კავშირგაბმულობის ფედერალური კომიტეტი“ (FCC – „ფ-სი-სი“) (იხ. თავი 4), აღიარებული იყო მზარდი რადიოინდუსტრიის რეგულირების საჭიროება. კონგრესმა თავი აარიდა ზოგიერთი ორჭოფული საკითხის განხილვას და მისცა კომიტეტს შემდეგი სახის ბუნდოვანი დირექტივა: რადიომაუწყებლობა „უნდა ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს, მოთხოვნილებებს და კეთილდღეობას“ (Graber, 1989, p. 51). სხვა შემთხვევაში, არსებობს პრობლემის გადაწყვეტის გზები, მაგრამ კანონმდებლები ვერ შეთანხმებულან, რომელი მათგანია უკეთესი. კომპრომისები, უმეტეს შემთხვევაში, ორაზროვანია.

ხშირად კონგრესი იმდენ თავისუფლებას ანიჭებს ბიუროკრატიულ სამსახურებს, რომ ამის საფუძველზე ხელისუფლებას ბრალს დებენ სააგენტოებზე კონტროლის დაკარგვაში. ეს პრეტენზიები ხშირად გადაჭარბებულია. თუკი კონგრესს არ მოსწონს თავისი სამსახურის მოქმედება, მას შეუძლია მიიღოს კანონი და აუკრძალოს ამ სამსახურს გარკვეული კურსით მოქმედება. კონტროლის ეს მეთოდი, შესაძლებელია, მოუქნელად მოგეჩვენოთ, მაგრამ დროდადრო კონგრესს ეძლევა თავდაპირველ კანონმდებლობაში შესწორების შეტანის შესაძლებლობა.

კონგრესის წევრებთან არაოფიციალური კონტაქტები ასევე ახდენს გავლენას აღმასრულებლებზე. ამ კავშირების საშუალებით კანონმდებლები საზღვრავენ, თუ რა მოქმედებებს ელიან ადმინისტრატორებისაგან. ეს უკანასკნელნი კი ყურად იღებენ კანონმდებელთა რჩევებს, რადგან არ სურთ იმ კომისიებისა და ქვეკომისიების წევრების განაწყენება, რომლებზეც დამოკიდებულია მათი პროგრამების ბიუჯეტი. კანონმდებლებთან ურთიერთობა შესაძლებლობას აძლევს ადმინისტრატორებს, განმარტონ ის პრობლემები, რომელთა გადალახვაც უხდებათ მათ სააგენტოებს, დაასაბუთონ თავისი გადაწყვეტილებები და მიაღწიონ კომპრომისს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით.

მთლიანობაში, ბიუროკრატია არ არის უკონტროლო. თუმცა, არის ერთი სფერო, რომელზეც კონგრესმა შეზღუდა საკუთარი ზედამხედველობა. ეს არის საშინაო და საგარეო უშიშროება. გამოძიების ფედერალური ბიურო (ეფ-ბი-აი) და ჰაზერვის ცენტრალური სააგენტო (სი-აი-ვი) მათი საქმიანობის საიდუმლო ხასიათის გამო საკმაოდ თავისუფალია კონგრესის ოფიციალური და არაოფიციალური კონტროლისაგან (იხ. „რას შევადაროთ?“ 10.2.). ლეგენდარული ედგარ ჰუვერის ხელმძღვანელობის დროს (1924-1972 წწ.) ეფ-ბი-აი დამოუკიდებელი იყო როგორც კონგრესის, ასევე პრეზიდენტის ზედამხედველობისგან. წლების განმავლობაში სი-აი-ვიმაც ბოროტად გამოიყენა თავისი გასაიდუმლოებული ხასიათი და მონაწილეობა მიიღო ისეთ საიდუმლო ოპერაციებში, რომლებიც არ უნდა განხორციელებულიყო. ამდენად, კონგრესმა გაზარდა ზედამხედველობა ამ სააგენტოებზე და მიიღო კანონი, რომელიც აიძულებს ადმინისტრაციას, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს კონგრესს.

წესების დადგენა

ადმინისტრაციული მიხედვლების უფლება, რომელსაც კონგრესი ანიჭებს სააგენტოებს, ხორციელდება ოფიციალური პროცედურის საშუალებით, ჩვეულებრივ, ან წესების დადგენის, ან სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით. წესების დადგენა არის სამთავრობო პროცესი, რომლის შედეგია წესდება. წესდება არის დოკუმენტი, რომელიც მართავს სამთავრობო პროგრამის განხორციელებას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა ეფ-სი-სი ატარებს პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერეზებისათვის, იგი იყენებს მისთვის მინიჭებული მოქმედების თავისუფლებას წესდების ფორმით.

იმის გამო, რომ წესდება ნებადართულია კონგრესის საკანონმდებლო აქტებით, მას აქვს კანონის ძალა. თეორიულად, წესდების პოლიტიკური შინაარსი გამომდინარეობს კანონმდებლობის მიზნიდან. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, კონგრესი ყოველთვის ცხადად არ გამოხატავს თავის მიზნებს. სააგენტოებისათვის მინიჭებული ადმინისტრაციული მიხედვლება ხშირად იწვევს პოლიტიკურ უთანხმოებას მაშინ, როცა წესდება ჯერ კიდევ მიღების პროცესშია.

ვიდრე სააგენტო წესდებას მიიღებს, მას აქვეყნებენ პროექტის სახით. ამ ეტაპზე ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა განიხილოს პროექტი, სცადოს დაარწმუნოს სააგენტო მიიღოს უცვლელად, შეცვალოს

რას შევადაროთ? 10.1.

ნუ მისტირით შტაზის!

ყველა საზოგადოებას სჭირდება წესრიგის დაცვა, მაგრამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც შექმნილია წესრიგის დასამყარებლად, ემსახურება ავტოკრატიული რეჟიმის შენარჩუნებას. ეს არსად არ ასახულა ისე ნათლად, როგორც ყოფილი კომუნისტური რეჟიმის დროს აღმოსავლეთ ევროპაში. სახელმწიფო უშიშროების სააგენტოები წარმოადგენდნენ ტერორის იარაღს, რომლის შემგეობითაც მთავრობისადმი ნებისმიერი ოპოზიცია ითრგუნებოდა. აღმოსავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიცია (Staatssicherheit, შემოკლებით „შტაზი“) იყო უდიდესი ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც საზოგადოების ყველა სფეროში შეაღწია. მას ჰყავდა 65 ათასი მუშაკი სრულ შტაბზე. აქედან 6 ათასის ერთადერთი ამოცანა იყო სატელეფონო საუბრების მოსმენა; 2 ათასი – ორთქლზე ხსნიდა წერილებს, კითხულობდა მათ, კვლავ ლექავდა და ისე უგზავნიდა ადრესატებს. შტაზის დაქირავებული ჰყავდა, აგრეთვე, 151 ათასი აქტიური ინფორმატორი და ჰყავდა ასევე ათასობით დამსმენი. საქმეები შედგენილი იყო 4-5 მილიონ ადამიანზე (ქვეყნის მოსახლეობა 16 მილიონს შეადგენდა). მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ გერმანიას დიდი არმია გააჩნდა, შტაზის არსენალში 251 ათასამდე იარაღის ერთეული იყო.

შტაზიმ შეაღწია აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის უმაღლეს ეშელონებში, წარმოების სფეროში და უნივერსიტეტებში, სადაც მნიშვნელოვან ადგილებზე მას ჰყავდა გამწელებული 2 ათასი აგენტი. უპირველესი მიზანი იყო აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის დამსმენა, რათა ისინი არ დააირისპირებოდნენ ქვეყნის მმართველ კომუნისტურ დიქტატურას. მაგრამ ეს რეჟიმი დაემხო, როცა მშვიდობიანი რევოლუციის ტალღამ გადაურა აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებს. დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, აღმშობებულმა აღმოსავლეთ გერმანულმა დაარბიეს შტაზის მზანობა, ჩააღწეეს მინები და გაანადგურეს აღჭურვილობა.

გასაგება ადმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობის ზიზღი საიდუმლო პოლიციის მიმართ. მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ესაჭიროებათ უშიშროების ლეგიტიმური სამსახურები. ქვეყნის ინტერესებშია, რომ ეს სამსახური საიდუმლოდ მოქმედებდეს. აშშ-საც გააჩნია მზანობა, ჩააღწეეს უშიშროების დაწესებულებები, მათ შორის გამომძიების ფედერალური ბიურო (FBI) და საიდუმლო სამსახური. იყო დრო, როდესაც ამერიკის შინაგანი უშიშროების ბიუროკრატია უაღრესად უპასუხისმგებლოდ იქცეოდა. საზოგადოებრივი მოთხოვნილება საპოლიციო სამსახურზე უნდა გაწონასწორდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმით. ანგარიშვალდებულება დემოკრატიულ ქვეყანაში გულისხმობს, რომ ზოგიერთი არჩეული წარმომადგენელი (კონგრესმენი, გუბერნატორი და სხვ.) სრულად უნდა იყოს ინფორმირებული სახელმწიფოს საიდუმლო პოლიციის ძირითადი საქმიანობის შესახებ.

ნაწილობრივ ან საერთოდ არ მიიღოს ასეთი წესდება. 1989 წელს, როდესაც „გარემოს დაცვის სააგენტომ“ წარმოადგინა წინადადება ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების მუშაობით გამოწვეული ჰაერის დაბინძურების დარეგულირების თაობაზე, გარემოს დაცვის მომხრეები სიამოვნებით შეხვდნენ წინადადებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ნარჩენების ერთი მეოთხედის გადამამუშავება. თეთრი სახლის კონკურენტუნარიანობის კომისიამ კი სწორედ ეს პარაგრაფი არ მოიწონა, ვინაიდან იგი გულისხმობდა ნარჩენების გადამამუშავებისათვის ქარხნების მხრიდან დამატებითი ზარჯის გალებას. ეს კი მათ კონკურენტუნარიანობას შეამცირებდა და ეკონომიკურ მოტივაციას დაუკარგავდა. თეთრმა სახლმა აიძულა სააგენტო ამოელო წესდებიდან პარაგრაფი ნარჩენების გადამამუშავების აუცილებელი ქვოტის შესახებ. გარემოს დაცვის სხვა მუხლები კი საბოლოოდ დამტკიცდა წესდების სახით (E.P.A., 1990).


წესდების მიღების პროცესი წინააღმდეგობრივია, რადგანაც წესდება პიროვნებებისგან და წარმოება-დაწესებულებებისგან მოითხოვს წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით მოქმედებას, რაც ხშირად ეწინააღმდეგება კერძო ინტერესებს. ზემოთ მოტანილ მაგალითში გარემოს დაცვის ჯგუფებიც და ნარჩენების გადამამუშავებელი ინდუსტრიაც დარწმუნებული არიან იმაში, რომ სწორედ მათ იციან, თუ რა ესაჭიროება საზოგადოებას. ამავე დროს, მთავრობას უხდება სუფთა ჰაერზე მოსახლეობის მოთხოვნილებისა და მრეწველობის ფინანსური ინტერესების ურთიერთშეთავსება. როდესაც „გარემოს დაცვის სააგენტო“ წესდებას ადგენს, სადაც სხვადასხვა ინტერესებია გათვალისწინებული, ის ორმხრივი კრიტიკის ქარცეცხლში ხვდება: ნაწილს უნდა მთავრობის მეტი ჩარევა, ნაწილი კი ამის წინააღმდეგია. სააგენტოს შეუძლია პრობლემების გადაწყვეტა კონგრესს გადაულოცოს, რომელიც პასუხისმგებელია დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემუშავებისათვის (თავის მხრივ, კონგრესი ამ პოლიტიკის გატარების საგრძნობი ნაწილის დელეგირებას ახდენს „გარემოს დაცვის სააგენტოსადმი“).

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა

წესების დადგენა არის კვაზი-საკანონმდებლო პროცესი, რადგანაც იგი, ისევე, როგორც კონგრესი, კანონის მიღებისას ავითარებს ზოგად წესებს. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა კვაზი-სასამართლო პროცესია: იგი გამოიყენება *ინდივიდუალური* კონფლიქტების გადაწყვეტისას, როცა განისაზღვრება, ეწინააღმდეგება თუ არა პიროვნების ან რაიმე საწარმოს საქმიანობა კანონს ან სააგენტოს წესდებას.

კონგრესი ზოგიერთ სააგენტოს ანიჭებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილებას იმდენად, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მომავალ კონფლიქტებს კანონებისა და დადგენილებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით; კონგრესს კი არა აქვს იმის დრო და საშუალება, გაითვალისწინოს ყველა შესაძლო შემთხვევა წესდების შემუშავებისას. „შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველო“ (Nation Labor Relations Board - NLRB), რომელიც ასრულებს შუამავლის როლს ბიზნესსა და შრომას შორის არსებულ დაკავშირებაში, იმ ორგანოს მაგალითია, რომელიც ძალიან არის დამოკიდებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებები მიიღება ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეების მიერ, რომლებიც პრაქტიკულად სახელმწიფო სააგენტოების მუშაკები არიან. ისინი იმდენად დამოუკიდებლები არიან, რომ თანამდებობიდან მათი განთავისუფლება, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარდა, სხვა მიზეზის საფუძველზე შეუძლებელია. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის პროცედურა, სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, აქ ნაკლებად ფორმალურია, თუმცა აქაც უსმენენ მხარეებს. „შრომით ურთიერთობათა ეროვნული სამმართველოს“ შემთხვევაში იმ მხარეს, რომელიც წააგებს საქმეს, შეუძლია აპელაციით მიმართოს სამმართველოს ხელმძღვანელობას, სადაც გადაწყვეტილების გადასასინჯად ჰყავთ სამწვერიანი კომისია (MOE, 1985).



რომელი არგუმენტია უფრო საფუძვლიანი?

„კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ადმინისტრაციამ“ (Food and Drug Administration - FDA), რომელსაც ევალება კვების პროდუქტების, მედიკამენტების, კოსმეტიკური საშუალებების, სამედიცინო ხელსაწყოების ვარჯისიანობის კონტროლი, უნდა აწინააღმდეგოს თითოეული მათგანის სარგებლობის ეფექტი. კარგ ბერკეტი, ავტორი წიგნისა იმ ქალების შესახებ, რომლებმაც გადაწყვიტეს მკერდის იმპლანტაცია, სააგენტოს წინაშე ასაბუთებს სილიკონის აკრძალვის საჭიროებას, რომელიც საშიშია ჯანმრთელობისათვის.

პოლიტიკის შემუშავება ადმინისტრაციის მიერ: არაფორმალური პოლიტიკა

როგორ იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრატორი, როდესაც ახალი წესდება უკვე მიღებულია, ხოლო ორივე მხარის მტკიცებები და არგუმენტები – წარმოდგენილი? ძალიან ცოტა პოლიტიკური გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს გათვლილი კომპიუტერის ეფექტიანობის დონეზე. პოლიტიკური გადაწყვეტილებები უფრო ხშირად მიიღება მთელი პრობლემების გააზრებისა და მათი შეჯერების საშუალებით, რასაც ხანდახან ცალსახად პოზიტიური შედეგი არც მოჰყვება.

„საქმის როგორმე მიფუჩეჩების ხელოვნება“

ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები დიდი ზეწოლისა და ზეგავლენის შედეგია. პოლიტიკის შემუშავების კლასიკურ ანალიზში – „საქმის როგორმე მიფუჩეჩების ხელოვნება“ – ჩარლზ ლინდბლომმა ერთმანეთს შეადარა პოლიტიკის შემუშავების იდეალური გზა და ის გზა, რომლითაც ხდება ამ კურსის შემუშავება რეალურ ცხოვრებაში (Lindblom, 1959, pp.79-88). გადაწყვეტილების მიღების იდეალური, „რაციონალური“ პროცესი, ლინდბლომის აზრით, იწყება იმით, რომ ადმინისტრატორი პრობლემის ფასეულობას და მიზნებს განსაზღვრავს. მას შემდეგ, რაც მიზანი ნათელი ხდება, გულდასმით განიხილება პრობლემის გადაჭრის ყველა შესაძლებელი ვარიანტი ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით. საბოლოოდ მიიღება ის ალტერნატივა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის და სასურველი მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად ჩაითვლება.

ლინდბლომი თვლიდა, რომ ასეთი „რაციონალური და ყოვლისმომცველი“ მოდელი არარეალისტურია. დავიწყით იმით, რომ პოლიტიკის შემუშავებლებს პრობლემის ფასეულობისა და მიზნების განსაზღვრავად დიდი სიძნელების გადალახვა უხდებათ. მაგალითად, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს უნდათ, რომ სახლების გასათბობად საჭირო თხევადი საწვავის მარაგი ყოველ ზამთარს საკმარისი იყოს. ამავე დროს, მათ ისიც უნდათ, რომ ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული უცხოეთიდან შემოტანილ ნავთობზე. აშკარაა, რომ ეს ორი მიზანი ერთმანეთს ვერ უთავსდება. როგორ უნდა გადაწყვიტონ ოფიციალურმა პირებმა, თუ რომელი მიზანია უფრო მნიშვნელოვანი? როგორ უნდა დაუკავშირონ ეს მიზნები ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის სხვა მიზნებს?

რეალური გადაწყვეტილების მიღება სხვაგვარად ხდება და არჩეული პოლიტიკა ყოველთვის არ არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება მიზნის მისაღწევად. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბენზინის გასამართ სადგურებზე დაწვებული გადასახადი ენერგეტიკული კრიზისის დროს საწვავის მოხმარების შემცირების საუკეთესო საშუალებაა, ავტომობილისტთა აღშფოთება თეორიულად „სწორ“ გადაწყვეტილებას რეალურად ძნელად განსაზოცილებელს ხდის. ამდენად, „საუკეთესოა“ ის პოლიტიკა, რომელსაც ხალხის უმრავლესობა ეთანხმება. თუმცა, პოლიტიკური კომპრომისი შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მთავრობას მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლება პრობლემის გადაჭრა.

„რაციონალურ და ყოვლისმომცველ“ მოდელთან დაკავშირებული უკანასკნელი კრიტიკული შეხედულებაა ის, რომ პოლიტიკის შემუშავება რეალურად ვერასოდეს დაეყრდნობა ყოვლისმომცველ ანალიზს. დრო გადის, ხოლო პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დაველოდოთ მის სრულყოფილ შესწავლას.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკის შემუშავება *ინკრემენტულია* (ნელა მზარდია), რადგან თვით პოლიტიკა და პროგრამები ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იცვლება. გადაწყვეტილების მიმღებნი შეზღუდული არიან კონკრეტული პოლიტიკური

მიზნებით, დაპირისპირებული პოლიტიკური ძალებით, არასრული ინფორმაციით და დროის ზეწოლით. მათ შეზღუდული რაოდენობის არჩევანიდან ერთერთის გაკეთება უხდებათ, და ისიც, თითქმის ყოველთვის, სრულიად ახალ პოლიტიკას კი არ წარმოადგენს, არამედ არსებული პოლიტიკის სახეცვლილებას.

ბიუროკრატიის კულტურა

ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე და მათთვის დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაზე დიდ გავლენას ახდენენ ის მოხელეები (ბიუროკრატები), რომლებიც აქ მუშაობენ. ამერიკელები ბიუროკრატებთან ურთიერთობას, მათი პედანტურობისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლების უქონლობის გამო, ხშირად იმედის გაცრუებად მიიჩნევენ. მაღალი რანგის ოფიციალურ პირებსაც კი ხშირად უცრუვდებათ იმედი იმ მოხელეებზე, რომლებიც მათი ხელქვეითები არიან.

რატომ მოქმედებენ მოხელეები „ბიუროკრატიულად“? პიროვნებები, რომლებიც მუშაობენ დიდ ორგანიზაციებში, თავს ვერ აარიდებენ „ბიუროკრატიული კულტურის“ გავლენას. თანამედროვე ბიუროკრატიული აპარატი ავითარებს დახვეწილ წესებს და სტანდარტებს, რათა უფრო ეფექტიანი გახადოს თავისი საქმიანობა და პატიოსნად ემსახუროს თავის კლიენტებს. მაგრამ თითოეულ ორგანიზაციაში არსებული *ნორმები* (ქცევის არაოფიციალური, დაუსწერელი წესები) გავლენას ახდენენ მასში მომსახურე ხალხის მოქმედებაზე.

ბიუროკრატიული აპარატები პოლიტიკის შემუშავებისას ხშირად განიცდიან მასში მომუშავე ხალხის გაბატონებული ჩვევების, განწყობების, მოლოდინის ზეგავლენას. სამინისტროები და სააგენტოები, ჩვეულებრივ, ავითარებენ იმ ვალდებულების გრძნობას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ მიზანზე და მისი მიღწევის საშუალებებზე. მაგალითად, არმიის საინჟინრო კორპუსს ხელმძღვანელობენ ინჟინრები, რომლებიც საზღვრავენ ამ ბიუროკრატიული აპარატის მიზანს, როგორცაა ჯებირების აშენების საშუალებით მოსახლეობის წყალდიდობისგან დაცვა. რა თქმა უნდა, შეიძლება არსებობდეს სხვა მიზნებიც და ამავე მიზნის მიღწევის სხვა საშუალებებიც, მაგრამ ინჟინრები სთავაზობენ მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესაბამება მათი სააგენტოს მოქმედების ძირითად კონცეფციას.

ბიუროკრატები, ერთი შეხედვით, შეიძლება სრულიად უარყოფით პიროვნებებად მოგვეჩვენონ, მაგრამ მათ საქმიანობას დადებითი მხარეც აქვს. იმ სააგენტოებს, რომლებსაც პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა გააჩნიათ, აქვთ ძლიერი *esprit de corps* (კორპორაციული სული), რაც აძლიერებს ბიუროკრატთა მოტივაციას. ბიუროკრატთა სიფრთხილე და სააგენტოს წესდებისადმი უსაზღვრო ერთგულება მათი თანმიმდევრულობისა და შეუვალობის საზომია. ყველაფერი მწყობრიდან გამოვიდოდა, თუკი მთავრობის მოხელეები ისე გაოცდნენ წესდებას, როგორც თითოეულ მათგანს მოესურვებოდა. ბიუროკრატები „მისდევნენ წესებს“, რადგანაც ეს „წესები“ ეყრდნობა როგორც ქვეყნის კანონებსა

და წესდებებს, ასევე ცალკეული სააგენტოების შიდა განაწესს და ნორმებს. ამერიკელები მოელიან, რომ კანონის წინაშე მათ თანაბრად მოექცევიან, ბიუროკრატები კი ამ მოლოდინის გასამართლებლად უნდა იღვწოდნენ.

პოლიტიკის შემუშავება: ურთიერთქმედების ქსელი

ცალკეულ პოლიტიკურ სფეროში ხშირად მოქმედებენ მრავალრიცხოვანი დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ გაველენის მოხდენას გადაწყვეტილებებზე. ამ ჯგუფების წარმომადგენლები ურთიერთქმედებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და მთავრობის ოფიციალურ პირებთან. ეს მიმდინარე ურთიერთქმედება წარმოშობს როგორც კონფლიქტს, ასევე თანამშრომლობასაც.

ხელისუფლება და პოლიტიკის სფეროები

პოლიტიკის შემუშავება ხდება სხვადასხვა ინსტიტუტებში. მასში მონაწილეობენ სხვადასხვა სუბიექტები, რომლებსაც ამ პოლიტიკის მიმართ საკუთარი ინტერესი გააჩნიათ. ამ მონაწილეებს აერთიანებთ ურთიერთქმედების ქსელში ყოფნა: ამ ტერმინით აღნიშნავენ „ერთნაირად გათვითცნობიერებულ ჯგუფს, რომელიც რაიმე კუთხით დაკავშირებულია კონკრეტულ საზოგადოებრივ პოლიტიკასთან“ (Heclo, 1978, p. 103). ურთიერთქმედების ქსელის საზღვრები გამოკვეთილი არაა, მასში შედიან კონგრესმენები, სენატისა და პალატის კომისიებიც, წევრები, სამთავრობო სააგენტოების ოფიციალური პირები, ადვოკატები, ლობისტები, კონსულტანტები, სწავლულები, პაბლიკ რილეიშნზის სპეციალისტები, რომლებიც მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთს შორის და მუშაობენ, რათა გავლენა მოახდინონ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, იზრდება პროგრამებში მონაწილე ადამიანთა რიცხვი: მართო დაინტერესებული ჯგუფების რიცხვი ათეულებს შეადგენს. ამ პროგრამის ყველა ცალკეულ მონაწილეს არა აქვს საქმიანი ურთიერთობა ყველა დანარჩენთან. უფრო მეტიც: ზოგიერთი მათგანი ერთმანეთთან მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფება, სხვები კი ცდილობენ ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ. მაგალითად, გარემოს დაცვის ჯგუფები, რომლებიც ერთად ადგენენ პროგრამებს ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ, ბიზნესის სფეროს უნებლიე ოპოზიციონერები ხდებიან. ერთადერთი, რაც აერთიანებს მოწინააღმდეგეებს და მოკავშირეებს ცალკეული პროგრამის ფარგლებში, მათი ინტერესების წმინდა ტექნიკური გაერთიანებაა.

რეკინის სამკუთხედები

ქვეყნის შიდა პოლიტიკის შესწავლა არა ცალკეული ინსტიტუტების, არამედ ერთობლივი პოლიტიკის სფეროების მიხედვით, ახალი იდეა არ არის. პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ადრეული თაობების გამოკვლევებში

აღწერილია „ქვემთავრობების“ სისტემა. ეს არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფები, რომლებიც დომინირებენ ცალკეულ სფეროში პოლიტიკის შემუშავების დროს. მაგალითად, ჟურნალისტი დაგლას ქეიტერი 1950-იანი წლების ბოლოს არსებულ „შაქრის ქვემთავრობაზე“ წერდა:

„პოლიტიკური ძალაუფლება „ქვემთავრობაში“ თავმოყრილია წარმომადგენელთა პალატის სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის ხელში, რომელიც ადგენს ქვოტების განრიგს. ძალაუფლება ნაწილდება აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შაქრის წარმოების განყოფილების ხელმძღვანელთან, რომელიც არის გამოსცდილი მოხელე და უზრუნველყოფს ამ რთულ მარკეტინგულ სტრუქტურას საჭირო საექსპერტო რჩევებით. რჩევებს, აგრეთვე, იძლევიან შაქრის ჭარხლის და შაქრის ლერწმის მწარმოებელთა წარმომადგენლები ეაშინგტონიდან, შაქრის ქარხნები და საზღვარგარეთელი მწარმოებლები“ [Carter, 1964, p. 18]

ქეიტერის აზრით, ამ „ქვემთავრობას“ სამი კომპონენტი გააჩნია:

- კონგრესის კომისიებისა და ქვეკომისიების მაღალი რანგის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პოლიტიკის კონკრეტულ სფეროზე (ამ შემთხვევაში, ეს არის პალატის სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე);
- სააგენტოს ან სამმართველოს ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ატარებენ პოლიტიკას (ამ შემთხვევაში: აშშ-ს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის განყოფილების ხელმძღვანელი);

ლობისტები, რომლებიც წარმოადგენენ სააგენტოს კლიენტებს (ამ შემთხვევაში: შაქრის ნედლეულის მწარმოებლები, დამუშავებითი მრეწველობა და საზღვარგარეთელი მწარმოებლები).

ასეთ გაერთიანებებს ეწოდება „რკინის სამკუთხედები“. სიტყვა რკინა აღწერს ამ ჯგუფის ძალზე მნიშვნელოვან თვისებას: ეს გაერთიანებები იყვნენ ავტონომიური და ჩაკეტილი; გარეშეებს მასში შესაღწევად დიდი სირთულეების გადალახვა უხდებოდათ. მათზე გაკლენის მოხდენა პრეზიდენტებსაც კი უჭირდათ. „რკინის სამკუთხედები“ მყარად იდგნენ და ოდნავ თუ იცვლებოდნენ მაშინ, როდესაც ხელისუფლების სათავეში ახალი ადმინისტრაცია მოდიოდა. თანამდებობის შეცვლა არავითარ გაკლენას არ ახდენდა მათზე. ის პირი, რომელიც ტოვებდა სამკუთხედის ერთ კომპონენტს, ხშირად გადადიოდა მეორეში. „რკინის სამკუთხედები“ ქმედუნარიანი იყვნენ, რადგან მათ მონაწილეებს ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ პოლიტიკის კურსთან დაკავშირებით და ცდილობდნენ მიეღწიათ ისეთი კონსენსუსის. თვის, რომელიც ყველასთვის ხელსაყრელი იქნებოდა (Dodd and Schott. 1979).

„რკინის სამკუთხედი“ მთელი ძალიან პოპულარული იყო პოლიტოლოგთა შორის*. მიუხედავად იმისა, რომ აოგი ხმარობდა სხვა ტერმინებს („ქვემთავრობები“, „პატარა მოხერხებული სამკუთხედები“), ზოგი კი აყალიბებდა

* თუმცა „რკინის სამკუთხედი“ და „ქვემთავრობის“ იდეა შესაძლოა ერთგვარად მიიწვეს, ზოგი პოლიტოლოგი ცდილობს მთარგმოს ეს მიჯლი თანამედროვე პოლიტიკას (იხ. მაგ. McCool, 1990).

უფრო გართულებულ სტრუქტურებს, ვიდრე აქ არის წარმოდგენილი, ძირითადი იდეა იგივე რჩებოდა. ჩვეულებრივ, ინდივიდთა პატარა ჯგუფები ცალკეულ სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში დომინირებდნენ; ისინი იყვნენ ავტონომიური და სარგებლობა მოქონდათ იმათთვის, ვინც კარგად იყო ორგანიზებული. ეს მოდელი გამოიყენებოდა არა მხოლოდ იმის ასახსნელად, თუ როგორ მუშაობდა ამერიკის პოლიტიკა, არამედ იმის საჩვენებლადაც, თუ რა ნაკლი ქონდა პოლიტიკის შემუშავებას აშშ-ში (Berry, 1989).

ტელეკომუნიკაციების მაგალითი

ბოლო წლებში ნათელი გახდა, რომ „რკინის სამკუთხედი“ არ არის პოლიტიკის შემუშავების ტიპური სისტემა. ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია იძლევა იმის კარგ ილუსტრაციას, თუ როგორ იცვლება პოლიტიკა ვაშინგტონში. ტელეკომუნიკაციების სისტემა – ოდესღაც „რკინის სამკუთხედი“, ამჟამად კონფლიქტებით სავსე უზარმაზარ „ურთიერთქმედების ქსელს“ ქმნის.

თითქმის ბოლო დრომდე ამერიკის ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრია ეი-ტი-ენდ-ტის* ხელში იყო. მომხმარებელი, არჩევანის უქონლობის გამო, ხმარობდა „Ma Bell“-ის სატელეფონო ხაზებსა და მოწყობილობებს. ტელეკომუნიკაციების რკინის სამკუთხედის (რომელიც შედგებოდა კონგრესის წამყვანი წევრებისაგან, ეფ-სი-სისა და ეი-ტი-ენდ-ტისაგან) პოლიტიკური კურსი, ჩვეულებრივ, ურთიერთშეთანხმებული იყო.

1974 წელს, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა აღძრა სარჩელი, რომლითაც ბრალს სდებდა კორპორაციას ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრიაში უკანონო მონოპოლიურ ქმედებათა გამო. საბოლოოდ, სასამართლოს გარეშე მოხდა გარიგება, რომლის ძირითადი პირობა ის იყო, რომ ეი-ტი-ენდ-ტი უარს ამბობდა ადგილობრივი სატელეფონო კავშირის კონტროლზე. „ბელის სისტემა“ დაიყო შვიდ რეგიონულ სატელეფონო კომპანიად, რომლებიც ეი-ტი-ენდ-ტისგან დამოუკიდებელი გახდნენ. ეი-ტი-ენდ-ტის უფლება მისცეს შეენარჩუნებინა საქალაქთაშორისო მომსახურება, თუმცა ამ საქმეში მას კონკურენციას უწევს სხვა ისეთივე სამსახურებიც.

დღევანდელი ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრიაში პოლიტიკის შემუშავება არანაირად არა ჰგავს „რკინის სამკუთხედს“. ამის ნაცვლად შეიქმნა ურთიერთქმედების ქსელი, რომლის ცენტრშია კავშირგაბმულობის ფედერალური კომიტეტი (ეფ-სი-სი). ქსელში აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მრავალი დაინტერესებული ჯგუფი მონაწილეობს. კონფლიქტებს აქ ქრონიკული ხასიათი აქვს. ერთ საკითხზე კოალიციური პარტნიორები მეორე საკითხზე ოპონენტები ხდებიან. კავშირები სწრაფად იცვლება. სხვადასხვა ლობისტური ორგანიზაციები ებრძვიან ერთმანეთს, რათა დაიცვან თავისი გასაღების ბაზარი მაშინ, როდესაც ცდილობენ სხვის ბაზარში შეჭრას.

ვაშინგტონში პოლიტიკის შემუშავებელი ყველა გაერთიანება არ გადახ-

* AT&T = American Telephone and Telegraph.

რდილა ურთიერთქმედების ქსელში. ზოგი კვლავ „რკინის სამკუთხედის“ და „ქვემთავრობის“ სახეს ინარჩუნებს. მაგალითად, „საზღვაო გრანტების“ პროგრამა, რომელიც კოლეჯებს საზღვაო რესურსების შესასწავლად გრანტებს სთავაზობს, უფრო „რკინის სამკუთხედს“ უახლოვდება, ვიდრე ქსელს. ამ პროგრამაში მონაწილეთა მცირე რიცხვია დაკავებული, პოლიტიკა კი ურთიერთმისაღებაა. არსებობს სხვა პატარა უკონფლიქტო პროგრამებიც, რომლებიც ანაწილებენ გარკვეული სახის დაფინანსებას.

უფრო ფართო პოლიტიკის სფეროები, როგორცაა ჯანმრთელობა და სოფლის მეურნეობა, გამოირჩევა მონაწილეთა უფრო დიდი რაოდენობით და მეტი კონფლიქტებით. რატომ გახდა ამდენი „რკინის სამკუთხედი“ უმოქმედო და რატომ წარმოიშვა ამდენი დიდი და კონფლიქტური „ურთიერთქმედების ქსელი“? ამ ცვლილების უკან დაინტერესებულ ჯგუფთა რიცხვის სწრაფი ზრდა დგას; რამდენადაც ბევრი ახალი ჯგუფი იწყებდა თავის საქმიანობას ვაშინგტონში, იმდენად მეტ ყურადღებას მოითხოვდნენ ისინი პოლიტიკის შემუშავებლებისაგან. მათ თან მოჰქონდათ ახალი ინტერესები, რომლებიც, ხანდახან მაინც, ვერ ეწყობოდნენ იმ ჯგუფების ინტერესებს, უკვე რომ მოქმედებდნენ ამ სფეროში. ცვლილება კონგრესმაც გამოიწვია: ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ კონგრესში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეკომისიების რიცხვი. ამან გამოიწვია ის, რომ ერთი და იგივე პროგრამა სხვადასხვა იურისდიქციის ქვეშ აღმოჩნდა.

პოლიტიკის განხორციელების პრობლემები

მას შემდეგ, რაც ვაშინგტონში პოლიტიკა შემუშავდება, იწყება მეორე ეტაპი: უნდა მოხდეს მისი განხორციელება ანუ ცხოვრებაში გატარება. ამ პრობლემის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან პოლიტიკა ხშირად ვერ ხორციელდება ისე, როგორც განზრახული იყო. განხორციელების სირთულის პირველი მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკა თავიდანვე მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული: ბიუროკრატებისთვის განკუთვნილი დირექტივები ხშირად მოკლებულია ხოლმე სიცხადეს. ეს კი დაბალი რანგის ოფიციალურ პირებს მოქმედების ზედმეტად დიდ თავისუფლებას ანიჭებს. ამ ბუნდოვანი წესდებების წყარო ხშირად ასევე ბუნდოვანი კანონმდებლობაა. მაგალითად, 1965 წელს კონგრესმა „დაწყებითი და საშუალო სკოლების აქტი“ ჩართო სუბსიდიების პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იყო „განათლების შესაძლებლობას მოკლებული ბავშვების“ დასახმარებლად, თუმცა კანონში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ იგულისხმებოდა „განათლების შესაძლებლობას მოკლებულად“.

პოლიტიკის განხორციელების წარუმატებლობის მეორე მიზეზია არასწორი კოორდინირება. პროგრამები ხშირად სხვადასხვა სამთავრობო სააგენტოების იურისდიქციის სფეროში ხვდებიან. ამერიკის ფედერალურ სისტემაში პროგრამები ხშირად კოორდინირებული უნდა იყოს სახელმწიფოს, შტატის და ადგილობრივ ოფიციალურ პირებს შორის, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას გარკვეულ სფეროში.

პოლიტიკის შემუშავებლებმა შეიძლება შექმნან მისი განხორციელების სირთულეები იმ სააგენტოების ადმინისტრაციული შესაძლებლობების იგნორირებით, რომლებსაც დააკისრეს პროგრამის დანერგვა. ასე მოხდა 1981 წელს, როდესაც თეთრმა სახლმა და კონგრესმა დაავალეს „სოციალური უზრუნველყოფის ადმინისტრაციას“ გაეფართოებინა თავისი საქმიანობა იმ მოქალაქეთა შემოწმების თვალსაზრისით, რომლებიც იღებდნენ ინვალიდობის გამო დაზღვევის კომპენსაციას. სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც ატარებდნენ ამ შემოწმებას, კვარტალში 20-დან 30 ათასამდე შემთხვევას განიხილავდნენ. ამავე ორგანიზაციებს დაევალოთ შემოწმებულთა რიცხვის გაზრდა 100-დან 150 ათასამდე კვარტალში. იმატა იმ პირების რაოდენობამ, ვისაც შეღავათები მოუხსნეს და, შესაბამისად, იმატა საჩივრების რაოდენობამ შეღავათის მოხსნის კანონიერების შესახებ. იმის გამო, რომ ბიუროკრატიულ აპარატს უფრო მეტის გაკეთება დაავალეს, ვიდრე მას შეეძლო გაეკეთებინა, პროგრამასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კრიზისულ მარჯვენებელს მიაღწია.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების წინაშე არსებული დაბრკოლებები იმის შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ არაფერი ხორციელდება, პროგრამებს შეუძლიათ მიაღწიონ და აღწევენ კიდევ უფრო მეტს. განხორციელების პროცესში წარმოშობილი პრობლემები გვიჩვენებენ, თუ რატომ არის დრო, მოთმინება და თანმიმდევრული ანალიზი ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავების პროცესის აუცილებელი კომპონენტი. თუ დაუბრუნდებით იმავე ტერმინს, რომელიც ადრე ვიხმარეთ, *პოლიტიკის განხორციელება თავისი ბუნებით ინკრემენტული პროცესია*, სადაც ცდას და შეცდომას მიეყვართ ისეთ პოლიტიკამდე, რომელიც იმუშავებს.

ბიუროკრატიის რეფორმა: მეტი თუ ნაკლები კონტროლი?

ის, თუ როგორ არის ორგანიზებული ბიუროკრატიული აპარატი, პირდაპირ გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებს იგი თავის მოვალეობას. მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში გაიზარდა მთავრობის კრიტიკა ადმინისტრაციულ რეფორმასთან დაკავშირებით, მრავალი წინადადება იქნა წამოყენებული (იხ. Gomley, 1989). მთავარი კითხვა, რომელიც დომინირებს ბიუროკრატიის რეფორმის ირგვლივ მიმდინარე დებატების დროს, არის შემდეგი: მეტი თუ ნაკლები კონტროლი დავაწესოთ ბიუროკრატიაზე?

დერეგულირება

ბევრი თვლის, რომ მთავრობა მეტისმეტად არის ჩართული ბიზნესის რეგულირების პროცესში, რაც გარკვეული სოციალური მიზნის მიღწევას ემსახურება. მაგალითად, მთავრობამ შეიძლება არეგულიროს ბაზარი იმის უზრუნველსაყოფად, რომ უხარისხო პროდუქტებმა საფრთხე არ შეუქმნან მომ-

ხმარებელს. ამის საპირისპიროდ, დერეგულირების საშუალებით მთავრობა ამცირებს თავის კონტროლს თავისუფალ ბაზარზე და საშუალებას აძლევს მოთხოვნისა და მიწოდების ბუნებრივ საბაზრო ძალებს, თვითონ მოაწესრიგონ საქმე. დერეგულირებას ადგილი ჰქონდა განსაკუთრებით საავიაციო, საავტომობილო ტრანსპორტში, საფინანსო მომსახურებასა და ტელესაკომუნიკაციო ინდუსტრიაში 1970-80-იან წლებში (Dertthick and Quirk, 1985).

საავიაციო კომპანიებთან დაკავშირებით 1978 წელს კონგრესმა მიიღო კანონი მგზავრობის ღირებულებისა და მარშრუტების დერეგულირების შესახებ. ამ კანონმა ხელი შეუწყო ავიაკომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდას. ამ პროცესის რეტროსპექტივაში განხილვისას ნათელი ხდება, რომ მთავრობა, მართლაც, საჭიროზე მეტად ახდენდა ამ ინდუსტრიის რეგულირებას. მაგრამ ამჟამად, ავიამომსახურებაში უკვე შეიმჩნევა რამდენიმე დიდი და ძლიერი კომპანიის გაბატონების ტენდენცია. თავისუფალმა კონკურენციამ გამოიწვია ძლიერი კომპანიების მიერ მცირე კომპანიების შთანთქმა. საავიაციო გადაზიდვების ბაზრის მომავალი გაურკვეველია.

განსაკუთრებით ძნელია დერეგულირების საჭირო ღონის განსაზღვრა იმ სააგენტოებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებთან. კომპანიებმა შეიძლება კანონიერი მოთხოვნები წამოაყენონ იმის თაობაზე, რომ მეტისმეტი მოთხოვნები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ისეთი ტვირთია, რომელიც ურთულეს მათ მოგების მიღებას და საზღვარგარეთელი მწარმოებლებისთვის ეფექტიანი კონკურენციის გაწევას. ასეთი სააგენტოების დერეგულირების პრობლემას ნათლად წარმოაჩინეს მედიკამენტების ლიცენზირების პროცედურა, რომელსაც იყენებს „კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია“ (FDA – ეფ-დი-ეი). ფარმაცევტულ ინდუსტრიას გარკვეული პრეტენზიები აქვს ამ სააგენტოს მხრიდან ლიცენზირების პროცედურის მიმართ, რომლის სირთულე წლების განმავლობაში აბრკოლებს ეფექტიანი წამლების გამოტანას ბაზარზე. ამის გამო ახალი სამკურნალო საშუალებები მომხმარებლისთვის ხელმიუწვდომელი რჩება. ფარმაცევტულმა ინდუსტრიამ აიძულა ეფ-დი-ეი შემოეღო უფრო დაჩქარებული პროცედურა.

მართალია, ეფ-დი-ეი დიდხანს ძალიან მყარად იდგა თავის მოსაზრებებზე და არ აპირებდა თავისი პოზიციების დათმობას, ბოლო წლებში შიდის პრობლემის გამწვავებამ აიძულა იგი წასულიყო გარკვეულ კომპრომისზე. ახალმა წესებმა შესაძლებელი გახადა ახალი, ექსპერიმენტული წამლების გამოშვება და მათი დაჩქარებული კლინიკური გამოცდა.

მონიტორინგი, ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება

დიდ მხარდაჭერას პოულობს მთავრობის შემცირების იდეა მრეწველობის სხვადასხვა სფეროებზე და ბიზნესის საქმიანობაზე მისი ზედამხედველობის შეზღუდვის გზით. კონსერვატორები შემდგომი დერეგულირების მომხრეები არიან. მათი აზრით, თავისუფლება ბაზარზე მზარდი და ეფექტიანი ეკონომიკის

საფუძველია. მაგრამ, სინამდვილეში, მთავრობისა და მისი როლის შემცირებამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შექმნას. ეს საფრთხე ყველაზე კარგად ჩანს ანაბრებისა და სესხის ინდუსტრიის კრახში.

ანაბრებისა და სესხის დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად შეიქმნა მზარდი საბინაო ბაზრის იპოთეკური სესხებით უზრუნველყოფის მიზნით, ფედერალური მთავრობის მკაცრი რეგულირების ობიექტი იყო. 1980-1983 წლებში, საფინანსო ბაზრის კომპლექსურობის და კონკურენტუნარიანობის ზრდასთან ერთად, კონგრესმა მიიღო რამდენიმე კანონი, რომლებითაც ანაბრებისა და სესხის ინდუსტრია დერეგულირებულ იქნა. იმავე დროს, რეიგანის ადმინისტრაციამ უარი უთხრა „სამინაო სესხის ბანკების ფედერალურ სამმართველოს“, რომელსაც ამ ინდუსტრიის ზედამხედველობა ევალებოდა, ახალი შემმოწმებლების დაქირავებაზე, ვისაც ანაბრებისა და სესხის კერძო დაწესებულებების მონიტორინგი უნდა შეესრულებინათ. რეიგანის ადმინისტრაციას მიზნად ჰქონდა მთავრობის ზომის შემცირება და არ მიაჩნდა საჭიროდ ბიზნესის შესამოწმებლად ფულის ხარჯვა. მას შემდეგ, რაც უძრავი ქონების ბაზარი „დაწყნარდა“ (მოთხოვნილება დაეცა), ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია რთულ მდგომარეობაში ჩავარდა და ვეღარ შეძლო ვალების გასტუმრება. ამან ანაბრებისა და სესხის დაწესებულებები გაკოტრების პირზე მიიყვანა. ფედერალური მთავრობის მხრიდან მათი დახმარება ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ასობით მილიარდი დოლარი დაუჯდებათ.

ზემოაღნიშნული ყველაზე მკაფიო მაგალითი იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მთავრობის კონტროლის შესუსტებას საქმიან ბაზრებზე. მაგრამ ეს „ცალკეული შემთხვევა“ სულაც არ არის: რეიგანის ადმინისტრაციის მცდელობამ „ჩამოეშორებინა მთავრობა ამერიკული ბიზნესისაგან“ და „იაფი გაეხადა“ მთავრობა, დიდი სირთულეები შეუქმნა, მაგალითად, ბინათმშენებლობისა და საქალაქო განვითარების დეპარტამენტს, „ფერმერთა ადგილობრივ ადმინისტრაციას“ და სხვ.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მთავრობის სიდიდის ერთ-ერთი მიზეზია თვით ხელისუფლებისა და ბიზნესის პატიოსნების უზრუნველყოფა: მთავრობას უხდება საგრძნობი სახსრების გაღება ბიუროკრატებისა და იმ ადამიანების, რომელთაც ეს ბიუროკრატები მართავენ, ქცევის მონიტორინგის მიზნით. იქამდე, ვიდრე მფლანგველობა, თაღლითობა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება არსებობს და საზოგადოება ბიუროკრატის რეფორმირებას მოითხოვს, საჭირო იქნება ბიუროკრატების ახალი ფუნქციების დამატება კონტროლის მიზნით [Morone, 1990].

ამგვარად, არსებობს დაპირისპირება ორ მიზანს შორის: 1. შემცირდეს მთავრობა, არ ჩაერიოს არაფერში და, ამდენად, გახდეს უფრო ეფექტიანი და 2. ხალხი დაცული იქნეს ბიუროკრატების თაღლითობისა და არასაიმედო ან არაკეთილსინდისიერი ბიზნესისაგან.

ეს ის ტრადიციული დილემაა, რომელიც არსებობს თავისუფლებასა და წესრიგს შორის. დერეგულირებული საქმიანი ბაზრისთვის უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც თავისუფალი კონკურენცია წაადგება მომხმარებელს და ხელს

შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას. კაპიტალისტური ეკონომიკის სიძლიერე მომდინარეობს ინდივიდებისა და ფირმების შესაძლებლობიდან – კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს ბაზარზე. რეგულირების მომენტი ზღუდავს ამ თავისუფლებას. მაგრამ, რეგულირების გარეშე ვერ ვიქნებით იმაში დარწმუნებული, რომ მწარმოებლები ყოველთვის პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავის საქმეს.

შეჯამება

მეოცე საუკუნეში ამერიკის ხელისუფლების საქმიანობის გაფართოების პარალელურად გაიზარდა ბიუროკრატიაც. აღმასრულებელი ხელისუფლება გადაიზარდა დეპარტამენტების, დამოუკიდებელი სააგენტოებისა და სამთავრობო კორპორაციების რთულ სისტემაში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ არის ორგანიზებული ბიუროკრატიული აპარატი, რადგან მისი სტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს მისივე ამოცანების განხორციელების უნარზე. კონგრესის მიერ მინიჭებული ადმინისტრაციული მიხედვლების მეშვეობით ეს ორგანოები შეიმუშავენ პოლიტიკას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებით, რომელსაც კანონის ძალა აქვს. პოლიტიკის შემუშავებისას სააგენტოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე დიდ ზეგავლენას ახდენს გარედან – თეთრი სახლი, კონგრესი და დაინტერესებული ჯგუფები, ხოლო შიგნიდან – არსებული ნორმები და თვით სააგენტოში და სააგენტოებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა. ყველაზე სერიოზული ბრალდება, რომელსაც ბიუროკრატიულ აპარატს უყენებენ, ისაა, რომ იგი არ ექვემდებარება კონტროლს. სინამდვილეში კი თეთრი სახლი, კონგრესი, დაინტერესებული ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი აკონტროლებს ბიუროკრატიას. მაგრამ ამერიკელები მაინც ფიქრობენ, რომ ბიუროკრატია ძალიან დიდი, ძვირი და აბეზარი რამაა. ძნელია ბიუროკრატიის ზომისა და საქმიანობის სპექტრის შემცირება, რადგანაც ამერიკის

პოლიტიკურ სისტემას პლურალიზმი ახასიათებს. ძალიანად აღმასრულებელი ხელისუფლება, შეიძლება, ძალიან დიდად მოგვეჩვენოს და თითოეულს შეუძლია მიუთითოს ისეთ სააგენტოზე, რომლის შემცირება ან გაუქმებაა საჭირო, მაგრამ ყოველ ბიუროკრატიულ აპარატს თავისი მხარდამჭერები ჰყავს. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი მნიშვნელოვანი მომსახურებით უზრუნველყოფს ფერმერებს, პროფკავშირებს სჭირდებათ შრომის დეპარტამენტი, მეცნიერები მოითხოვენ „მეცნიერების ეროვნული ფონდის“ დაცვას, მშენებლებს კი არ უნდათ ბინათმშენებლობის და საქალაქო განვითარების დეპარტამენტის პროგრამების შეკვეცა. ბიუროკრატიული აპარატები განაგრძობენ არსებობას, რადგან ისინი ემსახურებიან ადამიანთა ჯგუფებს; მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელ ხალხს ზოგადად უნდა მთავრობის შემცირება, მას არა აქვს სურვილი მსხვერპლად შესწიროს ამ მიზანს საკუთარი ინტერესები.

პოლიტიკის შემუშავება მრავალ სფეროში შეიძლება დავაზნასიათოთ, როგორც ხელისუფლებაში და მის გარეთ მიმდინარე ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ქმნის ურთიერთქმედების ქსელს. თითოეული ეს ქსელი არის კავშირურთიერთობის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ხდება ინფორმაციისა და იდეების გაცვლა გარკვეული პოლიტიკის შესახებ. ამ თანამედროვე გაერთიანებებში ახალი მონაწილეების შეღწევა უფრო ადვილია, ვიდრე ძველ „რკინის სამკუთხედში“.

ბიუროკრატიული აპარატი არ განიცდის იმ რეფორმების გეგმების სიმცირეს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მუშაობის გაუმჯობესებას. დერეგულაციის მომხრეებს სჯერათ, რომ ეკონომიკა უფრო პროდუქტიული იქნება, თუკი ბაზარი მთავრობის კონტროლის მძიმე ხელისგან განთავისუფლდება; ზედამხედველობის მომხრეებს კი სჯერათ, რომ დერეგულაცია იწვევს მნიშვნელოვან რისკს. ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ იმის განსაზღ-


ვრისას, თუ რომელ ბაზრებსა და ბიზნესის სფეროებს შეიძლება შევემცროთ სამთავრობო ზედამხედველობა. თავიდან რომ ავიცილოთ ისეთი სკანდალი, როგორც იყო ანაბრებისა და სესხის დაწესებულებების კრახი, სამთავრობო ბიუროკრატიულ აპარატებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა გაუწიონ მონიტორინგი იმ პირთა ქცევას, რომლებიც იმყოფებიან როგორც მთავრობაში, ასევე მის გარეთ, და, აგრეთვე, გააკონტროლონ მრეწველობის მრავალი დარგი.

საკვანძო ტერმინები

ბიუროკრატია
 ბიუროკრატი
 დეპარტამენტები
 დამოუკიდებელი სააგენტოები
 მარეგულირებელი კომიტეტები
 სამთავრობო კორპორაციები
 სამოქალაქო სამსახური
 ადმინისტრაციული მიხედვლება
 წესების დადგენა
 წესდება
 სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა
 ურთიერთქმედების ქსელი
 რკინის სამკუთხედები
 განხორციელება
 რეგულირება
 დერეგულირება

bureaucracy
 bureaucrat
 departments
 independent agencies
 regulatory commissions
 government corporations
 civil service
 administrative discretion
 rule making
 regulations
 adjudication
 issue network
 iron triangles
 implementation
 regulation
 deregulation

სასამართლო



11

1953 წლის 8 სექტემბერს, მთავარი ფედერალური მოსამართლის, ფრედ მ. ვინსონის უეცარი გარდაცვალების გამო მოსამართლე ფელიქს ფრენკფარტერს უთქვამს: „ეს

არის პირველი ყველაზე დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ღმერთი მართლაც არსებობს“ (Elman, 1987). ფრენკფარტერი ამრეზით უყურებდა ვინსონს, როგორც ლიდერს და არ მოსწონდა იგი, როგორც პიროვნება. ვინსონის მოულოდნელი სიკვდილი იმას ნიშნავდა, რომ უზენაეს სასამართლოში მოვა ახალი კოლეგა და, შეიძლება, რაღაც ეშველოს სკოლების სეგრეგაციის საქმეებსაც, რომლებსაც ერთი სახელწოდებით იხსენიებდნენ: „ბრაუნი განათლების სამართველოს წინააღმდეგ“.

სეგრეგირებული (გაყოფილი) სკოლების საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა 1951 წლის ნოემბერში. განხილვა გადაიდო ჯერ 1952 წლის ოქტომბრისათვის, შემდეგ კი – დეკემბრისათვის, თანაც, ამ დროისათვის რამდენიმე საქმე გაერთიანდა. როდესაც ახალმა თანამშრომელმა გაკვირვება გამოთქვა ამდენი გადადების გამო, ფრენკფარტერმა განუმარტა, რომ სასამართლოს სურს საქმის განხილვა 1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. „მე მეგონა, რომ სასამართლო დამოკიდებული არ უნდა იყოს არჩევნებზე“, – თქვა ახალგაზრდა კლერკმა. „როდესაც საქმე ამხელა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხს ეხება,



*ერლ უორენი (1894-1974)
შვერთებული შტატების მე-14
მთავარი მოსამართლე იყო.
როდესაც უორენი, ნამდვილი
ლიბერალი, 16 წლის განმავლობაში
თავმჯდომარეობდა უზენაეს
სასამართლოს, იგი ატარებდა
აქტიურ პოლიტიკას, რომელიც
თანასწორობას აყენებდა უფრო
მალა, ვიდრე თავისუფლებას, ხოლო
თავისუფლებას – წესრიგზე მალა.
ასეთი გადაწყვეტილებები იწვევდნენ
კონგრესის კონსერვატიული ფრთის
უკმაყოფილებას და თვით
იმპიჩმენტის მოთხოვნასაც კი.
უორენი გადადგა 1968 წელს.*

ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია მისი ნაადრევი განხილვა“, – მიუგია ფრენკ-ობრიენს (O'Brien, 1990, p. 324).

მოსამართლეები მკვეთრად განსხვავებულ პოზიციაზე დადგნენ 1952 წლის დეკემბერში სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის საქმის განხილვისას. ვინსონი მხარს უჭერდა სეგრეგაციის შენარჩუნებას. ვინაიდან გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, განხილვა კიდევ ერთი წლით გადაიდო.

ამჯერად (1953 წლის დეკემბერში) უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეობდა ახალი მთავარი მოსამართლე, კალიფორნიის შტატის ყოფილი გუბერნატორი ერლ უორენი. მან მოახერხა ერთსულოვნებისათვის მიეღწია სკოლების სეგრეგაციის საკითხზე. მისი წინამორბედისგან განსხვავებით, უორენმა დაიწყო საიდუმლო თათბირი მტკიცე განცხადებით – საქმე ბოლომდე მიეყვანა. ის ამტკიცებდა, რომ სეგრეგაცია ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის XIII, XIV და XV შესწორებებს. „პირადად მე – აღნიშნა ახალმა მთავარმა მოსამართლემ, – ვერ ვხედავ არგუმენტს, რითაც შეიძლება დღეს გავამართლოთ სეგრეგაცია, დაფუძნებული მხოლოდ რასობრივ ნიშნებზე“ (Schwartz, 1985, p.446). მან ისიც აღნიშნა, თუკი სასამართლო მხარს დაუჭერს სეგრეგაციას, მაშინ უნდა სცნოს თვალსაზრისი, რომ თეთრკანიანები შავკანიანებზე მალა ღვანან. უორენის ოპონენტები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, როგორც „რასიზმის მხარდამჭერნი“.

ხუთი მოსამართლე ამკარად მხარს უჭერდა უორენს. ამრიგად, დესეგრეგაციის მომხრე სულ ექვსი კაცი იყო; ორი მოსამართლე თავიდან ყოყმანობდა. მხოლოდ ერთი (სტენლი რიდი) იყო წინააღმდეგი, მას კი უორენმა უშუალოდ მიმართა 1954 წლის აპრილში: „სტენ, ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული; შენ უნდა გადაწყვიტო, რა არის უკეთესი ქვეყნისათვის“. საბოლოოდ, რიდიც შეუერთდა უმრავლესობას და 1954 წლის 17 მაისს უზენაესმა სასამართლომ

ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ. ეს იყო იმის ნიშანი, რომ აშშ-ში ბოლო ელებოდა კანონებს რასობრივი გამიჯვნის შესახებ.

საქმის განხილვისას მოსამართლეების წინაშე წამოიჭრება ხოლმე ურთიერთდაპირისპირებული ფასეულობების პრობლემა და რთული საქმეები მოითხოვს ამ ფასეულობათა ზუსტ გამოკვეთას. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები, განსაკუთრებით კი – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები – პოლიტიკას ქმნიან. მათი გადაწყვეტილება პრეცედენტია სხვა მოსამართლეებისათვის, რომლებიც ანალოგიური საქმის განხილვისას ანალოგიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. მოსამართლე შეიმუშავენ პოლიტიკას იმ გაგებით, რომ იგი გავლენას ახდენს სხვა სასამართლოების გადაწყვეტილებაზე.

ამერიკის მოსამართლეების უფლებამოსილება – შეიმუშაოს პოლიტიკა – რთულ პრობლემას უქმნის დემოკრატიის თეორიას. ამ თეორიის თანახმად, კანონის შექმნის უფლება აქვს მხოლოდ ხალხს ან მის რჩეულთ. ამერიკაში ფედერალურ მოსამართლეებს კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენ. და, მაინც, სასამართლოს დადგენილება – განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი – შორს სცდება ცალკეული საქმის ფარგლებს. მოსამართლეები კანონის მსახურნი არიან, მაგრამ, ამავე დროს, ცოცხალი ადამიანებიც. მათ აქვთ საკუთარი შეხედულება თავისუფლების, წესრიგისა და თანასწორობის ფასეულობებზე. და, თუმცა ყველა მოსამართლე შეზღუდულია საკანონმდებლო აქტებითა და პრეცედენტებით, ზოგიერთ მოსამართლეს, სხვებისგან განსხვავებით, მეტი მიდრეკილება აქვს საკუთარი შეხედულების შესაბამისად კანონების ინტერპრეტაციისა.

ამერიკის სასამართლოები ღრმად არიან ჩართული ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. ზოგიერთი სასამართლო, განსაკუთრებით, უზენაესი, ფუნდამენტურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს ისეთი ფასეულობების შესანარჩუნებლად, როგორცაა თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა. ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწოების პრინციპის მეშვეობით ხელისუფლების არჩევითი განშტოებები სასამართლოს აკავშირებენ დემოკრატიასთან, ხოლო სასამართლოები არჩევით ხელისუფლებას – კონსტიტუციასთან. მაგრამ, მოქმედებს თუ არა ეს სისტემა? შეუძლიათ თუ არა სასამართლოებს განახორციელონ პოლიტიკური ძალაუფლება პლურალისტური დემოკრატიის პირობებში? ნუთუ მოსამართლეები არიან „შავ მანტიაში გამოწყობილი ერთპიროვნული მმართველები“, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად? ამ თავში ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს ამერიკის ცხოვრებაში მართლმსაჯულების როლის შესწავლის გზით.

ფედერალური მართლმსაჯულების უზენაესობა

კონსტიტუციის მესამე მუხლის პირველმა ნაწილმა შექმნა „ერთი უზენაესი სასამართლო“. კონსტიტუციის დამფუძნებლები ვერ შეთანხმდნენ სხვა ეროვ-

ნული სასამართლოების საჭიროების შესახებ, ასე რომ, მათ კონგრესს დაუთმეს ეროვნული სასამართლოების სისტემის შექმნის უფლება. ისინი, ვინც ეროვნული სასამართლოების შექმნის წინააღმდეგი იყო, ფიქრობდნენ, რომ ასეთი სისტემა შტატების სასამართლოების უფლებამოსილების უზურპირებას მოახდენდა. კონგრესმა საკითხი თავის პირველსავე სესიაზე განიხილა და, 1789 წლის „სასამართლო აქტის“ შესაბამისად, შექმნა ფედერალური ანუ ეროვნული სასამართლოების სისტემა, რომელსაც თითოეული შტატის სასამართლოსთან უნდა თანაერსებნა, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. ფედერალური მოსამართლეები ასევე დამოუკიდებლები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი ზეგავლენისაგან, ვინაიდან, კონსტიტუციის თანახმად, ისინი სამუდამოდ ინიშნებოდნენ.

რესპუბლიკის ადრეულ წლებში ფედერალური სასამართლო არ განიხილებოდა, როგორც ხელისუფლების განსაკუთრებით მძლავრი განშტოება. განსაკუთრებით გაძნელდა უზენაესი მოსამართლეების მოზიდვა და შენარჩუნება. ამ უკანასკნელთ უხდებოდათ დროის უმეტესი ნაწილის მოგზაურობაში გატარება გამსვლელი სესიების ჩასატარებლად; ავადმყოფობა და ცუდი ტრანსპორტი განუწყვეტლივ ურთულებდნენ მათ ცხოვრებას. მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში იკრიბებოდნენ მხოლოდ რამდენიმე კვირით – თებერვალსა და აგვისტოში.

ჯონ ჯეიმს, პირველმა მთავარმა მოსამართლემ, უარი თქვა თავისი მოვალეობის გაგრძელებაზე 1801 წელს და ეს იმით დაასაბუთა, რომ უზენაესმა სასამართლომ ვერ მოიპოვა სათანადო „ენერჯია, წონა და ღირსება“, რათა ეროვნული საქმისათვის ემსახურა (McCloskey, 1960, p.31). მაგრამ, როდესაც 1801 წელს მთავარ მოსამართლედ დაინიშნა ჯონ მარშალი, მტკიცე ფედერალისტი, დადგა სიღრმისეული ცვლილებების პერიოდი.

ხელისუფლების სხვა შტოების სასამართლო კონტროლი

მარშალის დანიშნიდან მოკლე ხანში უზენაესი სასამართლო ახალი რესპუბლიკის მომავლისათვის არსებითი მნიშვნელობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: თუ კონგრესის მიერ მიღებული კანონი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რომელ მათგანს ენიჭებოდა უპირატესობა? ეს კითხვა წარმოიშვა საქმეზე: „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ (1803). საქმე ეხებოდა წინააღმდეგობრივ დანიშვნებს, რომლებიც პრეზიდენტ ჯონ ადამსის თანამდებობაზე ყოფნის ბოლო დღეებში გაფორმდა.

მარშალის ძლიერ არგუმენტაციაზე დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი“ და რომ „საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას“. მარშალის არგუმენტაციის ბოლო ნაწილი სასამართლოს ანიჭებდა ძალაუფლებას კონგრესის მიერ მიღებული აქტების კანონიერების შესაფასებლად.

გადაწყვეტილებამ საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ დაადგინა უზე-

ნაესი სასამართლოს უფლებამოსილება სასამართლო კონტროლზე* –
 ლებაზე კონგრესის აქტების ბათილად გამოცხადებისა, თუკი ეს აქტები კორ-
 სტიტუციას ეწინააღმდეგებიან. მომდევნო საქმეების განხილვამ სასამართლო
 კონტროლის უფლება განაგრცო პრეზიდენტის მიერ გამოცემულ აქტებზეც.
 ჯონ მარშალმა გააფართოვა უზენაესი სასამართლოს პოტენციური ძალაუფ-
 ლება, გაუთანაბრა ან გადააჭარბა კიდევ ხელისუფლების სხვა განმტკობების
 უფლებებს. თუკი კონგრესის მიერ მიღებული კანონი, ანდა თუნდაც საპრეზი-
 დენტო აქტი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, უზენაეს სასამართლოს მიეცა
 უფლება ისინი არაკანონიერად გამოეცხადებინა. სასამართლო, ურთიერთშეკა-
 ვებისა და ურთიერთგაწონასწორების კონსტიტუციური პრინციპის შესაბამისად,
 უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების
 მაკონტროლებელი.

სასამართლო კონტროლის წესი, რომელიც გულისხმობს დანიშნული ხე-
 ლისუფლების (მოსამართლეები) მიერ არჩეული ხელისუფლების (კონგრესი,
 პრეზიდენტი) შემოწმებას კონსტიტუციის სახელით, თითქოს ეწინააღმდეგება
 დემოკრატიის თეორიას. მაგრამ ორასწლიანი პრაქტიკის მანძილზე უზენაესმა
 სასამართლომ რეალურად სულ 140-მდე ფედერალური კანონი გააუქმა და მათგან
 სულ რამდენიმეს ჰქონდა მნიშვნელობა პოლიტიკური სისტემისათვის (Consti-
 tution, 1987). გარდა ამისა, არსებობს მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც შეიძ-
 ლება გაბათილდეს სასამართლო კონტროლი (კონსტიტუციური შესწორებით)
 და გაკონტროლდეს მოსამართლეების მოქმედება (იმპიჩმენტით). გარდა ამისა,
 სასამართლოს შეუძლია უპასუხოს დაპირისპირებული ინტერესების ბრძოლას
 (რაც შეესატყვისება დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს) საკუთარი
 გადაწყვეტილების ნაწილობრივი შეცვლით ან გაუქმებით.

შტატის მთავრობის მოქმედების სასამართლო კონტროლი

ფედერალურ კანონებზე სასამართლო კონტროლის დაფუძნებამ უზენაესი
 სასამართლო ეროვნული ხელისუფლების სუპერარბიტრად აქცია. როდესაც
 ეროვნული ხელისუფლების აქტები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, უზენაეს
 სასამართლოს შეუძლია ისინი ბათილად ცნოს. მაგრამ შეუძლია თუ არა მასვე
 ბათილკყოს შტატის კანონები, თუკი ისინი ფედერალურ კანონებს ან ხელშეკ-
 რულებებს ეწინააღმდეგება?

უზენაესმა სასამართლომ დადებითად უპასუხა ამ კითხვას ჯერ კიდევ 1796
 წელს. საქმე უიური *კილტონის წინააღმდეგ* ეხებოდა ბრიტანელ კრედიტორს,
 რომელიც ცდილობდა ვირჯინიის შტატისაგან კუთვნილი ვალის დაბრუნებას.
 ვირჯინიის შტატმა გააუქმა ვალები, რომლებიც ბრიტანეთის ქვეშევრდომებისა
 ემართა. მაგრამ პარიზის ზავი (1783 წ.), რომელშიც ბრიტანეთმა ფორმალურად
 სცნო კოლონიების დამოუკიდებლობა, გარანტიას აძლევდა ბრიტანელ კრედი-

* ეს ტერმინი უცნობი იყო მარშალის დროს. ის დამკვიდრდა მხოლოდ 1910 წელს (Lowry, 1989).

ტორებს. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის უზენაესობის პუნქტის შესაბამისად ვირჯინიის შტატის კანონი გაუქმებულია.

შტატებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ეროვნული კანონის უზენაესობას. თუმცა მათი ადვოკატები აღიარებდნენ, რომ უზენაესობის პუნქტი ავალდებულებდა შტატების მოსამართლეებს კონსტიტუცია შტატის კანონზე მაღლა დაეყენებინათ, მაგრამ იქვე ამტკიცებდნენ, რომ შტატებს კონსტიტუციის საკუთარი ინტერპრეტაციის უფლება აქვთ. უზენაესმა სასამართლომ უარყო ასეთი ვერსია, როდესაც საქმეზე „მარტინი ჰანტერს ლესის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ მხოლოდ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა უფლებამოსილება გადაესინჯა შტატების სასამართლოების გადაწყვეტილებები, სადაც ფედერალური კანონების ინტერპრეტაცია იყო მოცემული. ფედერალური კანონის უზენაესობა მოითხოვდა, რომ უზენაეს სასამართლოს კანონის ერთგვაროვნება დაემყარებინა; სხვა შემთხვევაში, კონსტიტუციის მნიშვნელობა ყველა შტატში განსხვავებული იქნებოდა. ხალხმა, და არა შტატებმა, დაამტკიცა კონსტიტუცია და ხალხმა დაუქვემდებარა შტატების ძალაუფლება სიცოცხლისუნარიან ეროვნულ ხელისუფლებას. დროთა განმავლობაში უზენაესმა სასამართლომ თავისი კონტროლის უფლებამოსილება დაახლოებით 1200 შემთხვევაში გამოიყენა შტატებისა და ადგილობრივი კანონების გასაბათილებლად ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხებოდა სიკვდილით დასჯას, აბორტებს, მსჯავრდადებულთა უფლებებს, საარჩევნო ოლქების საზღვრებს (Constitution, 1987).

სასამართლო კონტროლის გამოყენება

მერბერის, უიერისა და მარტინის საქმეებზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ჩამოაყალიბეს სასამართლო კონტროლის კომპონენტები:

1. უზენაესი სასამართლოს უფლება ბათილად გამოაცხადოს ეროვნული, შტატისა თუ ადგილობრივი კანონები, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან აშშ-ს კონსტიტუციას;
2. ფედერალური კანონებისა და ხელშეკრულებების უზენაესობა იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ეწინააღმდეგებიან შტატებისა და ადგილობრივი კანონებს;
3. უზენაესი სასამართლოს საბოლოო სიტყვით სარგებლობის უფლება კონსტიტუციის განხორციელებასთან დაკავშირებით.

ეროვნული თუ შტატის წარმომადგენლობითი ხელისუფლების გადაწყვეტილებების გაუქმების პოლიტიკური ძალაუფლება დანიშნული მოსამართლეების ხელშია, ანუ იმ პირებისა, რომლებიც პასუხისმგებლები არ არიან ამომრჩევლების წინაშე. შეესაბამება თუ არა სასამართლო კონტროლი დემოკრატიულ ხელისუფლებას?

ელიგ ზენდერ ჰემილტონმა წინასწარ განჭვრიტა ეს პრობლემები და აშშ კონსტიტუციის რატიფიკაციის ირგვლივ წარმოებული დებატების დროს (1780-იანი წლები) „ფედერალისტ №78“-ში წერდა, რომ „სასამართლო კონტროლის უფლების მიუხედავად, ხელისუფლების სამ განშტოებას შორის სასამართლო განშტოება ყველაზე სუსტია, ვინაიდან მას არ გააჩნია „ხმლის ან ქისის ძალა“.

სასამართლოს, წერდა ჰემილტონი, არც ძალა აქვს და არც ნება, მას მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ ჰემილტონი იცავდა საკანონმდებლო ხელისუფლების უზენაესობას, იგი ფიქრობდა, რომ სასამართლო კონტროლი საგრძნობ ბარიერს შეუქმნიდა კანონმდებლების შესაძლო დესპოტიას. იგი აღიარებდა, რომ სამთავრობო აქტების გაუქმების უფლება სასამართლოს ყველა სხვა ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა, მაგრამ ეს ძალაუფლება ასახავდა ხალხის ნებას, რომელიც კონსტიტუციაში იყო დაფიქსირებული. სასამართლოს დამოუკიდებლობას განაპირობებდა თანამდებობაზე სამუდამოდ დანიშვნა. ამას, ჰემილტონის აზრით, მინიმუმამდე დაჰყავდა მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციით დადგენილი კანონის დარღვევის რისკი, ვინაიდან კონტროლისაგან ათავისუფლებდა სასამართლო სისტემას ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი განშტოებების მხრიდან. თუკი მოსამართლეები შეცდომას დაუშვებდნენ, ხალხს, ან მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს, საშუალება ექნებოდათ აღმოეფხვრათ ეს შეცდომა კონსტიტუციაში შესწორების შეტანით ან მოსამართლისადმი იმპიჩმენტის წარდგენის გზით.

თანამდებობაზე სამუდამოდ მართლაც ათავისუფლებს მოსამართლეებს პრეზიდენტისა და კონგრესის პირდაპირი გაკლენისაგან. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი მექანიზმები, მათი გამოყენება მოითხოვს კვალიფიციურ უმრავლესობას და იშვიათად გამოიყენება.

როდესაც მოსამართლეები სარგებლობენ სასამართლო კონტროლის უფლებით, მათ შეუძლიათ იმოქმედონ მაჟორიტარიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ამით აუქმებენ ხალხის (უმრავლესობის) მიერ არჩეული წარმომადგენლების აქტებს. რატომ ხდება ასე? ნუთუ სასამართლო მაჟორიტარიზმს უპირისპირდება, თუ უბრალოდ, პლურალისტურ მოთხოვნებს – დაინტერესებული ჯგუფების მოთხოვნებს – პასუხობს? ცოტა ქვემოთ ამ საკითხზეც ვისაუბრებთ.

ფედერალური სასამართლოების დღევანდელი ორგანიზაცია

ამერიკის სასამართლო სისტემა რთულია. იგი მთავრობის ფედერალური სისტემის ნაწილს წარმოადგენს. თითოეულ შტატში მოქმედებს საკუთარი სასამართლო სისტემა, რომელთაგან ორიც კი არ არის ერთმანეთის მსგავსი. ამ სასამართლო სისტემასთან ერთად გვაქვს სასამართლო სისტემა ეროვნული ხელისუფლებისათვის. ეს ფედერალური სასამართლოები თანაარსებობენ შტატების სასამართლოებთან ერთად (იხ. ნახ. II.1). პიროვნება ორივე სასამართლო სისტემის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება. იმის მიხედვით, თუ როგორია საქმის არსი, პიროვნებას შეუძლია საქმე აღძრას ან მასზე შეიძლება საქმე აღძრას ნებისმიერ სასამართლო სისტემაში. საქმეთა დიდი ნაწილი წყდება შტატების სასამართლოებში.

რას შევადაროთ? 11.1.

აშშ კონსტიტუცია გარკვევით სულაც არ ანიჭებს სასამართლო კონტროლის უფლებას უზენაეს სასამართლოს. სასამართლომ ეს უფლებამოსილება შეიძინა კონსტიტუციის ინტერპრეტაციის გზით მისი ტექსტთან და სტრუქტურულიდან გამომდინარე. სხვა ქვეყნებში, სადაც ცდილობენ თავიდან აიცილონ პოლიტიკური დაპარისპირება, სასამართლო კონტროლის უფლება გარკვევით არის განსაზღვრული მათივე კონსტიტუციებში. მაგალითად, იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც მეტწილად ამერიკელი კონსტიტუციის თარგზეა გამოჭრილი, კიდევ უფრო შორს წაივდა უზენაეს სასამართლოსათვის კონტროლის უფლების მინიჭებისას: „უზენაეს სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ნებისმიერი კანონის, წესდების, დადგენილებისა და სხვა ოფიციალური აქტის კონსტიტუციურობა“ – წერია იქ. ზოგიერთ ქვეყანაში კი სასამართლო კონტროლის ამერიკული მოდელის მიუღებლობა ძირითადად იმით აიხსნება, რომ იქ არა აქვთ სურვილი სამუდამოდ დანიშნულ მოსამართლეებს უპირატესობა მიანიჭონ ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან შედარებით. სამართლის ევროპული კონტეფიცია ძირითად პრინციპად მიიჩნევს კონსტიტუციის ანდა კანონების მიმართ „არაშემოქმედებით“ მიდგომას. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია მკაფიოდ უარყოფ სასამართლო კონტროლს. მაგალითად, ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციის 28-ე მუხლი მტკიცედ აცხადებს, რომ „კანონების ინტერპრეტაციის უფლება მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივაა“.

სასამართლო კონტროლის (ე.ი. მთავრობა პასუხისმგებელია უფრო მაღალი ხელისუფლების წინაშე) ლოგიკურმა საფუძველმა შეიძლება საინტერესო ფორმები შეიძინოს. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეებმა შეიძლება მოიხმონ კონსტიტუციაზე უფრო მაღალი ავტორიტეტი – ვთქვათ, დემოკრატია, იდეოლოგია ან ეთიკური კოდექსი. მაგალითად, ირანსა და პაკისტანში მთელ კანონმდებლობაზე მუსლიმური რელიგიის კონტროლი არსებობს (პაკისტანში ერთდროულად ამერიკული ტიპის სასამართლო კონტროლიც გამოიყენება).

1955 წლისათვის 65 ქვეყანაში, ძირითადად, დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთში, მიიღეს სასამართლო კონტროლის ესა თუ ის ფორმა. ავსტრალიაში, ბრაზილიაში, კანადაში, ინდოეთში, პაკისტანსა და იაპონიაში სასამართლოებს მიენიჭა კონტროლის სრული უფლებამოსილება. ყველა ამ ქვეყანას, იაპონიის გარდა, ფედერალური მოწყობა აქვს. ავსტრალია და კანადა ყველაზე ახლოს არიან ამერიკულ მოდელთან. იქ, სადაც სასამართლოებს კონტროლის უფლება აქვთ, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დაუშვებელია. მაგალითად, ავსტრალიაში ფედერალური პარლამენტი ვალდებულია შეცვალოს კანონი ისე, როგორც ეს დაადგინა უზენაესმა სასამართლომ კანონის გადასინჯვის შედეგად. აშშ-ში უზენაესი სასამართლოს მიერ კანონის გადასინჯვის გაბათილება შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციაში შესწორების შეტანის გზით.

ქვეყნებს, სადაც შედარებით ეფექტიანი სასამართლო კონტროლის სისტემა მოქმედებს, ზოგიერთ ერთნაირ ნიშნები ახასიათებთ: სტაბილურობა, კონკურენტული პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლების განაწილება (რომელიც ხელისუფლებათა გამოჯენას წააგავს), სასამართლოს დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თავისუფლების მაღალი დონე. მაგრამ არის კი სასამართლო კონტროლი ყველა ამ ნიშნის მიზეზი თუ შედეგი? ისე ჩანს, რომ სასამართლო კონტროლი არის პოლიტიკური სტაბილურობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური თავისუფლების ერთ-ერთი წინაპირობა; თავის მხრივ, ხელისუფლებათა გამოჯენას, სასამართლოს დამოუკიდებლობა და პოლიტიკური თავისუფლება სასამართლო კონტროლის ეფექტიანობას უწყობენ ხელს.

ზოგიერთ კონსტიტუციურ სასამართლოს ამერიკულ მოდელთან შედარებით ექსტრაორდინარული უფლებამოსილება გააჩნია. გერმანიის კონსტიტუციურ სასამართლოს, შეიკრებული შტატების სასამართლოების მსგავსად, უფლებამოსილება აქვს გააუქმოს საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული კანონები. მაგრამ გერმანიის კონსტიტუციურ სასამართლოს, გარდა ამ უფლებისა, აქვს იმის უფლებაც, რომ კანონმდებლების მიერ აქტის მიუღებლობაზე მოახდინოს რეაგირება. მაგალითად, 1975 წელს გერმანიის კონსტიტუციურმა სასამართლომ ბათილქო აბორტების ლეგალიზაცია და გამოაცხადა, რომ მთავრობა ვალდებულია

დაიცვას ჯერ არდაბადებული ადამიანის სიცოცხლე ყველანაირი საფრთხისაგან. სასამართლომ დაასკვნა, რომ გერმანიის კონსტიტუცია მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოსგან ჯერ არდაბადებულთა დასაცავად სისხლისსამართლებრივი და არა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მიღებას.

ინდოეთის უზენაესი სასამართლო გეთავაზობს სასამართლო კონტროლის განსაკუთრებულ მაგალითს. 1967 წელს სასამართლომ ჩათვალა, რომ პარლამენტს არ შეუძლია შეცვალოს კონსტიტუციის არც ერთი ის პარაგრაფი, რომელიც ეხება ძირითად უფლებებს კონსტიტუციაში შესწორების შეტანის გზითაც კი! მაშინ პარლამენტმა კონსტიტუციაში შესწორების შეტანის თავისი უფლების დასაცავად შესწორება შეიტანა კონსტიტუციაში. უზენაესმა სასამართლომ მიიღო ეს შესწორება, მაგრამ განაცხადა, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხებოდა კონსტიტუციის „ძირითად სტრუქტურას“, უკანონოდ ჩაითვლებოდა. ინდოეთში უზენაესი სასამართლო მართლაც რომ უზენაესია!

ფედერალური მთავრობა აქვს შეიციარისავე მიუხედავად ამისა, კონსტიტუცია ზღუდავს უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიერ კანტონების კანონების კონსტიტუციურობის გადასინჯვის უფლებას (შეიციარის კანტონები აშშ შტატების ქვევიჯალენტია). უზენაეს ფედერალურ სასამართლოს არა აქვს ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებული კანონების გაუქმების უფლება. შეიციარული ხალხი კონსტიტუციური ინიციატივასა და სახალხო რეფერენდუმის გზით სარგებლობს თავისი უფლებით განსაზღვროს ფედერალური კანონების კონსტიტუციურობა.

შეიციარიაში მართლაც რომ ხალხია უზენაესი!


წყაროები: Henry J. Abraham, *The Judicial Process*, 5th ed. (New York: Oxford University Press, 1986); Chester J. Antineau, *Adjudicating Constitutional Issues* (London: Oceana, 1985); Jerold L. Waltman and Kenneth M. Holland, *The Political Role of Law Courts in Modern Democracies* (New York: St. Martin's Press, 1988); Robert L. Hardgrave, Jr. and Stanley A. Kochanek, *India: Government and Politics in a Developing Nation*, 4th ed. (New York: Harcourt Brace Jovanovich, 1986).

ფედერალური სასამართლოები სამ საფეხურად, პირამიდის მსგავსად არიან ორგანიზებული: პირამიდის ქვედა საფეხურს შეადგენენ შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოები, სადაც იწყება სასამართლო პროცესი; შუა საფეხური უკავიათ სააპელაციო სასამართლოებს; პირამიდის თავში კი შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოა მოქცეული. *აპელაციის შეტანა* ნიშნავს საქმის გადატანას უფრო მაღალ ინსტანციაში: აპელირება შეიძლება სააპელაციო სასამართლოებში და უზენაეს სასამართლოში. მცირე გამოჩაქლისის გარდა, ისინი განიხილავენ დაბლა მდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ საქმეებს.

ფედერალური სასამართლოების უმეტესობა განიხილავს უამრავ საქმეს და იღებს გადაწყვეტილებას მათ თაობაზე. ამ სასამართლოების მოსამართლეები ცნობილი არიან როგორც *ჯენერალისტები*.

შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოები

აშშ-ში 94 ფედერალური საოლქო სასამართლოა. თითოეულ შტატს, სულ ცოტა, ერთი საოლქო სასამართლო აქვს. არც ერთი ასეთი ოლქი არ შეიძლება გასცდეს ერთი შტატის ფარგლებს (Wright, 1976). ფედერალური საოლქო სასამართლოების სრულ შტატზე მომუშავე 550-მა მოსამართლემ 1990 წელს გამოიტანა სხვადასხვა სიმძიმის განაჩენი 267 ათას სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეზე.



ნახაზი 11.1. ფედერალური და შტატების სასამართლოების სისტემა
 ფედერალურ სასამართლოებს აქვთ სამი საფეხური: საოლქო სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები და უზენაესი სასამართლო. უზენაესი სასამართლო შექმნილია კონსტიტუციის თანახმად, ყველა დანარჩენი ფედერალური სასამართლოები კი – კონგრესის მიერ. პროცესების უმეტესობა შტატების სასამართლოებში მიმდინარეობს. შტატების სასამართლოების სტრუქტურა იცვლება შტატების მიხედვით: ჩვეულებრივ, მცირე სასამართლოები ნაკლებად სერიოზული საქმეებისთვისაა, დიდი სასამართლოები კი – უფრო სერიოზული საქმეებისთვის. არის შუალედური სააპელაციო სასამართლოები და ბოლო ინსტანციის სასამართლოები. შტატების სასამართლოები შექმნილია შტატების კონსტიტუციების თანახმად (წყაროები: State Court Caseload Statistics, Annual Report, 1990 (Williamsburg, Va.: National Center for State Courts, 1992); Annual Report of the Director of the Administrative Office of the United States Courts (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1990); Harold W. Stanley and Richard G. Niemi, Vital Statistics on American Politics, 2nd. ed. (Washington D.C.: Congressional Quarterly, 1990). Bureau of the Census, Statistical Abstract of the United States, 1990 (Washington D.C.: U.S. Government Printing Office, 1990).

საოლქო სასამართლო ფედერალური სასამართლო სისტემის პირველი ინსტანციაა. ფედერალურ სასამართლო სისტემაში შემოსული საქმე ხვდება საოლქო სასამართლოში. სწორედ აქ იძლევიან მოწმეები ჩვენებას, აქ აწარმოებენ ადვოკატები თავიანთ ჯვარედინ დაკითხვებს, ხოლო მოსამართლეები და ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ მხარეთა ბედს. თითოეულ საოლქო სასამართლოში შეიძლება იყოს ერთზე მეტი მოსამართლე, მაგრამ საქმე მიჰყავს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს.

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეები. დანაშაული არის იმ კანონის დარღვევა, რომელიც კრძალავს ან ავალდებულებს რაიმე ქმედებას. სისხლის სამართლის კანონები განსაზღვრულია თითოეული შტატის *სისხლის სამართლის კოდექსში*, სადაც მითითებულია ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელის ზომაც. ვინაიდან დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა, მთავრობა მას სისხლის სამართლის წესით დევნის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სისხლის სამართლის კანონების მეშვეობით, ძირითადად, შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციაა. ფედერალური სისხლის სამართლის საქმეები მხოლოდ მცირე ნაწილია ყველა სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებიც იდევნება აშშ-ში.

სასამართლოები წყვეტენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეებს. სამოქალაქო საქმეებს წარმოშობს სადავო პრეტენზიები რაიმე ღირებულის გამო. დავა შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, საკონტრაქტო ვალდებულებებთან, განქორწინებასთან დაკავშირებით. ხშირად მხარეები ვერ თანხმდებიან მატერიალურ საკითხზე (საკუთრების ფლობა, ბავშვებზე მეურვეობა), მაგრამ სამოქალაქო საქმეებმა შეიძლება უფრო განზოგადებული საკითხიც მოიცვან (მაგალითად, უფლება თანაბარ საცხოვრებელზე, ანაზღაურება მიღებული ტკივილისა და განცდებისათვის). მთავრობა შეიძლება სამოქალაქო დავის ერთ-ერთი მხარე იყოს, თუ მას უჩივიან ანდა თუ იგი სდებს ბრალს.

დავის წყაროები. დღეისათვის აშშ-ს საოლქო სასამართლოს უფლებამოსილება ვრცელდება შემდეგზე:

- ფედერალურ სისხლის სამართლებრივ საქმეებზე, რომლებიც ფედერალური კანონის ხელყოფას ეხება (მაგალითად, იმ ბანკის გაძარცვა, რომელიც ფედერალური კანონითაა დაზღვეული, ან მოპარული ფასიანი ქაღალდების გადატანა შტატიდან შტატში);
- სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც შემოაქვთ პიროვნებებს, ჯგუფებს ან მთავრობას ფედერალური კანონის დარღვევისათვის (მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ ჰაერის დაბინძურების იმ კონტროლის გაუტარებლობა, რომელსაც მოითხოვს ფედერალური სააგენტო);
- სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც შემოტანილია ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ (მაგალითად, კონტრაქტის დარღვევა მწარმოებელსა და სამთავრობო სააგენტოს შორის);
- სამოქალაქო საქმეებზე სხვადასხვა შტატის მოქალაქეებს შორის, სადაც

სადავო საგნის ღირებულება აჭარბებს 50 ათას დოლარს (ვთქვათ, ნიუ-იორკის მოქალაქე ავტოავარიით გამოწვეული ზარალის კომპენსაციის თაობაზე უჩივის ალაბამის მოქალაქეს ალაბამის სასამართლოში).

აშშ-ს საოლქო სასამართლოებში შემოტანილი საქმეების უმეტესობაზე სასამართლო პროცესი არ ტარდება: ერთი მხარე შეიძლება უბრალოდ დაემუქროს მეორეს სასამართლო პროცესით ამ უკანასკნელისაგან დათმობის მიღწევის მიზნით. ხშირად მხარეები თავისით აკვარებენ თავიანთ დავას. უფრო იშვიათად, საქმე თავდება სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს მთავრობა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას საოლქო მოსამართლეები, თავისი გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, ჩვეულებრივ, წერილობით ახსნა-განმარტებას წარადგენენ. თუ საქმის ვითარება სიახლეს წარმოადგენს, მოსამართლეებს შეუძლიათ თავიანთი დასკვნის გამოქვეყნება, რომელშიც განმარტავენ საკუთარ დადგენილებას.

აშშ-ს სააპელაციო სასამართლოები

აშშ-ს საოლქო სასამართლოების საბოლოო მსჯავრისა და ფედერალური ადმინისტრაციული სააგენტოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების სააპელაციოდ შეტანა შესაძლებელია აშშ-ს 13 სააპელაციო სასამართლოდან ერთ-ერთში. ამ სასამართლოებმა, რომელთა კონტინგენტს სრულ შტატზე მომუშავე 158 მოსამართლე შეადგენს, 1993 წელს დაახლოებით 50 ათასი საქმე განიხილა. თითოეული ეს სასამართლო განიხილავს საქმეებს ერთი *სასამართლო რეგიონიდან (circuit)*. აშშ დაყოფილია 12 სასამართლო რეგიონად*.

საქმის წარმოება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოება საჯაროა. მასში არ მონაწილეობენ არც ნაფიცო მსაჯულები, არც მოწმეები და არც ჯვარედინ დაკითხვას აქვს ადგილი. ეს ყველაფერი პირველი ინსტანციის სასამართლოს ატრიალებია. აპელაცია მკაცრად ეფუძნება სასამართლო გადაწყვეტილებებს და იმ პროცედურებს, რომლებსაც სასამართლო პროცესში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, თუ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესისას აშშ-ს საოლქო მოსამართლემ რაიმე სამხილის განხილვის ნება დართო, რომლის საფუძველზეც ბრალდებულს მსჯავრი დაედო, მაშინ ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივროს განაჩენი იმის საფუძველზე, რომ ეს სამხილი არაკანონიერი გზით იქნა მოპოვებული და, ამდენად, მიუღებელია. გასაჩივრების საგანი ხდება ამ სამხილის მართებულობა და არა ბრალდებულის დანაშაული ან უდანაშაულობა. თუკი სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა მოსამართლის გადაწყვეტილებას სამხილის კანონიერების შესახებ, მაშინ განაჩენი ძალაში რჩება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმება დაბალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას

* მეცამეტე სასამართლო – შერთებული შტატების სააპელაციო სასამართლო ფედერალური სასამართლო რეგიონისათვის – არ არის რეგიონული სასამართლო. იგი განიხილავს აპელაციებს პატენტებზე, კონტრაქტებზე ფედერალური ხელისუფლების წინააღმდეგ და დასაქმების ფედერალურ საქმეებზე.

და დაადგენს, რომ სამხილი მიუღებელია, მაშინ ან პროცესი უნდა ჩატარდეს ხელახლა ამ სამხილის გარეშე, ანდა ბრალდებული განთავისუფლდეს.

ჩვეულებრივ, მოდავე მხარეები ცდილობენ საკითხის მოგვარებას მაშინაც კი, როდესაც საქმე სააპელაციოდ არის შეტანილი. ერთ-ერთ მხარეს ხანდახან გამოაქვს თავისი სარჩელი სახსრების უქონლობის გამო. მაგრამ სააპელაციო სასამართლოს უმეტეს შემთხვევაში გამოაქვს ხოლმე შესაბამისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოები რეგიონული სასამართლოებია. ჩვეულებრივ, განაჩენის გამოსატანად იკრიბება სამ-სამი მოსამართლე. მოსამართლეები ღებულობენ წერილობით არგუმენტებს, რომლებიც ცნობილია როგორც „ბრიფები“ (briefs); ხშირად მოსამართლეები ისმენენ ზეპირ არგუმენტებსაც და ამ არგუმენტების შესამოწმებლად დაჰკითხავენ პროკურორს.

პრეცედენტი და გადაწყვეტილების მიღება. ბრიფების შემოწმების და, ზოგჯერ, ზეპირი არგუმენტების მოსმენის შემდეგ სამი მოსამართლის კოლეჯია იკრიბება განაჩენის გამოსატანად. გამოქვეყნებული სააპელაციო გადაწყვეტილების გავლენა შეიძლება შორს გასცდეს კონკრეტულ საქმეს. მაგალითად, თუ საქმე ეხებოდა კონსტიტუციის ინტერპრეტაციას, მაშინ გადაწყვეტილება იქცევა პრეცედენტად შემდგომი საქმეებისათვის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსგავს საქმეებზე შემდგომში ანალოგიურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

პრეცედენტის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება ამერიკის სასამართლო სისტემის ქვაკუთხედია და განაპირობებს მისი მოქმედების თანმიმდევრულობას და გათვალისწინების შესაძლებლობას. ეს მიკერძოება არსებული გადაწყვეტილებების მიმართ მოკლედ გადმოიცემა ლათინური გამოთქმით *stare decisis*, რაც ნიშნავს „დაე, იდგეს გადაწყვეტილება“. მაგრამ პრეცედენტისა და *stare decisis* პრინციპის გამოყენება დაბალი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებს სულაც არ აქცევს უბრალო ჭანჭიკებად სასამართლო მანქანაში. „პრეცედენტი მართლაც რომ მართაუდეს, საქმე სააპელაციო სასამართლომდე არასოდეს მიაღწევდა: მხარეები მორიგდებოდნენ“ – შენიშნა ერთმა ფედერალურმა მოსამართლემ (Greenhouse, 1988).

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები მთელ თავის ენერჯიას ახმარენ კანონების ინტერპრეტაციასა და იმ შეცდომების გამოსწორებას, რომლებიც დაშვებული იყო საოლქო სასამართლოს მიერ (ეს ხდება გადაწყვეტილების წერილობითი ჩამოყალიბების გზით). როდესაც მოსამართლენი კანონის ინტერპრეტაციას ახდენენ, ისინი არსებითად ახდენენ კანონის მოდიფიცირებას. ფაქტობრივად, ისინი პოლიტიკას შეიმუშავენ. მოსამართლეები პოლიტიკოსები არიან იმ გაგებით, რომ ისინი პოლიტიკურ ძალაუფლებას ახორციელებენ, მაგრამ შავი მანტიები, რომლებიც განასხვავებენ მოსამართლეებს სხვა პოლიტიკოსებისაგან, მიგვანიშნებენ ამ ძალაუფლების განხორციელების შეზღუდულ ხასიათზეც.

მოსამართლეები პოლიტიკას შეიმუშავენ ორი განსხვავებული გზით: იშვიათად, კანონმდებლობის არარსებობისას, ისინი ეყრდნობიან ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ასეთ სისტემას ამერიკაში უწოდებენ საერთო ანუ მოსა-

მართლეთა მიერ შექმნილ სამართალს. საერთო სამართლის ფესვები ინგლისის სასამართლო სისტემაში უნდა ეგებოთ. საერთო სამართლის განხილვის საგანია დავა კონტრაქტების, საკუთრების შესახებ, სამოქალაქო სამართალდარღვევები (პიროვნების ან სხვისი საკუთრების ხელყოფა ან ზიანის მიყენება). სამოსამართლო სამართალშემოქმედების მეორე სფეროში შედის კონგრესის მიერ მიღებული აქტების გამოყენება. საკანონმდებლო აქტების სასამართლო ინტერპრეტაციას უწოდებენ „სტატუტების განმარტებას“ (statutory construction). იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კანონი, მოსამართლეები იკვლევენ კანონმდებლის ნამდვილ ნებას, თავიდან აანალიზებენ კომისიებში განხილვისა და კონგრესში ჩატარებული დებატების დოკუმენტებსა და შედეგებს. თუ ეს წყაროებიც ვერ ნათელყოფენ კანონის მნიშვნელობას, ამას აკეთებს სასამართლო.


კანონის ერთგვაროვნება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ეროვნული კანონების გამოყენების ერთგვაროვნების საზომს. სხვადასხვა სასამართლოები ახამებენ საოლქო მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თავისი რეგიონის შიგნით ისე, რომ კანონები ერთგვაროვნად იყოს გამოყენებული.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოების რეგიონული ზასიათი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელს უშლის ერთგვაროვნების დამყარებას, ვინაიდან სხვადასხვა სასამართლო რეგიონში ცალკე სააპელაციო სასამართლოებია. ასეთი ვითარება ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ორმა ან მეტმა სააპელაციო სასამართლომ, რომლებსაც მსგავსი საქმეების განხილვა უხდებათ, ერთი და იმავე კანონის განსხვავებული ინტერპრეტაცია არ მოგვცენ. მაგრამ შუალედურ ფედერალურ სასამართლოებში მიღებული ასეთი საპირისპირო გადაწყვეტილებები შეიძლება გასწორდეს ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ კონტროლის წესით; უზენაესი სასამართლოს მთავარი მიზანი კი არის არა კონკრეტული შეცდომების გამოსწორება, არამედ პოლიტიკის შემუშავება.

უზენაესი სასამართლო

უზენაესი სასამართლოს შენობის დასავლეთი პორტიკის თავზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები EQUAL JUSTICE UNDER LAW (თანასწორი მართლმსაჯულება კანონის შესაბამისად), შენობის მეორე ბოლოში კი, აღმოსავლეთის პორტიკის თავზე JUSTICE THE GUARDIAN OF LIBERTY (მართლმსაჯულება – თავისუფლების მცველი). ეს დევიზები ასახავენ უზენაესი სასამართლოს მძიმე მისიას: მიღწიის სამართლიან წონასწორობას სამ ფასეულობას – თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას – შორის. ენახოთ, როგორ დაუპირისპირდნენ ეს ფასეულობები ერთმანეთს ბოლო წლებში განხილულ ორ წინააღმდეგობრივ საქმეში.

დროშის დაწვა, როგორც პოლიტიკური პროტესტის ფორმა, ერთმანეთს უპირისპირებს წესრიგის ფასეულობას – მთავრობის ძირითად ინტერესს –



უზენაესი სასამართლოს 1994 წლის შემადგენლობა

სხედან მარცხნიდან: ენთონინ სკალია, ჯონ პოლ სტივენსი, მთავარი მოსამართლე უილიამ ჰ. რენქუსიტი, სანდრა დი ო'კონორი და ენთონი კენედი. დგანან: რუთ ბეილერ გინსბარგი, დევიდ ჰ.საუთერი, ქლერენს თომასი და სტივენ გ. ბრეიერი

შეინარჩუნოს მშვიდობიანობა საზოგადოებაში, და თავისუფლების ფასეულობას – პიროვნების უფლებას, ენერგიულად და შეუზღუდავად გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულებები. დროშის დაწვის ბოლო შემთხვევების (1989 და 1990 წწ.) განხილვისას უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა კონსტიტუციური გარანტიები პოლიტიკური შეხედულებების სრული გამოხატვისათვის, რაც მოიცავდა ისეთ ემოციურ აქტსაც, როგორცაა სახელმწიფო სიმბოლოს ხელყოფა. აქ თავისუფლების ფასეულობამ გადაძალა წესრიგს.

სკოლების დესეგრეგაცია ერთმანეთს უპირისპირებს თანასწორობის ფასეულობას – განათლების თანაბარ შესაძლებლობას უმცირესობებისათვის, და თავისუფლების ფასეულობას – მშობლების უფლებას შეიყვანონ თავისი შვილები ნებისმიერ სკოლაში. უზენაესმა სასამართლომ რასობრივი თანასწორობა განამტკიცა, როდესაც 1955 წელს შტატებს აუკრძალა საზოგადოებრივი სკოლების სეგრეგაცია. მოსამართლეებს ესმოდათ, რომ მათ გადაწყვეტილებას შეიძლებოდა უწესრიგობა შემოეტანა საზოგადოებაში, რომელიც შეჩვეული იყო განსხვავებებს რასობრივი ნიშნით, მაგრამ ამ შემთხვევაში თანასწორობის ფასეულობამ აშკარად გადასძალა წესრიგის ფასეულობას.

ოცდაოთხი წლის შემდეგ უზენაესი სასამართლო ისევ შეეჯახა წინააღმდეგობრივ ბეკის (1978 წ.) საქმის ისევ თანასწორობის თაობაზე, როდესაც რასა შეიძლება იყოს ფაქტორი უნივერსიტეტში მიღების დროს: შავკანიანების თანასწორობის დასაცავად უზენაეს სასამართლოს მოუხდა დაპირისპირება ბრალდებასთან იმის თაობაზე, რომ ის თეთრკანიან აბიტურიენტებს ართმევს თავისუფლებას მიიღონ სრულფასოვანი მონაწილეობა კონკურსში.

უზენაესი სასამართლო საერთო-ეროვნულ პოლიტიკას ქმნის. ვინაიდან მის გადაწყვეტილებებს მრავლისმომცველი გავლენა აქვთ ყველა ამერიკელზე, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ მიიღება ეს გადაწყვეტილებები. ეს იმის დადგენასაც შეუწყობს ხელს, თუ დემოკრატიის რომელ მოდელს უფრო შეესაბამება ამერიკის სასამართლო სისტემა.

უზენაეს სასამართლოში საქმის წარმართვა

უზენაეს სასამართლოში საქმის წარმართვა გარკვეული წესების დაცვას მოითხოვს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მოსამართლეების პირადი დამოკიდებულება გარკვეული ინტერესების მიმართ. ამიტომ ის აზრი, თითქოს ყველას შეეძლოს ნებისმიერი საქმის წარმართვა უზენაეს სასამართლოში, სწორია მხოლოდ თეორიულად. პრაქტიკულად ასე არ არის.

უზენაეს სასამართლოში საქმეები შემოდის ორი გზით: ძალიან ცოტა საქმე (მაგალითად, 1994 წელს – სულ ერთი) უზენაეს სასამართლოში მოხვდა პირველადი იურისდიქციის გზით, კონსტიტუციის III მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სადაც წერია, რომ „ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულეების მოქმედებას, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე შტატი მოდავე მხარეა, უზენაეს სასამართლოს აქვს პირველი ინსტანციის უფლება“. საქმეები, რომლებიც უზენაეს სასამართლოში ხვდება პირველადი იურისდიქციის შესაბამისად, თვით სასამართლოში ირჩევა: ისინი იწყება და მთავრდება იქვე. მაგალითად, უზენაესი სასამართლო არის პირველი და ერთადერთი ფორუმი, სადაც ირჩევა შტატებს შორის წარმოქმნილი იურიდიული დავა.

საქმეების უმეტესობა უზენაეს სასამართლოში შემოდის აშშ-ს სააპელაციო სასამართლოებიდან ანდა შტატების ბოლო ინსტანციის სასამართლოებიდან* – უზენაესი სასამართლოს სააპელაციო იურისდიქციის შესაბამისად. ეს ის საქმეებია, რომლებიც განხილული, გადაწყვეტილი და შემოწმებული იყო სხვა ფედერალური და შტატის სასამართლოების მიერ. უზენაესი სასამართლო იყენებს თავის იურიდიულ უფლებამოსილებას სააპელაციო იურისდიქციის მეშვეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კონგრესი აძლევს მას ამ უფლებამოსილებას.

* ძალიან იშვიათად საქმე შეიძლება გადმოვიდეს უზენაეს სასამართლოში პირდაპირ საოლქო სასამართლოდან, ფედერალური სააპელაციო სასამართლოს გაუფლელად მაგალითად, ეს მოხდა, როდესაც იხილებოდა საქმე „*აშშ ნიქსონის წინააღმდეგ*“ (418 U.S. 683 (1974)). უთაქრ-გუთის წინაწერების შესახებ ავტორიტეტული გადაწყვეტილების მიღების აქტუალობამ განაპირობა პროცესში უზენაესი სასამართლოს სწრაფი ჩართვა (იხ. თავი 2)

კონგრესს შეუძლია შეცვალოს (ან სულაც გააუქმოს) უზენაესი სასამართლოს სააპელაციო იურისდიქცია. ეს არის ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების საკონგრესო არსენალის მძლავრი, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოყენებული იარაღი.

მხარეებმა უზენაეს სასამართლოს შეიძლება მიმართონ აპელაციით, თუ ისინი აკმაყოფილებენ ორ მოთხოვნას: (1) საქმეს გაელილი უნდა ჰქონდეს ყველა ინსტანცია შტატის დონეზე; მხარეებს არ შეუძლიათ თავისი საკუთარი სურვილით გადააბიჯონ მართლმსაჯულების შტატის დონეს ფედერალურ დონეზე მოსახვედრად (2) საქმე უნდა ეხებოდეს ფედერალურ საკითხს, ისეთს, რომელიც ეხება კონსტიტუციას, ფედერალურ კანონებს ან ხელშეკრულებებს. და მანც, საქმეების უმრავლესობა, რომლებიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, ვერ მოხვდება უზენაეს სასამართლოში: 1925 წლიდან სასამართლო მნიშვნელოვანწილად (ამჟამად – თითქმის მთლიანად) თვითონ ადგენს თავის საქმეთა რეესტრს, ანუ დღის წესრიგს. უზენაესი სასამართლო წლიურად დაახლოებით 6 000 შემოსული საქმიდან ირჩევს მცირე ნაწილს (საშუალოდ – ასს). საქმეთა უმრავლესობისათვის, რომლებიც უზენაესმა სასამართლომ არ განიხილა, უფრო დაბლა მდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილება საბოლოოა. იმ საქმეებს, რომელთაც უზენაესი სასამართლო არ განიხილავს, არავითარი კომენტარი არ ახლავს.

უზენაესი სასამართლო საქმეს წარმოებაში იღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოთხი ან მეტი მოსამართლე (ცხრიდან) დაეთანხმება, რომ საქმე იმსახურებს სრულფასოვან განხილვას. ეს დაუწერელი წესი ცნობილია, როგორც „ოთხთა წესი“. მოსამართლეები ამ აზრს გამოთქამენ თათბირებზე, რომლებიც ტარდება კვირაში ორჯერ კლერკების მიერ მომზადებული დოკუმენტების საფუძველზე.

გენერალური სოლისიტორი

როგორ ირჩევს უზენაესი სასამართლო, თუ რომელი საქმე იმსახურებს განხილვას? თეორია ამტკიცებს, რომ მოსამართლეებს ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს საქმეების ღრმა ცოდნა. სინამდვილეში კი, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გენერალური სოლისიტორი (solicitor general) იძლევა რეკომენდაციას ამა თუ იმ საქმის თაობაზე.

გენერალური სოლისიტორი წარმოადგენს ეროვნულ მთავრობას უზენაესი სასამართლოს წინაშე. ის პრეზიდენტის მიერ ინიშნება და აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტში, გენერალური პროკურორის* და მისი მოადგილის შემდეგ, რანგით მესამე ოფიციალური პირია. მისი მოვალეობაა იმის დადგენა, უნდა გადასინჯოს თუ არა ფედერალურმა სასამართლომ დაბალი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები; გააკონტროლოს და შეასწოროს, როდესაც ეს საჭიროა, მთავრობის აპელაციებში წარდგენილი ბრიფინგი; გადაწყვიტოს, უნდა დართოს თუ არა ნება მთავრობამ ნებ-სმიერ სააპელაციო სასამართლოში

* attorney general – გენერალური პროკურორი. აშშ-ში ეს პოსტი იუსტიციის მინისტრს უკავია.

წარდგენილ იქნეს წერილობითი არგუმენტები *amicus curiae*-ს* სახელით (Provinc, 1980). გენერალური სოლისიტორის დანიშნულებაა შექმნას აღმასრულებელი ხელისუფლების დამაკავშირებელი რგოლი ფედერალურ სასამართლოში. ამდენად, სასამართლო სისტემაში ის გავლენიანი ფიგურაა. უზენაეს სასამართლოში საქმეების წარმართვასა და განხილვაში მისი როლის გამო გენერალურ სოლისიტორს ხანდახან არაფორმალურად „მეთათე მოსამართლესაც“ უწოდებენ.

გადაწყვეტილების მიღება

თუ უზენაესი სასამართლო საქმის გადასინჯვაზე დათანხმდა, იურისტები წარადგენენ წერილობით არგუმენტებს (ბრიფებს). ჩვეულებრივ, ამას თან ახლავს ზეპირი არგუმენტაციაც. მოსამართლეთა დროისა და ენერჯის დასაზოგად თითოეულ მხარეს 30-30 წუთი ეძლევა. ოქტომბრიდან მარტამდე მოსამართლეები თვეში 5-6 დღეს, ხოლო დღეში – ოთხ საათს უთმობენ არგუმენტების მოსმენას. ზეპირი არგუმენტაციის შემდეგ მათ არ გამოაქვთ რაიმე კოლექტიური გადაწყვეტილება. წინასწარი გადაწყვეტილება მიიღწევა მხოლოდ მოსამართლეთა დახურულ თათბირზე.

ჩვენი ცოდნა უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების მიღების დინამიკის შესახებ არასრულია (იხ. ჩანართი II.1). მაგრამ მოსამართლე ენთონინ სკალიამ, რომელიც უზენაეს სასამართლოში 1986 წლიდან არის, აღნიშნა, რომ „არც თუ ხშირია ერთმანეთზე ზეწოლა“ (მან იგულისხმა, რომ მოსამართლეები ერთმანეთს არ ატანენ ძალას საკუთარი აზრის შესაცვლელად); „ძნელიც კია თათბირი ეუწოდოთ საქმის ირგვლივ ჩვენს მსჯელობას. ეს უფრო ცხრავე მოსამართლის მიერ საკუთარი აზრის გამოცხადებაა, რაც ჯამდება შედეგების სახით და საქმე მზადაა სასამართლო გადაწყვეტილებისათვის“. გადაწყვეტილება წინასწარ გადაწყვეტილებად ითვლება მანამდე, ვიდრე სასამართლოს საბოლოო განაჩენი არაა გამოტანილი.

როგორ ხდება მოსამართლეების მიერ ხმის მიცემა? ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამის ახსნაა სამართლებრივი დოქტრინები და ადრე მიღებული გადაწყვეტილებები. ეს ვითარება შეესაბამება მაჟორიტარულ მოდელს, რომლის შედეგად მოსამართლეები მიჯაჭვული არიან კანონს და მინიმუმამდე დაყვანილი მათი პერსონალური ფასეულობები. სხვა მეცნიერები კი ფიქრობენ, რომ თითოეული მოსამართლის ფასეულობითი პრეფერენციები და შესაბამისი იდეოლოგია მის მიერ ხმის მიცემის უფრო სრულყოფილ ახსნას იძლევა. ეს ახსნა უფრო შეესაბამება პლურალისტურ მოდელს და თვლის, რომ მოსამართლეების ქცევა ასახავს საზოგადოებრივ ფასეულობებს.

* *amicus curiae* ლათინურად ნიშნავს „სასამართლოს მეგობარს“. წერილობითი არგუმენტები *amicus curiae*-ს სახელით შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ნებართვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფებსა და ცალკეულ პიროვნებებს, რომლებიც მოდავე მხარეებს არ წარმოადგენენ, მაგრამ გარკვეულწილად დაინტერესებული არიან საქმით, ნება უნდათ გავლენა იქონიონ სასამართლოს მსჯელობაზე და, შესაძლოა, მის გადაწყვეტილებაზეც

მსჯავრი და არგუმენტები. ხმის მიცემის შედეგად მიიღება მსჯავრი ანუ გადაწყვეტილება, სადაც მითითებულია, თუ რომელი მხარეა მოგებული და რომელი – წაგებული. მოსამართლეები ხშირად ვერ თანხმდებიან ვერც იმაზე, თუ ვინაა მოგებული და ვერც იმაზე, თუ რა უნდა იყოს მსჯავრის საფუძველი.

ხმის მიცემის შემდეგ სასამართლოს უმრავლესობამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი დასკვნა იმის შესახებ, თუ რა იყო მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი. არგუმენტები დასკვნის ღერძია, მისი ლოგიკური შინაარსი, რომელიც გამოყოფილია ფაქტებისაგან, რიტორიკისაგან და პროცედურული საკითხებისაგან. თუ ყველა მოსამართლე ეთანხმება მსჯავრს და მის მოტივაციას, მაშინ გადაწყვეტილება ერთსულოვანია. მოსამართლე შეიძლება დაეთანხმოს მსჯავრს, მაგრამ სხვადასხვა საფუძველით. ასეთ შემთხვევაში თანამთხვევა ეწოდება. სხვა შემთხვევაში მოსამართლეებს შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა (განსაკუთრებული აზრი) ჰქონდეთ, თუკი ისინი მსჯავრს არ ეთანხმებიან. ორივე დასკვნა – როგორც თანამთხვევის, ისე განსაკუთრებული აზრისა – შეიძლება დაერთოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

დასკვნა. თათბირის შემდეგ მთავარი მოსამართლე წერს უმრავლესობის დასკვნას ან ამ პასუხისმგებლობას აკისრებს სხვა მოსამართლეს უმრავლესობიდან. თუ მთავარი მოსამართლე უმცირესობაშია, მაშინ ეს პასუხისმგებლობა ეკისრება მუშაობის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე მოსამართლეს უმრავლესობიდან (ნუ დაგვაიწიფდება, რომ ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მხოლოდ წინასწარია).

ის, ვინც ჩამოაყალიბა დასკვნის მონახაზი, ავრცელებს დოკუმენტს; დანარჩენი მოსამართლეები კითხულობენ მას და ურთავენ თავის კრიტიკულ შენიშვნებს ანდა წინადადებებს. დასკვნა შეიძლება რამდენჯერმე გადაიწეროს, რათა ყველა დააკმაყოფილოს. მოსამართლეებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი აზრი და, შესაძლოა, მსჯავრიც შეცვალონ მანამდე, ვიდრე გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოქვეყნდება.

უმრავლესობაში მყოფი მოსამართლეები ხშირად ცდილობენ მიჩქმალონ უთანხმოება, რათა ერთსულოვნების შთაბეჭდილება შექმნან. მაგრამ 1940-იანი წლებიდან ერთსულოვნება სულ უფრო ძნელი მისაღწევი ხდება. მოსამართლეებისგან თანხმობის მიღება ახლა ლამის ცხრა სხვადასხვა იურიდიულ ფირმასთან მოლაპარაკებას უთანაბრდება. მიუხედავად ამისა, მოსამართლეებს უნდა ესმოდეთ თავიანთი ავტორიტეტის ძალიან სუსტი საფუძველი, რომელიც თითქმის მთლიანად საზოგადოებრივ პატივისცემაზეა დამყარებული. ეს პატივისცემა ეჭვქვეშ დგება ხოლმე, როდესაც სასამართლო წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვას ევალება. მეტხრამეტე საუკუნეში ბანკის შექმნის, მონობის გაუქმების და რეკონსტრუქციის საკითხებმა უზენაეს სასამართლოში დიდი პოლემიკა წარმოქმნა. ჩვენს საუკუნეში ასეთივე პრობლემები წამოიჭრა, როცა საქმე სიტყვისა და რელიგიის თავისუფლებას, რასობრივ თანასწორობას, პიროვნულ თავისუფლებებს ეხებოდა.

ჩანართი 11.1.

სახელით მიმართვა უზენაეს სასამართლოში: არსებობს თუ არა სოციალური ფასეულობა, როცა მოსამართლეები ჯავრს იყრიან ერთმანეთზე?

სულ რაღაც ორ თვეში (ოქტომბრის პირველ ორშაბათს) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეება კვლავ ჩამოართმევნ ზელს ერთმანეთს და მიუხედავად სასამართლო მაგიდას ახალი სეისის ჩასატარებლად. მაგრამ იმ გამოთქმებისა და პირადი ტონის შემდეგ, რომელიც გამოყენებულ იქნა ჩამოთვრებული სეისის დროს, საინტერესოა, როგორ შეხედავენ ერთმანეთს თვალეში მოსამართლეები, ანდა, საერთოდ, მოუხდებათ ეს ამ სამუშაოზე დაბრუნება?

სხვა რა შეიძლება ვთქვათ, თუკი ქალს საჯაროდ ეუბნებით, რომ მისი შეხედულებები „ირაკიონალორია“ და „არ შეიძლება სერიოზულად იქნეს მიღებული“ (მოსამართლე ენთონის სკალია – მოსამართლე სანდრა დი ოკონორს), ან როცა თქვენ ვიღაცას პრალი დასდეთ, რომ მას „ორუელის სტილში სურს ინტორების გადაწერა“ (მოსამართლე ენთონი მ. კენედი – მოსამართლე ჰერი ა. ბლექმანს); ანდა, თუ სხვა პირის მოსაზრებებს უწოდებს „ქედმაღლური კილოთი წაკითხული ლექცია სამოქალაქო სამართალში“ (მთავარი მოსამართლე ულიამ რენკუისტი – მოსამართლე ულიამ ვ. ბრენანს).

ამ ხაკითხებმა შეიძლება ეჭვი შეიტანოს სასამართლოსადმი ნდობის ფაქტორში. ხელისუფლების სხვა განმტოებებისგან განსხვავებით, რომელთაც ამომრჩეველების წინაშე წარდგენით თავიანთი პოლიტიკური კაიტიკალი პერიოდულად უნდა შეეხონ ხოლმე, უზენაესი სასამართლოსადმი ნდობა ეყრდნობა საზოგადოების რწმუნებას, რომ მისი წევრები საქმის პრინციპულ განსილვაში არიან ჩართული და არა ერთმანეთის ძირის გამოთხრაში.

უზენაესი სასამართლო არც ადრე ყოფილა „წყნარი ადგილი“. ნახევარი საუკუნის წინ მოსამართლე ოლივერ უენდელ კოლმას დაახასიათა იგი, როგორც „ერთ ბოთლში ჩასმული ცხრა ბორიელი“, მაგრამ 1986 წლის სესია ყველაზე ცუდი აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით. შესილებს კი ზაფხულის მზე მელანსივით გაახუნოს თვალსაზრისების ფურცლებზე დანთხეული შხამი?

მართალია, ძნელია მოსამართლე ოკონორის მწყობრიდან გამოყვანა სიტყვიერი შეურაცხყოფით. სასამართლოს ერთმა ყოფილმა კლერკმა ეჭვი გამოთქვა, რომ მოსამართლე ოკონორს მაინცდამაინც აელულებინოს მოსამართლე სკალიას გესლიან სიტყვებს. იმავე კლერკმა გაახსენა, რომ ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც 1986 წელს მოსამართლე სკალია დაინშა უზენაეს სასამართლოში, შედეგ ათობით, სადაც უნდა განხილათ ერთი დაუმთავრებელი საქმე „ჯონსონი სანტა კლარას ქაუნთის წინააღმდეგ“, რომელიც უხებოდა ქალებისათვის ქვოტების გამოყოფას ერთ-ერთ დაწესებულებაში. მოსამართლე სკალიამ თავის ახალ კოლეგებს წაუკითხა 15-წუთიანი ლექცია იმაზე, თუ რა დამღუპელი შედეგებმა შეიძლება მოეყვას აფორმატიული ქმედებას, განსაკუთრებით, ქალების შემთხვევაში. როდესაც მან გამოხვლა დაამთავრა, მოსამართლე ოკონორმა გაუღიმა მას და მიმართა კინონითი სახელით „როგორ გგონია, ნინო, მე როგორ მოვხვდი ამ თანამდებობაზე?“ ოკონორი პროგრამას უჭერდა მხარს; სკალიამ კი უაღრესად უარყოფითი აზრი გამოთქვა.

უზენაესი სასამართლოს მეკლევარები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში, როდესაც პროცესი წყნარად მიმდინარეობდა, სასამართლოს წევრებს კოლეგიულობა მაინც აკლდათ. მრავალი თაობა გამოიცვალა მას შემდეგ, რაც მოსამართლე ერლ უორენმა დაიყოლია თავიანი კოლეგები და ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. სკოლების დესეგრეგაციის შესახებ. მეკლევარები ამჟამად ფიქრობენ, რომ იმ საქმეზე ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ დიდი მორალური წონა შემატა სასამართლოს განაჩენს.

მართა მინუმ, პარვარდის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორმა (ადრე ის ათი წელი კლერკად მუშაობდა უზენაეს სასამართლოში), ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში აღნიშნა, რომ „მოსახლეობას იდეალიზებული წარმოდგენა აქვს უზენაეს სასამართლოზე, როგორც ადგილზე, სადაც პროფესიონალები ერთად ბჭობენ და არჩევენ საქმეებს. ეს ასე არ იყო უზენაესი სასამართლოს საუკეთესო წლებშიც კი.

ახლა კი ეს არის ცხრა დამოუკიდებელი სასამართლო. მოსამართლეები ეწვევიან განცალკევებულ, ლაშის იზოლირებულ ცხურებას. ისინი ერთმანეთს ხელებიან მხოლოდ ოფიციალურ სხდომებზე, ხმას აძლევენ, როგორც სურთ და თავიანთ კაბინეტებს უბრუნდებიან“.

სასამართლო კლერკები ელჩების როლს ასრულებენ მოსამართლეთა კაბინეტებს შორის. „მოსამართლეებსა ისწავლებს პროცესის ისე წარმართვა, რომ ერთმანეთს არც დაელაპარაკონ“ – შენიშნა ერთმა ყოფილმა კლერკმა.

მართლაც, სისტემა საკმარისად კარგად მუშაობს, რათა გადაიტანოს ასეთი ქარიშხლიანი პერიოდი კი. უზენაესი სასამართლო გაუძღვება ამას. მაგრამ შესძლებს კი იგი სხვები შთააგონოს, რათა უხელმძღვანელოს ქვეყნის სასამართლო სისტემას? ეს ისევე მნიშვნელოვანი კითხვაა, როგორც ნებისმიერი სხვა, ბრძოლებში რომ გროვდება... „და პასუხი მხოლოდ მოსამართლეებსა იცინა“.

წყარო: Linda Greenhouse, "At the Bar," *New York Times*, 28 July 1989, p.21.

უზენაესი სასამართლოს სტრატეგია

უზენაესი სასამართლო მეტია, ვიდრე ფორმალური სასამართლო პროცესების ფაზაში. მოსამართლეები რეალური პოლიტიკური ძალაუფლებით სარგებლობენ. თუ დავუშვებთ, რომ მოსამართლეები განსახილველ საკითხებზე გადაწყვეტ, ოლებას ღებულობენ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად, მაშინ ჩვენ მათგან უნდა მოველოდეთ ტიპურ პოლიტიკურ ქცევას. საქმეები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს დღის წესრიგში ხვდება, რთული არჩევანის წინაშე აყენებს მოსამართლეებს. ვინაიდან მოსამართლეები ამ კონფლიქტს აფასებენ რეალური ვითარებიდან გამომდინარე, მათ უნდა გააჩნდეთ ჩამოყალიბებული იდეოლოგია შესაბამისი ფასეულობებით. მეცნიერები და ჟურნალისტები ცდილობენ ჩამოხსნან იდემალების ფარდა, რომელიც სასამართლოს გამოჰყოფს საზოგადოებისაგან და გააანალიზონ მოსამართლეთა იდეოლოგიები (Murphy, 1964; Woodward and Armstrong, 1979).

მოსამართლეთა უმეტესობის მრწამსი შეიძლება განლაგდეს პოლიტიკურ ფასეულობათა ორგანოზომილებიან შკალაზე, რომელიც პირველ თავში იყო განხილული. მაგალითად, ლიბერალური შეხედულებების მქონე მოსამართლე პერი ბლექმანი თავისუფლებას წესრიგზე მაღლა აყენებს, ხოლო თანასწორობას – თავისუფლებაზე მაღლა; კონსერვატორი მოსამართლეები – უილიამ რენქუისტი და ენთონინ სკალია კი წესრიგს აყენებენ თავისუფლებაზე მაღლა, ხოლო თავისუფლებას – თანასწორობაზე მაღლა. ეს არჩევანი პოლიტიკურ პრეფერენციებში იზრდება, როდესაც მოსამართლეები ცდილობენ მოიპოვონ კოლეგების ხმები ანდა შეინარჩუნონ კოალიციები.

მოსამართლეები განსხვავდებიან ინტელექტუალური შესაძლებლობებით, დარწმუნების უნარით, ტაქტით, ტემპერამენტით და ა. შ. ისინი ცდილობენ კოლეგების მხარდაჭერის მოპოვებას და ამისათვის უგზავნიან მათ ინფორმაციას, შენიშვნებს, მემორანდუმებს, რათა აუხსნან კენჭისყრისას კონკრეტული პოზიციის უპირატესობა ან პირიქით. მოსალოდნელია, რომ მოსამართლეები ხანდახან მაინც, თუ რეგულარულად არა, გამოიყენებენ პატრიოტიზმის ან მეგობრობის მოტივებს კოლეგების ხმების მოსაპოვებლად.

მოსამართლემ შეიძლება შეიმუშავოს ხანგრძლივადიანი სტრატეგია, რათა გავლენა მოახდინოს უზენაეს სასამართლოში პოლიტიკური თანამოაზრეების

დასანიშნად. მაგალითად, მთავარი მოსამართლე (და ყოფილი აშშ პრეზიდენტი) უილიამ ჰოუარდ თაფთი (1921-1930) რჩევებითა და რეკომენდაციებით იკლებდა პრეზიდენტ უორენ ჰარდინგს, როგორც კი უზენაეს სასამართლოში ვაკანსია გამოჩნდებოდა. თაფთი განსაკუთრებით მოწადინებული იყო გზა გადაეღობა ისეთი პირის დანიშვნისათვის, რომელიც „სახიფათო წყვილს“ – მოსამართლეებს ოლივერ უენდელ ჰოლმსსა და ლუის დ. ბრენდისს – განუმტკიცებდა ძალას. თაფთი მათ მემარცხენეებად თვლიდა და არც მალავდა ამას: „მე დავრჩები სასამართლოში მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ბოლშევიკების კონტროლი“ (Abraham, 1985, pp.183-185).

მთავარი მოსამართლე

უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე მხოლოდ ერთია ცხრათაგან, მაგრამ მას გააჩნია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია, გამომდინარე მისი უფლებამოსილებიდან. გარდა იმ როლისა, რომელსაც ის თამაშობს სასამართლოს ნუსხაში შეტანილი საქმეების კონტროლში და თათბირების წარმართვაში, მთავარ მოსამართლეს შეუძლია იყოს სოციალური ლიდერიც ჯგუფში სოლიდარობის შესაქმნელად. ხანდახან მას შეუძლია ინტელექტუალური ლიდერიც იყოს. დაბოლოს, ის პოლიტიკური ლიდერიც შეიძლება გახდეს, თუკი სასამართლოს წარმართავს რომელიმე პოლიტიკური მიმართულებით.

როდესაც მთავარი მოსამართლე თავმჯდომარეობს თათბირებზე, მას შეუძლია კონტროლი გაუწიოს დისკუსიას რომელიმე საქმის ირგვლივ, თუმცა დამოუკიდებლად მოაზროვნე მოსამართლეები ნაკლებად თუ აკყვებიან მის შეხედულებებს. მაგალითად, როგორც ამ თავის დასაწყისში იყო აღნიშნული, მთავარმა მოსამართლემ უორენმა ოსტატურად შეძლო თავისი კოლეგების წინააღმდეგობის გადალახვა: საბოლოოდ მისმა პატრიოტულმა მოწოდებებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მოიტანა „ბრაუნის საქმეში“ დესეგრეგაციის საკითხზე.

სასამართლოს შევსება

არც კონსტიტუცია და არც ფედერალური კანონი არ ადგენს არავითარ ფორმალურ მოთხოვნებს ფედერალურ სასამართლოებში დანიშვნისათვის, ერთის გარდა: საოლქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებმა უნდა იცხოვრონ იმ რეგიონში, სადაც ისინი დაინიშნებიან. პრეზიდენტი ნიშნავს ყველა ფედერალურ მოსამართლეს და ყველა კანდიდატი უნდა მოიწონოს სენატმა. კონგრესი უნიშნავს გასამრჯელოს მოსამართლეს და ამ თანხას ვერ შეუმცირებს თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში.

შტატების სასამართლოები თითქმის იმავე წესით ივსება, როგორც ფედერალური. შტატების თითქმის ნახევარში მოსამართლეებს ნიშნავს გუბერნატორი. დანარჩენ შტატებში მოსამართლეების შერჩევა ხდება არჩევნების დროს (Baum, 1990). ზოგიერთ შტატში კანდიდატები უნდა დაამტკიცოს შტატის

საკანონმდებლო ორგანომ, დანარჩენში კი ისინი უნდა დამტკიცდნენ საყოველთაო არჩევნების დროს, ხანდახან დანიშენიდან რამდენიმე წლის შემდეგ. კონკურენტული არჩევნები მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად იშვიათია.

ფედერალური მოსამართლეების დანიშვნა

კონსტიტუცია ადგენს, რომ ფედერალური მოსამართლეები „თანამდებობაზე დარჩებიან მანამდე, სანამ ისინი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებენ“, ანუ, პრაქტიკულად, სამუდამოდ*. ამრიგად, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოსამართლეები მისი ადმინისტრაციიდან წასვლის შემდეგაც ადგილზე დარჩებიან: ეს პოლიტიკური მექანიზმების ნაირსახეობაა. დანიშვნის უფლებამოსილება ნიშნავს, რომ პრეზიდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც მის პოლიტიკას მხარს უჭერს.

მოსამართლის ვაკანსია ჩნდება, როდესაც მოსამართლე გადადგება, პენსიაზე გავა ან გარდაიცვლება, აგრეთვე მაშინ, როცა კონგრესი ახალ თანამდებობებს აარსებს. პრეზიდენტი ასახელებს თავის კანდიდატურას, რომელიც სენატმა უნდა მოიწონოს. პრეზიდენტს ეხმარება იუსტიციის დეპარტამენტი, რომელიც ამოწმებს კანდიდატებს დანიშნამდე და, თუ სერიოზული ეჭვი წარმოიშობა, რთავს შემოწმების პროცესში გამოძიების ფედერალურ ბიუროს. დეპარტამენტი და სენატი მეტოქეობენ საოლქო სააპელაციო სასამართლოებში დანიშვნების კონტროლზე.

სენატის რჩევა და თანხმობა. სენატორული ეტიკეტი აიძულებს პრეზიდენტს საოლქო და სააპელაციო სასამართლოების ვაკანსიებზე დანიშვნის უფლებამოსილება სენატთან ერთად გაინაწილოს. სენატი არ დაამტკიცებს კანდიდატს, თუ მას არ ისურვებს პრეზიდენტის პარტიის სტაჟიანი სენატორი, კანდიდატის შტატიდან. იუსტიციის დეპარტამენტი ეძებს მისაღებ კანდიდატებს და წინასწარ ამოწმებს სენატორის რეაქციას მის დანიშვნაზე.

სენატის იურიდიული კომისია აწყობს მოსამართლეობის ყოველი კანდიდატის მოსმენას. ამ კომისიის თავმჯდომარეს მოსამართლის დანიშვნის პროცესში ისეთი ძალაუფლება აქვს, რომელიც მკვეთრად აღემატება „სენატორულ ეტიკეტს“. თუ კომისიის თავმჯდომარე არ იწონებს კანდიდატს, მას შეუძლია გადასდოს მოსმენა ან შეაჩეროს სხვა დანიშვნები იქამდე, ვიდრე პრეზიდენტი და იუსტიციის დეპარტამენტი სხვა კანდიდატურას არ შეარჩევენ. მაგრამ ასეთი რამ დიდ გავლენას ვერ მოიტანს. ასე, რომ, კომისიის თავმჯდომარეები ჩვეულებრივ ერიდებიან პრეზიდენტს გადაუჭრან გზა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ ესაჭიროებათ პრეზიდენტის დახმარება თავისი პოლიტიკის გასატარებლად ან თავის საარჩევნო ოლქში.

* ორასი წლის განმავლობაში სულ შვიდი ფედერალური მოსამართლე გადააყენეს იმპიჩმენტის გზით; ცხრა მოსამართლე გადადგა, რადგან მათ წინააღმდეგ იმპიჩმენტი მზადდებოდა; და მხოლოდ ხუთი კაცი იქნა მსჯავრდებული მძიმე დანაშაულისათვის.

ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია (The American Bar Association - ABA) ამერიკაში უდიდესი ადვოკატთა ორგანიზაციაა. ის ჩართულია ფედერალური სასამართლოებისათვის კანდიდატების შემოწმებაში 1946 წლიდან. მისი როლი განსაზღვრულია ტრადიციით და არა კანონით. პრეზიდენტის დავალებით ეი-ბი-ეის ფედერალურ მოსამართლეთა მუდმივმოქმედი კომისია განუწყვეტილად აფასებს პერსპექტიულ კანდიდატებს ოთხხალხიანი შეფასებით (დაწყებული – „ფრიად შეფერება“ და დამთავრებული – „არ შეფერება“).

კანდიდატების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად კომისია ატარებს კონფიდენციალურ ინტერვიუებს იმ ადვოკატებთან და მოსამართლეებთან, რომლებიც იცნობენ კანდიდატს და შეუძლიათ შეაფასონ მისი დონე. კომისიის რეკომენდაცია უნდა ეხებოდეს კანდიდატის „პროფესიულ შესაბამისობას“, რაც მოიცავს „კომპეტენტურობას, პატიოსნებას და სამოსამართლო ზნე-ჩვეულებებს“. პოლიტიკამ და იდეოლოგიამ კომისიის მოსაზრებაზე გავლენა არ უნდა მოახდინონ.

პრეზიდენტები ყოველთვის არ ეთანხმებიან კომისიის რჩევებს, ნაწილობრივ მაინც იმის გამო, რომ კანდიდატის პოლიტიკური შეხედულებები არ მოსწონთ (თუმცა ამას აშკარად არ ამბობენ), ხანდახან კანდიდატი შეფასებით „არ შეფერება“ დაუსახელებიათ და დაუნიშნაუთ კიდევ. მაგრამ 1946 წლიდან ფედერალურ მოსამართლეთა უმრავლესობა ეი-ბი-ეის ლოცვა-კურთხევით დაინიშნა.

ბოლოდროინდელი პრეზიდენტები და ფედერალური მართლმსაჯულება

პრეზიდენტ ჯიმი კარტერს უნდოდა უფრო წარმომადგენლობითი გაეხადა სასამართლო სისტემა. მან ფედერალურ სასამართლოში დანიშნა მეტი შავკანიანი, ესპანურენოვანი და ქალი, ვიდრე რომელიმე მისმა წინამორბედმა და მემკვიდრემ. მისი მოქმედება უფრო მეტად შეესაბამებოდა პლურალისტურ დემოკრატიას, სიმბოლურად მაინც.

ამის საპირისპიროდ, რეიგანის მიერ მოსამართლეთა დანიშვნებში დომინირებდა არა დემოკრაფიული, არამედ პოლიტიკური მოსაზრებები. რეიგანმა შეარჩია კანდიდატები გარკვეული პოლიტიკური პრეფერენციით, ასე რომ მისი კვალი XXI საუკუნის ამერიკულ სასამართლოსაც დაემატება. როგორც კარტერი, ისე რეიგანი, ამერიკის იურიდიულ ფაკულტეტებს ისე იყენებდნენ, როგორც ბეისბოლის წამყვანი გუნდების მწრთენელები იყენებენ სოფლის გუნდებს. კარტერის ლიბერალური ფასეულობები უბიძგებდა მას შეერჩია ისეთი მოსამართლეები, რომლებიც თანასწორობას დაიცავდნენ; რეიგანი კი, მისი კონსერვატიული ფასეულობების გამო, არჩევდა მოსამართლეებს, ვინც წესრიგს აყენებდა ყველაზე მაღლა. კარტერმა სულ დანიშნა 262 მოსამართლე; რეიგანმა გადააჭარბა მას – 378 მოსამართლე დანიშნა.

თავისი პრეზიდენტობის დროს ჯორჯ ბუში მიჰყვებოდა თავისი წინამორბედის კვალს და კონსერვატორ მოსამართლეებს ნიშნავდა. ფაქტობრივად, რეი-

განის მიერ საოლქო სასამართლოებში ასობით ახალი მოსამართლის დანიშვნამ შექმნა მოსამართლეთა ერთგვარი „მცირე ლიგა“, რომელიც უადვილებდა ბუშს შეერჩია და დაენიშნა სააპელაციო სასამართლოების მოსამართლენი გამოკვეთილი იდეოლოგიის (კონსერვატიული) და ფასეულობათა პრეფერენციით. ამის საპირისპიროდ, ბილ კლინტონმა პრეზიდენტის პოსტზე თავისი მოსვლისთანავე განაცხადა, რომ დაუბრუნდება იმ პოლიტიკას, როცა დანიშნები ასახავდნენ ამერიკის მოსახლეობის მრავალფეროვნებას.

დანიშვნები უზენაეს სასამართლოში

უზენაეს სასამართლოში ვაკანსიის გაჩენა, ჩვეულებრივ, დიდ გამოცოცხლებას იწვევს. კამპანია უზენაეს სასამართლოში დასანიშნად ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, თუმცა, ფართო საზოგადოება მას თითქმის ვერ ამჩნევს. დაინტერესებული კანდიდატები უკავშირდებიან თავიანთ მეგობრებს ადმინისტრაციაში და ეძებენ პროტექციას სხვა გავლენიან პირებთან.

უზენაესი სასამართლოს წევრის დასახელებისას პრეზიდენტი არ არის შებორკილი „სენატორული ეტიკეტით“. უმაღლესი ინსტანციის მოსამართლის დანიშნა საზოგადოების უფრო დაჟინებულ ყურადღებას იწვევს, ვიდრე დაბალი რანგის დანიშვნები. ეს ყურადღება ერთგვარად ზღუდავს პრეზიდენტის არჩევანს და სენატის „რჩევასა და თანხმობას“ მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

აშშ-ს ისტორიის მანძილზე მოსამართლედ დასახელებული 144 კაციდან და ერთი ქალიდან, სენატი არ დაეთანხმა 28-ის დანიშვნას. ნაწილობრივ მაინც, ეს პარტიული პოლიტიკის შედეგია. ყველაზე ბოლოს ჩავარდნილი კანდიდატი, რომელსაც სენატმა მხარი არ დაუჭირა იდეოლოგიური და პარტიული მოსაზრებით, იყო რობერტ ბორკი.

22-დან 12 პირს, რომელიც უზენაეს სასამართლოში 1950 წლიდან იქნა დასახელებული, ჰქონდა ფედერალურ და შტატის სასამართლოში მუშაობის გამოცდილება. ასეთი დაწინაურება შესაძლოა ეყრდნობოდეს აზრს, რომ, თუ მოსამართლემ ადრე კარგად იმუშავა, გამოცდილება შეიძინა, უზენაეს სასამართლოშიც კარგად იმუშავებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ პრეზიდენტი, კაცს სამუდამო სამუშაოზე ნიშნავს, ისეთი უნდა დანიშნოს, ვინც მის შეხედულებებს იზიარებს.

მთავარი მოსამართლის, უორენ ბერგერის გადადგომამ 1986 წელს, რეიგანს შესაძლებლობა მისცა დაეწინაურებინა უზენაესი სასამართლოს წევრი უილიამ ჰ. რენქუისტი მთავარი მოსამართლის თანამდებობაზე, ხოლო მის შემცვლელად დაენიშნა ენთონინ სკალია, რომელიც იქამდე ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში მუშაობდა. რენქუისტს მოუხდა მძაფრი კითხვების მოსმენა ლიბერალი კრიტიკოსებისგან, როდესაც მას სენატში უსმენდნენ (უზენაესი სასამართლოს წევრების კანდიდატების მიერ ჩვენების მიცემა შედარებით ახალი საქმეა; ის 1925 წლიდან ხდება). მაგრამ რენქუისტის ოპონენტებმა ვერ მოახერხეს მისი დამტკიცების შეჩერება სენატში, სადაც იმ დროს რესპუბლიკელები ჭარბობდნენ.

1987 წელს, როდესაც გადადგა მოსამართლე ლიუის ფ. პაუელი, რეიგანს გაუჩნდა შანსი, რომ უზენაეს სასამართლოში იდეოლოგიური ბალანსი კიდევ უფრო კონსერვატიული გაეხადა. მან ვაკანტურ ადგილზე დაასახელა მოსამართლე რობერტ პ. ბორკი, კონსერვატიული შეხედულების იურისტი. ბორკი მხარს უჭერდა „სასამართლო შეზღუდვას“, კონცეფციას, რომელიც მიიჩნევს, რომ კანონს უნდა ქმნიდნენ კანონმდებლები და არა მოსამართლენი. პარადოქსია, რომ კანონმდებლები, რომლებიც ბორკს დაუპირისპირდნენ, მხარს უჭერდნენ „სასამართლოს აქტივობის“ კონცეფციას, რომელიც მოსამართლეებს უფლებას აძლევს ხელი შეუწყონ სასურველი სოციალური მიზნის მიღწევას. ბორკის ზოგიერთი კრიტიკოსი იმასაც ამტკიცებდა, რომ იგი სინამდვილეში აქტივისტია და არა სასამართლოს შეზღუდვის მომხრე და მისი ნამდვილი მიზანია კონსერვატიული იდეოლოგიის მხარდაჭერა უზენაესი სასამართლოს მეშვეობით.

მოსმენა სენატში დამთავრდა რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ბორკის ჩვენებები და მოწმეთა აღლუმი ტელევიზიით გადაიყა. ლიბერალური დანტერესებული ჯგუფები მოულოდნელად ერთსულოვნად დაირაზმნენ ბორკის წინააღმდეგ: აქ იყვნენ აბორტის მომხრეებიც, სამოქალაქო უფლებების მხარდამჭერნიც, ფემინისტები, გარემოს დამცველები, ასაკოვან მოქალაქეთა ორგანიზაციებიც და სხვ. ამ ჯგუფებმა თავიანთი უთანხმოებები დროებით გვერდზე გადასდეს და მასიური კამპანია წამოიწყეს ბორკის კანდიდატურის ჩასაგდებად. კონსერვატორების მხარდაჭერა სუსტი აღმოჩნდა. საზოგადოებრივი აზრი თავიდან ინდიფერენტული იყო ბორკის დანიშვნის მიმართ, მაგრამ სენატში მოსმენის სატელევიზიო გადაცემამ მასობრივი ცნობიერება მის წინააღმდეგ განაწყო. ბორკი განწირული იყო, მაგრამ მან მაინც მოითხოვა კენჭისყრა სენატში იმის იმედით, რომ იქ უფრო მშვიდი დისკუსია იქნებოდა. მაგრამ ვნებები სენატშიც არ ჩამცხარალა და ბორკმა სულ 42 ხმა მიიღო (58 მისი დანიშვნის წინააღმდეგი იყო). ასეთი დიდი განსხვავებით სენატს არასოდეს არ უარუყვია უზენაეს სასამართლოში დასახელებული რომელიმე მოსამართლე.

რეიგანმა მალე დაასახელა ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე დაგლას გინსბარგი. მასაც კონსერვატიული შეხედულებები ჰქონდა, თანაც ახალგაზრდა იყო, სულ 41 წლისა. გინსბარგის დასახელებიდან ცხრა დღის შემდეგ მისი გეგმები წყალში გადაიყარა, რადგან მან ვერ უარყო ბრალდება, რომ სტუდენტობის დროს და ჰარვარდის სამართლის სკოლაში პროფესორის თანამდებობაზე ყოფნისას იგი მარიხუანას ეწეოდა. გინსბარგმა თვითონ თქვა უარი დასახელებაზე.

ბოლოსდაბოლოს, ვაკანტურ პოსტზე ფედერალური სააპელაციო სასამართლოს სხვა მოსამართლე, ენთონი მ. კენედი დასახელდა. სენატმა დეტალურად შეისწავლა კენედის შეხედულებები, კანდიდატმა არ აარიდა თავი პასუხებს კონსტიტუციის გამო თავისი თვალსაზრისის გამოხატვაზე. მისი საღი აზროვნება და იდეოლოგიური ზომიერება ის კომბინაცია აღმოჩნდა, რამაც კენედის სენატის მხარდაჭერა მოუპოვა და იგი გახდა აშშ უზენაესი სასამართლოს რიგით 104-ე წევრი.

დანიშვნის თამაშის წესები ერთგვარად შეიცვალა 1990 წელს, როდესაც პრე-

ზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ამოიყვანა დევიდ საუთერი შედარებითი წყვილიდან, რათა შეეცვალა გადამდგარი მოსამართლე უილიამ ბრენანი, რომელიც ლიბერალი იყო. საუთერი კარგად ერგებოდა უზენაესი მოსამართლის კანდიდატის მოდელს: მას ჰქონდა ფართო სასამართლო გამოცდილება როგორც ნიუ ჰემპშირის შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეს და ახლდანიშნული იყო ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში. მისი შეხედულებები გამომწვევ საკითხებზე გაურკვეველი დარჩა, რადგან მას ცოტა ჰქონდა დაწერილი და ნაკლები ნალაპარაკევი აბორტებზე, პიროვნულ თავისუფლებებზე, რელიგიურ თავისუფლებაზე და თანასწორობის უზრუნველყოფაზე. უფრო მეტიც, სენატში მოსმენის დროს მან მოხერხებულად აუარა გვერდი ან წაუყრუა ბევრ საჩოთირო საკითხს. სენატმა 90 ხმით 9-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა საუთერის კანდიდატურას.

1991 წელს ჯორჯ ბუშმა დაასახელა შავკანიანი კონსერვატორი მოსამართლე კლერენს თომასი უზენაესი სასამართლოს წევრად, რათა შეეცვალა ავადმყოფობის გამო გადამდგარი თერგულ მარშალი. თომასმა გაუძლო კითხვების სექტყვას სენატის იურიდიულ კომისიაში. მან გვერდი აუარა თავისი თვალსაზრისის გამოხატვას კონსტიტუციის ინტერპრეტაციის შესახებ, რამაც მისი ოპონენტების პოზიცია შეასუსტა. თომასის დანიშვნა განაღდებული ჩანდა, ვიდრე უკანასკნელ წუთში არ გამოჩნდა მოწმე, პროფესორი ანიტა ჰილი (ისიც შავკანიანი იყო), რომელმაც ბრალი დასდო თომასს, რომ ათი წლის წინ, როდესაც ისინი ერთად მუშაობდნენ, თომასი ცდილობდა მის დაყოლიებას სქესობრივ კავშირზე.

მთელი ქვეყანა უყურებდა. ჰილის ჩვენებებს, შემდეგ თომასის მიერ მათ უარყოფას, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის მქონე მოწმეებს (თომასმა ამ პროცედურას უწოდა შავკანიანი მამაკაცის „მაღალტექნოლოგიური ლინჩის წესით დასჯა“). მართონული მოსმენის შემდეგ კომისიამ ვერ მიიჩნია ქან ჰილის ჩვენებები დამაჯერებლად. საბოლოოდ, სენატმა, 52 ხმით 48-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა თომასის დანიშვნას უზენაესი სასამართლოს წევრად (Phillips and Wintemitz, 1992).

სასამართლო გადაწყვეტილებათა შედეგები

აშშ-ში აღძრული საქმეების დიდი უმრავლესობა გადაწყვეტის გარეშე მთავრდება. ბევრი სამოქალაქო საქმე მორიგებით მთავრდება, ან რომელიმე მხარე თავს ანებებს, ანდა სასამართლო უარს ამბობს საჩივრის განხილვაზე, რადგან იგი სასამართლოს კომპეტენციას არ ექვემდებარება.

სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა მთავრდება „ალიარების გარიგებით“: ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და სანაცლოდ უფრო მსუბუქ სასჯელს ღებულობს. ფედერალურ საოლქო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების სულ 20 პროცენტამდე აღწევს პროცესის სტადიას. სამოქალაქო საქმეებიდანაც ასევე მცირე ნაწილი მთავრდება სასამართლო გადა-

წყვეტილებით. თუკი მოსამართლე მიუსჯის დამნაშავეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთას ანდა, თუ კომპანიას სცნობენ მოვალედ ანაზღაუროს 11 მილიონი დოლარი, როგორც ზარალის კომპენსაცია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ დამნაშავე ან კომპანია დაუყოვნებლივ დასთმობენ თავისუფლებას ან თანხას. სისხლის სამართლის საქმეში, აპელაცია, რომელიც მოჰყვება გასამართლებას და მსჯავრის დადებას, სხვა თუ არაფერი, იმ დღეს მანც გადაავადებს, როცა ბრალდებულს ციხის ალტერნატივა აღარ დარჩება. სამოქალაქო საქმეებშიც, აპელაცია შეიძლება გახდეს განაჩენის უშუალო შედეგი, რაც ასევე გადაავადებს ანგარიშიდან თანხის ჩამოწერას. ¹

უზენაესი სასამ. რთლოს დადგენილებები: აღსრულება და გავლენა

როდესაც უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს, ის გულისხმობს, რომ სხვები *განხორციელებენ* მას, გადააქცევენ პოლიტიკას მოქმედებად. განაჩენის შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა ის ჩამოყალიბებული. უნდა გვახსოვდეს, რომ გადაწყვეტილების მომზადებისას მოსამართლეები ცდილობენ მიაღწიონ ხმების რაც შეიძლება დიდ უმრავლესობას, თუ ერთსულოვნებას არა. ეს აიძულებს მათ გარკვეულ კომპრომისზე წაყიდნენ და უფრო ზომიერი გახადონ თავიანთი არგუმენტები. ამის გამო, ბევრი საკითხი ბუნდოვანი რჩება. ორაზროვანი გადაწყვეტილება გავლენას ახდენს პოლიტიკის განხორციელებაზე. მაგალითად, როდესაც უზენაესმა სასამართლომ 1955 წელს გამოსცა ბრძანება მოეხდინათ საზოგადოებრივი სკოლების დესეგრეგაცია „მთელი გააზრებული სინქარიით“*, იმ მოსამართლეებმა, რომლებიც უზენაესი სასამართლოს პოლიტიკას არ ეთანხმებოდნენ, ბრძანება „გაიგეს“, როგორც „აუჩქარებლად“ შესასრულებელი. 1960-იანი წლების დასაწყისში უზენაესმა სასამართლომ გააუქმა აუცილებელი ლოცვა და ბიბლიის კითხვა საზოგადოებრივ სკოლებში. მაგრამ რიგი შტატების სასამართლოებმა და გენერალურმა პროკურორებმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ინტერპრეტაცია მოახდინეს ისე, თითქოს მხოლოდ აუცილებელი ლოცვა და ბიბლიის კითხვა იყო არაკონსტიტუციური, ხოლო შტატის მიერ დადგენილი ნებაყოფლობითი ლოცვა და ბიბლიის კითხვა დასაშვები (Johnson and Canon. 1984).

იმის გამო, რომ უზენაეს სასამართლოს უხდება ისეთი საკითხების გარჩევა, რომლებსაც საქმე აქვთ სოციალურ ფასეულობებთან ან პოლიტიკურ მრწამსთან, მისი გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ბევრად მეტ სფეროებზე, ვიდრე მოდავე მხარეებია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ საქმეზე „როუ უეიდის წინააღმდეგ“ (1973 წ.), რომელმაც აბორტების ლეგალიზაცია მოახდინა, მძაფრი საზოგადოებრივი რეაქცია გამოიწვია. აბორტის მოწინააღმდეგე ჯგუფებმა

* ინგლისურად "with all deliberate speed". "deliberate" აქ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც „გააზრებული“, „ფრთხილი“, „წინდახედული“, „აუჩქარებელი“ (მთარგმნელის შენიშვნა)

დაიფიქს, რომ გააუქმებინებდნენ გადაწყვეტილებას; ჯგუფებმა, რომლებიც აბორტს მხარს უჭერდნენ, დაიწყეს იმ უფლების დაცვა, რომელიც მოიპოვეს. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან რვა თვის განმავლობაში ოცზე მეტი კონსტიტუციური შესწორების პროექტი იქნა შეტანილი კონგრესში, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო საჭირო უმრავლესობა.

საზოგადოებრივი აზრი და უზენაესი სასამართლო

დემოკრატიის თეორეტიკოსებს დიდი თავსატეხი აქვთ, როდესაც ცდილობენ შეათავსონ წარმომადგენლობითი დემოკრატია სასამართლოსთან, რომელიც პასუხისმგებელი არ არის ამომრჩევლების წინაშე, მაგრამ გააჩნია იმის ძალაუფლება, რომ გააუქმოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები. ეს – მართლაც, სირთულე შეიძლება იყოს თეორეტიკოსებისათვის, მაგრამ რეალობაში აშშ უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა იშვიათად თუ არ ეთანხმება საზოგადოებრივ აზრს. სხვადასხვა წინააღმდეგობრივი სფეროების გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ უზენაესი სასამართლო იშვიათად თუ უგულვებელყოფს უმრავლესობის აზრს ანდა იმ ტენდენციას, საითაც ეს აზრი შეიძლება განვითარდეს (Bickel, 1962; Dahl, 1962; Marshall, 1989).

დაკვირვება მოწმობს, რომ უზენაესი სასამართლო, ისევე ითვისებს საზოგადოებრივ აზრს, როგორც ხელისუფლების სხვა განშტოებები. ერთი გამოკვლევის თანახმად, სადაც უზენაესი სასამართლოს 146 გადაწყვეტილებას აღარებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს 1930-იანი წლებიდან 1980-იანი წლების შუაგულამდე, აღმოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები 60-ზე მეტი პროცენტით ემთხვეოდა იმ დროს არსებული უმრავლესობის აზრს. მაგრამ შემთხვევების 33 პროცენტში სასამართლოს გადაწყვეტილებები და საზოგადოებრივი აზრი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მაგალითად, სასამართლო ათობით წელი უგულვებელყოფდა უმრავლესობის სურვილს გაუქმებულიყო ლოცვა სკოლაში (Marshall, 1989).

სულ ცოტა, სამი ახსნა მოეძებნება იმას, თუ რატომ ეთანხმება უზენაესი სასამართლო უმრავლესობის აზრს: (1) თანამედროვე უზენაესმა სასამართლომ გამოამყლავნა პატივისცემა ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის მიმართ, რომლებიც ჩვეულებრივ ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს ასახავენ; (2) უზენაესი სასამართლო უახლოვდება საზოგადოებრივ აზრს კრიზისის პერიოდში; (3) გადაწყვეტილებები, რომლებიც უახლოვდებიან საზოგადოებრივ აზრს, უფრო ნაკლებად იცვლება დროში, ვიდრე ისინი, რომლებიც ამ აზრს უგულვებელყოფენ.

დაბოლოს, არის მონაცემები, რომ უზენაესი სასამართლო იშვიათად ახდენს გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. უზენაესი სასამართლო ზომიერად პოპულარულია და მისი გადაწყვეტილებები მაინცდამაინც ფართოდ არ აღიქმება საზოგადოების მიერ. ძალიან მცირე გამოჩაკლისის გარდა, არ არის ისეთი ფაქტები, რომ საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო (ibid.; Rosenberg, 1994).

სასამართლო და დემოკრატიის მოდელები

რამდენად შორს შეიძლება გადაიხარონ მოსამართლეები არსებული კანონებისა და პრეცედენტებისგან? მაქორიტარული მიდელის მომხრეები თვლიან, რომ მოსამართლეები უნდა ერიდონ საკუთარი ფასეულობების ჩართვას თავის გადაწყვეტილებებში. თუ კანონი მეტისმეტად დიდ (ან არასაკმარის) ყურადღებას უთმობს თანასწორობას ან წესრიგს, კანონის შეცვლა არჩეული კანონმდებლების და არა სასამართლოს საქმეა.

ამის საპირისპიროდ, ისინი, ვინც მხარს უჭერენ პლურალისტურ მოდელს, მიიჩნევენ, რომ სასამართლოები არიან პოლიტიკის შემშუშავებელი ხელისუფლების ერთ-ერთი განმტოება და რომ მოსამართლეთა ინდივიდუალურმა ფასეულობებმა და ინტერესებმა წინ უნდა წამოსწიონ მთელი მოსახლეობის განსხვავებული ფასეულობები და ინტერესები.

მტკიცება, რომ ამერიკის სასამართლო სისტემა ერგება დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს, დამატებით მხარდაჭერას პოულობს სასამართლო პროცედურაში, რომელსაც უწოდებენ ჯგუფურ ქმედებას: ეს არის ერთ მდგომარეობაში მყოფი პიროვნებების სარჩელები, რომლებიც შეიძლება ერთ საქმეში გაერთიანდეს. ჯგუფური ქმედება საშუალებას აძლევს ხალხს, რომელთაც მცირე ინდივიდუალური მოთხოვნები და შეზღუდული ფინანსური რესურსები აქვთ, გააერთიანონ თავიანთი მოთხოვნები და სახსრები, რათა სარჩელი სიცოცხლისუნარიანი გახადონ. 1940-იანი წლებიდან ჯგუფური ქმედების სარჩელები ის საშუალება იყო, რომლითაც ჯგუფებმა შეძლეს დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოთხოვნები სამოქალაქო უფლებების გაფართოების, საარჩევნო ოქების გადანაწილების, გარემოს დაცვის საკითხებში. მაგალითად, სკოლის მოსწავლეებმა აღძრეს საქმე (თავიანთი მშობლების მეშვეობით) ჯგუფური ქმედების ფორმით, რათა განათლების ორგანოებისათვის ეჩივლათ რასობრივი დისკრიმინაციის საკითხზე („ბრაუნი განათლების სამმართველოს მიმართ“).

ჯგუფური ქმედების წახალისება შტატების უმაღლესი სასამართლობისთვის არის საშუალება ჯგუფების ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გასატარებლად. შტატების სხვადასხვა დონის სასამართლოები წლიურად მილიონობით საქმეს არჩევენ. მათ საგრძნობი გავლენა აქვთ იმ პოლიტიკაზე, რომელიც ყოველდღიურ ზეგავლენას ახდენს მოქალაქეებზე, მათ უფლებებზე და თავისუფლებებზე, რაც ასახულია შტატების კონსტიტუციებში, კანონებში და საერთო სამართალში.

შტატების მოსამართლეებს სულაც არ სჭირდებათ უზენაესი სასამართლოს ინსტრუქციები, თუ რას ნიშნავს შტატის უფლებები და თავისუფლებანი (იხილეთ ცხრილი II.1). შტატის სასამართლოს შეუძლია თავიდან აიცილოს კონტროლი უზენაესი სასამართლოს მხრიდან, თუკი თავის გადაწყვეტილებას მხოლოდ შტატის კანონზე დააფუძნებს, ანდა მარტივად მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება ეყრდნობა როგორც შტატის, ისე ფედერალურ კანონს. თუკი აშშ უზენაესი სასამართლო აპირებს შეზღუდულად განმარტოს კონსტიტუციური უფლება, ხოლო შტატის მოსამართლეები მის უფრო ფართო გაგებას უჭერენ

ცხრილი 11.1. უფლებებისა და თავისუფლების დაცვა: აშშ უზენაესი სასამართლო შტატების უმაღლესი სასამართლოების წინააღმდეგ ამერიკელთა უმრავლესობას სჯერა, რომ აშშ უზენაესი სასამართლოს ბოლო სიტყვა აქვს მათ კონსტიტუციურ უფლებებზე. მაგრამ შტატების კონსტიტუციებიც ასევე იძლევიან უფლებებს, ძირითადად, იმის იდენტიურს, რაც „უფლებათა ბილშია“ ჩამოთვლილი. შტატებს არ შეუძლიათ ნაკლები ინდივიდუალური უფლებები მისცენ მოქალაქეს, ვიდრე აშშ კონსტიტუცია იძლევა, მაგრამ შეუძლიათ მეტი უფლებების მიცემა. შტატის სასამართლოს გადანეყვებილება ხელშეუვალია ფედერალური სასამართლოების მხრიდან, თუკი ეს გადანეყვებილება ეფუძნება შტატის კონსტიტუციის შესაბამის და დამოუკიდებელ არგუმენტაციას.

თუ ადრე ლიბერალები შტატების სასამართლოებს კონსერვატიზმის ბუდედ მიიჩნევდნენ და უორენის უზენაესი სასამართლო იდეალად მიაჩნდათ, ახლა მდგომარეობა კარდინალურად იცვლება და სწორედ შტატებმა შეიძლება მეტი თავისუფლება მისცენ მოქალაქეს. ამას მონიშნობს ცხრილიც:

საკითხი	აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება	იმ შტატის სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც საწინააღმდეგოა დადგენილი
აბორტების საზოგადოებრივი დაფინანსება	არა	კალიფორნია, მასაჩუსეტსი, ნიუ-ჯერსი
სკოლების თანაბარი დაფინანსება	არა	არკანზასი, კალიფორნია, კონექტიკატი, კენტაკი, ნიუ-ჯერსი, ტეხასი, უოშინგტონი, დას.ვირჯინია, უისკონსინი, უაიომინგი
საეაქრო ცენტრებში ბუკლეტების გავრცელება (პროდუქტების ბოიკოტირების მოწოდებით)	არა	კალიფორნია, მასაჩუსეტსი, ნიუ-ჯერსი, პენსილვენია, უოშინგტონი
სასამართლოში ისეთი სამხელის გამოყენება, რომელიც უკანონოა და მოპოვებული, მაგრამ კეთილი მიზნისათვის	დიახ	კონექტიკატი, ჩრ. ქეროლიანა, ნიუ-ჯერსი, ნიუ-იორკი

მხარს, ამ უკანასკნელებმა შეიძლება გამოიყენონ შტატის უმაღლესი სასამართლო, როგორც საშუალება აშშ უზენაესი სასამართლოს კონტროლის თავიდან ასაცილებლად. იმ დროს, როცა ქვეყნის უზენაესი სასამართლო აშკარად კონსერვატიული მიმართულებით გადაიხარა, გასაკვირი არაა, რომ ზოგიერთი შტატის სასამართლო ლიბერალური ფასეულობის საიმედო თავშესაფარად იქცა.

როდესაც მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღებას აპირებენ, ისინი ყურადღებას აქცევენ სხვა სასამართლოების პრაქტიკას, მაგრამ აუცილებლად ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსას არა. შტატებისა და ფედერალური სასამართლოების თვალსაზრისები არის „კანონების ბელელი“, საიდანაც მოსამართლეები სისტემატურად სესხულობენ იდეებს. უფრო ხშირად ის საქმეები, რომლებიც პიროვნებას ეხება – საკუთრებას, ოჯახს, კონტრაქტებს, შტატების სასამართლოებს აძლევს სარგებლობას და არა ფედერალურ სასამართლოებს:

შტატების სასამართლოები განახლებულ არენად იქცნენ პოლიტიკური კონფლიქტებისათვის, სადაც მხარეები, პერსონალურად თუ ჯგუფების სახით, მეტოქეობენ, რათა თავისი საკუთარი პოლიტიკა გაატარებინონ ხელისუფლებას. სასამართლო სისტემების სიმრავლე, სადაც შტატებისა და ფედერალური პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს, იძლევა შესანიშნავ საშუალებას ინდივიდებისა და ჯგუფებისათვის, რომ წარადგინონ და დაასაბუთონ თავისი პრეტენზიები.

სასამართლოების ასეთი აღწერა აშკარად უფრო მეტად ერგება მთავრობის პლურალისტურ მოდელს.

შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ 1803 წელს განაცხადა უფლება სასამართლო კონტროლზე, რამაც სასამართლო აიყვანა კონგრესისა და პრეზიდენტის დონეზე. ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპმა შეიძლება შეზღუდოს სასამართლო ხელისუფლება კონსტიტუციის შესწორებისა და იმპიჩმენტის გზით. მაგრამ ასეთი შეზღუდვები იშვიათი იყო და ფედერალურ სასამართლოებს საგრძნობი გააღებინა აქვთ სასამართლო კონტროლისა და სტატუტების განმარტების შესეუობით.

ფედერალურ სასამართლო სისტემას სამი საფეხური გააჩნია. ძირშია საოლქო სასამართლო, სადაც იწყება სასამართლო პროცესი და დეის უმეტესი ნაწილი იქვე მთავრდება. შუაშია სააპელაციო სასამართლო უმაღლესი საფეხური უჭირავს უზენაეს სასამართლოს.

მოსამართლის შესაძლებლობა, მიიღოს მინაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში, იზრდება იმის შესაბამისად, რაც უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება იგი.

უზენაესი სასამართლო თვითონ ადგენს თავის დღის წესრიგს (სასამართლო საქმეთა რეესტრს) მიხედულების პრინციპიდან გამომდინარე. ის ახდენს ფედერალური კანონების ინტერპრეტაციის კარმონიზებას და მკაფიოს ხდის კონსტიტუციური უფლებებს. დღის წესრიგის შედგენაში მას ეხმარება გენერალური სოლისიტორი, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას უზენაესი სასამართლოს წინაშე. გენერალური სოლისიტორის გაეღენა მოსამართლეებზე განაიხირობებს მათ მიერ განსახილველი საქმეების შერჩევას.

მას შემდეგ რაც საქმე შეტანილია უზენაესი სასამართლოს რეესტრში, მხარეები

წარადგენენ წერილობით არგუმენტებს და მოსამართლეები ისმენენ ზეპირ არგუმენტაციას. წინასწარი კონსტიტუცია ჩდება დაზარულ თათბირზე ამის შედეგ იწყება რეალური მუშაობა: დასკვნის (გადაწყვეტილების) ჩამოყალიბება, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობას დააკმაყოფილებს და, ამავე დროს, შეუნარჩუნებს დადგენილებას სიცხადეს და ძალას.

პრეზიდენტი და მისი პარტიის სენატორები ინაწილებენ უფლებამოსილებას დანიშნონ ფედერალური საოლქო და სააპელაციო სასამართლოს წევრები. პრეზიდენტს უფლება აქვს დაასახელოს უზენაესი სასამართლოს წევრი, მაგრამ კანდიდატურა უნდა მოიწონოს სენატმა. პოლიტიკური ლოიალობა და იდეოლოგიური ფასეულობები მოსამართლის დანიშვნის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სასამართლოები გარდუეადად არიან ჩაბმული პოლიტიკის შემუშავებაში თითოეულ შტატში და მთელ სახელმწიფოში. ისინი აძლევენ პირიქებას თავისი ინტერესების განხორციელების მრავალგვარ შესაძლებლობას და ამით უფრო მეტად შეესაბამებიან დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს. გარდა ამისა, ვგუფური ქმედება საშუალებას აძლევს ხალხს მცირე ინდივიდუალური მოთხოვნებითა და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებით გააერთიანონ თავისი ძალები სასამართლოში საერთო მიზნის მისაღწევად. ესეც აძლიერებს პლურალისტურ მოდელს.

თუ ადრე მოსამართლეებს უხდებოდათ

თავისუფლებისა და წესრიგის გაწონასწორება, ახლა ამას დაემატა თავისუფლებისა და თანასწორობის გაწონასწორების საჭიროებაც. სასამართლოს გადაწყვეტილების გაკლება (გაფართოვდა. დემოკრატიის თეორეტიკოსები შემოფარებული არიან სასამართლო ხელისუფლების ექსპანსიით. მაგრამ დღევანდელი სასამართლოები მორგებული არიან დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს და, ჩვეულებრივ, არ უპირისპირდებიან საზოგადოებრივ აზრს.

მას შემდეგ, რაც აშშ უზენაესმა სასამართლომ უფრო კონსერვატიული სახე მიიღო, შტატების უმადლესი სასამართლოები სამოქალაქო უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის უფრო საიმედო თავშესაფრად იქცნენ. შტატების სასამართლო სისტემა ზნორად ნაწილობრივ გადაფარავს ფედერალური სასამართლოების პასუხისმგებლობასაც, რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ვგუფებსა და პაროვნებს, მეტი მისადგომი წერტილი გამოიყენონ თავიანთი პრეტენზიების განსაცხადებლად და დასაცავად.

თავის მარმაროლოს სასახლეში აშშ უზენაესი სასამართლო ცდილობს გადაჭრას მთავრობის დილემაები. სექტებიან სასამართლო დარბაზში მოსამართლეები მუშაობენ, რათა გააწონასწორონ კონფლიქტები ფასეულობებს შორის, უზრუნველყონ წესრიგი და მშვილობა საზოგადოებაში. ზოგიერთი ამ კონფლიქტებიდან განხილულია ბოლო, მე-12 თავში.

საკვანძო ტერმინები

- სასამართლო კონტრაოლი
- შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოები
- შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლოები
- სისხლის სამართლის საქმეები
- სამოქალაქო საქმეები
- სასამართლო გადაწყვეტილება

- judicial review
- U.S. district courts
- U.S. courts of appeal
- criminal cases
- civil cases
- adjudication

დასკვნა, გადაწყვეტილება
 წერილობითი არგუმენტები (ბრიფინგი)
 პრეცედენტი
 stare decisis (დაე იღვეს გადაწყვეტილება)
 სასამართლო რევიზია
 საერთო, ანუ მოსამართლეთა მიერ
 შექმნილი, სამართალი
 სტატუტების განმარტება
 სამოქალაქო სამართალდარღვევები
 პირველადი იურისდიქცია
 სააპელაციო იურისდიქცია
 ფედერალური საკითხი
 სასამართლო საქმეთა რეესტრი
 ოთხთა წესი
 გენერალური სოლისიტორი
 წერილობითი არგუმენტები
 amicus curiae-ს სახელით
 მსჯავრი
 არგუმენტი
 თანამთხვევა
 სხვადასხვაობა
 სენატორული ეტიკეტი
 სასამართლო შეზღუდვა
 სასამართლო აქტიუობა
 აღიარების გარიგება
 ვგუფური ქმედება

opinion
 briefs
 precedent
 stare decisis
 circuit

 common. or judge-made. law
 statutory construction
 torts
 original jurisdiction
 appellate jurisdiction
 federal question
 docket
 rule of four
 solicitor general

 amicus curiae briefs
 judgment
 argument
 concurrence
 dissent
 senatorial courtesy
 judicial restraint
 judicial activism
 plea bargain
 class action

სამოქალაქო თავისუფლებები და სამოქალაქო უფლებები



12

1989 წელს, ოპიოს შტატის ქალაქ ცინცინატიის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში, გაიხსნა რობერტ მეიფლთორფის რეტროსპექტული გამოფენა, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მეიფლთორ-

ფი აღიარებული ფოტოგრაფი იყო, რომლის ნამუშევრების თემატიკა მოიცავდა ცნობილი პიროვნებების პორტრეტებს, ნატურმორტებს, შიშველ ნატურას, ბავშვების პორტრეტებს და გრაფიკულ სექსუალურ პოზებს. გამოფენამ ინციდენტის გარეშე მოიარა რამდენიმე მუზეუმი. მაგრამ 1990 წელს ცინცინატიის მუზეუმს და მის დირექტორს ქალაქის ხელისუფლებამ წარუდგინა ბრალდება უხამსობის გავრცელების ხელშეწყობასა და „არასრულწლოვანთა უკანონო გამოყენებაში“. საქმე ეხებოდა 7 ფოტოგრაფიას 175-დან. ხუთ ფოტოსურათზე გამოსახული იყო კომოეროტიკული და სადომაზოხისტური აქტები, რომლებსაც ქალაქის ხელისუფლება უხამსად მიიჩნევდა; ორ ფოტოსურათზე კი ნატურად გამოყენებული იყო შიშველი ან ნახევრად შიშველი ბავშვები (ერთ ფოტოზე გოგონას აწეული ჰქონდა კაბა და გენიტალიები უჩანდა). ამ ფოტოებს ქალაქის ხელისუფლება მიიჩნევდა ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ არსებული კანონის დარღვევად. თუ ბრალდება დამტკიცდებოდა, მუზეუმს ემუქრებოდა 10 ათასი დოლარი ჯარიმა, მის დირექტორს კი - ერთი წელი ციხე და 2 ათასი დოლარი ჯარიმა.

კალიფორნიის შტატის სანტა კლარას საგრაფოს სატრანსპორტო სამმართველოში მუშაობდნენ დაიანა ჯოისი (ქალი) და პოლ ჯონსონი (კაცი). ისინი ხელით შრომას ეწეოდნენ – აგებდნენ ასფალტს, ავსებდნენ ორმოებს, ასუფთავებდნენ სანიადრე კოლექტორებს. 1980 წელს სამმართველოში გაჩნდა კვალიფიციური სამუშაოს ვაკანსია – დისპეტჩერის ადგილი. ჯოისმა და ჯონსონმა მიიღეს მონაწილეობა კონკურსში სხვა ათ კანდიდატთან ერთად. ამ დროს სამმართველოს კვალიფიციური თანამშრომლის 238-ვე თანამდებობა კაცს ეჭირა.

შვიდმა კანდიდატმა წარმატებით ჩააბარა ზეპირი გამოცდა. ამის შემდეგ მოეწყო გასაუბრების ორი ტური. ჯონსონმა 75 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გავიდა, ჯოისი 73 ქულით მესამე იყო. მეორე ტურის შემდეგ პირველ ადგილზე გავიდა ჯონსონი და მანვე მიიღო სამუშაო.

მაგრამ ჯოისმა არ დათმო. მან საჩივარი შეიტანა სამმართველოს უფროსის სახელზე და მოითხოვა ქაუნთის მთავრობისგან *აფირმატიული მოქმედების* პოლიტიკის გატარება. აფირმატიული მოქმედება არის დამჭირავებლის (სკოლის, სამმართველოს და სხვ.) ვალდებულება გააფართოვოს ქალების, აგრეთვე შავკანიანების, ესპანურენოვანების და სხვა უმცირესობების წარმომადგენელთა შესაძლებლობანი. ეს პოლიტიკა ცდილობს აღმოფხვრას წარსულის პრაქტიკა, რომელიც განზრახ თუ უნებლიეთ უზღუდავდა წინსვლის საშუალებას ამ ჯგუფების წარმომადგენლებს. აფირმატიული მოქმედება მოიცავს ფართო პოლიტიკურ სპექტრს კვალიფიკაციის ამღლების კურსებიდან რაოდენობრივი ქვოტების დაწესებამდე.

მას შემდეგ, რაც სამმართველოში გადასინჯეს თავიანთი გადაწყვეტილება ქაუნთის შესაბამისი პოლიტიკის გათვალისწინებით, დისპეტჩერის ადგილზე ჯონსონის ნაცვლად ჯოისი დაინიშნა. ამრიგად, მთავრობის მიერ თანასწორობის მიღწევის მიზნით გატარებულმა პოლიტიკამ შელახა ჯონსონის თავისუფლება გამოეყენებინა დაწინაურების შანსი. ახლა უკვე ჯონსონმა უჩივლა ტრანსპორტის სამმართველოს სასამართლოში.

რაც შეეხება მეიფლთორფის გამოყენას, ქალაქმა სისხლის სამართლის ბრალდება გამოიყენა სოციალური წესრიგის განსამტკიცებლად. მუხუმი, მისი დირექტორი და უამრავი ხალხი, ვინც მათ დასახმარებლად მოვიდა, იცავდნენ თავისუფლებას – გამოხატვის თავისუფლებას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მეიფლთორფის ფოტოები ხელოვნება იყო, ხოლო კონსტიტუცია იცავდა შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლებას მთავრობის ჩარევისა და ცენზურისაგან. ამრიგად, სასამართლოს მოუხდა არჩევანის გაკეთება თავისუფლებისა და წესრიგის ფასეულობებს შორის (საბოლოოდ მუხუმი და მისი დირექტორი გაამართლეს).

დაიანა ჯოისსა და პოლ ჯონსონის შემთხვევაში კი კონფლიქტი წარმოიშვა თანასწორობისა და თავისუფლების ფასეულობებს შორის. კანონები და პოლიტიკა, რომლებიც თანასწორობას იცავენ, გარდაუვალ წინააღმდეგობაში არიან თავისუფლების მოთხოვნებთან.

ორივე შემთხვევაში ერთი ფასეულობისათვის უპირატესობის მინიჭება მეორის ხარჯზე ხდება. და რადგან ფასეულობათა ორივე წვეილი დემოკრატიი-

სათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ორივე დაპირისპირებული მხარე თავისებურად მართალი იყო. კარგად ართმევენ თუ არა თავს სასამართლოები იმ კონფლიქტებს, სადაც თავისუფლება ხან წესრიგს უპირისპირდება და ხანაც თანასწორობას? შეიძლება კი თავისუფლება, წესრიგი და თანასწორობა ყოველთვის უპირობოდ არსებობდეს?

• კონფლიქტები ფასეულობათა შორის, რომლებიც ამ თავშია აღწერილი, ტრიალებენ კანონის ირგვლივ. ჩვენ აქ კონსტიტუციურ საკითხებზე ვამახვილებთ ყურადღებას: არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ აშშ კონსტიტუცია ადამიანის უფლებების დაცვის ერთადერთი წყაროა. ამასთან ერთად, ყველა დონის ხელისუფლებას შეუძლია გააფართოვოს უფლებები ბიუროკრატის მიერ შექმნილი წესდებების საფუძველზე და იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც კანონმდებლები ამტკიცებენ. მაგალითად, როდესაც პოლ ჯონსონმა იჩილა სასამართლოში, იგი ეყრდნობოდა 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტს“. ჯონსონი ამტკიცებდა, რომ ის სექსუალური დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. დისკრიმინაცია არის განსხვავებების შექმნის ან ცნობის აქტი. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს ღმობიერი (უწყინარი) ან შეურაცხყოფილი (მაგნი). ეროვნულმა ხელისუფლებამ აკრძალა შეურაცხყოფილი დისკრიმინაცია, რომელიც ზშირად ცრუ რწმენებში იღებს სათავეს.

ჯონსონმა მოიხმო 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტის“ თავი VII, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივი, რელიგიური, ეროვნული წარმოშობის ან სქესის მიხედვით. მან მოიგო საქმე ფედერალურ საოლქო სასამართლოში. მაგრამ ჯონსონის დამქირავებელმა შეიტანა აპელაცია და გაიმარჯვა. საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა, სადაც იგი საბოლოოდ ჯონსონის სასარგებლოდ გადაწყდა.

ეს თავი დავიწყეთ თავისუფლებასა და წესრიგს შორის არსებული ყველაზე ძირძველი კონფლიქტის განხილვით: აქ ჩართულია კონსტიტუციის I, XIV და IX შესწორებები. შემდეგ განვიხილეთ საფრთხე, რომელიც ემუქრება დემოკრატიულ პროცესს, როდესაც მოსამართლეებს პოლიტიკური საკითხი კონსტიტუციურში გადაჰყავთ. ბოლოს, საუბარი იყო XIV შესწორების მიხედვით თანასწორი დაცვის გარანტიაზე, რომელიც საფუძველს უქმნის ხელისუფლების თანამედროვე დილემას – კონფლიქტს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის.

უფლებათა ბილი

მე-2 თავიდან, ალბათ, ვახსოვთ, რომ კონსტიტუციის დამფუძნებლებმა ეროვნულ ქარტილაში არ შეიტანეს პიროვნული თავისუფლებების ნუსხა – უფლებათა ბილი. მათ სჯეროდათ, რომ უფლებათა ბილი არც იყო საჭირო, რადგან კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული იყო ეროვნული ხელისუფლების უფლებამოსილებანი, მაგრამ რატიფიკაციის ირგვლივ წარმოებული დებატების დროს ნათელი გახდა, რომ უფლებათა ბილის გამოტოვება შტატების მიერ კონსტიტუციის დამტკიცების ყველაზე მთავარი წინააღობა იყო. საბოლოოდ, კონგრესის

მიერ მოწონებული იქნა თორმეტი შესწორება. შტატებმა მათგან ათის რატიფიკაცია მოახდინეს და ქვეყანამ მიიღო უფლებათა ბილი.

უფლებათა ბილმა შეზღუდვები დაუწესა ეროვნულ ხელისუფლებას, ხოლო შტატებისას – არა*. მომდევნო 77 წლის განმავლობაში უზენაესი სასამართლო პერიოდულად განიცილდა ზეწოლას, რათა შესწორებების შეზღუდვები შტატებზეც განეკრძო. მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ XIV შესწორების ძალით, 1868 წელს.

აშშ კონსტიტუცია ამერიკელებს უზრუნველყოფს თავისუფლებებისა და უფლებების ფართო სპექტრით. ამ წიგნში ორი ტერმინი – *სამოქალაქო თავისუფლებები* და *სამოქალაქო უფლებები* ხანდახან ურთიერთშენაცვლებადია, თუმცა ისინი მანც სხვადასხვა რამეს აღნიშნავენ. სამოქალაქო თავისუფლებები არის ის თავისუფლება, რომელიც გარანტირებული აქვს პიროვნებას. ეს გარანტია ხელისუფლების ნეგატიური შეზღუდვის ფორმას იღებს. მაგალითად, I შესწორება აცხადებს, რომ „კონგრესის მიერ არ უნდა იქნეს მიღებული არცერთი კანონი, რომელიც... აღკვეთს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას“.

(სამოქალაქო თავისუფლებები აცხადებენ – რისი გატარება არ შეუძლია ხელისუფლებას; სამოქალაქო უფლებები კი აცხადებენ – რა უნდა გააკეთოს ან უზრუნველყოს ხელისუფლებამ.

სამოქალაქო უფლებები არის ის უფლებები ან პრივილეგიები, რომლებიც მინიჭებული აქვს პიროვნებას და დაცულია ხელისუფლებისა თუ სხვა პიროვნებების მხრიდან ხელყოფისაგან. ხმის მიცემის უფლება და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება (სისხლის სამართლის საქმის შემთხვევაში) სამოქალაქო უფლებებია. დღეისათვის სამოქალაქო უფლებებმა მოიცვა კანონის ის მიზნები, რომლებიც ცალკეულ ფასეულობებს სწევენ წინ. მაგალითად, 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტმა“ წინ წამოსწია თანასწორობის ფასეულობა იმით, რომ აკრძალა დისკრიმინაცია და ყველას მინიჭა თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის უფლება.

ფაქტობრივად, უფლებათა ბილში ჩამოთვლილია როგორც სამოქალაქო თავისუფლებანი, ისე სამოქალაქო უფლებანი. როდესაც ჩვენ ესაუბრობთ კონსტიტუციურ თავისუფლებებსა და უფლებებზე, გვლისხმობთ იმას, რაც ასახულია უფლებათა ბილში და XIV შესწორების პირველ ნაწილში. ეს არის რელიგიის თავისუფლება, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მშვიდობიანი თავშეყრისა და პეტიციის წარდგენის უფლება, სისხლის სამართლის წესით ბრალდებულთა უფლებები, სათანადო სამართლებრივი პროცედურის მოთხოვნები და კანონის მიერ თანაბრად დაცვის უფლება.

* კონგრესმა თავის პირველ სესიაზე ასზე მეტი შესწორების წინადადება განიხილა. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა შტატების უფლებამოსილების შეზღუდვას, რათა მათ ვერ მოეხდინათ სინდისის, სიტყვის, პრესის და სისხლის სამართლის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამოყენების უფლებების ხელყოფა. მედისონი მიიჩნევდა, რომ ეს შესწორება იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება ბილში. მაგრამ ამ წინადადებას ვერ დააგროვა სენატში ხმების საჭირო სამი მეოთხედი.

რელიგიის თავისუფლება

კონგრესმა არ უნდა მიაღოს არცერთი კანონი, რომელიც შემოიღებს რომელიმე რელიგიას ან აკრძალავს მის თავისუფალ აღმსარებლობას.

რელიგიური თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი იყო კოლონიებისათვის და, შემდგომში, შტატებისთვისაც. ეს აისახა იმაშიც, რომ უფლებათა ბილის პირველივე შესწორებაშია მოხსენებული რელიგიის საკითხი. შესწორება უზრუნველყოფს თავისუფლებას ორ პუნქტში: პირველი – დამფუძნებელი პუნქტი, რომელიც კრძალავს რომელიმე რელიგიის შემოღებას, მეორე – თავისუფალი აღმსარებლობის პუნქტი, რომელიც უკრძალავს ხელისუფლებას რელიგიის აღმსარებლობაში ჩარევას. ორივე პუნქტი უზრუნველყოფს იმას, რომ ხელისუფლებამ არ წაახალისოს და არც აკრძალოს რელიგიური რწმენა ან აღმსარებლობა.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და რელიგიის ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკაში. კონსტიტუციური კონგრესის დროს ბევრი ამერიკელი, განსაკუთრებით ახალი ინგლისიდან, ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებას შეეძლო და უნდა შეეწყო ხელი რელიგიისათვის, კერძოდ, პროტესტანტიზმისათვის. მაგრამ ბევრად მეტი ამერიკელი თვლიდა, რომ ეს შტატების მთავრობების საქმე იყო და ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო რელიგიურ საქმეში. ამ სულისკვეთებით დაიწერა უფლებათა ბილის რელიგიური პუნქტები (Levy, 1986; Pletcher, 1953).

უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა რელიგიური პუნქტების გარკვევით ინტერპრეტაციაზე. ამის შედეგია სხვადასხვა დადგენილებების ნარევი. რწმენის თავისუფლება შეუზღუდავია, მაგრამ რწმენის აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. რელიგიურ ორგანიზაციებს (მაგალითად, ეკლესიებსა და სინაგოგებს) არ შეუძლიათ ხელისუფლებისაგან პირდაპირი დახმარების მიღება; არაპირდაპირი გზით სარგებლის ნახვა კი შეუძლიათ (მაგალითად, წიგნების შექმნა სასულიერო თემატიკაზე ყველა ტიპის სკოლებისათვის).

დამფუძნებელი პუნქტი

უზენაესი სასამართლო მკაცრად იცავს კონსტიტუციის მოთხოვნას, – არ მიენიჭოს უპირატესობა რომელიმე რელიგიას – და ამ მოთხოვნას ავრცელებს არჩევანზე რელიგიასა და ათეიზმს შორის. მაგრამ ეს პუნქტი არ გამოყოფნებულა იმ დახმარების აკრძალვის მიზნით, რომელიც რელიგიური დაწესებულებისათვის შეეძლოთ გაეწიათ. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ კონსტიტუციის ამ პუნქტის გამოყენებას სასულიერო განათლების, ზოგადად – რელიგიისა, და სკოლებში ლოცვის საზოგადოებრივი მხარდაჭერისათვის.

ხელისუფლების მხარდაჭერა რელიგიისადმი. 1879 წელს უზენაესმა სასამართლომ, თომას ჯეფერსონის სიტყვების გამოყენებით, დაადგინა, რომ დამფუძნებელმა პუნქტმა „კედელი აღმართა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის“

(Reynolds, 1879). ამ კედელს ერთგვარი ბზარი გაუჩნდა 1947 წელს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ერთ-ერთი ადგილობრივი მთავრობის პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფდა სასულიერო სკოლების მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებას (Emerson, 1947). ეს ბზარი თითქოს კიდევ უფრო გავრცელდა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია სამთავრობო პროგრამა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თანხებით შეძენილი წიგნები დროებით გადაეცემოდა სასულიერო სკოლების მოსწავლეებს. მოსამართლეთა უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ ამ პროგრამის დედაბზარი იყო განათლების შესაძლებლობის გაფართოება: წიგნებს დროებით აძლევდნენ მოსწავლეებს და არა სკოლებს, სარგებლობა კი ამ საქმეს მოჰქონდა მშობლებსა და არა ეკლესიისათვის.

მაგრამ უკვე 1971 წელს სასამართლომ *ლემონი კურტ ზმენის წინააღმდეგ* საქმის განხილვისას გააუქმა სამთავრობო პროგრამა, რომლითაც სახელმწიფოს უნდა გადაეხადა ხელფასი იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც სასულიერო სკოლებში დაქირავეს საერო საგნების სწავლებისათვის. მოსამართლეებმა წარმოადგინეს სამკომპონენტური კრიტერიუმი, რომლითაც უნდა შეფასებულიყო კონსტიტუციურობა დამფუძნებელი პუნქტის შესაბამისად.

- კანონს უნდა ჰქონდეს საერო მიზანი (მაგალითად, წიგნების თხოვება სასულიერო სკოლის მოსწავლეებისათვის);
- მისი მთავარი შედეგი არ უნდა იყოს რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭება ან მისი დაკნინება;
- კანონმა ზედმეტად არ უნდა ჩარიოს ხელისუფლება რელიგიის საკითხებში.

ერთი კომპონენტის უქონლობის შემთხვევაშიც კი კანონი არაკონსტიტუციურად უნდა ჩათვლილიყო (Lemon, 1971). *ლემონის* საქმის შემთხვევაში პროგრამა მესამე კომპონენტს ვერ აკმაყოფილებდა: იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო – საერო საგნების მასწავლებლები ზომ არ რთავენ სწავლების პროცესში რელიგიურ ინფორმაციას – ხელისუფლებას მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა ჰყოლოდა სასულიერო სკოლები. ეს კი ნიშნავდა ხელისუფლების მეტისმეტ ჩარევას რელიგიურ საქმიანობაში.

ლოცვა სკოლაში უზენაესი სასამართლო ყოველთვის უთანაბრებდა ლოცვას სახელმწიფო სკოლებში ხელისუფლების მხრიდან რელიგიისადმი მხარდაჭერას. 1962 წელს უზენაესმა სასამართლომ აკრძალა ნიუ-იორკის სახელმწიფო სკოლებში ყოველდღიური 17-სიტყვიანი ლოცვა, რომელიც არც ერთ ცალკე აღებულ რელიგიას არ ემსახურებოდა: „ყოვლისშემძლე ღმერთო, ჩვენ ვაღიარებთ დამოკიდებულებას შენზე და გთხოვთ, დაგვლოცო ჩვენ, ჩვენი მშობლები, ჩვენი მასწავლებლები და ჩვენი ქვეყანა“.

ამ გადაწყვეტილების შემდეგაც უზენაეს სასამართლოს უხდებოდა ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ლოცვას შეეხებოდა. 1985 წელს სასამართლომ გააუქმა ალაბამის შტატის რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც დაწყებითი სკოლის მასწავლებლებისგან მოითხოვდა წუთიერ დუმილს მედიტაციისათვის ან ყოველდღე ნებაყოფლობით ლოცვას. 1992 წელს სასამართლომ ხუთი

ზმით ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ სკოლის დამთავრების ცერემონიაში სკოლებმა არ უნდა დაუშვან ნეიტრალური (არცერთი რელიგიის ამსახველი) ლოცვის ელემენტებიც კი.

დამფუძნებელი პუნქტი პრობლემას უქმნის ხელისუფლებას. ყველა რელიგიის მხარდაჭერა ათეიზმის ხარჯზე, თითქოს, უმცირეს რისკს უქმნის სოციალურ წესრიგს. წამყვანი რელიგიის მიმართ შემწყნარებლობა სხვა რელიგიების ხარჯზე ქმნის უმცირესობათა უკმაყოფილების რისკს, მაგრამ მხარის არ დაჭერა არცერთი რელიგიისათვის (ანუ ნეიტრალიტეტი რელიგიასა და ათეიზმს შორის) – უმრავლესობის უკმაყოფილების რისკს შეიცავს.

თავისუფალი აღმსარებლობის პუნქტი

უზენაესი სასამართლო ცდილობდა თავი აერიდებინა თავისუფალი აღმსარებლობის პუნქტში მოცემული შეზღუდვის აბსოლუტური ინტერპრეტაციისათვის, რათა არ დაეზარალებინა დამფუძნებელი პუნქტი. ვთქვათ, კონგრესმა დაუშვა გამონაკლისი და სამხედრო სამსახურისგან გაათავისუფლა ის პირები, რომლებიც რელიგიური მოსაზრებით ომის წინააღმდეგი არიან. ეს გამონაკლისი დაარღვევდა დამფუძნებელ პუნქტს, ვინაიდან ამით უპირატესობა მიენიჭებოდა რომელიმე რელიგიას. მაგრამ, თუკი კონგრესი დააძლავს ასეთ პირებს ომში მონაწილეობას, ანუ აიძულებს დაარღვიოს თავისი რელიგიური რწმენა, ამით ხელისუფლება არ შეასრულებს პუნქტს თავისუფალი აღმსარებლობის შესახებ. სინამდვილეში, კონგრესმა გაათავისუფლა სამხედრო სამსახურისგან ის პირები, რომლებსაც რელიგია უკრძალავს ომში მონაწილეობას. უზენაესმა სასამართლომ კი კონფლიქტი შემდგენაირად მოაგვარა: ანტიისაომარი რელიგიური შეზღუდვა გაუთანაბრა ომის წინააღმდეგ ღრმა პუბლიცისტურ ოპოზიციას (McConnell, 1990).

თავისუფალი აღმსარებლობის საქმეებზე მოსამართლეები ასხვავებდნენ რელიგიურ რწმენას იმ ქმედებისაგან, რომელიც ამ რწმენას ეფუძნება. რწმენა ძალადობრივი არაა, ის ხელისუფლების კონტროლს მიღმაა; მაგრამ ანტიისოციალური ქმედებები არაა დაცული | შესწორების ძალით. ქვემოთ განვიხილავთ ურთიერთდაპირისპირებული ფასეულობების მიმართებას ქმედების არჩევანთან სამ შემთხვევაში: დროშის მისაღება, შაბათს მუშაობა და ნარკოტიკების, როგორც რელიგიური საიდუმლოს, გამოყენება.

დროშის მისაღება წესრიგისა და რელიგიის თავისუფლების ფასეულობები ერთმანეთს შეეჯახა 1940 წელს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ პირველად განიხილა სახელმწიფო სკოლებში დროშის აუცილებელი მისაღმების საკითხი. იელოვას მოწმეთა (პროტესტანტული რელიგიის მიმართულება – მთარგმნელის შენიშვნა) გჯუფმა უარი თქვა ამ კანონის შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ეს ქმედება აიძულებდა მათ თავყანი ეკათ ხატისათვის – დროშის სახით, რასაც მათი რელიგია კრძალავს (Minorsville, 1940). მთავრობამ მოიგო საქმე უზენაეს სასამართლოში 8 ზმით I-ის წინააღმდეგ. მოსამართლე ფელიქს ფრენკვარტერი წერდა: „მხოლოდ რელიგიური რწმენა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოე-

ბაში მიღებულ წესებს, არ ათავისუფლებს მოქალაქეს პოლიტიკური ვალდებულების შესრულებისაგან“.

მაგრამ სამი წლის შემდეგ სასამართლოს საკუთარი თავის შესწორება დასჭირდა, როდესაც განიხილა საქმე „დასავლეთ ვირჯინიის შტატის განათლების სამმართველო ბარნეტის წინააღმდეგ“ (West Virginia, 1943). თუ ზემოაღნიშნულ საქმეში რელიგიური რწმენის ვიწრო საკითხი იქნა განხილული, ამჯერად მოსამართლეებმა უფრო ფართოდ განიხილეს თვითგამოხატვის თავისუფლების საკითხი. მოსამართლე რობერტ ჯექსონი, რომელიც უზენაესი სასამართლოს უმრავლესობის სახელით გამოდიოდა, ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებას არ გააჩნია უფლებამოსილება დააწესოს, თუ რა უნდა იყოს სწორი პოლიტიკაში თუ რელიგიაში.

მუშაობა შაბათ ღღეს თავისუფალი აღმსარებლობის თანამედროვე ეპოქა დაიწყო 1963 წელს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე „შერბერტი ვერნერის წინააღმდეგ“. საქმე ეხებოდა მეშვიდე დღის ადვენტიისტების (პროტესტანტული ეკლესიის ნაირსახეობა) წარმომადგენლებს, რომლებსაც უმუშევრობის დახმარება მოუხსნეს მას შემდეგ, რაც მათ უარი განაცხადეს კვირა ღღეს შესასრულებელ სამუშაოზე (ეს მათთვის „შაბათი“ იყო). უზენაესმა სასამართლომ 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაადგინა, რომ უმუშევრობის დახმარების მოხსნა უკანონო იყო: შერბერტს სთხოვდნენ ისეთი რამის შესრულებას, რაც რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობის ხელყოფას ნიშნავდა. რელიგიის შეზღუდვა ხელისუფლების მიერ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოჩაქლისის დაუშვებლობა სახელმწიფო ინტერესების შელახვის ტოლფასი იქნებოდა, ხელისუფლებას კი ძალიან იშვიათად შეუძლია დაამტკიცოს ასეთი „სახელმწიფო ინტერესის არსებობა“.

ნარკოტიკების, როგორც რელიგიური საიდუმლოს გამოყენება. უკანონო ნივთიერებების, როგორც რელიგიური საიდუმლოს გამოყენება მორწმუნეებს აიძულებს კანონი დაარღვიონ. მაგალითად, „ეთიოპიური სიონის კოპტური ეკლესიის“ წევრები ეწეოდნენ მარიხუანას იმ რწმენით, რომ ეს არის ქრისტეს ხორცი და სისხლი. ამკარაა, რომ უკიდურესობამდე მიყვანილი რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც უკანონო ქმედების ნებართვა. ამის გარდაუვალი შედეგია დაპირისპირება რელიგიურ თავისუფლებასა და სოციალურ წესრიგს შორის.

1990 წელს უზენაესმა სასამართლომ 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ საქმე გადაწყვიტა სოციალური წესრიგის სასარგებლოდ, როდესაც „მკვიდრი ამერიკელების ეკლესიის“ ორმა წევრმა მოითხოვა გამოჩაქლისი ორგეონის შტატის კანონიდან, რომელიც დანაშაულად თვლის პეიოტის გამოყენებას (პეიოტი არის ჰალუციგენის შემცველი კაქტუსი, რომელსაც მკვიდრი ამერიკელი ინდიელები საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ რელიგიურ ცერემონიებში). სასამართლოს უმრავლესობის წარმომადგენელმა, მოსამართლე ენთონინ სკალიამ, გააანალიზა კონფლიქტი თავისუფლებასა და წესრიგს შორის მაჟორიტარული დემოკრატიის შუქზე. მან განაცხადა, რომ უზენაეს სასამართლოს არასოდეს გამოუტანია ისეთი განაჩენი, რომელიც ამართლებდა პიროვნების რელიგიური

რწმენის შეუსაბამობას იმ კანონთან, რომელიც ითვალისწინებს ხელისუფლების უფლებას, გამოსცეს ესა თუ ის წესი. რელიგიასთან დაკავშირებით შტატის კანონებში გამონაკლისების დაშვება ისეთ პერსპექტივას შექმნის, რომ ყველა სამოქალაქო ვალდებულებაში კონსტიტუციური გამონაკლისების დაშვება დაგეგმირდება. როგორც შესაძლო მაგალითები, სკალიამ დაასახელა სამხედრო სავალდებულო სამსახური, გადასახადების გადახდა, აკრის მოთხოვნები, ბავშვებზე ზრუნვის კანონები.

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პროცესებზე დაყრდნობა ერთგვარ დაბრკოლებებს შეუქმნის ზოგიერთ რელიგიურ აღმსარებლობას, მაგრამ ჩვენ უნდა ვამჯობინოთ დემოკრატიული ხელისუფლების ასეთი თანამდევრი შედეგები ისეთ სისტემას, სადაც ყველა რწმენას შეუძლება საკუთარი კანონის შექმნა“ – ამტკიცებდა სკალია.

გამოხატვის თავისუფლება

კონგრესმა არ უნდა მიიღოს არცერთი კანონი ... რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას; ან ხალხის მშვიდობიანი შეკრების უფლებას და მის უფლებას, პეტციით მიმართოს ხელისუფლებას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები

I შესწორების თავდაპირველი ვერსია, სადაც სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე იყო ლაპარაკი, წარმომადგენელთა პალატაში შემოიტანა ჯეიმზ მედისონმა 1784 წლის 8 ივნისს. ეს ვერსია შეუერთდა რელიგიის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების პუნქტებს და შეიქმნა I შესწორება.

შესწორების ენა მკაფიო და ლაკონურია: კონგრესი არ გამოსცემს კანონს, „რომელიც შეზღუდავს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას“. და, მაინც, უზენაესი სასამართლოს უმრავლესობა ამ „უდიდეს გარანტიას“ აბსოლუტურად ხელშეუხებლად არასოდეს თვლიდა (Tribie, 1988). ისტორიკოსები დიდი ხანია კამათობენ კონსტიტუციის დამფუძნებლების ნამდვილ განზრახვაზე, როდესაც ისინი თავისუფალი გამოხატვის პუნქტებს ადგენდნენ. გაბატონებულია აზრი, რომ ეს პუნქტები ნიშნავდა საზოგადოებრივ საქმეებზე შეუზღუდავი მსჯელობის უფლებას (Chafetz, 1941). სხვა მეცნიერები კი, რომლებიც მძავე ინფორმაციას აანალიზებენ, იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მხოლოდ დამფუძნებლების უმცირესობას (ან სულაც არავის) ესმოდა ამ პუნქტების მნიშვნელობა; ეს მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ I შესწორება სულაც არ გამოირიცხავს სასამართლო დევნას ისეთი განცხადებებისათვის, რომლებიც ამბოხებისაკენ მოუწოდებენ (Levy, 1985).

იმ პერიოდის ჩანაწერების გულდასმითი ანალიზი უფრო იმ აზრს ამტკიცებს, რომ პრესის პუნქტი კრძალავდა მხოლოდ წინასწარ შეზღუდვას – პუბლიკაციამდელ ცნხურას. ამ შესწორებას დიდად არ შეეძლო გამომცემელთა დაცვა, თუკი უკვე გამოქვეყნებული მასალა არაზუსტი, მკენე ანდა უკანონო აღმოჩნდებოდა. ამჟამად კი ითვლება, რომ „პრესის“ და „სიტყვის“ პუნქტები არა

მარტო წინასწარ შეზღუდვას კრძალავენ, არამედ იცავენ ადამიანს პუბლიკაციის შემდგომი სასამართლო დენისაგან პოლიტიკური ან სხვა საბაბით.

უზენაესმა სასამართლომ განავითარა ორი მიდგომა იმ მოთხოვნების გადასაწყვეტად, რომლებიც ემყარება თავისუფალი გამოხატვის პუნქტებს. პირველი მიდგომის თანახმად, ხელისუფლებას შეუძლია მოაწესრიგოს პროპაგანდა ან დასაჯოს ადამიანი იდეების პროპაგანდისათვის იმ შემთხვევაში, თუკი დაამტკიცებს, რომ პროპაგანდის მიზანია უკანონო ქმედებების გამოწვევა, და თან არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ ასეთი ქმედება მოხდება. მეორე მიდგომის თანახმად, ხელისუფლებას შეუძლია დაუწესოს ზომიერი შეზღუდვა ინფორმაციის გადაცემის იმ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ აზრის თავისუფალ გამოხატვას.

დაეუშვათ, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია თავისი პოლიტიკური პლატფორმის ნაწილად აცხადებს ცალმხრივ განიარაღებას (ცალმხრივი განიარაღება არის შეიარაღების შემცირება ან მისი განადგურება, რასაც არ მოჰყვება სხვა სახელმწიფოების მხრიდან ანალოგიური განიარაღება). ხელისუფლებას არ შეუძლია შეზღუდოს ან დასაჯოს ეს პარტია, ვინაიდან დანაშაულის მტკიცება ნათელი არ არის – არ ჩანს, რომ ეს ქმედება მიმართულია იქით, რომ წაახლისოს ან აშკარად შექმნას უკანონობა. მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია შეზღუდვა დაუწესოს იმ საშუალებებს, რომლითაც პარტიის კანდიდატები თავიანთ იდეებს ავრცელებენ, მაგალითად, შეიძლება აუკრძალოს მათ საცხოვრებელ უბნებში დღის სამი საათის შემდეგ ხმის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენება.

სიტყვის თავისუფლება

სიტყვის თავისუფლების ნებისმიერი თანამედროვე ანალიზის საწყისია აშკარა და რეალური საშიშროების კრიტერიუმი, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ ერთსულოვნად იქნა მიღებული. გადაწყვეტილება საქმეზე *აშშ შენკის წინააღმდეგ* შეიმუშავა მოსამართლე ოლივერ უენდელ პოლმსმა. ჩარლზ ტ. შენკი და მისი თანამოაზრეები დამნაშავედ სცნეს ფედერალური სისხლის სამართლის საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. მათ ბრალად ედებოდათ სამხედრო გაწვევის ჩაშლის მცდელობა პირველი მსოფლიო ომის დროს. ისინი ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რომლებშიც აცხადებდნენ, რომ სამხედრო გაწვევა არაკონსტიტუციური იყო. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ეს ქმედება საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებრივ წესრიგს. (უზენაესი სასამართლოს დასკვნაში (Schenck, 1919) პოლმსი წერდა:

„ყოველი ქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომლებშიც იგი ჩაიდინეს... სიტყვის თავისუფლების უმკაცრესი დაცვა კი ვერ გააძაბოლებს კაცს, რომელიც თეატრში ტყუილ-უბრალოდ ყვირის „იქცხლი!“ და განგაშს ტყუხს... ყველა შემთხვევაში კითხვა ასე უნდა დაისვას: არის თუ არა სიტყვები ნახშირი ისეთ პირობებში, ან ისეთი შინაარსისა, რომ შექმნან აშკარა და რეალური საშიშროება და მოიტანონ ისეთი ბოროტება, რომლის აღკვეთის უფლება კონგრესს უნდა ჰქონდეს? ეს არის შეფარდებითობისა და ხარისხის პრობლემა. როდესაც სახელმწიფო საომარ მდგომარეობაშია, ბევრი რამ, რაც მშვიდობიანობის

დროს შეიძლება თქმულიყო, ისეთ გაროულებას იწვევს, რომ იგივე გამოთქმა, ვიდრე ქვეყანა ომობს, ვერ იქნება გასართლებული ვერცერთი სასამართლოს მიერ ვერანაირი კონსტიტუციური უფლების საფუძველზე“ (ხაზგასმა ჩვენია. ავტორები)

იმის გამო, რომ ბრალდებულთა მოქმედება მიჩნეულ იქნა შეერთებული შტატებისათვის აშკარა და რეალური საშიშროების შემქმნელად, ისინი დამნაშავედ სცნეს. ამასთან ერთად, აღნიშნული კრიტერიუმში გვეხმარება იმაში, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ *იდეების პროპაგანდა*, რომელიც დაცულია კონსტიტუციის მიერ, *წამქეზებლობისაგან*, რომელსაც კონსტიტუცია არ იცავს.

1925 წელს უზენაესმა სასამართლომ მიიღო ფუძემდებლური გადაწყვეტილება საქმეზე „*გიტლოუ ნიუ-იორკის წინააღმდეგ*“. ბენჯემინ გიტლოუ დააპატიმრეს „მემარცხენე მანიფესტის“ გავრცელებისათვის, რომელშიც იყო მოწოდება სოციალიზმის დამყარებისაკენ გაფიცვებისა და კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით. გიტლოუ დამნაშავედ სცნეს შტატის კანონის შესაბამისად ანარქიის წინააღმდეგ (შენკი ფედერალური კანონით სცნეს დამნაშავედ). უზენაესმა სასამართლომ თავის ისტორიაში პირველად დაადგინა, რომ I შესწორების პუნქტები სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ ეხებოდა შტატებსაც – XIV პუნქტის სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტის შესაბამისად. რაც შეეხება გიტლოუს, მოსამართლეთა უმრავლესობამ განაჩენი მის მიმართ უცვლელი დატოვა.

პროპაგანდის დაცვა კიდევ ერთი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა 1948 წელს, როდესაც აშშ კომუნისტური პარტიის II წევრს ბრალად დაედო „სმითის კანონის“ დარღვევა, იმ ფედერალური კანონისა, რომლითაც შეერთებული შტატების წინააღმდეგ ძალისა ან ძალადობის გამოყენების პროპაგანდა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. კომპარტიის ლიდერები დამნაშავედ სცნეს, თუმცა ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა სამხილი, რომ ისინი მართლაც მოუწოდებდნენ ხალხს გარკვეული ძალადობრივი ქმედებებისაკენ. უზენაესი სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა განაჩენს, მაგრამ გადაწყვეტილების მოტივაციაზე აზრი გაიყო. ოთხი მოსამართლე მხარს უჭერდა *თვალსაზრისს*, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა: სახელმწიფო ინტერესი საკმარისად სერიოზული იყო, სისხლის სამართლის სასჯელის დასადებად. მოსამართლეები სახელმწიფო ინტერესების საფრთხედ მიიჩნევდნენ დანაშაულის სიმძიმეს – რევოლუციის პროპაგანდას, „შემსუბუქებულს მისი არარეალურობით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქუჩის ერთ ორატორს არ შეუძლია მოახდინოს რევოლუცია, მაგრამ კარგად ორგანიზებულ, მაღალდისციპლინირებულ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც რევოლუციის პროპაგანდას ეწევა, წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს. აშკარა და რეალური საშიშროების მნიშვნელობის განვრცობითი ინტერპრეტაციით უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობა სწორი იყო, როდესაც პრევენციულად მოქმედებდა და არ დაელოდა, როდის მომზადდებოდა რევოლუცია.

1969 წლისათვის ქანქარა სხვა მიმართულებით გადაიხარა. ამ წელს „*ბრანდერბარგი ოპიოს შტატის წინააღმდეგ*“ საქმეზე, ერთსულლოვანმა გადაწყვე-

ტილებამ გააფართოვა სიტყვის თავისუფლების საზღვრები. კლარენს ბრანდერბარგი, ოპაიოს შტატის კუ-კლუქს-კლანის ლიდერი, დამნაშავედ ცნეს შტატის კანონის საფუძველზე იმ შინიშენების გამო, რომელიც მან კლანის მიტინგზე გააკეთა. მისი კომენტარი, რომელიც მოწვეულმა სატელევიზიო ჯგუფმა გადაიღო, შეიცავდა მთავრობის ოფიციალური პირებისადმი მუქარას.

უზენაესმა სასამართლომ შეცვალა განაჩენი ბრანდერბარგის მიმართ, ვინაიდან ხელისუფლებამ ვერ დაამტკიცა, რომ საშიშროება რეალური იყო. სასამართლომ ისიც კი გამოაცხადა, რომ მუქარის შემცველი სიტყვა დაცული იყო პირველი შესწორების მიერ, იქამდე, ვიდრე ხელისუფლება არ დაამტკიცებდა, რომ ასეთი სიტყვა „მიმართული იყო უკანონო აქციის წაქეზებისა ანდა მის მოსახდენად“ და „თუ ასეთი აქცია მოსალოდნელი იყო“.

სიმბოლური გამოხატვა. სიმბოლური გამოხატვა ანუ არავერბალური კომუნიკაცია, ნაკლებადაა დაცული, ვიდრე სიტყვა. თუმცა, სასამართლომ გაამართლა სიმბოლური გამოხატვის რამდენიმე ფორმა. საქმეში „ტინკერი დემონინის ქაუნთის დამოუკიდებელი სასკოლო უბნის წინააღმდეგ“ (1969) ბრალი ედებოდა სამ მოსწავლეს, რომლებიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდნენ იმით, რომ სასწავლებელში შავი სამკლავურებით დადიოდნენ. ამ სასკოლო უბნის ხელმძღვანელებმა აკრძალეს შავი სამკლავურები იმ მოსაზრებით, რომ ეს იწვევდა არეულობას. მოსწავლეები გაირიცხნენ. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება. მოსამართლე ეიბ ფორტესმა სასამართლოს უმრავლესობის სახელით განაცხადა, რომ განათლების მესვეურებმა ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ქმედების განხორციელება არღვევდა სასკოლო დისციპლინას.

„უსაფუძვლო შიში არ კმარა იმისათვის, რათა წინ აღუდგე თავისუფალი გამოხატვის უფლებას. აბსოლუტური რეგლამენტაციიდან ნებისმიერმა გადახვევამ შეიძლება შექმნას პრობლემა. უმრავლესობის აზრისგან განსხვავებულმა ნებისმიერმა შეხედულებამ შეიძლება შიში დაბალოს. ნებისმიერმა სიტყვამ, ნათქვამმა საკლასო ოთახში, სასადილოში, რომელიც მეორე პიროვნების აზრისგან განსხვავდება, შეიძლება გამოიწვიოს კამათი ან შეხლა-შემოხლა. მაგრამ ჩვენი კონსტიტუცია გვეუბნება, რომ უნდა წავიდეთ ამ რისკზე“ (Tinker, 1969).

ამერიკის დროშა ამ ქვეყნის საზოგადოების უღრმესი პატივისცემის საგანია, თუმცა, მის შეურაცხყოფას, როგორც სიმბოლური გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას, I შესწორება იცავს. 1989 წელს უზენაესმა სასამართლომ ხმების მცირე უპირატესობით გააუქმა ტეხასის შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა პატივსაცემი საგნების შებილწვას. შემდგომში კონგრესმა მიიღო დროშის დაცვის აქტი (1989 წ.), რათა ერთგვარად გამოესწორებინა ტეხასის შტატის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

მაგრამ უზენაესმა სასამართლომ გააუქმა დროშის დაცვის წინააღმდეგ მიღებული ფედერალური საკანონმდებლო აქტი. საქმეზე „აშშ აიკმანის წინააღმდეგ“ (United, 1990), 5 ხმით 4-ის წინააღმდეგ, მოსამართლეებმა კვლავ გაამაგრეს I შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა პოლიტიკური იდეების ნებისმიერი ფორმით გამოხატვის უფლებას. ხმების რაოდენობა აქაც იგივე იყო, რაც

ტეხასის შტატის საქმეში, ამჯერადაც კონსერვატორი მოსამართლეები სკალია და კენედი შეუერთდნენ სასამართლოს ლიბერალურ ფრთას და ჩამოაყალიბეს უჩვეულო უმრავლესობა, რომელიც უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებდა: „თუკი არსებობს ფუძემდებლური პრინციპები, რომლებსაც I შესწორება ეყრდნობა, ეს ის არის, რომ მთავრობამ იდეის გამოხატვა არ უნდა აკრძალოს მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება მას (იდეას) შეურაცხყოფელად და მიუღებლად მიიჩნევს. დროშის შებღალვისათვის დასჯა არარად აქცევს თვით იმ თავისუფლებას, რომლის გამოც ამ ემბლემას ასე სცემენ პატივს და არის კიდევ პატივისცემის ღირსი“.

სასამართლო წევრების უმრავლესობა დაეყრდნო დემოკრატიის თეორიის არსისეულ კონცეფციას (რომელიც მოიცავს სიტყვის თავისუფლების პრინციპს) იმ მიზნით, რომ გაემართლებინა ფედერალური კანონის გაუქმება. და, მაინც, 1990 წლის მაისში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობას სურდა დროშის დაწვის, როგორც პოლიტიკური შეხედულების გამოხატვის საშუალების, უკანონოდ გამოცხადება. მოსახლეობის ამკარა უმრავლესობა უჭერდა მხარს კონსტიტუციაში შესწორების შეტანას ამის თაობაზე (Supreme, 1990). დემოკრატიის თეორიის პროცედურული კონცეფცია აცხადებს, რომ მთავრობამ უნდა გააკეთოს ის, რაც ხალხის უმრავლესობას სურს. ამრიგად, დროშის დაწვის შემთხვევაში ხალხმა გამოთქვა სურვილი, უარი ეთქვა თავისუფალი გამოხატვის პრინციპზე, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის არსისეული კონცეფციის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა.

სიტყვის თავისუფლება წესრიგის წინააღმდეგ. უხამსობა, უხამსი მასალა – წიგნები, ფილმები, ჟურნალები, სიტყვები – არ ექვემდებარება კონსტიტუციურ დაცვას. ეს ეფუძნება უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარებული მასალის ანალიზს, რომელმაც გამოავლინა კონსტიტუციის მიღების დროს არსებული სიტყვის თავისუფლების თავისებურებები. სასამართლომ გაარკვია, რომ ღვთის გმობა და უხამსობა კოლონიურ პერიოდში დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ „უხამსობა“ არ იყო სამართლის დამუშავებული ნაწილი იმ პერიოდში, როდესაც „უფლებათა ბილი“ მიიღეს. სირთულეს წარმოადგენს იმის განსაზღვრაც, თუ რა არის და რა არ არის უხამსობა.

1973 წელს უზენაესმა სასამართლომ სერიოზულად სცადა განესაზღვრა კონსტიტუციური სტანდარტები უხამსობის შესახებ (იხილებოდა საქმე „*მილერი კალიფორნიის შტატის წინააღმდეგ*“). სასამართლომ დაადგინა, რომ ნაშრომი – პიესა, ფილმი ან წიგნი – უხამსია და შეიძლება დაექვემდებაროს მთავრობის რეგულირებას, თუკი ის, (1) მთლიანად აღებული, ავზორცობის ინტერესებს ემსახურება (ავზორცობა ნიშნავს ვნებიანი ფიქრების აღზნების ტენდენციას); (2) სექსუალური ქცევა მასში ნაჩვენებია ამკარად შეურაცხყოფელი სახით; (3) ნამუშევარს, მთლიანად აღებულს, აკლია სერიოზული ლიტერატურული, პოლიტიკური, მხატვრული ან მეცნიერული ღირებულება (Miller, 1973). ადგილობრივი სასამართლოები ძირითადად იყენებენ *მილერის* კრიტერიუმის პირველ ორ პუნქტს.

ბოლო დროს უზენაესმა სასამართლომ მესამე პუნქტიც კრიტიკიულად აქცია. სასამართლოს უმრავლესობის სახელით მოსამართლე ბაირონ უაითმა განაცხადა, რომ სწორი შეკითხვა ის კი არ არის, თუ რას მიიჩნევს უხამსად საზოგადოების ნებისმიერი „საშუალო“ წევრი, არამედ ის, თუ რას მიიჩნევს ასეთად მთლიანად აღებულ მასალაში „კეთილგონიერი ადამიანი“ (Pope, 1987). იურისპრუდენცია ხშირად იყენებს ტერმინს „კეთილგონიერი ადამიანი“ (reasonable person), რათა აღნიშნოს ჰიპოთეტური პიროვნება საზოგადოებაში, რომელსაც თავის ქცევაში გააჩნია სიფრთხილის, გონიერებისა და განსჯის საშუალო უნარი. ითვლება, რომ კეთილგონიერი ადამიანი შესძლებს სერიოზულად შეაფასოს ის ნაშრომი, რომელსაც უხამსად მიიჩნევენ, მაშინ, როცა საშუალო ადამიანი ამას ვერ შესძლებს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო იმის ცდა, რომ თავიდან აეცილებინა შტატების სასამართლოების მიერ უხამსობის დადგენის გადასინჯვის უსიამოვნო პრობლემა.

ფემინიზმი, აზრის თავისუფალი გამოხატვა და თანასწორობა. ტრადიციულად, სამოქალაქო თავისუფლება ეწინააღმდეგება სოციალური წესრიგის მოთხოვნებს. მაგრამ იგი, აგრეთვე, შეიძლება განხილულ იყოს თანასწორობის მოთხოვნებთან კონფლიქტში.

1980-იან წლებში, ქალაქის ოფიციალურმა პირებმა ინდიანაპოლისში, რომლებიც ფემინისტი თეორეტიკოსების გავლენას განიცდიდნენ, მიმართეს თანასწორობის პრინციპებს, რათა დაემტკიცებინათ კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავდა აზრის თავისუფალ გამოხატვას (Downs, 1989). ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დადგენილება ყურადღებას ამახვილებდა პორნოგრაფიაზე იმ ასპექტით, თუ რა გავლენას ახდენდა იგი ქალების სტატუსზე. დადგენილება კრძალავდა პორნოგრაფიულ მასალას შემდეგი არგუმენტის საფუძველზე: ხელისუფლების ინტერესი თანასწორობის მიმართ გადასწონის I შესწორების ნებისმიერ ინტერესს სიტყვის თავისუფლების მიმართ. პორნოგრაფია გავლენას ახდენს აზროვნებაზე. ის დაუშვებლად აკნინებს ქალების მდგომარეობას საზოგადოებაში. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება დაარეგულირებს და გააკონტროლებს ამ დაუშვებელ მოქმედებას.

აშშ-ს საოლქო სასამართლოს მოსამართლემ სეირა ივენს ბარკერმა (რომელიც თავის პირველ საქმეს იხილავდა), ეს დადგენილება არაკონსტიტუციურად სცნო, რადგან იგი გასცდა გამოხატვის დაუცველ კატეგორიებს (როგორცაა ბავშვთა პორნოგრაფია), რათა დაეთრგუნა თავისუფალი გამოხატვის დაცული კატეგორია. ძალისხმევა, მიმართული ქალების დამცირებისა და დეგრადაციის შეზღუდვისკენ, შეიძლება საჭირო და სასურველიც იყოს, „მაგრამ თავისუფალი სიტყვა კარგად გამოცდილი მოკავშირე უფროა, ვიდრე მტერი. სიტყვის თავისუფლების აკრძალვა იმ მიზნით, რომ სასიკეთო სოციალური ცვლილება მოუტანოს ჩვენი საზოგადოების ერთ სექტორს, ყველა ჩვენთაგანის თავისუფლებას ანგრევს“ (American, 1984).

მოსამართლე ბარკერი წინ აღუდგა დაუშვებელ კომპრომისს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის: წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდიოდა, რომ დანტერესებული ჯგუფები, რომლებიც იყენებენ დემოკრატიულ პროცესს, რათა მოი-

პოვონ I შესწორების გამონაკლისები, სარგებელს ნახულობენ საყოველთაო უფლებების ხარჯზე.

ამ საქმეში მოსამართლე ბარკერი თავისუფლებას იცავდა. მისი გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა აშშ-ს სააპელაციო სასამართლოს მიერ 1985 წელს. 1986 წელს მას უზენაესი სასამართლოც დაეთანხმა არგუმენტების გარეშე. მაგრამ შემდგომ კონფრონტაციაში, რომელიც აუცილებლად იქნება პლურალისტურ დემოკრატიაში, გამარჯვება შეიძლება თანასწორობამ მოიპოვოს.

პრესის თავისუფლება

I შესწორება უზრუნველყოფს იმას, რომ ხელისუფლებამ არ შექმნას კანონი, რომელიც ზღუდავს პრესის თავისუფლებას. თუმცა, ეს შესწორება მიღებული იქნა, როგორც ეროვნული ხელისუფლების შეზღუდვა, პრესის თავისუფლების გარანტია 1931 წლიდან ეხება როგორც შტატების, ასევე ადგილობრივ მთავრობებსაც. ინფორმაციის შეგროვება და გადმოცემა ხელისუფლების ჩაურევლად ითვლებოდა და კვლავაც ითვლება თავისუფალი საზოგადოების ქვაკუთხედად. ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებები განაგრძობენ იმ თავისუფლებით სარგებლობას, რომელიც მას კონსტიტუციის დამფუძნებლებმა მიანიჭეს. ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები კი იძულებული არიან დაემორჩილონ ხელისუფლების მხრიდან გარკვეულ რეგულირებას, რაც გამოწვეულია მანუშკებლობის სიხშირეების უკმარისობით (იხილეთ თავი 4).

*პიროვნების ცილისწამება**. თუკი პიროვნებას სწამს, რომ მისი სახელი და ღირსება ზარალდება ყალბი განცხადებით პუბლიკაციაში, მას შეუძლია უჩივლოს ამ პუბლიკაციის ავტორს და მიყენებული ზარალისთვის მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. ეს ზღუდავს აზრის თავისუფალ გამოხატვას; ამავე დროს, ყალბი განცხადებები პიროვნების უფლებების წინააღმდეგაა მიმართული. უზენაესმა სასამართლომ, თავისი ფუძემდებლური გადაწყვეტილებით საქმეზე „ნიუ-იორკ თაიმსი“ სალივენის წინააღმდეგ“ (1964 წ.) დაადგინა, რომ უპირატესობა პრესის თავისუფლებას ენიჭება იმ შემთხვევაში მაინც, როცა ცილისწამების მსხვერპლი ოფიციალური პირია (New York, 1964). სასამართლო ერთსულოვნად დაეთანხმა იმ აზრს, რომ კონსტიტუციის I შესწორება იცავს ყველანაირი განცხადებების პუბლიკაციას, მათ შორის მცდარსაც კი, ოფიციალური პირების ქცევის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განცხადება აშკარად ბოროტი განზრახვითაა გაკეთებული (როცა ავტორმა იცის, რომ ინფორმაცია ყალბია, ანდა თავიმედოვნებით უგულებელყოფს მისი სისწორის შემოწმებას). სასამართლო იმომწმდება ჯონ სტიუარტ მილზის 1859 წლის ტრაქტატს „თავისუფლების შესახებ“ და აცხადებდა, რომ „ყალბ განცხადებასაც კი შეუძლია ფასეული წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივ ღებატებში, რადგან მისგან წარმოდგება უფრო გამოკვეთილი შეხედულება სიმართლეზე, რაც მისი სიცრუესთან დაპირისპირებით ხდება“.

* ცილისწამება შეიძლება იყოს ზეპირი (slander) ან წერილობითი (libel). ამ უკანასკნელის ზეგავლენა უფრო ხანგრძლივია და, ამიტომ, უფრო მძიმე ბრალდებას იწვევს.

სამი წლის შემდეგ სასამართლომ განაერცო პრესის თავისუფლების დაცვა და მოიცვა სარჩელები, რომლებიც შეტანილ იქნებოდა საზოგადოებრივი მოღვაწის მიერ, იმის მიუხედავად, თანამდებობის პირი იყო იგი თუ არა. საზოგადოებრივი მოღვაწე ის პიროვნებაა, რომელსაც გარკვეული როლი აკისრია საზოგადოების საქმეების წარმართვაში. ჩვეულებრივ, ის იმყოფება საზოგადოებრივი პოლეტიკის წინა ხაზზე. ესენი არიან თანამდებობის პირები, მწერლები, მსახიობები, ტელევიზიის წამყვანი მუშაკები. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მათ შესახებ დაწერილი ყალბი პუბლიკაცია შეიცავს ბოროტ განზრახვას გამოცემლის მხრიდან. ცოტა მოსარჩელემ თუ მიაღწია წარმატებას, რადგან ბოროტი განზრახვის დამტკიცება ძალიან ძნელია.

წინასწარი შეზღუდვა და პრესა. აშშ-ში პრესის თავისუფლება თავდაპირველად ნიშნავდა დამოუკიდებლობას წინასწარი შეზღუდვისგან ანუ ცენზურისგან. უზენაესი სასამართლოს პირველი დაპირისპირება კანონთან, რომელიც ითვალისწინებდა წინასწარ შეზღუდვას გაზეთზე, იყო საქმე „ნიარი მინესოტას შტატის წინააღმდეგ“ (1931 წ.) (Near, 1931). ჯეი ნიარმა გამოაქვეყნა სკანდალური წერილი ქ. მინიაპოლისში, რომელშიც იგი ბრალს ღებდა ადგილობრივ თანამდებობის პირებს განგსტერებთან თანამშრომლობაში (Friendly, 1981). მინისოტას ოფიციალურმა პირებმა მიაღწიეს სასამართლო დადგენილებას არ მიეცათ ნიარისთვის გაზეთის გამოცემის უფლება შტატის კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ასეთ აქციას იმ პერიოდული გამოცემისათვის, რომელიც შეიცავს „სიძულვილს, ცილისწამებას და სკანდალურ გამოხდომებს“.

უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს კანონი იმ მოტივით, რომ წინასწარი შეზღუდვა მძიმედ დააწეობდა თავისუფალ პრესას. ფხიზელი და შეუზღუდავი პრესის საჭიროება კარგად ჩამოაყალიბა მთავარმა მოსამართლემ ჩარლზ ივენს პიუზმა: „ფაქტია, რომ პრესის თავისუფლება შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ვინმე გარეწარის, სკანდალის მთესველის მიერ. მაგრამ ეს არაფრით არ ნიშნავს იმას, რომ ნაჩქარევად შეეზღუდოთ პრესის თავისუფლება, როდესაც საქმე თანამდებობის პირთა არასწორ ქმედებას ეხება“. სასამართლომ აღიარა წინასწარი შეზღუდვის დაშვების შესაძლებლობა გამონაკლის შემთხვევებში, თუმცა, ეს შემთხვევები დღემდე არ განუმარტავს.

განვიხილოთ შემთხვევა, რომელიც ომის დროს მოხდა. ეს ის პერიოდი, როდესაც ხელისუფლების მიერ შემოღებულ წესრიგსა და პიროვნების თავისუფლებას შორის დაძაბულობა კულმინაციას აღწევს.

1971 წელს დენიელ ელსბერგმა, პენტაგონის თანამშრომელმა, გაზეთებს – „ნიუ-იორკ თაიმსს“ და „უოშინგტონ პოსტს“ – წარუდგინა საიდუმლო მასალა, რომელიც აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მუშაობას ეხებოდა. ამ მასალის გამოქვეყნებით იგი იმედოვნებდა ვიეტნამის ომის დისკრედიტაციასა და, ამის შედეგად, მის დასრულებას. ეს უაღრესად გასაიდუმლოებული დოკუმენტები აღწერდნენ აშშ-ს ამ ომში ჩაბმის ისტორიას. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი ცდილობდა, არ დაეშვა „თაიმსს“ და „პოსტს“ მიერ ამ მასალის დაბეჭდვა იმ მოსაზრებით, რომ ეს კიდევ უფრო გაახანგრძლივებდა ამ ომს და მთავრობას

უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. საქმე სწრაფად გადაეცა უზენაეს სასამართლოს.

სამი დღის შემდეგ, 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ საქმეზე „ნიუ-იორკ თაიმსი აშშ-ს წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ არ იკისრა მძიმე ტვირთი იმის მტკიცებისა, რომ პუბლიკაციას მიჰყვებოდა დაუყოვნებელი, გარდაუვალი და გამოუსწორებელი ზიანი (New York, 1971). მოსამართლეთა უმრავლესობის აზრი გამოხატული იყო მოკლე, ხელმოუწერელ *per curiam* („სასამართლოსმიერ“) დასკვნაში, თუმცა კოლექტიურმა და ინდივიდუალურმა განსხვავებულმა აზრებმა ამ გადაწყვეტილებას ცხრა განსაკუთრებული აზრი დაამატა. ორი მოსამართლე ამტკიცებდა, რომ I შესწორება მთავრობის ცენზურისგან სრული დაცვის გარანტიას იძლეოდა, დანარჩენი შვიდი კი წინასწარი შეზღუდვისათვის კარს ღიად სტოვებდა, ექსტრემალური შემთხვევისათვის.

წესრიგის დაცვა აზრის თავისუფალი გამოხატვის წინააღმდეგ. სასამართლოებს მუდამ მიაჩნიათ, რომ პრესის თავისუფლება არ უნდა სცილდებოდეს კანონის ფარგლებს. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ლუისვილიდან, კენტაკის შტატი, თავისი გამოკვლევის საფუძველზე დაწერა სტატია ნარკობიზნესის შესახებ. ჟურნალისტი გამოძახებულ იქნა ნათიცი მსაჯულთა დიდი ყიურის წინაშე, რათა დაესახელებინა ის ხალხი, რომელიც ინახავდა მარიხუანას და, აგრეთვე ისინიც, ვინც ნახა ნარკოტიკების მოზადების პროცესში. ჟურნალისტმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე იმ მოტივით, რომ ამას არ ითვალისწინებდა პრესის თავისუფლება. 1972 წელს უზენაესმა სასამართლომ ხმების მცირე უპირატესობით უარყო ეს პოზიცია: სასამართლომ განაცხადა, რომ უკლებლივ ყველა მოქალაქის ვალია მიაწოდოს სასამართლოს ის ჩვენება, რომლის მიცემაც მას შეუძლია.

1988 წელს უზენაეს სასამართლოს იგივე ტიპის საქმის განხილვა მოუხდა. სეინთ ლუისის ერთი საშუალო სკოლის დირექტორმა სკოლის გაზეთიდან ამოაგდო ის სტატიები, რომლებიც ეხებოდა განქორწინებასა და არასრულწლოვანთა ორსულობას. იგი თვლიდა, რომ ეს იყო იქ ნახსენები მოწაფეებისა და მათი ოჯახების პირად საქმეებში ჩარევა. სამმა მოსწავლე რედაქტორმა აღძრა საქმე ფედერალურ სასამართლოში იმ ბრალდებით, რომ დირექტორის ცენზურა ერეოდა გაზეთის საქმიანობაში და ხელს უშლიდა მის ფუნქციონირებას. მათი აზრით, I შესწორებაში ამისგან დაცვის სრული გარანტია იყო მოცემული. დირექტორი კი ამტკიცებდა, რომ გაზეთი იყო სასწავლო პროგრამის ნაწილი, რაც არ არის დაცული I შესწორებით.

5 ხმით 3-ის წინააღმდეგ უზენაესმა სასამართლომ გაამართლა დირექტორის ქმედება (Hazelwood, 1988). სკოლის ხელმძღვანელებს შეუძლიათ შეზღუდონ იმ სიტყვის თავისუფლება, რომელიც სასწავლო პროგრამაში შედის და თუ პედაგოგთა ქმედება „ემსახურება ღირსეულ საგანმანათლებლო მიზანს“.

მშვიდობიანი შეკრებისა და პეტიციის უფლება

I შესწორების ბოლო პუნქტში ნათქვამია, რომ „კონგრესმა არ უნდა მიიღოს არც ერთი კანონი, რომელიც შეუზღუდავს ხალხს მშვიდობიანი შეკრების

უფლებას და უფლებას, პეტიციით მიმართოს მთავრობას თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“. მშვიდობიანი შეკრების უფლებას იგივე საფუძველი აქვს, რაც სიტყვის და პრესის თავისუფლებას, და ისევე ფუძემდებლურად ითვლება. ხელისუფლებას არა აქვს უფლება აკრძალოს მშვიდობიანი პოლიტიკური მიტინგები და არ შეუძლია დამნაშავეებად გამოაცხადოს მათი ხელმძღვანელები, ორგანიზატორები და ისინი, ვინც ამ მიტინგს ესწრება.

შეკრებისა და პეტიციით მიმართვის უფლებები შეერწყა სიტყვისა და პრესის თავისუფლების გარანტიებს და აზრის გამოხატვის უფრო ზოგადი თავისუფლება შეადგინა. თავშეყრისა და მთავრობისადმი პეტიციით მიმართვის უფლება მოიცავს ადამიანის აზრებისა და მრწამსის გამოხატვის თავისუფლებას.

ინტერესების დაპირისპირება იმ საქმეებში, სადაც ამ უფლებებზე ლაპარაკი, ასახავს იმ ხანგრძლივ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ფუნდამენტური პრინციპების განსაზღვრისა და გამოყენებისაკენ. თავისუფლების ცნება გაწონასწორებულია წესრიგისა და სტაბილურობის საჭიროებით. თავისუფლებასა და წესრიგს შორის კონფრონტაციისას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მხოლოდ თავიანთი სინდისის წინაშე, აღწევენ ამ წონასწორობას.

უფლებათა ბილის გავრცელება შტატებზე

როგორც გახსოვთ, კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო ჩამოეყალიბებინა ეროვნულ ხელისუფლებასა და შტატების მთავრობებს შორის უფლებამოსილებათა გაყოფის სისტემა. იქამდეც კი, ვიდრე კონსტიტუციის შესწორებებს მიიღებდნენ, მის ძირითად ტექსტში მოქალაქეთა უფლებების სასარგებლოდ შეტანილი იყო ხელისუფლების ზოგიერთი შეზღუდვა. მაგალითად, ეროვნულსა და შტატების ხელისუფლებას ეკრძალებოდა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დამნაშავედ ცნობას სასამართლოს გარეშე (bills of attainder), აგრეთვე ex post facto კანონების მიღებას, რომელთაც უკუქმედების ძალა ექნებოდა. ხელისუფლებას აგრეთვე ეკრძალებოდა საკონტრაქტო ვალდებულებების „შემსუბუქება“ (ე. ი., შეეცვალა მხარეების ვალდებულება კონტრაქტის პირობების შესასრულებლად).

თუმცა თავიდან უფლებათა ბილი თითქოს მხოლოდ ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებებს ეხებოდა, ზოგიერთი მოდავე მხარე მოითხოვდა, რომ ის სავალდებულო გამხდარიყო შტატებისთვისაც. ერთ-ერთ ასეთ მოთხოვნაზე მთავარი მოსამართლე ჯონ მარშალი აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციაში ყველაფერი ნათლადაა მოცემული: უფლებათა ბილის შემადგენელი ნაწილები მხოლოდ ეროვნულ ხელისუფლებას ეხება. „თუ შესწორების დამფუძნებლებს ამ შეზღუდვების შტატებზე გავრცობაც უნდოდათ“, – წერდა ჯონ მარშალი – „მათ შეეძლოთ გამოეხატათ ეს განზრახვა“ (Barron, 1833).

ცვლილება მოიტანა XIV შესწორებამ 1868 წელს. სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტი ის „აღვირია“, რომლითაც შტატები „მიიბეს“ უფლებათა ბილს.

XIV შესწორება: სათანადო სამართლებრივი პროცედურა

ყველა პიროვნება, რომელიც დაბადებულია ან ნატურალიზებულია შეერთებულ შტატებში და იძლევა მისი იურისდიქციის ქვეშ, არის მოქალაქე შეერთებული შტატებისა და იმ შტატისა, რომელშიც ის ცხოვრობს. არც ერთ შტატს არ შეუძლია მიიღოს ან ცხოვრებაში გაატაროს ისეთი კანონი, რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების პრივილეგიურ უფლებებსა და ხელშეუხებლობას; არც რომელიმე შტატს აქვს უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე.

თავისუფლებათა უმეტესობა, რომლებსაც უფლებათა ბილი იცავს, დღეს შტატების შეზღუდვაა. და ბევრი სტანდარტი, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას ზღუდავს, შტატებზეც ვრცელდება. ეს ცვლილებები მოხდა უზენაესი სასამართლოს მიერ XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის ინტერპრეტაციის გზით: „არც რომელიმე შტატს აქვს უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე“. ეს პუნქტი არის ის ღრუბელი, რომელიც უფლებათა ბილის თავისებურებებს იწოვს და შემდეგ შტატებზე აერცელებს.

ფუნდამენტური თავისუფლებები

1897 წლის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის V შესწორების თანახმად შტატებს უფლება არა აქვთ ჩამოართვან კერძო საკუთრება სათანადო კომპენსაციის გარეშე. ამით უზენაესმა სასამართლომ მიიღო თავის მიზანს ამ შეზღუდვის XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის იმ პუნქტში შეტანით, რომელიც შტატებს ეხება.

უფლებათა ბილის სხვა გარანტიების ჩართვას სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტში სერიოზული გამოცდა ხვდა წილად საქმეში „პალკო კონექტიკატის შტატის წინააღმდეგ“ (Palko, 1937). პალკოს ბრალი ედებოდა პირველი ხარისხის მკვლელობაში (დამამძიმებელი გარემოებებით). მაგრამ ის მსჯავრდადებულ იქნა მეორე ხარისხის მკვლელობის ბრალდებით და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. კონექტიკატის შტატმა აპელაცია შეიტანა და მოიგო პროცესი. ამჯერად, პალკო დამნაშავედ ცნეს პირველი ხარისხის მკვლელობისათვის და სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს. პალკომ გაასაჩივრა მეორე განაჩენი იმ მოტივით, რომ ის არღვევდა მეხუთე შესწორების გარანტიას იმის თაობაზე, რომ არავინ უნდა აგოს პასუხი ორგზის ერთი და იგივე დანაშაულისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ დაცვა ვრცელდებოდა შტატებზეც, XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად.

უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა მეორე განაჩენი. მოსამართლე ბენჯამინ ნ. კარდოზომ სასამართლოს უმრავლესობის სახელით ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო მომდევნო სამი ათეული წლის მანძილზე. მან აღნიშნა, რომ უფლებათა ბილის გარანტიები, როგორცაა აზრისა და სიტყვის თავისუფლება, ფუნდამენტურია და რომ ამ

ფუნდამენტურ უფლებებს მოიცავს XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტი, რომელიც ვრცელდება შტატებზე. კარდოზო განაგრძობდა: „ეს უფლებები არსებითი მნიშვნელობისაა იმის გამო, რომ არც თავისუფლება, არც სამართლიანობა არ იარსებებდა, თუკი ეს უფლებები მსხვერპლად იქნებოდნენ მიტანილი“. სხვა, არანაკლებ ფასეული და მნიშვნელოვანი უფლებები, მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება არ არიან არსებითი მნიშვნელობისა თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის და, ამდენად, სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტს არ ექვემდებარებიან. „ცოტა ვინმე თუ იქნებოდა ისეთი შეზღუდული ან პროვინციელი“, – ამტკიცებდა კარდოზო – „რომელიც შეუძლებლად მიიჩნევდეს მართლმსაჯულების სამართლიან და განათლებულ სისტემას სხვა უფლებების გარეშე“. სხვა სიტყვებით, უფლებათა ბილის მხროლედ ზოგიერთი – „ფუნდამენტური“ დებულება გახდა სავალდებულო შტატებისათვის სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტის შესაბამისად. ვინაიდან ამ უფლებებს არ განეკუთვნებოდა ერთი დანაშაულისათვის ორგზის გასამართლების აკრძალვა, პალკო სიკვდილით დასაჯეს კონექტიკატის გაზის კამერაში 1938 წელს.

შემდგომი ოცდაათი წლის განმავლობაში ნელ-ნელა, მაგრამ საგრძნობლად იცვლებოდა სტანდარტები, რომლითაც უფლებათა ბილის გარანტიები ფუნდამენტურად უნდა ყოფილიყო ცნობილი. იდეალიზებული „მართლმსაჯულების სამართლიანი და განათლებული სისტემიდან“ [Palko, 1937] სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა უფრო რეალისტურ „მართლმსაჯულების ამერიკულ სქემაზე“ [Duncan, 1968]. ყოველ ახალ საქმეში უზენაესმა სასამართლომ ფუნდამენტურად სცნო სულ უფრო მეტი უფლება. 1969 წლისათვის პალკოს საქმეზე მიღებული დადგენილება მთლიანად იქნა უარყოფილი და უფლებათა ბილის თითქმის ყველა გარანტია გავრცელდა შტატებზე.

სისხლის სამართლის პროცედურა: კონსტიტუციური გარანტიების მნიშვნელობა

„თავისუფლების ისტორია მნიშვნელოვანწილად არის პროცედურული გარანტიების დაცვის ისტორია“ – აღნიშნა მოსამართლე ფრენკფარტერმა (McNabb, 1943). ეს გარანტიები, რომლებიც შესულია კონსტიტუციის შესწორებებში, მეოთხედან მერვეს ჩათვლით, ადგენენ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება სისხლის სამართლის პროცესის დროს. პროცედურული გარანტიების შტატებზე გავრცელებამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე გარდაქმნა ამერიკის სისხლის სამართალი.

ეს გავრცელება ორ ეტაპად მოხდა: პირველი ეტაპი მოითხოვდა ისეთ გადაწყვეტილებას, რომლითაც უფლებათა ბილით მინიჭებული გარანტია გავრცელდებოდა შტატებზეც. მეორე ეტაპზე საჭირო იყო, რათა სასამართლოს მიეცა სათანადო მნიშვნელობა ამ გარანტიისათვის. სასამართლოებს არ შეუძლიათ მიანდონ თვით შტატებს ამ გარანტიების განსახლვრა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ განსახლვრებები შტატების მიხედვით

განსხვავებული იქნება და, შესაბამისად, მოქალაქეების უფლებებს შორისაც შეიქმნება განსხვავებები. თუკი უფლებები ფუნდამენტურია, მათი მნიშვნელობაც ყველგან ერთნაირი უნდა იყოს.

მაგრამ ცხოვრება არ იძლევა ასეთი მარტივი დასკვნის გაკეთების საშუალებას. ფედერალიზმის კონცეფცია ჩაქსოვილია კონსტიტუციურ ქსოვილში და უზენაესი სასამართლო სცნობს, რომ ბრალდებულის გასამართლება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, თუკი ფუნდამენტურ უფლებებს დიდი ყურადღებით წავიკითხავთ.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი სარგებლობის უფლება, რომელიც ბრალდებულს მიანიჭა VI შესწორებამ. ამ უფლების დაცვა სავალდებულო გახდა შტატებისათვის (Duncan, 1968). „დანკენი ლუიზიანას შტატის წინააღმდეგ“ (1968 წ.) საქმის განხილვის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ მოგვიანებით დაადგინა, რომ ეს უფლება ვრცელდება ყველა იმ საქმეზე, სადაც სასჯელი ითვალისწინებდა პატიმრობას ექვს თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (Beldwin, 1970). მაგრამ უზენაესმა სასამართლომ არ მოითხოვა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აუცილებლად 12 წევრისაგან ყოფილიყო შემდგარი, რაც სისხლის სამართლის ფედერალურ პროცესშია, მიღებული. ჟიურის რაოდენობრივი შემადგენლობა შეიძლება განსხვავდებოდეს შტატების მიხედვით, თუმცა მინიმალურ რაოდენობად დაწესდა ექვსი ნაფიცი მსაჯული. ასევე არ გავრცელდა შტატებზე ჟიურის ვერდიქტის ერთსულოვნების მოთხოვნა, რაც ფედერალურ წესებშია გათვალისწინებული.

ამის საპირისპიროდ, უზენაესმა სასამართლომ საყოველთაოდ აქცია ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორცაა ადვოკატის აცხანის უფლება, რაც იმავე VI შესწორებითაა გარანტირებული. კლარენს ერლ გიდეონი იყო ლატაკი მაწანწალა, რომელსაც ბრალი ედებოდა საცურაო აუზის შენობაში შუჭრასა და მის გაქურდვაში. რადგან გიდეონს არ შეეძლო ადვოკატის დაქირავება, მან შტატს სთხოვა უზრუნველყო იგი დამცველით, შტატმა უარი განაცხადა ამაზე. გიდეონი გაასამართლეს და მიუსაჯეს ხუთი წლით პატიმრობა ფლორიდის შტატის ციხეში. თავისი კამერიდან გიდეონმა აპელაციით მიმართა აშშ უზენაეს სასამართლოს, სადაც ამტკიცებდა, რომ მას უარი უთხრეს კონსტიტუციის VI შესწორებით მინიჭებული უფლებებზე (გიდეონის აპელაციაც დამცველის გარეშე იყო შედგენილი: ეს იყო ხელნაწერი „ლატაკის პეტიცია“, რომელიც გიდეონმა შეადგინა მას შემდეგ, რაც ციხის ბიბლიოთეკაში წაიკითხა იურიდიული ლიტერატურა). როდესაც უზენაესი სასამართლო დათანხმდა მისი საქმის განხილვაზე, მას დაუნიშნეს გამოჩენილი ვაშინგტონელი ადვოკატი ებ ფორტესი, რომელიც შემდგომში უზენაესი სასამართლოს წევრი გახდა (Lewis, 1964).

თავის ფუძემდებლურ გადაწყვეტილებაში საქმეზე „გიდეონი უეინრაითის წინააღმდეგ“ (1963 წ.) უზენაესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი გიდეონის მიმართ და VI შესწორების უფლება დამცველზე განავრცო შტატებზეც (Gideon, 1963). გიდეონი ხელახლა გაასამართლეს, მაგრამ ამჯერად ადვოკატის დახმარებით. იგი უდანაშაულოდ სცნეს. შემდგომი დადგენილებებით, რომლებიც მომ-

დევნო ათწლეულის განმავლობაში იქნა მიღებული, უზენაესმა სასამართლომ დააზუსტა, თუ რა მომენტიდან ჰქონდა ბრალდებულს უფლება აეყვანა დამცველი (დაპატიმრებიდან, სასამართლო პროცესამდე, აპელაციამდე და ა. შ.).

ამ ხნის განმავლობაში უზენაესმა სასამართლომ განაგრძო უფლებები, რომლებიც სხვა პროცედურულ გარანტიას მოიცავდა: ესაა ეჭვმიტანილის ინფორმირება თავისი კონსტიტუციური უფლებების შესახებ. ერნესტო მირანდა დააპატიმრეს არიზონაში 18 წლის გოგონას მოტაცებისა და გაუპატიურებისთვის. მას შემდეგ, რაც პოლიციას ორი საათი დაკითხვაზე ჰყავდა იგი და გოგონამაც ამოიცნო, მირანდამ აღიარა თავისი დანაშაული. არიზონას შტატის სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო სწორედ ამ აღიარების საფუძველზე, თუმცა, მას არ უთხრეს, რომ ჰქონდა უფლება ესარგებლა ადვოკატის დახმარებით და არ ეცნო თავი დამნაშავედ. მირანდამ გაასაჩივრა თავისი განაჩენი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა (Miranda, 1966).

გადაწყვეტილება საქმეზე „მირანდა არიზონას შტატის წინააღმდეგ“ უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა V შესწორების საფუძველზე, რომელიც არავის არ ავალდებულებს, საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციამ აიძულა მირანდა ეღიარებინა დანაშაული არა ფიზიკური იძულებით, არამედ დაკავებულის დაკითხვისათვის დამახასიათებელი იძულებით. ასეთი იძულების გამოსარიცხავად საჭირო იყო დაკავებულის გაფრთხილება. უზენაესი სასამართლო ამტკიცებდა, რომ გაფრთხილება არ იყო საჭირო, თუ პიროვნება მხოლოდ დაპატიმრებული იყო, ანდა, თუ მას მხოლოდ ეკითხებოდნენ დაპატიმრების გარეშე. მაგრამ დაპატიმრებისა და დაკითხვის კომბინაცია უკვე მოითხოვდა გაფრთხილებას კითხვის დასმის წინ. ეს მოთხოვნები ამჟამად ცნობილია, როგორც „მირანდას გაფრთხილებები“. მათ შორისაა:

- თქვენ გაქვთ დუმილის უფლება;
- ყველაფერი, რასაც იტყვით, შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოზე;
- დაკითხვამდე გაქვთ უფლება მოესაუბროთ თქვენთვის სასურველ ადვოკატს;
- თუ არ გაქვთ სახსრები დაიქირავეთ ადვოკატი, ადვოკატით უზრუნველყოფილი იქნებით უფასოდ.

IV შესწორების თანახმად, „არ უნდა შეილახოს უმიზეზო ჩხრეკითა და დაპატიმრებით ადამიანის უფლება მისი პიროვნების, საცხოვრებლის, ქალაქებისა და ქონების ხელშეუხებლობაზე“. ეს უფლება გაერცელდა შტატებზე „ვეულფი კოლორადოს შტატის წინააღმდეგ“ საქმის განხილვის შემდეგ (Wolf, 1949). მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა სასამართლომ შტატისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უკანონო ჩხრეკისგან დაცვა ფუნდამენტურ უფლებად მიიჩნია, მან უარი თქვა შტატებზე განეგრძო „ექსკლუზიური წესი“, რომლის მიხედვითაც სამხილი, მოპოვებული უკანონო ჩხრეკისა და ჩამორთმევის გზით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო პროცესზე. ამ წესის გარეშე კი დაცვა აზრს კარგავდა.

მოსამართლეებმა კიდევ ერთხელ განიხილეს გამომრიცხავი წესი 1961 წელს „მაიო ოპიოს შტატის წინააღმდეგ“ საქმეში (Map, 1961). დოლრი მასს მსჯავური დაედო უხამსი მასალის ქონებისათვის, რომელიც მას სახლში აღმოაჩნდა უკანონოდ მიჩნეული ჩხრეკის შედეგად (ეძებდნენ ფუთქებად მასალას). უზენაესმა სასამართლომ განიხილა მაისი აპელაცია და 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ გამოაცხადა, რომ „ნებისმიერი სამხილი, მოპოვებული ისეთი ჩხრეკითა და ჩამორთმევით, რომელიც კონსტიტუციას (IV შესწორება) არღვევს, არ უნდა იქნეს მიღებული შტატის სასამართლოებში“. ეს ისტორიული გადაწყვეტილება იყო. მან გამომრიცხავი წესი IV შესწორების ჩარჩოებში ჩააყენა და ყველა დონის ხელისუფლებას მოსთხოვა ამ შესწორების შესაბამისად მოქმედება.

ბრძოლამ გამომრიცხავი წესის ირგვლივ ახალი ნიუანსი შეიძინა 1984 წელს, როდესაც უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე „შეერთებული შტატები ლეონის წინააღმდეგ“ (U.S., 1984). ამ საქმეში ერთმა მოსამართლემ მაშინ გასცა ჩხრეკის ორდერი, როდესაც „შესაძლო მიზეზი“ მკაფიოდ არ იყო დადგენილი. პოლიციამ გამოიყენა ეს ორდერი და აღმოაჩინა დიდი რაოდენობით ნარკოტიკები. უზენაესმა სასამართლომ 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ ჩამოაყალიბა „კეთილსინდისიერების გამოწაკლისი“ გამომრიცხავი წესისათვის. მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ სამხილი, რომელიც მოპოვებულ იქნა შეცდომით გაცემული ჩხრეკის ორდერის გამოყენების შედეგად, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სასამართლო პროცესზე. გამომრიცხავი წესი არ არის უფლება, ამტკიცებდა სასამართლოს უმრავლესობა, ეს არის საშუალება პოლიციის უკანონო ქცევის შესაკავებლად. ასეთი შემაკავებელი ეფექტი ლეონის საქმეში საჭირო არ იყო: პოლიცია კეთილსინდისიერად მოქმედებდა. ამდენად, უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ წესს ესაჭიროებოდა გამოწაკლისი.

გამომრიცხავი წესი ისევ იწვევს განხეთქილებას უზენაეს სასამართლოში. 1990 წელს მოსამართლეებმა კვლავ დამტკიცეს ეს წესი 5 ხმით 4-ის წინააღმდეგ (James, 1990). ამის შემდეგ უზენაესი სასამართლო კიდევ ორი კონსერვატორი მოსამართლით შეივსო.

IX შესწორება და პერსონალური ავტონომია

კონსტიტუციაში განსაზღვრულ უფლებათა ჩამოთვლა არ უნდა განიმარტებოდეს, როგორც უარყოფა და უგულბებელყოფა სხვა უფლებებისა, რომლებიც ხალხს გააჩნია.

IX შესწორების აზრი და მისი ისტორია გამოცანად რჩება. არსებობს ორი ვერსია: ეს შესწორება შეიძლება იცავდეს იმ უფლებებს, რომლებიც ჩამოთვლილი არაა ან იგი იცავს შტატების ხელისუფლებას ეროვნული მთავრობის მიერ უფლებამოსილებათა მითვისებისაგან (Brest, 1975). ამ შესწორების აზრი 1965 წლამდე არ განხილულა, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა

იგი, რათა დაეცვა „ფრაივეისი“*, უფლება, რომელიც არაა კონსტიტუციაში ჩამოთვლილთა შორის.

პოლემიკა: ფრაივერიდან აბორტამდე

როდესაც იხილავდა საქმეს „გრისუოლდი კონექტიკატის შტატის წინააღმდეგ“ (Grissold, 1965), უზენაესმა სასამართლომ 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ გააუქმა კონექტიკატის იშვიათად გამოყენებული კანონი, რომლითაც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება დანაშაულად ითვლებოდა. უმრავლესობის სახელით მოსამართლე უილიამ ო. დაგლასმა დაწერა, რომ უფლებათა ბილს აქვს ნაწილობრივ გაშუქებული საკითხები, რაც ანიჭებს „ცხოვრების წესსა და არსს“ ძალიან გაფართოებულ და დაუზუსტებელ დაცვას. სხვადასხვა პუნქტები I, III, IV და V შესწორებებში ქმნიან ფრაივეისის ზონას. დაგლასი ამტკიცებდა, რომ ეს ზონა დაცულია IX შესწორებით და გასაერცლებელია შტატებზე XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტის მეშვეობით.

გრისუოლდის საქმემ შექმნა პირადი ავტონომიის ზონა, რომელიც დაცული იქნა კონსტიტუციით და საფუძვლად დაედო პროცესს, რომელმაც გააუქმა შტატების კანონები აბორტების აკრძალვის შესახებ. „რლო უეიდის წინააღმდეგ“ საქმის განხილვისას (1973) უზენაესმა სასამართლომ 7 ხმით 2-ის წინააღმდეგ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ტენასის შტატის კანონი, რომლითაც დანაშაულად ითვლებოდა აბორტის გაკეთება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დედის სიცოცხლე იყო საფრთხეში) (Roe, 1973). მოსამართლე ჰერი ა. ბლექმანმა, რომელმაც უმრავლესობის სახელით დასკვნა ჩამოაყალიბა, ეს გადაწყვეტილება დააფუძნა პირადი ავტონომიის უფლებაზე, რომელსაც XIV შესწორების სათანადო სამართლებრივი პროცედურის პუნქტი იცავდა.

* The right of privacy – ფრაივეისის უფლება, აშშ-ში წარმოშობილი კონცეფციაა, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელი იურისტები ს. უორენი და ლ. ბრენდიზი განსაზღვრავდნენ, როგორც „უფლებას დაანბნონ თავი.“ ფრაივეისის უფლებით აღნიშნავენ კერძო ცხოვრების ყველა ასპექტს: ეს არის განმარტობის უფლება; პიროვნების უფლება იყო თავისუფალი დაუშვებელი საჯაროობისგან; პიროვნების უფლება ცხოვროს მის პირად საქმეებში საზოგადოების (ყველა სხვა პირის) მხრიდან დაუშვებელი ჩარევის გარეშე, თუკი ეს საქმეები საზოგადოებას უშუალოდ არ ეხება. ფრაივეისის უფლება (უფლებები) უკრძალავს ხელისუფლებას ჩარევას პირად ურთიერთობებში ან საქმიანობაში (იხ. Black's Law Dictionary. St. Paul, Minn., West Publishing Co. 1991. pp. 829-830).

სხვა სიტყვებით ფრაივეისი ანიჭებს ინდივიდს უფლებას თავიდან აიცილოს საზოგადოების (მაგალითად, მეზობლების, მეგობრების, ნაცნობების, უცნობების, ხელისუფლების) მხრიდან მის პირად საქმეებში „ცხვირის ჩაყოფა“. ასეთი ფენომენი დამახასიათებელია ანგლო-საქსური (გაეიხსენოთ ინგლისური გამოთქმა „ჩემი სახლი – ჩემი ციხესიმაგრე!“) და, ამჟამად, ზოგადად დასავლური მენტალიტეტისათვის. ეს მკვეთრად განასხვავებს მას ყოფილი რუსეთის (საბჭოთა) იმპერიის, და აღმოსავლეთის რიგი ცივილიზაციის მენტალიტეტიდან. მაგალითად, საბჭოთა კანონმდებლობა არსებითად არ ითვალისწინებდა ფრაივეისის უფლებას, ვინაიდან საზოგადოებრივ-სამართლებრივ ინტერესებს პიროვნების უფლებებზე მაღლა აყენებდა (მთარგმნელის შენიშვნა).

სასამართლომ დაადგინა, რომ ორსულობის პირველი სამი თვის მანძილზე ქალს, თავის ექიმთან ერთად, შეეძლო გადაწყვეტიტა აბორტის გაკეთება. დედის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შტატებმა შეიძლება შეზღუდონ (მაგრამ არ აკრძალონ) აბორტები ორსულობის შემდგომი სამი თვის მანძილზე. ორსულობის ბოლო სამი თვის მანძილზე აბორტის გაკეთება შტატებმა შეიძლება აკრძალონ კიდევ, რათა დაიცვან ნაყოფის სიცოცხლე. გამონაკლისია, როცა სამედიცინო ექსპერტიზა დაადგენს აბორტის აუცილებლობას დედის სიცოცხლის გადასარჩენად. მთლიანობაში, უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ 46 შტატის კანონს უცვალა სახე.

საწინააღმდეგო აზრის მქონე მოსამართლეებმა, უაითმა და რენქუსიტმა, მალევე გამოთქვეს თავიანთი კრიტიკული მოსაზრება ამ გადაწყვეტილების შესახებ: უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილება გამოიტანა პირადი ანტიპათიისა და არა კონსტიტუციის საფუძველზე. უმცირესობა ამტკიცებდა, რომ ხელმძღვანელი პრინციპების არ არსებობის პირობებში მოსამართლეთა უმრავლესობა საკუთარი თვალსაზრისით ცვლიდა შტატების საკანონმდებლო ორგანოების თვალსაზრისს და აუქმებდა აბორტის რეგულირების კანონებს (Ely, 1973).

უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა შეიცვალა რონალდ რეიგანის დროს. 1986 წელს უილიამ რენქუსიტის დანიშვნამ მთავარ მოსამართლედ, იმავე წელს ენთონინ სკალიას და 1988 წელს ენთონინ კენედის სასამართლოს წევრებად დანიშვნამ, იმედი ჩაუსახა აბორტის მოწინააღმდეგეებს, ხოლო მომხრეებს კი — ძველი შიში განუახლა.

აბორტის უფლებისგან შესამჩნევი გადახვევა განხორციელდა უზენაესი სასამართლოს დადგენილებით საქმეზე „უებსტერი რეპროდუქტოლოგიური სამედიცინო სამსახურის წინააღმდეგ“ (1989 წ.). სასამართლომ მხარი დაუჭირა მისურის შტატის კანონის კონსტიტუციურობას, რომელიც კრძალავდა აბორტს შტატის მიერ დაფინანსებულ სამედიცინო დაწესებულებებში და მათი პერსონალის მიერ (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დედის სიცოცხლე იყო საფრთხეში). იმავე კანონით ექიმებს მოეთხოვებოდათ ტესტის ჩატარება იმის დასადგენად, სიცოცხლისუნარიანი იყო თუ არა ოცი ან მეტი კვირის ნაყოფი საშვილოსნოს გარეთ.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ხელისუფლების მხრიდან აბორტის რეგულირებას. ამის შემდეგ სასამართლო ნელ-ნელა სულ უფრო იხრება აბორტის შეზღუდვის მიმართულებით. მაგრამ მოსამართლეთა შემადგენლობა მანც მკვეთრად არის გაყოფილი ამ საკითხთან დაკავშირებით.

აბორტის საკითხი აზირისპირებს თავისუფლებისა და წესრიგის ფასეულობებს. გადაწყვეტილება, იყოლიოს თუ არა ქალმა ბავშვი, ხელისუფლების კონტროლისგან თავისუფალი უნდა იყოს. თავის მხრივ, სახელმწიფო ინტერესი სიცოცხლის დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით, მათ შორის, ჩანასახის მიმართაც, კანონიერია, რადგან ეს არის მისი ვალდებულება მოწესრიგებული საზოგადოების შენარჩუნებისა. ნაცვლად იმისა, რომ მკაფიო არჩევანი გაეკე-

თებინა თავისუფლებასა და წესრიგს შორის, უზენაესი სასამართლოს უმრავლესობამ აბორტის უფლების სრულფასოვანი კონსტიტუციური დაცვის პოლიტიკურად სადავო საკითხი შტატების საკანონმდებლო პროცესს მიანდო.

პირადი ავტონომია და სექსუალური ორიენტაცია

პირადი ავტონომიის უფლების საქმეებმა შეიძლება გახსნან სადავო სოციალური პრობლემების პანდორას ყუთი. მოიცავს თუ არა ფრაივეისის უფლება ნებაყოფლობითი პომოსექსუალური აქტის უფლებასაც მოზრდილთა შორის? 1982 წელს ქ. ატლანტაში საკუთარ საძინებელში დააპატიმრეს მაიკლ ჰარდუიქი მამაკაცთან სექსობრივი კავშირის მომენტში. პომოსექსუალისტების მიმართ სტანდარტული მიდგომით იგი დამნაშავედ სცნეს მამათმავლობაში. ჰარდუიქმა გაასაჩივრა ამ კანონის კონსტიტუციურობა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში მოიგო საქმე. მაგრამ 1986 წელს უზენაესმა სასამართლომ მკვეთრად გაყოფილი ხმებით (ხუთი ოთხის წინააღმდეგ) დაადგინა, რომ კონსტიტუცია არ იცავს პომოსექსუალურ ურთიერთობებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ნებაყოფლობით ხორციელდება საკუთარ სახლში, ფრაივეისის უფლების ფარგლებში (Bowers, 1986).

კონსერვატორი მოსამართლეების ენთონი კენედის, დევიდ საუთერისა და კლერენს თომასის დანიშვნამ უზენაეს სასამართლოში შეაჩერა პიროვნული თავისუფლების გაფართოების პროცესი. აშკარად იგრძნობა მეტი მიდრეკილება სოციალური წესრიგის განმტკიცებისაკენ.

მოსალოდნელია, რომ პირადი ავტონომიის გაფართოება გადაინაცვლებს შტატებში, სადაც სოციალურ ჯგუფებს შეუძლიათ განამტკიცონ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლება. დემოკრატიის პლურალისტური მოდელი იძლევა უზენაესი სასამართლოს ზოგისათვის მიუღებელი დადგენილებებისაგან თავის არიდების საშუალებას. შტატებს შეუძლიათ შემოიღონ შემზღუდავი კანონები, ასევე შეუძლიათ მათი გაუქმებაც. კენტაკის, ნიუ-იორკის, პენსილვენიის შტატების უმადლესმა სასამართლოებმა უკვე დაადგინეს, რომ მამათმავლობის წინააღმდეგ მიმართული კანონები ფრაივეისის უფლებას ეწინააღმდეგებიან. ანალოგიური დადგენილებები მიიღეს მიჩიგანისა და ტეხასის შტატების ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა.

სამოქალაქო ომის შესწორებანი

სამოქალაქო ომის კონსტიტუციური შესწორებანი მიიღეს შავკანიანი ამერიკელების თავისუფლებისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. 1865 წლის XIII შესწორება თავისუფლებას იძლეოდა: „შეერთებული შტატების ფარგლებში ან სხვა ისეთ ადგილას, სადაც ვრცელდება მისი იურისდიქცია, არ უნდა არსებობდეს არც მონობა და არც იძულებითი შრომა“. სამი წლის შემდეგ მიღებულმა XIV შესწორებამ, უპირველეს ყოვლისა, განთავისუფლებული მონები უზრუნველყო მოქალაქეობით და, მეორეც, აუკრძალა შტატებს ისეთი კანონების

მიღება ან ცხოვრებაში გატარება, „რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების პრივილეგიებულ უფლებებსა და ხელშეუხებლობას“. „... ასევე აუკრძალა უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე“ და „უარი უთხრას, მისი იურისდიქციის ფარგლებში იყოს კანონის მიერ თანაბრად დაცული“. XV შესწორებამ 1870 წელს დაუმატა საკითხი პოლიტიკური თანასწორობის შესახებ: „არ შეიძლება აშშ მოქალაქეს ... უარი ეთქვას ან შეეზღუდოს ხმის მიცემის უფლება მისი რასის, კანის ფერის ან ადრე მონურ მდგომარეობაში ყოფნის გამო“.

ამრიგად, კონსტიტუციის შესაბამისად, შვეკანიანი ამერიკელები თავისუფლები და პოლიტიკურად თანასწორნი გახდნენ. თუმცა, მრავალ წელს უნდა გაეელო, რომ საბოლოოდ ყოფილიყო დაცული ეს კონსტიტუციური უფლებები.

კონგრესი და უზენაესი სასამართლო: კანონშემოქმედება კანონის ინტერპრეტაციის წინააღმდეგ

სამოქალაქო ომის მომდევნო წლებში კონგრესმა გააგრძელა მუშაობა შვეკანიანი მოსახლეობის უფლებათა დაცვაზე. 1866 წელს კანონშემოქმედებამ მიიღეს „სამოქალაქო უფლებების აქტი“, რომელიც ყველა მოქალაქეს, თეთრკანიანსაც და შვეკანიანსაც, აძლევდა კონტრაქტების დადებისა და განხორციელების უფლებას, უფლებას იმისა, რომ ყოფილიყვნენ მოსარჩელენი და მოპასუხენი სასამართლო პროცესებში, მიეცათ ჩვენება და მიეღოთ მემკვიდრეობა, შეესყიდათ, იჯარით აეღოთ, ან გაეცათ, გაეყიდათ, ჰქონოდათ ან გადაეცათ ქონება. 1875 წლის აქტით კონგრესი შეეცადა შეექმნა შვეკანიანთათვის გარანტია, რათა ისინი თავისუფლად შესულიყვნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

მაშინ, როცა კონგრესი შვეკანიანთა უფლებების დაცვის კანონებს ღებულობდა, უზენაესი სასამართლო ამ უფლებების შეკვეცის მოსურნედ ჩანდა. 1873 წ. მან მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო ომის შემდგომ შესწორებებს არ შეუცვლია შტატებსა და ეროვნულ ხელისუფლებას შორის დამოკიდებულება, ანუ შტატის მოქალაქეობა და სახელმწიფოს მოქალაქეობა ცალ-ცალკე და განსხვავებულად განიხილებოდა; XIV შესწორება არ აფართოებდა ამერიკის მოქალაქეობით მინიჭებულ უფლებებს. ფაქტობრივად, უზენაესმა სასამართლომ ძალა გამოაცალა XIV შესწორებას, რომელიც ითვალისწინებდა „უფლებათა ბილის“ გარანტიებს შვეკანიან მოქალაქეთათვის.

1883 წელს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სამოქალაქო უფლებების 1875 წლის აქტის მონაკვეთი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შესვლის თანასწორუფლებიანობის შესახებ (Civil, 1883). მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია აკრძალოს მხოლოდ მთავრობის ის ქმედება (ეს შტატის ქმედების სახელითაცაა ცნობილი), რომელიც დისკრიმინაციას უწევს შვეკანიანებს. მაგრამ, დისკრიმინაციის კერძო შემთხვევები, ან შტატების მიერ კანონმდებლობაში რაიმეს გამოტოვება არ შედის ეროვნული ხელისუფლების კომპეტენციაში.

თითქმის ყოველი საქმის განხილვისას უზენაესი სასამართლო უარს აცხადებდა განეხილა რასობრივი დისკრიმინაცია, როგორც სიმბოლო მონობისა, რომლის აკრძალვაც შეეძლო ეროვნულ ხელისუფლებას. რასობრივი დისკრიმინაციის დაშვებით მოსამართლეები ახალისებდნენ რასიზმს, იმის რწმენას, რომ რასებს შორის მემკვიდრეობითი განსხვავებები განსაზღვრავს მიღწევებს ცხოვრებაში; და რომ ერთი რასა სხვებზე უფრო მაღლა დგას და, ამდენად, უფლება აქვს დაიქვემდებაროს ისინი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო უფლებების ირგვლივ მანევრირების ფართო გასაქანს აძლევდა შტატებს. მაგალითად, შტატები, რომელთაც სურდათ დაბრკოლებები შეექმნათ არჩევნებში შავკანიანების მონაწილეობისათვის, მარტივად ახერხებდნენ ამას არარასობრივი საშუალებების გამოყენებით. ამის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი იყო ე. წ. საარჩევნო გადასახადი, რომელიც პირველად ჯორჯიის შტატმა შემოიღო 1877 წელს. ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სურდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, უნდა გადაეხადა 1 ან 2 დოლარი. ეს გადასახადი მძიმე არ იყო თეთრკანიანი მოქალაქეებისათვის. შავკანიანთა უმრავლესობას კი, რომელიც მოიჯარე ფერმერებს წარმოადგენდა, არ გააჩნდა ფული არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. სხვა სირთულეებიდან, რომლებიც დაბრკოლებას უქმნიდნენ შავკანიანების საარჩევნო უფლებას, აღსანიშნავია გამოცდები წიგნიერებაში, მინიმალური განათლების მოთხოვნა და ე. წ. „პაპის პუნქტი“, რომელიც მხოლოდ იმ მოქალაქეს ანიჭებდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რომელთაც შეეძლოთ დაესაბუთებინათ, რომ პაპამის ეს უფლება გააჩნდა 1867 წლამდე (სამი წლით ადრე იქამდე, სანამ XIV შესწორება დაადგენდა, რომ რასის საფუძველზე არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნას არჩევნებში მონაწილეობის უფლება (Norton et al., 1990, p.490)). თეთრკანიანები იყენებდნენ დაშინებასა და ძალადობასაც, რათა არ დაეშვათ შავკანიანები საარჩევნო ურნებთან.

რასობრივი სეგრეგაციის ფესვები

სამოქალაქო ომამდე გაცილებით უფრო ადრე რასობრივი სეგრეგაცია სამხრეთის შტატებში ცხოვრების წესი იყო: შავკანიანები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ თეთრებისაგან განცალკევებით. ომის შემდეგ სამხრეთის შტატებმა დაიწყეს ცხოვრებაში „ჯიმ ქროუს კანონების“ (ჯიმ ქროუ – შავკანიანთა დამამცირებელი სახელია) გატარება, რომლებიც ამკვიდრებდნენ სეგრეგაციას. ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 1875 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტი“, ამ სახის კანონებმა სწრაფად დაიწყეს გავრცელება. შავკანიანებს უხდებოდათ ცალკე, ჩვეულებრივ, ცუდ რაიონებში ცხოვრება. მათ ემსახურებოდათ მათთვის საგანგებოდ გამოყოფილი, არასრულფასოვანი განყოფილებები საავადმყოფოებში, სასაფლაოებზე, საქალაქო ტრანსპორტში და ა. შ. მათ ყოველდღე ახსენებდნენ მათი დაბალი სტატუსის შესახებ, რომელიც თეთრკანიანთა საზოგადოებამ მიანიჭა.

1892 წელს, პომერ-ადოლფ ჰლეისი, რომელიც შვიდი მერვედით თეთრკანიანი იყო, ჩაჯდა ლუიზიანის შტატის მატარებლის იმ ვაგონში, რომელიც მხოლოდ

თეთრკანიანებისთვის იყო განკუთვნილი. მან უარი თქვა გადამჯდარიყო შავკანიანებისთვის განკუთვნილ ვაგონში, რისთვისაც დააპატიმრეს. პლესი ამტკიცებდა, რომ ლუიზიანის შტატის კანონი, რომელიც იცავდა რასობრივ სეგრეგაციას შტატის ტრანსპორტში, წარმოადგენდა XIV შესწორებით გათვალისწინებული უფლებების, პრივილეგიების, იმუნიტეტის და თანასწორუფლებიანობის დაცვის პუნქტების კონსტიტუციურ დარღვევას. უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას. მოსამართლეთა უმრავლესობამ „*პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ*“ საქმეში მხარი დაუჭირა შტატის მიერ დაწესებულ რასობრივ სეგრეგაციას (Plessy, 1886). ისინი თავის გადაწყვეტილებას „განცალკევებული – მაგრამ – თანაბარის“ დოქტრინაზე აფუძნებდნენ. ამ დოქტრინის თანახმად, ცალ-ცალკე სათავსოები თუ კეთილმოწყობილობები შავკანიანებისთვის და თეთრკანიანებისთვის აკმაყოფილებდა XIV შესწორებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანაბარი იყო ორივე მხარისათვის.

ჯონ მარშალ ჰარლენი, ერთადერთი მოსამართლე, რომელიც არ დაეთანხმა ამას, წერდა კონსტიტუციის შესახებ, „რომელიც ვერ არჩევს ფერებს“:

„ჩვენ ვტრაბახობთ თავისუფლებით, რომელსაც სხვა ხალხებზე მეტად ფლობს ჩვენი ხალხი; თუმცა, ეს ტრაბახი სულაც არ შეეფერება იმ კანონს, რომელიც, პრაქტიკულად, მონობისა და დეგრადაციის დამდას ასევე მსჩვევს თანამოქალაქეთა დიდ კლასს – ჩვენს თანასწორებს კანონის წინაშე. სარკინიგზო ვაგონებში მგ ზავრობისთვის გამოყოფილი „თანაბარი“ კუპების თხელი საფარი შეცდომაში ვერ შეიფხანს ვერაფრის და ვერც იმ ცოდვებს გამოისყიდის, რაც ღლეხ ზღება“.

სამი წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ განაგრძო ეს დოქტრინა სკოლებზეც. მოსამართლეები უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ შავკანიანთა და სხვა ფერადკანიანთა საგანმანათლებლო პირობები, თეთრკანიანებთან შედარებით, ბევრად უარესი იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის კანონის მეშვეობით გაძლიერდა რასობრივი სეგრეგაცია სამხრეთის შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური შესწორებები და ეროვნული კანონები იცავდნენ თანასწორობას, უზენაესი სასამართლოს მიერ ამ შესწორებათა ინტერპრეტაცია ზღუდავდა მათ ეფექტიანობას. რამდენიმე ათეულ წელს უნდა გაეკლო, რომ მომხდარიყო რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

სკოლების სეგრეგაციის გაუქმება

მეოცე საუკუნის შუახანებში საზოგადოების დამოკიდებულება რასობრივი ურთიერთობების მიმართ ნელ-ნელა იცვლებოდა. შავკანიანთა რაზმები ღირსეულად იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში, ოლონდ, ცალკე საჯარისო ნაწილებში. შავკანიანები და თეთრკანიანები ერთად მუშაობდნენ სხვადასხვა სახის სამსახურებსა თუ ორგანიზაციებში. მთავრობის მიერ დაწესებული სეგრეგაცია კრიტიკისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა რისკს დაუქვემდებარა თავისი პოლიტიკური მომავალი, როდესაც მხარი დაუჭირა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებს. 1947

წელს მან ჩამოაყალიბა „სამოქალაქო უფლებათა საპრეზიდენტო კომისია“. ამ კომისიის ანგარიში, რომელიც იმავე წელს გამოიცა, გადაიტყა სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის დღის წესრიგად ორი ათეული წლის განმავლობაში. ანგარიში მოითხოვდა ისეთ ეროვნულ კანონებს, რომლებიც აკრძალავდნენ სისასტიკეს, სეგრეგაციას რასობრივ ნიდაგ ზე და საარჩევნო გადასახადს. ამას გარდა, იგი მოითხოვდა საარჩევნო უფლებების გარანტიებს და დასაქმების თანასწორ შესაძლებლობებს. 1948 წელს ტრუმენმა გამოაცხადა შეიარაღებული ძალების დესეგრეგაცია (ოფიციალური რასობრივი სეგრეგაციის შეწყვეტა).

1947 წელს აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტმა დაიწყო ინსტრუქციების გადაცემა სასამართლოებისთვის, რათა მათ მხარი დაეჭირათ სამოქალაქო უფლებებისთვის. დეპარტამენტის ყველაზე მნიშვნელოვან ჩარევას ადგილი ჰქონდათ „ბრაუნი განათლების დეპარტამენტის წინააღმდეგ“ საქმეში (1954). ეს იყო ოცწლიანი კამათის კულმინაცია, სადაც „ეროვნული ასოციაცია ფერადკანიანთა წინსვლის მხარდასაჭერად“ (National Association for the Advancement of Colored Population - NAACP) მოითხოვდა სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის გაუქმებას.

ლინდა ბრაუნი იყო შვედური ბავშვი, რომლის მამამ გადაწყვიტა შეეყვანა იგი თეთრების სკოლაში, ტოპეკაში, კანზასის შტატი. ბრაუნს თხოვნაზე უარი უთხრეს ლინდას რასობრივი წარმომავლობის გამო. ფედერალურმა საოლქო სასამართლომ განაცხადა, რომ შვედნიანების სკოლა ყოველმხრივ უთანაბრდებოდა თეთრკანიანების სკოლის ხარისხს; ამის გამო, *ქლეის* დოქტრინის შესაბამისად, ლინდას მოსთხოვეს წასულიყო შვედნიანთა სკოლაში. ბრაუნმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება.

ამ საქმემ გადაინაცვლა უზენაეს სასამართლოში 1951 წლის ნოემბერში. მოსამართლეებმა განხილვა გადადეს 1952 წლის არჩევნებამდე. სასამართლომ ეს საქმე ოთხ სხვა საქმეს დაუკავშირა: თითოეული მათგანი *ჯჯ უფური ქმედების სარჩელის* სახეს ატარებდა (იხ. თავი 11). ყოველ მათგანს მხარს უჭერდა NAACP-ი, ხოლო კოორდინირებას უწევდა თორგუდ მარშალი, შემდგომში პირველი შვედნიანი მოსამართლე უზენაეს სასამართლოში.

ხუთივე საქმე ჯვარედინად უპირისპირდებოდა „განცალკევებული, – მაგრამ – თანაბარის“ დოქტრინას. ნებისმიერი საზომით (მასწავლებელთა ლიცენზირების სტანდარტები, მოსწავლე-მასწავლებელთა პროპორციები, საბიბლიოთეკო მომსახურება) ეს ორი სასკოლო სისტემა – თეთრებისა და შავების – თანაბარი იყო. საქმე ეხებოდა რასობრივი გამოიჯვინის კანონიერებას.

საქმეები უნდა განეხილათ 1952 წლის ბოლოსთვის, მაგრამ განხილვა გადაიდო მოსამართლეების თხოვნით. 1953 წლის სექტემბერში საქმე კვლავ გადაიდო მთავარი მოსამართლის, ფრედ მ. ვინსონის უეცარი სიკვდილის გამო. 1954 წლის 17 მაისს მთავარმა მოსამართლემ ერლ უორენმა, რომელმაც დაიკავა ვინსონის ადგილი, ჩამოაყალიბა ერთი დასკვნა ოთხ საქმეზე. უორენმა ილაპარაკა ერთსულოვანი სასამართლოს სახელით, როდესაც გამოაცხადა, რომ დოქტრინას „განცალკევებული, – მაგრამ – თანაბარი“, არაფერი აქვს საერთო სახალხო განათლების სისტემასთან. „განცალკევებული საგანმანათლებლო პი-

რობები იმთავითვე არათანასწორი და მოკლებულია კანონისგან თანაბარ დაცვას“. სეგრეგაციული პირობები შავკანიან ბავშვებს „არასრულფასოვნების გრძობას უნერგავს, რომელმაც შემდგომში შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მათ გულებსა და აზროვნებაზე“. დამტკიცდა, რომ სახელმწიფოს მიერ შემოღებული სკოლების სეგრეგაცია არღვევდა XIV შესწორების თანასწორი დაცვის პუნქტს.

უზენაესი სასამართლო აყენებდა სკოლის დესეგრეგაციის გადაწყვეტილების განხორციელებას 1955 წლამდე. ამ წელს კი, *ბრაუნის საქმის* საბოლოო განხილვის შემდეგ, გადაწყდა მომხდარიყო სასკოლო სისტემათა დესეგრეგაცია „მთელი გააზრებული სისწრაფით“, რაც უნდა წარმართულიყო დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოების ხელმძღვანელობით.

ზოგიერთმა შტატმა მთლიანად განახორციელა ეს გადაწყვეტილება. ზომა ცოტა რამ გააკეთა თავიანთი სკოლების დესეგრეგაციისთვის. სამხრეთის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ნაწილმა დაუმორჩილებლობა გამოუცხადა სასამართლოს, ზოგჯერ ძალადობრივიც კი. „მთელი გააზრებული სისწრაფით დესეგრაციის“ წესმა დიდი პრობლემა შეუქმნა ფედერალურ მოსამართლებს, რადგან საჭირო ხდებოდა ფუნდამენტური სოციალური ინსტიტუტების დაშლა სხვადასხვა ადგილას. თანდათანობით დესეგრეგაცია, ზოგიერთ შემთხვევაში, სულაც არ იყო დესეგრეგაცია. ამიტომ 1969 წელს, უზენაესი სასამართლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, სეგრეგირებულ სასკოლო სისტემათა მუშაობის შეწყვეტა „დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო“ (Alexander, 1969).

ორი წლის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ, სკოლების ინტეგრაციის მისაღწევად გამოიტანა რამდენიმე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ავტობუსებით საერთო მომსახურებას, რასობრივ ქვოტებს და არამომიჯნავე სასკოლო უბნების დანაწევრებას ან გადაჯგუფებას. თუმცა, ეს დადგენილებები ვერცხდებოდა მხოლოდ „სეგრეგაციაზე დე-იურე“ – ანუ ხელისუფლების მიერ შემოღებულზე (მაგ. ხელისუფლების მიერ ერთსა და იმავე უბანში თეთრების გამწესება ერთ სკოლაში, ხოლო შავებისა – მეორეში). სასამართლოს მიერ შემოღებული დადგენილებები არ ვერცხდებოდა „სეგრეგაციაზე დე-ფაქტო“, სეგრეგაციაზე, რომელიც არ იყო ხელისუფლების ზეგაულების შედეგი (მაგალითად, რასობრივი სეგრეგაცია, რომელიც ხდებოდა საცხოვრებელ უბნებში).

საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ეწინააღმდეგებოდა სასკოლო ავტობუსებით მომსახურებას (იმ კუთხით, რომ ავტობუსში ხელოვნურად შექმნილიყო ორივე რასის წარმომადგენელთა პროპორცია). კონგრესსაც სურდა ამ საკითხის მოწესრიგება. 1974 წელს, დადგენილებით „*მილიკენი ძრედლის წინააღმდეგ*“ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ქვემდგომი სასამართლოები ვერ დააწესებდნენ ავტობუსს მეზობელი სასკოლო უბნების საზღვრების გადაკვეთით რასობრივი ბალანსის მისაღწევად, თუკი თითოეულ ასეთ სასკოლო უბანში ადგილი არ ჰქონდა რასობრივ დისკრიმინაციას, ან თუკი სასკოლო უბნის საზღვრები ისე არ იყო მოხაზული, რომ ფაქტობრივი რასობრივი სეგრეგაცია გამოეწვია (Milliken, 1974).

სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობა

მიუხედავად იმისა, რომ NAACP-ის მთავარი მიზანი სკოლათა დესეგრაცია იყო, იგი წარმატებებს აღწევდა სხვა სფეროებშიც. უზენაესმა სასამართლომ, NAACP-ის ძალისხმევის საპასუხოდ, 1940-იან წლებში უკანონოდ გამოაცხადა მხოლოდ თეთრებისთვის სამხრეთში ჩატარებული პირველადი არჩევნები იმ მოტივით, რომ ეს იყო XV შესწორების დარღვევა. სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, აგრეთვე, შტატებშორისი საავტობუსო მარშრუტები, იმ რესტორნებისა და სასტუმროების სეგრეგირება; რომლებიც კოლუმბიის ოლქში მდებარეობენ.

ამ და სხვა გადაწყვეტილებათა მიუხედავად, რომლებიც სპობდნენ წინაღობებს თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე, თანასწორობის მისაღწევად საჭირო იყო ყველა კანის ფერის ადამიანთა პოლიტიკური მობილიზაცია. ეს ცნობილია, როგორც მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის.


სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

პირველი მოწოდება მოქმედებისკენ ეკუთვნოდა როზა პარქსს. ეს იყო ზანგი ქალი, რომელიც ცხოვრობდა მონტგომერიში, ალაბამას შტატში. ქალაქის „ჯიმ ქროუს წესი“ ითხოვდა ზანგებისგან ავტობუსის უკანა სკამებზე დასხდომას. მძღოლს მიანიჭეს უფლება, მოეთხოვა შავკანიანებისთვის ერთი თეთრკანიანის გამო მთელი რიგის განთავისუფლება, ან, თეთრკანიანთათვის გამიზნული ცარიელი ადგილების მიუხედავად, ფეხზე დგომა. 1955 წელს, სამუშაოდან მომავალმა დაღლილმა პარქსმა ავტობუსში წინა ადგილი დაიკავა. მძღოლის მოთხოვნას – გაეთავისუფლებინა ადგილი, მან უარით უპასუხა. წესრიგის დარღვევისათვის იგი დააპატიმრეს და 10 დოლარით დააჯარიმეს.

26 წლის ბაპტისტი პასტორის მარტინ ლუთერ კინგის ქარიზმატული ხელმძღვანელობით მონტგომერის შავკანიანთა საზოგადოებამ პარქსის დაპატიმრებას ქალაქის ავტობუსების ბოიკოტირებით უპასუხა. ბოიკოტის გამოცხადება არის რომელიმე ფირმასთან ან პირთან საქმის დაჭერაზე უარის თქმა უკმაყოფილების გამოხატვის მიზნით, ანდა, რაიმე გადაწყვეტილების მიღების დასაჩქარებლად ძალდატანების საშუალება. ბოიკოტირების ერთი წლის შემდეგ ფედერალურმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სეგრეგირებული ტრანსპორტის სისტემა კონსტიტუციის თანასწორობის დაცვის პუნქტის დარღვევა იყო.

1957 წელს კინგის დახმარებით შეიქმნა ორგანიზაცია „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენცია“, რომელიც კოორდინირებას უწევდა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლას. იგი ატარებდა მშვიდობიან აქციებს, რათა დღის სინათლეზე გამოეტანა რასობრივი პრობლემები. ამის შემდეგ მან მოუწოდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ – უსამართლო კანონების არაძალისმიერი დარღვევისკენ.

მარტინ ლუთერ კინგმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა მაშინ, როდესაც 1963



დღევანდელი მოსე

მარტინ ლუთერ კინგი, უმცროსი, იყო ბაპტიستي პასტორი, რომელიც იზიარებდა ინდოელი მოღვაწის მაჰათმა განდის არაძალადობრივი პროტესტის პრინციპებს. ამ ფოტოზე, რომელიც ქ. ბალტიმორშია გადაღებული 1963 წელს, აღბეჭდილია რიგითი ადამიანების დიდი სიყვარული კინგის მიმართ, იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ბევრი მიიჩნევდა თანამედროვე მოსედ, ვინც ერს წაიფანდა რასობრივი თანასწორობის ახალი ქანანისკენ. 1964 წელს მარტინ ლუთერ კინგს მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია. 1968 წელს იგი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა ქ. მეიფისში, ტენესის შტატში

წლის აგვისტოში მოაწყო მარში ვაშინგტონისკენ, რათა ეჩვენებინა მხარდაჭერა სამოქალაქო უფლებების მოძრაობისადმი. 250 ათასზე მეტმა ადამიანმა, თეთრკანიანმა და შავკანიანმა, ერთად მოიყარა თავი ლინკოლნის მემორიალთან კინგის სიტყვის მოსასმენად: „მე მაქვს ოცნება, ჩემმა პატარებმა იცხოვრონ ისეთ საზოგადოებაში, სადაც მათ განსჯიან არა კანის ფერის, არამედ მათი პიროვნული თვისებების მიხედვით“ (Norton et al., 1990, p.943).

1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტი

პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი სამოქალაქო უფლებებს მიიჩნევდა თავის უმაღლეს საკანონმდებლო პრიორიტეტად. ჯონსონის თანამდებობაზე მოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1964 წელს, კონგრესმა მიიღო „სამოქალაქო უფლებათა აქტი“. ეს იყო ყოვლისმომცველი აქტი და ცდა იმისა, რათა ბოლო მოღებოდა რასობრივ დისკრიმინაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში. სხვა უფლებების გარდა, ეს აქტი ყველა პიროვნებას ანიჭებდა:

- „სრულ და თანაბარ უფლებას“ საზოგადოებრივ სიკეთეზე, მომსახურებაზე, საზოგადოებრივ ადგილებში თავშეყრაზე, რასის, კანის ფერის, რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად;
- აწესებდა დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უფლებას;
- აძლიერებდა ხმის მიცემის უფლების კანონმდებლობას;
- ქმნიდა „თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების კომიტეტს“, რომელიც ისმენდა და არჩევდა საჩივრებს სამუშაოზე დისკრიმინაციის საკითხებზე*;
- უზრუნველყოფდა უარის თქმას ფონდების გამოყოფაზე იმ პროგრამებისთვის, რომლებიც იმართებოდა დისკრიმინაციული გზით.
ჯონსონის მიზანი იყო „დიადი საზოგადოება“. მალე მას ამ მიზნის განხორციელებაში დაეხმარა კონსტიტუციური შესწორებები და სამოქალაქო უფლებათა კანონების სერია:
 - XXIV შესწორება, რომლის რატიფიცირებაც მოხდა 1964 წელს, კრძალავდა საარჩევნო გადასახადს პირველადი და საყოველთაო არჩევნების დროს;
 - 1964 წლის „ეკონომიკური შესაძლებლობების აქტი“ მიმართული იყო განათლების გაფართოებაზე და სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლისკენ;
 - 1965 წლის „საარჩევნო უფლებათა აქტი“ უფლებას აძლევდა გენერალურ პროკურორს გაეგზავნა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ზედამხედველები იმ ადგილებში, სადაც უმცირესობათა წარმომადგენლების სრული რაოდენობის ნახევარზე ნაკლები იყო რეგისტრირებული ამომრჩევლად. ამ აქტის წყალობით, ხუთი წლის შემდეგ სამხრეთში გაორმაგდა რეგისტრირებულ შვეკანიან ამომრჩეველთა რაოდენობა;
 - 1968 წლის „სამართლიანი საბინაო აქტი“ კრძალავდა დისკრიმინაციას სახლების გაქირავებისა და ყიდვა-გაყიდვის სფეროში.

აღდგენა და შეზღუდვა

მხოლოდ ქალაქებში მოცემული სამოქალაქო უფლებები არ უზრუნველყოფს მათ განხორციელებას ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ კონგრესი ცდილობდა აღედგინა და განეგრძო სამოქალაქო უფლებები, ბოლო წლებში უზენაესმა სასამართლომ კვლავ დაიწყო მისი შეზღუდვა. 1989 წლის გადაწყვეტილებების სერიაში საოცრად ერთნაირი შეფარდებით – 5 ხმით 4-ის წინააღმდეგ – მოსამართლეებმა დაადგინეს შეზღუდვით სამოქალაქო უფლებების გადაწყვეტილებების მოქმედების სფერო. სასამართლომ დაადგინა, რომ:

- წარსულში დისკრიმინაცია არ უნდა იყოს მკაცრი რასობრივი ქვოტების საფუძველი (Martin, 1989);

* 1972 წლიდან კომიტეტს უფლება აქვს წამოიწიოს სასამართლო პროცესი იმ დაქირავებული პირების სახელით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არაკანონიერი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ

- აფრო-ამერიკელთა ხელშემწყობი აფირმატიული ქმედების გვემთმობილებული გადაწყვეტილებები წლების შემდეგ იმ თეთრკანიანთა დავის საგანი შეიძლება გახდეს, რომლებიც იმავე გემის შედეგად დაზარალდნენ (Thernstrom, 1987);
- დაქირავებისას დისკრიმინაციაში ბრალდების მტკიცების ტვირთი დაქირავებლიდან დაქირავებულზე უნდა გადავიდეს, რაც უფრო რთულს ხდის მოსარჩელესათვის პროცესის მოგებას (Wards, 1989);
- 1866 წლის კანონი, რომელსაც იყენებდნენ უმცირესობები, რათა საქმე აღედრათ დისკრიმინაციის კერძო შემთხვევების წინააღმდეგ, მხოლოდ დაქირავების დაწყებით სტადიაზე კრძალავდა დისკრიმინაციას და არა სამუშაო პროცესში (Patterson, 1989).

ეს და სხვა გადაწყვეტილებები გვამცნობენ უზენაესი სასამართლოს ახალი კონსერვატიული უმრავლესობის ჩამოყალიბებას, რომელიც თავისუფლებას თანასწორობაზე მალა აყენებს. ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს მიერ ფედერალური კანონის ინტერპრეტაციას დაეყრდნო, სამოქალაქო უფლებების დამცველებმა მიმართეს კონგრესს, რათა მას აღედგინა და, შესაძლოა გაეფართოვებინა კიდევ ადრეული გადაწყვეტილებები და ექცია ისინი კანონებად. ამის შედეგი იყო სამოქალაქო უფლებათა ახალი კანონპროექტის შექმნა. პრეზიდენტმა ბუშმა ვეტო დაადო კანონპროექტის 1990 წლის ვერსიას. იგი ამტკიცებდა, რომ ეს ქვეყანას თავს მოახვევდა დაქირავებისა და სამუშაოზე დაწინაურების ახალ ქვოტებს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბუშმა დაამტკიცა ანალოგიური კანონპროექტი. 1991 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტი“ ქალებსა და ინვალიდებს სამუშაოზე არ მიღების ან სქესობრივი სხვაობის საფუძველზე შევიწროების გამო სასამართლოში საქმის აღძვრის უფრო მეტ საშუალებას აძლევს.

სამოქალაქო უფლებები სხვა უმცირესობებისთვის

შაკანიანი ამერიკელების მიერ მოპოვებული სამოქალაქო უფლებები ყველა ამერიკელზე ვრცელდება. ბოლო ხანებში მიღებული სამოქალაქო უფლებათა კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები იცავენ ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენლებს.

1987 წელს უზენაესმა სასამართლომ ერთსულოვნად მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელშიც დადგინდა, რომ 1866 წელს მიღებული „სამოქალაქო უფლებათა აქტი“ (დღეს ცნობილი, როგორც „1981 წლის ნაწილი“) ითვალისწინებდა დაცვას ყველა უმცირესობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ (Saint, 1987): იქამდე თეთრკანიანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ეს კანონი არ იცავდა. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიხედვით კი ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის წევრს – იტალიელს, ირანელს, ნორვეგიელს, ჩინელს, და ა. შ. – შეეძლო აენაზღაურებინა ფულადი დანაკარგი იმ შემთხვევაში, თუკი

დამტკიცებდა, რომ მას უარი უთხრეს სამუშაოზე, დასახლების უფლებაზე ან თუ იგი უკანონო დისკრიმინაციის სხვა ფორმის მსხვერპლი გახდა.

1964 წლის „სამოქალაქო უფლებების აქტი“ უზრუნველყოფს დაცვის მექანიზმით ამ ეთნიკურ ჯგუფებს. მაგრამ მას გააჩნია მკაცრი პროცედურები საქმის აღძვრისათვის. ეს პროცედურები აფერხებენ სასამართლო პროცესს. ამას გარდა, საქმეების უმეტესობაში ზარალის ანაზღაურება შეზღუდულია. მაგ., სამუშაოზე დისკრიმინაციის შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ხელფასის ანაზღაურება და სამუშაო აღვილზე აღდგენის უფლება. „1981 წლის ნაწილი“ კი დაზარალებულ მხარეს ნებას აძლევს სასამართლოს გადაწყვეტილებით მიიღოს „დამსჯელი კომპენსაცია“ სერიოზული დარღვევისათვის.

ამ კარაა, რომ სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობამ გავლენა მოახდინა თითოეულ უმცირესობაზე. ქვემოთ განვიხილავთ სამი ჯგუფის ბრძოლას სამოქალაქო უფლებებისთვის. ესენი არიან: აბორიგენი ამერიკელები, ესპანურენოვანი ამერიკელები და ინვალიდი ამერიკელები.

აბორიგენი ამერიკელები

1924 წელს ინდიელებს, ბოლოს და ბოლოს, მიანიჭეს ამერიკის მოქალაქეობა. ამ დრომდე ისინი აბორიგენულ ტომებად ითვლებოდნენ და მათთან ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებული ხელშეკრულებებით ხდებოდა. ინდიელთა რეზერვაციების მართვის ბიუროკრატიული სისტემის გამო აბორიგენი ამერიკელები ღარიბ და მხოლოდ ეროვნულ მთავრობაზე დამოკიდებულ ხალხად რჩებოდნენ. ინდიელთა მიწები კვლავაც მცირდებოდა 1950-60-იან წლებში – ადრე დადებული ხელშეკრულებებისა და ამ მიწების ნაწილის რელიგიური მნიშვნელობის მიუხედავად.

სიღარიბით, უმუშევრობით, სასოწარკვეთილებით გამოწვეულმა აღშოთებამ, ხელისუფლების წაყრუებასთან ერთად, გამოიწვია შეიარაღებული გამოსვლები 1967 წლის ნომებერში. ამ დროს რამდენიმე ამერიკელმა ინდიელმა დაიკავა მიტოვებული ალკატრასის კუნძული, სან-ფრანცისკოს ყურეში. ჯგუფმა გაიხსენა 1868 წელს სიუს ტომის ინდიელბთან დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ინდიელებს უფლება ჰქონდათ დაეკავებინათ გამოუყენებელი ფედერალური მიწები. ისინი ამ კუნძულზე წელიწადნახევარი დარჩნენ. 1973 წელს ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის შეიარაღებულმა წევრებმა 11 მძევალი აიყვანეს ეუნდიდ ნიშიში, სამხრეთ დაკოტაში. ეს ის ადვილია, სადაც 1890 წელს მოხდა ტრაგიკული ბრძოლა სიუს ინდიელებსა და აშშ-ს კავალერიას შორის. ინდიელები იქ იდგნენ 71 დღის განმავლობაში და დროდადრო ცეცხლს უშენდნენ ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებს.

1946 წელს კონგრესმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც ადგენდა, რომ ინდიელებს მისცემოდათ კომპენსაცია იმ მიწების სანაცვლოდ, რომელიც მათ ჩამოერთვათ. 1970-იან წლებში აბორიგენ ამერიკელთა უფლებების ფონდმა გამოიყენა ეს კანონმდებლობა და მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია. ინდიელებს დაუბრუნდათ მიწები შუა-დასავლეთ შტატებში და, აგრეთვე, ოკლაჰომის,



დამარხეთ ჩემი გული

მგლოვიარე აბორიგენი ამერიკელები 1990 წლის 29 დეკემბერს შეიკრიბნენ ეუნდილ ნიში, სამხრეთ დაკოტაში, ასი წლის წინ აქ მომხდარი ტრაგედიის გასახსენებლად. ამ ადგილას, ორასი სიუს ინდიელი, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით, დახოცა ამერიკულმა კავალერიამ. გადარჩენილთა შთამომავლობა, ქვეითად და ცხენზე ამხედრებული, მივიდა ისტორიული შეტაკების ადგილას, რათა აღენიშნათ ტრაგედიის ასი წლისთავი და ქატივი მივლით თავისი წარსულისათვის.

ნიუ-მექსიკოსა და უომინგტონის შტატებში. 1980 წელს უზენაესმა სასამართლომ დაავალა ფედერალურ მთავრობას, გადაეხადა სიუსათვის 117 მილიონი დოლარი და პლუს პროცენტები სამხრეთ დაკოტას ბლექ ჰილის მიწებისათვის, რომლებიც მიტაცებულ იქნა ერთი საუკუნის წინ. სხვა სასამართლო საქმეები, რომლებიც ეხება მიწებს ამერიკის ერთი სანაპიროდან მეორემდე, ჯერ კიდევ ელოდება დამთავრებას. სასამართლო დავა ამერიკელ აბორიგენტთა სახელით, შეიძლება, ყველაზე ეფექტიანი იარაღი გამოდგეს თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლაში.

ესპანურენოვანი ამერიკელები

მრავალ ესპანურენოვან ამერიკელს (Hispanic Americans) მდიდარი და ღრმად ფესვგადგმული კულტურული მემკვიდრეობა აქვს ამერიკაში. 1920-იან წლებამდე ისინი, უპირატესად, ცხოვრობდნენ სამხრეთ-დასავლეთ შტატებში და კალიფორნიაში. შემდგომში, მექსიკელთა და პუერტო-რიკოელთა დიდი რიცხვი ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოსა და უკეთესი ცხოვრების საძიებლად. შავკანიანთა მსგავსად, რომლებმაც ჩრდილოეთის ქალაქებში

გადინაცვლეს, ამ იმიგრანტთა უმრავლესობა სიღარიბესა და დისკრიმინაციას შეეჯახება.

მეორე მსოფლიო ომმა დასაბამი მისცა მექსიკელ იმიგრანტთა მეორე ტალღას, რომლებიც ამჯერად ფერმებში მუშაობდნენ, ძირითადად კალიფორნიაში. 1950-იანი წლების ბოლომდე, ფერმის მუშების უმრავლესობა, მიუხედავად რასისა, სიღარიბეში ცხოვრობდა. ის ესპანურენოვანი ამერიკელები, რომლებიც დიდ ქალაქებში დასახლდნენ, უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ. მილიონობით მექსიკელი კვლავ გადმოდიოდა აშშ-ს საზღვარზე როგორც ლეგალურად, ისე არალეგალურად. ამან ძალზე დასცა შრომის ანაზღაურება კალიფორნიისა და სამხრეთ-დასავლეთის ფერმებში.

ესპანურენოვან ამერიკელთა რიცხვი კვლავ იზრდება. იმ 20 მილიონ ესპანურენოვან ამერიკელთაგან, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდნენ 1970-იან წლებში, უმეტესობა პუერტო-რიკოელებსა და მექსიკელ-ამერიკელებს შეადგენდა. შემდგომში მათ შეუერთდნენ იმიგრანტები ლომინიკის რესპუბლიკიდან, კოლუმბიიდან, კუბიდან, ეკვადორიდან და სხვა ქვეყნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ მათ გარკვეულად დაეხმარა სამოქალაქო უფლებების კანონმდებლობა, ისინი მაინც უღარიბესსა და ყველაზე უწიგნურ ჯგუფებს წარმოადგენენ აშშ-ში.

ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლები ესპანურენოვან ამერიკელთა შორის გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებში. იმის გამო, რომ საარჩევნო კომისიების ესპანურად მოლაპარაკე წევრების რაოდენობა ძალიან მცირეა, რეგისტრაციის დაბალი დონე გარდუვალია. თავის მხრივ, არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი დამოკიდებულია ეფექტიან პოლიტიკურ რეკლამაზე, ამ ჯგუფის ამერიკელები კი არ წარმოადგენენ ისეთ პოლიტიკურ სამიზნეს, როგორც სხვა ჯგუფები. ასეთი დაბრკოლების მიუხედავად, ესპანურენოვანმა ამერიკელებმა დაიწყეს ხელისუფლებაში მოსვლა. ესპანურენოვანი წარმოშობის ამერიკელები მერად აირჩიეს სან-დიეგოში, ღენვერში, მაიამიში და სან-ანტონიოში. 1992 წლის არჩევნებისას კონგრესში აირჩიეს ჩვიდმეტი ამერიკელი. პრეზიდენტმა ქლინტონმა თავისი კაბინეტის წევრებად დანიშნა ორი ესპანურენოვანი პირი. თავისი წარმომადგენლების საშუალებით ესპანურენოვან ამერიკელებს ხელი მიუწვდებათ, აგრეთვე, გარკვეულ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე იმ კოალიციაში, რომელიც ყველაზე დიდი გავლენის მქონეა უმცირესობის საქმეთა პოლიტიკის შემუშავების სფეროში.

შრომის უნარო ამერიკელები

1990 წელს ფიზიკური ნაკლის მქონე მილიონობით ამერიკელმა მოიპოვა აღიარება, როგორც დაჩაგრულმა უმცირესობამ, იმასთან დაკავშირებით, რომ კონგრესმა მიიღო „აქტი შრომისუნარო ამერიკელთა შესახებ“. ეს კანონი კიდევ უფრო აფართოვებს ამ ჯგუფის მოქალაქეთა დაცვის იმ არეალს, რაც განხორციელდა სამოქალაქო უფლებების დაცვის 1964 წლის აქტით ფიზიკური



წინსვლა

1990 წელს ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ადამიანები მოაქციეს 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტის“ მეურვეობის ქვეშ. უფლებრივმა ცვლილებებმა დასაშვები გახადა საინვალიდო ეტლს მიჯაჭვული პიროვნების, მაგალითად, სურათზე ნაჩვენები ირენის - კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტის - საზოგადოებრივ ადგილებში ყოფნა და უფრო სრულფასოვანი ცხოვრება

და გონებრივი ნაკლის მქონე პირთა მიმართ, მათ შორის შიდსით დაავადებულთა, განკურნების გზაზე დამდგარი ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების მიმართ. ეს აქტი ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ამერიკელთათვის ხელმისაწვდომს ხდის დასაქმებას, ტრანსპორტს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და კავშირგაბმულობის სამსახურს.

ამ გვგუვის ქომაგებმა სამოქალაქო უფლებების დაცვის არსებულ კანონში იპოვეს მზა მოდელი. ოპონენტები კამათობდნენ, რომ კანონის მიერ დაშვებული ასეთი ცვლილებები (ეთქვათ, ინვალიდის ეტლზე მიჯაჭვული კაცისათვის ყველგან მისვლის საშუალების შექმნა) მილიარდობით დოლარი დაუჯდება ქვეყანას. ამაზე მომხრენი პასუხობდნენ, რომ დანახარჯები გაწონასწორდება ფედერალური დახმარების ტოლფასი, ან უფრო მეტი, შემცირებით, რადგან ეს ხალხი დახმარებას მუშაობას ამჯობინებს.

ცვლილება კანონში, იმის მიუხედავად, თუ როგორი ენთუზიაზმითაც არ უნდა იყოს იგი მიღებული, არ განაპირობებს ცვლილებებს სოციალურ განწყობაში. კანონებმა, რომლებმაც აკრძალეს რასობრივი დისკრიმინაცია, ვერ აღმოფხვრეს რასიზმი. კანონები, რომლებიც კრძალავენ ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლის მქონე ადამიანთა მიმართ წინასწარაღებულ დამოკიდებულებას, ვერ იძლევა გარანტიას იმისა, რომ ნაკლის მქონეებს ისევე მოეპყრობიან, როგორც ჯანმრთელებს, ეთქვათ, სამუშაოზე მიღებისას. თუმცა, ნაკლის მქონეთა მიმართ

დამოკიდებულების ასეთი განწყობის ბარიერები, სხვა უმცირესობებთან დამოკიდებულების მსგავსად, ნელ-ნელა გაქრება.

სქესი და თანასწორი უფლებები: ქალთა მოძრაობა

საარჩევნო ურნებმა და სასამართლო პროცესებმა უმცირესობებს ამერიკაში გარკვეული ზომის თანასწორობა მოუტანა. უზენაესმა სასამართლომ გააფართოვა უმცირესობისათვის ხელმისაწვდომი კანონიერი საშუალებების სიმრავლე, რათა დაეხმაროს მათ სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლაში. ამ ცვლილებებით ქალებმაც ისარგებლეს.

პროტექციონიზმი

1970-იან წლებამდე კანონები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ქალთა სამოქალაქო უფლებებზე, დაფუძნებული იყო ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობათა ტრადიციულ შეხედულებებზე. ამ კანონების ღერძს წარმოადგენდა „პროტექციონიზმი“, ის იდეა, რომ ქალები დაცული უნდა იყვნენ ცხოვრების ჭირ-ვარამისაგან. ისინი, მართლაც „დაცული“ იყვნენ კანონებით, რომლებიც მათთვის დისკრიმინაციული იყო სამუშაოზე მიღებისას და სხვა სფეროებში. მცირედი გამონაკლისის გარდა, ქალები ასევე „დაცული“ იყვნენ არჩევნებში მონაწილეობისაგან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე.

„პროტექციონიზმმა“ მწვერვალს მიაღწია 1908 წელს, როცა უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ორეგონის შტატის კანონს, რომელიც ზღუდავდა ქალთა სამუშაო დროს (Muller, 1908). ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა განსხვავებას სქესში იმ თვალსაზრისით, რომ ის ფართო რწმუნებებს ანიჭებდა კანონებს, რომლებიც იცავდნენ „სუსტ სქესს“. ამან განსაზღვრა ის კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა ქალების მუშაობას კვირაში 48 საათზე მეტ ხანს და ისეთ სამუშაოზე მიღებას, სადაც მათ 35 გირვანქაზე (დაახლოებით 16 კგ) მეტი ტვირთის აწევა მოუხდებოდათ. სინამდვილეში, ქალები მოწყვეტილ იქნენ ისეთი სამუშაოსაგან, რომელიც დამატებით დროს (და დამატებით ანაზღაურებას) მოითხოვდა. ამის მაგივრად, მათ მხოლოდ ისეთ სამუშაოზე ღებულობდნენ, რომელიც, კაცების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო შეეფერებოდა მათ შესაძლებლობებს.

1991 წელს უზენაესმა სასამართლომ გადაჭრით უარყო „პროტექციონიზმი“ იმით, რომ მან შეცვალა სამუშაო ძალის დამქირავებელთა პოლიტიკა, რომელიც უკრძალავდა ბავშვის ყოლის უნარის მქონე ქალებს ემუშავათ იქ, სადაც მათ საქმე ექნებოდათ ტოქსიკურ ნივთიერებებთან, რასაც შეეძლო ემოქმედა ნაყოფზე. ეყრდნობოდა რა 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტის შესწორებებს, სასამართლომ დაადგინა, რომ „მდღერობითი სქესის წარმომადგენლები, რომელთაც სამუშაოს შესრულების ისეთივე უნარი შესწევთ, როგორიც მამაკაცებს, არ

შეიძლება იძულებით დაყენებულ იქნენ არჩევანის წინაშე – იყოლიონ ბავშვი თუ იქონიონ სამუშაო“ (International, 1991).

პოლიტიკური თანასწორობა ქალებისთვის

1878 წელს სიუზენ ბ. ენთონიმ, ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის აქტივისტმა, დაარწმუნა ერთი სენატორი კალიფორნიიდან იმაში, რომ საჭირო იყო საკანონმდებლო ინიციატივა კონსტიტუციაში შესწორების შესახებ, რომელიც მოითხოვდა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის უფლება – მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, არ შეიძლება გაუქმებულ ან შეკვეცილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების (ან რომელიმე შტატის) მიერ სქესის საფუძველზე“. ეს შესწორება მრავალჯერ წამოაყენეს და ჩააგდეს მომდევნო ოცი წლის განმავლობაში. თუმცა, რამდენიმე შტატმა, უმთავრესად, ცენტრალურ დასავლეთსა და დასავლეთში, მიანიჭა ქალებს არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდული უფლება.

1900-იანი წლების დასაწყისში არჩევნებში ქალების მონაწილეობის უფლებისათვის მოძრაობა კონსტიტუციაში ცვლილებისათვის პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა. ეს ბრძოლა 1920 წელს წარმატებით დაგვირგვინდა, როცა XIX შესწორებამ ქალებს მიანიჭა არჩევნებში მონაწილეობის უფლება იმ ფორმულირებით, რომელიც პირველად სიუზენ ბ. ენთონიმ წამოაყენა.

1992 წლის არჩევნებში, გამოიყენეს რა აღნიშნული უფლება, ქალები ცოტა უფრო მიუახლოვდნენ თანასწორობას კონგრესში. იმ წელს, რომელსაც ბევრი თავიდანვე „ქალების წლად“ მიიჩნევდა, ქალთა რიცხვი სენატში ორიდან ექვსამდე გაიზარდა, წარმომადგენლობით პალატაში კი – ოცდარეიდან ორმოცდაშვიდამდე.

სქესზე დამყარებული დისკრიმინაციის აკრძალვა

თანასწორი უფლებებისთვის ქალთა მოძრაობამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, როცა 1963 წელს კონგრესმა მიიღო „თანასწორი ანაზღაურების აქტი“. ეს აქტი მოითხოვდა, რომ ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას ანაზღაურება თანასწორი ყოფილიყო როგორც კაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. თუმცა, შტატების პროტექციონისტული კანონები ჯერ კიდევ ზღუდავდნენ ქალებს იმ სამუშაოთი, რომელზეც მამაკაცები, ჩვეულებრივ, არ თანხმდებოდნენ. იქ, სადაც სამუშაო დანაწილებული იყო სქესის მიხედვით, თანასწორი ანაზღაურება ლიტონ დაპირებად რჩებოდა. იმისათვის, რომ განთავისუფლებულიყვნენ პროტექციონისტული შეზღუდვებისაგან, ქალები სამუშაოზე აყვანის ერთნაირ შესაძლებლობებს საჭიროებდნენ. ეს შესაძლებლობა მათ მიიღეს 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტითა და მომდევნო კანონმდებლობით. სპეციალური კომისია, რომელიც ამ კანონის შედეგად შეიქმნა, უფლებამოსილია იმოქმედოს სქესზე დამყარებული დისკრიმინაციის გამო (ანუ სექსიზმით) დაზარალებულთა სახელით.

პრეზიდენტის მომდევნო ბრძანებულებები და კანონმდებლობა ქალთა უფ-

ლებების შესახებ მოტივირებული იყო სამოქალაქო უფლებათა მოთხოვნების ზეწოლით, ისევე, როგორც ქალთა მოძრაობის აღორძინებით, რომელიც ჩაცხრა XIX შესწორების მიღების შემდეგ. ერთ-ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კანონი იყო 1972 წლის „საგანმანათლებლო სისტემაში შესწორებათა შეტანის აქტის“ IX მუხლი, რომელიც ფედერალურ საგანმანათლებლო პროგრამებში კრძალავდა სქესზე დამყარებულ დისკრიმინაციას. შემდეგი მხარდაჭერა ქალეზისათვის გაჩნდა 1972 წლის „სამშემოსავლო აქტის“ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა საგადასახადო შეღავათებს ბავშვების მოვლაზე გაწეული ხარჯების გამო. ამ აქტის საფუძველზე მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს ეძლეოდათ დახმარება ისე, რომ ქალებს ჰქონოდათ შესაძლებლობა დარჩენილიყენენ მომუშავეთა შტატში.

სტერეოტიპების გადასინჯვა

„პროტექციონიზმის“ თითქმის საუკუნოვანი ხელშეწყობის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო სქესზე დამყარებულ განსხვავებებს. 1971 წელს მან გააუქმა ერთი შტატის კანონი, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცებს ქალებთან შედარებით: იმ შემთხვევაში, თუკი პიროვნება ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოახერხა მემკვიდრის დასახელება, მისი ქონება გადაეცემოდა ოჯახის წევრ მამაკაცს. ორი წლის შემდეგ მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ წარსული ეპოქის პატრიარქატი მუშაობდა „ქალების არა კვარცხლბეკზე ასაყვანად, არამედ მათ გალიაში ჩასასმელად“ (Frontiero, 1973). ისინი კიდევ უფრო წინ წავიდნენ ზოგიერთი იმ კანონის გაუქმების საქმეში, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქალებს მათი სქესისათვის დამახასიათებელი „ტრადიციული როლის“ შეცვლაში“. 1976 წელს უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ გააიძუშა ასეთი კანონების გადახედვის სამუშაო პრინციპი: სქესზე დამყარებული განსხვავებები გამართლებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ემსახურებიან რაიმე მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ მიზანს (Craig, 1976).

შესწორება თანასწორი უფლებების შესახებ

ქალები ვერ სარგებლობენ იგივე უფლებებით, რითაც კაცები. სქესზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც „პროტექციონიზმის“ პოზიციიდან იცავს ქალებს, ჩაწნულია ამერიკის ცხოვრების საკანონმდებლო ქსოვილში. ასეთმა „პროტექციონიზმმა“ შეზღუდა ქალთა საშუალება გაეწიათ სოციალური და ეკონომიკური კონკურენცია კაცებისათვის თანასწორ საწყისებზე. უზენაესი სასამართლო ყოყმანობდა, გაეცვლებინა თუ არა XIV შესწორების პრინციპები რასობრივი სფეროს მიღმა. თუკი კონსტიტუციის ინტერპრეტაცია ასეთ შეზღუდვას გულისხმობს, მაშინ ის შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ კონსტიტუციური შესწორებით.

შესწორება თანასწორი უფლებების შესახებ (Equal Rights Amendment - ERA) პირველად 1923 წ. წამოაყენა ქალთა ეროვნულმა პარტიამ, ქალთა ერთ-

ერთმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც არ დაიშალა XIX შესწორების მიღების შემდეგ. ERA აცხადებდა, რომ „ამ კანონით არ შეიძლება უარყოფილ ან შეკვეცილ იქნას თანასწორუფლებიანობა, სქესობრივი განსხვავებიდან გამომდინარე“.

ქალთა უფლებების მხარდამჭერთა ეროვნულმა კოალიციამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა კონგრესში შესწორების გასაყვანად 1972 წელს: შესწორების რატიფიცირებისათვის მათი მომხრეების განკარგულებაში შეიდი წელი იყო. საჭირო იყო სულ ცოტა 38 შტატის კანონმდებელთა თანხმობა. 1977 წლისთვის სულ სამი შტატის რატიფიკაცია იყო საჭირო, რომ შესწორება დამტკიცებულიყო. ამ დროს კი სამმა შტატმა გააუქმა რატიფიკაცია. უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, კონგრესმა გააგრძელა რატიფიკაციის ვადა. ამან საქმეს ვერ უშველა. შესწორება თანასწორი უფლებების შესახებ არ იქნა მიღებული. 1982 წლის 1 ივლისისათვის ის მხოლოდ 35 შტატში დაამტკიცეს.

რატომ ჩავარდა შესწორება? მან სწრაფად დარაზმა ოპონენტები იმ ქალთა ჩათვლით, რომლებიც ადრე მხარს უჭერდნენ ქალთა უფლებების გაფართოების კანონებს. ოპოზიციის გაძლიერების კვალობაზე, განსაკუთრებით კი იმ ქალების მხრიდან, რომელთაც სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ტრადიციული როლი, შტატების კანონმდებლებმა ჩათვლეს, რომ შესწორება გარკვეულ რისკს შეიცავდა.

კონსტიტუციის შესწორების რატიფიკაცია განსაკუთრებულ უმრავლესობას მოითხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მხოლოდ კარგად გაერთიანებული უმცირესობა, რათა არ აღსრულდეს უმრავლესობის ნება.

მარცხის მიუხედავად, მოძრაობამ შესწორების რატიფიკაციისათვის დიდი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. მან აამაღლა ქალთა ცნობიერება მათი სოციალური მდგომარეობის შესახებ, ბიძგი მისცა „ქალთა უფლებების ეროვნული ორგანიზაციისა“ და სხვა დიდი ორგანიზაციების შექმნას, ხელი შეუწყო ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში და გავლენა იქონია ძირითად კანონებზე, რომლებიც ქალებს შეეხებათ (Mansbridge, 1986).

სხვა კანონებს, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას შეეხება, უსწრაფესად ღებულობენ, რაც შესწორების რატიფიკაციის მარცხის სრულიად კონტრასტულ სურათს წარმოადგენს: ქალთა უფლებების დამცველ კანონმდებლობას, ფაქტობრივად, არ გააჩნდა გამოკვეთილი ოპოზიცია. მაგრამ, თუკი რასობრივი დისკრიმინაციის მოშლას წლები დასჭირდა, ასევე მოითხოვს დროს სქესზე დამყარებული დისკრიმინაციის მოშლაც.

ზოგიერთი სწავლულის აზრით, პრაქტიკული მიზნებისათვის უზენაეს სასამართლოს უკვე დამტკიცებული აქვს ქალების უფლებათა თანასწორობა: მან გააუქმა სქესზე დამყარებული განსხვავებული უფლებები; იგი მიუთითებდა, რომ სქესზე დამყარებული განსხვავების სტერეოტიპული განზოგადება არ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული; ბოლოდროინდელი დადგენილებით უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შტატებს შეუძლიათ მოს. ხოვონ დამქირავებლებს დეკრეტული შევბუღებიდან დაბრუნებული ქალების სამუშაოზე აღდგენის უზრუნველყოფა და, რომ სქესიდან გამომდინარე, მუშაკის რაიმე შეზღუდვა არაკანონიერია.

აფირმატიული ქმედება: თანასწორი შესაძლებლობები თუ შედეგის თანასწორობა?

„დიად საზოგადოებაზე“ თავისი შეხედულებიდან გამომდინარე პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ეკონომიკური უფლებები სამოქალაქო უფლებებს დაუკავშირა, ხოლო შედეგის თანასწორობა – შესაძლებლობათა თანასწორობას. „თანასწორი შესაძლებლობები აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი“ – განაცხადა მან, „ჩვენ ვესწრაფვით არა მარტო კანონის თანასწორობას, არამედ ადამიანთა იურიდიული კომპეტენციის თანასწორობას, არა მარტო თანასწორობას, როგორც თეორიულ უფლებას, არამედ თანასწორობას, როგორც ფაქტსა და შედეგს“.

ამ საზეიმო ვალდებულებამ დასაბამი მისცა „აფირმატიული* ქმედების“ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებენ ქალთა, უმცირესობათა და ინვალიდთა უფლებების გაფართოებას.

აფირმატიული ქმედების პროგრამები მოიცავენ მთელ რიგ ზოგად და კერძო პროგრამებს, პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც ემსახურებიან დასაქმების ზრდას და აღნიშნული ჯგუფების დაწინაურებას ან დაშვებას სამუშაო ადგილებზე. ეს პროგრამები ითვალისწინებენ ამ პირთა დაქირავებას, მათდამი უპირატეს დამოკიდებულებას, ქვოტებს პროფესიულ მომზადებაში, განათლების მიღებაში და დასაქმებაში, აგრეთვე, სახელმწიფო კონტრაქტების დადებისას. ამ პროგრამების მიზანია გავცდეთ შესაძლებლობის თანასწორობას და მივაღწიოთ შედეგის თანასწორობას.

აფირმატიული ქმედების პროგრამების სასარგებლოდ გამოთქმული მრავალი არკუმენტი შეიძლება დაყვანილ იქნას იქამდე, რომ წარსულში გარკვეული ჯგუფები განიცდიდნენ მტრულ, უსამართლო დისკრიმინაციას, რომელიც ართმევდა მათ საგანმანათლებლო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ამ დისკრიმინაციის ხანგრძლივი შედეგების აღმოსაფხვრელად საზოგადოებრივმა და კერძო სექტორებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რომლებიც ამ ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომს გახდიან კარგ განათლებასა და სამუშაოს. თუკი უმრავლესობა ოდესღაც მიმართავდა დისკრიმინაციას გარკვეული ჯგუფების მიმართ, რათა ისინი დაბალ დონეზე ჰყოლოდათ, ახლა ამავე უმრავლესობამ უნდა განახორციელოს დისკრიმინაცია ამავე ჯგუფების წინსვლისათვის. ამიტომაც, ქვოტები წარმატების კიბეზე ადგილის უზრუნველყოფისათვის კანონიერი საშუალებაა (Urofski, 1991, p.20).

აფირმატიული ქმედების ოპონენტები თვლიან, რომ აღნიშნული ჯგუფებისათვის ქვოტების გამოყოფა აუცილებლად ქმნის შეურაცხმყოფელ დისკრიმინაციას (უკუდისკრიმინაციის ფორმით) იმ პირთა მიმართ, რომელთაც არავითარი ბრალი არ მიუძღვით. უფრო მეტიც, ქვოტებმა გამოიწვია ნაკლებად კვალიფიცირებულთა ჩარიცხვა, დაქირავება ან დაწინაურება მაღალკვალიფიცირებულთა

* მომდინარეობს სიტყვიდან affirmation – საზეიმო, მტკიცე განცხადება (მთარგმნელის შენიშვნა).

ხარჯზე. ასეთი პოლიტიკა ლახავს პიროვნების უფლებას, წარმატებას მიაღწიოს თანასწორობის საფუძველზე.

უკუდისკრიმინაცია

უზენაესი სასამართლო აფირმატიული ქმედების ქვოტების პროგრამას პირველად შეეჯახა ბეკის საქმის განხილვისას (Regents, 1978). აღან ბეკიმ, ოცდათხუთმეტი წლის თეთრკანიანმა, ორჯერ მიმართა კალიფორნიის უნივერსიტეტის (ქ. დეივისი) სამედიცინო სასწავლებელს სტუდენტთა სიაში ჩასარიცხად. მას ორჯერვე უარი ეთქვა. 100-კაციან მისაღებ კონტიგენტში დაჯავშნული იყო 16 ადგილი უმცირესობებისათვის, როგორც უნივერსიტეტის აფირმატიული ქმედების პროგრამის ნაწილი. ბეკის კვალიფიკაცია (კოლეჯის ნიშნები და ტესტირების შედეგები) უფრო მაღალი იყო, ვიდრე უმცირესობებიდან მიღებული ნებისმიერი სტუდენტისა ამ ორი წლის განმავლობაში.

ბეკიმ იჩივლა ჯერ კალიფორნიის სასამართლოში, შემდეგ უზენაეს სასამართლოში. იგი აცხადებდა, რომ სასწავლებელში არ მიიღეს მხოლოდ და მხოლოდ რასობრივ საფუძველზე, რომ ასეთი უკუდისკრიმინაცია აკრძალული იყო XIV შესწორების თანაბარი დაცვის პუნქტით და 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტით“.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმის შესახებ შეიცავდა ექვს განსაკუთრებულ აზრს და წარმოდგენილი იყო 154 გვერდზე. თუმცა გულდასმითი ანალიზის შემდეგაც კი ძნელია იმის გარკვევა, თუ რა გადაწყვეტა სასამართლომ: აქ არ იყო უმრავლესობის დასკვნა. ოთხი მოსამართლე წერდა, რომ რასობრივი ქვოტის ნებისმიერი სისტემა, რომელსაც მხარს უჭერს ხელისუფლება, არღვევს სამოქალაქო უფლებების 1964 წლის აქტს. მოსამართლე ლიუის ფ. პაუელი დაეთანხმა ამას და ამით გადამწყვეტი ხმა შესძინა გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც საწვდომი სკოლას დაევალა ბეკის მიღება. იმავე პაუელის აზრით, რასობრივი ქვოტების მკაცრი გამოყენება, როგორც ეს სკოლებში ხდებოდა, არღვევდა კონსტიტუციის XIV შესწორების იმ პუნქტს, რომელიც ადამიანთა თანასწორ დაცვას ეხებოდა. სხვა ოთხი მოსამართლე კი იზიარებდა იმ აზრს, რომ რასის, როგორც კრიტერიუმის, გამოყენება უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას კონსტიტუციურად დასაშვებია იყო. მოსამართლე პაუელმა არსებითად გაიზიარა ეს აზრიც, მაგრამ თავის განსაკუთრებულ მოსაზრებაში დაუმატა, რომ რასის გამოყენება შეიძლება, როგორც ერთ-ერთი კრიტერიუმისა: ამ გზით უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა თეთრკანიანის მოთხოვნებიც (ბეკის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტით) და, ამავე დროს, რასობრივ უმცირესობებსაც გაუფართოვა უფლებები აფირმატიული ქმედების მხარდაჭერით.

თუმცა უზენაესმა სასამართლომ ასეთი ორაზროვანი გადაწყვეტილება მიიღო, ბეკის საქმემ ხელი შეუწყო რასობრივი უმცირესობების წინსვლას. მომდევნო ათწლეულში ფერადკანიანი ექიმების რაოდენობა გაორმაგდა. უფრო მეტიც, ასეთი ექიმები მზად იყვნენ ემუშავათ ისეთ რეგიონებში, სადაც სამედი-

ცინო მომსახურება დაბალი დონისა იყო. ისინი ემსახურებოდნენ ღარიბი პაციენტების დიდ რაოდენობას მათი რასისა და ეთნიკურობის მიუხედავად (Kcith et al., 1987).

ამას მოჰყვა სხვა საქმეები. 1979 წელს უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ნებაყოფლობით აფირმატიულ ქმედებას, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა შვეკანიანებს კადრების მომზადების პროგრამაში. მაგრამ ხუთი წლის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება უნდა ხდებოდა სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით (რასის მიუხედავად), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფერადკანიანი მუშაკები შეძლებდნენ იმის დამტკიცებას, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი აღმოჩნდნენ (Firefighters, 1984).

დისკრიმინაციის მსხვერპლნი

1984 წლის გადაწყვეტილებამ თანამშრომელთა რაოდენობის შემცირების წესის შესახებ წამოჭრა მძიმე საკითხი: ეხება თუ არა აფირმატიული ქმედების ყველა პროგრამა (და არა მარტო შტატების შემცირების საკითხზე) მხოლოდ წარსული დისკრიმინაციის რეალურ მსხვერპლთ? უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივი პასუხი გასცა ამ კითხვას 1986 წელს, როდესაც გააუქმა ერთი სასკოლო სამმართველოს შტატების შემცირების გეგმა, რომლის მიხედვითაც უმცირესობათა ჯგუფების წევრებს უპირატესობა ენიჭებოდათ: გეგმა ითვალისწინებდა ყველა შვეკანიანი მასწავლებლის შენარჩუნებას (თეთრკანიანთა ხარჯზე) იმ მიზნით, რათა საერთო სოციალური დისკრიმინაცია შეემცირებინათ და შვეკანიანი სტუდენტებისათვის სამაგალითო პედაგოგები შეენარჩუნებინათ. მაგრამ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი არგუმენტაცია არ იყო საკმარისი, რათა იძულებული გაეხადა ცალკეული ინდივიდები თვითონ ეტვირთათ შტატების შემცირების მძიმე შედეგები. სასამართლოს ამ პოზიციას მოსამართლე პაუელი იმით ასაბუთებდა, რომ სამუშაოზე მიღებისას აფირმატიული ქმედების მიზნები მთელ ტვირთს თანაბრად აკისრებდა საზოგადოებას, მაშინ, როდესაც უდანაშაულო თეთრკანიანების სამუშაოდან დათხოვნა „რასობრივი თანასწორობის მიღწევის მთელ ტვირთს ცალკეულ ინდივიდებს აკისრებდა“.

მშენებელთა კავშირის ნიუ-იორკის ადგილობრივი ორგანიზაცია სამოცდათხუთმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა აშკარა რასობრივ დისკრიმინაციას. 1975 წელს, როდესაც საოლქო ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაარღვია 1964 წლის „სამოქალაქო უფლებათა აქტის“ მეშვიდე მუხლი და მოსთხოვა კავშირს, თანაბარი ოდენობით მიეღო თეთრკანიანი და არათეთრკანიანი შეგირდები, მშენებელთა კავშირმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა ეს განაჩენი. იგი ამტკიცებდა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო კანონიერი, რადგან იგი რასობრივ ნიადაგზე უპირატესობას ანიჭებდა იმ პიროვნებებს, რომლებიც სულაც არ იყვნენ ამ ორგანიზაციის მხრიდან უკანონო დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

უზენაესმა სასამართლომ, 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა აფირმატიულ ქმედებას იმ პიროვნებების სასარგებლოდ, რომლებიც არ ყოფილან დისკრიმინაციის რეალური მსხვერპლნი (Local, 1986). სასამართლოს უმრავლესობამ დაადგინა, რომ სასამართლოს შეეძლო ებრძანებინა კავშირისთვის, გამოეყენებინათ ქვოტები, რათა დაეძლიათ აშკარა დისკრიმინაცია და შავკანიან და ესპანურენოვან სწავლის მსურველებს შესძლებოდათ სარგებელი ენახათ აფირმატიული ქმედებიდან, მაშინაც კი, როცა ამჟამინდელი სწავლის მსურველები თვითონ არ ყოფილან წინანდელი დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

დაყვანილი უნდა იქნეს თუ არა აფირმატიული ქმედება მხოლოდ რასობრივი უთანასწორობის დაძლევის ინტერესებამდე? რა შეიძლება ითქვას დაიანა ჯონსისა და პოლ ჯონსონს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ, რომელიც აღწერილი იყო ამ თავის დასაწყისში? ჯონსონმა თავისი საქმე გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რათა დაემტკიცებინა, რომ იგი 1964 წლის სამოქალაქო უფლებების მეშვედე მუხლის შესაბამისად სქესობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. ამ მუხლის მიხედვით, დამქირავებელს არ შეეძლო შეზღუდვა, სვრევიერება ან ისე დაჯგუფება მშრომელებისა, რომ ამით „წაერთმია რომელიმე პიროვნებისათვის დასაქმების შესაძლებლობა“.

მოსამართლეებმა მიიღეს გადაწყვეტილება „ჯონსონი სანტა კლარას სატრანსპორტო სააგენტოს წინააღმდეგ“ საქმესთან დაკავშირებით 1987 წელს. მათ, 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ დაადგინეს, რომ, თუკი ქალები და უმცირესობები სათანადოდ არ არიან წარმოდგენილი სამუშაო ადგილებზე, დამქირავებელს შეუძლია გამოასწოროს ეს უთანასწორობა. გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო, სულ ცოტა, ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, დამქირავებლებს არ ესაჭიროებოდათ წარსული დისკრიმინაციის აღიარება და, მეორე, თუკი დაქირავებულებს არ დააწინაურებდნენ, მათ არ შეეძლოთ ეჩივლათ უკუდისკრიმინაციისათვის. ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ უჭერდა მხარს აფირმატიული ქმედების პროგრამებს.

მოსამართლე ენთონინ სკალიამ, რომელიც სასტიკად არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, თავის მოსაზრებაში ყურადღება გაამახვილა ორ ნაცნობ თემაზე: კონფლიქტებზე ფასეულობებს შორის და დემოკრატიის მოდელებზე. მან განაცხადა, რომ სასამართლოს უმრავლესობამ „იმის გარანტია, რომ რასა და სქესი არ ყოფილიყო დასაქმების განმსაზღვრელი, გადააცია იმის გარანტიად, რომ ისინი ხშირად სწორედ ამის განმსაზღვრელები გახდნენ.“ სასამართლომ – განაგრძობდა სკალია – მიზანი, შეექმნა რასობრივი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი საზოგადოება, შეცვალა შესაბამო მიზნით – გაენაწილებინა ადამიანები სამუშაო ადგილებზე „რასისა და სქესის პროპორციულად“. მარტივად რომ ვთქვათ, თანასწორობამ დაჯაბნა თავისუფლება.

შემდეგ სკალიამ წარმოადგინა პლურალიზმის თავისი ხედვა. მან აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მოიწონებენ არჩევითი თანამდებობების პირები, რადგანაც „ის იძლევა კარგ საშუალებას სწრაფად მოარგონ ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებული ჯგუფების მოთხოვნები გარკვეულ საარჩევნო ოლქებში მათთვის (არჩევითი

პირებისათვის) ხელსაყრელ რაოდენობრივ ცვლილებებს“. „ერთადერთი, ვინც წააგებს ამ პროცესში“ – ასკენიდა სკალია – „იქებიან ამ ქვეყნის პოლ ჯონსონები, უპირატესად უცნობი, გაჭირვებული და ჯგუფებად არაორგანიზებული ხალხი, რომლებიც უზენაესი სასამართლოს ამ უსამართლობას უნდა ემსხვერპლონ, იმ სასამართლოსი, რომელიც თავს პოლიტიკურად უძლეურთა მხარდამჭერად მიიჩნევს“.

კონფლიქტი თავისუფლებასა და თანასწორობას შორის გრძელდება, რამდენადაც ცალკეული ინდივიდები და ჯგუფები ცდილობენ თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას სასამართლო დავისა და კანონმდებლობის მეშვეობით. ამერიკელებს სურთ თანასწორობა, მაგრამ ისინი ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან, თუ რა მასშტაბით უნდა მიანიჭოს მათ მთავრობამ ეს თანასწორობა (Verba and Orin, 1985). გარკვეული ზომით ეს ორაზროვნება წარმოსდგება თანასწორ შესაძლებლობასა და თანასწორ შედეგს შორის არსებული კონფლიქტისაგან.

თანასწორობის ორი კონცეფცია

ამერიკელთა უმრავლესობა მხარს უჭერს შესაძლებლობის თანასწორობის იდეას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსი თავისი ნიჭის გამოყენებისა და რომ ძალისხმევა და უნარი უნდა დაფასდეს. თანასწორობის ეს ფორმა ყველაზე მეტად აფასებს პიროვნულ მიღწევებს თავისუფალი კონკურენციის შედეგად და ყველას აძლევს უფლებას, რომ „წარმატების კიბეზე“ ავიდეს უდაბლესი საფეხურიდან. სამუშაოზე დაქირავებისას საგანგებო მეთოდები საშუალებას აძლევს ყველას, მათ შორის, უმცირესობათა წარმომადგენლებს და ქალებს, რომ სამუშაოს დაწყებისა თუ დაწინაურების ერთნაირი შანსი ჰქონდეთ. პაექრობა ჯონსონსა და ჯოისს შორის უფრო მაღალი თანამდებობისათვის შესაძლებლობის თანასწორობის მაგალითია.

ამერიკელები ნაკლებად იწონებენ შედეგის თანასწორობის იდეას, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელისუფლებაში პროპორციულად ერთნაირად იყონ წარმოდგენილი სხვადასხვა უმცირესობებისა და სქესის ადამიანები. შედეგის თანასწორობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიზღუდება თავისუფალი კონკურენცია, რაც შესაძლებლობათა თანასწორობის საფუძველია. იგივე ჯონსონისა და ჯოისის მაგალითს თუ მიუვებრუნდებით, ჯონსონი სწორედ ამგვარი მიდგომის მსხვერპლი აღმოჩნდა.

ქვოტების პოლიტიკა ყველაზე მეტ ოპოზიციას წარმოშობს, ვინაიდან იგი უარყოფს თავისუფალ კონკურენციას. ქვოტა ზღუდავს ზოგიერთი ინდივიდის წინსვლას და სხვას (ნაკლებ ღირსეულს) აძლევს ასეთ შესაძლებლობას. ის ცვლის ადამიანების პოზიციას „წარმატების კიბეზე“ და ამას ნიჭსა და უნარს არ უკავშირებს. აფირმატიული ქმედება, რომელიც უმცირესობებსა და ქალებს უპირატესობას ანიჭებს უდანაშაულო თეთრკანიანი მამაკაცების ხარჯზე, იწვევს მძლავრ წინააღმდეგობას, ვინაიდან პირად ინიციატივას უპირისპირებს თანაბარ შედეგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ თავისუფლება უპირისპირდება თანასწორობას.

შეჯამება

როდესაც ახალ სახელმწიფოს აყალიბებდნენ, კონსტიტუციის დამფუძნებლები იძულებული გახდნენ დაერწმუნებინათ შტატები და ხალხი, რომ მათი თავისუფლება დაცული იქნებოდა „უფლებათა ბილის“ საშუალებით. კონსტიტუციის ამ ათი შესწორების ინტერპრეტაციამ, განსაკუთრებით – უზენაესი სასამართლოს მიერ, წარმოქმნა თავისუფლებასა და წესრიგს შორის ბალანსირების ამოცანა.

პირველი შესწორება იცავს შემდეგ თავისუფლებებს: რელიგიის, სიტყვისა და პრესის, მშვიდობიანი თავშეყრისა და პეტციით მიმართვისა. რელიგიის დამფუძნებელი პუნქტი ხელისუფლებისგან მოითხოვს ნეიტრალური პოზიციის დაცვას ცალკეული რელიგიების, რელიგიურობისა და არარელიგიურობის მიმართ. თავისუფალი აღმსარებლობის პუნქტის სასამართლოსეული ინტერპრეტაციის მიხედვით რელიგიური რწმენა ხელშეუხებელია, მაგრამ რელიგიის სახელით ჩადენილი ანტისოციალური ქმედება არ არის დაცული კონსტიტუციის მიერ. რელიგიური პუნქტების უკიდურესმა ინტერპრეტაციამ მათ შორის შეიძლება კონფლიქტი გამოიწვიოს.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, მშვიდობიანი თავშეყრისა და პეტციით მიმართვის უფლებას.

სიტყვისა და პრესის თავისუფლება არასდროს ყოფილა აბსოლუტური, თუმცა ის უფრო მეტადაა დაცული „უფლებათა ბილის“ მიხედვით, ვიდრე სხვა თავისუფლებები. სიტყვის თავისუფლებას აქვს გამონაკლისი, რომელიც კონსტიტუციურ დაცვას არ ექვემდებარება: ეს არის სიმბოლური გამოხატვის ცალკეული ფორმები და უზამსობა. პრესის თავისუფლება თავიდანვე იქნა დაცული კონსტიტუციის მიერ, ვინაიდან თავისუფალი საზოგადოება დამოკიდებულია ხელისუფლების ჩარევის გარეშე ინფორმაციის მოგროვებისა

და გავრცელების შესაძლებლობაზე. მშვიდობიანი თავშეყრისა და პეტციით მიმართვის უფლებები მომდინარეობს იმავე სიტყვისა და პრესის თავისუფლებიდან. თითოეული ეს თავისუფლება ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, მაგრამ მათი გაიზიარება აბსოლუტური არ არის.

1868 წელს XIV შესწორების მიღებამ განაგრძო „უფლებათა ბილის“ მოქმედება შტატებზეც. სათანადო სამართლებრივი პროცედურა ის მექანიზმი აღმოჩნდა, რომელიც შესაძლებელი გახდა „უფლებათა ბილის“ ცალკეული მუხლები თავის თავში მოეცვა და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაეხდა ისინი შტატებისათვის საკრძალო. ნებისმიერი უფლების, როგორც ფუნდამენტურის, დამკვიდრებამ მოითხოვა ამ უფლების დაზუსტებაც.

როცა უზენაესმა სასამართლომ, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბა ახალი ფუნდამენტური უფლებები, ის წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. მაგალითად, ფრაივეისის უფლება საფუძველს ქმნის ქალის უფლებისათვის შეწყვიტოს ორსულობა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პერსონალური ავტონომიის უფლებას. საზოგადოებრივი აზრი აბორტთან დაკავშირებით კვლავაც მკვეთრადაა გაყოფილი, ხოლო მოსამართლეებმა, კონსტიტუციის სახელით, მოუწოდეს შეწყვეტეს პერსონალური ავტონომიის გაფართოება.

სამოქალაქო ომის შესწორებები – XIII, XIV და XV – მიიღეს, რათა „სრულ“ სამოქალაქო უფლებები მიენაცხებინათ შვეკანიანი ამერიკელებისათვის. მე-19 საუკუნის ბოლოს უზენაესმა სასამართლომ ამ შესწორებების მეტად ვიწრო ინტერპრეტაცია დაუშვა და გამოაცხადა, რომ შესწორებები არ ზღუდავენ ინდივიდებს, უარი უთხრან შვეკანიანებს სამოქალაქო უფლებებზე და რომ ეს უფლებები არ ეხება შტატებისათვის შენარჩუნებულ უფლებამოსილებას. უზენაესი სასამართლოს ამ დადგენილებების შედეგად შვეკანიანთა

უმრავლესობისათვის საარჩევნო უფლება მაღალწევსი და რასობრივი სეგრეგაცია ინსტიტუციონალიზებულ იქნა, ხოლო რასიზმი ამერიკის ყოველდღიური ცხოვრების ატრიატად იქცა.

ორი ათწლეულის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში განხილული საქმეების რიგის მეშვეობით რასობრივი სეგრეგაცია სკოლებში თანდათან მოიშალა. დესეგრეგაციისათვის ბრძოლა კულმინაციას მიაღწია 1954 და 1955 წლებში, როდესაც უზენაესმა სასამართლომ ბრაუნის საქმეების განხილვისას სეგრეგირებული სკოლები გამოაცხადა იმთავითვე არათანასწორად და, ამდენად, არაკონსტიტუციურად. სასამართლომ ასევე მოთხოვა ყველა სკოლის დესეგრეგაცია და იგივე განაგრძო ავტობუსებით მომსახურებაზე.

სხვა სამოქალაქო უფლებების შემთხვევებში წარმატება კიდევ უფრო ნელა იქნა მიღწეული. სტიმულის მიძიქვით ძალა იყო მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის, რომელსაც თავის დაღუპვამდე (1968 წელს) ხელმძღვანელობდა მარტინ ლუთერ კინგი, უმცროსი. კინგს მტკიცედ სწამდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და არაძალადობრივი მოქმედებისა, ისეთი სტრატეგიებისა, რომლებიც დაეხმარა შაქვანიანებს მიეღოთ თანასწორი საარჩევნო უფლებები, უკეთესი მომსახურების, საცხოვრებლის, უმაღლესი განათლებისა და საშუაოს მიღების შესაძლებლობა.

სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობამ უმცირესობათა ყველა ჯგუფს მოუტანა შედეგები. მაგალითად, აბორიგენმა ამერიკელებმა (ინდიელებმა) მიიღეს კომპენსაცია წარსულში მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო; ესპანურენოვანმა ამერიკელებმა იგრძნეს, რომ ჯგუფური მოქმედება მათაც მოუტანს ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანასწორობას; ინვალიდმა ამერიკელებმა მიიღეს ავგივე სამოქალაქო უფლებები, რომლებიც აფრო-ამერიკელებმა და სხვებმა მოიპოვეს. სამოქალაქო უფლებების კანონმდებლობამ მოსპო „პროტექციონიზმი“, რაც

სინამდვილეში იყო ქალების მიმართ ლეგალიზებული დისკრიმინაცია განათლებასა და დასაქმებაში.

მიუხედავად საკანონმდებლო წარმატებებისა ქალების უფლებების სფეროში, „შესწორება თანასწორი უფლებების შესახებ“ არ იქნა რატიფიცირებული. და მინც, შესწორების რატიფიკაციისათვის ბრძოლა ზოგიერთი პოზიტიური შედეგი გამოიღო: მან აამაღლა ქალების როლი პოლიტიკაში და მოახდინა ქალების პოლიტიკური ძალა მობილიზაცია ჯგუფური მოქმედების გზით.

აფრიმატიული ქმედების პროგრამები შეიქმნა წარსულში ჩადენილი დისკრიმინაციის შედეგების გასაბათილებლად. ისინი უზრუნველყოფენ უპირატეს უფლებებს ქალებისათვის, უმცირესობებისათვის და ინვალიდებისათვის ცხოვრების ზოგიერთ სფეროში, რაც მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და კეთილდღეობას ზრდის. მაგრამ სინამდვილეში ასეთი პროგრამები ხანდახან ხელს უწყობენ ახალ დისკრიმინაციას წარსულის დისკრიმინაციის აღმოფხვრის საბაბით. უზენაეს სასამართლოში ახლა შეიქმნა ახალი კონსერვატიული უმრავლესობა, რომელიც მოწოდინებულია „უკან შეაბრუნოს“ უფრო ლიბერალური ფრთის თანასწორობის მიმნიჭებელი პოლიტიკა.

ამერიკელებს სურთ თავისუფლება, მაგრამ ეერ შეთანხმებულან იმაზე, თუ რა მასშტაბით უნდა განახორციელოს იგი ხელისუფლებამ. ამ კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს თანასწორ შესაძლებლობებსა და თანასწორ შედეგებს შორის არსებული განსხვავება. ჩვენ შეგვიძლია თანასწორი შედეგების უზრუნველყოფა, თუკი შევზღუდავთ თავისუფალ კონკურენციას, რაც თანასწორი შესაძლებლობების ძირითად არსს წარმოადგენს. ბევრი ამერიკელი კი ამის წინააღმდეგია.

სამოქალაქო თავისუფლებებისა და სამოქალაქო უფლებების უმეტესობა, რომლითაც სარგებლობენ დღეს ამერიკელები, განსაზღვრულ იქნა სასამართლოების მიერ. ეს წინ სწევს არსებით საკითხს:

საზოგადოებრივი პოლიტიკისათვის კონსტიტუციური დაცვის შეთავაზებით სასამართლოებმა, შეიძლება, საფრთხე შეუქმნან დემოკრატიულ პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს თქვას თავისი

სათქმელი ხელისუფლებაში მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. თუმცა, ერთი რამ ნათელია: დემოკრატია მოითხოვს მუდმივ ბალანსირებას თავისუფლებასა და წესრიგს შორის.

საკანძო ტერმინები

დისკრიმინაცია

სამოქალაქო თავისუფლებები

სამოქალაქო უფლებები

დამფუძნებელი პუნქტი

თავისუფალი აღმსარებლობის პუნქტი

სიტყვის თავისუფლების პუნქტი

პრესის თავისუფლების პუნქტი

თავისუფალი გამოხატვის პუნქტები

წინასწარი შეზღუდვა

აშკარა და რეალური საშიშროების

კრიტერიუმი

სიმბოლური გამოხატვა

ცილისწამება (წერილობითი)

ცილისწამება (ზეპირი)

საზოგადოებრივი მოღვაწე

დამნაშავედ ცნობა გასამართლების გარეშე

უკუქმედების ძალის (ex post facto) კანონები

„მირანდას გაფრთხილებები“

გამომრიცხავი წესი

„კეთილსინდისიერების“ გამონაკლისი

რასიზმი

საარჩევნო გადასახადი

რასობრივი სეგრეგაცია

„განცალკევებული-მაგრამ-თანაბარის“

ლოქტრინა

დესეგრეგაცია

სეგრეგაცია დე-იურე

სეგრეგაცია დე-ფაქტო

მოდრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის

ბოიკოტირება

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

discrimination

civil liberties

civil rights

establishment clause

free-expression clause

speech clause

press clause

free-expression clauses

prior restraint

clear and present danger test

symbolic expression

libel

scander

public figure

bills of attainder

ex post facto laws

Miranda warnings

exclusive rule

good faith exception

racism

poll tax

racial segregation

separate-but-equal doctrine

desegregation

de jure segregation

de facto segregation

civil rights movcment

boycott

civil disobedience

დაეოუკიდებლობის დეკლარაცია

კონგრესი, 1776 წლის 4 ივლისი

ამერიკის ცაქეტი შეერთებული შტატის ერთსულოვანი დეკლარაცია

როდესაც კაცობრიობის ისტორიაში ერთი რომელიმე ხალხისათვის აუცილებელი ხდება დაშალოს ის პოლიტიკური კავშირი, რომელიც მას სხვა ხალხებს უქვემდებარებს, და იმისათვის, რათა მან ბუნების კანონისა და ღვთის ბუნებით მონიჭებული უფლების ძალით, მოიპოვოს დამოუკიდებელი და თანასწორი ადგილი დედამიწაზე არსებულ სახელმწიფოთა შორის, კაცობრიობის აზრისადმი მართებული პატივისცემა მოითხოვს, განაცხადოს ის მიზეზები, რამაც იგი აიძულა ცალკე გამოყოფილიყო.

ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა;

რომ ამ უფლებების განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ მათივე თანხმობით, ვისაც ისინი განაკებენ;

რომ თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი, და შეჭქმნას ახალი მთავრობა, დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორც, მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის. ჭეშმარიტად, კეთილგონიერება მოითხოვს, არ იქნას შეცვლილი დიდი ხნის ჩამოყალიბებული მთავრობა უმნიშვნელო და წარმავალი მიზეზების გამო; და ამის შესაბამისად გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ სანამ ბოროტება გასაძლისია, ადამიანები უფრო ადვილად ეგუებიან სიდუხჭირეს, ვიდრე მიჩვეულის მოსპობით ცვირთის შემსუბუქებას. მაგრამ როდესაც გაუთავებელი უსამართლობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მისი გამუდმებით

ერთი მიზნისკენ წარმართვა ხალხს აბსოლუტური დესპოტიზმით ემუქრება, მისი უფლება და ვალა ბოლო მოუღოს ამგვარ მთავრობას და აღავლინოს მოღვაწეთა ახალი დასი თავისი მოძავალი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამგვარი იყო კოლონიების სიდუხჭირე და ამგვარია ამჟამად ის საჭიროება, რომელიც აიძულებს მათ შეცვალონ თავიანთი წინანდელი ხელისუფლების სისტემა. დიდი ბრიტანეთის ახლანდელი ხელმწიფის მართვის ისტორია არის ნუსხა განუწყვეტელი უსამართლობისა და ძალადობისა, რაც განუხრელად მიმართულია ამ შტატებში აბსოლუტური ტირანიის დამყარებისაკენ. ამის დასამტკიცებლად, დაე. წაუყენებელი იქნან ფაქტები პირუთენელი ქვეყნიერებისადმი:

მან უარი სთქვა დაემტკიცებინა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უადრესად სასარგებლო და საჭირო კანონები.

მან აუკრძალა თავის მთავრობას დაუყოვნებელი და სასწრაფო მნიშვნელობის მქონე კანონების მიღება მისი პირადი თანხმობის გარეშე; და როდესაც მათი გატარება ამის გამო შეჩერებულ იქნა, მან სრულიად უგულებელყო ისინი.

მან უარი სთქვა გაეცარებინა მრავლად დასახლებულ რაიონებისთვის აუცილებელი სხვა კანონებიც, სანამ აქ მცხოვრები ხალხები უარს იტყოდნენ საკანონმდებლო პალატაში წარმომადგენლობის უფლებაზე, უფლებაზე რომელიც ფასდაუდებელია მათთვის და ტირანიისთვის კი საზარელი.

მან მოუხმო კანონმდებელთა საკრებულოს უჩვეულო, მოუხერხებელ და მათი სამოქალაქო დოკუმენტების სანახიდან დიდ მანძილზე დაშორებულ ადგილებში მხოლოდ იმ მიზნით, რათა აეძულებინა ისინი მიეღოთ მისი გადაწყვეტილებები.

მან მრავალჯერ დაშალა წარმომადგენელთა პალატები, ვინაიდან ისინი კაცური სიმტკიცით აღუდგენენ წინ მის მიერ ხალხთა უფლებების შელახვას.

იგი მათი დაშლის შემდეგ დიდ ხანს აბრკოლებდა ახალი პალატის არჩევნებს, რაც ხელშეუვალობით მოსილ საკანონმდებლო უფლებებს სახელმძღვანელოდ დაუბრუნებდა მთელს მოსახლეობას; ხოლო ამასობაში ქვეყანა გარედან შემოსევისა და შინაგანი უთანხმოების მრავალგვარ საშიშროების ამარა რჩებოდა მიგდებული.

იგი შეეცადა ხელი შეეშალა ამ შტატების ფართოდ დასახლებისათვის;

ამ მიზნით დაბრკოლებები შეუქმნა უცხოელების გაქვეშევრდომების კანონთა გატარებას; უარი სთქვა მიეღო სხვა კანონებიც აქ გადმოსახლების წასახალისებლად და შემოიღო მიწის შესუიფვის დამატებითი ზირობები.

მან ხელი შეუშალა სამართლიანობის აღსრულებას იმით, რომ არ მისცა თანხმობა დადგენილიყო მოსამართლოებრივი უფლებების დამაფუძნებელი კანონ-წესები.

მან მოსამართლეების საშსახურის ხანგრძლივობა, მათი გასამრჯელოს რაოდენობა და გადახდის ვადა დაუქვემდებარა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნებას.

მან შექმნა უამრავი წარმომადგენლობა და აქ განაწესა თავისი მოხელეების მთელი ხროვა ჩვენი ხალხის შესავიწროვებლად და მათი სახსრების დასანთქავად.

მას მშვიდობიან დროშიც კი ჩვენი კანონმდებლების თანხმობის გარეშე ჩვენს მიწაზე განლაგებული უავს რეგულარული ჯარები.

მან საშხედრო ძალები სამოქალაქო ჰასრუნისმკებლობისგან განთავისუფლა და მასზე ძალა დააყენა.

მან, ჩვენი კონსტიტუციისათვის უცხო და ჩვენი სამართლისათვის მიუღებელ კანონმდებლობისათვის ჩვენს დასამორჩილებლად სხვებს დაუჭირა მხარი, მისცა რა თანხმობა მათ ფარისეველურ კანონთა გადაწვევტილებებს:

რათა ჩაეუქნებინათ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფები ჩვენს სახლებში;

რათა თვალთმაქცური სასამართლოების მეშვეობით სასჯელისგან დაეცვათ ისინი შტატების ნებისმიერი მცხოვრების მკვლელობის შემთხვევაშიც კი;

რათა გადაეკეტათ ჩვენი სავაჭრო გზები მსოფლიოს უოგველ ქვეყანასთან;

რათა შემოეწერათ ჩვენთვის გადასახადები ჩვენი თანხმობის გარეშე;

რათა ხშირ შემთხვევაში არ მოეცათ საშუალება გასამართლებულ ვიქნეთ ნაფიცო მსაჯულულის მეშვეობით;

რათა მოეთხოვათ ჩვენი ოკეანის გადაღმა წაეყანა მოგონილი ბრალდებების გამო ჰასრუნისგებაში მისაცემად;

რათა გაეუქმებინათ ინგლისური კანონმდებლობის თავისუფალი სისტემა მუზობელ პროვინციაში, დაეშარებინათ იქ დესპოტური მთავრობა და განეგრცოთ მისი საზღვრები მათი საჩვენებელ მაგალითად გადაქცევისა და კოლონიებშიც მსგავსი აბსოლუტური წესების შემოღების მიზნით;

რათა ჩამოერთმიათ ჩვენი ქარტიები, გაუქმებინათ ჩვენი უველაზე მნიშვნელოვანი კანონები და ძირფესვიანად შეეცვალათ ჩვენი მთავრობის ფორმები.

რათა დაეხურათ ჩვენი საკანონმდებლო ორგანოები და თავი გამოეცხადებინათ უფლებამოსილად თვითვე შექმნათ ჩვენთვის საჭირო სხვადასხვა კანონ-წყესები.

მან გააუქმა აქაური მთავრობა, გამოაცხადა რა იგი კანონგარეშე და აწარმოებს რა ომს ჩვენს წინააღმდეგ.

მან დაარბია ჩვენი ზღვები, ააოხრა ჩვენი სანაპიროები, დასწვა ჩვენი ქალაქები და სიცოცხლე მოუსპო მრავალ ჩვენთაგანს.

იგი ამჟამად აგზავნის უცხოელთა დიდ დაქირავებულ არმიას, რათა დაასრულოს სიკვდილის, განადგურებისა და ტირანიისკენ გამიზნული საქმე, დაწეებული სისასტიკისა და მუხანათობის ისეთი მაკალითებით, რომლის მსგავსი მხოლოდ უველაზე ბარბაროსულ ხანაში თუ მოიძებნება და სრულიად არ შეეფერება ცივილიზებული ერის ხელისუფალს.

მან აიძულა ჩვენი ტყვედ ჩავარდნილი თანამემამულეები აღეძარათ იარაღი მათივე ქვეყნის წინააღმდეგ, გამხდარიყვნენ ჯალათები თავიანთი მეგობრების და მოძმეებისა, ან თვითონვე დაღუპულიყვნენ მოძმეთა ხელით.

მან გამოიწვია შინაგანი არეულობა ჩვენს შორის, და შეეცადა ამ არეულობაში ჩართოდა ჩვენი საზღვრების მობინადრენი, შეუბრალებელი ველური ინდიელები, რომელთა საომარი კანონი უველა ასაკის, სქესისა და მდგომარეობის ადამიანების განურჩეველი ყლევდა.

ამ რეპრესიების ეოველ ეტაპზე ჩვენ უადრესად მოწინებულ ფორმებში მოვითხოვდით სამართლიანობას: ჩვენ განმეორებით თხოვნებს განმეორებითი შეურაცხყოფით უპასუხეს. ხელისუფალი, ვინც ეოველი თავისი მოქმედებით ტირანს ემსგავსება, არ შეიძლება იუოს თავისუფალი ხალხის მმართველი.

ჩვენ არავითარი უპაცივისცემლობა არ გამოგვიჩენია ჩვენი ბრიტანელი მოძმეების მიმართ. ჩვენ არაერთხელ გავაფრთხილეთ ისინი, როდესაც მათი კანონმდებლები ცდილობდნენ ჩვენზე განეგრცოთ უპართებულა მართლმსაჯულება. ჩვენ გავასხენთ მათ ჩვენი აქეთ ემიგრაციის და დასახლების ვითარებანი. ჩვენ მივმართეთ მათს თანდაყოლილ სამართლიანობის გრძნობასა და სულგრძელობას, და შევევედრეთ მათ ჩვენი საერთო წინაპართა სახელით ხელი აელოთ ამგვარ ძალადობაზე, რომელიც

უეჭველად ზიანს მიაყენებდა ჩვენს კავშირსა და ურთიერთობას. მაგრამ ისინიც ურუნი დარჩნენ სამართლიანობისკენ მოწოდებისა და ნათესაური თხოვნის მიმართ. ამიტომ იმ ჰირობის თანახმად, რომელიც გმობს განხეთქილებას ჩვენს შორის, ვალდებულნი ვართ განვიხილოთ ისინი, ისევე როგორც დანარჩენი კაცობრიობა, ომში მტრად და მშვიდობიანობაში მეგობრად.

ჩვენ, შეერთებული შტატების წარმომადგენლები, სწორედ ამიტომ შევიკრიბეთ სანაღსო კონგრესში, რათა ღვთის წინაშე, ჩვენი გადაწყვეტილების სამართლიანობის რწმენით და ამ კოლონიების კეთილი ნების ადამიანების სახელით. ვაღიაროთ და საქვეყნოდ განვაცხადოთ, რომ ეს გაერთიანებული კოლონიები არიან და სამართლის ძალით უნდა იყვნენ თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები; რომ მათ აღარ ეკისრებათ აღარავითარი ერთგულება ბრიტანეთის ტახტისადმი, და რომ უოველგვარი პოლიტიკური კავშირი მათსა და დიდ ბრიტანეთს შორის არის და უნდა იყოს გაბათილებული; და როგორც თავისუფალ და დამოუკიდებელ შტატებს, მათ ეძლევათ სრული უფლება გამოაცხადონ ომი, დადონ ზავი, დააქარონ კავშირი, აწარმოონ ვაჭრობა, და განახორციელონ უველა სხვა ნაბიჯი და გადაწყვეტილება, რისი უფლებაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ენიჭებათ.

და ამ დეკლარაციის განსამტკიცებლად, ღვთის წყალობითა და იმედით, თავდებად ვდებთ ჩვენს სიცოცხლეს, ჩვენს კეთილდღეობასა და ჰარციოსნებას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია

პრეამბულა

ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, იმ მიზნით, რომ შეექმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დაემაკვიდროთ მართლმსაჯულება, დაემაყაროთ საშინაო მშვიდობა, უზრუნველყოთ საერთო თავდაცვა, ხელი შეუწყოს საყოველთაო კეთილდღეობას და შეუნარჩუნოთ ჩვენს თავსა და ჩვენს შთამომავლებს მაღლი თავისუფლებისა, ეადგინოთ და დაუფუძნებოთ ამერიკის შეერთებული შტატების წინამდებარე კონსტიტუციას.

მუხლი I

ნაწილი 1. მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება, როგორც აქ არის დადგენილი, გადაეცემა შეერთებული შტატების კონგრესს, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან.

ნაწილი 2. წარმომადგენელთა პალატა შედგება წევრებისაგან. რომელთაც ირჩევს ცალკეული შტატების მოსახლეობა ყოველ ორ წელსწინადადში ერთხელ. ამომრჩეველებს თითოეულ შტატში უნდა .ქონდეთ ისეთი საიარჩევო ცენზი, როგორიც მოეთხოვებათ შტატის საკანონმდებლო დაწესებულების ყველაზე მრავალრიცხოვანი განსტოების ამომრჩეველებს. არაიან შეიძლება იყოს წარმომადგენელი, ვისაც არ მიუღწევია 25 წლის ასაკისათვის, არ ყოფილა შეიდა წლის მანძილზე შეერთებული შტატების მოქალაქე და ვინც არჩევნების დროისათვის არ იქნება იმ შტატის მკვიდრი, სადაც ის ექნეს იყრიხ.

წარმომადგენლები და პირდაპირი გადასახადები უნდა განაწილდნენ ცალკეულ შტატებზე, რომლებიც შესაძლოა შევიდნენ ამ კავშირის შემადგენლობაში, მათი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად რომელიც შემდგენიარად უნდა განისაზღვროს: თავისუფალ მოქალაქეთა საერთო რაოდენობას, იმ პირების ჩათვლით, რომლებიც ეკლდებულნი არიან იმსახურონ გარკვეული წლების ვადის და ინდოელების, – რომლებსაც გადასახადები არ ეკისრებათ – ჩათვლელად უნდა დაემატოს ყველა სხვა პიროვნების რაოდენობის სამი მეხუთედი. 1* მოსახლეობის აღწერა უნდა

* შეიცვალა მეთოთხმეტე შესწორების მკორეუ ნაწილით

მოხდეს შეერთებული შტატების კონგრესის პირველი სხდომიდან სამი წლის განმავლობაში და შემდგომში ყოველ მომდევნო ათ წელიწადში ერთხელ იმპეარად რიგორც ეს კანონით აქნება გათვალისწინებული.

წარმომადგენელთა რაიფენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთს ყოველ ოცდაათ ათას კაცზე, ოღონდ თითოეულ შტატს პალატაში სულ ცოტა ერთი წარმომადგენელი მაინც უნდა ჰქაედეს. ხოლო სანამ ასეთი აღრიცხვა მოხდებოდეს, მანამ ნიუ-ჰემპშირის შტატს უფლება აქვს აირჩიოს სამი წარმომადგენელი, მასაჩუზეტს – რვა, როდ-აილენდსა და პროვიდენს პლანტეიშენს – ერთი, კონექტიკუტს – ხუთი, ნიუ-იორკს – ექვსი, ნიუ-ჯერსის – ოთხი, პენსილვენიას – რვა, დელავეარს – ერთი, შერილენდს – ექვსი, ვირჯინიას – ათი, ჩრდალიუთ კეროლიანიას – ხუთი, სამხრეთ კეროლიანიას – ხუთი და ჯორჯიას – სამი.

რომელიმე შტატიდან წარმომადგენლის ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში, ამ შტატის აღმასრულებელი ხელისუფლება გათავისუფლებული ადგილის შესახებად გამოსცემს ბრძანებას არჩევნების დანიშვნის შესახებ.

წარმომადგენელთა პალატა ირჩევს თავის სპიკერს და სხვა მოხელეებს; მხოლოდ ამ პალატას აქვს უფლება დასვას საკითხი იმპიჩმენტის შესახებ.

ნაწილი 3. შეერთებული შტატების სენატი შედგება ორ-ორი სენატორისაგან თითოეული შტატიდან, რომლებსაც ირჩევენ ექვსი წლის ვადით ამ შტატების საკანონმდებლო დაწესებულებები¹; ყოველ სენატორს აქვს ერთი ხმა.

არჩევნების შემდგომ, შერებისთანავე, ისინი შეძლებისდაგვარად უნდა დაიყონ სამ თანაბარ ჯგუფად პირველი ჯგუფის სენატორთა ადგილები უნდა გათავისუფლდეს ორი წლის შემდეგ, მეორე ჯგუფისა – ოთხი წლის შემდეგ, ხოლო მესამე ჯგუფისა – ექვსი წლის შემდეგ, იმპეარად რომ შესაძლებელი იყოს სენატის წევრთა ერთი მესამედის გადარჩევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ;

ხოლო თუ ადგილი გათავისუფლდება სენატორის გადადგომის შემდეგ, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, რომელიმე შტატის საკანონმდებლო დაწესებულების არდადეგების დროს, ამ შტატის აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია დროებით დანიშნოს სენატორი საკანონმდებლო დაწესებულების მორიგ სხდომამდე, რომელმაც უნდა შეავსოს გათავისუფლებული ადგილები.¹**

არაეინ შეიძლება იყოს სენატორი, ვისაც არ მიუღწევია ოცდაათი წლის

¹. ** შეიკალა მკრეფდეთე შესწორებით

ასაკისათვის, არ ყოფილა ცხრა წლის მანძილზე შეერთებული შტატების მოქალაქე და ვინც არჩევნების დროისათვის არ იქნება იმ შტატის მკვიდრი, სადაც ის კენჭს იყრის.

სენატის თავმჯდომარეა შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი, მაგრამ მისი უფლება მას აქვს მხოლოდ წმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში.

სენატი ირჩევს სხვა მოხელეებს, აგრეთვე თავმჯდომარეს *pro tempore* . იმ შემთხვევისათვის, როცა ვიცე-პრეზიდენტი არ ესწრება სხდომას, ანდა ასრულებს შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას.

მხოლოდ სენატს აქვს უფლება განიხილოს იმპიჩმენტის ყველა შემთხვევა. ამ მიზნით შეკრებისას სენატის წევრები ვალდებული არიან დადონ ფიცი ან საზეიმო დაპირება. თუ იმპიჩმენტი წარუდგინება შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მაშინ სენატის სხდომას უნდა წარუძღვეს უზუნაესი სასამართლოს თავმჯდომარე. არაეინ შეიძლება ცნობილ იქნას დამნაშავედ თუ ამას ხმა არ მისცა დამსწრე წევრთა ორმა მესამედმა.

იმპიჩმენტის შემთხვევაში განაჩენი უნდა შეძიფარგლოს თანამდებობიდან გადაყენებით და დისკვალიფიკაციით, ასეთ პირს უნდა ჩამოერთვას შეერთებულ შტატებში რაიმე საპატიო, საპასუხისმგებლო ან შემოსავლიანი თანამდებობის დაკაების უფლება, მაგრამ, ამის მიუხედავად, შემდგომში მას მიანიც უნდა წარუდგინოს ბრალდება, მისი საქმე უნდა გახდეს სასამართლოს მსჯელობის საგანი და დაეკისროს სასჯელი კანონის შესაბამისად.

ნაწილი 4. სენატორებისა და წარმომადგენლების არჩევნების დრო, ადგილი და ჩატარების წესი უნდა დადგინდეს თითოეულ შტატში, მისი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ, მაგრამ კონგრესს შეუძლია ნებისმიერ დროს კანონით დაადგინოს ან შეცვალოს ყველა ასეთი წესი, სენატორების არჩევნების ადგილის გამოკლებით.

კონგრესი უნდა შეიკრიბოს სულ მცირე ერთხელ ყოველ წელიწადში და ასეთი შეკრება უნდა შედგეს დეკემბრის პირველ ორშაბათს,^{1*} თუკი კონგრესის მიერ კანონის ძალით დანიშნული არ იქნება რომელიმე სხვა დღე.

ნაწილი 5. თითოეული პალატა თავად განსჯის არჩევნების პროცესს, აჯამებს მის შედეგებს და ადგენს თავისი წევრების კვალიფიკაციას. თითოეული პალატაში უმრავლესობა შეადგენს ქეორუმს, რომელიც შესაძლებელს გახდის მუშაობის დაწყებას; ხოლო დამსწრეთა ნაკლებ რაოდენობას

* შეიყვალა მეოცე შესწორების მეორე ნაწილით

შეუძლია დღითი დღე გადაიტანოს სხდომა, რის გამოც პალატა უფლებამოსილი იქნება მიმართოს სანქციებს იმ წევრების მიმართ, რომლებიც აცდნენ სხდომებს. სასჯელის ზომას თითოეული პალატა თვითონ განსაზღვრავს.

თითოეული პალატის შეუძლია დაადგინოს სხდომების ჩატარების წესი, დასაჯოს თავისი წევრი უმსგავსი საქციელობათის და ორი შესაძღვის თანხმობის შემთხვევაში გარიცხოს ასეთი წევრი.

თითოეული პალატა უნდა აწარმოებდეს მიმდინარე სხდომების ოქმს და დრო და დრო აქვეყნებდეს მას, იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებიც, მათი აზრით, საიდუმლოდ შენახვის მოითხოვს; ორივე პალატის წევრთა ყველა „ქო“ და „არა“ ნებისმიერ საკითხზე, დამსწრე წევრთა ერთი მესუთედის მოთხოვნით, ოქმში უნდა იყოს შეტანილი.

კონგრესის სესიის მიმდინარეობისას არც ერთ პალატას არა აქვს უფლება, შეარჩესთან შეუთანხმებლად გადაიტანოს სხდომა სამ დღეზე მეტ ხანს, ანდა – სხვა რომელიმე ადგილზე იმ ადგილიდან, სადაც იმართება ხოლმე პალატების სხდომები.

ნაწილი 6. სენატორებმა და წარმომადგენლებმა თავიანთი სამსახურისათვის უნდა მიიღონ გასაპრავლო კანონით დადგენილი წესის შესაბამისად შეერთებული შტატების სახელმწიფო საზინიდან. ყველა შემთხვევაში, თუ ადგილი არა აქვს სახელმწიფო პალატას, მძიმე დანაშაულსა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, ისინი არ ექვემდებარებიან დაპატიმრებას თავიანთი შესაბამისი პალატის სხდომებზე დასწრების დროს, აგრეთვე პალატაში მისვლისა და იქიდან წამოსვლის დროს, და სიტყვით გამოსვლისა და აზრის გამოთქმისათვის ორივე პალატაში, მათ არ შეიძლება მოეთხოვოთ პასუხი რომელიმე სხვა ადგილზე.

არც ერთ სენატორს ან წარმომადგენელს არა აქვს უფლება, იმ დროის განმავლობაში, რომლითაც ის არჩეულია, ყველგან, სადაც ვრცელდება შეერთებული შტატების ხელისუფლება, დანიშნულ იქნას რაიმე სამოქალაქო თანამდებობაზე, რომელიც მომავალში შეიქმნება ან რომლის შემოსავალი ამ დროის მანძილზე შეიძლება გაიზარდოს, და არც ერთ პიროვნებას არა აქვს უფლება გახდეს რომელიმე პალატის წევრი, სანამ ის ყველგან, სადაც ვრცელდება შეერთებული შტატების ხელისუფლება, იმყოფება რაიმე თანამდებობაზე.

ნაწილი 7. ყველა კანონპროექტი, რომელიც წლიურ შემოსავალს შეეხება, უნდა შემუშავდეს წარმომადგენელთა პალატაში; მაგრამ სენატს ისევე, როგორც სხვა კანონპროექტების შემთხვევაში, შეუძლია მათში

შესწორებები წარმოადგინოს და მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში.

ყოველი კანონპროექტი, მას შემდეგ, რაც გაივლის წარმომადგენელთა პალატასა და სენატს, სანამ კანონი გასვლად, უნდა წარედგინოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თუ ის მოიწონებს მას – ხელს მოაწერს, ხოლო თუ არ მოიწონებს – დააბრუნებს თავისი მოსაზრებებითურთ იმ პალატაში, სადაც ეს კანონპროექტი შემუშავდა; პალატამ ეს მოსაზრებები უნდა შეიტანოს თავის ოქმში და მოიწვიოს სხდომა ხელშეკრულს მის განსახილველად თუ ხელშეკრულს განხილვის შემდეგ მოცემული პალატის წევრთა ორი მესამედი დათანხმდება კანონპროექტის დამტკიცებას, ის, პრეზიდენტის მოსაზრებებთან ერთად, გადაეგზავნება მეორე პალატას, სადაც ის ასევე ხელშეკრულს განიხილება და თუ ამ პალატის წევრთა ორი მესამედიც მოიწონებს მას, ის დაკანონდება. ოღონდ ყველა ასეთ შემთხვევაში ზუსტად უნდა დაუფიქსირდეს ორივე პალატის წევრთა „იო“ და „არა“ და მათი სახელები, იმის მითითებით, დაუჭირებს მათ მხარი კანონპროექტს თუ არა, უნდა შეტანილ იქნას შესაბამისი პალატის ოქმში. თუკი რომელიმე კანონპროექტი არ იქნება დაბრუნებული პრეზიდენტის მიერ ათი დღის განმავლობაში (კვირადღეების გამოკლებით), მას შემდეგ, რაც ის მას წარედგინება, კანონპროექტი ასევე დაკანონდება, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს მოაწერდა მას, ხოლო თუ კონგრესმა სხდომების გადატანით ხელი შეუშალა კანონპროექტის დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში ის არ დაკანონდება.

ყოველი ბრძანებულება, რეზოლუცია ან გადაწყვეტილება, რომელსაც სენატის ან წარმომადგენელთა პალატის თანხმობა ესაჭიროება (სხდომის გადატანის საკითხის გამოკლებით), უნდა წარედგინოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს; და სანამ ისინი ძალაში შევიდნენ, უნდა მოწონებულ იქნას მის მიერ, ხოლო თუ არ იქნა მოწონებული, მაშინ ისინი კვლავ უნდა დამტკიცდეს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა ორი მესამედის მიერ, იმავე წესებისა და შეზღუდვების მიხედვით, რომლებიც კანონპროექტის შემთხვევაშია გათვალისწინებული.

ნაწილი 8. კონგრესი უფლებამოსილია:

დააწესოს და აკრიფოს გადასახადები, ბაჟი, აქციზები, რათა მათი საშუალებით გადაიხადოს ვალები და იზრუნოს შეერთებული შტატების სახელმწიფო თავდაცვისა და საყოველთაო კეთილდღეობისათვის; ამასთან ყველა ეს გადასახადი, ბაჟი და აქციზი შეერთებულ შტატებში ერთნაირი უნდა იყოს;

აიღოს შეერთებული შტატების სახელით სესხი;

არეგულიროს საეაჭრო ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან და ცალკეულ

შტატებს შორის, აგრეთვე ინდაჯლთა ტომებთან;

დაადგინოს შეერთებული შტატების ფარგლებში ნატურალიზაციის ერთნაირი წესი და ერთნაირი კანონები გაყოფის შესახებ;

მოჭრას ფული, არეგულიროს შეერთებული შტატებისა და უცხოური ფულის ღირებულება და დაადგინოს ფულის ზომისა და წონის ნორმები;

დაადგინოს სასაჯელი შეერთებული შტატების ფულისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბებისათვის;

შექმნას საფოსტო სამსახური და საფოსტო გზები;

ხელი შეუწყოს მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრესს, დაიცავს განსაზღვრული წლით ავტორებისა და გამომგონებლების განსაკუთრებული უფლებები მათ ნაწერებსა და გამოგონებებზე;

შექმნას უზენაესი სასამართლოსადმი დაქვემდებარებული სასამართლოები;

განსაზღვროს თუ რა არის მეკობრეობა და ღია ზღვაში ჩადგინილი მძიმე დანაშაული და დაწესოს სასაჯელი ამგვარი ქმედებისათვის, აგრეთვე, საერთაშორისო კანონების დარღვევისათვის;

გამოაცხადოს ომი, გასცეს საკაქერო მოწმობები და რეპრესალიები, დაადგინოს სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიაზე ნადავლის მოპოვების წესები;

შექმნას და შეინახოს არმიები, ოღონდ ამ მიზნით ფულის გაცემა არ უნდა მოხდეს ორ წელზე მეტი ხნის კადით;

შექმნას და შეინახოს სამხედრო ფლოტი;

დაადგინოს სახმელეთო და საზღვაო შეიარაღებული ძალების მართვისა და რეგულირების წესები;

მიიღოს ზომები მილიციის შეკრებისათვის – კავშირის კანონების აღსრულების, აჯანყებების ჩახშობისა და გარედან თავდასხმების აღკვეთის მიზნით;

მიიღოს ზომები მილიციის ორგანიზებისა, შეიარაღებისა და მასში დისციპლინის განსამტკიცებლად მისი იმ ნაწილის სამართავად რომელიც გამოიყენება შეერთებული შტატების სამსახურისათვის, ამასთან შტატებს დაუტოვოს უფლება თვითონ დანიშნონ ოფიცრები და იზრუნონ მილიციის საწრთნელად კონგრესის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

განაზორციელოს განსაკუთრებული კანონმდებლობა, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, იმ ოლქში (ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ათ კვადრატულ მილს), რომელიც ცალკეული შტატის დათმობითა და კონგრესის მხარდაჭერით შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელი გახდება, აგრეთვე განაზორციელოს ასეთივე მმართველობა ყველა იმ ადგილზე, რომელიც შესაბამისი შტატის

საკანონმდებლო ხელისუფლებასთან შესაინძებებით შესყიდული იქნება სიმაგრეების, საძვედრო საწყობების, არსენალების, სახვედო ღოკებისა და სხვა საჭირო ნივთების ასაშენებლად და ბოლოს

შექმნას ყველა ისეთი კანონი, რომელიც აუცილებელი და საეკონომიკური იქნება ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების აღსრულებისათვის, აგრეთვე – ყველა სხვა სახის უფლებამოსილებებისათვის, რომლებიც ამ კონსტიტუციის მიხედვით გადაეცემა შეერთებული შტატების მთავრობას, მის რომელიმე დეპარტამენტს, ან თანამდებობის პირს.

ნაწილი 9. იმ პირთა მიგრაცია და შემოყვანა, რომლის დაშვებაც საჭიროდ მიიჩნევს ზოგიერთი ამჟამად არსებული შტატი, არ უნდა იქნას აკრძალული კონგრესის მიერ ათას რეაას რეა წლამდე, მაგრამ მათ შემოყვანაზე შეიძლება დაწესდეს საბაჟო ან სხვა სახის გადასახადი, არა უმეტეს ათი დოლარის ოდენობისა თითოეულ პირზე.

არ შეიძლება შეჩერებულ იქნას პრივილეგირებული უფლება habeas corpus, თუკი ამას არ მოითხოვს სახელმწიფოს უსაფრთხოება ამბოხების ან გარედან თავდასხმის დროს.

არ შეიძლება მიღებულ იქნას Bill of Attainder-ი, ან – კანონი ex post facto.

იარ შეიძლება დაწესებულ იქნას რაიმე სულადი ან სხვა სახის პირდაპირი გადასახადი, თუ არა ზემოთ აღნიშნული მოსახლეობის აღწერით დადგენილი პროპორციების შესაბამისად.*

არ შეიძლება დაწესებულ იქნას რაიმე საბაჟო ან სხვა სახის გადასახადი რომელიმე შტატიდან გასატან საქონელზე.

არ შეიძლება რაიმე საბაჟო ან საეკონომიკური წესით მიეცეს რომელიმე შტატის ნავსადგურს რაიმე უპირატესობა სხვებთან შედარებით; არ შეიძლება რომელიმე შტატში მიმავალი ან იქიდან გამოსული გემი იძულებით იქნას შეყვანილი მეორე შტატის ნავსადგურში და იქ განტვირთულ იქნას ან ბაჟი დაეკისროს.

არ შეიძლება ფული სხვაგვარად გაიცეს ხაზინიდან, თუ არა კანონით დადგენილ ასიგნებათა საფუძველზე; რეგულარული ხარჯთაღრიცხვა, ცნობები შემოსავლისა და გასავლის შესახებ, აგრეთვე ინგარიში იმისა, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო თანხები, დრო და დრო უნდა ქვეყნდება.

არ შეიძლება შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ გაიცეს რაიმე არისტოკრატიული ტიტული; და არც ერთმა პიროვნებამ, რომელიც შეერთებულ შტატებში იმყოფება რაიმე საპასუხისმგებლო ან შემოსავლიან

* შეიცვალა შეთქმულზე შესწორებით

თანამდებობაზე, არ უნდა მიიღოს, კონგრესის თანხმობის გარეშე, რაიმე ძღვენი, გასაპრჯელო, თანამდებობა ან ტიტული რომელიმე უცხო სახელმწიფოსაგან, მეფისა ან უფლისწულისაგან.

ნაწილი 10. არც ერთ შტატს არა აქვს უფლება დადოს რაიმე ხელშეკრულება, შევიდეს რაიმე ალიანსში ან კონფედერაციაში; გასცეს საკაპერო მოწმობები და რეპრესალიები; მოჭრას ფული; გასცეს აკრედიტივები; გადაიხადოს ვალები სხვაგვარად თუ არა ოქროსა და ვერცხლის მონეტებით; მიიღოს Bill of Attainder-ი, ან – კანონი ex post facto, ან – სხვა რომელიმე კანონი, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს; ან გასცეს რაიმე არისტოკრატიული ტიტული.

არც ერთ შტატს არა აქვს უფლება, კონგრესთან შეთანხმების გარეშე, დააწესოს საბაჟო ან სხვა სახის გადასახადი იმპორტზე ან ექსპორტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სრულიად აუცილებელია სიონსაქციო კანონების აღსასრულებლად და რომელიმე შტატის მიერ იმპორტზე ან ექსპორტზე დაწესებული საბაჟო ან სხვა სახის გადასახადების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალი უნდა გადაეცეს შეერთებული შტატების ხაზინას; გარდა ამისა, ყველა ასეთი კანონი, კონგრესის მხრიდან, კონტროლისა და გადასინჯვის საგანი უნდა გახდეს.

არც ერთ შტატს არა აქვს უფლება, კონგრესთან შეთანხმების გარეშე, დააწესოს საბაჟო გადასახადი გემების ტონაჟზე, იყოლიოს ჯარი, ან საშვიდრო გემები მშვიდობის უამს, დადოს რაიმე შეთანხმება ან ხელშეკრულება რომელიმე სხვა შტატთან, ან უცხო სახელმწიფოსთან, გააჩაღოს ომი, სანამ ის არ განდება თავდასხმის ობიექტი, ან არ დაემუქრება რეალური საფრთხე, რომლის დროსაც დაყოვნება არ შეიძლება.

მუხლი II

ნაწილი 1. აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მან უნდა დაიკავოს თავისი თანამდებობა ოთხი წლის ვადით. პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტთან ერთად, რომელსაც იმავე ვადით აირჩევენ, კენჭი უნდა ეყაროს შემდეგი წესით:

ყოველმა შტატმა, მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად უნდა დანიშნოს ამომრჩეველები, რომელთა რაოდენობა ტოლი უნდა იყოს სენატორებისა და წარმომადგენლების იმ რაოდენობისა, რომლის ყოლის უფლება აქვს მოცემულ შტატს კონგრესში: მაგრამ ამომრჩეველად არ შეიძლება დანიშნოს სენატორი ან წარმომადგენელი, ან

პირი, რომელსაც შეერთებულ შტატებში რაიმე საპასუხისმგებლო ან შემოსავლიანი თანამდებობა უკავია.

ამომრჩეველები უნდა შეიკრიბონ თავიანთი შტატებში და კენჭი უყარონ ორ პიროვნებას, რომელთაგან ერთი მაინც არ უნდა იყოს მათი შტატის მკვიდრი. შემდეგ მათ უნდა შეადგინონ სია ყველა იმ პიროვნებისა, რომელმაც სმა მიიღო და იქვე მიუთითონ, თუ რა რაოდენობის ხმები დააგროვებდა თითოეულმა მათგანმა. ეს სია მათ მიერ წელომწერილ და დამტკიცებულ უნდა იქნას და დაბეჭდილი ხაზით გადაიგზავნოს შეერთებული შტატების მთავრობის ადგილსამყოფელში, სადაც ის პირადად სენატის თავმჯდომარეს უნდა ჩაბარდეს. სენატის თავმჯდომარემ, სენატისა და წარმომადგენელთა პალატის თანდასწრებით, უნდა გახსნას ყველა წერილობითი მოწმობა, რის შემდეგ უნდა მოხდეს ხმების დათვლა. პიროვნება, რომელსაც ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა აღმოაჩნდება, განდება პრეზიდენტი, მაგრამ ეს რაოდენობა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას უნდა შეადგენდეს. ხოლო, თუ ასეთი უმრავლესობა აღმოაჩნდება ერთზე მეტ პირს და მათ მიერ დაგროვილი ხმების რაოდენობა თანაბარი იქნება, ასეთ შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატამ დაუყოვნებლივ კენჭი უნდა უყაროს, თუ ვინ იქნება მათ შორის პრეზიდენტი; ხოლო თუ ვერაინ ვერ დააგროვებს ხმების უმრავლესობას, მაშინ ამავე პალატამ სიაში პირველი ხუთი პიროვნებისგან, ამავე წესით, უნდა აირჩიოს პრეზიდენტი. მაგრამ პრეზიდენტი, არჩევისას ხმის უფლება უნდა მიენიჭოთ შტატებს, ამახთან თითოეული შტატის წარმომადგენლობას უნდა აქონდეს ერთი ხმის უფლება.

ქვირუმს ამ შემთხვევაში შეადგენს შტატების რაოდენობის ორი მესამედ და არჩევანის გასაკეთებლად აუცილებელი იქნება შტატების საერთო რაოდენობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ყველა შემთხვევაში, პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, პიროვნება, რომელიც ამომრჩეველთაგან მიღებული ხმების რაოდენობით მეორე იქნება, განდება ვიცე-პრეზიდენტი. ხოლო თუ აღმოაჩნდება ორი ან მეტი ისეთი პირი, ვისაც ხმების თანაბ. ი რაოდენობა ექნება, მაშინ სენატმა უნდა უყაროს მათ კენჭი იმის გამოსარკვევად თუ ვინ განდება ვიცე-პრეზიდენტი.*

კონგრესს შეუძლია განსაზღვროს ამომრჩეველთა არჩევის დრო და მათ მიერ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი დღე; ეს დღე საერთო უნდა იყოს მთელს შეერთებულ შტატებში.

არავის აქვს უფლება არჩეულ იქნას პრეზიდენტად ვინც ამ კონსტიტუციის მიღების დროისათვის არ იქნება შეერთებულ შტატებში

* შეიკვალა მეორე მუხლი

დაბადებული მოქალაქე, ან შეერთებული შტატების მოქალაქე; არც ვინმეს შეუძლია იყოს არჩეული ამ თანამდებობაზე, ეისაც არ მიუღწევია ოცდათხუთმეტი წლის ასაკისათვის და თოთხმეტი წლის მანძილზე არ უცხოვრია შეერთებულ შტატებში.

ქრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების, მისი სიკვდილის, გადაღობის, ან მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და დაკისრებული მოვალეობების შესრულების უუნარობის შემთხვევებში ისინი უნდა გადაეცეს ვიცე-პრეზიდენტს, ხოლო ორივე მათგანის – ქრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის გადაყენების, სიკვდილის, გადაღობის ან უუნარობის შემთხვევებში კონგრესს შეუძლია კანონით დაადგინოს, თუ რომელი თანამდებობის პირმა უნდა შეასრულოს ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობა, ხოლო ამ თანამდებობის პირმა პრეზიდენტის მოვალეობა უნდა შეასრულოს მანამდე, სანამ არ აღსდგება პრეზიდენტი. ქმედთუნარიანობა, ანდა სანამ არჩეული არ იქნება ახალი პრეზიდენტი.†

პრეზიდენტმა, განსაზღვრულ დროს, თავისი სამსახურისთვის უნდა მიიღოს გასამრჯელო, რომელიც იმ ხნის განმავლობაში, რომლითაც ის... არჩეული იქნება, არც უნდა გაიზარდოს და არც შემცირდეს, და ამ ხნის მანძილზე მან არ უნდა მიიღოს სხვა რაიმე გასამრჯელო შეერთებული შტატებისგან ან ცალკე რომელიმე მათგანისგან.

თანამდებობის დაკეების წინ მან უნდა წარმოთქვას შემდეგი ფიცი, ან საზეიმო დაპირება: მე საზეიმოდ ვეფიცავ (ან პირობას ვებ), რომ პატიოსნად აღეასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას და ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში დავიცავ, შევინახავ და მფარველობას გაუწევ შეერთებული შტატების კონსტიტუციას.

ნაწილი 2. პრეზიდენტი არის შეერთებული შტატების არმიისა და ფლოტის მთავარსარდალი და ისევე უხელმძღვანელებს ცალკეული შტატების მილიციას, როდესაც ის გაწვეულ იქნება შეერთებული შტატების მოქმედი სამსახურისათვის. მას შეუძლია ყოველი აღმასრულებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირისაგან წერილობითი სახით მოითხოვოს მოსაზრებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მათ თანამდებობრივად ეხებათ, მას, აგრეთვე აქვს განაჩენის გაუქმებისა და შეწყალების უფლება იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შეერთებული შტატების წინააღმდეგ, იმპიჩმენტის შემთხვევის გამოკლები...
†

იგი უფლებამოსილია, სენატის რჩევითა და მასთან შეთანხმებით, დადოს ხელშეკრულება, იმ პირობით, თუ ამაზე თანხმობა განაცხადს სენატის

† შეიცვალა ოცდაშვიდეუე შესწორებით

დამსწრე წევრთა ორმა მესამედმა: მას აქვს, აგრეთვე, უფლება დაასახელოს, ხოლო სენატთან რჩევისა და შეთანხმების შემდეგ დანიშნოს ელჩები, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლები და კონსულები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და შეერთებული შტატების ყველა სხვა თანამდებობის პირი, რომელთა დანიშნის წესი არ არის აქ სხვაგვარად გათვალისწინებული და დადგენილია კანონის მიერ, მაგრამ კონგრესს შეუძლია კანონის ძალით ამგვარ შედარებით დაბალ თანამდებობის პირთა დანიშნის უფლება, თუ ის ამას საჭიროდ მიიჩნევს, მხოლოდ პრეზიდენტს, მოსამართლეებს ან დეპარტამენტების ხელმძღვანელებს გადასცეს.

პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაქვსო ყველა გათავისუფლებული ადგილი, სენატის სესიებს შორის პერიოდში და გასცეს თანამდებობრივი უფლებამოსილებანი სენატის მორიგი სესიის დასრულებამდე.

ნაწილი 3. მან დრო და დრო კონგრესს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კაეშირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და წარუდგინოს კონგრესს განსახილველად რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომლებსაც ის აუცილებლად და მიზანშეწონილად ჩათვლის; მას შეუძლია, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მოიწვიოს ორივე პალატის, ან ერთ-ერთი მათგანის სწდომა და მათ შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, სწდომების გადატანის წესის შესაბამისად გადაიტანოს მათი სწდომები იმ ეადთ, რომელსაც ის საეაღლებულოდ მიიჩნევს; მან უნდა მიიღოს ელჩები და სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლები; მან უნდა იზრუნოს იმისთვის, რათა კანონები კეთილსინდისიერად იქნას აღსრულებული და დანიშნოს შეერთებული შტატების ყველა თანამდებობის პირი.

ნაწილი 4. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და შეერთებული შტატების ყველა სხვა სამოქალაქო თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ იქნან თანამდებობიდან იმპიჩმენტის შედეგად თუ ისინი მხილებულნი იქნებიან დალატში, მექრთამებოთაში, ან სხვა საზის მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში.

მუხლი III

ნაწილი 1. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო ხელისუფლება გადაეცემა უზენაეს სასამართლოს და მისდამი დაქვემდებარებულ სასამართლოებს, რომლებიც კონგრესს შეუძლია დრო და დრო დააწესოს და დააფუძნოს. როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე დაბალი ინსტანციის

სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობებზე დარჩებიან მანამდე, სანამ ისინი თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად შეასრულებენ და ამისთვის ისინი, განსაზღვრულ დროს, მიიღებენ გასამრჯელოს, რომელიც არ შეიძლება შემცირდეს მათი თანამდებობებზე ყოფნის განმავლობაში.

ნაწილი 2. სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება ყველა იმ საქმეზე, რომელიც კანონისა და სამართლიანობის შესაბამისად გამომდინარეობს ამ კონსტიტუციიდან, შეერთებული შტატების კანონებიდან, ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დადებულია ან მომავალში დაიდება შეერთებული შტატების მიერ; – ყველა იმ საქმეზე, რომელიც შეეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულების მოღვაწეობას; – ყველა იმ საქმეზე, რომელიც შეეხება საადმირალოსა და საზღვაო კანონმდებლობას; – სადავო საკითხებზე, რომლის დროსაც შეერთებული შტატები ერთ-ერთი მხარე იქნება; – სადავო საკითხებზე, რომლებიც წარმოიშეება ორ და მეტ შტატს შორის; | ერთ შტატსა და მეორე შტატის მოქალაქეს შორის*; – სხვა და სხვა შტატის მოქალაქეებს შორის; – ერთი და იგივე შტატის მოქალაქეებს შორის, რომლებიც სხვა შტატის მიერ ნაბობებ მიწაზე აცხადებენ პრეტენზიას, და | ერთის მხრივ შტატსა, ან მის მოქალაქესა და მეორეს მხრივ უცხო სახელმწიფოს, მის მოქალაქეს ან ქვეშევრდომს შორის**

ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ელჩების, სხვა სრულუფლებიანი წარმომადგენლებისა და კონსულების მოქმედებას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე შტატი მოდავე მხარეა, უზენაეს სასამართლოს აქვს პირველი ინსტანციის უფლება. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნულ შემთხვევაში უზენაეს სასამართლოს აქვს სააპელაციო იურისდიქცია, როგორც კანონებთან, ისე ფაქტებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევების გამოკლებით და იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც კონგრესი დაადგენს.

ყველა სახის დანაშაული, იმპიჩმენტის გამოკლებით, უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, ამასთან პროცესი უნდა შედგეს იმ შტატში, სადაც ჩადენილი იქნება ამგვარი დანაშაული; ხოლო თუკი დანაშაული არ იქნება ჩადენილი რომელიმე შტატის ფარგლებში, პროცესი გაიმართება იმ ადგილზე, ან ადგილებზე, რომელიც კონგრესს შეუძლია კანონით მიუთითოს.

*, ** შეიკვალა მეთერთმეტე შესწორებით

ნაწილი 3. შეერთებული შტატების დალატად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მის წინააღმდეგ ომის გაჩაღება, ან მის მტრებთან თანამშრომლობა, მათთვის დახმარების გაწევა და ხელშეწყობა. არაეინ შეიძლება იყოს დადანაშაულებული სახელმწიფოს დალატში, თუ არ არსებობს ორი თვითმხილველის ჩვენება ამგვარ საქციელზე, ან ადგილი არა აქვს დანაშაულის აღიარებას ღია სასამართლო პროცესზე.

კონგრესი უფლებამოსილია განსაზღვროს სასჯელის ზომა სახელმწიფო დალატისათვის, მაგრამ განაჩენს არ უნდა მოჰყვეს მსჯავრდებულის ნათესაეების ღვენა და ქონების კონფისკაცია მისი სიკვდილის შემდეგ, ეს შესაძლებელია მხოლოდ მის სიცოცხლეში.

მხელი IV

ნაწილი 1. თითოეულ შტატში სრული ნდობა და პატივისცემა უნდა მივაგონ ყოველი სხვა შტატის ოფიციალურ აქტებს, დოკუმენტებსა და სასამართლოს დადგენილებებს; ხოლო კონგრესს შეუძლია ზოგადი კანონებით დაადგინოს წესი, რომლის თანახმად უნდა მოხდეს ამ აქტების, დოკუმენტებისა და დადგენილებების ნამდვილობის დადასტურება და მათთვის იურიდიული ძალის მინიჭება.

ნაწილი 2. ყოველი შტატის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ყველა პრივილეგია და ხელშეუხებლობა, რომლებიც სხვა შტატების მოქალაქეებს გააჩნიათ.

პირი, რომელსაც რომელიმე შტატში ბრალად ედება დალატი, ბოროტმოქმედება ან სხვა სახის მძიმე დანაშაული და ის გაექცევა მართლმსაჯულებას და ნაპოვნი იქნება სხვა შტატში, იმ შტატის აღმასრულებელი ხელისუფალის მოთხოვნით, საიდანაც ის გაიქცა, უნდა ჩაბარდეს და გადაეცეს იმ შტატს, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ამ დანაშაულზე.

იარსეთი პიროვნება, რომელიც მოცემულ შტატში მსახურობს ან მუშაობს და ამ შტატის კანონმდებლობას ექვემდებარება, სხვა შტატში გაქცევის შემთხვევაში არ უნდა იქნას გათავისუფლებული ამ სამსახურისა ან სამუშაოსაგან, თანახმად ამ მეორე შტატის კანონებისა და წესებისა, არამედ ის უნდა გადაეცეს მოთხოვნისთანავე იმ მხარეს, რომელსაც ერგება და ეკუთვნის ეს სამსახური ან სამუშაო*.

* შეიქცალა მეცამეტე შესწორებით

ნაწილი 3. კონგრესს შეუძლია ამ კავშირში მიიღოს ახალი შტატები, მაგრამ არც ერთ შტატს არა აქვს უფლება ჩამოყალიბდეს და შეიქმნას რომელიმე სხვა შტატის იურისდიქციის ქვეშ; არც რომელიმე შტატს აქვს უფლება ჩამოყალიბდეს ორი ან მეტი შტატის, ან შტატების ნაწილების შერწყმის გზით, თუკი ამის თაობაზე არ იქნება როგორც დაისტერეკებული შტატების საკანონმდებლო ხელისუფლების, ისე კონგრესის თანხმობა.

კონგრესი უფლებამოსილია განაგოს შეერთებული შტატების კუთვნილი ტერიტორია ან სხვა სახის საკუთრება და გამოსცეს ამ საკითხებთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი წესი და მითითება, და არაფერი არ უნდა იყოს ამ კონსტიტუციაში განმარტებული შეერთებული შტატებისა ან რომელიმე ცალკეული შტატის კანონიერი მოთხოვნალებების საზიანოდ.

ნაწილი 4. შეერთებულმა შტატებმა უნდა უზრუნველყოს ამ კავშირში შემავალი ყოველი შტატისათვის მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, უნდა დაიცვას თითოეული მათგანი გარედან თავდასხმისაგან, აგრეთვე, საკანონმდებლო დაწესებულებისა ან აღმასრულებელი ხელისუფლების (როდესაც საკანონმდებლო დაწესებულების შეკრება არ ხერხდება) ოსონების შემთხვევაში – შინაგანი აშლილობისგანაც.

მუხლი V

თუკი თითოეული პალატის წევრთა ორი მესამედი ამას საჭიროდ ჩათვლის, კონგრესმა უნდა წარმოადგინოს წინადადებები ამ კონსტიტუციაში შესწორებების შესატანად ან მან ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების ორი მესამედის მოთხოვნით უნდა მოიწვიოს კონვენტი შესწორებათა განსახილველად რომლებსაც, ორივე შემთხვევაში, არსებითად ძალა ექნება და განიხილება როგორც ამ კონსტიტუციის ნაწილი, როდესაც ისინი რატიფიცირებულ იქნება ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების სამი მეოთხედის მიერ, ან კონვენტზე შეკრებილთა სამი მეოთხედის მიერ, რატიფიკაციის როგორც ერთი, ისე მეორე წესის შეთავაზება კონგრესს შეუძლია; ოდინდ იმ პირობით, რომ არცერთი შესწორება, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ათას რეაას რვა წლამდე, არ შეეა ძალაში, თუ ის შეეხება პირველი მუხლის მეცხრე ნაწილის პირველ და მეოთხე აბზაცებს, აგრეთვე იმ პირობით, რომ არცერთ შტატს არ უნდა წაერთვას, მისი თანხმობის გარეშე, სენატში თანახმობის შემთხვევაში უფლება.

მუხლი VI

შეერთებული შტატების ყველა სახელმწიფო ეალი და მასზე დაკისრებული მოვალეობა, რომელიც არსებობს ამ კონსტიტუციის მიღების წინ, ისევე ძალაში იქნება ამ კონსტიტუციის მოქმედების დროს, როგორც ეს იყო კონფედერაციის პერიოდში.

ეს კონსტიტუცია, აგრეთვე შეერთებული შტატების კანონები, რომლებიც მომავალში შეიქმნება და მას მოსდევს; აგრეთვე ყველა აელშეკრულება, რომელიც უკვე დაიდო, ან მომავალში დაიდება შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ, არის ქვეყნის უზენაესი კანონი; და მოსამართლეები ყველა შტატში მას უნდა დაემორჩილნონ, იმ შემთხვევაშიც, თუკი იქნება წინააღმდეგობა ამ კონსტიტუციასა და რომელიმე შტატის კანონმდებლობას შორის.

ზემოთ ნახსენებმა სენატორებმა და წარმომადგენლებმა, აგრეთვე ცალკეული შტატების საკანონმდებლო დაწესებულებების წევრებმა, როგორც შეერთებული შტატების, ისე ცალკეული შტატების აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ყველა თანამდებობის პირმა უნდა დადოს ფიცი ან საზვიმო დაპირება, რომ დაიცავს ამ კონსტიტუციას; ოღონდ არკერთი რელიგიისაღმი ერთგულება არ შეიძლება ოდესმე იყოს განხილული როგორც პირობა შეერთებულ შტატებში რაიმე თანამდებობის დაკაუბისათვის.

მხლი VII

ამ კონსტიტუციის დასაფუძნებლად საკმარისია ის რატიფიცირე ელ იქნას ცნრა შტატის კონვენტის მიერ , რის შემდეგაც იგი ძალაში შეეა იმ შტატებისთვის, რომლებიც ამ წესის შესაბამისად დაამტკიცებენ მას.

მიღებულ იქნა კონვენტზე, დამსწრე შტატების ერთსულოვანი მხარდაჭერით, ჩვიდმეტ სექტემბერს, უფლისა ჩენისა დაბადებიდან ათას შვიდას ოთხმოცდამეშვიდე და ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მეთორმეტე წელს, რასაც ჩვენ ქვემოთ ხელისმოწერით ვადასტურებთ,

*ჯორჯ ეაშინგტონი, კრეზიდენტი
და დეპუტატი ვირჯინიის შტატიდან.*

ნიუ-ჰემპშირი

ჯონ ლენგდონი
ნიკოლას გილმენი

მასაჩუსეტსი

ნათენიელ გორემი
რუფუს კინგი

კონექტიკუტი

უილიამ სემუელ ჯონსონი
როჯერ შერმანი

ნიუ-იორკი

ალექსანდერ ჰემილტონი

ნიუ-ჯერსი

უილიამ ლიეინგსტონი
დევიდ ბრერლი
უილიამ ჰეტერსონი
ჯონათან დეიტონი

პენსილვენია

ბენჯამინ ფრანკლინი
თომას შიფლინი
რობერტ მორისი
ჯორჯ კლაიპერი
თომას ფიტსიმონსი
ჯერედ ინგერსოლი
ჯეიმს უილსონი
გუვერნერ მორისი

ფლაკეარი	ჯორჯ რიდი განინგ ბედფორდ უმცროსი ჯონ ლკინსონი რიჩარდ ბესეტი ჯეკობ ბრუკი
პერილენდი	ჯეიმს მაკენრა დენიელ სტ. თ. ჯენიფერი დენიელ კეროლი
ვირჯინია	ჯონ ბლეირი ჯეიმს მედსონ უმცროსი
ჩრდილოეთ კეროლიანა	უილიამ ბლაუნტი რიჩარდ დობს სპეიტი პიუ უილიამსონი
სამხრეთ კეროლიანა	ჯონ რუტლიჯი ჩარლზ კოუტსეორთ პინკნი ჩარლზ პინკნი პირს ბატლერი
ჯორჯია	უილიამ ფიუ ებრაჰემ ბოლდუინი ეადასტურებ: უილიამ ჯექსონი მღვიანი

ციტირებული ლიტერატურა

- Abraham, Henry J. (1985). *Justices and Presidents: A Political History of Appointments to the Supreme Court*, 2d ed. (New York: Oxford University Press)
- Abramowitz, Alan I. (1991). "Incumbency, Campaign Spending, and the Decline of Competition in U.S. House Elections." *Journal of Politics* 53 (February)
- Abramson, Jill (1990). "Auto Makers Lobbied Hard Against Stricter Fuel Rules." *Wall Street Journal*, April 4
- Aberbach, Joel D. (1990). *Keeping a Watchful Eye* (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Advisory Commission on Intergovernmental Relations (1981). *The Federal Role in the Federal System: The Dynamics of Growth* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office).
- Alexander v. Holmes County Board of Education*, 369 U.S. 19 (1969)
- Allen, Richard L. Michael C. Dawson, and Ronald E. Brown (1989). "A Schemabased Approach to Modeling an African-American Racial Belief System." *American Political Science Review* 83 (June)
- American Booksellers Ass'n v. Hudnut*, 598 F. Supp. 1316 (1984)
- Asher, Herbert (1980). *Presidential Elections and American Politics* (Homewood, Ill.: Dorsey Press).
- Bachrach, Peter and Morton S. Baratz (1962). "Two Faces of Power." *American Political Science Review* 56 (December).
- Baldwin v. New York*, 399 U.S. 66 (1970)
- Barnes, Fred (1990). "Hour of Power" *New Republic*, September 3.
- Barron v. Baltimore*, 7 Pet 243 (1833)
- Baum, Lawrence (1990). *American Courts: Process and Policy*, 2d ed. (Boston: Houghton Mifflin)
- Beck, Paul Allen (1977). "The Role of Agents in Political Socialization." in *Handbook of Political Socialization Theory and Research*, ed. Stanley Allen Renshon (New York: Free Press).
- Benenson Bob, (1992). "Ardous Ritual of Redistricting Ensures More Racial Diversity" *Congressional Quarterly Weekly Report*, October 24)
- Bennett, Stephen Earl. (1989). "Trends in Americans' Political Information, 1967-1987." *American Politics Quarterly* 17 (October).
- Berry, Jeffrey M. (1977). *Lobbying for the People* (Princeton, N.J.: Princeton University Press)
- Berry, Jeffrey M. (1984). *Feeding Hungry People: Rulemaking in the Food Stamp Program* (New Brunswick, N.J.: Rutgers University Press)
- Berry, Jeffrey M. (1989). *The Interest Group Society*, 2d ed. (Glenview, Ill.: Scott, Foresman/Little, Brown)
- Berry, Jeffrey M. (1989). "Subgovernments, Issue Networks, and Political Conflict," in *Remaking American Politics*, ed. Richard A. Harris and Sidney M. Milkis (Boulder, Colo.: Westview Press)
- Bickel, Alexander M. (1962). *The Least Dangerous Branch* (Indianapolis: Bobbs-Merrill)

- Blechman, Barry M. (1990). "The New Congressional Role in Arms Control," in *A Question of Balance*, ed. Thomas E. Mann (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Board of Education v. Allen*, 392 U.S. 236 (1968)
- Bond, John R. and Richard Fleicher (1990). *The President in the Legislative Arena* (Chicago: University of Chicago Press)
- Bowers v. Hardwick*, 106 S. Ct. 2841 (1986)
- Bozell II, L. Brent and Brent H. Baker, eds. (1990). *And That's the Way It Isn't* (Alexandria, Va.: Media Research Center).
- Branderburg v. Ohio*, 395 U.S. 444 (1969)
- Brady, David W. (1988). *Critical Elections and Congressional Policy Making* (Stanford, Calif.: Stanford University Press)
- Brodvold, Louis I. and Ralph G. Ross, eds. (1960). *The Philosophy of Edmund Burke* (Ann Arbor: University of Michigan Press)
- Brest Paul (1975). *Processes of Constitutional Decision-Making* (Boston: Little, Brown)
- Broadcasting Yearbook, 1990* (1990). (Washington, D.C.: Broadcasting Publications)
- Broder, David S. (1972). *The Party's Over: The Failure of Politics in America* (New York: Harper and Row).
- Browning, Rufus P., Dale Riggers Marshall, and David H. Tabb. (1984). *Protest Is Not Enough* (Berkeley, Calif.: University of California Press)
- Brown v. Board of Education* (1954). 347 U.S. 483.
- Brown v. Board of Education II*, 349 U.S. 294 (1955).
- Buchanan, Bruce (1991). *Electing a President: The Report on the Markle Commission on the Media and the Electorate* (Austin: University of Texas Press)
- Bureau of the Census. *Statistical Abstract of the United States, 1990* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office. 1990)
- Burke, John P. and Fred I. Greenstein (1989). *How Presidents Test Reality* (New York: Russell Sage Foundation)
- Burnham Walter Dean, (1970). *Critical Elections and the Mainsprings of American Politics* (New York: Norton)
- Campbel, Angus et al. (1960). *The American Voter* (New York: Wiley).
- Cater, Douglass, (1964). *Power in Washington* (New York: Vintage Books)
- Ceaser, James W. (1988). "The Reagan Presidency and American Public Opinion," in *The Reagan Legacy*, ed., Charles O. Jones (Chatham, N.J.: Chatham House)
- Center for Political Studies (1989). *1988 National Election Survey* (Ann Arbor, Mich.: Inter-University Consortium for Political and Social Research)
- Center for Political Studies of the Institute for Social Research. (1984). *Election Study 1984* (Ann Arbor: University of Michigan)
- Chafetz, Zechariah (1941). *Free Speech in the United States* (Cambridge, Mass.: Harvard University Press)
- Chubb, John E. (1983). *Interest Groups and the Bureaucracy* (Stanford, Calif.: Stanford University Press).
- Cigler, Allan J. and John Mark Hansen (1983). "Group Formation Through Protest: The American Agriculture Movement," in *Interest Group Politics*, ed. Allan J. Cigler and Burdett

- A. Loomis (Washington, D.C.: Congressional Quarterly).
- Civil Rights Cases*, 109 U.S. 3 (1883)
- Clancey, Maura and Michael J. Robinson (1985). "General Election Coverage: Part I." *Public Opinion* 7 (December-January)
- Clubb, Jerome M., William H. Flanigan, and Nancy H. Zingale, (1980). *Partisan Realignment: Voters, Parties, and Government in American History*, vol. 108 (Beverly Hills, Calif.: Sage Publications)
- Cobb, Roger W. and Charles D. Elder (1983). *Participation in American Politics*, 2d ed. (Baltimore, Md.: Johns Hopkins University Press)
- Coll, Steven. (1986). *The Deal of the Century* (New York: Atheneum)
- Conover, Pamela Johnston (1981). "The Origins and Meaning of Liberal-Conservative Self-Identifications." *American Journal of Political Science* 25 (November).
- Constitution of the United States of America: Annotated and Interpreted*. (1987). (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1987) and 1988 supplement
- Conway, M. Margaret (1991). *Political Participation in the United States*, 2d ed. (Washington, D.C.: Congressional Quarterly).
- Cook, Timothy E. (1989). *Making Laws and Making News* (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Corwin, Edward S. (1950). "The Passing of Dual Federalism," *Virginia Law Review* 36 (February).
- Costain, Anne (1980). "The Struggle for a National Womens Lobby," *Western Political Quarterly* 33 (December).
- Craig v. Borden*, 429 U.S. 190 (1976)
- Craig, Stephen C. and Michael A. Magiotta (1981). "Political Discontent and Political Action." *Journal of Politics* 43 (May)
- Crewe, Ivor. (1981). "Electoral Participation," in *Democracy at the Polls: A Comparative Study of Competitive National Elections*, ed. David Butler, Howard R. Penniman, and Austin Ranney (Washington, D.C.: American Enterprise Institute)
- Cronin, Thomas E. (1980). *The State of the Presidency*, 2d ed. (Boston: Little, Brown)
- Crotty, William C. and Gary C. Jacobson (1980). *American Parties in Decline* (Boston: Little, Brown)
- Dahl, Robert A. (1956). *A Preface to Democratic Theory* (Chicago: University of Chicago Press)
- Dahl, Robert A. (1961), *Who Governs* (New Haven, Conn.: Yale University Press).
- Dahl, Robert A. (1982). *Dilemmas of Pluralist Democracy: Autonomy vs. Control* (New Haven, Conn.: Yale University Press).
- Dalton, Russell J. (1988). *Citizen Politics in Western Democracies* (Chatham, N.J.: Chatham House)
- Derthick, Martha and Paul J. Quirk, (1985). *The Politics of Deregulation* (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Dionne, E.J. Jr., (1980). "On the Trail of Corporation Donations" *New York Times*, October 6
- Dodd, Lawrence C. and Richard L. Schott, (1979). *Congress and the Administrative State* (New York: Wilcy)
- Dolbear, Kenneth M. (1984). *Democracy at Risk: The Politics of Economic Renewal* (Chatam, N.J.: Chatam House);

- Downs, Donald Alexander *The New Politics of Pornography* (Chicago: University of Chicago Press, 1989).
- Drew, Elizabeth (1982). "Politics and Money." *New Yorker*, December 6.
- Duncan v. Louisiana*, 391 U.S. 145 (1968)
- Dyc, Thomas R. (1990). *American Federalism: Competition Among Governments* (Lexington, Mass.: Lexington Books).
- Dye, Thomas R. (1990). *Who's Running America? The Bush Era*. 5th ed. (Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall)
- Edwards III, George C. (1989). *At the Margins* (New Haven, Conn.: Yale University Press)
- Elazar, Daniel J. (1962). *The American Partnership* (Chicago: University of Chicago Press);
- Elazar, Daniel J. (1990). "Opening the Third Century of American Federalism: Issues and Prospects," *Annals of the American Academy of Political and Social Sciences* 509 (May).
- Elman, Philip, (1987). (Interviewed by Norman Silber), "The Solicitor General's Office, Justice Frankfurter, and Civil Rights Litigation, 1946-1960: An Oral History," 100 *Harvard Law Review*, 817-852, 840
- Ely, John Hart (1973). "The Wages of Crying Wolf: A Comment on *Roe v. Wade*," 82 *Law Journal*
- "E.P.A. Drops Plan to Require Waste Incinerators to Recycle", (1990). *New York Times*, December 21
- Erikson, Robert S., Norman R. Luttbeg, and Kent L. Tedin (1988). *American Public Opinion*, 3d. ed. (New York: Macmillan);
- Everson v. Board of Education*, 330 U.S. 236 (1947)
- "Fears on Economy Doom Environment Issues. Tax Cuts," 1990, *Chicago Tribune*. November 8
- Federal Election Commission (1985). *The First Ten Years: 1975-1985* (April 14)
- Fenno, Jr., Richard F. (1978). *Home Style* (Boston: Little, Brown).
- Fenno Richard F. Jr. (1989). *The Making of a Senator: Dan Quayle* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Ferejohn, John A. (1977). "On the Decline of Competition in Congressional Elections," *American Political Science Review* 71 (March)
- Fichel, Jeff. (1985). *Presidents and Promises* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press).
- Firefighters v. Stotts*, 467 U.S. 561 (1984)
- Fowler, Linda L. and Robert D. McClure (1989). *Political Ambition* (New Haven, Conn.: Yale University Press)
- Frankfurter, Felix and James M. Landis. (1928). *The Business of the Supreme Court* (New York: Macmillan)
- Frantzich, Stephen E. (1989). *Political Parties in the Technological Age* (New York: Longman).
- Friedman, Milton (1962). *Capitalism and Freedom* (Chicago: University of Chicago Press).
- Friendly, Fred W. (1981). *Minnesota Rag* (New York: Random House)
- Frontiero v. Richardson*, 411 U.S. 677 (1973)
- Gallup Report* (1988). (September)
- Gallup Report* (March-April 1989).
- Gans, Herbert, (1962). *The Urban Villagers* (New York: Free Press)
- Gant, Michael M. and Norman R. Luttbeg, (1991). *American Electoral Behavior* (Itasca, Ill.: F.E. Peacock).
- Garrow, David J. (1978). *Protest at Selma* (New Haven, Conn.: Yale University Press)

- Gaventa, John (1980). *Power and Powerlessness* (Urbana, Ill.: University of Illinois Press).
- Germond, Jack W. and Jules Witcover (1989). *Whose Broad Stripes and Bright Stars?* (New York: Warner Books)
- Gibson, James L. (1989). "The Policy Consequences of Political Intolerance: Political Repression During the Vietnam War Era." *Journal of Politics* 51 (February)
- Gibson, James L., John P. Frendreis, and Laura L. Vertz. (1989). "Party Dynamics in the 1980s: Change in County Organizational Strength, 1980-1984," *American Journal of Political Science* 33 (February).
- Gideon v. Wainwright*, 372 U.S. 335 (1963)
- Ginsberg, Benjamin, (1982). *The Consequences of Consent: Elections, Citizen Control and Popular Acquiescence* (Reading, Mass.: Addison-Wesley)
- Gitelson, Alan R., M. Margaret Conway, and Frank B. Fiegert, (1984). *American Political Parties: Stability and Change* (Boston: Houghton Mifflin)
- Gitlow v. New York*, 268 U.S. 652 (1925)
- Glass, David, Peverill Squire, and Raymond Wolfinger (1984). "Voter Turnout: An International Comparison," *Public Opinion* 6 (December-January)
- Glazer, Nathan, (1984). "The Structure of Ethnicity," *Public Opinion* 7 (October - November).
- Goebel, Julius, Jr., (1971). *Antecedents and Beginnings to 1801*, vol. 1 of *The History of the Supreme Court of the United States* (New York: Macmillan)
- Gormley, William T. Jr., (1989). *Taming the Bureaucracy* (Princeton, N.J.: Princeton University Press)
- Graber, Doris A. (1984). *Mass Media and American Politics* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press).
- Graber, Doris A. (1988). *Processing the News: How People Tame the Information Tide*, 2d ed. (New York: Longman)
- Graber, Doris A. (1989). *Mass Media and American Politics*, 3d ed. (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Greenberg, Edward S. (1986). *The American Political System: A Radical Approach* (Boston: Little, Brown).
- Greenhouse, Linda, 1988, "Precedent for Lower Courts: Tyrant or Teacher?" *New York Times*, January 29
- Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479 (1965)
- Grodzins, Morton, (1966). *The American System* (Chicago: Rand McNally).
- Grofman, B., ed. (1990). *Political Gerrymandering and the Courts*. (New York: Agathon Press.)
- Hall, Richard L. (1989). "Committee Decision Making in the Postreform Congress" in *Congress Reconsidered*, 4th ed., ed. Lawrence C. Dodd and Bruce I. Oppenheimer (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Hansen, John Mark (1985). "The Political Economy of Group Membership," *American Political Science Review* 79 (March)
- Harper v. Virginia State Board of Elections*, 383 U.S. 663. (1966).
- Hastic, Reid (1986). "A Primer of Information-Processing Theory for the Political Scientist," in *Political Cognition*, ed. Richard R. Lau and David O. Sears (Hillsdale, N.J.: Erlbaum)
- Hazelwood School District v. Kuhlmeier*, 484 U.S. 280 (1988)
- Heclo, Hugh. (1978). "Issue Networks and the Executive Establishment," in *The*

- New American Political System*, ed. Anthony King (Washington, D.C.: American Enterprise Institute)
- Herson, Lawrence (1984). *The Politics of Ideas: Political Theory and American Public Policy* (Homewood, Ill.: Dorsey Press).
- Hess, Robert D. and Judith V. Tomcy (1967). *The Development of Political Attitudes in Children* (Chicago: Aldine).
- Hinmelstein, Jerome L. (1990). *To the Right: The Transformation of American Conservatism* (Berkeley and Los Angeles: University of California Press)
- Holley, Jack K. (1991). "The Press and Political Polling," in *Polling and Presidential Election Coverage*, ed. Paul J. Lavrakas and Jack K. Holley (Newbury Park, Calif.: Sage Publications).
- Huckfeldt, Robert and John Sprague (1987). "Networks in Context: The Social Flow of Information," *American Political Science Review* 81 (December).
- International Union, United Automobile, Aerospace and Agricultural Implement Workers of America v. Johnson Controls, Inc.*, 1991 U.S. LEXIS 1715 (1991)
- Iyengar, Shanto and Donald R. Kinder (1987). *News That Matters: Television and American Opinion* (Chicago: University of Chicago Press)
- Jackson, Robert H. (1941). *The Struggle for Judicial Supremacy* (New York: Knopf).
- Jacobson, Gary C. (1990). "Meager Patriotism: The Reagan Era and Republican Representation in Congress," in *Looking Back on the Reagan Presidency*, ed. Larry Berman (Baltimore, Md.: Johns Hopkins University Press).
- James v. Illinois*, 110 S. Ct. 648 (1990)
- Janda, Kenneth (1980). *Political Parties: A National Survey* (New York: Free Press)
- Jennings, M. Kent, Jan W. van Deth et al. (1990). *Continuities in Political Action: A Longitudinal Study of Political Orientations in Three Western Democracies* (New York: Walter de Gruyter)
- Johnson v. Transportation Agency, Santa Clara County*, 480 U.S. 616 (1987)
- Jones, Charles O. (1982). *The United States Congress* (Homewood, Ill.: Dorsey Press)
- Kaase, Max and Alan Marsh (1979 a). "Political Action: A Theoretical Perspective," in Barnes and Kaase, eds., *Political Action*
- Kaase, Max and Alan Marsh (1979 b). "Distribution of Political Action," in Barnes and Kaase, eds., *Political Action*
- Kagay, Michael R. (1990). "The Use of Public Opinion Polls by the New York Times: Some Examples from the 1988 Presidential Election," in *Polling and Presidential Election Coverage*, ed. Paul J. Lavrakas and Jack K. Holley (Newbury Park, Calif.: Sage Publications).
- Kamen, Al and David Von Drehle (1992). "Ethics Policy Toughened," *Washington Post*, December 10.
- Kaufman, Herbert (1976). *Are Government Organizations Immortal?* (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Keith, Steven N., Robert M. Bell, and Albert P. Williams, (1987). *Assessing the Outcome of Affirmative Action in Medical Schools* (Santa Monica, Calif.: Rand)
- Kern, Montague (1989). *30-Second Politics: Political Advertising in the Eighties* (New York: Praeger)

- King, Gary and Lyn Ragsdale (1988). *The Elusive Executive* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press).
- King, Seth (1981). "Reagan, in Bid for Budget Votes, Reported to Yield on Sugar Prices," *New York Times*, June 27
- Kingdon, John W. (1981). *Congressmen's Voting Decisions*, 2d ed. (New York: Harper and Row)
- Kingdon, John W. (1984). *Agendas, Alternatives, and Public Policies* (Boston: Little, Brown)
- Kingsley, Roger P. (1984). "Advocacy for the Handicapped" (Paper delivered at the annual meeting of the American Political Science Association, Washington, D. C., September).
- Koenig, Louis W. (1981). *The Chief Executive*, 4th ed. (New York: Harcourt Brace Jovanovich)
- Kolbert, Elizabeth, 1992, "For Bush, More TV News Is Also Good News," *New York Times*, September 22
- Kosterlitz, Julie (1990). "Anguish and Opportunity," *National Journal*, April 28.
- Krauthammer, Charles, (1990). "In Praise of Low Voter Turnout," *Time*, May 21
- Kumar, Martha Joynt and Michael Baruch Grossman (1984). "The Presidency and Interest Groups," in *The Presidency and the Political System*, ed. Michael Nelson (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Ladd, Everett Carl (1985). *The American Polity* (New York: Norton)
- Langley, Monica, (1986). "Feuding Lobbies Hinder Push to Write Comprehensive Legislation," *Wall Street Journal*, March 24.
- Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 (1971)
- Levy, Leonard W. (1985). *The Emergence of a Free Press* (New York: Oxford University Press)
- Levy, Leonard W. (1986). *The Establishment Clause: Religion and the First Amendment* (New York: Macmillan)
- Lewis, Anthony (1964), *Gideon's Trumpet* (New York: Random House)
- Lichter, Robert S. and Stanley Rothman (1981). "Media and Business Elites," *Public Opinion* 5 (October-November)
- Lijphart, Arend (1984). *Democracies* (New Haven, Conn.: Yale University Press).
- Lindblom, Charles E. (1959). "The Science of Muddling Through," *Public Administration Review* 19 (Spring)
- Lindblom, Charles (1977). *Politics and Markets* (New York: Basic Books).
- Local 28 of the Sheet Metal Workers' International Association v. EEOC*, 478 U.S. 421 (1986)
- Longley, Lawrence D. and Walter J. Oleszek (1989). *Bicameral Politics* (New Haven, Conn.: Yale University Press)
- Lowi, Theodore J. (1985). *The Personal President* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press)
- Lowry Robert, (1989). *Clinton, Marbury v. Madison and Judicial Review* (Lawrence: University Press of Kansas)
- Lutz, Donald S. (1983). "The Preamble to the Constitution of the United States," *This Constitution* 1 (September).
- Macpherson, C.B. (1975). *The Real World of Democracy* (New York: Oxford University Press).
- Maddox, William S. and Stuart A. Little (1984). *Beyond Liberal and Conservative: Researching the Political Spectrum*. (Washington, D.C.: CATO Institute)
- Magleby, David B. (1984). *Direct Legislation: Voting on Ballot Propositions in the United States* (Baltimore, Md.: Johns Hopkins University Press)

- Maisel, L. Sandy, ed. (1990). *The Parties Respond: Changes in the American Party System*. (Boulder, Colo.: Westview Press.)
- Malbin Michael (1980). *Unelected Representatives* (New York: Basic Books)
- Mansbridge, Jane J. (1986). *Why We Lost the ERA* (Chicago: University of Chicago Press)
- Mansbridge, Jane J., ed. (1990). *Beyond Self-Interest* (Chicago: University of Chicago Press).
- Mapp v. Ohio*, 307 U.S. 643 (1961)
- Marbury v. Madison*, 1 Cranch 137, 177-178 (1803)
- Margolis, Michael and Gary A. Mauser (1989). *Manipulating Public Opinion: Essays on Public Opinion as a Dependent Variable* (Pacific Grove, Calif.: Brooks/Cole)
- Martin v. Hunter's Lessee*, 1 Wheat. 304 (1816)
- Martin v. Wilkes*, 109 S. Ct. 2180 (1989)
- Marshall, Thomas R. (1989). *Public Opinion and the Supreme Court* (Boston: Unwin Hyman)
- Marx, Karl and Friedrich Engels (1938). *Critique of the Gotha Programme* (New York: International Publishers).
- Matlack, Carol (1990). "Getting Around the Rules," *National Journal*, May 12
- McCloskey, Robert G. (1960). *The United States Supreme Court* (Chicago: University of Chicago Press)
- McCool, Daniel (1990). "Subgovernments as Determinants of Political Viability." *Political Science Quarterly* 105 (Summer)
- McConnell, Michael W. (1990). "The Origins and Historical Understanding of Free Exercise of Religion," *Harvard Law Review* 103
- McDonald, Forrest (1985). *Novus Ordo*
- Secorum: The Intellectual Origins of the Constitution* (Lawrence: University Press of Kansas).
- McFarland, Andrew S. (1984). *Common Cause* (Chatham, N.J.: Chatham House)
- McNabb v. United States*, 318 U.S. 332 (1943)
- Milbrath, Lester W. and M. L. Goel. *Political Participation* (Chicago: Rand McNally. 1977)
- Miller, Warren E. and Donald E. Stokes (1963). "Constituency Influence in Congress." *American Political Science Review* 57 (March).
- Miller, Warren E., Arthur H. Miller, and Edward J. Schncider. (1980). *American National Election Studies Data Sourcebook, 1952-1978* (Cambridge, Mass.: Harvard University Press)
- Milkien v. Bradley*, 418 U.S. 717 (1974)
- Mills, Wright C. (1956). *The Power Elite*. (New York: Oxford University Press)
- Minersville School District v. Gobitis*, 310 U.S. 586 (1940)
- Miranda v. Arizona*, 384 U.S. 486 (1966).
- Moe, Terry M. (1980). *The Organisation of Interests* (Chicago: University of Chicago Press)
- Moe, Terry M. (1985). "The Politicized Presidency," in *The New Direction in American Politics*, ed s. John E. Chubb and Paul E. Peterson (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Moe, Terry M. (1989). "Control and Feedback in Economic Regulation: The Case of the NLRB," *American Political Science Review* 79 (December)
- Moe, Terry M. (1989). "The Politics of Bureaucratic Structure," in *Can the Government Govern?* ed. John E. Chubb and Paul E. Peterson (Washington, D.C.: Brookings Institution)

- Monroe, Kristen Renwick (1984). *Presidential Popularity and the Economy* (New York: Praeger)
- Morone, James A. (1990). *The Democratic Wish* (New York: Basic Books)
- Muller v. Oregon*, 208 U.S. 412 (1908)
- Murphy, Walter F. (1964). *Elements of Judicial Strategy* (Chicago: University of Chicago Press)
- Near v. Minnesota*, 283 U.S. 697 (1931).
- Nelson, Michael, ed. (1989). *Congressional Quarterly's Guide to the Presidency* (Washington, D.C.: Congressional Quarterly)
- Neuman, W. Russell (1986). *The Paradox of Mass Politics: Knowledge and Opinion in the American Electorate* (Cambridge, Mass.: Harvard University Press).
- Neustadt, Richard E. (1954). "Presidency and Legislation; The Growth of Central Clearance," *American Political Science Review* 48 (September)
- Neustadt, Richard E. (1960). *Presidential Power: The Politics of Leadership* (New York: Wiley).
- Neustadt, Richard E. (1980). *Presidential Power* (New York: John Wiley)
- Neustadt, Richard E. and Ernest R. May (1986). *Thinking in Time* (New York: Free Press)
- Newcomb, Theodore M. (1967). *Persistence and Social Change: Bennington College and Its Students After Twenty Five Years* (New York: Wiley).
- New York Times v. Sullivan*, 376 U.S. 254 (1964).
- New York Times v. United States*, 403 U.S. 713 (1971)
- New York Times* 1993, February 10
- Nie, Norman H., Sidney Verba, and John R. Petrocik (1979). *The Changing American Voter*, 2d ed. (Cambridge, Mass.: Harvard University Press).
- Niemi, Richard G., John Mueller, and Tom W. Smith (1989). *Trends in Public Opinion: A Compendium of Survey Data* (Westport, Conn.: Greenwood Press).
- Nixon, Richard M. (1969). "Speech to National Governors Conference, September 1, 1969," in *Congressional Quarterly Almanac* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press).
- Norton, Mary Beth et al., (1990). *A People and a Nation: A History of the United States*, 3d ed. (Boston: Houghton Mifflin)
- O'Brien, David M. (1990). *Storm Center*, 2d ed. (New York: Norton)
- Oleszek, Walter J. (1989). *Congressional Procedures and the Policy Process*, 3d ed. (Washington, D.C.: Congressional Quarterly)
- Olson Mancur Jr., (1968). *The Logic of Collective Action* (New York: Schocken)
- Ornstein, Norman (1990). "The Permanent Democratic Congress," *Public Interest* 100 (Summer)
- Ornstein, Norman J., Thomas E. Mann, and Michael J. Malbin (1990). *Vital Statistics on Congress, 1989-1990* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Orren, Gary R. and Nelson W. Polsby, eds. (1987). *Media and Momentum: The New Hampshire Primary and Nomination Politics* (Chatham, N.J.: Chatham House)
- "PAC Activity Falls in 1990 Election" (1991). *Federal Election Commission*, March 31.
- Page, Benjamin I., Robert Y. Shapiro, and Glenn R. Dempsey (1987). "What Moves Public Opinion?" *American Political Science Review* 81 (March)

- Palko v. Connecticut*, 302 U.S. 315 (1937)
- Patterson v. McLean Credit Union*, 109 S. Ct. 2363 (1989)
- Patterson, James T. (1969). *The New Deal and the States: Federalism in Transition* (Princeton, N.J.: Princeton University Press).
- Peabody, Robert L. (1976). *Leadership in Congress* (Boston: Little, Brown)
- Peltason, Jack W. (1971). *Fifty-Eight Lonely Men*, rev. ed. (Urbana: University of Illinois Press)
- Peterson, Steven A. (1990). *Political Behavior: Patterns in Everyday Life* (Newbury Park, Calif.: Sage Publications)
- Pfeffer, Leo (1953). *Church, State, and Freedom* (Boston: Beacon Press)
- Phelps, Timothy M. and Helen Winternitz. (1992). *Capitol Games: Clarence Thomas, Anita Hill and the Story of a Supreme Court Nomination* (New York: Hyperion Press)
- Phillips, Kevin (1990). *The Politics of Rich and Poor* (New York: Random House)
- Pious, Richard M. (1979). *The American Presidency* (New York: Basic Books)
- Plessy v. Ferguson*, 163 U.S. 537 (1896)
- Pollock III, Philip H. (1982). "Organizations as Agents of Mobilization: How Does Group Activity Affect Political Participation?" *American Journal of Political Science* 26 (August)
- Polsby, Nelson W. (1978). *Power and Political theory: A Further Look at Problems of Evidence and Inference*, 2nd ed. (New Haven, Conn.: Yale University Press)
- Pomper, Gerald M. (1968). *Elections in America* (New York: Dodd, Mead)
- Pope v. Illinois*, 481 U.S. 497 (1987).
- Porter, Bruce D. (1980). "Parkinson's Law Revisited: War and the Growth of American Government." *Public Interest* 60 (Summer)
- Powell, G. Bingham, Jr. (1986). "American Voter Turnout in Comparative Perspective." *American Political Science Review* 80 (March)
- Powell, G. Bingham, Jr. (1982). *Contemporary Democracies* (Cambridge, Mass.: Harvard University Press).
- "Prepared Text of Carter's Farewell Address." 1981. *New York Times*, January 15
- Province, Doris M. (1980). *Case Selection in the United States Supreme Court* (Chicago: University of Chicago Press)
- Public Papers of the President Lyndon B. Johnson, 1965*, vol. 1 (1966). (Washington, D.C.; U.S. Government Printing Office).
- Public Opinion* 7 (1985), December-January
- Ranney, Austin and Willmoore Kendall (1956). *Democracy and the American Party System* (New York: Harcourt, Brace)
- Reagan, Ronald (1984). "National Minimum Drinking Age: Remarks on Signing HR-4616 into Law (July 17, 1984)." *Weekly Compilation of Presidential Documents*, July 23.
- Redman, Eric (1973). *The Dance of Legislation* (New York: Touchstone)
- Regents of the University of California v. Bakke*, 438 U.S. 265 (1978)
- Reinhold, Robert (1990). "Complicated Ballot Is Becoming Burden to California Voters." *New York Times*, September 24
- Reinhold, Robert (1992). "Move to Limit Terms Gathers Steam After Winning in 14 States." *New York Times*, November 5)

- Reynolds v. United States*, 98 U.S. 145 (1879)
- Rieselbach, Leroy (1986). *Congressional Reform* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press).
- Robert A. Dahl, (1962). "Decision-Making in a Democracy: The Supreme Court as a National Policy-Maker," *Journal of Public Law* 6
- Robinson, Michael J. (1975). "American Political Legitimacy in an Era of Electronic Journalism: Reflections on the Evening News," in *Television as a Social Force*, ed. Douglass Cater (New York: Praeger).
- Robinson, Michael J. (1985). "The Media in Campaign 84: Part II: Wingless, Toothless, and Hopeless," *Public Opinion* 8 (February-March)
- Robinson, Michael and Margaret Sheehan (1983). *Over the Wire and on TV: CBS and UPI in Campaign '80* (New York: Russell Sage Foundation)
- Rosenberg, Gerald N. (1994). *The Hollow Hope: Can Courts Bring About Social Change?* (Chicago: University of Chicago Press)
- Rosenstone, Steven J. (1983). *Forecasting Presidential Elections* (New Haven, Conn.: Yale University Press)
- Rosenstone, Steven J., Roy L. Behr and Edward H. Lazarus, (1984). *Third Parties in America: Citizen Response to Major Party Failure* (Princeton, N.J.: Princeton University Press)
- Rothman, Stanley and S. Robert Lichter (1987). "Elite Ideology and Risk Perception in Nuclear Energy Policy," *American Political Science Review* 81 (June).
- Sabato, Larry J. and David Beiler (1988). *Mag ...or. Blue Smoke and Mirrors? Reflections on New Technologies and Trends in The Political Consultant Trade* (Northwestern University: Annenberg Washington Program in Communication Policy Studies).
- Saint Francis College v. Al-Khazraji*, 481 U.S. 604 (1987)
- Salisbury, Robert H. (1969). "An Exchange Theory of Interest Groups" *Midwest Journal of Political Science* 13 (February).
- Salisbury, Robert H. (1986). "Washington Lobbyists: A Collective Portrait," in *Interest Group Politics*, 2d ed., ed. Allan J. Cigler and Burdett A. Loomis (Washington, D.C.: Congressional Quarterly)
- Sanders, Arthur (1990). *Making Sense Out of Politics* (Ames: Iowa State University Press)
- Sanders, Elizabeth (1990). "The Presidency and the Bureaucratic State," in *The Presidency and the Political System*, 3d ed., ed. Michael Nelson (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Schenck v. United States*, 249 U.S. 46 (1919)
- Schlozman, Kay Lehman and John T. Tierney (1986). *Organized Interests and American Democracy* (New York: Harper & Row).
- Schneider, William (1982). "Bang-Bang Television: The New Superpower," *Public Opinion* 5 (April-May).
- Schneider, William and I. A. Lewis, (1985), "Views on the News," *Public Opinion* 8 (August-September)
- Schneider, Keith, (1988). "Farmers to Face Patent Fees to Use Gene-Altered Animals," *New York Times*, January 6
- Schwartz, Bernard, (1985). *The Unpublished Opinions of the Warren Court* (New York: Oxford University Press).
- Scars, David O. and Carolyn L. Funk (1990). "Self-Interest in American's

- Political Opinions." in Mansbridge, ed., *Beyond Self-Interest*.
- Shabecoff, Philip (1990). "Senator Urges Military Resources Be Turned to Environmental Battle," *New York Times*, June 29
- Shaffer, Stephen D. (1981). "A Multivariate Explanation of Decreasing Turnout in Presidential Elections, 1960-1976," *American Journal of Political Science* 25 (February)
- Sharp, Elaine B. (1984). "Citizen Demand Making in the Urban Context," *American Journal of Political Science* 28 (November)
- Sheehy, Gail, (1987). "The Road to Bimini," *Vanity Fair*, September
- Sigelman, Lee (1990). "Disarming the Opposition: The President, the Public, and the INF Treaty," *Public Opinion Quarterly* 54 (Spring)
- Sinclair, Barbara, (1990). "The Congressional Party: Evolving Organizational, Agenda-Setting and Policy Roles," in *The Parties Respond: Changes in the American Party System*, ed. L. Sandy Maisel (Boulder, Colo.: Westview Press)
- Skogan, Wesley G. (1990). *Disorder and Decline. Crime and the Spiral Decay in American Neighborhoods* (New York: The Free Press).
- Smith, Eric R.A.N. (1989). *The Unchanging American Voter* (Berkeley and Los Angeles: University of California Press).
- Smith Steven S. and Christopher J. Deering (1984). *Committees in Congress* (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Smith, Steven S. (1989). *Call to Order* (Washington, D.C.: Brookings Institution)
- Smith, Tom. W. and Paul B. Sheatsley (1984). "American Attitudes Toward Race Relations." *Public Opinion* 7 (October - November).
- Smith v. Allwright*, 321 U.S. 649. (1944).
- Stanley, Harold W. and Richard G. Niemi (1990). *Vital Statistics on American Politics*. 2d ed. (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Straits, Bruce C. (1990). "The Social Context of Voter Turnout," *Public Opinion Quarterly* 54 (Spring)
- Stewart, William H. (1984). *Concepts of Federalism* (Lanham, Md.: University Press of America).
- Storing, Herbert J. ed. (1981). *The Complete Anti-Federalist*, 7 vols. (Chicago: University of Chicago Press).
- Sullivan John L., et al. (1981). "The Sources of Political Tolerance: A Multivariate Analysis," *American Political Science Review* 75 (March).
- "Supreme Court Voids Flag Law," *New York Times*, July 12, 1990, p. A1.
- Tanenhous, Joseph et al., (1963). "The Supreme Court's Certiorari Jurisdiction: Cue Theory," in *Judicial Decision-Making*, ed. Glendon Schubert (New York: Free Press)
- Teixeira, Ruy A. (1987). *Why Americans Don't Vote: Turnout Decline in the United States, 1960-1984* (Westport, Conn.: Greenwood Press)
- Temin, Peter with Louis Galambos (1987). *The Fall of the Bell System* (New York: Cambridge University Press)
- The Book of the States, 1990-91*, (1990), vol. 28 (Lexington, Ky.: Council of State Governments)
- The Gallup Poll. (1986). *Public Opinion 1985* (Wilmington, Del.: Scholarly Resources)
- Thurber, James A. (1991). "Dynamics of Policy Subsystems in American Politics," in *Interest Group Politics*, 3d

- ed., ed. Allan J. Cigler and Burdett A. Loomis (Washington, D.C.: Congressional Quarterly Press)
- Tierney, John T. (1984). "Government Corporations and Managing the Publics Business." *Political Science Quarterly* 99 (Spring)
- Times Mirror Center for the People and the Press (1990 a). "News Interest Index" (Washington, D.C.: Press release, March).
- Times Mirror Center for the People and the Press (1990 b.). "Times Mirror News Interest Index" (July 12)
- Times Mirror Center for the People and the Press (1990 c). "The American Media: Who Reads, Who Watches, Who Listens, Who Cares" (Washington, D.C.: Press release, July 15).
- Times Mirror Center for the People and the Press, (1991). "The People, the Press and the War in the Gulf" (Washington, D.C.: January 31).
- Tinker v. Des Moines Independent County School District*, 393 U.S. 503 (1969)
- Tocqueville, Alexis de (1966). *Democracy in America*, ed. J. P. Mayer and Max Lerner (New York: Harper and Row).
- "Transcript of Second Inaugural Address by Reagan," 1985, *New York Times*, January 22
- Tribe, Laurence (1988). *Treatise on American Constitutional Law*, 2d ed. (St. Paul, Minn.: West)
- Truman, David B. (1951). *The Governmental Process* (New York: Knopf)
- United States v. Eichman*, 110 S.Ct. 2404 (1990)
- United States v. Leon*, 468 U.S. 897 (1984)
- Urofsky, Melvin I. (1988). *A March of Liberty* (New York: Knopf)
- Urofsky, Melvin I. (1991). *A Conflict of Rights: The Supreme Court and Affirmative Action* (New York: Scribner's)
- Uscem, Michael (1984). *The Inner Circle* (New York: Oxford University Press).
- Verba, Sidney and Gary R. Orren, (1985). *Equality in America: The View from the Top* (Cambridge, Mass.: Harvard University Press)
- Verba, Sidney and Norman H. Nie, (1972). *Participation in America: Political Democracy and Social Equality* (New York: Harper and Row).
- Wright, John R. (1990). "Contributions, Lobbying, and Committee Voting in the U.S. House of Representatives" *American Political Science Review* 84 (June).
- Walker, Jack L. (1981). "*The Origins and Maintenance of Interest Groups in America*" (Paper delivered at the annual meeting of the American Political Science Association, New York, September).
- Walsh, Kenneth T., Matthew Cooper, and Carla Ann Robbins (1992). "Clinton: Doing It All," *U.S. News and World Report*, December 28.
- Wards Cove Packing Co. v. Atonio*, 109 S. Ct. 2115 (1989)
- Ware v. Hylton*, 3 Dallas 199 (1796)
- Wasby, Stephen L. (1988). *The Supreme Court in the Federal Judicial System*, 3d ed. (Chicago: Nelson-Hall)
- West Virginia State Board of Education v. Barnette*, 319 U.S. 624 (1943) (St. Paul, Minn.: West)
- Wills, Garry. (1981). *Explaining America: The Federalist* (Garden City, N.Y.: Doubleday)
- Wilson, James Q. (1989). *Bureaucracy* (New York: Basic Books)
- Wilson, Woodrow (1885). *Congressional Government* (Boston: Houghton

- Midlin)West, Darrell M. (1987). *Congress and Economic Policymaking* (Pittsburgh: University of Pittsburgh Press)
- Wolf v. Colorado*, 338 U.S. 225 (1949)
- Woodward, Bob and Scott Armstrong, (1979). *The Brethren* (New York: Simon and Schuster)
- Wright, Charles Alan, (1976). *Handbook on the Law of Federal Courts*. 3d ed.
- Zoglin, Richard (1990). "Is TV Ruining Our Children?" *Time*, October 5